780
1988/2

ISSN 0134 — 0548

1988/5

სპუტნიკი

ჟურნალი. ოთხთვეული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

№ 252
(5-6)

სპუტნიკი

1988/5

სექტემბერი
ოქტომბერი

შინაარსი

პროზა და პოეზია

იოზეფ როთი. იობი. რომანი. გერმანულიდან თარგმნა ზურაბ გ. აბაშიძემ 3

უცხოური იუმორი. თარგმნა შალვა ამირანაშვილმა 100

იოჰან ვოლფგანგ გოეთე. მგზავრის მწუხრული სიმღერა. გერმანულიდან თარგმნა გივი ძნელაძემ 101

ჰაინრიხ ჰაინე. ლექსები. გერმანულიდან თარგმნა იორამ ქემერტელიძემ 102

აკუტაგავა რიუნოსკე. ოგატა რიოსაის ჩვენებანი. მოთხრობა. თარგმნა კარლო არსენიშვილმა 107

ივან კრილოვი. მგელი და წერო. ლექსი. თარგმნა გივი კაკაბაძემ 111

კორნეი ჩუკოვსკი. ტელეფონი. ლექსი. თარგმნა ნათელა ონაშვილმა 112

ჯეიმზ პერდი. ძილი ნებისა, ძვირფასო! მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა ქეთევან ფელიძემ 114

პაბლო ნერუდა. ცეცხლი მარადი. ლექსი. თარგმნა გიორგი კამურელმა 123

აგოსტინიო ნეტო. დამშვიდობება გამგზავრებისას. ლექსი. თარგმნა გივი თათეიშვილმა 124

ჟიულ რენარი. წითური. ფრანგულიდან თარგმნა გივი გეგეჭკორმა 126

დიმიტრი გულია. ლექსები. აფხაზურიდან თარგმნა მირიან მირნელმა 220

სამუელ ტეილორ კოლრიჯი. სიზმრის კოშმარები. ლექსი. ინგლისურიდან თარგმნა თამარ მხარგრძელმა 224

უილიამ უორდსუორთი. ლექსები. ინგლისურიდან თარგმნა თამარ მხარგრძელმა 226

ბრეტ ჰარტი. ანგელოზელი მეზარე. მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა ბეჟან სიესხვაძემ 227

დეივიდ ჰერბერტ ლორენსი. ლექსები. ინგლისურიდან თარგმნეს მარინე დანელიამ და ლია გრძელიშვილმა 253

ლეონარდო და ვინჩი. იგავ-არაკები. გერმანულიდან თარგმა ლულუ დადიანმა 258

წერილები

მუხრან მაჭავარიანი. რამდენიმე სიტყვა 260

ჯორჯო ვაზარი. ჯორჯო ვაზარის „ხელოვნების ისტორია“. თარგმნეს ედიშერ გიორგაძემ და გიორგი ბუხნიკაშვილმა 308

ფრანჩესკო ჩესი. ტიეპოლო. ინგლისურიდან თარგმნა მარინა თორდიამ 311

საქართველოს მწერალთა კავშირი
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ალმანახი

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა
მთავარი სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი:
მუხრან მაჭავარიანი

სარედაქციო კოლეგია:

ელზა ახვლედიანი
ჯემალ აბიაშვილი
გიორგი ბაქანიძე
მზია ბაქრაძე
ბაჩანა ბრეგვაძე
გურამ გოგიაშვილი
ნანა დარჩია (პ. მგ. მდივანი).
მაგალი თოდუა
ნოდარ კაკაბაძე
ზურაბ კიკნაძე
ვახუშტი კოტეტიშვილი
რომან მიმინოშვილი
გიორგი ნიშნიანიძე
ოთარ ნოდია
დალი შანჯიკიძე
რუსუდან ჟვგულაძე
იორამ ქემერტელიძე
ნიკო ყიასაშვილი
გივი შავნაზარი
გივი ძნელაძე (მთ. რედ. მოადგილე)
დავით წერედიანი
ნუგზარ წერეთელი
თამაზ წიკვნივაძე
რევაზ ჭეიშვილი

გარეკანზე: ტიეპოლო. მოსეს ამოყვანა ლელიანიდან.

მხატვარი ა. თოდრია. მხატვრული რედაქტორი ა. ვართაგავა, ტექრედაქტორი რ. იმნაიშვილი
გამომშვები ნანა ბერთაია

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31. პასუხისმგებელი მდივანი — 99-60-22.
განყოფილებათა გამგეები — 72-26-30

გად. წარმ. 16. 08. 88 წ., ხელმოწ., დასაბეჭდად 30. 09. 88 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/16
საღრ. თ. 22,55. სასტ. თ. 28. საღებავის გატ. 28,7 ტირ. 10 000. შეკვ. № 2088.

ფასი 1 მან. 80 კაპ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის ზრომის წითელი დროშის
ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის 14.

იოზეფ როთი

იობი (ალალი კაცის რომანი)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

198 867

გერმანულიდან

თარგმნა ზურაბ გ. აბაშიძემ

იოზეფ როთი, ახალი ავსტრიული ლიტერატურის შესაძირკველთაგან უპირველესთაგანი, გალიციაში (ვოლინში) დაიბადა 1894 წელს ბროდის მახლობელ დაბა შვაბენდორფში, ებრაელთა ოჯახში. მწერლის სამშობლო — ავსტრო-უნგრეთის უკიდეგანესი განაპირა, რუსეთის საზღვრისპირა მხარე — გახდა შემდეგ როთის თხზულებათა გმირების მოქმედების არეალი. ბროდის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იოზეფ როთი გერმანისტიკასა და ფილოსოფიას ეუფლებოდა ლვოვისა და ვენის უნივერსიტეტებში. პოეზიით დაიწყო, შემდეგ ნოველებს წერდა და გაზეთებში აქვეყნებდა, პრესაში ამგვარი თანამშრომლობა მოჰყვა მისი ბოწყინვალე ფერწალისტური კარიერა. როგორც ავსტრიელი, ასევე, ბერლინში გადასახლების შემდეგ, გერმანული გაზეთების კორესპონდენტმა, მან კიდით კიდე მოიარა ევროპა. მაგრამ ფერწალისტური მოღვაწეობა იოზეფ როთისთვის, ვისაც პოეტური ზეშთაგონება სიყრმიდან ჰქონდა მომადლებული, მაინც გარკვეულად წარმოადგენდა საამსახურებრივი მოვალეობის აღსრულებას, მუზა კალიოპეს ინსპირაციი კი გადმოიღვრა მისი შესანიშნავი რომანებისა და მოთხრობების სახით.

1933 წელს იოზეფ როთი ემიგრაციაში წავიდა ლა საფრანგეთში, პარიზში დაიდო ბინა. მატერიალურმა ხელმოკლეობამ, ოჯახურმა ტრაგედიამ (ცოლის ფსიქიური აშლილობა), ემიგრანტის მიუსაფარმა ყოფამ მწერალი სულიერად ვერ გატეხა. თუმცა ალკოჰოლს მიეძალა. მაგრამ ბოლომდე ნათელი ინტელექტი და გასაოცარი შრომის ენერგია შეინარჩუნა. 1939 წლის მაისში იოზეფ როთი აღესრულა პარიზის ერთ-ერთ ჰოსპიტალში.

1929 წელს გამოქვეყნებული რომანი „იობი" ნობელის ლაურეატ ჰაინრიხ ბიოლს ემშვენიერეს წიგნად მიაჩნდა ორ მსოფლიო ომს შორის შექმნილ წიგნთა შორის. მასსავე კალამს ეკუთვნის მსოფლიოში გახმაურებული „რადეცკის მარში" და ბევრი სხვა რომანი.

მოწამეობრივი სიცოცხლით იცხოვრა იოზეფ როთმა, ჩვენი დროის დიდმა ბელეტრისტმა, და შთამომავლობაა დაუტოვა ადამიანის დიდი სიყვარულით გამთელებული პოეტური მემკვიდრეობა, განცდილ-ნაფიქრალისაგან შეთხზული სიმფონიის განუმეორებელ ტონთა ძღერა, კეთილკაცობის, სიკეთის ჰიმნი.

პირველი ნაწილი

I

ერავალი წლის წინათ სუხნოვში ერთი მორწმუნე, ღვთისმოშიში კაცი ცხოვრობდა, სახელად მენდელ ზინგერი. იგი ალალი, ყოვლად ჩვეულებრივი ებრაელი და უბრალო მასწავლებელი იყო. თავის სახლში, რომელიც ერთი მოზრდილი სამზარეულოსაგან შედგებოდა მხოლოდ, პავშვებს ბიბლიის ცოდნას აზიარებდა. ბეჯითად და გულმოდგინედ ასწავლიდა,

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

თუმცა დიდი წარმატებით ვერ დაიკვეხნიდა. მანამდე ასეულობით ადამიანს უცხოვრია და უშრომია მასავით.

სახეც ისევე უეშხო, უფერული ჰქონდა, როგორც ცხოვრება, ხშირი, ბუსილა შავი წვერით მთლად დაფარული. ტუჩებს ფარავდა ულვაშები. მძიმე ქუთუთოები სანახევროდ მალავდნენ დიდ, შავ, ზანტ თვალებს. [illegible] უმნიშვნელოვანი შავი რიფსის ქუდი ეხურა, ამ ნაჭრისაგან ზოგჯერ [illegible] ან [illegible] ან [illegible] ან

ბუქყს, რომელსაც შემდეგ სათლიდან წყალს დაუშვებდა ხოლმე ქალი და ჩარეცხავდა. უშველებელი მოძრავი მთასავით დაგორავდა ცისფრად შეღებილ, ორეულ ოთახში. გარეთ, კარწინ გამზეებული იყო ავეჯი — ხის ყავისფერი საწოლი, ნამჯის ნალები, კარგად გაშალაშინებული მაგიდა, ორი ვიწრო, მოზრდილი მერხი — ჰორიზონტალური ფიცრები ორ-ორ ვერტიკალურზე [illegible] დამაგრებული. როგორც კი დაისი მოატანდა ფანჯარას, დებორა [illegible] თებდა ნოიზილბერის შანდლებში. სახის წინ ხელებს შეაერთებდა და ლოცვად დადგებოდა. ქმარი მოვიდოდა შავად მოსილი და იატაკი შემოანათებდა [illegible], როგორც მზე გადამდნარი. მისი სახე ახლა უფრო თეთრი ჩანდა ჩვეულებრივზე, ხოლო წვერი უფრო შავი, ვიდრე სხვა დღეებში. დაჯდებოდა, მცირე სიმღერას დაამღერებდა და მერე მშობლები და ბავშვები ხვრეპდნენ ცხელ წვნიანს, თეფშებს დაჰყურებდნენ ღიმილით და სიტყვას არ ძრავდნენ. სითბო დატრიალდებოდა ოთახში, ქვაბების, ჯამების, სხეულთა სითბო. ნოიზილბერის შანდლებში ჩამაგრებული იაფფასიანი სანთლები ვერ უძლებდნენ სითბოს და იღვენთებოდნენ აგურისფერ-ლურჯ კუბოკრულ სუფრაზე; ნალვენთი მყისვე გამყარდებოდა. ფანჯარას გააღებდნენ; სანთლები აბურბურდებოდნენ და მშვიდად დაიწვებოდნენ ბოლომდე. ბავშვები თავიანთ ნალებზე მიწვებოდნენ ღუმელის სიახლოვეს, ხოლო მშობლები ისევ ისხდნენ და სევდანარევ საზეიმო განწყობილებით ჩასცქეროდნენ ჩანავლებულ, მოცისფრო, ხორკლიან ალს, შანდლის ფოსოებიდან რომ ამოფართქალდებოდა და პაწია ტალღებად უკუიქცეოდა, ვით ცეცხლოვანი შადრევანი. სტეარინი ხრჩოლავდა. ცისფერი კვამლის წვრილი სიმები ზეადიოდა პატრუქის დანახშირებული ნამწვავიდან ჭერისაკენ. „ოჰ!" — ამოოხრებდა ქალი.

— ნუ ბვნეში! — ეტყოდა მენდელ ზინგერი. გაჩუმდებოდნენ.

—დავიძინოთ, დებორა! — ბრძანებდა კაცი და ორივე ჩუჩჩულით იტყოდა ღამეულ ლოცვას.

ასე მოაწევდა ხოლმე ყოველი კვირის დასასრულს შაბათი — დუმილით, სანთლებით, გალობით. ოცდაოთხი საათის შემდეგ შაბათი ისევ ჩაიძირებოდა ღამეში და იწყებოდა კვირის უფერულ დღეთა რიგი, ჭაპანწყვეტის კარუსელი. შუა ზაფხულის ერთ დახუთულ დღეს, ნაშუადღევის მეოთხე საათზე დებორამ იმშობიარა. მისი პირველი დაკივლება მოწაფეთა მონოტონურ სიმღერას შეუერთდა. ბავშვები დაითბოვეს. მენდელს მეოთხე შვილი შეეძინა, ბიჭი. რვა დღის შემდეგ შვილს წინადაცვეთა გაუკეთეს და მენუხიმი დაარქვეს.

აკვანი არ გააჩნდა მენუხიმს. ტირიფის წნელისაგან მოწნულ კალათაში ჩააწვინეს და ქორაკანდელივით კავზე ჩამოკიდეს შუა ოთახში, ჭერზე. მენდელ ზინგერი თითით ოდნავ, მოფერებით შეეხებოდა ხოლმე კოპწია კალათს და [illegible] მყისვე დაირწეოდა. ამგვარი რწევა ჩვილს ხანდახან აწყნარებდა, მაგრამ ბავშვი ეამიჟამ ისე ჩხაოდა და ფართხალებდა, რომ ვერაფერი შველოდა. მისი ხაფი ხმა ფარავდა მოწაფეთა მიერ სიმღერით ნათქვამ მცნებებს ბიბლიიდან. დებორა ტაბურეტზე შედგებოდა და ჩვილს კალათიდან ამოიყვანდა, თეთრად გათქვირული, სავსე ძუძუ გამოანათებდა ზედატანიდან და ბიჭების მზერას ძალუბად მიიპყრობდა თავისკენ. დებორა თითქოს ყველა იქ მყოფს ერთად აწოებდა ძუძუს. სამი უფროსი შვილი გარშემოხვეოდა და ხარბად, შურით შესცქეროდა ძმას. სიჩუმე დაივანებდა და ყველას ესმოდა ძუძუს წოვის ჩქამი.

დღეები კვირეებად გაიჭიმა, კვირეები თვეებში გადაიზარდა. თორმეტმა თვემ წელიწადი შეადგინა. მენუხიმი ისევ შეექცეოდა დედის რძეს, თხელსა და

ერიალას. ფეხი ვერ აიდგა. ცამეტი თვის ასაკში ბიჭს ავმა ზნემ მოუარა, სახე
ემანჭებოდა, მხეცივით ღმუოდა, გამალებით ჭოშინებდა და გაუგონრად ხვნე-
შოდა. გაწვრილებულ კისერზე მძიმედ, გოგრასავით ედგა [illegible] თავი.
განიერი შუბლი დაეძაგრებოდა და სულ მთლად ნაოჭებით ეფარებოდა, დაჭმუ-
ჭნული პერგამენტივით. ფეხები დაბრეცილი ჰქონდა და უსიცოცხლოდ ეკიდა ხის
ორი რკალი. გაწვრილებული მკლავები უკანკალებდა და ეკრუნჩხებოდა. ბა-
გეები რალაც სასაცილო ბგერებს გამოსცემდნენ. ზნე რომ მოუვლიდა, კალათი-
დან ამოიყვანდნენ ხოლმე და მანამ ანჯღრევდნენ, ვიდრე სახე მთლად არ გაუ-
ლურჯდებოდა და სუნთქვა შეეკვრებოდა. ამის შემდეგ ბიჭი თანდათან მოცო-
ცხლდებოდა. გამონახარშ ჩაით გავსებულ რამდენიმე პარკს შემოაწყობდნენ
ხოლმე გამხმარ მკერდზე, ხოლო წვრილ კისერზე ვირისტერფას შემოაფენდნენ.
„არაფერია, — იტყოდა მამა, — იზრდება და იმის ბრალია! ბიჭები ბიძას ემს-
გავსებიან, დედა ძმას. — „ჩემი ძმა ხუთი წელიწადი იტანჯებოდა!“ — დას-
ძენდა დედა. „გაიზრდება და გაუვლის“, — ამბობდნენ სხვანი. ამასობაში ქა-
ლაქში ყვავილმა იფეთქა, ხელისუფლებამ განკარგულება გასცა აცრის თაობაზე
და ექიმები შეიჭრნენ ებრაელთა სახლებში. ზოგმა დამალვა დაიწყო. ალალ-
მართალი ზინგერი ღვთით მოვლენილ არარა სასჯელს ერიდებოდა და აცრებ-
საც გულდინჯად შეეგება.

იმ დილას მზე აჭერდა და ცხელოდა, როცა კომისიამ მენდელის შუკაში ჩა-
ლოიარა. ებრაელთა სახლების რიგში ბოლო იყო მენდელის სახლი. ექიმი სოლ-
ტისიუკი პოლიციელის თანხლებით მობრძანდა, რომელსაც დიდი წიგნი ჰქო-
ნდა ამოიღლიავებული. სახეგარუჯულ ექიმს ქერა წვერი უფრიალებდა, გაწით-
ლებულ ცხვირზე ოქროსჩარჩოიანი პენსნე ეკეთა, ფართო ნაბიჯით მოდიოდა,
ტყავის ყვითელ გამაშებს მოაჭრაჭუნებდა, სიცხის გამო პიჯაკი დაუდევრად წა-
ბოეხერა რუბაშკაზე და სახელოები ზედმეტ წყვილ ხელად მოუჩანდა, რომელ-
საც თითქოს ხელეწიფებოდათ ავრეთვე აცრა. ამგვარი სახით მოევლინა ექიმი
სოლტისიუკი ებრაელთ შუკას. ისმოდა ქალების წივილ-კივილი და ღრიალი
ბავშვებისა, ვინც მიმალვა ვეღარ მოასწრო. პოლიციელს ქალები და ბავშვები
ჯურღმულივით სარდაფებიდან და სახლის მაღალი სხვენებიდან მოჰყავდა. ციცა-
ქნა საკუჭნაოებიდან და თივით სავსე გოდრებიდან მოათრევდა. მზე იკბინებოდა
და ექიმს ხვითქი გადასდიოდა. ასაცრელი ჰყავდა არანაკლებ ას სამოცდათექვს-
ეტი ებრაელი. გულში ღმერთს მადლობას სწირავდა ყველასათვის, ვინც დაე-
მალა, ანდა ვინც ვერ მოიხელთა. ცისფრად შეფეთქილ სახლთაგან მეოთხეს
რომ მიატანა, პოლიციელს ანიშნა, თავს ნულარ შეიწუხებ ძებნითო, რაც უფრო
შორს მიიწევდა ექიმი, მით უფრო მატულობდა გნიასი. მისი ნაბიჯისდაკვალ,
შიშით შეპყრობილთა გოდებას აცრილთა წყევლა-კრულვა უერთდებოდა. არა-
ქათგამოცლილი და თავგზააბნეული, კვნესით დაეშვა მკურნალი მენდელის
ეთახში მერხზე და ჭიქა წყალი მოითხოვა. მზერა მიაპყრო ჭატარა. კუტ მენუ-
ხიმს, მერე ხელში აიყვანა და თქვა:

— ეპილეფსიანი იქნება.

შიში ჩაღვარა გულში მამას.

— კრუნჩხვა ყველა ბავშვს ემართება, — შეეპასუხა დედა.

— აქ სხვა რამეა, — ბრძანა ექიმმა. — იქნებ მოვარჩინო კიდეც. მის თვა-
ლებში სიცოცხლის ნიშატს ვამჩნევ.

— ახლავე წავიყვან საავადმყოფოში პაწიას. იქ მოუვლიან და მოარჩენენ,
— თქვა ბოლოს დებორამ.

მენდელმა კი მიუგო:

— გაჩუმდი, დებორა! ვერც ერთი ექიმი ვერ მოარჩენს, თუ ღმერთმა არ ინება. რუს ბავშვებში ხომ არ უნდა აღიზარდოს? ღმერთს აღარ ეზიაროს? რაც და ხორცი უნდა მიირთვას და კარაქზე შემწვარი ქათამი — ჰოსპიტალში შემზადებული? ღარიბები ვართ, მაგრამ მენუხიმის სულს ვერ გაყიდვ[illegible] ეძისთვის, რომ მკურნალობა იქნება უსასყიდლო. ვინ მორჩენილა [illegible]ტალში? მენდელმა გმირულად გაუწოდა ექიმს თავისი წვრილი, თეთრი ხელი ასაცრელად. მენუხიმი კი წასაყვანად არ დაანება. დათქვა ღმერთისთვის შეევედრებინა უმცროსი შვილის თავი. კვირაში ორჯერ ვიმარხულებო — ორშაბათსა და სამშაბათს. დებორამ აღუთქვა. სალოცავში ვიელი. საფლავებთან მივალ და წინაპართა ძვლებს შევღაღადებ, რათა მეოხ მეყოს წინაშე ზენაარისაო. ამრიგად მენუხიმი ჯანმრთელი გაიზრდება, ეპილეფსიანი არ იქნება.

და მაინც აცრის ჟამიდან მენდელ ზინგერის სახლის თავზე შიშმა მოიკალათა ურჩხულივით. ბინადართა გულს აბეზარი, ცხელი ქარივით სერავდა დარდი. დებორა ობრავდა და ქმარი არ უშლიდა. ლოცვის ჟამს ქალს ჩვეულებრივზე აეტ ხანს ეჭირა ხოლმე ხელი სახეზე აფარებული, თითქოს ლამობდა დაელამებინა, წყვდიადში დახთქმულიყო, რომ შიში განეგდო და ღვთის წყალობაც მიელო. სწამდა სალმრთო წერილისა, რომ წყვდიადში უნდა გამობრწყინდეს შუქი ზენაარი და მისმა მადლმა უკუნეთი გაანათოს. მაგრამ მენუხიმის შეტევებს ღარაფერი ეშველა. შვილები კი იზრდებოდნენ და იზრდებოდნენ. მათი ჯანმრთელობა მენუხიმის მტერივით ხმაურობდა. ჯანმრთელთა ჟრიამული ავადმყოფთან მყოფ დედას ყურს სჭრიდა. ლახვარივით ესობოდა. ჯანსაღი შვილები თითქოს ავადმყოფის ხარჯზე იკრებდნენ ძალას და დებორამ შეიჯავრა მათი გნიასი. მათი წითელი ლოყები, მათი ნაკვთების სრულყოფილება. სასაფლაოზე ავდარშიც დაიარებოდა და მზიან ამინდშიც, თავს უჩაჩქუნებდა ხავსმოდებულ ქვიშაქვებს. თითქოს წინაპართა ძვლებიდან ამოზრდილს, სულებს გამოიხმობდა და ეკითხა, მათი უთქმელი, იმედიანი პასუხები მესმისო. უკან მიმავალს იმედი ჩაესახებოდა. ვაჟი გამოჯანმრთელებული დამხვდებაო, და კანკალებდა. კერიაზე ცეცხლს მიატოვებდა, წვნიანი გადმოდიოდა, ქოთნები სკდებოდა, ქვაბებს ჟანგი ეკიდებოდა, მომწვანო ჭიქები წკრიალით იმსხვრეოდა. ლამპის შუშა ისე გაბოლილიყო, რომ გარეთ შუქი აღარ ატანდა, ხოლო პატრუქი დანახშირებულ ოდრიკალად იგრაგნებოდა. იატაკის ფიცრებზე კვირით კვირამდე შრეებად ედებოდა მომსვლელთა ლანჩებით მოტანილი ტალახი, ქვაბიდან ორთქლდებოდა გამდნარი ჭონი, ბავშვთა პერანგებს ისე სწყდებოდა ღილები, ვით ხეს ფოთლები შემოდგომის მიწურულში.

ზაფხული წვიმით დასრულდა, წვიმიანობა შეცვალა თოვლმა. ათორმეტის ჟამობის წინა კვირას დებორამ გაამზადა თავისი ვაჟიშვილის კალათა, ბიჭი შალის საბნებში ჩაფუთნა. მეფორნე ზამეშკინის ფორანზე მოათავსა და კლუჩიცკს გაემგზავრა, საცა რაბინი ცხოვრობდა. სკამის მაგიერი ფიცარი ზედ თივაზე იდო და ოთხთვალას ყოველ მოძრაობაზე ტოკავდა. საკუთარი სხეულის სიმძიმითღა იჭერდა მას დებორა, აფეთქებული, სიცოცხლით სავსე სხეულით. მიხვეულ-მოხვეული ვიწრო ქუჩა ნაცრისფერ ლაფს დაეფარა. ლაფში ეფლობოდა გამვლელთა ჩექმები და ოთხთვალების ბორბლები. წვიმა შხაპუნობდა ყანებზე, განმარტოებული ქოხებიდან ამომავალ კვამლს წეწავდა, დაეინებით, ჯიუტად შლიდა ყოველივე მყარს, რაც დახვდებოდა. შავი მიწიდან თეთრი კბილივით ამოზრდილ კირქვას, გზისპირა გადახერხილ კუნძებს, სახერხის წინ დახვავებულ

სურნელოვან ფიცრებს, დებორას თავსაფარსაც და შალის საბნებსაც, რომელთა ქვეშაც მენუხიმი იყო ჩამარხული. წვეთი წყალი არ უნდა გაჰკარებოდა მენუხიმს, დებორამ იანგარიშა, რომ წინ ოთხი საათის სავალი გზა ელოდათ. თუ წვიმა არ გადაიღებდა, მაშინ ფუნდუკში უნდა გაჩერებულიყვნენ. ქალს საბნები უნდა დაეშრო, ჩაი დაელია და საგზლად წამოღებული [illegible] ფუნთუშა დაეყოლებინა. საამისოდ ხუთი კაპიკი უნდა გაელო, ხუთი კაპიკი [illegible] ადვილი გასაცემია? ღმერთმა შეიბრალა, წვიმამ გადაიღო. მოწანწალე ღრუბლის ქულები შემალული მზის არილით შეიმოსა, სულ რაღაც ერთი საათით და შემდეგ ღრმა უკუნში დაინთქა.

ღამემ დაივანა კლუჩიცკში. როცა დებორა იქ ჩავიდა, ბევრ შეჭირვებულს მოეყარა თავი რაბინის სანახავად. კლუჩიცკი რამოდენიმე ათასი ჩალითა და ყავრით გადახურული სახლისაგან შედგებოდა; ერთ კილომეტრზე გაშლილი, სახლებით შემოჯარული ბაზრის მოედანი დამშრალ ტბას ჰგავდა. მოედანს გარშემოწყობილი დროგები გადაყრილი და უპატრონო გეგონებოდათ, წრიულ სივრცეში ჩაკარგული, დაპატარავებული და საბრალო. გამოხსნილი ცხენები ოთხივალების გვერდით ჭიხვინებდნენ და დაღლილი ზელდნენ წებოვან ტალახს. თითო-ოროლა ეული კაცი დაბორიალობდა, წრით შემოფარგლულ ღამეში ყვითლად ფარფატებდა მათი მაშხალების ალი; მიჩეჩებულ საბნებს თუ დაეძებდნენ ანდა გადანახულ საგზალს. გარშემო, ათას პატარა სახლში ეპოვნათ თავშესაფარი ჩამოსულებს. მკვიდრ მცხოვრებთა საწოლებთან მიდგმულ ტახტებზე ეძინათ სნეულებს, კუზიანებს, დამბლადაცემულებს, შეშლილებს, იდიოტებს, გულის მანკიანებს, დიაბეტიკებს, კიბოიანებს, ტრაქომისაგან თვალზე ჩირქმოდებულებს, უშვილო ქალებს, მახინჯი შვილის დედებს, წვეთამდელებს, დანაშაულში ეჭვმიტანილებს, დეზერტირებს, გაქცევის საბაბს რომ ეძებენ, ადამიანებს. ვისზედაც ექიმს ხელი აეღო, საზოგადოების მიერ მოკვეთილებს, ცოდვა-მადლ გაუკითხავებს, შეჭირვებულთ, მეოცნებეთ, დამშეულებსა და მოყირჭებულებს, მატყუარებსა და პატიოსნებს, მილეთის ხალხს.

დებორა დაბინავდა თავისი ქმრის კლუჩიცკელ ნათესავთან. თვალზე რული არ მორევია, კუთხეში, მენუხიმის კალათთან, ღუმელის სიახლოვეს ჩაცუცქულმა გატეხა ღამე. ბნელოდა ოთახში და მის გულშიაც ბნელოდა. ღმერთს ველარ შეჰბედავდა თხოვნას, მის თვალში ისე მაღალი იყო ღმერთი, ისე დიდი, შორეულ, უთვალავ ზეცათა მიღმა უსასრულოდ გადაკარგული, რომ ქალს მილიონობით ლოცვისაგან მოწნული კიბე დასჭირდებოდა. მის კალთას რომ მისწვდენოდა, შემწედ მიცვალებულებს მოუხმობდა, მშობლებს, მენუხიმის პაპას, ვისი სახელიც დაერქმიათ პაწიასათვის, შემდეგ ყოველთა ებრაელთა მამებს, აბრაჰამს, ისაკს, იაკობს, მოსეს ძვლებს და ბოლოს დედათმთავრებს. ჯერ ამოიოხრებდა და შემდეგ მოაყოლებდა სათხოვარს. ას საფლავს მიმართავდა, ას კარიბჭეს სამოთხისა. ეშინოდა, რაკი ამდენი მთხოვნელია თავმოყრილი, ვაითუ რაბინმა ხვალ ვერ მიმიღოსო, ლოცულობდა, ილბალი მომცა, დროულად შევაღწიო რაბინთანო; თითქოს შვილის მორჩენას ამის შემდეგ წინ აღარაფერი დაუდგებოდა. როგორც იქნა, შავი დარაბების ღრეჩოებში აისის ბაცი ხოლი შენიშნა. ქალი სწრაფად წამოდგა, კერიაზე დაყრილ მშრალ კვარს ცეცხლი მოუკიდა, ქოთანი მონახა, მაგიდიდან სამოვარი გადმოიღო და ანთებული კვარი ჩააგდო. მერე ნახშირი ჩაყარა, სამოვარს სახელურებში ჩაავლო ხელი, დაიხარა, ძალუმად შეუბერა; ნაპერწკლები ამოიფრქვა და სახე აულანძა. თავი ისე ეჭირა, თითქო საიდუმლო რაიმე რიტუალს ასრულებსო. მალე წყალი აჩუხჩუ-

ნდა, ჩაი გამზადდა. ოჯახის წევრები წამოიშალნენ, მაგიდას მიუსხდნენ და ყავისფერი თიხის ფინჯნებიდან შეექცნენ ჩაის. ამასობაში დებორამ კალათიდან ამოიყვანა ატირებული ვაჟიშვილი, გამალებით ჰკოცნიდა. დაფეთებული ციმციმებდა სველი ტუჩები მტლაშა-მტლუშით ეხებოდა ყრმის გაფითრებულ სახეს, წვრილ მკლავებს, დაბრეცილ ფეხებს, გაბერილ მუცელს. დედის ბაგენი ალერსით სცემდნენ თითქოს შვილს. შემდეგ შეახვია, ორტახანა [illegible] და ბავშვი კისერზე ჩამოიკიდა, რომ ხელები თავისუფალი ჰქონოდა რაბინის კარწინ მოჯარულ ხალხში გზის გასაკვალად.

გამყივანი კივილით შეიჭრა მომლოდინეთა ბრბოში, მუშტების გამეტებული ქნევით მისწი-მოსწია სუსტები, წინ ვერავინ გადაუდგა. გვემულნი გვერდიდან რომ მოჰხედავდნენ და დატუქსვას დაუპირებდნენ, უკუდგებოდნენ ხოლმე ქალის სახეზე აღბეჭდილი მწვავე ტკივილით დაბრმავებულნი. მისი დაფჩენილი წითელი ხახიდან თითქოს მცხუნვარე ნიავქარი ამოჰქროდა, ღვარად ჩამომდინარე მსხვილი ცრემლები ბროლისფრად კრთოდა. ღაწვებზე ალმური ასდიოდა, ლურჯი ძარღვები მსხვილად დააჩნდა დაძაგრულ კისერს. სადაც გროვდებოდა ხმა, ვიდრე კივილად აღმოხდებოდა. ჩირაღდანივით ჩამოიქროლა დედამ. ერთი ხაფი შეძახილი და ამაზრზენი სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს სამყარო დაინთქაო, — დებორამ როგორც იქნა მიატანა რაბინის კარს, ძირს დაემხო და გაწვდილი მარჯვენა მოსჭიდა სახელურს, ბოლო მარცხენით ყავისფერ ფიცარს უბრახუნებდა. მენუხიმი მიწაზე გახოხდა დედის წინ.

კარი ვიღაცამ გაულო. რაბინი ფანჯარასთან იდგა — მათკენ ზურგშექცეული შავი, წოწოლა ლანდი. იგი უცებ შემობრუნდა. ქალი ზედ ზღურბლზე შეჩერდა. თავისი შვილი ორივე ხელით ასწია და ზვარაკივით გაუწოდა. თვალი ისეასწრო კაცის ფერმიხდილი სახიდან გამომკრთალ უცხო რამ არილს, თეთრი ნაკერიდან მომდინარეს უთუოდ. განიზრახა თვალებში ჩაეხედა წმინდანისათვის, დარწმუნებულიყო, დიდი სიკეთე რომ იყო შიგ დავანებული, მაგრამ რა მიეახლა, მზერას მისას ცრემლის ტბა გადაეფარა. წყლისა და მარილის თეთრ საბურველშიღა დალანდა კაცი. მანაც ხელი აღმართა და ქალს მოეჩვენა, ორი წვრილი თითი გაეარჩიეთ, დასალოცად მომარჯვებული. ხმა კი მთლად ახლოდან ჩაესმა, თუმცა რაბინი ჩურჩულით იტყოდა:

— მენუხიმი, ძე მენდელისა გამოჯანმრთელდება. ისრაელში ტოლს ბევრი ვერავინ დაუდგებს. ტკივილი სიბრძნეს მიანიჭებს, სიმახინჯე — სიქველეს, სიმწარე — სათნოებას და ავადმყოფობა — ძალას. თვალი ჩუბინი ექნება, შორსმჭვრეტელი, ყური — მახვილი, ნახმევით უხვად მომადლებული. ბაგენი, თუმც არას იტყვიან, მაგრამ ოდეს განიხვნებიან, გვამცნობენ კეთილს. შიში ნუ გაქვს, დაბრუნდი შინ!

— როდის, აბა როდის განიკურნება? — ჩურჩულით იკითხა დებორამ.

— მრავალი წლის შემდეგ, — უთხრა რაბინმა. — მაგრამ ნუღარას მკითხავ, აღარც დრო მაქვს და მეტი არცარა ვიცი. არ მიატოვო ვაჟიშვილი, რაც უნდა მძიმედ გეჩვენოს ტვირთი, ნუ მოიშორებ, და შენ კვლავ მოავლენ მას ამქვეყნად, საკვლევით ჯანმრთელს, ახლა წადი!

გარეთ გზა დაუთმეს. სახეგაფითრებული, თვალშემშრალი, ოდნავ პირდაღებული ქალი იმედით სუნთქავდა თითქოს. მადლმოსილი დაბრუნდა შინ.

2

შინ მობრუნებულ დებორას ქმარი ღუმელთან დაცუცქული დახვდა. იგი ცეცხლს აღვივებდა. ქოთანსა და ხის კოვზებს აჯახირებდა. მისი სწორხაზოვანი

გონება უმარტივეს მიწიერ საგნებს სწვდებოდა მხოლოდ და თვალბილულ სამყაროში სასწაულებისა არა სჯეროდა. ცოლის მიერ რაბინის თაყვანისცემის დასცინოდა. უბრალო იყო მისეული ღვთისმოსაობა და ღმერთსა და ადამიანს შორის მუამდგომ ძალას არ საჭიროებდა.

— მენუხიმი განიკურნება. მაგრამ ამას დრო უნდა ბევრი, — ამ სიტყვით შემოაბიჯა დებორამ სახლში.

— დრო უნდა ბევრი! — ბოროტი გამოძახილივით გაიმეორა მენდელმა.

დებორამ კვნესით ჩამოკიდა კალათი ისევ კავზე. სამი უფროსი შვილი თამაშს მოეშვა და შინ დაბრუნდა. ბავშვები კალათს მისცვივდნენ, რომელიც იმ ღღეებში თვალში აკლდათ და დაუწყეს გამეტებით რწევა. მენდელ ზინგერმა ხელი ჩააცლო თავის ორთავე ვაჟიშვილს, იონასა და შემარიაჰს. გოგონა, მირიამი დედასთან გაიქცა. მენდელმა ყური აუწია ბიჭებს, მათ კივილი მორთეს. შემდეგ მამამ ქამარი მოიხსნა და ჰაერში აიქნია. ტყავი თითქოს ნაწილი იყო მისი სხეულის. საკუთარი ხელის გაგრძელება, ისე გრძნობდა მენდელ ზინგერი შვილების ზურგზე ქამრის ყოველ გატყლაშუნებას. მის თავში ზარდამცემი ზრიალი ატყდა. ცოლის გაფრთხილება და ყვირილი იმ ზრიალს გაუცნობიერებლად ეროვოდა და მასში ერეოდა. თითქოს აბობოქრებულ ზღვაში ჭიქებით ასხამდნენ წყალს. თავგზააბნეული მენდელი შხუილით ატრიალებდა ქამარს. ხან კედელს სცემდა, ხან მაგიდას, ხანაც სკამებს და ალარ იცოდა, რა ერჩივნა — აეცდინა თუ მოერტყა. მერე კედლის საათმა დარეკა, ნაშუადღევის სამზე ხომ მოწაფეები მოსდიოდა ხოლმე. კუჭგამომხმარი, — აკი ჭამა ვერ მოასწრო, — და ალელვებისაგან სუნთქვაშეკრული მენდელი ბიბლიის კითხვას შეუდგა. სიტყვა სიტყვას მოსდევდა. წინადადება — წინადადებას. და ყოველ სიტყვას, ყოველ წინადადებას ხმაწკრიალა გუნდი იმეორებდა ბავშვებისა, თითქოს მრავალთა ხართა დაერეკოთ ბიბლიის ლექსნი. და წინ და უკან ზარებივით ირწეოდნენ მოწაფეთა სხეულები, მათ თავს ზევით კი მენუხიმის აკვანი ირწეოდა იმავე რიტმში. იმდღევანდელ გაკვეთილს მენდელის ვაჟებიც დაესწრნენ. მამის რისხვა თითქოს აორთქლდა, გაცივდა, დაცხრა, რადგან მისი შვილების ხმა სხვებზე მკაფიოდ წკრიალებდა დეკლამაციისას. მათ გამოსაცდელად მამა ოთახიდან გავიდა. ბავშვების გუნდი ისევ ხმიანობდა და ისევ პირველობდნენ მის შვილთა ხმები. მანასადამე, შეეძლო იმედი ჰქონოდა მათი.

იონა, უფროსი, დათვივით ძლიერი იყო, შემარიაჰი, უმრწემესი — მელისებრ ცქაფი. იონა ტლანქი ბაჯბაჯით იარებოდა, თავწახრილი, ხელებდაშვებული, ლოყებდაბერილი, ჭამა-სმისათვის მუდამ მზადმყოფი; გრუზა თმა უხვად ეღვრებოდა ქუდის კიდეებიდან. პირხმელი, ცოცხალ და კრიალა თვალებიანი შემარიაჰი წყნარად, ფეხაკრეფით ჯიბეებში ხელებჩაწყობილი მისდევდა ხოლმე თავის ძმას. შუღლი აროდეს ატეხილა ძმებს შორის. იმდენად სხვადასხვანაირები იყვნენ ისინი. მათ გაიყვეს საუფლო და ელადიდება და მოკავშირეობა დათქვეს. შემარიაჰი საუცხოო რამეებს აკეთებდა თუნუქის ქილების, ასანთის კოლოფების, ნაფოტების, რქების, ტირიფის წნელისაგან. იონა სულის ერთი შებერვით შეეძლო მისი ნახელავის განადგურება, მაგრამ იგი ტკბებოდა ძმის ხელგამომავლობის ცქერით. ვარსკვლავს ჰგავდა ბიჭის პატარა, შავი თვალები, ცნობისმოყვარეობით და ხალისით მოძზირალი.

შინ დაბრუნებიდან რამოდენიმე დღის შემდეგ დებორამ განაგო. დრო დადგა. მენუხიმის კალათი კავიდან ჩამოეხსნათო. ქალმა დიდის ამბით გადასცა პაწია თავის უფროს შვილებს.

— წაიყვანეთ სასეირნოდ! — უთხრა დებორამ. — როცა დაიღლება, ხელში აიყვანეთ, ღმერთმა ნუ ქნას, რომ დაგივარდეთ. წმინდა მამამ აკი გვამცნო, გამოჯანმრთელდებაო. არაფერი ატკინოთ! — ამის თქმა იყო და დაიწყო ბავშვების ტანჯვა-წვალება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის ვაი-ვაგლახით დაათრევდნენ მენუხიმს ქალაქში, ხელიდან უვარდებოდათ, ძირს აგორებდნენ. მენუხიმს რომ ასეირნებდნენ, თანატოლებს [illegible] ლნენ ხოლმე, უძნელდებოდათ მათი ქირდვის ატანა. ორ მათგანს ეჭირა ბაწრი აქეთ-იქიდან. ფეხს ჩვეულებრივ კი არ აბიჯებდა, როგორც ადამიანი, არამედ დანჯღრეული ფერსოსავით მიხანხალებდა, ხან შედგებოდა, ხანაც მუხლი ეკვეთებოდა. გაბეზრებული ონა და შემარიაჰი ხელს შეუშვებდნენ, სადმე კუთხეში ტომარაში ჩასვამდნენ და მიაწვენდნენ. იქ ძაღლის სკორეთი, ჩრხჩორიკით, კენჭებით თამაშობდა და ყველაფერს თქვლეფდა. კედლიდან კირს ჩამოაწრავდა და პირს ამოიტენიდა. შემდეგ ხველებისაგან გადაფიჩინდებოდა. ტალახივით იყო მიტყეპებული კუთხეში. დროდადრო ტირილი აუტყდებოდა. ბიჭები მირიამს მიუგზავნიდნენ ხოლმე დასაშოშმინებლად. კოპწია, კნაჭა გოგო წვრილი ფეხებით შეიკუნტრუშებდა და მიეჭრებოდა ხოლმე თავის საბრალო ძმას, რომლის მიმართ გულში სიძულვილსა და ზიზღს ატარებდა. ვითომ მიეფერებოდა და ნაცრისფერ სახეზე ხელს ისე მოუსვამდა, თითქოს ესაა გაიმეტაო. ფრთხილად გაიხედავდა მარცხნივ, მერე მარჯვნივ და ძმას ბარძაყზე უჩქმეტდა. ტირილზე მეზობლები გამოიხედავდნენ ფანჯრებში. გოგო სახეს დამანჭავდა სატირლად. ყველას შეეცოდებოდა გოგო და რა მოგვიდაო, დაუწყებდნენ გამოკითხვას.

ზაფხულის ერთ წვიმიან დღეს ბავშვებმა სახლიდან გამოათრიეს მენუხიმი და ჩაუშვეს კასრში, სადაც ნახევარი წელიწადი გროვდებოდა წყალი. დაბუყებულ წყალში მატლები ფუთფუთებდნენ, ხილის ნარჩენები და ობმოკიდებული პურის ქერქები დატივტივებდნენ. ბიჭს დაბრეცილ ფეხებში წაავლეს ხელი და გასიებული ქერა თავი ათიოდჯერ ჩააყოფინეს წყალში. თან შიშნეული სიხარულით ფიქრობდნენ, მკვდარი გვიჭირავსო ხელში. მაგრამ მენუხიმი ცოცხალი იყო, ხრიალებდა, წყალს აფურთხებდა, მატლებს, დაობებულ პურს, ხილის ნარჩენებს იშორებდა და კვლავ ცოცხლობდა. შეშინებულმა ბავშვებმა ჩუმად წაიყვანეს ძმა უკან. ორი ბიჭი და ერთი გოგონა ძალიან შეაშინა ღმერთის ნეკითითის დაქნევამ. მთელი დღე ხმა არ გაუცია ერთმანეთისათვის. ენა ითქოს სასაზე მიეკრათ. ტუჩები მოძრაობდნენ სიტყვის სათქმელად, მაგრამ ხმიდან ბგერა არ ამოდიოდა. წვიმამ გადაიღო. მზე გამოვიდა. ხალისიანად მოჩხრიალებდა ნაკადული ქუჩის პირას. რა იქნებოდა, ახლა ქალალდის გემები რომ გეშვათ და თვალი ედევნებინათ, როგორ წაიღებდა მათ წყალი. მაგრამ ამის თავი არა ჰქონდათ. ფეხაკრეფით, ლასლასით მიბრუნდნენ სახლში, ძაღლებივით. მთელი საღამო ეგონათ, ახლა მოკვდებაო მენუხიმი. მაგრამ მენუხიმი არ მოკვდა.

არ მოკვდა მენუხიმი, ცოცხალი დარჩა ეს ძალმოსილი ხეიბარი. ამიერიდან დებორას წიაღი უნაყოფო იყო და გამოფიტული. მენუხიმი უკანასკნელი, უკეთესი ნაყოფი იყო მისი სხეულის, თითქოს ტაროდა ქალის სხეული, რომ ახალი უბედურება ვაეჩინა. ქმარს ნაჩქარევად წამით ჩაეხუტებოდა ხოლმე ხანმოკლე იყო ეს ალერსი, ისე ვით ელვა. ზაფხულის ცარვალზე შოს გაკვესილი გვალვის ქამის ელვა. უსაშველოდ გაიჭიმებოდა ხოლმე ეაილი ლაჟვები დებორასი. ქმრისაგან თითქოს მინის ცივმა კედელმა ჩამოაშორა. ძუძუები უშკა

ნებოდა. ტანი კი უფუვდებოდა, ეს იყო ირონია ქალის უნაყოფობაზე, ბარძაყები დაუმძიმდა, ფეხებზე თითქო ტყვია დაჰკიდესო.

ზაფხულის ერთ დილას ქალს მენდელზე ადრე გაეღვიძა. ფანჯრის რაფაზე შემომჯდარი ბელურის ჭიკჭიკმა გაუკრთო იილი. მზიანული მოძღვილი ფანტინა სმენამ მსგავსად სიზმარეული მოგონებისა, თითქოს მზის სხივი ეფერებოდა. გარიჟრაჟის სითბო ხის დარაბების ნაჩვრეტებსა და ღრეჩოებში ეფერებოდა. უმცა ავეჯის კონტურები ჯერაც ღამის სიბნელეში ითქვიფებოდნენ. ახალგამოფხიზლებულს მზერა მახვილი ჰქონდა, ფიქრები უხალისო, გული — ხენეში. თვალი შეავლო მძინარე ქმარს და აქა-იქ ჭაღარა შეამჩნია შავ წვერში. მენდელმა ძილში ჩაახველა. ხვრინავდა. ქალი წამოხტა და თვალდავსილ სარკეს მიეჭრა. შეციებული თითები სავარცხელივით ჩამოისვა გათხელებულ თმაზე. თითო-თითოდ იწევდა შუბლზე კულულებს და ჭაღარას ეძებდა. მოეჩვენა ერთი ღერი ვიპოვეო, ორი თითი გაზივით მომართა და უცებ ამოიძრო. შემდეგ პერანგი შეიხსნა სარკის წინ. დონდლო ძუძუებს დააკვირდა, ასწია, შემდეგ დაუშვა; ხელი მოუთათუნა უნაყოფო, მაგრამ მაინც გამობერილ მუცელს, ბარძაყებზე თვალი შეავლო ლურჯად დატოტვილ ძარღვებს და ისევ ლოგინს მიაშურა. გვერდი იცვალა და შეკრთა — ქმრის ღიად დარჩენილ ცალ თვალს. რომ შეხედა, დაუძახა, რა ნახეო. კაცმა ხმა არ გასცა. ღია თვალი თითქოს პატრონისა ალარ იყო, რადგანაც იმას ისევ ეძინა. თვალი თავისთავად გახელილიყო, ცნობისწადილს შეეწუხებინა. თვალის თეთრონი ჩვეულებრივზე უფრო თეთრი ჩანდა. გუგა ერთი ციცქნა. ამ თვალმა დებორას ყინულით დაფარული ტბა გაახსენა. შავლაქიანი. თვალი ერთი წუთიც არ ყოფილა გახელილი. მაგრამ ეს წუთი უსასრულოდ მოეჩვენა დებორას. თვალი დაიხუჭა. მენდელი ისევ წყნარად სუნთქავდა. ეძინა, ნამდვილად ეძინა. მრავლით უმრავლესი ტოროლას გალობა გაისმა გარეთ. შორს, ზეცაში, სახლის თავზე. ოთახში დავანებულ ბინდს გარიჟრაჟის, დილის ალმური შერთვოდა. მალე ექვსჯერ დარეკავს საათი. მენდელი ხომ ამ დროს დგება ჩოლმე ჩვეულებრივ. დებორა გაირინდა, საწოლისკენ შემობრუნდა და საცა იდგა, იქვე გაჩერდა, სარკისაკენ ზურგშექცეული. განაბული იდგა უმიზნოდ, უმიზეზოდ, გულგრილი და უხალისო, — ადრე მსგავსი არა დამართვია რა. კი არაფერს ელოდა. უცებ მოეჩვენა, ახლა რაღაც უჩვეულოს მოწმე გავხდებიო. ყველა გრძნობა გაუმახვილდა, როგორც არასდროს და ორიოდე უცნობი, ახალი გრძნობა დაებადა. თითქო ძველთა გასალვივებლად. თვალის ჩინი, ყურთასმენა, განცდა გაუათასკეცდა. მაგრამ არაფერიც არ მოხდა. მხოლოდ ზაფხულის დღე გათენდა ერთი, მხოლოდ ტოროლები გალობდნენ მიუწვდომელ შორეთში, მხოლოდ მზის თაკარა სხივი იჭრებოდა დარაბების ჰუჰრუტანაში ძალუმ და ავეჯის კონტურებზე გამობმული ფართო ჩრდილები ეწროვდებოდა თანდათან და საათი წიკწიკით შეიმართა. ექვსჯერ დასარეკად და სუნთქავდა კაცი. კუთხეში, ღუმელის გვერდით ჩარიგებულ ბავშვებს ამჩნევდა დედა, თუმცა ეშორებოდა. სხვა ოჯახში ეგულვოდა. არ მოხდა არაფერი. მაინც ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს რაღაცას შესწრებოდეს დაუცაბაძოს. საათმა ცარეკა და დებორას შვება მოჰგვარა. მენდელ ჩიხგელს გაეღვიძა. ლოგინზე წამოიმართა და გაოცებული დააშტერდა თავის ცოლს.

— რატომ არ წევხარ? — შეეკითხა და თვალები მოიფშვნიტა. ჩაახველა და გადააფურთხა. მის სიტყვებსა და საქციელში არაფერით გამჟღავნებულა წინანდელი გახელა მარცხენა თვალისა და მისი მზერა თავისთავადი. იქნებ მენდელს გადაავიწყდა. ვაითუ დებორას მოეჩვენა

იმ დღიდან მოკიდებული დაცხრა ვნება მენდელ ზინგერსა და მის ცოლს შორის. ისინი წვებოდნენ როგორც ერთი სქესის ადამიანები. მთელი ღამე ეძინათ და იღვიძებდნენ დილით. რცხვენოდათ ერთმანეთისა და დუმდნენ. ერთ ჭორწინების პირველ დღეებში. სირცხვილით დაიწყო მათი ურთიერთლტოლვა და სირცხვილითვე დასრულდა იგი.

შემდეგ სირცხვილიც გადალახეს, კვლავ საუბრობდნენ, ალაპარაკებდნენ თვალს ერთმანეთს, სახე და სხეული თანაბარ რიტმით უბერდებოდათ, როგორც სახე და სხეული ტყუპებისა. ზანტად მიიზლაზნებოდა ის ზაფხული, სუნთქვაგაძნელებული და წვიმას დანატრული. კარ-ფანჯარა არ იხურებოდა. ბავშვები იშვიათად თუ მიაკითხავდნენ სახლს. გარეთ სწრაფად იზრდებოდნენ ისინი, მზით დამუხტულნი.

მენუხიმიც კი გაიზარდა. ფეხები დაბრეცილი დარჩა. მაგრამ აშკარად დაუგრძელდა. სხეულიც გაეჭიმა. უცბად, ერთ დილას ბიჭს ჯერ არგაგონილი ხაფი ღრიალი აღმოხდა. მერე იყუჩა. მცირე ხნის შემდეგ მან ნათლად, მკაფიოდ წარმოთქვა:

— დედა!

დებორა მიეჭრა და დიდი ხნის დაშრეტილ თვალთაგან წასკდა ცრემლი, ცხელი, მსხვილი, მარილიანი, მტკივნეული და ტკბილი ცრემლი.

— მითხარი: დედა!

— დედა! — გაიმეორა პატარამ. ათიოდეჯერ გაიმეორა ეს სიტყვა ბიჭმა, ასჯერ გაიმეორა იგი დებორამ. ამაოდ არ დაურჩა ვედრება. ალაპარაკდა მენუხიმი. და ეს ერთი სიტყვა მახინჯშობილისა ამაღლებული იყო ვით აღმრცვლებითა გამოცხადება, ძლიერი, ვით მეხთატეხა, თბილი ვით სიყვარული, გულმოწყალე, ვით ზეცა, ფართო, ვით დედამიწა, ნაყოფიერი, ვით ყანა, ტკბილი, ვით ნუგბარი ნაყოფი. სიტყვა მეტს მოასწავებდა, ვიდრე ჯანმრთელ შვილთა ტანის სიმრთელე. ეს ერთი სიტყვა, იმ საშინელი დუმილის შემდეგ წარმოთქმული, დიდბანს ნიშნავდა ჭამასა და სმას, ძილსა და სიყვარულს, სიხარულსა და ტკივილს, ცასა და მიწას. სულ ამ სიტყვას ამბობდა ყოველ ვითარებაში. მაგრამ დედამისს, დებორას ბიჭი ქადაგივით მჭევრმეტყველი ეჩვენებოდა და პოეტივით სიტყვამრავალი. ქალს ამ სიტყვაში შეფარული ყველა სხვა სიტყვა ესმოდა. უფროს შვილებს უგულებელყოფდა, მათ ჩამოშორდა, ერთადერთი ვაჟიშვილი მყავსო, მენუხიმი.

3

ლოცვა-კურთხევა უფრო გვიან ახდება ხოლმე, ვიდრეღა წყევლა. ათმა წელიწადმა განვლო, რაც მენუხიმმა თავისი პირველი და ერთადერთი სიტყვა წარმოთქვა. სხვას ჯერ ვერაფერს ამბობდა.

ხანდახან, თავის ავადმყოფ ვაჟიშვილთან სახლში მარტოდ დარჩენილი, დებორა რაზას ჩაკეტავდა. მენუხიმის გვერდით დაჯდებოდა სოხანეზე და გაშტერებული უცქერდა პატარას სახეში. ზაფხულის იმ უამურ დღეს გაიხსენებდა. როცა გრაფის ქალი მობრძანდა ეტლით ეკლესიაში. დებორა ხედავს ღია პორტალს ეკლესიისა. ათასი სანთლის ოქროსფერი იალკიალი, შარავანდმოსილი ხატები, იქითკენ, შორს, საკურთხეველთან სამი შავთმიანი სამღვდელო პირის თეთრ ხელთა ქნევა საცნაურ ხდებოდა მკრთალი მზით განათებულ, ნტვრიან მოედანზე. დებორა მესამე თვეშია, მენუხიმი ფართხალებს მის წია-

ლში. პატარა, კნაჭა მირიამის ხელი მაგრადა აქვს ჩაჭიდებული ხელში. უეცრად ატყდა ღრიანცელი. მან გადაფარა მლოცველთა გალობა ეკლესიაში. გაისმა ცხენთა ფლოქვების მუხუნ თქარათქური. მტვრის ლორიანტელში ჩანდა გრაფის ქალის მუქლურჯი ეკიპაჟი ეკლესიის წინ. გლეხის ბავშვები ყიყინებენ. კიბეზე მყოფი მათხოვრები ხანხალით მოეახლნენ ეტლს. გრაფის ქალისათვის რომ ხელზე ეკოცნათ. უეცრად მირიამი გასხლტა და თვალი დაეტაცა ბაბანაქებაში ჩაუჩიჩარდა. დებორა აკანკალდა, სიკვდილმ აიტანა იმ ბაბანაქებაში. სად არის მირიამი? სათითოდ ეკითხება გლეხის ბავშვებს, გრაფის ქალი გადმობრძანდა ეტლიდან. დებორა სულ ახლოს მივიდა ეტლთან. მაღალ კოფოზე დასკუპული შეეტლე, მუქლურჯ ლივრეაზე ვერცხლისფერი ღილები რომ უბრწყინავს, ყველაფერს ხედავს გარშემო.

— ხომ არ დაგიხიავთ პატარა, შავტუხა გოგო? — თავი ზეასწია და შეეკითხა დებორა; თვალი მოეჭრა მზის და ლივრეის ბრწყინვალეებით. მეეტლემ ეკლესიისაკენ გაიშვირა თეთრთითმანიანი მარცხენა. იქით გაქცეულა მირიამი. წამით ჩაფიქრდა დებორა და შემდეგ შეიჭრა ეკლესიაში, იმ ოქროსფერი იალქიალის წიაღ, გალობის გუგუნსა და ორღანის გრიალში. მირიამი შესასვლელში ატუზულა. დებორამ ხელი ჩასჭიდა ბავშვს, მოედნისკენ წამოათრია. ცხელი, ეთრად გაეარვარებული საფეხურები ჩამოირბინა, თითქოს ხანძარს გაურბისო. ბავშვის გატყეპა დაეპირა, მაგრამ შეშინდა.

ასე ირბინა ბავშვთან ერთად ერთ შუაამდე. ცოტა რომ დაშოშმინდა, ამოიხავლა:

— მამასთან არაფერი წამოგცდეს, გესმის, მირიამ?

იმ დღიდან მოკიდებული დებორამ იცის, რომ უბედურება ემუქრება. უბედურებას დაატარებს თავის წიაღში. იცის ქალმა და დუმს. კარზე ვილაცა აკაკუნებს, დებორამ გაახსნა რიზა; მენდელია.

ნაადრევად გაუჭალარავდა წვერი ქმარს. დებორასაც ნაადრევად დაუჭკნა ახე, სხეული და ხელები. მათი უფროსი ვაჟიშვილი, იონა, დათვივით ძლიერია და დინჯი, მომდევნო, ზებარიაპი — მელასავით ეშმაკი და ცქაფი, ქურციკივით ლხტაა და უდარდელი. მათი დაი, მირიამი. სამეზობლოდ გაგზავნილი კნაჭა ლოგო ბაკმიანი ლანდივით დაეჭრიალებდა შუკებში. ნიკაპთან გასკვნილი ოქროსფერი თავშლის ბოლოები უფრიალებდა, მსხვილი, წითელი ტუჩები უმშვენებდა შავგვრემან სახეს, ადრე დაბერებულთვალებიან ქორფა სახეს. ასე მოეგლინებოდა ხოლმე გოგონა გარნიზონის ოფიცერთა მზერას და ასეთივე რჩებოდა ამ უდარდელი და მსუნაგი ხალხის გულში. ზოგიერთი აედევნებოდა ხოლმე ჩანდახან. მდევართაგან იმასლა არჩევდა, გრძნობათა გარე კარიბჭენი რასაც ამცნობდნენ: დეზებისა და ხმლის კრიალა ელარა-ელუს და საპარსი საპნის ნელსურნელებას, მოოქროვილ ღილთა მკვეთრ კაშკაშს, ვერცხლისფერ ალშიებს და იუტის მეწამულ ქამრებს. ეს ცოტა იყო, მაგრამ საკმარისი. მირიამის გრძნობათა გარე კარიბჭეთ მიღმა ცნობისმოყვარეობა ჩასაფრებულიყო, ახალგაზრდობის სწოროფერი, მაცნე წადილისა: გაურბოდა გოგო მდევრებს ფიცხელი, სიტკბონარევი შიშით დევნილი. შემოვლითი გზებით გარბოდა. კვლავ რომ ერბინა, საჭიროზე უფრო ხშირად გამოდიოდა მირიამი სახლიდან. გზაჯვარედინზე შეჩერდებოდა და უკან მოიხედავდა ხოლმე, მდევართა ყურადღების მისაპყრობად. ეს იყო და ეს მირიამის თავის შეკცევა. კიდეც რომ ვინმე გამოჩენილიყო და მისი გაეგო, გოგის ბაგენი დახშულნი დარჩებოდნენ მაინც, რადგან სიამის განცდა მანამ უფრო ძლიერია, ვიდრე იგი დაფარულია.

ჯერ არ იცოდა მირიამმა, რა სახიფათო იქნებოდა სამხედრო პირთა უცხო, საშინელ სამყაროსთან ურთიერთობა და რაოდენ განსაცდელს დაატეხდა თავს ბედი მენდელ ზინგერს, მის ცოლსა და შვილებს. იონა და შემარიაკი, ავად, იმ ასაკისანი იყვნენ, როცა კანონის თანახმად ჯარში უნდა წასულიყვნენ, ხოლო მამა-პაპის ადათისამებრ თავი უნდა დაეძვრინათ სამხედრო სამსახურისაგან. სხვა ყმაწვილებს მოწყალე ღმერთმა ადრევე უბოძა ფიზიკური ხელი, მათ-ობ ნაკლებად აწუხებდა და ბოროტისაგან კი იცავდა. ზოგი ცალთვალა იყო, ზოგი — კოჭლი, მავანს საზარდულის თიაქარი სჭირდა, სხვას კი უმიზეზოდ ეკრუნჩხებოდა ხელ-ფეხი, ერთს ფილტვები ჰქონდა სუსტი, მეორეს — გული. მესამეს ყურთასმენა აკლდა, ვიეთნი ენას უკიდებდნენ, დანარჩენები საერთო სისუსტეს უჩიოდნენ. მენდელ ზინგერის ოჯახში კი თითქოს საცოდავმა პატარა მენუხიმმა იკისრა ადამიანურ სატანჯველთა მთელი სიმრავლე, რასაც კეთილი ბუნება ალბათ თავისუფლად აკმარებდა ყველა საბლეულს. მენდელის უფროსი ვაჟიშვილები ჯანმრთელნი იყვნენ, მათ ვერაფერი სატკივარი უბოვეს და დაიწყო მათი წვალება — მარხულობდნენ და ყავას სვამდნენ იმის იმედით, იქნებ გულის სისუსტე დაგვჩემდესო დროებითი, მერე რა რომ ომი იაპონიასთან უკვე დამთავრებული იყო.

ასე დაიწყო მათი სატანჯველი. არცა ჭამდნენ, აღარც იძინებდნენ, დღედაღამ დალასლასებდნენ აკანკალებულნი და მისუსტებულნი, თვალები დაუწითლდათ და დაუსივდათ, კისრები დაუწვრილდათ, თავები დაუმძიმდათ. დებორას ისევ გაეღვიძა მათი სიყვარული. ქალი ერთხელ კიდევ მიეახლა სასაფლაოს. ამჯერად იგი ლოცულობდა, რომ იონა და შემარიაკი ავად გამხდარიყვნენ, ისე, როგორც მენუხიმის მორჩენას შესთხოვდა ადრე წინაპრებს. მის შეჭირვებულ თვალთახედვას ჯარი წარმოუდგებოდა ვით მიუდგომელი კლდე, სიპ-ყინულის ჯოჯობეთი. ცხედრებს ხედავდა, აურაცხელ ცხედარს. ზემოთ მეფე იჯდა სხივმოსილი, დეზებიანი წაღები წითლად ჰქონდა მოსვრილი სისხლში, იჯდა და ელოდა, რომ ზვარაკად მიართმევდნენ მის ვაჟიშვილებს. ბიჭები მანევრებზე გაიწვიეს და ესეც ეყო დარდად დედას, მოსალოდნელ ომზე ფიქრიც კი არ უნდოდა. ქმარს უწყრებოდა. რას წარმოადგენდა მენდელ ზინგერი? მასწავლებელი იყო, რეგვენი მასწავლებელი რეგვენი მოსწავლეებისა. დებორა ქალიშვილობაში სხვაგვარ იმედებს ელოლიავებოდა, თუმცა არც მენდელ ზინგერი დარდობდა ცოლზე ნაკლებად. შაბათობით, როდესაც სინაგოგაში კანონით დაწესებულ ლოცვას აღავლენდნენ მეფის სადღეგრძელოდ, მენდელს აეკვიატებოდა თავისი ვაჟების ხვალინდელ დღეზე ფიქრი. წარმოიდგენდა ახალწვეულთ ტილოს ტანსაცმელში გამოწყობილებს; ისინი ლორის ხორცს შეექცეოდნენ, ოფიცრები მათრახით სცემდნენ ბიჭებს. ხელში ხიშტიანი თოფები ეჭირათ, საკმაოდ ხშირად. შუა ლოცვაში, შუა გაკვეთილზე, შუა ფიქრში ამოიოხრებდა ხოლმე უცებ. ავადმყოფი ბიჭის ამბავი არავის არასდროს უკითხავს, ჯანმრთელ ვაჟებს კი ყველა კითხულობდა.

ოცდაექვს მარტს, როგორც იქნა, ორთავენი გაემგზავრნენ ქალაქ ტარგის. ორივემ ამოიღო კენჭი. ორივე გაიწვიეს.

მათ ნება დართეს, ისევ სახლში გაეტარებინათ ერთი ზაფხული. შემოდგომაზე უნდა დაეწყოთ სამსახური. ოთხშაბათ დღეს გახდნენ ჯარისკაცები, კვირას სახლისკენ გამოსწიეს.

სახლისკენ გასწიეს მთავრობის ნაბოძები უფასო ბილეთებით. მეფის ხარჯზე მოგზაურობდნენ უკვე. ბევრი თანატოლი მოეყვებოდათ თან. მატარებელი

მყოვარი სიჩქარის იყო. მაგარ ვაგონში გლეხები დაემგზავრნენ. მთვრალმა გლეხებმა სიმღერა შემოსძახეს. ყველა ეწეოდა შავ თუთუნს, რომლის ბოლშიაც ოფლის სუნი იყო შერეული თითქოს. ყვებოდნენ მთისა და ბარისას. იონა და შემარიაჰი წამითაც არ შორდებოდნენ ერთმანეთს. ისინი პირველად მგზავრობდნენ მატარებლით, ორივეს სურდა მცირე ხანს ფანჯრასთან ჯდომა და ლანდშაფტის თვალიერება, ამიტომ ხშირ-ხშირად უცვლიდნენ ერთმანეთს ადგილს. საშინლად დიდი მოეჩვენა სამყარო შემარიაჰს, იონას თვალში კი ბრტყელი იყო იგი და მოსაწყენი. მატარებელი ისე მისრიალებდა დაბლობზე, როგორც მარხილი თოვლზე. ყანები მოჩანდა ფანჯრებში. ჭრელკაბიანი გლეხის ქალები ხელს უქნევდნენ. თუ ქალთა ჯგუფი გამოკრთებოდა, ვაგონში გაისმოდა გლეხების ხაფი შეძახილი. ორი შავტუხა ებრაელი ბიჭი კი გაკრძალული იჯდა მათ შორის. სევდიანი, კუთხეში მიყუჟულიყვნენ მთვრალების ჟრიამულით გაბეზრებული.

— ნეტავი გლეხი ვიყო, — თქვა იონამ.

— მე კი არ მინდა, — უპასუხა შემარიაჰმა.

— ნეტავი გლეხი ვიყო, — გაიმეორა იონამ. — დავთვრებოდი და აიმ გოგოსთან დავწვებოდი.

— მე კი რაცა ვარ, ის მინდა ვიყო, — თქვა შემარიაჰმა, — ებრაელი, როგორც მამაჩემი. ჯარისკაცობა არ მინდა და არც სასმელი.

— ცოტა არ იყოს, მიხარია, რომ ჯარში მივდივარ, — თქვა იონამ.

— შენ აისრულებ საწადელს! მე კი მსურს მდიდარი კაცი გავხდე და ცხოვრება ვნახო.

— რა არის ცხოვრება?

— ცხოვრებას დიდ ქალაქში გაიცნობ. ქუჩებში ტრანსპორტი მიმოდის, მაღაზიები იმხელაა, სწორედ ჩვენი ქანდარმერიის ყაზარმის ხელა, ხოლო ფანჯრები კიდევ უფრო მეტი. მე ღია ბარათები მინახავს. კარები არცა სჭირდება კაცს მაღაზიაში შესასვლელად, ვიტრინები სულ დაბლამდე სწვდება, მიწამდე.

— ჰეი, რატომა ხართ მოწყენილი? — გაეხმიანა მათ ერთი გლეხი მილმა კუთხიდან.

იონამ და შემარიაჰმა ვითომ ვერ გაიგონეს, თითქოს მათთვის არც ვის მიემართოს შეკითხვით. სისხლში ჰქონდათ გამჯდარი: უნდა წაიყრუო, როცა გლეხი რაიმეს გეკითხება. ათასი წლის მანძილზე ხეირიანი არაფერი გამოსულა გლეხკაცისა და ებრაელის ამგვარი კითხვა-პასუხიდან.

— ჰეი! — დაიძახა გლეხმა და წამოდგა.

იონა და შემარიაჰიც მაშინვე წამოდგნენ.

— დიახ, თქვენ გეუბნებით, ებრაელებო, — უთხრა გლეხმა. — დალიეთ უკვე?

— უკვე დავლიეთ, — მიუგო შემარიაჰმა.

— მე არა! — თქვა იონამ.

გლეხმა ქურთუკი შეიხსნა და უბიდან ბოთლი ამოიღო, ბოთლი თბილი იყო და გალიპული და უფრო გლეხის სუნი ასდიოდა, ვიდრე სასმელისა. იონა ტუჩებით დაეწაფა ბოთლს, მსხვილი, მუქწითელი ბაგე გაიპო და ყავისფერი ბოთლის ყელის ირგვლივ გამოჩნდა ბარაქიანი, თეთრი კბილები: სვამდა და სვამდა იონა. ვერც კი იგრძნო ძმის ხელის წყნარი, გამაფოთხილებელი შეხება სახელოზე. ბოთლი ორივე ხელით ეჭირა, როგორც გოლიათ ძუძუმწოვარს. შემართულ იდაყვზე გახეხილი, თეთრი ქსოვილიდან თეთრად მოჩანდა პერანგი. ხორ-

ხი რიტმულად. მანქანის დგუშივით აუდ-ჩაუდიოდა. სასიდან ისმოდა დაგუდული, წყნარი გურგური. ყველა გაფაციცებით ადევნებდა თვალს, როგორ სვამდ: ებრაელი.

ბოთლი დაცალა იონამ და კიდეც გაუვარდა ხელიდან და მის ძმას, შემარიაჰს ჩაუვარდა კალთაში; თვითონაც ჩაიკეცა, თითქოს ბოთლის კვალს მიჰ- ყვა. გლეხმა ხელი გაიწოდა და ფსიტყვიდ მოსთხოვა შემარიაჰს. მიბრუნეო. შემდეგ კი ჩექმით მიესიყვარულა მძინარე იონას ფართო ბეჭებს.

ამასობაში პოდვორსკს ჩააღწიეს. აქ მატარებლიდან უნდა ჩამოსულიყვნენ. იურკიმდე შვიდი ვერსი ფეხით უნდა გაევლოთ ძმებს, თუ ვინმე სამადლოდ დროგზე არ დაისვამდა. ტანმძიმე იონა ძლივს წამოაყენეს მგზავრებმა მატარებლიდან გარეთ რომ გამოვიდა, ბიჭი გამოფხიზლდა.

გაუდგნენ გზას. ღამე იყო. მთვარე რძისფერ ღრუბლებში შემალულიყო. თოვლით დაფარულ მინდვრებს აქა-იქ მრუმედ, კრატერის ყელივით დასჩენოდა ტეხილკონტურიანი მიწის ლაქები. გაზაფხული თითქოს ტყიდან მობრძანდებოდა ნიავის ფრთებით. იონა და შემარიაჰი სწრაფად მიდიოდნენ ვიწრო გზაზე. ესმოდათ ყინულის თხელი, ფაშარი საფარის წყნარი ჭრაჭუნი ჩექმებქვეშ. თეთრი, მომრგვალო ფუთები ჯოხებზე წამოეცვათ და მხარზე გადაედოთ. ბარე ორჯერ შეეცადა შემარიაჰი ძმასთან საუბრის წამოწყებას. იონა არ პასუხობდა. ბიჭმა დაირცხვინა, რაკი დალია და ძირს დავარდა როგორც გლეხი. იმ ადგილას, საცა ბილიკი იმდენად ვიწროვდებოდა, რომ ორივე ძმა გვერდიგვერდ ველარ გაივლიდა, იონა წინ გაუშვებდა ხოლმე უმცროსს, ხოლო სადაც გზა ისევ ფართოვდებოდა, იგი ნაბიჯს შეანელებდა, აბა ერთი, თუ დამიცდისო. მაგრამ უმცროსს თითქოს ეშინოდა, უფროსი არ დამეკარგოსო. რაკი ნახა, რომ იონას შეეძლო დამთვრალიყო, მისი ნდობა დაკარგა. დაეჭვდა უფროსი ძმის გონიერებაში და პასუხისმგებლობა იგრძნო მის მიმართ.; იონა მიხვდა, რას განიცდიდა ძმა. უგუნური, უსაზმნო სიბრაზე შემოენთო გულზე. სასაცილოა შემარიაჰი, ფიქრობდა იონა. ლანდივით გაწვრილებულა, იმ ჯოხსაც ვერ ერევა, ხან ერთ მხარეზე გადაიდებს ხან მეორეზე. ლამის ტალახში ჩააგდოს თავისი ფუთა. წარმოიდგინა როგორ მოწყდა ფუთა კრიალა ჯოხს. შავ ტალახში მოიღო ტყაპანი. და ბმამაღლა გაეცინა.

— რას იცინი? — ჰკითხა შემარიაჰმა.

— შენზე მეცინება. — მიუგო იონამ.

— დასაცინი თვითონა ხარ, — უთხრა შემარიაჰმა.

ისევ დადუმდნენ. შავად მოიზლაზნებოდა ნაძვნარი მათ შესახვედრად. თითქოს ბიჭები კი არ დაჩუმდნენ, არამედ ტყემ იყუჩა. დროდადრო საიდანღაც მოვარდებოდა ქარი მიუსაფარი. ტირიფის ბუჩქი შეტოკდებოდა ძილნასვამი, ხისტად ტკაცუნობდნენ ხეთა ტოტები. ცაზე ბაცი ღრუბლები მიცოცავდნენ.

— ხომ ჯარისკაცები ვართ! — უეცრად თქვა შემარიაჰმა.

— ასეა სწორედ, — უთხრა იონამ, — თორემ რანი ვიყავით აქამდე? ხელობა არ გაგვაჩნია. მამასავით მასწავლებელი ენდა ვიყოთ?

— ჯარისკაცობას კი ჯობია! — თქვა შემარიაჰმა. — მე შევძლებდი ვაჭარი გავმხდარიყავ და ქვეყანა მენახა!

— ჯარისკაცებიც ხომ თავისებური ქვეყანაა. — მე არ მინდა ვიყო ვაჭარი, — განაცხადა იონამ.

— შენ მთვრალი ხარ!

— მე ისევე ფხიზელი ვარ, როგორც შენ. მე შემიძლია დავლიო და არ

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

დავთვრე. მე შემიძლია ჯარისკაცი ვიყო და ქვეყანა ვნახო. მინდა გლეხი ვიყო, ამას მე გეუბნები. მე, ფეხიზელი...

შემარიაჰმა მხრები აიჩეჩა. ბიჭები გზას განაგრძობდნენ. გამთენიისას შორეული ეზობიდან მამლის ყივილი მოესმათ.

— ალბათ იურკის კუთხლოვდებით, — თქვა შემარიაჰმა.

— არა, ბიტოკს! — მიუგო იონამ.

— თუ გინდა ბიტოკი იყოს! — თქვა შემარიაჰმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქვე, მოსახვევში ფორანმა ჩაიარა რახრახით. დილა ფერმკრთალი იყო წუხანდელ ღამესავით. მზეს მთვარისაგან ვერ გაარჩევდით. წამოთოვა. ფაფუკი, თბილი ფიფქები მოდიოდა. ყვავები მიმოფრენდნენ და ყრანტალებდნენ.

— შეხე, ჩიტები! — თქვა შემარიაჰმა, უფრო იმიტომ, რომ ძმა შემოერიგებინა.

— ყვავები არიან! — თქვა იონამ და გამოაჯავრა: — ჩიტები!

— ასე იყოს! — უთხრა შემარიაჰმა. — ყვავები!

მართლა ბიტოკში იმყოფებოდნენ. კიდევ ერთი საათი და სახლსაც მიაღწევდნენ.

რაც უფრო მიელავრობდა დღე, მით უფრო უხვად ბარდნიდა. ფაფუკი ფიფქები რიალებდნენ, თითქოს ამომავალ მზეს ამოსდევდნენ თან. რამდენიმე წუთში მიწა თეთრად გადაიპენტა. თეთრად, სულ თეთრად შეიმოსნენ გზისპირა ეული ტირიფებიცა და მინდვრებში მიმობნეული არყნარებიც. შავად მოჩანდა მხოლოდ გზად მიმავალი ორი ებრაელი. ისინიც თოვლში იყვნენ ამოგანგლული, ოღონდ მათ ზურგზე თოვლი თითქოს უფრო მალე ლღვებოდა. შავი, გრძელი სერთუკები ფრიალებდა, მათი კალთები მკვეთრად, რიტმულად ტყლაშუნობდა ტყავის მაღალყელიან ჩექმებზე. თოვა გახშირდა და ბიჭებმა ნაბიჯს მოუმატეს. გზად გლეხები შემოეყარნენ ტაატით, მუხლჩაუკრეფლად მომავალნი, თეთრად გადაპენტილები, განიერ, ჯირკივით მხარბეჭზე დაფენილი თოვლი არად უჩნდათ. გაეთავისებინათ და მოაბიჯებდნენ თოვლში, საკუთარ სტიქიაში. დროდადრო შეჩერდებოდნენ ხოლმე და ორ შავგვრემან კაცს უცხო ხილვით ათვალიერებდნენ, თუმცა ებრაელების დანახვა უცხო არ იყო მათთვის. ქანცგაწყვეტილი ბიჭები გარიჟრაჟზე მილასლასდნენ შინ. შორიდან მისწვდა მათ ყურს მოსწავლეთა გალობა, დედის ხმასა და მამის სიტყვებთან შერეული და იმ გალობას თითქოს შენივთოდა ყოველი სიკეთე, დაბადებიდან რაც ენახათ, გაეგონათ და ეგრძნოთ: იგი მოიცავდა ცხელი, ნუგბარი კერძების სურნელს, მამის ჭალარაშერეული წვერ-ულვაშის ბზინვას, ექოს დედის გოდებისა და მენუხიმის სლუკუნს, ჩურჩულს სალამო ხანს ლოცვად დამდგარი მენდელ ზინგერისა, უთვალავ ამბავს, უჩინარსა თუ საჩინოს. ორივე ძმის გულში მელოდიამ ერთნაირი გამოძახილი ჰპოვა, თოვლში გახმიანებული ექო, თოვლიან ზეზით მამისეულ სახლს მიტანებული ბიჭების გულის გამოძახილი. ერთნაირ რიტმით ფეთქავდა მათი გულები. მათ წინ კარი მკვეთრად გაიღო — დედას უკვე კარგა ხანია შეენიშნა მომავალნი.

— მივყევართ! — დასცდა იონას სალმის მაგიერ.

ოთახში, საცა წამის წინ ბავშვების ხმები გაისმოდა, საშინელი სიჩუმე ჩამოვარდა უცებ. უკიდეგანო სიჩუმე, ბევრად უფრო აღმატებული თვით დადუმებულ ოთახზე. იონას ნათქვამ — მივყევართ — სიტყვით წარმოქმნილი სიჩუმე. სათქმელი შუაზე გაუწყდათ ბავშვებს. მენდელი ოთახში ბოლთას სცემდა და შეჩერდა. ზევით აიხედა, ხელები ასწია და ისევ დაუშვა. დედიკო დებორამ

ორთაგან ერთ-ერთ ტაბურეტზე ჩაიკეცა, მუდამ ღუმელთან რომ იდგნენ და თითქოს სულ ელოდნენ, რომ გულშეწუხებული დედა მოიკალათებდა ზედ. ქალიშვილი, მირიამი, ხელის ფათურით უკან-უკან წავიდა კუთხემდე, გული ისე მაგრად უცემდა, ეგონა ყველას ესმიოთ. მოწაფეები მიჯაჭვულებივით ისხდნენ. მათი ჭრელწინდებიანი ფეხები, გამუდმებით მოქანავენი, ახლა უმოძრაოდ ეკიდა მაგიდის ქვეშ. გარეთ გაბუწყვეტლივ თოვდა და თეთრი, ფაფუკი ფანტელები ფანჯრიდან მიმკრთალ ნათელს ფენდა ოთახსა და დადუმებულ ადამიანებს. კანტიკუნტად გაისმოდა ჩანავლებული შეშის ტკაცუნი ღუმელში და კარს მოჭრილი ქარით გამოწვეული წყნარი ჭრიალი წირთხლებისა. მხარზე ჯოხგადადებული, ჯოხზე ჩამოცმული თეთრი ფუთებით იდგნენ კარწინ ძმები, უბედურების მოციქულები, ვაის შვილები. უეცრად დებორამ იყვირა:

— მენდელ, წადი, გაიქე, რჩევა ჰკითხე ვინმეს!

მენდელმა წვერზე წაივლო ხელი, სიჩუმე დაირღვა, ისევ ატოკდა მოწაფეთა ფეხები, ძმებმა თავიანთი ფუთები და ჯოხები მოიშორეს და მაგიდას მიუახლოვდნენ.

— რა სისულელეებს ჩმახავ? სად წავიდე, ვის ვკითხო რჩევა? ვინ დაეხმარება უპოვარ მასწავლებელს, ან რით უნდა დამეხმაროს, რა დახმარებას მოელი, კაცთაგან, როცა ღმერთმა დაგვსაჯა? — უთხრა მენდელმა ცოლს.

დებორამ ალარ უპასუხა, ცოტა ხანს გაბუსული იჯდა ტაბურეტზე. შემდეგ წამოიმართა, ქმარს წიხლი ააზილა, როგორც ძაღლს, ისე, რომ კაცმა ბრახვანი მოიღო ძირს; თავის ყავისფერ თავსაფარს სტაცა ხელი, მატყლის გორასავით რომ აბურცულიყო იატაკზე, თავსა და ყელზე შემოიხვია, ფოჩები მოზრდილ მარყუჟად გასკვნა კეფაზე. ხელი გააფთრებულმა მოიქნია, თითქოს თავის დახრჩობას აპირებსო. სახეზე ალმური აუვიდა, შედგა, მდუღარე წყლით სავსე ჭურჭელივით აშიშინდა და უეცრად გადმოაფურთხა. თეთრი ფურთხი მოწამლულ ტყვიასავით სტყორცნა მენდელს ფეხებში. ესეც არ აკმარა, ზიზღიანი ზმუილი მიაყოლა. ფუის — მაგვარი, გაუგებარი. ვიდრე გაოცებულნი აზრზე მოვიდოდნენ, კარს ეცა და გამოაღო. მოიჭრა ქარი ონავარი, თეთრი ფიფქები შემოაფრქვია ოთახში, სახეში დაეტაკა მენდელ ზინგერს და ბავშვების მოქანავე ფეხები შეაჩერა. მერე კარი ისევ მოიჯახუნეს. დებორა გაქრა.

უსაზმნოდ მიექანებოდა შუა შუკაში ქალი, მუქ-მრეში გოლიათი, თეთრ თოვლზე გარბოდა, ვიდრე ზღართანი არ მოიღო ძირს. ტანსაცმელში გაიხლართა, ჩაიკეცა, გასაოცარი სიმკვირცხლით წამოხტა და გაიქცა ისევ, ჯერ არ იცოდა საით, გუმანს მიჰყავდა სადღაც. ფეხები თავად მიელტვოდნენ რაღაცას, რაიც ჯერ თავმა არ უწყოდა. დაისმა ფიფქებს გამოაღწია, პირველმა სანთლებმა გაიკიაფეს ყვითლად, დარაბების დასაკეტად სახლიდან გამოსულმა ორიოდ კაცმა თავი მოაბრუნა დებორასაკენ და თუმცა სციოდათ, დადგნენ და ცქერა დაუწყეს. დებორა სასაფლაოსკენ გარბოდა. რაგვს მიატანა და ისევ წაიქცა. წამოიმართა, ჭიშკარი ვერ შეაღო, თოვლს ჩაეყინა. დებორა ზურგით დაეტაკა და შეგლიჯა. ქარი დაჰკიოდა საფლავებს. დღეს მკვდრები წინანდელზე უფრო მკვდარი მოეჩვენა ქალს. დასისიდან ხელდახელ ამოიზარდა კუნაპეტი, მრუმე ღამე, თოვლის ნათელდაფენილი. ერთ-ერთი პირველი საფლავის წინ დაემხო დებორა გათოშილი მჯილებით თოვლი მოაცალა ქვას, თითქოს მისი ხმა უფრო ადვილად მისწვდებოდა მკვდარს, თუ თოვლის ფენას მოაშორებდა, მის ლოცვას რომ განამხოლოებდა ნეტარის ყურისაგან. ხაფი ღრიალი ალმობდა დებორას უცებ, ადამიანის გულჩადგმული ბუკის ხმის მაგვარი. მთელ ქალაქში

დაირხა ეს ხმა. მაგრამ უცბადვე მიწყდა, რადგან ჩამოვარდნილ სიჩუმეს ალარავინ უგდებდა ყურს. დროდადრო გმინავდა დებორა, დედის წყნარ ქვითინს, მხოლოდღა მკვდართა გასაგონს, ღამე შთანთქავდა და მარხავდა თოვლი.

4

მენდელ ზინგერის კლუჩიცკელი ნათესავების მეზობლად ცხოვრობდა ვინმე კაპტურაკი, გაურკვეველი ასაკის კაცი, უთვისტომო, უმეგობრო, სანთიანი, საქმიანი, ხელისუფლებასთან დაახლოებული. დებორას ეწადა დასახმარებლად მიემართა მისთვის. იმ სამოცდაათი მანეთიდან, რასაც კაპტურაკი წინასწარვე მოითხოვდა, ქალს ძლივს შეეკოწიწებინა ოცდახუთიოდე, გაჭირვების ხანგრძლივი წლების განმავლობაში მალულად გადანახული, ტყავის მაგარ ჭისაში ჩაკერული, მხოლოდ მისთვის ცნობილ ადგილას—იატაკის ერთ ფიცარქვეშ ამოფარებული. ყოველ პარასკევს, იატაკის რეცხვისას, ფრთხილად ასწევდა ხოლმე იმ ფიცარს, დედის იმედიან გულს მოსაქუჩებელი ორმოცდახუთი მანეთი უფრო მცირე ეჩვენებოდა. ვიდრე თავისი ნაღდი თანხა, რომელსაც ზედ ამატებდა წლებს, როცა ფულს აგროვებდა, ყოველი კაპიკის დაზოგვისას გადატანილ გაჭირვებას და გამოუთქმელ სიამეს, დათვლის დროს განცდილს.

ამაოდ ცდილობდა მენდელ ზინგერი ცოლისათვის შეეგონებინა, კაპტურაკს ვერ მიუდგები ,გულქვა კაციაო, აუვსებელი საწყაული.

— რას აპირებ, დებორა, — ეუბნებოდა მენდელ ზინგერი, — უძლურნი არიან დარიბები, ღმერთი თვალ-მარგალიტს არ უბნევს ზეციდან, ლატარიაშიც ვერაფერს იგებენ, მორჩილად უნდა ზიდონ ჭაპანი თვისი. ერთს აძლევს უფალი და მეორეს ართმევს. ვერ გამიგია, რატომ მოგვივლინა სასჯელი — მენუხიმის ავადმყოფობა არ მაკმარა და, ახლა კიდევ ჯანმრთელი ბიჭები მიჰყავთ ჯარში. ბედკრულია ღარიბი კაცი, თუ შესცოდებს, ბეჩავია, თუ დასნეულდა. დათმენა გვმართებს! გაუშვი ბიჭები ჯარში, რა უჭირს !ზენაარის განგებას ვერ გადაუხვევ. საღმრთო წერილი გვასწავლის:

„რომელმან შეძრის ქუეშე საფარველითურთ და სუეტნი მისნი
იძრვიედ
რომელმან გარდაარეთხნა კაენ მხოლომან.
ბრისხვასა მისსა განერინოს ვერავინ".

დებორამ დოინჯი შემოიყარა, ქანგმოდებული გასაღებების ასხმული შეარხია, და მიუგო:

— კაცი თუ ეცდება, თავს უშველის, ღმერთიც შეეწევაო, აკი ესეც ნათქვამია, მენდელ! სულ მუდამ ფუჭი აზრები გაკერია პირზე, ათასნაირი აზრია დაწერილი და შენ სულ უმაქნისებითა გაქვს თავი გამოტენილი. სულ გამოგაჩერჩეტეს ამ შენმა მოწაფეებმა: შენ მათ ცოტაოდენ ჭკუას ასწავლი, ისინი კი მთელ თავიანთ სისულელეს გახვევენ თავს. შე მართლა მასწავლებელო!

მენდელ ზინგერს არ უკვირდა არც თავისი პროფესია, არც ჭკუა-გონება. დებორას სიტყვები მაინც ღრღნიდა. ცოლის ააყვედურები ამფოთებდნენ მის სათნოებას და გულში უკვე ღვივდებოდა აღშფოთების ცეცხლი. შემობრუნდა, რომ ქოლის სახისათვის აღთო ეცქირა. ისეთი განწყობა დაეუფლა, თითქო დიდი ხანია გრძნობდა ამას, ქორწინებამდე ბევრად ადრე, იქნებ ბავშვობის დროიდან; მრავალი წლის განმავლობაში ერთნაირი იყო, ეს განცდა. ქორწინების დღესაც კი ეჭვიანობა არ მბეჯურია ქალის. ღაწვია დაეჭვებისაგან, —

თითქოს ბათქაში ეცლებოთ კედელს. — არც იმისათვის, ნესტოებზე როგორ დაეჭიმა კანი, ნიკაპი დაემანჭა, ქუთუთოები ბადისებრი ნაოჭებით დაეფარა ხოლო ოდესღაც შავი თვალები გაუბაცდა. ცივად მზირალი, ფხიზელი, ყველაფერი გაუხდა, ცივად მზირალი, გამგები და სასოწარკვეთილი. ერთ მშვენიერ დღეს, ზუსტად არც ახსოვდა როდის, იქნებ იმ დილაადამს, თავად [illegible] ნა და გახელილი ცალი თვალით დააფეთა სარკეში მზირალი [illegible] ერთ მშვენიერ დღეს მიხვდა ამას. თითქოს მეორე ხანა დაიწყო ცოლქმრობისა, სიმახინჯის, სიმწარის, ცოლის დაბერების ხანა. ქალის სიახლოვეს გრძნობდა, ის კი არა, თავის არსებაში ჰყავდა თითქოს გათქვეფილი. [illegible] განუყოფლად, მაგრამ რაოდენ აუტანელი იყოს ეს, მტანჯველი და იქნებ საზიზღარიც. დებორა იმ დიაცთაგანი იყო, ვისთან თანაზიარობა მხოლოდ წყვდიადშია შესაძლებელი; მენდელს ჭირად ექცა იგი, რასაც ვერც დღე და ვერც ღამე ვერ მოიშორებ, არავინ შეგეცილება. ბოლოს ნაღდად გიმუხთლებს და კიდეც დაგლუპავს. კი, ბატონო, მასწავლებელია! მამაც მასწავლებელი იყო და პაპაც. აბა სხვა რა უნდა ყოფილიყო. თუკი აუგად ახსენებენ კაცის მოსაქმეობას, მაშინ არსებობას ხელყოფენ მისას, განადგურებას და გაჭრობას უპირებენ. ამას როგორ შეარჩენდა მენდელ ზინგერი!

გულში კი უხაროდა მენდელ ზინგერს დებორას წასვლა. მგზავრობის თადარიგი როგორც დაიჭირა ქალმა, მაშინვე დაცარიელდა სახლი. ონა და შემარიაჰი შარახვეტიობდნენ, მირიამი მეზობლებთან იყო ან სეირნობდა. შუადღისას, ვიდრე მოწაფეები მობრუნდებოდნენ, სახლში მარტო დარჩნენ მენდელი და მენუხიმი. მენდელი თავის შემზადებულ მაკარონის წვნიანს შეექცა და თიხის ჯამში კარგა მოზრდილი ულუფა დაუტოვა მენუხიმს. ურდული დაგელა, რომ პატარა ბიჭი კართან არ მიხოხებულიყო ჩვეულებისამებრ. შემდეგ მივიდა კუთხეში მიყუჟულ შვილთან, აიტატა, მუხლზე დაისვა და შეუდგა მის დაპურებას.

— უყვარდა მყუდროება ასეთი წუთებისა. სიამოვნებით რჩებოდა მარტო თავის ვაჟიშვილთან. ხანდახან ფიქრობდა, იქნებ ჯობდეს, ორნი ვიყოთო მარტო, დედისა და და-ძმის გარეშე. როცა მენუხიმმა მოათავა მაკარონის წვნიანი, მამამ მაგიდაზე დასვა. თავად წინ დაუჯდა და გრძნობამორეული, გულდასმით დააკვირდა შვილის ფართო, ფერმიხდილ, ყვითელ სახეს, დანაოჭებულ შუბლს, დაღარულ ქუთუთოებსა და მოშვებულ ღაბაბს. ცდილობდა გამოეცნო, რა ხდებოდა იმ უშველებელ თავის ქალაში, თვალებში, ვით სარკეში, ღამობდა ეხილა სული; ესაუბრებოდა და ხან დაუწევდა ხმას, ხან ყვიროდა. ცდილობდა დადუმებული ბიჭის სახეზე სიკეთის რაიმე ნიშან-კვალი ამოეკითხა. ათჯერ ზედიზედ წარმოთქვა მენუხიმის სახელი, ნელა წარმოთქვამდა, ტუჩებით ხაზავდა ბგერებს ჰაერში, რომ მენუხიმს დაენახა, თუკი ყურთ არ ესმოდა. მაგრამ მენუხიმი არ განძრეულა. შემდეგ თავის კოვზს წაავლო მენდელმა ხელი და ჩაის ჭიქას მიუკაკუნა. მენუხიმმა მაშინვე მოაბრუნა თავი და პატარა შუქმა გაიკიაფა მის დიდრონ, თაფლისფერ, გადმოკარკლულ თვალებში. მენდელმა განაგრძო წკარუნი, სიმღერა წამოიწყო, ჭიქაზე კოვზის ცემით ტაქტი გამოჰყავდა. მენუხიმს აშკარა შეშფოთება დაეტყო, გაჭირვებით შემოაბრუნა თავი და ფეხების ქნევას მოჰყვა.

— დედა, დედა! — წამოიძახა ბიჭმა ანაზდად. მენდელი წამოდგა, მოიტანა შავყდიანი წიგნი დაბადებისა, პირველ გვერდზე გადაშალა და მენუხიმის

თვალთა წინ დაიჭირა, თან პირველი წინადადება წაიმღერა, რომელსაც თავის ძოწაფეებს ასწავლიდა ხოლმე.

— დასაბამად ქმნა ღმერთმა ცაი და ქუეყანაი. — ერთ წამს შეჩერდა, იმ — ... ჭენეკენმი გაიმეორებსო ამ სიტყვებს, მაგრამ მენუხიმი არც განძრეულა. მხოლოდ მოლოდინის შუქი იდგა მის თვალებში. მაშინ მენდელმა წიგნი გვერდზე გადადო, ნაღვლიანად გადახედა ვაჟიშვილს და მონოტონური გალობის კილოზე განაგრძო:

— მისმინე, მენუხიმ, მე ხომ მარტო ვარ! შენი ძმები დაიზარდნენ და გამეცალნენ, ჯარში მიმიდიან. დედაშენი ქალია, აბა იმას რა უნდა მოვკითხო. შენა ხარ ჩემი უმცროსი ვაჟი, ჩემი ახალი და ბოლო იმედი. რატომ დუმხარ, მენუხიმ? შენ ღვიძლი შვილი ხარ ჩემი. მომხედე, მენუხიმ, და გაიმეორე ჩემი ნათქვამი: დასაბამად ქმნა ღმერთმა ცაი და ქუეყანაი.

კიდევ ერთ წამს დაელოდა მენდელი. მენუხიმი არ განძრეულა. მაშინ მენდელმა ისევ გააწკრიალა კოვზი ჭიქაზე. მენუხიმი შემობრუნდა და მენდელი თითქო ორთავე ხელით ჩაეჭიდა წამს სიფხიზლისას და განაგრძო ვალობა:

— მისმინე, მენუხიმ, მე ხანში შევედი და ყველა შვილთაგან შენლა შეგომრჩა, მენუხიმ! მომისმინე, მენუხიმ, და გაიმეორე ჩემი ნათქვამი: დასაბამად ქმნა ღმერთმა ცაი და ქუეყანაი.... — მაგრამ მენუხიმი არც განძრეულა.

მაშინ მენდელმა მწარედ ამოიხვნეშა და მენუხიმი ისევ ძირს დასვა, რაზე გახსნა და კარიან დადგა მოწაფეების მოლოდინში. მენუხიმი ფრთხილად გაჭქვა და ხლურბლთან დასკუპდა. შვიდჯერ დარეკა კოშკის საათმა, ოთხჯერ დაბალ ხმაზე, სამჯერ წკრიალით. ამ დროს მენუხიმმა დაიძახა:

— დედა, დედა! — და როცა მენდელი მისკენ მიბრუნდა, დაინახა, პატარა ბიჭს ისე ალემარჯა თავი, თითქოს იჭერდა და შეისუნთქავდა ეჭოს რეკვისას.

რატომ დავისაჯე ასე, გაიფიქრა მენდელმა და მეხსიერება დაძაბა. ცოდვა ხომ არაფერი ჩამიდენიაო, მაგრამ დიდი ვერაფერი ალმოაჩინა.

მოსწავლეები მოვიდნენ. მენდელი შეუძღვა მათ სახლში. გაკვეთილზე ოთახში ბოლთას სცემდა, ზოგს შეაგულიანებდა, სხვებს თითებზე ან ფერდებში წაარტყამდა, თან განუწყვეტლივ ფიქრობდა: „რა შევცოდე? სად შევცოდე?“

ამასობაში დებორა მეფორნე ზამეშკინთან წავიდა და ჰკითხა, თუ შეგიძლია, ამ ხანებში კლუჩიცკში წამიყვანო უფასოდო.

— კეთილი, — მიუგო მეფორნე ზამეშკინმა, იგი გარინდული იჯდა კრიალა ლუმელის თავზე. ფეხზე თასმებით შეკრული ქალამნები ეცვა და პირიდან რახის სურნელს აფრქვევდა. დებორას ელეთმელეთი მოსდიოდა არყის სუნზე. ბიფეთას მომასწავებელი იყო არყით აყროლებული გლეხკაცი, უამრავი სისაძაგლისა და თვით პოგრომების თანამდევი.

— კარგი, — უთხრა ზამეშკინმა, — გზები თუ გამოკეთდება.

— შენ ხომ უკვე წამიყვანე, ერთხელ, შემოდგომაზე, როცა უარესი სავალი იყო გზები!

— არ მახსოვს, — უთხრა ზამეშკინმა, — გეშლება, ზაფხულის მშრალი დღე იყო ალბათ.

— არაფერიც, — უპასუხა დებორამ, — შემოდგომა იყო და წვიმდა, მე რაბინთან მივდიოდი.

— ხომ ხედავ, — უთხრა ზამეშკინმა და ფეხების ქნევა დაიწყო, რადგან ლუმელი კარგა ძალიანი იყო და თვით ზამეშკინი საკმაოდ ტანდაბალი, — ხომ

ხედავ. მაშინ რაბინთან მიდიოდი. თქვენი დიდი დღესასწაულის წინ და მეც წაგიყვანე. ახლა ხომ რაბინთან არ მიდიხარ.

— კი მაგრამ, დიდი საქმე მაქვს ახლა, — თქვა დებორამ. — ალბათ, ეს შემთხვევაში თავის დღეში არ უნდა გახდნენ ჯაფისკაცები!

— ბევრ მოვიარე ჯარი, — ჩაიცინა ზამეშკინმა. — შვიდ წელიწადს

დან ორი ციხეში გავატარე, კურდღლებისათვის. წვრილმანი იყო. [illegible]

დებორას სასო წაეკვეთა. მეფეორნის ნათესავმა დაუდასტურა, რაოდენ უცხონი იყვნენ მისთვის ბიჭები, რომელთაც არც უნდა ეჭურდათ და არც ციხეში ჩამსხდარიყვნენ. ამიტომ მეუტია:

— რამდენი გინდა?

— არც ათასი! ფული არა გვაქვს! ფული ერეკა! ბალიფეი დამიბერდა. წაბლას ერთად მოძვრა ორი ხალი სხვათა შორის. მთელი დღე შვრომა უნდა აეკრძალო, ორი ვერსიც რომ გაატარო. ალბათ შემიძლია მისი შენახვა, უნდა გავყიდო. ალბათ ლირს ფორანზე ჯახიო!

— ორნა თვითონ წაიყვანს წაბლას ნალბანდთან. — ჩააცივდა დებორა. — და თვითონვე გადაიხდის ნალის საფასურსაც.

— ვნახოთ. — მიუგო ზამეშკინმა. — თუ ორნა ამას იკისრებს, მაშინ ბორბალზე სალტეც შემოარტყმევინოს.

— კარგი ,ამასაც გააკეთებს, — შეჰპირდა დებორა.

ასე გაემგზავრა ქალი კლუჩიცკში იმ უკეთურ კაპტურაკთან. რა თქმა უნდა, ბევრად ერჩივნა რაბინთან მისულიყო. მისი ერთი სიტყვა. წმინდანის თხელი ტუჩებით წარმოთქმული, ბევრად მეტს ნიშნავდა, ვიდრე კაპტურაკის პროტესტაცია. რაბინი ხომ პასექიდან სამებამდე ხალხს არ იღებდა, გარდა გადაუდებელი შემთხვევებისა, როცა საქმე სიკვდილ-სიცოცხლეს ეხებოდა. კაპტურაკს დუქანში მიაკვლია. გლეზებითა და ებრაელებით გარშემორტყმული, იგი კუთხეში, ფანჯარასთან მიმჯდარიყო და წერდა. სარჩულის მხარეს გადმობოუნებული ქუდი გაწვდილი ხელივით ედო მაგიდაზე, ქალალდებს შორის. შიგ კარგა ბლომად ეყარა ვერცხლის მონეტები, რომელთაც მონუსხულივით უმზერდა გარს მოჯარული ხალხი. კაპტურაკი დროდადრო დახედავდა ფულს, თუმცა კარგად იცოდა, რომ ვერავინ გაბედავდა თუნდაც კაპიკისათვის ეხლო ხელი. უწიგნურებს იგი უწერდა განცხადებებს, სამეჯნურო ბარათებს, საფოსტო გზავნილობებს (გარდა ამისა კბილის ამოღებაც იცოდა და დალაქის ხელობაც).

— შენთან დიდი საქმე მაქვს, უნდა მოგელაპარაკო, — გარს მოჯარულთა თავებს ზემოდან მიმართა დებორამ. კაპტურაკმა ხელის ერთი მოსმით გადასწია ყველა ქალალდი, პეშვში ჩაიყარა მონეტები და ცხვირსახოცში გამოკრა. შემდეგ დებორას თხოვა დამჯდარიყო.

ეს მკაცრი, ჩატარა თვალები რქისაგან გაკეთებული, ბრილა, მყიფე ლილვად მოეჩვენა ქალს.

— ჩემი ბიჭები მიყავთ ჯარში! — უთხრა ქალმა.

— ლარიბი ქალი ხარ შენ. — მიუგო კაპტურაკმა უცნაურ კილოზე, წამლერებით, თითქოს ქალალდი გაუშალოთ. — ფული არა გაქვს დანაზოგი და კაცი-შვილი ვერ შეძლებს დაგეხმაროს.

— როგორ არა, მაქვს დანაზოგი.

— რამდენი?

— ოცდათორი მანეთი და სამოცდაათი კაპიკი. აქედან მანეთი უკვე გავიღე, რომ შენ მენახე

— ესე იგი, სულ ოცდასამი მანეთი!

— ოცდასამი მანეთი და საბოლოოდ ეს კაბიკი, — გაუსწორა დებორამ. კაპტურაკმა მარჯვენა ხელი ასწია, შუა და საჩვენებელი თითი გაბზიკა და შეეკითხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ორი ბიჭი?

— ორი, — ჩურჩულით მიუგო დებორამ.

— ოცდახუთი მანეთი ღირს ერთი, ერთადერთი!

— ჩემთვისაც?

— დიახ, შენთვისაც.

ნახევარი საათი გაგრძელდა ვაჭრობა. ბოლოს კაპტურაკი დაეთანხმა, ოცდასამ მანეთს ვიკმარებ ერთისთვისო. ერთს მაინც დავიხსნიო, ფიქრობდა დებორა.

გზაზე ისე ანჯღრევდა ზამეშკინის დროგი, ბორბლები თითქოს მის გულღვიძლსა და საცოდავ თავზე გადადიოდა. ახლა ვითარება უფრო საეჭვოდ ეჩვენებოდა, ვიდრე მანამდე. რომელი გაიმეტოს? იონა თუ შემარიაჰი? ეკითხება თავს განუწყვეტლივ. ჯობს ერთს შეველიო, ვიდრე ორივეს. ეტყოდა გონება, ვაებდა გული. სახლში რომ ჩავიდა და კაპტურაკის განაჩენის მოყოლა დაიწყო, უფროსმა, იონამ გააწყვეტინა სიტყვა:

— მე სიამოვნებით წავალ ჯარში! — დებორა, მირიამი, შემარიაჰი და მენდელ ზინგერი გაშეშდნენ. ბოლოს, რაკი იონა ალარაფერს ამბობდა, შემარიაჰმა თქვა:

— ძმაც ასეთი უნდა, კარგი ძმა მყავხარ!

— არა, — უპასუხა იონამ, — მე მინდა ვიყო ჯარისკაცი!

— იქნებ შემდეგ, ნახევარი წლის შემდეგ გაგათავისუფლონ, — დაამშვიდა მამამ.

— არა, — განუცხადა იონამ, — სულაც არ მინდა გათავისუფლება! ჯარში დავრჩები!

ღამის ლოცვა თქვა ჩურჩულით ყველამ. უმძრახად გაიხადეს ტანსაცმელი. შემდეგ მირიამი პერანგის ამარა, ფეხის წვერებზე შემდგარი, პრანჭვით მივიდა ლამპასთან, შეუბერა და ჩააქრო იგი. ყველა დაწვა დასაძინებლად.

მეორე დილას იონა გაქრა. მთელი დღე დაეძებდნენ თავისიანები. კარგა მოსალამოებული იყო, როცა მირიამმა მოჰკრა მას თვალი. ბიჭი ჩალისფერ ცხენზე იჯდა, ყავისფერი ჯუბა ეცვა და ჯარისკაცის ქუდი ეხურა.

— გახდი უკვე ჯარისკაცი? — შესძახა მირიამმა.

— ჯერ არა, — მიუგო იონამ და ცხენი შეაჩერა.

— მომიკითხე დედა და მამა. მე ზამეშკინთან ვიქნები, ჯერჯერობით, ვიდრე ჯარში წავიდოდე. გადაეცი, თქვენთან ვეღარ გავძლებდი-თქო, ისე კი, სუყველანი ძალიან მიყვარხართ!

შემდეგ ტირიფის შოლტი გადაუშხუვლა ცხენს, სადავე მოქაჩა და გააჭენა.

ამიერიდან იგი მეჯინიბედ დაუდგა მეეტლე ზამეშკინს. სამურველით წმენდდა ჩალისფერსა და წაბლას და იქვე, თავლაში იძინებდა. გაფართოებული ნესტოებით, ხარბად ისუნთქავდა შარდისა და ოფლის მეყავე სუნს. მასვე მოჰქონდა შვრია. წყალს ეზიდებოდა ვედროებით, ასწორებდა ხუნდებს, კრეჭდა კუდებს, ახალ ეჟვნებს ჰკიდებდა საყევარზე, ავსებდა სარწყულებელს. ორი დროგი აშმორებული თივა გაცვალა მშრალზე, სამაგონკას სვამდა ზამეშკინთან ერთად და მოახლე გოგონებს ანაყოფიერებდა.

სახლში გლოვობდნენ მის დაკარგვას, როდი ივიწყებდნენ. დადგა ცხელი, მშრალი ზაფხული. შეგვიანებული სალამო ოქროსფრად ეფინებოდა ხოლმე მიწას. ზამთშაინის ქოხის წინ ბინა იჯდა და გარმონს უკრავდა. ბიჭი ისევ მთვრალი იყო, რომ საკუთარი მამაც კი ვერ იცნო. მენდელი ხანდახან ფანჯარეფით, ლანდივით ჩაუვლიდა ხოლმე შორიახლო: მამის გაოცებას საზღვარი აღარ ჰქონდა, ნუთუ ეს ბიჭი გარჯით შექმნილი შვილი იყო მისი?

3

ოც აგვისტოს მენდელ ზინგერს გამოეცხადა კაპტურაკის მოციქული შემარიაჰის წასაყვანად. იმ დღეებში ყველა ელოდა მოციქულის მოსვლას. მაგრამ მოსული რომ ნახეს, მაინც ყველა გაოცდა და შეშინდა. მოციქული ჩვეულებრივი კაცი იყო, უბრალო გარეგნობისა, თავზე ჯარისკაცის ცისფერი ქუდი ესურა და წვრილად გახვეულ თუთუნს ეწეოდა. შინ შეიპატიჟეს, დაბრძანდი, ჩაი მიირთვიო, შესთავაზეს, მაგრამ უარი განაცხადა. მირჩევნია სახლგარეთ დაველოდოო, ისე თქვა, დამხვდურნი მიხვდნენ, მიჩვეული რომ იყო გარეთ ლოდინობდა, მოსული კაცის ამგვარმა საქციელმა უარესად გადარია ზინგერის ოჯახი. ფანჯარაში ლანდავდნენ ცისფერქუდიანი კაცის სილუეტს, გუშაგი ეგონათ იგი და თავგზააბნეულნი დაწრიალებდნენ. მოაქუჩეს შემარიაჰის ნივთები — ერთი ხელი კოსტიუმი, სალოცავი სარტყელი, საგზალი, პურის დანა. მირიამს შოჰქონდა და მოჰქონდა ხარახურა. მენუხიმი, რომელიც მაგიდის სიმაღლე გაზრდილიყო უკვე, ცნობისმოყვარეობით, გაშტერებული აქნევდა ნაკაპს და გაუთავებლად ტიტინებდა თავის ერთადერთ სიტყვას — დედა! მენდელ ზინგერი ფანჯარას მისდგომოდა და მიწაზე აკაკუნებდა. დებორა უხმოდ ტიროდა. ცრემლი ღაპაღუპით სცვიოდა და მოკუმულ ტუჩებს უნამავდა. როცა შემარიაჰის ფუთა შეკრეს, თვალში ეპატარავათ და უმწეოდ ლამობდნენ კიდევ რაიმე ენახათ ოთახში. ამ წუთამდე სიტყვა არავის დასცდენია. ახლა კი, როცა თეთრი ფუთა და ჯოხი გამზადებული ეწყო მაგიდაზე, მენდელ ზინგერი შემობრუნდა და ვაჟიშვილს მიმართა: „ამბავი სასწრაფოდ შეგვატყობინე, როგორც კი შეძლებ, არ დაგავიწყდეს". დებორას ხმამაღალი ქვითინი წასკდა, ხელები გაშალა და ვაჟიშვილს მოეხვია. კარგახანს იყვნენ ჩახვეულები. ბოლოს შემარიაჰი ძალით განერიდა, დასთან მივიდა და ტლაშუნით აკოცა ორივე ლოყაზე. მამაც გადაეხვია, ლოცავდა, რაღაცას ბუტბუტებდა. შემდეგ შემარიაჰი შიშით მიუახლოვდა თვალებდაჭყეტილ მენუხიმს. პირველად გახდა იძულებული ავადმყოფ ბავშვს ჩახუტებოდა და, შემარიაჰს ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ძმას კი არ კოცნიდა, არამედ რაღაც სიმბოლოს, ვინაც პასუხს ვერ მოგვცემს. ყველ მათგანს ეწადა კიდევ ეთქვა რამე, მაგრამ ველარავინ ახერხებდა. იცოდნენ, სამუდამოდ ემშვიდობებოდნენ თავისიანს. თუ ბედი გაუღიმებდა, შემარიაჰი სალსალამათი გავიდოდა საზღვარგარეთ. თუკი ვაწყრებოდა ღმერთი, მას საზღვარზე დაიჭერდნენ, მერე სიკვდილით დასჯიდნენ, ანდა სასაზღვრო პოლიცია დახვრეტდა ადგილზე. რა უნდა უთხრა ადამიანს, ვისაც სამუდამოდ ემშვიდობები? შემარიაჰმა მხარზე მოიგდო ფუთა და ფეხის კვრით გააღო კარი. ეკახ აღარ მოუხედავს, როგორც კი ზღურბლს გადააბიჯა, შეეცადა დაეწყებინა სახლიცა და ყველა თავისიანიც. ზურგს უკან მოესმა დებორას ხმამაღალი კივილი. კარი ისევ ძიიხურა. თანმხლებს რომ მიაშურა, გულმა უგრძნო, რომ დედამისი გულწასული დაეცა ძირს. „ბაზრის მოედნის სიახლოვეს გველოდე

ბოან ცხენებიო. ეთხრა ცისფერქუდიანმა. ზამუშკინის ქოხს რომ მეახლოვდნენ, შემარიაში შეჩერდა. ბალჩასა და ცარიელ თავლას მოავლო თვალი. იქნა, მისი ხმა, იქ არ იყო. დარდიანი ფიქრი გამოჰყვა ძმა-შეცთომილ[illegible] ამისთვის თავისი ნებით გასწირა თავი. — ასე ეგონა შემარიაში. აქ[illegible]. [illegible], მაგრამ კეთილი და გულმაგარი. ფიქრობდა ბიჭი. შემდეგ [illegible] ბაბიჯით განაგრძო გზა უცხო კაცის მხარდამხარ.

ბაზრის მოედანთან დაბვდათ ცხენები, როგორც იმ კაცმა თქვა. სამი დღე მოუნდათ ოთოქმის, ვიდრე საზღვარს მიაღწევდნენ. რადგან ოკინიგზის ალიდებდნენ თავს, გზაში გამოირკვა, რომ შემარიაში მეგზური ზედმიწევნით იცნობდა იმ მიდამოებს. შემარიაში არც არაფერი უკითხავს, ისე ჩაუკენჭა ყველაფერი. შორს გაელვებულ სამრეკლოს დაანახვებდა და სახელს ეტყოდა იმ სოფლისას. მამულებსა და ეზო-კარმიდამოებს უსახელებდა, თანაც მემამულეთა გვარებს აცნობდა. ჩქარად დიდი შარაგზიდან გადაუხვევდა და ვიწრო შუკებში უცებ ვარკვლევდა გზას. ეტიკს თითქოს ეწადა ახლო გაეცნო საქმობლო ადგილგაზრდა კაცისათვის, ვიდრე აქედან წავიდოდა ალალი ქვეყნის მაძიებელი. შემარიაში მთელი სიცოცხლე გაჰყვა ნოსტალგია, მისგან შთანერგილი.

შუადამეებდ ერთი საათით ადრე საზღვრისპირა ფუნდუკ- მიადგნენ. წყნარი ღამე იყო. ეულად იდგა ფუნდუკი, ერთადერთი ნაგებობა. ღამისეამს გარინდული, დადუმებული, მრუმე, ჩაბნელებულ დარაბებიანი, რომელთა მიღმა ჩამიჩუმი არ ისმოდა. მირიადი ჭრიჭინა ხმიანობდა განუწყვეტლივ. ღამის მეჩოტბეთა გუნდი. სხვა არაფერი ჩქამობდა. ირგვლივ, დაცემულ დაბლობს თაღად ეხურა ვარსკვლავებით მოჭედილი მუქლურჯი ზეცა. ჩრდილო-აღმოსავლეთის კიდეზე კამარას ჰკვეთდა ნათელი ზოლი, როგორც ცისფერ ბეჭედზე ამოტვიფრული ხაზი ვერცხლისა. დასავლით მდებარე ჭაობებიდან ნოტიო სიო უბერავდა.

— ნამდვილი ზაფხულის ღამეა, მშვენიერი! — თქვა კაპტურაკის მოკიქულმა და ამ ხნის განმავლობაში პირველად წამოსცდა სიტყვა თავის საქმიანობაზე. — ასეთ წყნარ ღამეებში ყოველთვის არ ხერხდება ადვილად გადასვლა ექითა მხარეს. ჩვენთვის წვიმა უფრო ხელსაყრელია. — ნათქვამმა ცოტა უფრო შეაფერადა შემარიაში, რაკი ფუნდუკი უტყვი იყო და დაგმანული. ამიტომ შემარიაშმა არაფრად ჩააგდო იგი, ვიდრე მეგზურმა მისი დანიშნულება არ შეახსენა.

— შევიდეთ! — საფრთხეს შეგუებული კაცის კილოზე თქვა ეტიკმა. — ნუ ჩქარობ, კიდევ კარგა ხანს დაგვჭირდება ლოდინი.

იგი მივიდა ფანჯარასთან და ხის დარაბაზე ნელა მიაკაკუნა. კარი გაიღო და ღამეულ მიწას ყვითელი სინათლის ფართო ზოლი დაეფინა. შევიდნენ, დაბლა ეკან, დაკიდული ლამპის შუქის შუაგულში მდგომმა მედუქნემ თავი დაუკრა შემოსულებს. იატაკზე მამაკაცები ისხდნენ და კამათელს აგორებდნენ. მაგიდას უსხდნენ კაპტურაკი და ერთი ვახმისტრის ფორმიანი კაცი. მათკენ არავის გამოუხედავს. ისმოდა კამათლის ჩხაკუნი და კედლის საათის წიკწიკი. შემარიაში დაჯდა. მეგზურმა დასალევი შეუკვეთა. შემარიაშმა ერთი ყრაყი გადაეხუხა; დასცხა, მაგრამ დამშვიდდა. ასე უშიშრად თავი არასდროს უგრძვნია მანამ. მიხვდა, რომ ცხოვრების ისეთ გზაჯვარედინზე იმყოფებოდა, როცა კაცის ბედ-ილბალი არსთა გამრიგეზე არანაკლებ ეკითხება თვით ადამიანს.

ის იყო შუალამისა დარეკა საათმა და გაისმა ბათქი, ხაფი და მკვეთრი; ნელა მიინავლა იმ გასროლის გამოძახილი. კაპტურაკი და ვახმისტრი წამოიშა-

ლნენ. შეთანხმებული სიგნალი იყო, ყარაული ატყობინებდათ, რომ მესაზღვ-
რეთა ოფიცერმა დაამთავრა შუალამის შემოვლა. ვახმისტრი გაქრა. კაპიტანი
ბიჭებს შესძახა, დაეძრაცთო. ისინი ზანტად წამოიშალნენ, ფუ[illegible]
ნები წამოიკიდეს, თითო-თითო კაცი გადიოდა სიბნელეში და საზღვრის გზას
დაადგებოდა. ვილაცამ სიმღერა წამოიწყო, მაგრამ კაპტურაკმა [illegible]
მენდინა ხმა. ვერავინ მიხვდა, საიდან მოვიდა ხმა. — წინა [illegible]
თუ უკნიდან. ჩუმად მიაბიჯებდნენ ჭრიჭინების ზავთითა და ღამის სილუეტით
გარემოცულნი. ნახევარი საათის შემდეგ კაპტურაკმა ბრძანა: — დაწექით!
ყველა დაეშვა ცვრით დანამულ მიწაზე; გარინდებული, გულაფეთქებული
ეხუტებოდნენ ნოტიო მიწას, სამშობლოს ემშვიდობებოდა გული. შემდეგ წა-
მოდგომა უბრძანეს. განიერ, მარჩხ თხრილს მიადგნენ, მარცხნივ შუქმა გა[illegible]
ფა, გუშაგის ჯიხურიდან გამომკრთალმა. ბიჭები თავზე გადაეფარნენ [illegible]
მათ ზურგს უკან თოფი ისროლა გუშაგმა, ყასიდად, ვალდებულების [illegible]
ლად, ისე რომ მიზანში არავინ ამოუღია.

— გავაღწიეთ! — დაიძახა ვილაცამ.

იმ წამს მტრედისფრად განათდა ზეცა აღმოსავლეთით. მამაკაცებმა პირი
იბრუნეს სამშობლოსაკენ, რომელიც ისევ ღამით შებურვილი ეჩვენათ და ბე-
რე კვლავ დღეს მოუბრუნდნენ, უცხო სამყაროს. ერთმა სიმღერა წამოიწყო.
სუყველა აპყვა და სიმღერით გაუდგნენ გზას. მხოლოდ შემარიაპი არ მღე-
როდა, თავის ახლო მომავალზე დაფიქრებული. ორიოდე მანეთი გაეჩხდა მხო-
ლოდ. დილა წარმოიდგინა თავის სახლში. ორი საათის შემდეგ წამოდგება მაბა
ბუტბუტით იტყვის ლოცვას, ჩაახველებს, ყელს ჩაიწმენდს, ბაკანთან მივა და
პირზე წყალს შეისხამს. დედა სამოვარს შეუნთებს. მენუხიმი ტიტინით [illegible]
ბება დილას, მირიამი კი თმის ვარცხნას მოჰყვება, თეთრ ბუსუსებს მოიცილებს
შავი თმებიდან. ეს ყველაფერი ისე მკაფიოდ წარმოიდგინა შემარიაპმა, რო-
გორც არასოდეს. სახლში ყოფნისას, თავადაც ნაწილი რომ იყო ამგვარი [illegible]
ლის, მაშინაც არა ჰქონია ამდაგვარი განცდა. სხვათა მღერა არ ესმოდა, ფეხები
თავისთავად მიჰყვებოდნენ რიტმს.

ერთი საათის შემდეგ ჭაბუკმა იხილა პირველი უცხო ქალაქი, გამოჯე საკ-
ვამურებიდან — ლურჯად ამომავალი ბოლი. ყვითელ სამკლავიანი კაცი შეეგება
მოსულებს და კოშკის საათმაც დარეკა ექვსჯერ.

ზინგერის სახლშიც დარეკა ექვსჯერ კედლის საათმა. წამოდგა მეხდელი,
ყელი ჩაიწმინდა, ჩაახველა და ბუტბუტით წარმოთქვა ლოცვა. დებორა უკვე
კერასთან ფუსფუსებდა და სამოვარს უბერავდა. მენუხიმი რაღაც გაუგებარს
ტიტინებდა თავის კუთხეში. მირიამი თმას ივარცხნიდა დაბინდული სარკის
წინ. დებორა იქვე, კერასთან შეექცა ცხელ ჩაის და მოულოდნელად თქვა:

— სად არის ახლა შემარიაჰი? — სუყველას ერთი საფიქრალი აწუხებდა.

— ღმერთი შეეწევა! — თქვა მენდელ ზინგერმა. ასე დაიწყო იმათი დღე.

მომდევნო დღეებიც ამდაგვარად იწყებოდა, ცარიელი, ბეჩავი დღეები
ალარ შემოგვრჩა ბავშვები სახლში, ფიქრობდა დებორა. დავაჩიხე, ძუძუ ვა-
წოვე და თითქო ქარმა წამგვარა ყველა. თვალით მირიამს მოიძებდა. მაგრამ იშ-
ვიათად თუ იპოვიდა შინ. მარტო მენუხიმი შემორჩა. დედა გველ[illegible]
ლიდა, ბიჭი ხელებს გაუწვდიდა ხოლმე, თუ აკოცებდა, ძუძუსე მოეთამაშებ-
და. როდის აგვიხდება რაბინის ლოცვა-კურთხევა, ფიქრობდა გამწ[illegible]
ლი და ეჭვი მოეძალებოდა, აწ რაღას მოვესწრები მენუხიმის გამოჯანმრთელე-
ბასო.

ღუმდა სახლი. მოწაფეთა მელოდეკლამაცია რომ მიწყდებოდა. იდგა დუმილით და ბნელით მოცული. ისევ დაზამთრდა და ნავთს ზოგავდნენ — ადრე წვებოდნენ **დასაძინებლად**. ღამეს მიხებდებოდნენ მადლიერნი, მადლმოსილ ღამეს. ხანგამოშვებით იონა გაიხსენებდა ხოლმე თავისიანებს, წერილით მოიკითხავდა, იგი ფსკოვში მსახურობდა. ტანმრთელი იყო, [illegible] ᲨᲔᲛᲬᲧᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ
და საერთო ენას პოულობდა უფროსებთან. ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ასე გადიოდა წლები.

6

ზაფხული მიიწურა. მენდელ ზინგერის კარწინ ნაშუადღევს ერთი უცნობი კაცი აისვეტა. კარ-ფანჯარა ღია იყო. დათენთილი შავი ბუზები გარინდულიყვნენ მზით გამთბარ კედელზე. მოწაფეთა გალობა თეთრ შუკაში იღვრებოდა კარლა სახლიდან. ბავშვებმა კარში უცნობი დალანდეს და ხმა გაქმინდეს. დებორა ტაბურეტიდან წამოდგა. შუკის მეორე მხრიდან გამოცქროიალდა მირიამი, გოგოს მაგრად ხელჩაჭიდული ბოჰყავდა კოჭინტარა მენუხიმი. მენდელ ზინგერი მიუახლოვდა უცნობს და თვალით გაზომა იგი. უცხო ჯურის კაცი ჩანდა, უშველებელი კალაბრიული შავი შლაპა ეხურა, ღია ფერის. განიერი ფოხანა შარვალი ეცვა და სოლიდური ყვითელი ჩექმები. ძოწისფერი ჰალსტუხი მუქლურჯ პერანგზე უფრიალებდა. არც შეტოკებულა, ისე თქვა რაღაც გაუგებარ ენაზე, ალბათ — სალამი. ისე ლაპარაკობდა, თითქოს პირში ცხელი კარტოფილი უძევსო. ჰიჯაკის ჯიბიდან მწვანე რტოები ამოჩროდა. სუფთად გაპარსული, ჩამოშვერილი ზედა ტუჩი დრუნჩივით იწეოდა ზევით და დიდ ცხენისნაირ კბილებს აჩენდა. ბავშვებმა გაიცინეს და მენდელ ზინგერმაც გაიღიმა. უცნობმა სიგრძივ გაკეცილ წერილი ამოიღო და ისე უცნაურად წაიკითხა მენდელ ზინგერის მისამართი და გვარი, რომ ყველას კიდევ ერთხელ გაეცინა. „ამერიკა", — თქვა კაცმა და მენდელს ჩააბარა წერილი. ბედნიერმა წინათგრძნობამ ითქვა მენდელი. სახე გაებადრა. „შემარიაჰი", — თქვა და ხელის აკნევით ისე დაითხოვა მოწაფეები, თითქოს ბუზებს დაუქმიაო. მოწაფეები გარეთ გაცვივდნენ. უცნობი დაჯდა. დებორამ უცებ გააწყო მაგიდა. ჩაი, კამფეტი და ლიმონათი მოართვა. მენდელმა წერილი გახსნა. დებორა და მირიამიც დასხდნენ და მენდელმა დაიწყო წერილის ხმამაღლა კითხვა:

„საყვარელო მამა. საყვარელო დედა, ძვირფასო მირიამ და კარგო მენუხიმ!

იონას არ მივმართავ, რაკი ჯერაც სამხედროშია. ისე თქვენცა გთხოვთ, პირდაპირ მას ნუ გადაუგზავნით ამ წერილს, ვაითუ საქმე გაუჭირვოს. რატომ გაქვს მიმოწერა დეზერტირ ძმასთანო, ამდენ ხანს იმიტომ დავაყოვნე, რომ წერილი ფოსტას ვერ ვანდე. ვიდრე შესაძლებლობა არ მომეცა, ამ ჩემი კარგი მეგობრის, მაკის ხელით გამომეგზავნა ეს ბარათი. მაკი სუყველას გიცნობთ ჩემი მონაყოლიდან. მაგრამ ერთ სიტყვასაც ვერ გაგაგებინებთ, რადგან ამერიკელია, მისი მშობლებიც ამერიკაში არიან დაბადებულნი, ებრაელი არ არის, მაგრამ ათ ებრაელს მირჩევნია. ახლა სუყველაფერს თავიდან მოგიყვებით, რაც გადამხდა დღემდე. პირველად, საზღვარი რომ გადავლახე, კუჭი მიხმებოდა, ირიოდ მანეთის ამარა დავრჩი და ღვთის წყალობის იმედილა მქონდა. ტრიესტის სანაოსნო საზოგადოებიდან ერთი მოხელისაქუდიანი კაცი მოვიდა საზღვრისპირა ქალაქში ჩვენს წასაყვანად. სულ თორმეტნი ვიყავით. ჩემს გარდა ყველას ჰქონდა ფული. იყიდეს ყალბი საბუთები, გემის ბილეთები და სანაოსნო კომპანიის აგე-

ნტმა ყველა მატარებლით წაიყვანა ნავსადგურამდე. მეც თან გავყევი, ვიფიქრე, რას წავაგებ-მეთქი. წავყევი, რომ მენახა, როგორ მიდის ხალხი ამერიკაში. ამრიგად, ყველანი რომ გაემგზავრნენ, მერე მარტო მე შევრჩი იმ აგენტს ხელში. გაუკვირდა, რომ მეც არ გავემგზავრე. ერთი კაპიკიც აღარ მაბადია-მეთქი, ავუხსენი. წერა-კითხვა თუ იცი, შემეკითხა. ცოტაოდენი ვიცი-მეთქი. ჩემთვის საკმარისი, ვუპასუხე. მოკლედ, თავი რომ აღარ შეგაწყინოთ, ეს ცალა საქმეზე შემომთავაზა. ყოველდღე დეზერტირების ახალ პარტიას უნდა დავხვედროდი საზღვარზე, წამომეყვანა, ყველაფერი შემეძინა მათთვის და დამერწმუნებინა, რომ ამერიკაში რძისა და თაფლის მდინარეები მოედინება.

მუშაობას რომ შევუდექი, შემოსავლის ორმოცდაათ პროცენტს აგენტს ვაძლევდი, რადგან მე მხოლოდ მოადგილე ვიყავი მისი. აგენტს ფორმის ქუდი ეხურა ოქროსარშიიანი, მე კი მკლავსახვევი მეკეთა მხოლოდ. ორი თვის შემდეგ განვუცხადე, სამოცი პროცენტი მომეცი, თორემ მუშაობას თავს დავანებებ-მეთქი. მომცა სამოცი. ერთი სიტყვით, ჩემი სახლის პატრონის ლამაზი გოგო გავიცანი, სახელად ვეგა, ახლა იგი თქვენი რძალია. მამამისმა ცოტა ფული გვებოძა, რომ საქმე დამეწყო, მე კი სულ ის ამბავი მიტრიალებდა თავში, როგორ გაემგზავრა თერთმეტი კაცი ამერიკაში და მე ერთადერთი ჩამოვრჩი. მერე ვეგას დავემშვიდობე. ხომალდებში უკვე კარგად ვერკვევი, — ეს ხომ ჩემი სამოქმედო სარბიელია, — და გემით ჩავედი ამერიკაში. იქ დავმკვიდრდი, ორი თვეა უკვე ვეგაც ჩამოვიდა, ვიქორწინეთ და ვართ ბედნიერი. მაკს ჯიბეში აქვს ჩვენი ფოტოები. პირველად ღილებს ვაკერებდი შარვლებს, შემდეგ ვაუთოებდი, მერე კი სახელოებისათვის სარჩულების გამოკერება დავიწყე და კინაღამ მკერავი გავხდი, როგორც ყველა ამერიკელი ებრაელი. მაგრამ ლონგ აილენდზე ერთი ექსკურსიის დროს, ლაფაიეტის ფორტზე გავიცანი მაკი. აქ როცა იქნებით, გაჩვენებთ იმ ადგილს. მას შემდეგ ერთად ვეწეოდით სხვადასხვა საქმიანობას და ბოლოს დაზღვევას მოვკიდეთ ხელი. მე ებრაელებს ვაზღვევ, ის კი ირლანდიელებს, ორიოდე ქრისტიანიც კი დავაზღვიე. მაკი გადმოგცემთ ათ დოლარს ჩემგან, საგზაოდ იყიდეთ რამე თქვენთვის, იმიტომ, რომ ღვთის წყალობით მალე გემის ბილეთებს გამოგიგზავნით.

ყველას გეხვევით და გკოცნით
თქვენი ვაჟი შემარიაჰი (აქაურები სემს მეძახიან)".

დაამთავრა კითხვა მენდელ ზინგერმა და ოთახში ჩქამნარევი დუმილი ჩამოვარდა, ნაშუადღევის სიჩუმესთან შეზავებული, ოჯახის ყველა წევრს გადახვეწილი ვაჟის ხმა მოეყურა. დიახ, თავად შემარიაჰი ესაუბრებოდათ იმ ქვეყნის გადაღმა ამერიკიდან, საცა ახლა ალბათ ღამეა, ან იქნებ დილაც. ერთი წამით ყველას დაავიწყდა მაკის აქ ყოფნა, იგი თითქოს გაუჩინარდა, შორეულ შემარიაჰს ამოეფარა, ვით მსტოვარი, წერილის გადაცემისთანავე რომ განერიდება კაცს და გაქრება. ამერიკელი იძულებული გახდა თავი შეეხსენებინა მასპინძლისათვის; წამოდგა, შარვლის ჯიბეში ჩაიყო ხელი იმ თვალთმაქცივით, ფოკუსის გაკეთებას რომ ეპირება, და ათდოლარიანი და ფოტოსურათები ამოიღო. ერთ ფოტოზე ვეგასთან, თავის ცოლთან იყო გადაღებული შემარიაჰი ბაღში, ძელსკამზე, მეორეზე — მარტო, პლიაჟზე, საბანაო კოსტიუმში. მისი სახე და ტანი ათობით სხვა სხეულსა და სახეს შორის გამოირჩეოდა, ჰოდა, შემარიაჰი კი აღარ იყო, არამედ სემი. უცნობმა უცებ ყველანი გაზომა თვალით, თითქოს მათი სანდოობა შეამოწმა და ბანკნოტი და ფოტოები დებორას გადასცა. ქალმა ფული მოეფუფნა ცალი ხელით, მეორეთი კი ფოტოსურათები დააწყო მაგიდაზე

წერილის გვერდით. ეს ყველაფერი სულ ორიოდ წუთს გაგრძელდა. ხმას არავინ იღებდა. ბოლოს მენდელ ზინგერმა საჩვენებელი თითი დააფო ფოტოს და თქვა:

— აი შემარიაჰი!

— შემარიაჰი! — გაიმეორეს სხვებმაც და მენუხიმ [illegible] დაიჭიბვინა, იგი უკვე მაგიდას აცდენოდა თავით, და ჩვეული, [illegible] ირიბი მზერა შეავლო სურათებს.

უეცრად მენდელ ზინგერს მოეჩვენა, რომ ეს უცნობი კაცი უცხო `ალარ იყო და თითქოს მისი უცნაური ენაც ესმოდა.

— მოგვიყევით რამე, — მიმართა მაკს. ამერიკელმაც, ვითომ გაიგო მენდელის სიტყვები, აამუშავა თავისი უშველებელი ტუჩები და ლაღად, გულმოდგინედ შეუდგა რაღაც გაუგებარის მოყოლას, თითქოს გამგელებული ღეჭავდა გემრიელ ლუკმას. უხსნიდა ზინგერებს, სვიის შესასყიდად ჩამოვედით რუსეთს, ჩიკაგოში ლუდის ქარხნის აგებას ვაპირებთ. მაგრამ ზინგერის ოჯახს მისი არაფერი ესმოდა. რაკი ჩამოვიდა, ალარ უნდოდა კავკასიის უნახავად წასვლა, გულით ეწადა ასვლა არარატზე, რაზედაც ამდენი რამ წაეკითხა ბიბლიაში. ყველა დაძაბული უსმენდა, პირიდან სტაცებდნენ სიტყვას, რომ ქაქანით ნათქვამ დომხალში ერთი მარცვალი მაინც დაეჭირათ გასაგები, ამიტომაც აუჩქროლდათ გული არარატის ხსენებაზე, საოცრად ნაცნობი მოეჩვენათ ეს სიტყვა და საბარლად შეცვლილიც, მაკის წარმოთქმული მუქარანარევ გრუხუნად მოესმათ. მარტო მენდელ ზინგერი იღიმოდა განუწყვეტლივ. სიამოვნებდა აწ უკვე თავისი ვაჟის ენაზე წარმართული საუბრის მოსმენა, ვიდრე მაკი ლაპარაკობდა, მენდელი ცდილობდა წარმოედგინა, როგორ იტყოდა მისი შვილი იგივე სიტყვებს და ბოლოს თითქო კიდევაც გაიგონა შემარიაჰის ხმა მხიარული უცნობის დოლაბისდარ ბაგეთაგან მომდინარე. დაამთავრა ამერიკელმა სათქმელი, მაგიდას შემოუარა და მაგრად, ღიმილით ჩამოართვა ყველას ხელი. მენუხიმს ხელი დაავლო, აიტაცა, დაფიქრებულმა ამრეზით და მოფერებით უცქირა მრუდე თავს, გაწვრილებულ კისერს, უსიცოცხლო, დალურჯებულ ხელებს, დაბრეცილ ფეხებს და ისე დაუშვა ძირს, თითქოს უნდოდა ეთქვა, შენისთანები დაბლა უნდა ისხდნენ და მაგიდას არ უნდა ეპოტინებოდნენო. შემდეგ დაიძრა მხარბეჭიანი, ზორბა კაცი, შარვლის ჯიბეებში ხელებჩაწყობილი და ღია კარი გაიარა. მთელი ოჯახი დაედევნა. მზით განათებულ შუკაში ყველამ ხელი აიფარა თვალებზე, თვალმოჭუტული გასცქეროდნენ შუა ქუჩაში მიმავალ მაკს. შუკის ბოლოში ამერიკელი კიდევ ერთხელ შემობრუნდა და ხელი დაუქნია დარჩენილებს. თვალთ მიეფარა მაკი, მაგრამ ისინი კიდევ კარგა ხანს იდგნენ გარეთ. თვალზე ხელმოჩრდილულნი გასცქეროდნენ მზით გაჩახჩახებულ მტვრიან ქუჩას. მერე დებორამ თქვა:

— წავიდა და ეგ არის, — თითქოს იმ წამს განშორდათ უცნობი. ყველა შინ შებრუნდა და მხარზე ხელგადახვეულნი გარს შემოეჯარნენ მაგიდაზე დაწყობილ ფოტოებს.

— რამდენია ათი დოლარი? — იკითხა მირიამმა და დაიწყო ანგარიში.

— განა სულერთი არ არის, რამდენიც უნდა იყოს ათი დოლარი? ყიდვით მაინც ვერას ვიყიდით.

— რატომაც არა, მიუგო მირიამმა, — აბა მაშ ჩამოძონძილი ხომ არ გავემგზავრებით?

— ვინ მიდის, ან სად მიდის? — უყვირა დედამ.

— ამერიკას გეახლებით, — უპასუხა მირიამმა ღიმილით. — აკი სემმა მოგვწერა თავად!

ოჯახში პირველად მოიხსენიეს შემარიაჰი „სემად", მირიამმა თითქოს გაწგებ ახსენა ამერიკელი ძმის სახელი, ხაზი რომ გაესვა მისი წინადადებისათვის ოჯახის ამერიკაში გადასახლების თაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— „სემ"! — იყვირა მენდელ ზინგერმა. — ვინაა ეს სემი?

— ჰო, — გაიმეორა დებორამ, — ვინაა სემი?

— სემი ამერიკაში მყოფი ძმაა ჩემი და თქვენი ვაჟიშვილი! — ღიმილითვე მიაგება მირიამმა.

კუთხეში მიყუჟულ მენუხიმის კივილმა მოსჭრათ უეცრად ყური.

— მენუხიმს რომ წამოსვლა არ შეუძლია? — ისე ხმამაღლა თქვა დებორამ, თითქოს ეშინოდა, რომ ხეიბარი გაიგებდა მის ნათქვამს.

— მენუხიმს არ შეუძლია წამოსვლა! — ხმამაღლა გაიმეორა მენდელ ზინგერმაც.

მზე დასავლეთისკენ გადახარა. მენდელის სახლეულები ქუჩის მეორე მხარეს მდებარე ნაგებობის კედელზე დაფენილ შავ ჩრდილს აკვირდებოდნენ, რომელიც ზევით-ზევით მიიწევდა, თითქოს ზღვამ გადალეკა მოქცევისას ნაპირებიო. ქარი ამოვარდა წყნარი და ფანჯრის საგდულებსა და ანჯამებს ჭრიალი დააწყებინა.

— კარი დახურე, ორპირი ქარია, — უთხრა დებორამ მირიამს.

მირიამი კართან მივიდა. ვიდრე სახელურს შეეხებოდა, წამით შეჩერდა და გარეთ გაიხედა, იქითკენ, საცა დაინთქა მაკი. შემდეგ მიაჯახუნა კარი მირიამმა და თქვა:

— ასე იცის ქარმა.

მენდელი ფანჯარას მიადგა. უცქერდა, როგორ მიცოცავდა საღამოს ჩრდილი კედელზე ზევით. თავი ასწია და მალმა მხარეს სახლის სახურავი დაინახა ოქროსფრად განათებული. ასე იდგა დიდხანს ცოლის, ქალიშვილის — მირიამისა და ავადმყოფი ძის — მენუხიმისკენ ზურგშექცეული. თითოეულის იქ-ყოფნას გრძნობდა. მათ ყოველ მოძრაობას ალიქვამდა. იცოდა, რომ დებორა მაგიდაზე თავდახრილი სლუკუნებდა. ხოლო კერისაკენ შებრუნებულ მირიამს დროდადრო მხრები უთრთოდა. თუმცაღა არ ტიროდა. ისიც იცოდა, რომ ცოლი მოუთმენლად ელოდა იმ წამს, როცა იგი ლოცვანით ხელში სინაგოგას მიაშურებდა და მირიამსაც ერთი სული ჰქონდა ხელი დაევლო ყვითელი თავსაფრისათვის და სამეზობლოში გაეტია. მაშინღა დამალავდა დებორა იატაკის ფიცარქვეშ ათდოლარიან ბანკნოტს, ჯერ კიდევ ხელში რომ ეჭირა. მენდელმაც უწყოდა ეს ფიცარი. ფეხის ყოველ დაბიჯებაზე ფიცარი ჭრაჭუნით გათქვამდა ხოლმე თავის საიდუმლოს და ეს ჭრაჭუნი მუდამ აგონებდა ზამეშკინის საჯინიბოს წინ დაბმული შავი ძაღლების წკავწკავს. იცოდა მენდელ ზინგერმა ფიცრის ამბავი და, ზამეშკინის შავი ძაღლების სახსენებელი რომ გაეწყვიტა, ამაზრზენი ძაღლებისა, რომლებიც მანკიერების სიმბოლო იყვნენ მისთვის, ერიღებოდა იმ ფიცარზე დაბიჯებას, თუ შემთხვევით, გაკვეთილზე ბოლოის ცემისას არ წასცდებოდა ფეხი.

დავიწროვდა მზის ოქროს ზოლი მის თვალწინ, ფრონტონიდან სახურავზე ასვეტა. იქიდან თეთრ საკვამურზე და მენდელმა თავის სიცოცხლეში პირველად შეიგრძნო ასე ცხადად დროის უჩუმარი, მზაკვრული სრბოლა, დღისა და ღამის, ზამთრისა და ზაფხულის ორომტრიალი, მარადიული და მაცდური მო-

ნაცვლეობა, ჰოდა ერთფეროვანი ეჩვენა საკუთარი ცხოვრების დინება, უეცარ თუ მოსალოდნელ დარტყმათა მიუხედავად. ფერისცვალების [illegible] ოდენ ნაპირნი ყოფიერების მდინარისა, რომელთა გასწვრივ [illegible] მენდელ ზინგერი... მოიჭრა ამერიკელი, წერილი, დოლარები და შემარიაჰის სურათები ჩააბარა სიცილით და ისევ გაუჩინარდა შებურვილ [illegible]. გაქრნენ ვაჟები: იონა მეფეს მსახურებდა ფსკოვში და აღარ იყო [illegible]. შემარიაჰი ოკეანის ნაპირზე ბანაობდა და აღარ ერქვა შემარიაჰი, მირიამს თვალები დაეწყდა ამერიკელის ცქერაში და ამერიკაში გადასახლება მოინება. მენუხიმილა დარჩა იგივე, რაც იყო დაბადებიდან — ხეიბარი. თუმცა მენდელიც იგივე დარჩა, რაც იყო მუდამ — მასწავლებელი.

ჩამობნელდა და ვიწრო შუკა მყის გამოცოცხლდა, მეშუშე ხაიმის ფაშფაშა ცოლმა და კარგაბნის წინ გარდაცვლილი ზეინკლის, იოსელ კოპის ოთხმოცდაათი წლის ბებიამ სკამები გამოიტანეს სახლებიდან და კარწინ მოიკალათეს, საღამოს სიგრილეში. ლანდად მოჩანდნენ ებრაელები, სინაგოგისკენ გაჩქარებით მიმავალნი, შეხვედრისას ნაუცბათევ სალამს რომ მიუგდებდნენ ერთმანეთს. მენდელ ზინგერი შემობრუნდა, თვითონაც დააპირა წასვლა. გვერდით რომ ჩაუარა, დებორას ისევ მაგიდაზე ედო თავი. რახანია დანახვაც აღარ სურდა ცოლის საბისა, რომელსაც ახლა თითქო ხის ჩარჩო შემოვლებოდა გარს და ოთახში დავანებულ სიბნელეში დანთქმულიყო; იმავ სიბნელემ დაფარა მენდელის შეცბუნებული და კუშტი მზერაც. მან ხელი მოუთათუნა ცოლის განიერ ზურგს, ოდესღაც ესოდენ ახლობელს და ამჟამად ეგზომ გაუცხოებულ სხეულს. ქალი წამოხტა და თქვა:

— წადი, ილოცე!

მამასთან ერთად ყვითელთავსაფრიანი მირიამიც გამოვიდა სახლიდან და მეზობლებს მიაშურა.

ეს ამბავი მოხდა აბის თვის პირველ კვირას. მიმწუხრის ლოცვის შემდეგ თავი მოიყარეს ებრაელებმა ახალი მთვარის მოსახილველად. ალხით გათანგული დღის შემდეგ გრილი, საამო ღამე დაუდგათ და ისინიც განა ღვთიურ მცნებას, უფრო ღვთისმოსავ გულისწადილს აყოლილნი აწინდელზე მეტის ხალისით მიეშურებოდნენ, რომ ახალ მთვარეს ტრიალ მინდორზე მიჰფერებოდნენ, იქ, საცა ზეცის კაბადონი უფრო ლაღად გადაშლილიყო, ვიდრე პაწია ქალაქის ვიწრო ქუჩაბანდების თავზე. ჩაშავებულნი, მდუმარენი, უთანაბრო ჯგუფებად დაყოფილნი მიიჩქაროდნენ, რომ გასცლოდნენ სახლებს; შორს ტყე დალანდეს მათდადარად მრუმე და უტყვი, ფესვებდახლართული და მარადიული. ღამის საბურველს ჰკიდეს თვალი, უკიდეგანო მინდვრებზე დაფენილს, ჰოდა, შეჩერდნენ. ზეცას აჰხედეს და განახლებული მთვარის გალუნულ ვერცხლს დაუწყეს ძებნა, დღეს ხელახლა დაბადებულს, ვით დღეს პირველქმნის. მერმე შეჯგუფდნენ, ლოცვანი გადაშალეს, ღამის მოლურჯო სიცხადეში მზერას თეთრად წარმოუდგა წიგნთა ფურცლები, შავი, ჯუთხოვანი ასო-ნიშნები და დუდუნით იტყოდნენ მთვარის საგალობელს, ტანს არხევდნენ, თითქოს უხილავმა ქარბორბალამ შეატორტმანაო. რწევას მოუხშირეს, საგალობელი დააგუგუნეს, მხედრული შემართებით ესროდნენ ზეცას გაუგებარ სიტყვებს. უცხო იყო მათთვის მიწა, რომელზედაც იდგნენ, მტრულად გაწყობილი — ტყე, აქეთკენ მოშტერებული, საზიზღარი — გნიასი ძაღლთა, რომელთა სმენაც მათმა ლოცვამ შეაშფოთა, და მათიანი იყო ოდენ მთოვარე, ამა ქვეყნად დღეს მოვლენილი, ყველას თანაბრად რომ უნათებდა. შინმყოფთ ისევე, როგორც განლტოლვილთ,

გაისმა ომახიანი „ამინ“ და დასრულდა ლოცვა. შემდეგ ხელი ხელს ჩაეჭიდეს, ერთმანეთს უსურვეს ბედნიერი დღე. საქმიანობაში წარმატება, ავადმყოფთა გამომრთელება. მერე დაშორდნენ ერთურთს, თითო-თითოდ წავიდნენ სახლში. შუკებში მიიმალნენ, თავიანთ დაფერდებულ ქოხთა კარს უკან. ერთი ებრაელი ჩამორჩა მხოლოდ, მენდელ ზინგერი.

სულ ორიოდ წუთი გავიდა, რაც თანამგზავრნი განეშორნენ, [illegible] ეგონა, ერთი საათია აქა ვდგავარო. ლაღად, თავისუფლად ამოისუნთქა, გაისეირნა. დაღლა იგრძნო და მიწაზე წამოწოლა მოეხალისა. მაგრამ უცხო გარემომ შეაფიქრა, ვაითუ ქვეწარმავალი იყოსო შემალული სადმე. ითნა გაახსენდა, თავისი გადაკარგული ვაჟიშვილი. ბიჭს ახლა ყაზარმაში ეძინა ალბათ, ან იქნებ საჭინიბოში იწვა თივაზე, ცხენების გვერდით. მეორე ფე, შემარიაჰი ოკეანის გაღმა ცხოვრობდა. ვინ უფრო შორსაა, ითნა თუ შემარიაჰი? სახლში დებორამ უკვე გადააკვარამა დოლარები უთუოდ, მირიამი კი მეზობლებს უყვება ამერიკელის სტუმრობის ამბავს.

ახალქმნილი ნაგაღა მთვარე უკვე ძალუმად განაფენდა ვერცხლისფერ ელიას და ცარგვლის ეხათლეს ვარსკვლავის თანხლებით მიცურავდა ღამეში. ძაღლი იყმუვლებდა ხანდახან და აკროთობდა მენდელს. ყეფა არღვევდა მიწისეულ ჰარმონიას და უარესად აშფოთებდა მჭმუნვარე მენდელს. ხუთიოდ წუთის სავალზე იყო ქალაქის განაპირა სახლს დაშორებული. მაგრამ ეგონა, უსასრულოდ დავშორდიო ებრაელთა საცხოვრისს; საოცრად განმარტოებულს შიში დაეუფლა. მაგრამ ნაბიჯი ვერ გადადგა უკან დასაბრუნებლად. ჩრდილოეთით იბრუნა პირი. აქ ტყე ფოფინებდა ბნელით მოცული; მარჯვენა მხარეს, მრავალი ვერსის მანძილზე ჭაობები გადაშლილიყო. ალაგ-ალაგ მდელოებით დაწყვეტილი. მარცხნივ ყანები იყო ოპალის საბურველდახურული. მენდელის ყურს ქვე, ახლოდან რაღაც ფუსფუსი სწვდებოდა. ადამიანი თუა? ხმები ეცნაურა თითქოს. მერე გააცნობიერა, ეს ხმები კარგა ხანია მესმისო. მიხვდა, ეს იყო ეჭო ადრე გაგონილის, მეხსიერებაში დაუნჯებული. უცებ ჯეჯილმა გაიშრიალა მარჯვენა მხარეს, თუმცა არ იყო ქარი. მოახლოვდა შარიშური და მენდელმა თვალითაც გაარჩია, როგორ ტოკავდა კაცის სიმაღლე თავთავები, თავთავებში რაღაც მოშლიგინებდა; კაცია თუ ვეება მხეცი. ურჩხული? გაქცევა ჯობდა. მაგრამ მენდელმა დაიცადა და სასიკვდილოდ განემზადა. პურის ყანიდან ახლა ვინმე გლეხი გამოტყვრება, ან ჯარისკაცი, მენდელს ქურდობას დააბრალებს და ხელად სიცოცხლეს გამოასალმებს, ქვას დასცემს თავში. თუ მაწანწალაა, ბოროტმოქმედი, კაცისმკვლელი, აბა მოწმეს როგორ დაინდობს.

— ღმერთო დიდებულო! — წაიჩურჩულა მენდელმა და მაშინვე გაიგონა ადამიანთა ხმები. ორნი მოდიოდნენ ყანაში და ამან ჯერ დააშშვიდა ებრაელი, მერე კი [illegible] შიში მოეძალა. ვინ იცის, ეგებ ორივე მკვლელიაო. არ იყვნენ მკვლელები. შეყვარებულთა წყვილი იყო. გოგო ლაქლაქებდა, ყმაწვილი ციონიდა. მიჯნურებმაც ვაითუ ფათერაკს გადაკიდონ, რამდენჯერ მომხდარა. ვაჟი გაცოფებულა. სიყვარულის ქამს თავს რომ წასდგომია ვინმე. მენდელმა დაძლია შიშნარევი ზიზღი ჭია-ღუისა და ფრთხილად დაწვა მიწაზე ისე, რომ მზერა ისევ მოჭანავე თავთავებისაკენ ჰქონდა მიმართული. უეცრად თავთავები გადაიწია. პირველად ვაჟი გამოჩნდა, ფარაჯიანი ჯარისკაცი, მას მუქლურჯი ქუდი ეხურა, დეზებიანი ჩექმები ეცვა, ღილები უბზინავდა, დეზები წყნარად წკრიალებდა. ბიჭის ზურგსუკან ყვითელი მანდილი გამოკრთა, ყვითელი მანდილი, ყვითელი მანდილი, ხმა გაისმა, გოგონას ხმა. ჯარისკაცი მიუბრუნდა. მხრებზე

შემოჰხვია მკლავი; გოგოს მანდილი ჩამოუცურდა; ჯარისკაცი უკან მოსდევდა გოგოს, ხელები მის მკერდს ჰქონდა ჩავლებული და ასე ჩაბღუჯული მიჰყავდა იგი.

მენდელმა თვალები დახუჭა, რომ უკმური უკუნში დანთქმულიყო. ეშინოდა, შემამჩნევენო, თორემ ყურებსაც სიამოვნებით დაიხშობდა, რომ არაფერი გაეგონა. ესმოდა კია საშინელი სიტყვები, ესმოდა დეზებლ[illegible] ხმა, ხმადაბალი, გადარეული ხითხითი და მამაკაცის ხაფი სიცილი. [illegible] ინატრა, ნეტა ერთი ყეფა ყმუილი, გნიასი და ღრენა ატეხონო ძაღლებმა, თორემ პურის ყანიდან კაცისმკვლელები გამოტყვრებიან და ბოლოს მომიღებენო. ხმები თანდათან შორდებოდა. სიჩუმე ჩამოვარდა, მორჩა ყველაფერი, თითქოს არც რა მომხდარიყოს. მენდელ ზინგერი ფიცხლად წამოხტა, ირგვლივ მიმოიხედა. თავისი სერთუკის გრძელი კალთები ორთავე ხელით აიკეცა და ქალაქის მიმართულებით მოუსვა. იქ ფანჯრის დარაბები დახურული დახვდა, თუმც ზოგი ქალი ისევ კარწინ იჯდა, ჭორაობდნენ, მეზობლების აუგს ამბობდნენ. მენდელმა სირბილი შეწყვიტა, რომ ვისიმე ყურადღება არ მიექცია. და სწრაფი ნაბიჯით გაეშურა, სერთუკის კალთები ისევ ხელში ეჭირა. როგორც იქნა, სახლს მიატანა. ფანჯარას მიუკაკუნა. დებორამ გამოაღო ფანჯარა.

— სად არის მირიამი? — იკითხა მენდელმა.

— ისევ სეირნობს, — მიუგო დებორამ, — ველარაფერი აკავებს, დღე და ღამე დაწანწალებს. სახლში ნახევარ საათსაც ველარ ძლებს, ღმერთმა დამწყველა, ოდესმე ვისმე თუ ჰყოლია ამ ქვეყანაზე...

— ხმა გაკმინდე, — გააწყვეტინა ქალს მენდელმა, — სახლში რომ მობრძანდება, მირიამს მოახსენე, რომ მე მოვიკითხე. ჩვალ დილამდე სახლში ვერ მოვალ. დღეს პაპაჩემის, ხალელის გარდაცვალების დღეა. უნდა ვილოცო, — თქვა და განშორდა, ცოლის პასუხს არ დაელოდა.

სამიოდ საათი თუ იქნებოდა გასული, რაც მენდელი გავიდა აქედან და როცა ისევ მიბრუნდა სალოცავში, მოეჩვენა, თითქოს მრავალი კვირის შემდეგ მობრუნდა უკან. თავის სალოცავ მერხს ხელის გადასმით მიესათუთა, გაიხარა მისი კვლავ ხილვით. მერხის თავი გადასწია, თავის დაძველებულ, შავსა და მძიმე ლოცვანს მისწვდა, რომელსაც ხელის შეხებით სცნობდა და სხვა ათასი ასეთივე წიგნიდან უყოყმანოდ გამოარჩევდა; საოცრად ნაცნობი იყო ტყავის გლუვი გარეკანი სტეარინის მრგვალი, წამახული ნაღვენთებით, დიდხნის წინათ დამწვარი სანთლების უამრავი გამყიფებული ნარჩენით, დაცინცხული ქვედა კუთხეები ფურცლებისა, გაყვითლებული, გამოხილი ფოლიოები, სამფად მიგრეხილ-მოგრეხილი ათეული წლის განმავლობაში დანერწყვილი თითით გადაფურცვლის გამო. მენდელს შეეძლო მყისვე გადაეშალა ლოცვა, რომელიც იმჟამად სჭირდებოდა. მის მეხსიერებაში ფორმის უნატიფესი ნიუანსებით აღბეჭდილიყო ლოცვის სტრიქონთა რაოდენობა, ნაბეჭდის რაგვარობა და ზომა, გვერდების ფერთა ტონალობის ნარუგვარობა.

ირიჟრაჟა. მაგრამ სალოცავში აღმოსავლის კედელთან, კარადისა და თორას გრაგნილების სიახლოვეს ანთებული სანთლების მოყვითალო შუქი სიბნელეს კი ვერ ერეოდა, არამედ თითქოს თავს აფარებდა მას. ფანჯრებიდან გამოჩნდა ცა და ორიოდ ვასკვლავი, ინტერიერშიც ყველა ნივთი გამოიკვეთა — მერხები, მაგიდა, იატაკზე გაბნეული ქაღალდის ნაკუწები, კედელზე დამაგრებული კანდელაბრები, ოქროსფერფოჩიანი ხუფებით. მენდელ ზინგერმა ორი სანთელი აანთო, მერხის შიშველ ფიცარზე დაამაგრა ისინი, თვალები დახუჭა და

ლოცვა დაიწყო. თვალდახუჭული ჰყოფდა გულისხმას, სად თავდებოდა გვერდი და ანგარიშმიუცემლად ფურცლავდა ლოცვანს. ტანი თანდათან აჰყვა ჩვეულ რიტმულ რხევას, მთელი სხეული ჩაერთო ლოცვაში, ფეხებს იატაკზე აფრატუნებდა, მუშტად შეკრულ ხელებს ჰაერში აქნევდა და ეროსავით ეოტყამდა მერხს, ლოცვანსა და საკუთარ მკერდს. იქვე ღუმელის თავზე ~~[illegible]~~ ბრიელს ეძინა. მისი სუნთქვა მენდელ ზინგერის მონოტონური ~~[illegible]~~ იყო და მოძახილიც თითქოსდა ყვითელ უდაბნოში აღვლენილი მხურვალე ლოცვისა, დაკარგული, სიკვდილთან წილნაყარი ვედრებისა. საკუთარმა ხმამ და მეზობელ კაცის სუნთქვამ გააბრუა მენდელი, აზრები დაუფანტა და იგი ალარას წარმოადგენდა. თვინიერ მლოცველისა. მისი სიტყვები ზეცისაკენ მიემართებოდნენ და იგი ჭურჭელი იყო ოდენ დაცლილი, ანთუ ძაბრი. ამგვარი ლოცვით შეეგება მენდელი დილას.

დღის სუნთქვა მოსწვდა ფანჯრებს. სანთლის შუქი გაიცრიცა, გაფერმკრთალდა. დაბალი სახლების მიღმა გამოჩნდა ამომავალი მზე, რომელმაც წითელი ალით შეღება ორი ფანჯარა სამლოცველოს აღმოსავლეთ კედელზე. მენდელმა ხელით დააჭრო სანთლები, ლოცვანი შეინახა, თვალი გაახილა და გასასვლელისაკენ გაეშურა. გარეთ გავიდა. ზაფხულის სუნი ტრიალებდა, დამშრალი ჭაობების ოხშივარი და ხასხასა სიმწვანის ამბრი. ფანჯრის დარაბები ისევ დახშული იყო. ხალხს ეძინა.

მენდელმა სამჯერ დააკაკუნა საკუთარ კარზე. თავს ისე მხნედ გრძნობდა, ვითომ უსიზმრო და ხანგრძლივი ძილით გამოეძინოს. უკვე მტკიცედ გადაწყვიტა რასაც იქმოდა. დებორამ გაუღო კარი.

— ჩაი გამიმზადე ერთი, — უთხრა მენდელმა, — მერე რაღაცას გეტყვი. მირიამი სახლშია?

— რა თქმა უნდა, — მიუგო დებორამ, — აბა სად იქნება, იქნებ ამერიკაში გეგულვის უკვე?

სამოვარი აშიშინდა ,დებორამ ჭიქა დაორთქლა და გააკრიალა. მერე ისხდნენ დებორა და მენდელი და დინჯად, მომრგვალებული ტუჩებით წრუპავდნენ ჩაის. უცებ მენდელმა ჭიქა გადადგა და თქვა:

— ამერიკაში უნდა გავემგზავროთ. მენუხიმს დავტოვებთ, მირიამს თან წავიყვანთ. აქ რომ დავრჩეთ, უბედურება დატრიალდება ჩვენს თავს.—დადუმდა და მცირე ხნის შემდეგ ხმადაბლა დასძინა: — ყაზაკს გადაჰკიდებია მირიამი.

დებორას ხელიდან გავარდნილმა ჭიქამ წკრიალი მოიღო იატაკზე. კუთხეში მირიამს გაეღვიძა და ძილით გათანგული მენუხიმიც შეკრთა. შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა. უთვალავი ტოროლა გალობდა სახლის თავზე, ცისქვეშ.

მზემ ფანჯრის სხივის ელვა სტყორცნა და თუნუქის სამოვარი აბურცულ სარკესავით ააკაშკაშა.

ასე დაიწყო დილა.

7

დუბნოში ზამთშკინის დროგით შეიძლება წასვლა, მოსკოვში — რკინიგზით. ამერიკაში წამსვლელს გემი სჭირდება, ჰოდა, კიდევ საბუთები, საბუთებს კი დუბნოში იძლევიან.

ამიტომ გაეშურა დებორა ზამეშკინთან. ამჯერად აღარ დახვდა ზამეშკინი ღუმელის თავზე დასკუპებული. სახლში არ ბრძანდებოდა. ხუთშაბათობით ლო-

რებს ყიდიან ბაზარზე, ზამეშკინი ერთი საათი მაინც დაყოვნდება იქ.

დებორა ბოლთას სცემს ზამეშკინის ჭოხის წინ და ფიქრით უკვე ამერიკაშია.

ერთი დოლარი უფრო მეტია, ვიდრე ორი მანეთი, მანეთში ასი კაპიკია, ორი მანეთი ორას კაპიკს შეადგენს, ღმერთო ჩემო, რამდენი [illegible] ერთი დოლარი? აწ რამდენ დოლარს გამოგვიგზავნის შემარიამი? [illegible] ქვეყანაა ამერიკა.

მირიამი კაზაკს გადაჰკიდებია, რუსეთში კი ბატონო, მაგრამ ამერიკაში კაზაკები არ არიან. რუსეთი დარდიანი ქვეყანაა, ამერიკა თავისუფალი ქვეყანაა, მხიარული ქვეყანა. მენდელი მასწავლებელი კი აღარ იქნება. მდიდარი ვაჟის მამა იქნება იქ.

გავიდა ერთი საათი, ორი, და მესამე საათის დასასრულსღა მოესმა დებორას ზამეშკინის ლურსმნებით დაჭედილი ჩექმების ჩქამი.

მოსაღამოვდა, მაგრამ ისევ ცხელა. გადახრილი მზე უკვე გაყვითლდა, მაგრამ გაცლას აღარ აპირებს, ძალიან ნელა ჩადის. დებორას ოფლი გადასდის სიცხისა, აღელვებისა და ათასი უჩვეულო აზრისაგან.

ახლა ,ზამეშკინი რომ მიუახლოვდა, უარესად დასცხა. მედროგეს დათვის ტყავის ქუდი ახურავს, ბანჯგვლიანი ,ალაგ-ალაგ ქეცით გამოჭმული, ტურტლიანი ტილოს შარვალი მძიმე ჩექმებში ჩაუტანებია, წელზეც ბეწვის სარტყელი აკრავს და ოფლი მაინც არ გამოსდის.

თვალი რომ ჰკიდა, დებორამ ყნოსვითაც მყისვე იგრძნო მოსული, — იგი არყის სუნად ყარდა. გაუჭირდა ქალს მისი დათათბირება. ზამეშკინს აბა როდის შეისწრებ ფხიზელს. ორშაბათს დუბნოშია ღორების ბაზარი. ვერაფერი ამბავია, რომ აქვე მოითავა ზამეშკინმა ღორის ბაზრობა, ახლა საბაბი აღარ ექნება ღუბნოში წასვლისა და მგზავრობის ფულს გამოართმევს.

დებორამ უყელა ზამეშკინს და წინ დაუდგა. ზამეშკინი ბარბაცებს, მძიმე ჩექმები თუ აკავებს, რომ არ დაეცეს. კიდევ კარგი, რომ ფეხშიშველა არ არის, — ზიზღნარევმა ფიქრმა გაკენწლა დებორა.

ზამეშკინმა ვერ იცნო ქალი, რომელმაც გზა გადაუჭრა.

— დედაკაცებო, გამეცალეთ! — იყვირა და დასარტყმელად, თუ წასავლებად აიქნია ხელი.

— ეს მე ვარ! — შეუთამამდა დებორა, — ორშაბათს დუბნოში წამიყვანე!

— ღმერთმა გიშველოს! — გაუხარდა ზამეშკინს. იგი შეჩერდა და იდაყვი დააყრდნო დებორას მხარზე. ქალი შიშით გაირინდა ,ზამეშკინი არ წაიქცესო.

ზამეშკინი კაი სამოცდაათ კილოს იწონის, მთელი თავისი წონით იგი ახლა იდაყვს აწვება და ეს იდაყვი დებორას მხარზეა დაყრდნობილი.

უცხო კაცთან მის დღეში არ ყოფილა ასე ახლო, გული ელევა, მაგრამ თავს იმშვიდებს, ბებრუხუნა ვის რად ვუნდივარო. ახლა მირიამის კაზაკიც გაახსენდა და ისიც, მენდელი ამდენ ხანს რომ არ ვაჰკარებია.

— ჰო, ჩემო ტკბილო, — ეუბნება ზამეშკინი, — წავიდეთ ორშაბათს დუბნოში და ერთად დავწვეთ გზაში.

— ფუი, შე ბებერო, — ეუბნება დებორა, — ამას შენს ცოლს მოვახსენებ, გამომტყვრალხარ და რაღაცას ბოშავ.

— არაფერიც არ გამოვმტყვრალვარ, ისე კი ჩავცეცხლე ბლომად. აბა დუბნოში რა გინდა, თუ ზამეშკინთან დაწოლას არ აპირებ.

— საბუთები უნდა გავამზადებინო, — ეუბნება დებორა, — ამერიკაში მივდივარ.

— დროგი ოცდაათი კაპიკი დაგიჯდება, თუ დამიწვები, — და თუ არა — ორმოცდაათი. გაგიკეთებ ბავშვს და გაგაჩინე მერე ამერიკაში ზამეშკინს სამახსოვროდ.

ᲥᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲘᲒᲚᲘᲠᲘᲡᲨᲕᲘᲚᲘ

ქრქოლამ აიტანა დებორა იმ სიცხეში.

წუთიერი დუმილის შემდეგ მიუგო:

— არ დავწვები შენთან და ოცდათხუთმეტ კაპიკს გადაგიხდი.

ზამეშკინი უცაბედად განერიდა, იდაყვი მოაშორა დებორას მხარს, თითქოს გამოფხიზლდა.

— იყოს ოცდათხუთმეტი! — მიუგო მჭისედ.

— ორშაბათ დილას, ხუთ საათზე.

ზამეშკინმა ეზოში შეაბოტა, დებორა კი ნელა გაუყვა სახლის გზას.

მზე ჩაესვენა. ქვენაქარმა დაუბერა, ისფერი ღრუბლები ფენა-ფენა დალაგდა ჰორიზონტზე. ხვალ გაწვიმდებაო, გაიფიქრა დებორამ და რევმატული ტკივილი იგრძნო მუხლებში, კარგა ხნის შემოჩვეული და თითქოს გათავისებული. ბერდება. ქალები უფრო ადრე ბერდებიან, ვიდრე მამაკაცები. ზამეშკინი მისი კბილაა, ცოტა უფროსიც კია. მირიამი ახალგაზრდაა და ამიტომაც დაბრძანდება კაზაკთან.

სიტყვა „კაზაკი“ ხმამაღლა წარმოთქვა ქალმა და თავადვე შეშინდა. თითქოს ნათქვამმა შეაგნებინა, რაოდენ სახიფათო იყო შექმნილი ვითარება. სახლში თავისი ქალიშვილი — მირიამი და ქმარი — მენდელი დახვდა. მაგიდას უსხდა მამა-ქალიშვილი და ჯიუტად დუმდა. შესვლისთანავე იგრძნო დებორამ, კარგა ხანს რომ გრძელდებოდა ეს დუმილი, მათთან გაშინაურებული.

— ზამეშკინს მოველაპარაკე, — დაიწყო დებორამ. — ორშაბათს, უთენია, დილის ხუთ საათზე წავალ დუბნოში საბუთების მოსაგვარებლად. ოცდათხუთმეტი კაპიკი ითხოვა. — მერე ქედმაღლობის ეშმა შეუჩნდა ქალს და დასძინა: — ასე იაფად მხოლოდ მე დავყავარ!

— მარტო შენ რას გახდები, — დაღლა და შეშფოთება დაეტყო კილოზე მენდელ ზინგერს. — რამოდენიმე ებრაელს ვესაუბრე, ვინც ერკვევა ამეებში. მითხრეს, შენ თვითონ უნდა გამოცხადდე ურიადნიკთანო.

— შენ და ურიადნიკი?

მართლაც ძნელი წარმოსადგენი იყო მენდელ ზინგერი სადმე დაწესებულებაში. თავის სიცოცხლეში ხმა არ გაუცია ურიადნიკისათვის, პოლიციელის დანახვაზე კანკალი აუვარდებოდა ხოლმე. ფორმის ტანსაცმლიან კაცს, ცხენსა და ძაღლს სათოფეზე არ ეკარებოდა. ხოდა, მენდელს უნდა ეთათბირა ურიადნიკთან?

— მოდი, ნუ ჩაერევი, რამე არ გააფუჭო. მე მოვაგვარებ ყველაფერს!.

— ასე მითხრა ყველა ებრაელმა. უნდა პირადად გამოცხადდეო, — შეესიტყვა მენდელი.

— მაშინ ერთად წავიდეთ ორშაბათს!

— მენუხიმს რა ვუყოთ?

— მირიამს დავუტოვოთ!

მენდელმა ცოლს შეხედა. ლამობდა მისი მზერა დაეჭირა, ქუთუთოთა მიღმა შიშნეულად შეფარული. მაგიდის კუთხეში მოკალათებული მირიამი მამის გამომეტყველებას აკვირდებოდა. გული აუჩქროლდა გოგოს. ორშაბათს პაემანი

აქვს დანიშნული. პაემანი აქვს ორშაბათს დანიშნული. შემოდგომის მიწურული ეშურება, ყოველდღე დარბის. მიმწუხრისას იფურჩქნება მისი სიყვარული მაღალ თავთავთა შორის. ეშინია მირიამს მოსავლის აღებისა. უკვე რამდენჯერმე მოჭრა ყური, როგორ ემზადებოდნენ გლეხები, ნამგლებს ლესავდნენ ლურჯი ერბოქვით. სადღა წაესვლება, მინდვრები რომ გადატეხილ[illegible] ამერიკაში გადასახლდება. ბუნდოვნად წარმოუდგენია თავისუფალი [illegible] ამერიკაში, მაღალ სახლებში ნაკლებად როდი დაიმალები, ვიდრე პურის ყანაში. ეს ამშვიდებდა მირიამს ალოობის წინა ხანებში. დაუწყიათ კიდეც მკა; დროს ველარ დაკარგავს. სტეფანე უყვარს. ყველა მამაკაცი უყვარს გოგოს, ქალიშვილი ეძვეთება მათი არსებიდან, მათი უშველებელი ხელი სათუთად მოუთათუნებს და ცეცხლს დაანთებს ხოლმე მის გულში. სტეფანე ჰქვიათ ბიჭებს. ივანე და ვსევოლოდი. ამერიკაში კიდევ მეტია მამაკაცი.

— მარტო არ დავრჩები სახლში — განაცხადა მირიამმა. — მეშინია!

— ერთი კაზაკი მოვგვაროთ სახლში, რომ უდარაჯოს, — გაისმა მენდელის ხმა.

მირიამი გაწითლდა. კუთხეში, ჩრდილში იჯდა, მაგრამ მაინც იფიქრა, მამამ შეამჩნია ჩემი აჭარხალებული სახეო, სიბნელეში ალბათ გამოკრთა წითელი ლამპარივით აპრიალებული სახე. ქალიშვილმა ხელი აიფარა სახეზე და ცრემლი წასკდა.

— გარეთ გადი! — უთხრა დებორამ. — უკვე გვიანია, დაკეტე დარაბები! — თვალებზე ხელაფარებული გოგო გარეთ გაიძურწა, რომ გავიდა, წამით შეჩერდა. ცაზე უამრავი ვარსკვლავი დამსხდარიყო. ახლონი იყვნენ და ცოცხლები, თითქოს მირიამს ელოდებოდნენ სახლის წინო. ოქროსფრად ბზინავდნენ მთიებნი და დიდი, თავისუფალი სამყაროს ციალს, ამერიკის ლაზათს აირეკლავდნენ. ვით პაწია სარკეები.

ფანჯარასთან მივიდა, შეიხედა და მშობლების სახისმეტყველებას დააკვირდა, ნეტავ რას ამბობენო. ვერაფერი გაიგო. ღია დარაბების ფიცარში ჩამაგრებული რკინის კაუჭები გამოაძრო და ორთავე ფრთა კარადასავით დახურა. კუბო წარმოიდგინა. თითქოს მშობლები დამარხა იმ პატარა სახლში და მის გულს მწუხარების ნატამალიც კი არ გაჰკარებია. დამარხულ არიან მენდელ და დებორა ზინგერები. ეს უკიდეგანო ქვეყანა კი ცოცხლობს. ცოცხლობენ სტეფანე, ივანე და ვსევოლოდი. ცოცხლობს ამერიკა თვალგადაუწვდენელ წყალთა მიღმა, მრავალსართულიანი სახლები და მილიონობით მამაკაცი.

სახლში შებრუნებულ მირიამს მამის, მენდელ ზინგერის ხმა მოესმა:

— დარაბების დახურვის თავიც არა აქვს, ნახევარი საათია აცოდვილებს!

მენდელმა ამოიოხრა, წამოდგა და კედელთან მივიდა, საცა ნავთის ლურჯმუცლიანი პატარა ლამპა ეკიდა გაჭვარტლული. ლამპა ყანგიანი მავთულით იყო მიბმული მრგვალ, გაბზარულ სარკეზე, რომელსაც მკრთალი სინათლის მუქთად გაძლიერება ევალებოდა. ლამპის შუშა მის თავზე მაღლა იყო და მენდელი ვერ მიწვდა, რომ ჩაებერა. ფეხის წვერებზე შედგა, უბერავდა. პატრუქი კი უფრო პარპალებდა და კრთოდა.

ამასობაში დებორამ ცვილის პატარა სანთელი აანთო და აგურის ღუმელზე შემოდგა. მენდელ ზინგერი ხვნეშით აბობღდა საკარძელზე და როგორც იქნა ჩააქრო ლამპა. მირიამი კუთხეში მიწვა მენუხიმის გვერდზე. იგი დაბნელებას ელოდა, რომ ტანთ გაეხადა. სუნთქვაშეკრული, თვალდახუჭული უცდიდა. როდის დაამთავრებდა მამა თავის ღამეულ ლოცვას. მერე დარაბის მრგვალი-ჭუჭ-

რუტანებიდან უყურებდა ლურჯსა და ოქროსფერ ციალს ღამისა. ტანთ გაიხადა და ძუძუებზე მოისვა ხელი; ეტკინა. კანს მოგონება შერჩენია საკუთარი, ყოველ ნასვრეტს შემოუნახავს სითბო მამაკაცის უშველებელ, უხეშ ხელების. ქალის ყნოსვასაც საკუთარი, წარუშლელი აქვს სახსოვარი, ერთგულად. ტანჯვით შემოუნახავს მამაკაცის ოფლის, არყისა და იუხტის სუნი. [illegible] ხვრინვა და მენუხიმის ბროტინი გაიგონა. პერანგისამარა წამოდგა [illegible] მკერდზე გადმოიწყო მსხვილი ნაწნავები, თეძოებამდე რომ წვდებოდა, რაზე გადაწია და ფეხშიშველა გავიდა გარეთ, უცხო ღამეში. ღრმად შეისუნთქა და მოეჩვენა, რომ ღამე მთლიანად შთანთქა, ცაზე მოკამკამე ყველა ვარსკვლავი გადასანსლა. ბაყაყები ყიყინებდნენ და ჭრიჭინები ჭრიჭინებდნენ, ცის კიდეს სამხრეთაღმოსავლით ვერცხლის განიერი ზოლი გადაეკრა. თითქოსდა დილის მაუწყებელი. მირიამს პურის ყანა გაახსენდა, თავისი საქორწინო სარეცელი. სახლს გარს შემოუარა. შორით დალანდა ყაზარმის თეთრი, მაღალი გალავანი. იქიდან ორიოდ მკრთალი შუქი შემოეგება მირიამს. იქ, ყაზარმაში ეძინათ სტეფანეს, ივანეს, ვსევოლოდსა და ბევრ სხვა ვაჟკაცს.

ხვალ პარასკევია. შაბათისათვის ყველაფერი მზად უნდა იყოს, — გუფთა, თევზი და ქათმის ნახარში. ცხობა დილის ექვსი საათიდან იწყება... ვერცხლის განიერ ზოლს სიწითლემ რომ გადაჰკრა, შემობრუნდა მირიამი სახლში. ველარ დაიძინა გოგომ, შეეგება დარაბის ჭუჭრუტანაში შემოჭრილ პირველ სხივს მზისას. დედა და მამა ძილფხიზლობდნენ. მობრძანდა დილა... შაბათიც გავიდა. კვირა დღე მირიამმა სტეფანესთან გაატარა, პურის ყანაში. შემდეგ ქალ-ვაჟი შორს წავიდა, მეზობელ სოფელში და იქ მირიამმა არაყი დალია. მთელი დღე დაეძებენ შინაურები, დადგნენ და ეძებონ! საშური ეს ცხოვრება. მოსავალი კარზეა მომდგარი. ტყეში ერთხელ კიდევ დაუწვა სტეფანეს. ხვალინდელ ორშაბათს მამა დუბნოს მიემგზავრება საბუთების მოსაგვარებლად.

ორშაბათს უთენია, ხუთ საათზე ადგა მენდელ ზინგერი. ჩაი დალია, ილოცა. მსწრაფულ მოიშორა სალოცავი ქამარი და ზამეშკინს მიაშურა. შორიდანვე მიაგება „დილა მშვიდობისა". მენდელ ზინგერს ეგონა, მოხელესთან მოლაპარაკება აქვე იწყებაო, ზამეშკინის დროგზე, ამიტომაც ზამეშკინს ისეთივე მოწიწებით უნდა მივესალმო, როგორც ურიადნიკსო.

— შენს ცოლთან მერჩივნა მგზავრობა, — უთხრა ზამეშკინმა. — თვალადი ქალია თავისი ასაკისათვის, გულმკერდი აქვს გადასარევი.

— წავიდეთ! — უთხრა მენდელმა.

ცხენებმა დაიჭიხვინეს და გავებს კუდი გაუტლაშუნეს.

— ჰეი! ვიო! — შეუძახა ზამეშკინმა და მათრახი გადაუჭირა ცხენებს.

დუბნოში დილის თერთმეტ საათზე ჩავიდნენ. მენდელს ლოდინი დასჭირდა. ჭუდმოხდილმა შეაბიჯა დიდ პორტალში, დარაჯს ხმალი ეკიდა.

— საით მიდიხარ? — ჰკითხა დარაჯმა.

— ამერიკაში. ვის მივმართო?

— შენი სახელი?

— მენდელ მეხელოვიჩ ზინგერი.

— ამერიკაში რა დაგრჩენია?

— მიჭირს. ფული მინდა ვიშოვნო!

— შენ ორმოცდამერვე ოთახში წახვალ, — უთხრა დარაჯმა. — იქ ბევრნი იცდიან უკვე!

მთხოვნელები თაღოვან, გრძელ დერეფანში იცდიდნენ, რომელიც ყვით-

ლად იყო შეფეთქილი. ცისფერფორმიანი მოხელეები დარაჯობდნენ კარებებს. კედლების გასწვრივ ჩარიგებული ყავისფერი მერხები ხალხით იყო გაჭედილი. როგორც კი ახალი ვინმე გამოჩნდებოდა, ცისფერი კაცები ხელით ანიშნებდნენ. ყველა ჩაიჩოჩებდა და ახალმოსული დაჯდებოდა. თამბაქოს ეწეოდნენ, იფურთხებოდნენ. გოგრის თესლს აკნაწუნებდნენ და ხვრიტავდნენ. დღე არ დღეობდა. დერეფანში, ფანჯრის რიისფერი მინის ზემო მხრიდან შემოსული შუქით თუ მიხვდებოდი, რომ დღე იყო, საიდანღაც მოისმოდა საათების ტაკა-ტუკი. საათები კი მისდევდნენ ფეხდაფეხ დროს, მაგრამ აქ ,ამ მაღალ დერეფანში დრო შეჩერებული იყო. ცისფერფორმიანი კაცი დროდადრო ვინმეს გამოიძახებდა ხოლმე; მოვლემარენი შეიშმუშნებოდნენ, გამოძახებული წამოდგებოდა, კართან მიფრიტუნდებოდა, ტანსაცმელს გაისწორებდა და შევიდოდა რომელიმე ორფრთიან კარში, რომელსაც ჩვეულებრივი კი არა, არამედ თეთრი, მრგვალი სახელური ჰქონდა. მენდელი დაფიქრდა, როგორ მოვეჭიდო ამ სახელურს, რომ კარი გავაღოო. შემდეგ წამოდგა, დიდხანს იჯდა ხალხში ჩაჭედილი და სახსრები ასტკივდა. ადგომა იყო და ცისფერფორმიანი მიეჭრა და უყვირა: „სიდაი!“ — დაჯექიო. მენდელმა დასაჯდომი ველარ იპოვა და მერხის გვერდით აიტუზა. კედელს აეკრა და იხატრა, ნეტავ ამ კედელივით ბრტყელი ვიყოო.

— ორმოცდარვა ნომერს ელოდები? — ჰკითხა ცისფერმა.

— დიახ, — მიუგო მენდელმა, დარწმუნებულმა, ახლა აქედანაც გამაგდებენო. ისევ დებორას მოუწევს აქ ჩამოსვლა. ორმოცდაათი კაპიკი და ორმოცდაათი კაპიკი ხომ მანეთს შეადგენს.

ცისფერფორმიანი, ეტყობა, არ უპირებდა მენდელ ზინგერს შენობიდან გაძევებას. ისლა უნდოდა, რომ ყველა მთხოვნელი დამჯდარი ყოფილიყო. ფეხზე რომ წამოდგება კაცი, ვინ იცის, ეგებ ბომბის სროლა მოეპრიანოს.

ანარქისტები ხანდახან გადაცმულნი დაიარებიანო, გაიფიქრა კარის მცველმა და ხელის დაქნევით თავისთან მიიხმო მენდელ ზინგერი, გაჩხრიკა ებრაელი და საბუთები მოჰკითხა. რაკი სადავო ვერაფერი უპოვა და მენდელსაც ადგილი აღარ ჰქონდა დასაჯდომი, უთხრა:

— მისმინე! მინის კარს ხედავ? აის გააღე .იქაა ორმოცდამერვე ნომერი!

— აქ რა გიხდა? — დაუყვირა საწერ მაგიდასთან მჯდომმა ფართო მხარბეჭიანმა მოხელემ. იგი ზუსტად სურათის ქვეშ იჯდა. იგი თითქოს მხოლოდ ულვაშების, მოტვლეპილი თავის, ეპოლეტებისა და ღილებისაგან შედგებოდა. მარმარილოს განიერი სამელნის მიღმა ნატიფ ქანდაკს ჰგავდა მოხელე.

— ვინ დაგრთო ნება, რომ დაადე თავი და შემოხვედი, ვის შეეკითხე? — მოისმა ღრიალი ქანდაკიდან.

მენდელ ზინგერმა მდაბლად დახარა თავი. ამგვარ შეხვედრას არ ელოდა. მოიხარა და მეხი ზურგზე გადაატარა, დამცრობა, მიწაზე გართხმა მოინდომა, თითქოს ტრიალ მიხდორში ჰექა-ქუხილი დაატყდა თავს. სერთუკის გრძელი კალთები გაეშალა და მოხელემ მენდელ ზინგერის გაცრეცილი შარვლის ნაკეცსა და გაცვეთილი ჩექმის ყელს მოჰკრა თვალი. ამ სანახაობამ მოალბო მოხელე.

— ახლო მოდი! — უბრძანა და მენდელიც თავდახრილი წამოვიდა, თითქოს საწერ მაგიდას თავით უნდა დაეძგეროსო. ხალიჩის კიდე რომ შენიშნა, მაშინღა ასწია თავი ოდნავ. მოხელეს გაეღიმა და უთხრა:

— მოიტა ქაღალდები!

შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა. ისმოდა საათის ტაკატუკი. ყალუზებში იჭრე-

ბოდა გვიანი საღამოს ოჭროსფერი შუქი. ისმოდა ქაღალდების შარიშური. მოხელე წამით ფიქრმა წაიღო, სივრცეს დააშტერდა და უცებ ხელით ბუზი დაიჭირა. გააჩერა უზარმაზარ მუშტში პაწია მწერი. შემდეგ ხელი გაშალა. მჯილი. სათითაოდ დააგლიჯა ბუზს ფრთები და მცირე ხანს უყურებდა. ოთახში მიცოცავდა საწერ მაგიდაზე დასახიჩრებული.

— განცხადება? — მოულოდნელად იკითხა მოხელემ. — ... განცხადება?

— მე წერა არ მეხერხება, თქვენო კეთილშობილებავ, — მოიბოდიშა მენდელმა.

— მეც ვიცი. შტერო, რომ წერისა არაფერი გაგეგება. სკოლის მოწმობას კი არა გთხოვ, არამედ განცხადებას. აბა, რადა გვყავს მწერალი, ჰა? პირველ სართულზე, ჰა? მესამე ოთახში, ჰა? რატომ ინახავს სახელმწიფო მწერალს? შენთვის. შე ვირო. შენა. წერა-კითხვის უცოდინარო. აბა მოუსვი მესამე ოთახში! განცხადება დააწერინე. უთხარი, რომ მე გაგზავნი, რათა არ გალოდინონ და მაშინვე მოგხედონ. მერე ჩემთან მოხვალ, ოღონდ ხვალ! ბოდა, ხვალ საღამოსვე შეძლებ გამგზავრებას.

ერთხელ კიდევ დახარა თავი მენდელმა. უკან-უკან წავიდა, ვერ გაბედა მოხელისათვის ზურგი ექცია, უსასრულო ეჩვენა გზა საწერი მაგიდიდან კარამდე. ეგონა, მთელი საათია მოვდიეარო. ბოლოს იგრძნო კარის სიახლოვე. სწრაფად მიბრუნდა, სახელურს ჩაეჭიდა, ჯერ მარცხნივ გადასწია, მერე მარჯვნივ და კიდევ ერთხელ დაუკრა თავი მოხელეს. როგორც იქნა, გამოაღწია დერეფანში.

მესამე ნომერ ოთახში უბრალო მოხელე იჯდა, უეპოლეტო. იმ ჭერდაბალ, დახუთულ სათავსოში ხალხი შემოჯარულიყო მაგიდის გარშემო. მწერალი წერდა და წერდა. კალამს გაავებით უკაკუნებდა სამელნის ფსკერს, ცოცხლად წერდა, მაგრამ საქმეს ვერ აუდიოდა. მოდიოდნენ და მოდიოდნენ ადამიანები. მენდელი შესვლისთანვე შეამჩნია მწერალმა.

— თქვენო უკეთილშობილესობავ, ორმოცდამერვე ოთახიდან გამომგზავნა თქვენთან ბატონმა, — თქვა მენდელმა.

— მოდი, — მიუგო მწერალმა.

მენდელს გზა დაუთმეს.

— ბეჭდისათვის ერთი მანეთი, — უთხრა მწერალმა.

მენდელმა ცისფერ ცხვირსახოცში გამოკრული ფულიდან მანეთი ამოიღო, ლითონის ბრიალა მანეთიანი. არ გამოართვა გადამწერმა მონეტა, სულ მცირე ორმოცდაათ კაპიკს ელოდა კიდევ. მენდელმა ვერაფერი გაიგო ამ აშკარა მინიშნებისა.

ახლა კი გაბრაზდა მწერალი.

—ეს არის ქაღალდები? ეს ნაფლეთები? ხელში შემოადნება ყაცს! — და ვითომ უნებლიეთ გაეხა ერთი საბუთი. ორ ტოლ ნაწილად გახეული ქაღალდი აიღო და გუმიარაბიკით დაუწყო დაწებება. წებო გამხმარიყო და მოხელემ ჩააფურთხა შუშაში. შემდეგ დაორთქლა. მაგრამ მაინც ვერ გაალხო. უცბად თავში ერთმა აზრმა გაუელვა. იქ მყოფნი მიხვდნენ, რასაც აპირებდა. თავისი უჯრა გამოსწია. შიგ ზინგერის ქაღალდებს ჩაუძახა და ისევ მიხურა. დასტიდან პატარა მწვანე ქაღალდი გამოაძრო, ზედ ბეჭედი დაუსვა. მენდელს გაუწოდა და უთხრა:

— იცი, რას გეტყვი. ხვალ დილით მოდი ჩემთან ცხრა საათზე! მარტონი

ვიქნებით და შევძლებთ მშვიდად მოვილაპარაკოთ. შენი საბუთები აქ დარჩება ჩვენთან. ხვალ დაგიბრუნებ. აი, ამ ქალალდს აჩვენებ დარაჯს!

მენდელი წავიდა. ზამეშკინი გარეთ ელოდებოდა ცხენების სიახლოვეს ქვაზე დასკუპებული. ჩამავალი მზე საღამოს მოახლოებას იუწყებოდა.

— ხვალამდე უნდა დავიცადოთ, — უთხრა მენდელმა [illegible] ხათისათვისა ვარ აქ დაბარებული.

ბიბლიოთეკა

მენდელმა სალოცავს დაუწყო ძებნა ღამის გასათევად. ერთი პური იყიდა, ორი ხახვი და ჯიბეში ჩაიდო. გზად მომავალი ვინმე ებრაელი გააჩერა. სალოცავის გზა მასწავლეო.

— ერთად წავიდეთ, — მიუგო ებრაელმა.

გზადაგზა მენდელმა თავისი განზრახვა გაანდო მეგზურს.

— ჩვენთან სალოცავში ერთ კაცს ნახავ, რომელიც საქმეს თავიდან ბოლომდე მოაგვარებს. უკვე მრავალი ოჯახი გაისტუმრა ამერიკაში. იცნობ კაპტურაკს?

— კაპტურაკს? რა თქმა უნდა! მან ჩემი ვაჟი გაამგზავრა.

— ეველი მუშტარი მოვიდა! — შემოეგება კაპტურაკი. შემოდგომის მწუხრულს იგი დუბნოში საქმიანობდა, სალოცავებში ტრიალებდა.

— მაშინ შენი ცოლი იყო ჩემთან. შენი ვაჟიც დღემდე მახსოვს. კარგად მოეწყო, არა? ბედნიერი ხელი აქვს კაპტურაკს!

გამოირკვა, რომ კაპტურაკი მზად იყო თავს ედო ეს საქმე. კაცის თავზე თუმანს მოითხოვდა წინასწარ. მენდელმა ვერ შეძლო ბედ თუმანი მიეცა. კაპტურაკმა იპოვა გამოსავალი. შემარიაპის მისამართი გამოართვა. ოთხი კვირის შემდეგ პასუხსაც მიიღებს და ფულსაც, თუ ვაჟიშვილი ნამდვილად ფიქრობს ამერიკაში ჩაიყვანოს თავისი მშობლები.

— ეგ მწვანე ბარათი, ამერიკიდან მიღებული წერილი დამიტოვე და დანარჩენი ჩემზე იყოს. — ირგვლივ შემოჯარულმა ხალხმაც დაუკრა კვერი. — დღესვე გაბრუნდი სახლში, რამდენიმე დღეში შემოგივლით. ენდე კაპტურაკს!

ორიოდ დამსწრემ გაიმეორა:

— ენდე კაპტურაკს!

— ჩემი ბედი, რომ აქა გნახეთ! — უთხრა მენდელმა. ყველამ სათითოდ ჩამოართვა ხელი და გზა დაულოცა. მენდელი ბაზრის მოედნისკენ გაბრუნდა, საცა ზამეშკინი ელოდებოდა. ზამეშკინი ის იყო დროგზე დაწოლას აპირებდა დასაძინებლად.

— ეშმაკიც ვერ გაიგებს ებრაელის ასავალ-დასავალს! — ჩაილაპარაკა ზამეშკინმა. — კარგი ბატონო, წავიდეთ!

გაუდგნენ გზას.

ზამეშკინმა ალვირი მაჯაზე დაიხვია, გაემზადა თვალის მოსატყუებლად და სულ მალე ჩასთვლიმა კიდეც. უეცრად ცხენები დაფეთდნენ — საფრთხობელას სილუეტი დალანდეს. ვილაც ყალთაბანდს, ეტყობა, ყანიდან გამოეთრია იგი და გზისპირ აღემართა. გაქანდნენ ცხენები, გაფრინდა, ლამის ჰაერში გაფრიალდა დროგი. მენდელის გულსაც ისეთი ბაგაბუგი გაჰქონდა, თითქოს მკერდიდან ამოხტომას და შორს გაფრას ლამობსო.

ანაზდად ხაფი გმინვა ამოხდა ზამეშკინს. დროგი ოხრილში ჩაყირავდა, ცხენები წინა ფეხებითღა ებღაუჭებოდნენ გზისპირს. ზამეშკინი თავზე დაეცა მენდელ ზინგერს.

ძლივძლივობით ამობობღდნენ ორმოდან. ხელნა დამტვრეულიყო, ერთი

თვალი მორყეოდა, მეორედან ორი მანა იყო ამოვარდნილი. აქ უნდა დარჩნენ ამაღამ. ხვალ რამეს იღონებენ.

— ასე იწყება შენი მგზავრობა ამერიკაში, — თქვა ზამეშკინმა, — ახლა ამდენს რა დაგატარებთ მთელ ქვეყანაზე. ეშმაკი გერეკებათ ერთი ადგილიდან მეორეზე. ჩვენიანი კი საცა დაიბადება, იქვე რჩება, მხოლოდ ომი [illegible] იაპონიაში!

[illegible]

მენდელ ზინგერი დუმდა. იგი გზისპირას იჯდა, ზამეშკინის გვერდით. თავის სიცოცხლეში პირველად იჯდა მენდელ ზინგერი მიუსაფარ ღამეს შიშველ მიწაზე გლეხკაცის გვერდით. ზეცასა და ვარსკვლავებს ახედა და გაიფიქრა, ღმერთს ფარავენო ისინი. ეს ყოველივე შვიდ დღეში შექმნა უფალმა, ხოლო ებრაელი რომ ამერიკაში წასვლას დააპირებს, რამდენი წელიწადი უნდა იწვალოს!

— ხედავ, რა ლამაზია ეს ქვეყანა! — უთხრა ზამეშკინმა. — მალე მოსავლის აღება დაიწყება. ბარაქიანი წელიწადია. თუ გამიმართლა, შემოდგომას ერთ ცხენს ვიყიდი კიდევ. შენი ვაჟის იონასი რა ისმის? იმან იცის ცხენების ყადრი, შენ სულ არა გგავს. ცოლს ხომ არ უღალატნია შენთვის?

— ვინ იცის! — მიუგო მენდელმა. უცბად საოცარი სიმსუბუქე დაეუფლა, სმენა გაუმახვილდა, ღამემ თითქოს ცრურწმენები განარიდა, ზამეშკინს მიეხუტა, ვით საკუთარ ძმას.

— ვინ იცის! — გაიმეორა მან, — სანდო არ არიან დედაკაცები.

ანაზდად ქვითინი აუვარდა მენდელს. ტიროდა მენდელი ზამეშკინის გვერდზე მჯდომი იმ უჩვეულო ღამეს.

გლეხკაცმაც მუშტები მოისვა თვალზე, იგრძნო, ცოტა და თავადაც ატირდებოდა.

შემდეგ ცალი ხელი მენდელის გახრიკულ ბეჭებს მოხვია და უთხრა: — იძინე, კარგო ებრაელო, გამოიძინე!

თვითონ დიდხანს იფხიზლა, მენდელ ზინგერს კი ჩაეძინა და ხვრინვა ამოუშვა.

ბაყაყებს დილამდე გაჰქონდათ ყიყინი.

8

ორი კვირის შემდეგ მენდელ ზინგერის სახლის წინ პატარა ორთვალა ეტლი მოგრიალდა და მტვრის კორიანტელი დააყენა. კაპტურაკი მობრძანდა სტუმრად. ამცნო, საბუთები მზადაა. თუ ოთხ კვირაში სემად წოდებული შემარიაჰი პასუხს გამოგზავნის ამერიკიდან, ზინგერის ოჯახის გამგზავრებას წინ აღარაფერი დაუდგება. ამის შეტყობინება მსურდაო, თქვა და დასძინა, ურიგო არ იქნებოდა ბე მოგეცათ ოცი მანეთიო. შემდგომ შემარიაჰი გამოგზავნის და იმ თანხიდან გამოგიბრუნებთ.

დებორა დამპალი ლარტყებით შეკოწიწებულ საკუჭნაოში შევიდა, პაწია ეზოში რომ ედგათ, ბლუზი თავზე გადაიძრო, გულისპირიდან მარყუჟად შეკრული ცხვირსახოცი ამოიღო და ლითონის რვა მანეთიანი ხელის გულზე გადათვალა.

მერე ბლუზი ისევ გადაიცვა, სახლში შებრუნდა და კაპტურაკს უთხრა:

— ეს არის და ეს. მეზობლებში მუტი ვერ ვიშოვნე. ამას უნდა დაგვჯერდეთ!

— ძველ მუშტარს ხათრს ვერ გავუტეხ! — თქვა კაპტურაკმა, ქარივით მსუბუქ, ყვითელ ეტლს მოახტა და უმალ გაქრა მტვრის კორიანტელში.

— კაპტურაკი მოსულა მენდელ ზინგერთან! ამერიკაში მიდის მენდელ ზინგერი! — ალაპარაკდა პატარა ქალაქი.

თითქო მართლაც დაიწყო მენდელის მოგზაურობა ამერიკაში. ზოგი ზღვის ავადმყოფობის თაობაზე აძლევდა რჩევას. გამოჩნდნენ [illegible] მოდიოდნენ, ზინგერის სახლს სინჯავდნენ, ათას მანეთს სთავაზობდნენ; თავის სიცოცხლის ხუთ წელიწადს გაწირავდა დებორა ამ თანხისათვის.

მენდელ ზინგერი კი სხვაგვარად ფიქრობდა.

— ხომ იცი, დებორა, მენუხიმი აქ უნდა დარჩეს. ვისთან დავტოვოთ? მომავალ თვეს ჩვენებიანთ ბილე თავის ქალიშვილს ფოგლს მიათხოვებს. მუსიკოსს. ვიდრე შვილი შეეძინებათ, ახალგაზრდები შეინახავენ მენუხიმს. სანაცვლოდ ბინას დავუთმობთ და ფულს არ გამოვართმევთ!

— შენ გგონია, მენუხიმის აქ დატოვება აუცილებელია? რამდენიმე კვირა მაინცაა დარჩენილი ჩვენს წასვლამდე, მანამდე ღმერთი უთუოდ მოგვივლენს სასწაულს.

— თუ ღმერთმა ინება და სასწაული მოგვივლინა, ამას წინასწარ არ გვაცნობებს. ვიყოთ მსასოებელნი. ამერიკაში თუ არ წავედით, აქ მირიამი უბედურებას გადაეყრება, ხოლო თუ წავალთ, მენუხიმი უნდა დავტოვოთ, იქნებ ჯობდეს, მარტო მირიამი გავისტუმროთ ამერიკაში? მერე ვინ იცის, რა მოეხუშტურება მარტოხელას გზაში, გინდა ამერიკაში. მენუხიმი ისე ავადაა, რომ მხოლოდ სასწაულს შეუძლია მისი შველა. თუკი უშველის სასწაული, მაშინ წამოვა ჩვენდაკვალ. შორსაა ამერიკა, მაგრამ უსაშველოდ ხომ არა, დედამიწაზეა.

ყურში ჩაესმოდა კლუჩიცკელი რაბინის სიტყვები: „არ მიატოვო, დარჩი მასთან, ვით ჯანმრთელ ბავშვთან“, აღარა რჩება შვილთან დედა. ყოველ ცისმარე დღეს, ყოველ საათს ელოდება აღთქმულ სასწაულს. ვერ უშველეს მიცვალებულებმა, საიქიოს ბინადრებმა, ვერა გააწყო რა რაბინმა, დალოცვილმა ღმერთმაც აღარ ინება შველა. ქალის ცრემლები ზღვას შეეროვოდა, ღამემ დაისადგურა მის გულში, წუხილი ჩრდილავდა ყოველ სიხარულს, მას შემდეგ რაც მენუხიმი შეეძინა. წამებად ექცა ყოველი ზეიმი და გლოვად ყველა დღესასწაული. აღარ იყო მისთვის არც გაზაფხული და არცა ზაფხული. ზამთარი დაუდგა უსაშველო. ამოდიოდა მზე, მაგრამ ვერ ათბობდა. არა კვდებოდა მხოლოდ იმედი. „ხეიბარი დარჩება ბიჭი“, გაიძახოდნენ მეზობლები. მათ უბედურება არ განუცდიათ და ვინც არაა უბედური, ვერ იწამებს იგი სასწაულს.

თუმცა უბედურებაში მყოფსაც აღარა სჯერა სასწაულისა. სასწაული ათანაბრებს ყველს თუ ხდებოდა, ოდეს ებრაელნი პალესტინის მკვიდრნი იყვნენ, მაგ შემდეგ აღარ. მაგრამ განა საოცარნი არ არიან კლუჩიცკელი რაბინის საქმენი? განა მან არ აუხილა თვალები ბრმებს და განკურნა დამბლადაცემულნი? რა იყო ნათან პიცნიკის ქალიშვილი? — გადარეული იყო; წაიყვანეს კლუჩიცკში, შეხედა რაბინმა გოგოს, შეულოცა, მერე სამჯერ გადააფურთხა და პიცნიკის ქალიშვილი ლაღად, თავისუფლად, გონს მოსული დაბრუნდა უკან. იმ ხალხს ბედი აქვს. ფიქრობდა დებორა, სასწაულსაც ბედი უნდა ალბათ. ბედი არა აქვთ მენდელ ზინგერის შვილებს, მასწავლებლის ნაშიერებს.

— გონიერი კაცი რომ იყო, ხვალ კლუჩიცკში წახვიდოდი და რჩევას ჰკითხავდი რაბინს.

— მე? — ჰკითხა მენდელმა. — რა მინდა რაბინთან? ებრაელ ხომ [illegible]

ახლა ისევ შენ მიაკითხე! რაკი გჯერა, შენ თვითონ ჰკითხე რჩევა, კარგად მოგეხსენება, რომ იგი არაფრად მიმაჩნია. არცერთ ებრაელს არა სჭირდება მოციქული ღმერთთან, ისედაც შეისმენს შენს ლოცვას ღმერთი. ცოდვას თუ ჩავიდენთ, სასჯელს მოგვივლენს!

— აბა ახლა რატომ ვისჯებით? იქნებ ცოდვა გვაქვს ჩადენილი? რატომაა ასეთი გულქვა?

— ღმერთს ნუ სცოდავ, დებორა, თავი დამანებე, აღარ შემიძლია შენთან ლაპარაკი! — თქვა მენდელმა და საღმრთო წერილის კითხვას შეუდგა.

დებორამ თავსაფარს დაავლო ხელი და გარეთ გავიდა. კარწინ მირიამი დახვდა. იდგა მირიამი და ჩამავალი მზის მეწამული შუქი მის თეთრ კაბას ნარინჯისფრად აელვარებდა. იდგა შავთმიანი გოგო და თავისი დიდი შავი თვალებით უცქერდა ჩამავალ მზეს, ისე რომ თვალს არ აფახულებდა, თუმცა მზე ალბათ თვალსა სჭრიდა. რა ლამაზია, გაიფიქრა დებორამ, მეც ასე ლამაზი ვიყავი ოდესღაც, ჩემი ქალიშვილივით ლამაზი. მერე რა დამემართა? მენდელ ზინგერის ცოლი გავხდი. მირიამი კაზაკთან დაბრძანდება, ლამაზი გოგო. იქნებ ასე ჯობდეს კიდეც.

მირიამმა თითქოს ვერ შენიშნა დედა, დაჟინებით უცქერდა ჩახჩახა მზეს, იისფერი ღრუბლების სქელ სარტყელში დასანთქმელად გამზადებულს. მესამე დღეა, საღამოჟამს ეს შუქი მასა ეკვრის ხოლმე დასავლის ცის კიდეს, ავდარსა და ქარიშხალს გვიქადის და მეორე დღეს ისევა ქრება. მირიამმა იცის, რომ მზის ჩასვლისთანავე გადაღმა, კავალერისტების ყაზარმაში ჯარისკაცები სიმღერას წამოიწყებენ, მთელი სოტნია დააგუგუნებს ერთ სიმღერას: პოლიუბილ ია ტიბია ზა ტვოიუ კრასოტუ. სიმღერით ეგებებიან ჯარისკაცები საღამოხანს, სამუშაო დღის დასასრულს. მირიამი ღიღინით აჰყვება, სულ ორ სტრიქონს იმეორებს; შემიყვარდი იმად რომა, ლამაზი ხარ ძალიანო. მას უძღვნიდა სოტნია ამ სიმღერას, ასი მამაკაცი უმღეროდა. ნახევარი საათის შემდეგ გოგო ერთ მათგანს შეხვდება, ხან ორს, ხანაც სამნი მოდიან ერთად.

ქალიშვილმა შენიშნა დებორა, მაგრამ ფეხი არ მოიცვალა ადგილიდან, იგრძნო, თვითონ რომ მოვიდოდა დედამისი. უკვე მერამდენე კვირაა, დედა ველარ უბედავს მირიამს დაძახებას, მირიამი თითქოს თანაზიარი გახდა კაზაკებისგან მომდინარე შიშის ზარისა .დებორას ქალიშვილს ის ველური, უცხო ყაზარმა მეურვეობდა.

არა, აღარ დაუძახა დებორამ მირიამს, თვითონ მივიდა მირიამთან. მობერებული, გონჯი დებორა შიშნეულად შეჩერდა ხის ტროტუარის კიდესთან, თითქოს ძველ ადათს დაემორჩილაო, გონჯ დედებს რომ ავალებდა, ნახევარი ვერსის მოშორებით მდგარიყვნენ თავიანთ მშვენიერ ქალიშვილთაგან.

— მამაშენი ჯავრობს, მირიამ! — უთხრა დებორამ.

— გაჯავრდეს და იყოს ეგ შენი მენდელ ზინგერი, — მიუგო მირიამმა.

დებორამ პირველად გაიგონა, რომ მისმა შვილმა სახელით მოიხსენია მამა. ერთ წამს მოეჩვენა, ვილაც უცხო ლაპარაკობსო და არა მენდელის ქალიშვილი. უცხო გოგო ყოფილა, ჰოდა მამა რატომ ახსენა? დებორამ უკან გაბრუნება დააპირა. შეეშალა, უცხო ვინმესთვის მიუმართავს. მყის გამობრუნდა.

—მოიცა, — უბრძანა მირიამმა და დებორამ პირველად შეამჩნია, როგორი მტკიცე ხმით ლაპარაკობდა მისი შვილი. სპილენძის ყელრა ჰქონია, — გაიფიქრა დებორამ. ეკლესიის ზართა საზარელ ზრიალს მოჰგავდა ეს ხმა.

— მოიცა დედა! — გაიმეორა მირიამმა. — აქ დატოვე შენი ქმარი და ჩემ-

თან ერთად წამოდი ამერიკაში, მენდელ ზინგერი და ეგ იდიოტი, თქვენი მენუხიმი დატოვე აქ.

— ვთხოვე რაბინთან წასულიყო, მაგრამ არ მოისურვა. მე მარტო ველარ წავალ კლუჩიცკში, მეშინია! ერთხელ უკვე დამიშალა რაბინმა, არ მიატოვო მენუხიმი, წლებიც რომ გაგრძელდეს მისი ავადმყოფობაო. [illegible] კიდეც, რა ვუთხრა, მირიამ? გამოვუტყდე, რომ შენს გამო მივ[illegible] რადგან შენ... რაკი შენ...

—რადგანაც მე კაზაკებთან დავდივარ, — დასძინა მირიამმა ისე, რომ არ განძრეულა და განაგრძო: — უთხარი, რაც გინდა, ჩემთვის სულ ერთია. ამერიკაში კიდევ უკეთ მოვახერხებ, რაც მომეპრიანება, იმის გაკეთებას! რაკი შენ მენდელ ზინგერს გაჰყევი ცოლად, მეც უთუოდ მაგნაირს უნდა გადავეკიდო? ან იქნებ უკეთესი საქმრო გყავს ჩემთვის, ჰა? მზითევი თუ გაქვს შენი ქალიშვილისათვის?

ხმა როდი აღიმაღლა მირიამმა, მისი შეკითხვებიც არ გაისმოდა ვით შეკითხვები, იგი თითქოს უბრალო საგანთა გამო მსჯელობდა, თითქოს მწვანილის ან კვერცხის ფასს აცნობებდა. გოგო მართალია, ფიქრობდა დებორა. ღმერთო მოწყალეო, გოგო მართალია!

დებორამ შველად მოუხმო ყველა კეთილ ანგელოზს. იგრძნო ქალმა, რომ ქალიშვილი უნდა გაემართლებინა, თითქოს საკუთარი სიტყვები მოისმინა შვილის ბაგეთაგან. დებორას ისევე შეეშინდა საკუთარი თავისა, როგორც მირიამისა ეშინოდა ცოტა ხნის წინ. საშიში ამბები ხდება ირგვლივ. ჯარისკაცების სიმღერა მოისმის განუწყვეტლივ. მეწამული მზის პაწია წვერი, ჯერ კიდევ იყო ამოჩრილი ისფერი ღრუბლებიდან.

— მე მივდივარ, — თქვა მირიამმა, მოშორდა დედამისს და მსუბუქად, თეთრი პეპელასავით, ფარფატით წავიდა, შუა ქუჩაში გადავიდა და, კაზაკების ხმას ადევნებული სწრაფი ნაბიჯით გაუყვა გზას იქით, საცა ყაზარმა ეგულებოდა.

ყაზარმამდე ორმოცდაათი ნაბიჯის დაშორებით პატარა ბილიკის კიდეზე შეჩერდა, რომელიც დიდ ტყეს ჰყოფდა ზამეშკინის პურის ყანისაგან და ივანეს დაელოდა.

— ჩვენ ამერიკას მივემგზავრებით, — შეაგება ბიჭს მირიამმა.

— არ დამივიწყო, — აფრთხილებდა ივანე, — ყოველ ამ დროს, მზის ჩასვლისას მხოლოდ ჩემზე იფიქრე ხოლმე, სხვებზე ნუ. იქნებ ღმერთი შენეწიოს და შენს კვალს გამოვყვე: წერილი ხშირად მომწერე ხოლმე. პავლე წამიკითხავს შენს წერილებს. ჩვენს შესახებ მაინცა და მაინც ბევრ ნურაფერ საიდუმლო რასმე მოიწერები, თორემ შემრცხვება. — ბიჭი ჟინით, ფიცხლად კოცნიდა მირიამს, გასროლასავით გაისმოდა კოცნის ხმა იმ საღამოს. ეშმაკის ფეხია ეს გოგო, — ფიქრობდა ვაჟი, — ამერიკაში მიბრძანდება. სხვა გოგო უნდა მოვძებნო. სადღა ვნახავ ასე ლამაზს. მე საცოდავმა ოთხი წელიწადი უნდა ვიმსახურო კიდევ.

ივანე ზორბა იყო, დათვივით ღონიერი და მორცხვი. სიყვარულშიც არ იყო გამოცდილი. ყველაფერი მირიამმა ასწავლა, რაღა არ მოსდიოდა გოგოს თავში. ერთმანეთს ეხუტებოდნენ შუა ყანაში ისე, როგორც გუშინ და გუშინწინ, დაპურებული, თავმძიმე თავთავებით გარშემორტყმულნი და დაფარულნი. თავთავები მორჩილად მოიხარნენ, როცა მირიამი და ივანე დაეშვნენ ძირს. წინასწარ დახარეს თავი თავთავებმა. მათი სიყვარული დღეს უფრო ფიცხელი იყო,

ხანმოკლე და შიშნარევი. ისეთი გრძნობა დაეუფლათ, თითქო მირიამი ხვალვე უნდა წასულიყო ამერიკაში, მათ სიყვარულში უკვე თრთოდა გამოთხოვება. როცა ერთმანეთს გადაეწნენ, უკვე შორს იყვნენ ერთმანეთისგან და ოცნებანი აშორებდა ერთურთს. რა კარგია, ფიქრობდა მირიამი, რომ ბიჭი არ მიდის და მეც არა ვრჩები. დიდხანს იწვნენ არაქათგამოცლილნი, უმწეონი, მძიმედ დაჭრილებივით გარინდებულნი. ათასი აზრი უტრიალებდათ თავში, წვიმის ძლევალაც ვერ გაიგეს. ჯერ წყნარად, შემპარავად დაიწყო და კარგა ხანს იწვიმა, ვიდრე მოზრდილმა წვეთებმა ხორბლის სქელ, ოქროსფერ ჯიღაში გააღწია. მიჯნურები უეცრად შეაკრთო თქეშად მოვარდნილმა წყალმა. გამოეღვიძათ, წამოცვივდნენ და იქიდან მოკურცხლეს. წვიმამ თავგზა აუბნია ორთავეს, დროის შეგრძნება დაუკარგა, ქვეყნიერებაც მთლად შეცვალა. მოეჩვენათ, რომ უკვე გვიან იყო, დააყურეს ,ეგებ კოშკის საათის რეკვა გავიგონოთო, მაგრამ მხოლოდ წვიმის შხაპუნი ჩაესმოდათ. წვიმა მატულობდა და ახშობდა ღამის ყოველგვარ ჩქამს. მიჯნურებმა სველი სახე დაუკოცნეს ერთმანეთს, ხელი ხელს ჩასჭიდეს, მაგრამ წყალი იყო მათ შორის, ვერც ერთი ვერ გრძნობდა მეორის ხელს. საჩქაროდ დაემშვიდობნენ ერთმანეთს და გაიყარა მათი გზები. წვიმაში შთაინთქა ივანე და გაუჩინარდა. ველარასოდეს ვიხილავ მას, ფიქრობდა სახლისკენ მიმავალი მირიამი. ალბობა კარზეა მომდგარი, გლეხებს გუნება წაუხდებათ, — თუ მოხსნა ცამ პირი, სამშველი ალარ დაადგება.

მირიამმა სახლს მიაღწია და სახურავის შვერილს შეაფარა ცოტა ხანს თავი. თითქოს ერთ წუთში შეიძლებოდეს ტანსაცმლის გაშრობა. შემდეგ გაბედა და შევიდა ოთახში. იქ ბნელოდა, ყველას ეძინა. ჩუმად მიეგდო, როგორც იყო, გალუმპული, ტანსაცმელს ტანზე შევიშრობო და ალარ განძრეულა. გარეთ წვიმა შრიალებდა. უკვე ყველამ გაიგო, რომ მენდელი ამერიკაში მიდიოდა, მოწაფეები დაიფანტნენ, მეცადინეობას აცდენდნენ. ხუთიოდ ბიჭილა დადიოდა, ისინიც ხამუშ-ხამუშ. კაპტურაკს ჯერ არ მოეტანა საბუთები და არც სემს გამოეგზავნა გემის ბილეთები, მენდელ ზინგერის სახლი კი უკვე ინგრეოდა. ეს რა დამპალი ყოფილაო, ფიქრობდა მენდელი. დამპალი ყოფილა და არა გვცოდნიაო. დაკვირვების უნარმოკლებული კაცი ყრუსა ჰგავს და ყრუზედაც უარესიაო, ასე წერია სადღაც. მამაჩემიც აქ მასწავლებლობდა, ისევე როგორც მე. ახლა ამერიკაში მივემგზავრები. უფროსი ვაჟი, იონა, კაზაკებმა წამართვეს, ახლა მირიამის წართმევას მიპირებენ, მენუხიმი? რა ეშველება მენუხიმს?

იმ დღესვე, საღამო ხანს ეწვია მენდელი ბილეს ოჯახს, მხიარული ოჯახი ჰქონდა ბილეს და მენდელის აზრით არცთუ ღირსი ესოდენი ბედნიერების. ბილეს ყველა ქალიშვილი გათხოვილი ჰყავდა, უმცროსიც კი, ვისთვისაც ახლა მენდელი თავისი სახლის შეთავაზებას აპირებდა; ბილეს სამთავე ვაჟმა თავიდან აიცდინა ჯარი და მიმოიფანტნენ, ერთმა ჰამბურგს მიაშურა, მეორე კალიფორნიაში ჩავიდა, მესამე პარიზში საქმიანობს. ხალისიანები იყვნენ, ღმერთი ხელს უწყობდა ოჯახს, თავის მადლიან კალთას აფარებდა. უხუცესი ბილე სულ მუდამ მხიარული იყო. მენდელ ზინგერი ასწავლიდა მის სამივე ვაჟს. თვით ბილე მენდელის მამის მოწაფე იყო. ამდენი ხნის ნაცნობობა გვაკავშირებს და მეც მიმიძღვის ამათ კეთილდღეობაში წვლილიო, ფიქრობდა მენდელი.

ბილეს ოჯახს, რომელიც ფუფუნებით არ იყო განებივრებული, მოეწონა მენდელის წინადადება. კეთილი! ახალგაზრდები მიხედავენ სახლსაცა და მენუხიმსაც.

— ბიჭს ბევრი არაფერი დასჭირდება. ყოველ წელს სულ უკეთ და უკეთ

ხდება. ღმერთის შეწევნით სულ მალე გამოჯანსაღდება კიდეც. მაშინ ჩემი უფროსი ვაჟი, შემარიაჰი წამოვა, ან ვინმეს გამოგზავნის და მენუხიმს წამოიყვანს ამერიკაში. — თქვა მენდელმა.

— ითნასი რა ისმის? — შეეკითხა უფროსი ბილე. მენდელმა კარგა ხანია ალარა იცოდა რა თავისი კაზაკისა, — ასე უწოდებდა გუ[illegible]ებითა და თან სიამაყით, — მაგრამ მაინც ასე უპასუხა:

— კარგის მეტი არაფერი! წერა-კითხვა უსწავლია და დაუწინაურებიათ. ებრაელი რომ არ იყოს ,ვინ იცის, იქნებ ოფიცრობაც კი მიეცათ! — ამ ბედნიერი ოჯახის შემყურემ ვერ შეძლო მენდელმა თავის ზურგზე მოკიდებული მძიმე ტვირთის, დიდი უბედურების გამოჩენა. ამიტომაც წელი გამართა და მხიარული კაცის ნიღაბი აიფარა.

შეთანხმდნენ, რომ მენდელ ზინგერი თავის სახლს უბრალო მოწმეთა თანდასწრებით საცხოვრებლად დაუთმობდა ბილეს ოჯახს, მოხელეთა ჩაურევლად, რაკი ამას ფული დასჭირდებოდა. საკმარისი იქნება სამი-ოთხი რიგიანი ებრაელი დაისწრონ მოწმედ. ჯერჯერობით მენდელმა ბე მიიღო, ოცდაათი მანეთი, რადგან მოწაფეები ალარ დაუდიოდა და სახლში ფული სულმთლად შემოელიათ.

გამოხდა ერთი კვირა და კაპტურაკი ერთხელ კიდევ მოგრიალდა თავისი მსუბუქი, მოყვითალო ეტლით პატარა ქალაქში. აუწყა, ყველაფერი მოგვარებულია, ფული, გემის ბილეთები, პასპორტები, ვიზა, სულადი გადასახადი ყველასათვის და თვით ჩემი ჰონორარიცო.

— წესიერი გადამხდელი ყოფილა თქვენი ვაჟი შემარიაჰი, სემად წოდებული, წესიერი გადამხდელი. ჯენტლმენი ბრძანებულა ნამდვილად, როგორც იქ მოგახსენებენ ოკეანის გადაღმა...

კაპტურაკი ვალდებული იყო მენდელის ოჯახი საზღვრამდე გაეცილებინა. ოთხი კვირის შემდეგ ბრემენიდან ნიუ-იორკის მიმართულებით გავა გემი „ნეპტუნი“.

ბილეს ოჯახმა მოაკითხა საოჯახო ნივთების სიის შესადგენად. ქვეშაგები, ექვსი ბალიში, ექვსი ზეწარი, ექვსი ლურჯ-წითელი კუბოკრული შალითა თან მიჰქონდა დებორას, ტოვებდა მხოლოდ ჩალის ლეიბებს და მცირეოდენ თეთრეულს მენუხიმისათვის.

თუმცა ჩასალაგებელი ბევრი არაფერი გააჩნდა და თავისი ავლადიდება ზეპირად იცოდა, მაინც განუწყვეტლივ ფუსფუსებდა დებორა; ჩააწყობდა, მერე ხელახლა ამოყრიდა. დათვლიდა ჭურჭელს და ისევ ხელახლა დაიწყებდა თვლას. ორი თეფში მენუხიმმა დაამტვრია. ბიჭს თანდათან გაუკრთა თითქოს თავისი შტერული სიმშვიდე. დედას უფრო ხშირად უძახდა, ვიდრე აქამდე, ამდენი წლის განმავლობაში ნასწავლ ერთადერთ სიტყვას ათიოდეჯერ გაიმეორებდა ხოლმე ზედიზედ, დედა იქვე გვერდზე რომ ჰყოლოდა, მაინც. იდიოტი იყო ეს მენუხიმი! სათქმელად ადვილია! მაგრამ ვინ უწყის, რაოდენ შიშსა და შეჭირვებას განიცდიდა ამ დღეებში მენუხიმის სული, სული მენუხიმისა, ღვთის მიერ სიშტერის განუმტე საბურველში შეფარული! დიახ, ეშინოდა ხეიბარ მენუხიმს, ხანდახან თავისი კუნჭულიდან თვითონ მიბობღდებოდა კარამდე, ზღურბლთან დაეგდებოდა და ქეციანი ძალლივით, თვალდაჭყეტილი უყურებდა გამვლელებს, თუმცა ვინ იცის, იქნებ მათ ფეხსაცმელებსა და შარვლებს. წინდებსა და კაბებს ხედავდა მხოლოდ. ხან უცაბედად დედის კალთას ჩაებღაუჭებოდა და კრუტუნებდა. დებორა აიტატებდა ხოლმე შვილს, თუმცა ბიჭი უკვე საკმაოდ მძიმე იყო. ხელში არწევდა შვილს, ნაწყვეტ-ნაწყვეტ უმღეროდა რომელიღაც

საბავშვო სიმღერას, გადავიწყებული რომ ჰქონდა და თავისი საცოდავი შვილის ჩახუტებისთანავე ახსენდებოდა. შემდეგ ისევ დასვამდა ძირს და საქმეს მიჰყოფდა ხელს, რაც ამ დღეებში მხოლოდღა ჩალაგებასა და თვლაში მდგომარეობდა. მერე უცებ შეჩერდებოდა. მცირე ხანს იდგა თვალში სევდაჩამდგარი, თვალები მენუხიმს უგავდა დედას, სიცოცხლის ნიშატწართმეული თვალები, სიკვრცეს უმწეოდ მიპყრობილნი. გონმიხდილნი. ქალის უაზრო მზერა მაფრთხილებელ მოხვდა, რომელშიც ბალიშები უნდა ჩაეწყოთ. იქნებ გულში გაივლო, მოდი, შიგ მენუხიმს ჩავსვამო? მაგრამ დებორა იმწამსვე შეზარა ფიქრმა, რომ მოხელეები წვერწამახული ჯოხებით დაჩხვლეტავდნენ მგზავრების ბარგს. ამიტომ ისევ ამოალაგა ბალიშები და ანაზდად ისევ დარჩენის სურვილმა მოუარა. კლუჩიცკელი რაბინის სიტყვები ჩაესმა ყურში: „არ მიატოვო, დარჩი მასთან, ვით ჯანმრთელ ბავშვთან". აღარ შესწევდა ძალა რწმენისა და თანდათან იმისი ძალაც წაერთვა, სასოწარკვეთის დასაძლევად რომ ესაჭიროება ადამიანს.

დებორაცა და მენდელიც ჰგონებდნენ, თითქოს ამერიკაში საკუთარი ნებით კი არ მიდიოდნენ, არამედ ამერიკა თვითონ მოეჭრათ, თავს დაეცათ შემარიაჰის, მაკისა და კაპტურაკის მეშვეობით. როდესაც აზრზე მოვიდნენ, უკვე დაგვიანებული იყო. საშველი აღარ მისცა ამერიკამ — საბუთები და გემის ბილეთები მიიღეს, სულადი გადასახადიც გადახდილია.

— როგორ მოვიქცეთ, დღეს-ხვალ მენუხიმი უცებ რომ გამოჯანმრთელდეს? — იკითხა დებორამ.

მენდელი მცირე ხანს თავს აქნევდა და მერე თქვა:

— თუ მენუხიმი მორჩება, თან უნდა წავიყვანოთ!

და ორივეს იმედი შთაესახა, რომ მენუხიმი ხვალ, ან ზეგ თავისი სარეცლიდან სალი კიდურებით წამოდგებოდა, ტკბილმოუბარი.

კვირაღღეს უნდა გაემგზავრონ. დღეს ხუთშაბათია. უკანასკნელად დგას დებორა თავის ღუმელთან. შაბათისათვის იჭერს თადარიგს. თეთრ პურს აცხობს. ყაყაჩოს მარცვლით და წნულ ფუნთუშას. ბრიალებს ცეცხლი. შიშინებს და ტკაცანი გააქვს. კვამლით აივსო ოთახი, როგორც ყოველთვის, ხუთშაბათობით, ამ ოცდაათი წლის განმავლობაში. გარეთ წვიმს. წვიმა უკან. საკვამურში ერეკება ბოლს. კირით შეფეთქილ ჭერზე სინესტეში ისევ გამოიკვეთა იკანკლური, ნაცნობი ლაქა. ათი წელია დაზიანებული ყავრის გამოცვლას აპირებს სახურავზე, ახლა ბილეს ოჯახი იკისრებს ამას. ჩალაგებული, გამზადებული დგას უშველებელი რკინის სალტეებიანი ყავისფერი სკივრი, რომელსაც კრიჭასთან რკინის მოზრდილი ლატანი აკრავს და ორი პრიალა ბოქლომი ადევს. ხანდახან მენუხიმი მიეპარება ბოქლომებს და შეატოკებს ხოლმე იმათ, გაისმის ულვთო ჭახანი, ბოქლომები კარგა ხანს ირხევიან და რკინის სალტეებს ეხლებიან. ტკაცუნობს ცეცხლი და ბოლით ივსება ოთახი.

შაბათ საღამოს მენდელ ზინგერი დაემშვიდობა თავის მეზობლებს. მოყვითალო-მომწვანო არაყი მოიტანა ერთმა მეზობელმა, შინნახადი რახი, გამხმარი სოკოთი გაჯერებული, რის გამოც არაყი მწარეც იყო და მომჟავოც. გამოთხოვება ერთ საათზე მეტი გაგრძელდა. ყველანი ბედნიერებას უსურვებენ მენდელს. ზოგი ეჭვის თვალით შესცქერის, სხვები კი შურით, თუმცა ყველა ერთხმად აღიარებს, დიდებული ქვეყანა არის ამერიკაო. აბა რა უნდა ინატროს ებრაელმა ამერიკაში წასვლაზე უკეთესი.

იმ ღამეს დებორა ლოგინიდან წამოდგა, სანთელი აიღო, ხელისგული მოაფარა და მენუხიმის სარეცელს მიეახლა. ბიჭი გულაღმა იწვა, დიდი თავი დაგ-

რაგნილ, ნაცრისფერ საბანზე ედო, ნახევრად გახელილ ჭუთუთოებიდან თეთრონები მოუჩანდა. სხეული ყოველ ამოსუნთქვაზე უთრთოდა. თითებს განუწყვეტლივ აფათურებდა. ხელები გულზე ჰქონდა დაკრეფილი. სახე ძილში უფრო ფერმკრთალი და დამჭკნარი მოუჩანდა, ვიდრე დღისით. გალურჯებული ტუჩები გაპობილიყო და კუთხეებიდან თეთრი, ქაფივით [illegible] ჩამოდიოდა. დებორამ დააკრო სანთელი, რამდენიმე წუთს კიდევ შეჰყურებდა [illegible]. მერე წამოდგა და ისევ შეიყუჟა ლოგინში. არაფერი ეშველება. ფიქრობდა ძილგამკრთალი დედა.

კვირას, დილის რვა საათზე კაპტურაკის მოციქული გამოეცხადათ, აგივე ცისფერქუდიანი კაცი, ვინც უწინ შემარიაჰი გადაიყვანა საზღვარზე. დღესაც კარწინ გაჩერდა ცისფერქუდიანი. ჩაის დალევაზე უარი განაცხადა, მერე ხმაამოუღებლივ მიეშველა სკივრის გამოგორებასა და ეტლზე დადგმაში. მოხერხებული ეტლია, შიგ ოთხი ადამიანი თავსდება. ძირს ლბილი თივაა დაფენილი. ეტლმა გვიანი შემოდგომის სურნელი მოიტანა თან სოფლიდან. სამურველით დავარცხნილი ცხენების გაკრიალებული ზურგები ამობურცულ ყავისფერ სარკესა ჰგავს. ვერცხლის ეჟვნებიანი ფართო საყელური მათ კოხტა, ზვიად ქედზეა შემოსალტული. დღის ნათელ შუქზედაც მოჩანს ფილაქანზე მათი ფლოქვებით გაკვესილი ნაპერწკლები.

ერთხელ კიდევ აიტატა დებორამ მენუხიმი. ბილეს ოჯახმა უკვე მოაკითხა, გარს შემოერტნენ და გაუთავებლად ჭაჭანებენ. მენდელ ზინგერმა კოფოზე მოიკალათა, მირიამი მამისაკენ ზურგშექცეული დაჯდა. მხოლოდ დებორა დგას კარწინ, ხეიბარი მენუხიმი უჭირავს ატატებული.

დებორამ უცბად მოიშორა შვილი. ფრთხილად დასვა ზღურბლზე, ისე, როგორც ცხედარს დებენ ხოლმე კუბოში. წამოდგა. გაიმართა. ღაწვებზე მდუღარე ცრემლები გადმოუგორდა. მიდის დედა ამერიკაში. ველარ ელირსა დედა სასწაულს.

მტირალი ჯდება დებორა ეტლში. ხელს ართმევს მეზობლებს, მაგრამ ვერ არჩევს მათ სახეებს. ცრემლის ღვარს აფრქვევენ მისი თვალები. უცებ ცხენთა ფლოქვების თქარუნი ჩაესმა, ეტლი დაიძრა, დებორამ კივილი მორთო, უნებლიეთ, გაუცნობიერებლად აკივლდა, გულიდან ამოხდა ეს კივილი. ეტლი შეჩერდა. მკვირცხლად, ახალგაზრდულად გადმოხტა ქალი, მენუხიმი ისევ ზღურბლზეა დასკუპული. მიწაზე დაემხო მენუხიმის წინაშე დედა.

— დედა, დედა! — ლუღლუღებს მენუხიმი. დებორა მიწაზეა გართხმული.

ბილეს სახლეულებმა წამოაყენეს. დებორა გაჰკივის, ფართხალებს და ძალა ელევა. ხელში აყვანილი მიიყვანეს იგი ეტლამდე და იქ თივაზე დააწვინეს. ეტლი დაიძრა და დუბნოსაკენ გაქანდა.

ექვსი საათის შემდეგ ისინი უკვე მატარებელში ისხდნენ, მყოვარ სახალხო მატარებელში, უამრავ უცხო ხალხში. მატარებელი მიხანხალებდა სოფლების, მდელოების, ყანების გასწვრივ, გლეხები და გლეხის ქალები, ქოხები და ჯოგები ესალმებოდნენ მატარებელს. ბორბლების მონოტონურმა მღერამ თვლემა მოჰგვარა მგზავრებს. დებორას ერთი სიტყვა არ დასცდენია თვლემდა, მატარებლის ბორბლები განუწყვეტლივ, განუწყვეტლივ იმეორებდნენ: არ მიატოვო! არ მიატოვო! არ მიატოვო!

მენდელ ზინგერი ლოცულობდა. ანდეზედ ლოცულობდა. ანგარიშმიუცემლად, სიტყვების მნიშვნელობაზე არა ფიქრობდა, ღმერთი ისედაც შეისმენდა ლოცვას. ამგვარად იხშობდა მენდელი ზღვით მგზავრობის შიშს, სულ რაღაც

ორ დღეში მიატანდნენ უკვე ნავსადგურს. მირიამს შეავლებდა ხოლმე მამა ხანდახან უაზრო მზერას. გოგო მის პირისპირ იჯდა, ცისფერქუდიანი კაცის გვერდით. მენდელი ვერ ამჩნევდა, როგორ ეტმასნებოდა ქალიშვილი ცისფერქუდიანს. კაცი კრინტს არ ძრავდა, მხოლოდ სასოებით ელოდა იმ თხუთმეტ წუთს, დაისის მოწევნიდან იქამდე, ვიდრე გამცილებელი გაზის პაწია სანთელს [illegible]ბდა. ათასგვარ იმედს ამყარებდა ცისფერქუდიანი იმ თხუთმეტ წუთსა და ეკვ[illegible]ლამეზე, სანთიას დაჭრობის შემდეგ რომ დადგებოდა.

დილას იგი გულგრილად დაეშშვიდობა მენდელსა და დებორას, ხოლო მირიამს თუმც ულიტყვოდ, მაგრამ მაგრად, ხალისით ჩამოართვა ხელი. როგორც იქნა, მიაღწიეს საზღვარს. რევიზორებმა პასპორტები ჩამოართვეს მგზავრებს. როცა მენდელს გამოუძახეს, კანკალი აუვარდა საცოდავს. მაგრამ ტყუილუბრალოდ, ყველაფერი რიგზე იყო, და გავიდნენ იქითა მხარეს.

ახლა სხვა მატარებელში გადასხდნენ, სხვაგვარი იყო სადგურები, ზარებიც განსხვავებული, რკინიგზელთა ფორმის ტანსაცმელიც. სამი დღე მიემგზავრებოდნენ და ორგზის გადასხდნენ კიდევ. მესამე დღის დასასრულ ჩავიდნენ ბრემენში, სანაოსნოს მოხელემ დაიბუხუნა: „მენდელ ზინგერ!" ზინგერის ოჯახი მასთან გამოცხადდა. ცხრა ოჯახს ელოდა ის მოხელე. ყველა ერთ რიგად დააწყო, სამჯერ გადათვალა, გვარები ამოიკითხა და თითოეულს თავისი ნომერი მისცა. იდგნენ ჩამოსულნი და არ იცოდნენ, რა ექნათ ქეტონებისათვის. მოხელე წავიდა და აღუთქვა, მალე მოებრუნდებიო. ხოლო ცხრა ოჯახს, ოცდახუთ ადამიანს ფეხი არ მოუცვლია. ერთ რიგად იდგნენ ბაქანზე, ხელში ეჭირათ ქეტონები, ბარგი ძირს ეწყოთ. მენდელ ზინგერი ყველაზე გვიან გამოცხადდა, ამიტომაც ბოლოში იდგა მარცხენა მხარეს.

მთელი გზის განმავლობაში მენდელს არც ცოლისა და არც ქალიშვილისათვის ხმა არ გაუცია. უბრად იყო ორთავე ქალიც. მაგრამ ჩანდა, დებორა უკვე ველარ იტანდა ამ მდუმარებას.

— რატომ არ გაინძრევი? — ჰკითხა დებორამ.

— არავინ იძვრის, — მიუგო მენდელმა.

— ხალხისათვის მაინც გეკითხა!

— აბა ვინ ეკითხება?

— რას ველოდებით?

— რა ვიცი, რას!

— შეიძლება თუ არა, ჩემოდანზე ჩამოვჯდე?

— ჩამოჯექი!

ის იყო დებორამ გაშალა თავისი ქვედაკაბა, რომ ჩემოდანზე ჩამომჯდარიყო, და სანაოსნოს მოხელეც გამოჩნდა. მოსულმა რუსულ, პოლონურ, გერმანულ და იდიშ ენაზე გამოაცხადა, ცხრავე ოჯახი ნავსადგურისკენ გამომყევითო, ღამე ბარაკში უნდა მოგათავსოთო; დილის შვიდ საათზე ღუზას აუშვებდა გემი „ნეპტუნი".

ბრემერჰავენში ბარაკს შეეხიზნენ. ქეტონები მუშტში მაგრად ჰქონდათ ჩაბლუჯული, თვით ძილის დროსაც. ოცდახუთი ადამიანი ერთად ხვრინავდა, მაგარ საწოლზე მწოლი ბორგავდა, კედლის ძელები ტორტმანებდა, პაწია ელნათურა ირხეოდა. ჩაის ადუღება აუკრძალეს. ხახაგამშრალნი დაწვნენ დასაძინებლად, მხოლოდ მირიამი ლოლნიდა პოლონელი პარიკმახერის მიერ მოკითხულ კანფეტს. წუწნიდა მოზრდილ, მრგვალ და წებოვან კანფეტს და ჩაეძინა.

დილის ექვს საათზე გაელვიძა მენდელ ზინგერს. გაჭირვებით გამოძვრა ხის

დიდი ყუთიდან, საცა ლამე ეძინა. ონკანი მოძებნა, მერე გარეთ გავიდა, რომ ენახა, სით დარჩა აღმოსავლეთი. ბარაკში შებრუნდა, კუთხეს მიაშურა და ლოცვად დადგა. ჩურჩულებდა თავისთვის და ჩურჩულის დროს მეზობელ ტკივილმა დასერა. ტკივილმა გულში გაუარა და ძალუმ შეუკუმშა. ავადმყოფობა აღმოხდა მენდელს. რამდენიმე კაცს გაელვიძა, გადმოხედეს და გაეცინა. კუთხეში მიმდგარიყო ებრაელი, ბუქნავდა, ტორტმანებდა, ტანს წინ და უკან ერხევდა და ასე აღავლენდა ლოცვას ღმერთის სადიდებლად.

ლოცვა ჯერ არ დაემთავრებინა მენდელს, რომ მოხელემ შემოგლიჯა კარი. თითქოს ზღვაურმა შემოაგდო იგი ბანაკში.

— ადექით! — დაიძახა მოხელემ რამდენჯერმე სხვადასხვა ენაზე.

დილაადრიან ავიდნენ გემზე. ვიდრე შუა გემბანზე შეყრიდნენ, მათ ნება დართეს შეეხედათ პირველი და მეორე კლასის სასადილო დარბაზებში. მენდელ ზინგერი დადგა და ალარ დაიძრა. იდგა რკინის ვიწრო კიბის უმაღლეს საფეხურზე ნავსადგურის, ქვეყნის, კონტინენტის, წარსულისაკენ ზურგშექცეული. ზეცა იყო ლურჯი, ხომალდი — თეთრი, წყალი კი მწვანე. მოვიდა მატროსი და მენდელს უბრძანა, კიბეს მოშორდიო. მან ხელის მოძრაობით დააშოშმინა მატროსი. თავად მშვიდად იყო, შიში არ გაჰკარებია. მსწრაფლ მიმოავლო თვალი ზღვას და ნუგეშინი სცა მარადისობამ წყლისა. მარადიული ყოფილა ზღვა ჰეშმარიტად. იწამა მენდელმა, ღმერთის მიერ რომ იყო იგი შექმნილი. ღმერთმა გადმოანთხია თავის იდუმალ, უშრეტ წყაროდან. და ჰა, ნანაობს იგი ხმელთა შორის ღრმად. მის წიაღ მიმოიქცევა ლევიათანი, წმინდა თევზი, მეორედ მოსვლის დღეს ნეტართა, ღვთისმოსავთა სუფრა რომ უნდა დაამშვენოს. „ნეპტუნად“ იყო სახელდებული გემი, საცა იდგა მენდელი. თუმცა რა იყო იგი ლევიათანთან და ზღვასთან შედარებით. მარადიულ სიბრძნესთან შეფარდებაში სულ პატარა მოჩანდა გემი. არა, არ გრძნობდა შიშს მენდელი. მან, პატარა, შავგვრემანმა ებრაელმა, უზარმაზარ ხომალდზე მარადიული ოკეანის პირისპირ მდგომმა დააშოშმინა მატროსი. მერე ნახევრად შემობრუნდა და ჩურჩულით აღავლინა ლოცვა. ზღვის ნახვისას წარმოსათქმელი. ნახევარწრეებს ხაზავდა და ლოცვის ცალკეულ სიტყვებს მწვანე ტალღების ზედაპირზე განაბნევდა. „დიდება შენ, დაუსაბამო უფალო ჩვენო, შემქმნელო ზღვათა, ზღვით განმყოფელო კონტინენტებისა!“

იმ წამს სირენებმა დაიბღავლეს. აგუგუნდა ძრავები, შეირხა ჰაერი, დაირწა გემი, შეტოკდა ხალხი. ოდენ ზეცა დარჩა უძრავი და ლურჯი, ლურჯი და უძრავი.

9

ზღვით მგზავრობის მეთოთხმეტე საღამო ცეცხლის ბურთებმა გაანათეს, შუქურ-გემიდან გატყორცნილებმა. ვინმე ებრაელმა, რომელიც უკვე მეორედ მოდიოდა ამ გზაზე, მენდელ ზინგერს უთხრა:

— ახლა გამოჩნდება თავისუფლების ქანდაკება. იგი ას ორმოცდათერთმეტი ფუტი სიმაღლისაა, შიგნიდან ღრუა, თუ გნებავს, ზევით ასვლა შეიძლება. ქალს თავს უმკობს სხივთა გვირგვინი. მარცხენა ხელში ჩირაღდანი უპყრია. ყველაფერზე უკეთესი ისაა, რომ ეს ჩირაღდანი მთელი ღამე ანთია, იწვის და არასდროს ჩანავლდება, რაკი ელექტრონის შუქით ანთია. ამგვარ ფოკუსებს აკეთებენ ამერიკაში.

მეთხუთმეტე დღეს, დილაადრიან გადმოსხეს მგზავრები გემიდან. დებორა, მირიამი და მენდელი ერთმანეთს ეკვროდნენ, ეშინოდათ ერთურთი არ დაეკარგათ.

ფორმიანი კაცები მიუახლოვდნენ, მენდელს შიშმა გაჰკრა, რუბაშ ... ჩნლები არა ჰქონიათ. ზოგ მათგანს თეთრი, ქათქათა ტანისამოსი ... რმებსაც გვანდნენ და ანგელოზებსაც. ესენი ამერიკელი კაზაკები ... ფიქრა მენდელ ზინგერმა და მირიამს გადახედა, თავის ქალიშვილს.

ჩამოსულები ანბანის მიხედვით გამოიძახეს, ყველას თავისი ბარგი ჩააბარეს და წვეტიანი ჯოხი არავის გაურჭვია ფუთაში. იქნებ შეიძლებოდა მენუხიმის წამოყვანა, გაიფიქრა დებორამ.

უეცრად მათ წინ შემარიაჰი აღიმართა.

ყველა ერთბაშად შეკრთა.

უმზერდნენ თავიანთ დაძველებულ, პატარა სახლს,
ძველ შემარიაჰსა და ახალ შემარიაჰს, სემად წოდებულს.
ერთდროულად შემარიაჰსაც ჰედავდნენ და სემსაც,
სემი თითქოს შემარიაჰზე იყო ჩამოცმული,
გამჭვირვალე სემი.

ეს შემარიაჰი იყო, მაგრამ სემიც იყო იმავდროულად. ორნი იყვნენ. ერთს შავი ქუდი ეხურა, შავი ტანსაცმელი ემოსა, მაღალყელიანი ჩექმები ეცვა და ლოყებზე პირველი ღინღლი ამოსდიოდა.

მეორეს ღიანაცრისფერი პიჯაკი ეცვა, თოვლივით თეთრი ქუდი ეხურა კაპიტანივით, განიერი, ყვითელი შარვალი და მწვანე აბრეშუმის ქათქათა პერანგი ემოსა და სახე უპრიალებდა, როგორც არისტოკრატის საფლავის ძეგლი.

მეორე თითქოს მაკი იყო.

პირველი ოდინდელი ხმით საუბრობდა და ახალმოსულთ მხოლოდ ხმა ესმოდათ მისი, სიტყვები — არა.

მეორემ თავისი მძლავრი ხელი მამას დაარტყა მხარზე და ყველამ გაიგონა სიტყვები: „ჰელოუ, ოულდ ჩეპ!"[1] და ვერაფერი გაიგო. პირველი იყო შემარიაჰი, ხოლო მეორე იყო სემი.

პირველად მამას აკოცა სემმა, მერე დედას, ბოლოს მირიამს.

სამივეს შეაფრქვია წვერის საპარსი საპნის სუნი, იის სურნელი კარბოლთან შეზავებული, რამაც ბალი გააბსენათ, და ჰოსპიტალიც.

თავისთვის რამდენჯერმე გაიმეორეს, რომ სემი არის შემარიაჰი. მხოლოდ ამის შემდეგღა იგრძნეს შეხვედრის სიხარული.

სემმა თქვა:

— ყოველმა ჩამოსულმა უნდა გაიაროს კარანტინი, მაგრამ მაკმა მოახერხა და თქვენ დაგიხსნათ; აქ მუშაობს მისი ორი ბიძაშვილი.

ნახევარი საათის შემდეგ გამოჩნდა მაკი. გარეგნულად იგი ზუსტად ისეთივე იყო, როგორც მაშინ სუბნოვში სტუმრობისას, ბეჭებგანიერი, ისევ ქაქანებდა გაუგებარ ენაზე, ჯიბეები გატენილი ჰქონდა ტკბილეულით, რომელიც მოსვლისთანავე ჩამოარიგა და თავადაც შეექცა. ძოწისფერი ჰალსტუხი დროშასავით უფრიალებდა მკერდზე.

— კარანტინში მაინც მოგიხდებათ გაევლა, — განაცხადა მაკმა. სხვაგვა-

1. old chap — მოხუცო, ბერიკაცო, მეგობარო, (ინგლ.).

რად არ გამოვიდა. იმისი ბიძაშვილები ნამდვილად მსახურობენ აქ, ნავსადგურში, მაგრამ ისინი საბაჟოს მოხელეები არიან.

— მე თავად გაგიძღვებით, ნუ გეშინიათ!

საშიში მართლაც არა იყო რა. მაკმა ყვირილით განუმარტა ყველა მოხელეს, მირიამი ჩემი საცოლეა, ხოლო დებორა და მენდელი — სიმამრიო.

ნაშუადღევის სამ საათზე მაკი ბანაკის მესერს მოადგებოდა ხოლმე, ხელს გაყოფდა მავთულებში და სუყველას მიესალმებოდა. ოთხი დღის შემდეგ მაკმა მაინც მოახერხა და კარანტინიდან დაიხსნა ზინგერის ოჯახი, არავისთვის გაუმხელია, რა მანქანებით. ასეთი იყო მაკი, დიდი ამბით იცოდა ხოლმე თავისი მონაჩმახის მოყოლა, ხოლო საქმის ნამდვილ ვითარებაზე სიტყვასაც ვერ დააცდენინებდი.

დაიჩემა, ვიდრე სახლში მიგიყვანთ, მანამდე ჩემი ფორნით გულდაგულ უნდა დაგათვალიერებინოთო ამერიკა.

დასხეს მენდელ ზინგერი, დებორა და მირიამი ფორანზე და სასეირნოდ წაიყვანეს.

ნათელი დღე იყო, დასიცხული მენდელი და დებორა წაღმა ისხდნენ, ხოლო მათ წინ მოთავსდნენ მირიამი, მაკი და სემი. გაფრინდა მძიმე ფორანი, ისეთი გრუხუნით გაქანდა ქუჩაში, რომ მენდელ ზინგერს ეგონა, ქვისა და ასფალტის სამარადჟამოდ გაცამტვერებას და სახლების საძირკვლების შერყევას აპირებსო. სკამმა ცხელი ღუმელივით აუწვა მენდელს ტანი. მაღალ კედელთა მუქი ჩრდილი ეფინებოდათ, მაგრამ ხვატი გამდნარი ტყვიასავით ეონავდა მენდელის შავ, მოძველებულ რიფსის ქუდში, თავის ქალას უხურებდა. ტვინში იჭრებოდა და ნოტიო, წებოვანი, მტკივნეული ალხით შანთავდა. რაც ჩამოვიდა, მენდელს არც უძინია, მცირედს ჭამდა და წყალს თითქმის სულ არ სვამდა. მძიმე ჩექმებზე რეზინის კალოშები ეცვა და ფეხები ეწვოდა, თითქოს ცეცხლი ეკიდებაო. მუხლებს მთელი ძალით უჭერდა თავის ქოლგას; ხელს ვერ ახლებდა ხის ტარს, რომელიც წითელ რკინასავით ვარვარებდა. მენდელის თვალწინ ფრიალებდა ჭვარტლის, მტვრის და ალხისაგან მკვიდრად ნაქსოვი საბურველი. გაახსენდა უდაბნო, საცა ორმოცი წელიწადი დაეხეტებოდნენ მისი წინაპრები. თუმცა ისინი ფეხით დაიარებოდნენ, გაივლო გულში მენდელმა. მართალია მათი თავაწყვეტილი სრბოლა ქარს წარმოქმნიდა, მაგრამ ცხელი იყო ეს ქარი, ჯოჯოხეთის ცეცხლოვანი ამონასუნთქი. გაგრილების მაგიერ შანთავდა იგი. ქარი ქარს არ ჰგავდა, ხმაური იყო იგი ოდენ მობერილი და ყიჟინი. მასში შენივთებულიყო ასობით უჩინარი ზანზალაკის მჭახე ზრიალი, მატარებელთა შიშისმომგვრელი, ლითონისმიერი გრიალი, ხავილი ურიცხვ საყვირისა, სტრიტის[1] მოსახვევებში საბურავების გულისწამღები ღრჭიალი, მაკის ბუტბუტი, რომელიც ძაბრისებრ მოღებული პირით ამერიკას აცნობდა თანამგზავრებს, ირგვლივ მყოფი ხალხის გნიასი, მენდელის ზურგს უკან მჯდარი უცხო კაცის ომახიანი სიცილი, სემის გაუთავებელი რეპლიკები, რომელთაც იგი სახეში ესროდა მამას და თუმცა მენდელს არ ესმოდა, მაინც თავს უქნევდა შიშნარევი და თავაზიანი ღიმილით, რომელიც მარწუხივით ეკვროდა ტუჩებზე. თავი რომ ჰქონოდა, ვითარების შესაფერი გამომეტყველება მიეღო, სახეზე ღიმილს მაინც ვერ მოიშორებდა. მიმიკის შეცვლა არ შეეძლო. სახის კუნთები გაუშეშდა. ტირილი მოუნდა პატარა ბავშვივით. ჰაერში ტრიალებდა გამლხვალი ასფალტის და

1. ქუჩა (ინგლ.).

კუბრის მკვეთრი სუნი, მტვრის მყიფე, ხისტი ნაწილაკები, არხეინისა, ყველის, საქულბაქოების დამყაყებული ოხშივარი, ხახვის მწველი სუნი, ავტომანქანების ლუყუერტი გამონაბოლქვი, თევზის დუქნიდან მოდენილი სიდამპლენარევი ჭაობის სუნი, ინისა და ჯარბოლის სუნი სემის სახეზე. ყველა ეს სურნელი ერთ ცხელ ოხშივრად შეუნივთდა ერთმანეთს, მენდელისკენ გამოიჭრა, და ყურის წამლებ, თავის გამხეთქ ხმაურს შეერთო. იგი უკვე ველარ არჩევდა [illegible] გაგონილს და ყნოსვით შეგრძნობილს. კვლავ ილიმოდა და თავს აქნევდა. მოეჭრა ამერიკა და ანგრევდა მენდელს, აცამტვერებდა, ორი წუთიც და მენდელს გული წაუვიდა.

გონს რომ მოვიდა, ლანჩ-რუმში[1] იმყოფებოდა, სადაც სასწრაფოდ გადაიყვანეს დახმარების აღმოსაჩენად. მენდელმა თავისი ანარეკლი დაინახა მრგვალ, ასობით პაწია ელნათურით არშიამოვლებულ სარკეში, დაინახა თეთრი წვერი, კეხიანი ცხვირი და სხვისი ეგონა წვერიც და ცხვირიც. მხოლოდ გარსმოჯარულმა საბლეულებმა შეაცნობინეს ისევ თავისი თავი. ცოტა არ იყოს დაირცხვინა. გაჭირვებით გახსნა ტუჩები და პატიება სთხოვა ვაჟიშვილს. მაკმა მაგრად ჩამოართვა ხელი, თითქოს ფოკუსის გაკეთებას, ან სანაძლეოს მოგებას ულოცავსო. ბერიკაცის ტუჩებს ისევ შემოეჭდო ღიმილის რკინის მარწუხი, უცხო რამ ძალა ისევ ატოკებდა მის თავს, თითქოს დასტურის ნიშნად აქნევს თავსო. მირიამს დააკვირდა. ყვითელი თავსაფრიდან გაჩეჩილი, შავი თმა მოუჩანდა გოგოს, ფერმკრთალ ლოყებზე ცოტა მური მოსცხებოდა, კბილებში ნამჯა ჰქონდა გაჩრილი. დებორა გაშეშებული, ნესტოებდაბერილი იჯდა უზურგო, მრგვალ სკამზე, მკერდი აუდ-ჩაუდიოდა, გეგონებოდათ ახლა გადმოვარდება საკარძლიდანო.

რა მესაქმება ამ ხალხთან? ფიქრობდა მენდელი. რა დამრჩენია ამერიკაში? რად მინდა ვაჟი, ან ცოლი, ან ქალიშვილი, ანდა ეს მაკი? ისევ თუ ვარ მენდელ ზინგერი? ეს ოჯახი ისევ ჩემია? სადაა ჩემი ვაჟი მენუხიმი? ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს თავისი მეობა წაართვეს და ამიერიდან საკუთარი თავისაგან განცალკევებით უნდა ეცხოვრა. მისი პიროვნება თითქოს სუბნოვში დარჩა, მენუხიმის სიახლოვეს. ღიმილი გაეყინა სახეზე, თავს აკანტურებდა, გულს ისეთი ბაგაბუგი გაჰქონდა, თითქოს რკინის კანკურას სცემდნენ ცივ მინაზე. მარტოდმარტო დარჩა ამერიკაში ჩასვლისთანავე მენდელ ზინგერი.

მეოთხე ნაწილი

10

მენდელ ზინგერის წინაპარი ორიოდე საუკუნის წინ ჩავიდა ალბათ ესპანეთიდან ვოლინში. უნდა ვიგულისხმოთ, რომ განგებამ მას მეტი ბედნიერება მიაგო, უბრალო, ნაკლებად გამორჩეულ ყოფით აცხოვრა, ვიდრე მისი შთამომავალი, რის გამოც ჩვენ აღარ ვუწყით, ბევრი დრო დასჭირდა მას, თუ მცირე, უცხო ქვეყანაში გაშინაურებისათვის. მენდელ ზინგერის შესახებ კი ჩვენ ვიცით, რომ რამოდენიმე თვის შემდეგ ნიუ-იორკში თავს ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ სახლში.

დიახ, იგი თითქმის გაშინაურდა ამერიკაში! უკვე იცოდა, რომ old chap ამერიკულად მამას ნიშნავს და old fool დედას, თუ პირუკუ, მან გაიცნო ბოვერის უბნელი რამოდენიმე კომერსანტი, ვაჟიშვილის ნაცნობთა წრიდან, იცოდა

1. სასაუზმო (ინგ.).

ესექსის ქუჩა, სადაც დაიდო ბინა, და ჰიუსტონის ქუჩა. საცა ვაჟიშვილის, მისი ძის, სემის უნივერმაღი მდებარეობდა. იცოდა, რომ სემი უკვე იყო American boy[1] და რომ ზრდილი კაცი უნდა ამბობდეს good bye[2]; how do you do[3] და please,[4] რომ გრანდ სტრიტელი ვაჭარი პატივცემული ადამიანია და რიგერზე შეუძლია დასახლდეს, იმ რიგერზე, შემარიაჰიც რომ მიესწრაფვის, მენდელს აუხსნეს, რომ ამერიკა არის God's own country ღმერთის წილხვედრილი ქვეყანა, როგორც ოდესღაც პალესტინა, ხოლო ნიუ-იორკი the wonder city, საოცრებათა ქალაქი, ვით ოდესღაც იერუსალიმი. ლოცვას აქ service — მსახურებას უხმობენ ,ასევე უწოდებენ ქველმოქმედებას. სემის პაწია ვაჟიშვილს, პაპის ჩამოსვლიდან ერთი კვირის შემდეგ ამქვეყნად მოვლენილს, სახელად დაარქვეს მაკ ლინკოლნი. აქ, ამერიკაში დრო ქარივით გარბის, მოიხედავ და მაკ ლინკოლნი college boy[5] გახდება. My dear boy[6]- ასე მიმართავს პაწიას რძალი. გასაკვირია, რომ ვეგასათვის სახელი არ გადაურქმევიათ. ქერა, ნაზი ქალია, ცისფერთვალა. ამ თვალებში მენდელ ზინგერი გულკეთილობას უფრო კითხულობს, ვიდრე ჭკუას. გინდა სულელიც იყოს. რად უნდა ჭკუა-გონება. ღმერთო, შეეწიე მათ, ამინ!

ორიდან სამ საათამდე აქ Lunch, მეორე საუზმეს შეექცევიან, ექვსიდან რვამდე Dinner — სადილს. მაგრამ მენდელი არ იცავს დადგენილ დროს. იგი დღის სამ საათზე სადილობს და ღამის ათზე ვახშმობს, როგორც სახლში. თუმცა იქ დღეა, როცა იგი ვახშამს შეექცევა, ანდა იქნებ დილის რიჟრაჟი, ვინ იცის. All right ნიშნავს თანხმობას, ჰოს მაგივრად ამბობენ yes-ს! კეთილი სურვილის გამოსახატავად ბედნიერებას კი არ გისურვებენ და ჯანმრთელობას, არამედ prosperity —სვესვიანობას. სულ მალე ახალი ბინის ქირაობას აბირებენ, რიგერზე parlour — სალონით. გრამოფონი უკვე შეიძინეს, მირიამი გამოართმევს ხოლმე რძალს, ხელს ფრთხილად მოკიდებს და ქუჩაში მოატარებს ავადმყოფი ბავშვივით. გრამოფონს ბევრნაირი ვალსის დაკვრა შეუძლია, მაი შორის Kol-Nidre-ისაც. სემი ორჯერ იბანს დღეში ტანს. თავის კოსტიუმს, რომელსაც სალამო ხანს იცვამს ხანდახან, იგი უწოდებს Dress-ს. დებორა უკვე ორჯერ იყო კინოში და სამჯერ თეატრში. სემის ნაჩუქარ ნაცრისფერ კაბაში იგი სალმრთო წერილში მოხსენიებულ რომელიღაც ავხორცე დედაკაცს წააგავს. მირიამი გამყიდველად მუშაობს სემის მაღაზიაში. იგი ნაშუალამევს ბრუნდება შინ და დილის შვიდ საათზე უკვე მიდის. სალამო მშვიდობისა, მამა! დილა მშვიდობისა, მამა! ამის მეტი აღარა ესმის რა მისგან. დროდადრო მენდელს ჩაესმის საუბარი, მისი ყურის სიახლოვეს ნაჩურჩულევი, ვით ნაკადული, ნაპირთან მდგარი ბერიკაცის ფეხთა ქვეშ მიმდინარე და შეიტყობს, რომ მაკი ასეირნებს მირიამს, საცეკვაოდ დაატარებს, საცურაოდ და ტანვარჯიშის დარბაზშიც დაჰყავს. მენდელ ზინგერმა იცის, რომ მაკი არ არის ებრაელი; აკი კაზაკებიც არ არიან ებრაელები, თუმცა აქამდე საქმე ჯერ არ მისულა. ვნახავთ, რა იქნება ღმერთის შეწევნით. დებორა და მირიამი შეხმატკბილებულნი არიან.

---

1. ამერიკელი ბიჭი (ინგლ.)
2. ნახვამდის, შშვიდობით (ინგლ.)
3. გამარჯობა (ინგლ.)
4. გეთაყვა, ინებეთ (ინგლ.)
5. მოსწავლე (ინგლ.)
6. ჩემო ძვირფასო ბიჭო (ინგლ.)

სიმშვიდემ დაივანა სახლში. ნაშუადამევს ხშირად ჩურჩულებს დედა-შვილი და მენდელი თავს მოიმძინარებს ხოლმე. ამას ადვილად ახერხებს. მას სამზარეულოში სძინავს, ცოლი და ქალიშვილი კი მათ ერთადერთ ოთახში იძინებენ. არც ამერიკაში ელირსათ სასახლეები. მეორე სართულზეა მათი ბინა. შემთხვევაში ინება, თორემ ხომ შეიძლებოდა მესამე, მეოთხე ან მეხუთე სართულზეც ეცხოვრათ. კიბე მრუდეა, ბინაური და სულ მუდამ ჩაბნელებული. [illegible] ასანთით უნდა გაანათო. კატის სუნი ტრიალებს თბილი, ნოტიო, წებოვანი. მაგრამ მაინც ცომში ურევენ თაგვის წამალს, მინის ნამსხვრევებს და საღამოხანს კუთხეებში აწყობენ. დებორა ყოველ კვირას რეცხავს იატაკს, მაგრამ ერთხელაც ვერ გააპრიალა ზაფრანისფრად ისე, როგორც შინ. ნეტავ რატომ? იქნებ საქმეს ვეღარ აუდის დებორა? იქნებ გაზარმაცდა? ან იქნებ დაბერდა? მენდელი ოთახში რომ გაივლის, ჭრიალი გაუდის ყოველ ფიცარს. ვინ იცის, სადა ჩქმალავს ახლა დებორა ფულს. კვირაში ათ დოლარს იძლევა სემი. დებორა მაინც უკმაყოფილოა. ქალია, ეშმაკი შეუჩნდება ხანდახან. კეთილი. ნაზი რძალი ჰყავს, მაგრამ დებორა ამტკიცებს, ფუფუნებაზეა გადაგებულიო. აბუზღუნებულ ცოლს მენდელი მიუგებს ხოლმე:

— იყუჩე, დებორა, იყავ შვილებით კმაყოფილი. ამ ხნის ქალი ხარ, ენას რატომ ვერ აჩერებ! ახლა ვეღარ მისაყვედურებ, მცირე შემოსავალი გაქვსო და ალარ იცი, რა მოგვდო შარად. შემარიაჰმა ჩამოგვიყვანა აქ, რომ მის სიახლოვეს ვიყოთ, აქვე დავბერდეთ და აღვესრულოთ. მისი ცოლი ორთავეს პატივს გვცემს, როგორც წესია და რიგი. მეტი რალა გინდა, დებორა?

ქალს ხვირიანად ვერ გაუგია, რა აწუხებს. იქნებ ეგონა, ამერიკაში იმდენად უცხო სამყაროს ვნახავ, ძველი ცხოვრებაც და მენუხიმიც გადამავიწყდებაო. მაგრამ არ ყოფილა ეს ამერიკა ახალი სამყარო. აქ ებრაელები მეტია, ვიდრე კლუჩიცკში, მაგრამ კაცმა რომ თქვას, აქაც კლუჩიცკია, ოღონდ დიდი. ღირდა განა ამსიშორე გზის გადმოლახვა, რომ ისევ კლუჩიცკში ამოგვეყო თავი? აბა იქ ხომ ზამთშკინის დროგითაც ოოლად ჩავდიოდით! ოთახის ფანჯრები ჩაბნელებულ ეზოში გადის, საცა ყირამალა გადადიან კატები, ვირთხები და ბავშვები. ნაშუადღევის სამ საათზე, თვით გაზაფხულზეც, ნავთის ლამპა უნდა აანთო, ელექტრონის შუქი არ არის, არც საკუთარი გრამოფონი გააჩნიათ. მზე და სინათლე მაინც არ აკლდა დებორას იქ, თავის სახლში. ისე რძალთან ერთად ხანდახან კინოში დადის, მეტროთიც გაისეირნა ერთი-ორჯერ, მირიამი არისტოკრატ ქალიშვილად გადაიქცა, შლიაპა ახურავს, აბრეშუმის წინდები აცვია. გაყოჩაღდა, ფულსაც შოულობს. მაკი დაატარებს გოგოს აქეთ-იქით. მაკი გვირჩევნია კაზაკებს. მაკი შემარიაჰის უახლოესი მეგობარია. მისი გაუთავებელი ქაქანისა ჯერ არაფერი ესმით, მაგრამ შეეჩვევიან. ათ ებრაელს აღემატება მოხერხებით, თანაც მარტო ის რად ღირს, რომ მზითევს არ ითხოვს, სხვა სამყაროა აქ ბოლოს და ბოლოს. ამერიკელი მაკი რუსი მაკი არ გეგონოს. ფული დებორას აქაც არა ჰყოფნის. ცხოვრება თვალდათვალ ძვირდება, ამიტომაც არ დაიშალა დაზოგვა. იატაკის ამოჩემებულ ფიცარქვეშ უკვე გადამალულია თვრამეტ-ნახევარი დოლარი, სტაფილო დაპატარავდა, კვერცხები გალაყდა, კარტოფილი მოიყინა, წვნიანი გაწყალდა, ჭანარი დაწვრილდა და ქარიყლაპია დამოკლდა, იხვი დამჭლევდა, ბატი გამოიფიტა, ქათამი ალარაფრად ვარგა.

რიგიანად არ იცოდა ქალმა, რა აკლდა. ალბათ მენუხიმი. სიზმრად თუ ცხადში, საყიდლებზე მიმავალსა, თუ კინოში მყოფს, სახლის დალაგებისას, თუ პურის ცხობის დროს ხშირად ესმოდა ბიჭის ძახილი. დედა! დედა! უძახდა იგი.

ვინ იცის, იქნებ უკვე გადაავიწყდა ძლივს ნასწავლი ეს ერთი სიტყვა. შვილი რომ უხმობს, დედა მყისვე უპასუხებს, და თავის ნებით აბა ვინ მოიშორებს შვილს. არ ეგებოდა ამერიკაში წამოსვლა. თუმცა უკან გაბრუნება ხომ ყოველთვის შეიძლება.

— მენდელ, — ეტყოდა ხანდახან, — იქნებ გავბრუნდეთ და მენუხიმი მოვინახულოთ?

— მერე გზის ფული? ანდა თავი რით შევინახოთ? იქნებ გგონია, შემარიაჰს შეუძლია ამდენი მოგცეს? კარგი შვილია, მაგრამ ვანდერბილტი არ არის. ჩანს, განგებამ ინება ასე. ჯერ დავიცადოთ. მენუხიმის ნახვას მოვესწრებით, თუ გამოჯანმრთელდება.

მაინც შეუჩნდა მენდელ ზინგერს წასვლის ფიქრი, შეუჩნდა და მოსვენება დაუკარგა. ერთხელ შვილთან იყო მაღაზიაში (კანტორაში იჯდა, მინის კარსუკან, მუშტრების წასვლა-მოსვლას აკვირდებოდა და ჩუმად ლოცავდა ყოველ მომსვლელს). შემარიაჰს უთხრა:

— მენუხიმის ისევ არაფერი ისმის. ბილეს ბოლო წერილში სიტყვაც არ იყო მასზე ნათქვამი. რას იტყვი, მე რომ გავემგზავრო და მოვინახულო?

შემარიაჰმა, სემად წოდებულმა, American boy-მ მიუგო:

— მამი, ეს პრაქტიკული არ იქნება. მენუხიმის ჩამოყვანა რომ შეიძლებოდეს, აქ მაშინვე მოარჩენდნენ. ამერიკული მედიცინა საუკეთესოა მსოფლიოში, ახლახან ამოვიკითხე გაზეთში. ამგვარ დაავადებებს ინექციით არჩენენ, ბზოლოდდა შპრიცით. მაგრამ რაკი აქ იმ საცოდავი მენუხიმის ჩამოყვანა არ ხერხდება, რატომღა უნდა გავიღოთ ფული? იმას არ ვამბობ, რომ მთლად შეუძლებელია! მაგრამ სწორედ ახლა, როცა მე და მაკმა დიდი, დიდი საქმე წამოვიწყეთ და ფული გვიჭირს, მოდი ამაზე ნურაფერს ვიტყვით! ორიოდ კვირა დამაცადე. გამოგიტყდები, მე და მაკი ახლა ვეწევით სამშენებლო მოედნებით სპეკულაციას. დელანი სტრიტზე დავანგრევინეთ ახლახან ერთი ძველი სახლი. იცოდე, მამი, დანგრევა თითქმის იგივე ჯდება, რაც მშენებლობა, მაგრამ არ ვჩივი. წინ მივიწევთ! მახსენდება, როგორ დავიწყეთ დაზღვევის საქმე, ალმადაღმა დავქროდით კიბეებზე! ახლა მაღაზიის მფლობელნი შევიქენით, შეიძლება ვთქვათ, უნივერმაღისა. ახლა აქეთ გვეახლებიან დაზღვევის აგენტები, მაგრამ მაგათი რა მცოდნია, ჩემი საქმისა მე ვიცი. სუყველას დავიფრენ ხოლმე აქედან, ჩემი ხელით გავყრი გარეთ!

მენდელ ზინგერმა ხეირიანად ვერ გაიგო, რას ერჩოდა სემი აგენტებს ან რად უხაროდა მათი დაფრენა აგრერიგად. სემმა შენიშნა მამის დაბნეულობა, მაგრამ სიტყვა მაინც ბანზე ააგდო.

— მამი, მოდი, საუზმეზე დამეწვიე! — ვითომ დააავიწყდა, რომ მამამისი მხოლოდ სახლში მიირთმევდა. სემს სიამოვნებას ჰგვრიდა იმ გარემოებათა წარმოჩენა, რანიც მას თავისი ყოფილი სამშობლოს ადათ-წესებიდან გამოარჩევდნენ; მან შუბლზე დაირტყა ხელი მაკივით და თქვა:

— ოჰ, როგორ დამავიწყდა! ბანანს მაინც ხომ მიირთმევ! — და ბრძანა, მამისათვის ბანანი მოეტანათ. — მართლა, მირიამზე მინდა გითხრა, გამოიჩირჩნა, თანაც ყველაზე ლამაზი გოგოა მაღაზიაში. სხვასთან რომ მსახურობდეს, ალბათ უკვე მანეკენობას შესთავაზებდნენ, მაგრამ მე არ მინდა, რომ ჩემი დის სხეული ვიტრაჟის ტანსაცმლის სადემონსტრაციოდ გამოიყენონ. მაკსაც არაფ-

რად ეპიტნავება. — სემი შეჩერდა, იქნებ რამე წამოსცდეს მამას მაკზეო, მაგრამ მენდელი დუმდა. იგი არ იყო ეჭვიანი. შვილების, განსაკუთრებით შემარიაჰის ცქერით ტკბებოდა. რა ჭკვიანია, სანთიანი, გამართულ ინგლისურად ლაპარაკობს, თითს დააჭერს ზარის ღილაკს და შიკრიკს გამოუძახებს, ნამდვილი ბოსია.

მენდელი პერანგებისა და ჰალსტუხების სექციაში მივიდა ქალიშვილის სანახავად. მირიამი მუშტარს არ მოშორებია, ისე შეეხმიანა: — სალამი, მამი! — ნიშნად პატივისცემისა. იქ, სახლში, სულ სხვაგვარად ექცეოდა. მამა დიდად არ უყვარდა. თუმცა: „გიყვარდეს მამაშენი და დედაშენი!" ასე როდია სახარებაში ნათქვამი ,არამედ: „პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა!". თავი დაუქნია ქალიშვილს და სახლისაკენ გაბრუნდა. მიდიოდა გულდამშვიდებული, შუა ქუჩაში მიაბიჯებდა, მეზობლებს ესალმებოდა, შვილების სიკეთით ხარობდა. ისევ შავი რიფსის ქუდი ეხურა, მოკლე ხიფთანი ეცვა და მაღალყელიანი ჩექმები. მაგრამ ხიფთნის კალთები აღარ სცემდა უხეში ტყავის ჩექმის ყელს ფრინველის ფრთისდაგვარად. აქ, ამერიკაში, საცა ყველა სადღაც მიიჩქარის, მენდელი ნება-ნება სიარულს დაეჩვია. ასე მიაბიჯებდა იგი დრო-ჟამში, თავისი სიბერის გზაზე, დღის ლოცვიდან ღამეულ ლოცვამდე, საუზმიდან ვახშამდე, გალვიძებიდან დაძინებამდე. ნაშუადღევის იმ საათზე, როცა სახლში მოწაფეები მოსდიოდა ხოლმე, ძუით გატენილ დივანზე წამოწვებოდა და ერთი საათი იძინებდა. სიზმრად მენუხიმს ნახულობდა. ადგებოდა, მცირე ხანს გაზეთს წაიკითხავდა, შემდეგ სკოვრონეკების მაღაზიას მიაშურებდა, სადაც იყიდებოდა გრამოფონები, ფირფიტები, სანოტო რვეულები და სიმღერის ტექსტები. ფირფიტებს იქვე უკრავდნენ. უბნის ყველა ხანდაზმული ადამიანი იყრიდა იქ თავს. საუბრობდნენ პოლიტიკაზე, ანეკდოტებს ყვებოდნენ, როცა გვიანობამდე შემორჩებოდნენ, ხანდახან სახლში შეივლიდნენ სკოვრონეკთან და ნაჩქარევად აღავლენდნენ ღამეულ ლოცვას.

შინისაკენ დინჯად მიმავალი მენდელი წარმოიდგენდა, რომ სახლში წერილი დახვდებოდა. იმ წერილში ცხადად და გარკვევით უნდა ეწეროს, რომ მენუხიმი სავსებით გამოჯანმრთელდა, გონიერი ბიჭი გახდა და, კიდევ ის, რომ ითნას ცოტა უავადმყოფია, რის გამოც სამხედრო სამსახურიდან დაუთხოვიათ და ახლა ამერიკაში აპირებს წამოსვლას. მენდელმა იცოდა, ასეთი წერილი ჯერ ვერ მოვიდოდა, და ღმერთს იმას ევედრებოდა, განაგე და ეს სურვილი ამიხდინეო. გულის ფანცქალით დააწვებოდა ზარის ღილაკს. დებორას რომ შეხედავდა, მყის მიხვდებოდა, რომ წერილი ჯერაც არ მოსულიყო. ეს საღამოც ისევითვე იქნება, ვით სხვა მრავალი.

ერთ დღეს, შემოვლითი გზით შინისაკენ მომავალმა შუკის კუთხეში ყრმას მოჰკრა თვალი, რომელიც შორიდან ნაცნობი მოეჩვენა. იგი ჰიშკარს მიყრდნობილი ტიროდა. მენდელმა გაიგონა წყნარი სლუკუნი, თუმცა თავად ქუჩის მეორე მხარეს იმყოფებოდა. ეცნაურა მენდელს ეს ხმა. შეჩერდა. იფიქრა, მივალ ბავშვთან, ტირილის მიზეზს ვკითხავ და დავამშვიდებო. მისკენ გადადგა ნაბიჯი. ბიჭმა სლუკუნს უმატა და მენდელი შუა ქუჩაში გაშეშდა უცებ. საღამოს ბინდში, ჰიშკრის ჩრდილქვეშ დასკუპულ ბიჭს მენუხიმის სილუეტი ჰქონდა და მისივე პოზა დიახ, ასეთი იყო მენუხიმი სუხნოვში თავის სახლის წინ და ამგვარად სლუკუნებდა. მენდელმა კიდევ გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, მაშინ ბიჭი სახლში შევარდა. მენდელი კარს მიადგა. ბიჭი სახლის ბნელმა შესასვლელმა ჩაყლაპა თითქო.

კიდევ უფრო ნელა განაგრძო მენდელმა გზა სახლისაკენ.

ზარი რომ დარეკა, დებორა კი არ გამოეგება, არამედ თავისი ვაჟიშვილი, სემი. წამით შედგა მენდელი ზღურბლზე. თუმცა მოულოდნელი სიხარულისთვის იყო განწყობილი, მაინც უეცრად შიშმა შეიპყრო, ვაითუ უბედურება რამ მოხდაო. დიახ, იმდენად შეეჩვია მისი გული უბედურებას, მაინც შიში აიტანდა ხოლმე, მაშინაც, როცა სიკეთეს ელოდა. აბა [illegible] სიხარული შეიძლება განიცადოს ჩემნაირმა კაცმა? ყველაფერი ავბედითია, რაც უცბად ხდება. ხოლო სიკეთე ნელა-ნელა, ზოზინით მოდის.

შემარიაჰის ხმა გაიგონა და მყისვე დამშვიდდა.

— მოდი! მოდი! — უთხრა სემმა და ხელჩაჭიდული შეუძღვა მამას ოთახში. დებორას ორი ლამპა აენთო. ვეგა, მირიამი და მაკი მაგიდას უსხდნენ. მთლად შეცვლილი ეჩვენა სახლი. ორივე ლამპა ერთნაირი იყო, ტყუპებს ჰგავდნენ, ერთმანეთს უფრო ანათებდნენ, ოთახს — ნაკლებად. ლამპები თითქოს შესცინოდნენ ერთმანეთს, ამის დანახვამ შვება მოჰგვარა მენდელს.

— დაჯექი, მამი! — მიმართა სემმა. ცნობისმოყვარე არ იყო მენდელი, მაგრამ იაზრა, ახლა ამერიკულ ამბავს რასმე მაუწყებენ, რაიც ცა და ქვეყანას მხიარულ გუნებაზე დააყენებს, მე კი დიდად ვერ გამახარებსო.

„რა მოხდა, ნეტავ? ალბათ გრამოფონი მომართვეს საჩუქრად. ანდა იქნებ ქორწინების დღე შეათანხმეს“. დინჯად დაეშვა სკამზე. ყველა დუმდა. სემმა ლაპარაკი დაიწყო და თითქოს მესამე ლამპა დააგზნო ოთახში:

— მამი, ჩვენ თხუთმეტი ათასი მოვიგეთ ერთი დაკვრით!

მენდელი წამოიმართა და ყველას სათითაოდ ჩამოართვა ხელი. ბოლოს მაკთან მივიდა და უთხრა:

— მადლობელი ვარ თქვენი.

სემმა მაშინვე თარგმნა ეს სამი სიტყვა ინგლისურად. მაკი წამოხტა და მენდელს გადაეხვია. მერე ლაპარაკი დაიწყო, დაიწყო და აღარ დაამთავრა. მარტო მაკი ლაპარაკობდა იმ საღამოს. დებორა ცდილობდა თანხა მანეთებში გადაეყვანა და ვერ ახერხებდა. ვეგა ახალი ბინის ავეჯით გაწყობაზე და როიალის შეძენაზე ფიქრობდა. მისმა ბიჭუნამ უნდა ისწავლოს დაკვრა. მენდელი სუხნოვში მცირე ხნით წასვლაზე ოცნებობდა. მირიამი მაკს უსმენდა და ცდილობდა მეტი აზრი გამოეტანა ნათქვამიდან. რაკი ყველაფერი არ ესმოდა, გოგო ფიქრობდა, იმდენად ბრძნულ აზრებს აფრქვევს მაკი, რომ მათი გაგება მიძნელდებაო. სემი ანგარიშობდა, ღირდა თუ არა მთელი თანხის დაბანდება მაღაზიაში. მხოლოდ მაკი არ იტკივებდა თავს ფიქრით, გეგმების დაწყობით. ის ლაპარაკობდა, როშავდა ყველაფერს, რაც თავში მოსდიოდა.

მომდევნო დღეს ატლანტიკ სიტიში გაემგზავრნენ.

— რა მშვენიერი ბუნებაა, — იძახდა დებორა. მენდელი მხოლოდ წყალს ამჩნევდა. გაიხსენა იქ, სამშობლოში გატარებული ახირებული ღამე, ზამეშკინის გვერდით რომ იწვა გზისპირა თხრილში. ჭრიჭინების ზავთი მოესმა და ბაყაყების ყიყინი.

— ჩვენთან, სამშობლოში, ხმელეთია ასე ვრცელი. როგორც აქ, ამერიკაში წყალი, — წამოსცდა მენდელს, თუმცა ამის თქმას არ აპირებდა.

— გესმის, რას ამბობს მამაშენი, — თქვა დებორამ, — ბერდება კაცი!

მართლა ვბერდები, გაიფიქრა მენდელმა.

შინ რომ დაბრუნდნენ, კარის ღრეჩოში სქელი, გაბერილი წერილი დახვდათ გაჩხერილი. ფოსტალიონმა ვერ შეტენა შიგნით ალბათ.

— შეხედე, — თქვა მენდელმა და დაიხარა.

— ეს წერილი კეთილის მაცნეა. ბედნიერება გვეწვია. ერთ სიკეთეს მოსდევს მეორე, გმადლობ შენ, უფალო, და გთხოვ, მომავალშიც ნუ მოგვაკლებ შენს მოწყალებას.

ბილეს ოჯახის წერილი იყო. მართლაც კეთილის მახარობელი ტყობინებოდნენ, მენუხიმმა უეცრად ლაპარაკი დაიწყო.

„ექიმმა სულტისიუკმა გასინჯა და თვალებს არ დაუჯერა. პეტერბურგში უპირებენ მენუხიმს გაგზავნას, განთქმული ექიმები უნდა დააბვიონ თავს. ერთხელ ხუთშაბათს, ნაშუადღევს, ბიჭი მარტო დარჩა სახლში. ღუმელიდან ანთებული ჩინჩხვარი გადმოვარდნილა, მთელი იატაკი დაწვარა, კედლებიც შესათეთრებელია. კაი ძალი ფული დასჭირდება. მენუხიმი ქუჩაში გამოვარდა, — ახლა საკმაოდ კარგად დარბის, — და დაიყვირა „ცეცხლია, ცეცხლი!“ — და შას აქეთ რამდენიმე სიტყვას ამბობს.

რა დასანანია, რომ იონა მაშინ ერთი კვირის წასული იყო. დიახ, თქვენი იონა იყო აქ, შვებულებაში. მართლა ნამდვილი ჯარისკაცია. მან არც იცოდა თქვენი ამერიკაში გადასახლება .იონამაც მოგწერათ აქვე, მეორე გვერდზე.

„საყვარელო მამა, საყვარელო დედა, საყვარელო ძმავ და საყვარელო დაო!

თქვენ თურმე ამერიკაში ხართ, მეხივით დამეცა ეს ამბავი. თუმცა მე თავადა ვარ დამნაშავე, რადგანაც თქვენთვის წერილი არ მომიწერია. თუ ერთხელ მოგწერეთ. მაინც, როგორც ვთქვი, მეხივით დამეცა. მაგრამ ნუ იჯავრებთ. მე ძალიან კარგადა ვარ. ყველანი კარგად მეექცევიან და მეც კარგად ვეპყრობი ყველას. განსაკუთრებით კარგად ვექცევი ცხენებს. ისეთი ჯირითი ვისწავლე, ნამდვილ კაზაკს რომ შეშვენის. გაჭენებული ცხენიდან შემიძლია გადმოვიხარო და კბილებით ავიღო ცხვირსახოცი. ასეთი რამეები მომწონს და სამხედრო სამსახური აგრეთვე. სამსახურს რომ მოვილევ, აქვე დავრჩები. ჯარში კაცი უზრუნველყოფილია, საჭმელი გვაქვს, ყველაფერს უფროსები განაგებენ, რაც საჭიროა, და ჯარისკაცს საფიქრალი აღარა რჩება. არ ვიცი, ისე გწერთ თუ არა, რომ ყველაფერი გაიგოთ. იქნება ვერც გაიგოთ. საჯინიბოში ძალიან თბილა და მე მიყვარს ცხენები. თქვენგან აქეთ თუ ჩამოვა ვინმე, შეგიძლიათ ჩემი ნახვა. ჩემმა კაპიტანმა მითხრა, თუ ასეთივე კარგი ჯარისკაცი დარჩი, თხოვნა გაუგზავნე მეფეს, ესე იგი მის უდიდებულესობას, რომ შენს ძმას მიუტევონ დეზერტირობაო. იმაზე მეტად ვერაფერი გამახარებს, რომ შემარიაჰი ამქვეყნად კიდევ ვნახო. ჩვენ ხომ ერთად დავიზარდენით.

ზამეშკინი კარგად არის და მოკითხვას გითვლით. აქ ხანდახან ამბობენ, ომი იქნებაო. მართლა თუ იქნა, თქვენ უნდა შეეჩვიოთ იმ აზრს, რომ მე მოვკვდები, ისევე როგორც მე ვარ ამას შეგუებული, იმიტომ რომ ჯარისკაცი ვარ.

ამგვარად გეხვევით ერთხელ და სამუდამოდ და სამიდღემჩიოდ. მაგრამ არ იჯავროთ, იქნება ცოცხალი გადავრჩე.

თქვენი ვაჟი იონა.“

მენდელ ზინგერმა სათვალე მოიხსნა, შენიშნა, რომ დებორა ტიროდა და ამდენი წლის შემდეგ პირველად წაავლო ხელი ცოლის ხელებს. ნამტირალევი სახიდან მოაშორებინა და ზეიმნარევ კილოზე განაცხადა:

— აჰა, დებორა, გვიშველა ღმერთმა. აიღე თავსაფარი, ჩაირბინე და ერთი ბოთლი თაფლუჭი მოგვიტანე.

მერე ისხდნენ მაგიდასთან, ჩაის ჭიქებით სვამდნენ თაფლუჭს და ერთსა და იმავე საფიქრალს ფიქრობდნენ.

— მართალი ყოფილა რაბინი, — თქვა დებორამ. მეხსიერებამ ზუსტად უკარნახა ქალს სიტყვები, რომელნიც მის არსებაში თვლემდნენ დიდხანს: — „ტკივილი სიბრძნეს მიანიჭებს უმაწვილს, სიმახინჯე — სიქველეს, სიმწარე — სათნოებას და ავადმყოფობა — ძალას“.

— არასდროს წამოგცდენია ეს ჩემთან, — უთხრა მენდელმა.

— გადამავიწყდა!

— რატომ იონამ არ წაგვიყვანა კლუჩიცკში. მას ხომ ცხენები ურჩევნია ჩვენს თავს.

— ახალგაზრდაა ჯერ. — გამოესარჩლა შვილს დებორა. — იქნებ კარგიცაა, ცხენები რომ უყვარს. — და რაკი ქმარს სულმუდამ შარს უკრეფდა, ახლაც გაქენწლა: — ცხენების სიყვარული შენგან არ გამოჰყოლია.

— არა. — კვერი დაუკრა მენდელმა და მშვიდად გაიღიმა. შინ დაბრუნების ფიქრი შეუჩნდა. — იქნებ შევძლოთ და მენუხიმი ჩამოვიყვანოთ სასწრაფოდ ამერიკაში. — სანთელი აანთო, ლამპა ჩააქრო და თქვა: — დაიძინე, დებორა! მირიამი რომ მოვა, მე ვაჩვენებ წერილს. ამაღამ უნდა ვიფხიზლო. — ჩემოდნიდან ძველი ლოცვანი ამოიღო, ხელმა თავად, ჩვეული მოძრაობით გადაშალა ფსალმუნი და მენდელმა დაიწყო გალობა. გულიდან მოდიოდა ეს გალობა. წყალობა მიიგო უფალმა და სიხარული არგუნა. მასაც ფარავდა განიერი, ვრცელი, მოწყალე კალთა ღვთისა. მისგან მადლმოფენილი, მის სადიდებლად ალავლენდა საგალობლებს ისევ და ისევ. მენდელის ტანით მობერილმა სიომ სანთელს ჰარპალი დააწყებინა, ფეხით მას ტაქტი გამოჰყავდა, ფსალმუნის ლექსთა თანაზომიერი. სიხარულით ატოკებული გულისდა კვალად ირხეოდა მისი სხეული.

11

ასე განერიდა პირველად მენდელ ზინგერის სახლობას შეჭირვება. საძულველ დედმამიშვილივით გაშინაურებული. მენდელს ორმოცდაცხრამეტმა წელმა მოუკაკუნა. ორმოცდათვრამეტი წელიწადი თანასდევდა ვარამი, დარდი შორდებოდა და სიკვდილი ეპარებოდა. წვერი გაუთეთრდა, თვალის ჩინი დააკლდა. წელში მოიხარა, ხელები უკანკალებდა. ფხიზლად ეძინა გრძელ ღამეებში, კმაყოფილ იერს უცხოთაგან ნათხოვარ ტანსაცმელივით ატარებდა. მისი ვაჟიშვილი მდიდართა კვარტალში გადასახლდა, მენდელი კი დარჩა თავის შუკაში, თავის ბინაში, ნავთის ცისფერ ლამპებთან, გარემოცული გაჭირვებული ხალხით, კატებითა და თაგვებით. მორწმუნე იყო იგი, ღვთისმოშიში და ალალი, ერთი ყოვლად ჩვეულებრივი ებრაელი. ცოტანი თუ ამჩნევდნენ მენდელს. ზოგი სულაც არ აქცევდა ყურადღებას, თვითონ კი რამოდენიმე ძველ მეგობართან დადიოდა: ხილით მოვაჭრე მენკესთან, სამუსიკო საქონლის მაღაზიის მფლობელ სკოვრონეკთან, ბიბლიის გადამწერ როტენბერგთან და მეწაღე გროშელთან. კვირაში ერთხელ მისი სამი შვილი მოდიოდა, შვილიშვილი და მაკი. სათქმელი მათთვის ალარაფერი გააჩნდა, ისინი კი მოყვებოდნენ თეატრის, საზოგადოების, პოლიტიკის ამბებს. მოსმენისას ჩასთვლემდა ხოლმე. დებორა რომ გაალვიძებდა, თვალს გაახელდა და ირწმუნებდა, არა მძინებიაო. მაკი იცინოდა. სემი ილიმებოდა. მირიამი დებორას ეჩურჩულებოდა. მენდელი მცირე ხანს იფხიზლებდა და ისევ დაიწყებდა თავის კანტურს. ჩაიძინებდა თუ არა, სიზმრად სამშობლოს ნახულობდა და ამერიკის სინამდვილეს, ყურმოკრულ ამბებს, თეატრს,

აკრობატებს, ოქროსფრად და წითლად მორთულ მოცეკვავე ქალებს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს, თეთრ სახლს, მილიარდერ ვანდერბილტს და ისევ და ისევ მენუხიმს. პატარა ხეიბარი შეერთვოდა მოცეკვავე ქალთა წითელსა და ოქროსფერს და „თეთრი სახლის" მკრქალ სინათლეზე საცოდავ, ნაცრისფერ ლაქად მოჩანდა. მენდელს თავი არა ჰქონდა, რომ ცხადად ეხილა ეს ყველაფერი. ასე ეტყოდა ხოლმე შვილებს, მჯერა თქვენი ნაუბარი, რომ ამერიკა ღმერთის წილხვედრი ქვეყანაა, ნიუ-იორკი — საოცრებათა ქალაქი და ინგლისური — ულამაზესი ენა; რომ ამერიკელი მამაკაცები ჯანმრთელნი არიან, ქალები მშვენიერნი, სპორტი საჭიროა, დრო ძვირფასი, სილარიბე საძრახისია, სიმდიდრე — დამსახურება, სარისტა — წარმატების ნახევარი, საკუთარი თავის რწმენა ნაღდი წარმატებაა, ცეკვა — ჰიგიენური, გორგოლაჭებიანი ციგურები — სავალდებულო, ქველმოქმედება — დაბანდებული კაპიტალი, ანარქიზმი დანაშაულია, გაფიცული — კაცობრიობის მტერი, შფოთისთავი ეშმაკის მოციქულია, თანამედროვე მანქანები — ზეცით მოვლენილი მადლი, ედისონი — ყველაზე დიდი გენიოსი. ადამიანები მალე ფრინველივით დაიწყებენ ფრენას, თევზივით შეძლებენ ცურვას, მომავალს წინასწარმეტყველივით განჭვრეტენ, იცხოვრებენ მარადიული მშვიდობისა და სრული ერთსულოვნების ვითარებაში, ცათამბჯენები ვარსკვლავებს მიებჯინებიან. ძალიან ლამაზი იქნება სამყარო, ბედნიერად იცხოვრებენ ჩემი შვილიშვილები, გაიფიქრა მენდელმა. თვითონაც ყველაფერს მოესწრება! მომავლით აღტაცებას ნოსტალგია ჩრდილავდა, რუსეთი ენატრებოდა. ერთი რამით იმშვიდებდა თავს ,ცოცხალთა ტრიუმფი რომ მოაწევს, მე ამქვეყნად აღარ ვიქნებიო. ამეებში ხეირიანად ვერ ერკვეოდა. სიახლეთათვის ძალიან ხანდაზმული იყო მენდელი და ფრიად სუსტი ტრიუმფისათვის. ერთი იმედი ჰქონდა კიდევ, მენუხიმის ნახვას მოესწრებოდა. სემი ან მაკი გადასერავდნენ ოკეანეს ბიჭის ჩამოსაყვანად. ან იქნებ დებორა.

იმ ზაფხულს მენდელ ზინგერის ბინაში უსაშველოდ გამრავლდნენ პარაზიტები, თუმცა საწოლის ფეხთა თითბრის გორგოლაჭები დღედაღამ ნავთით სავსე ხალნებში იყო ჩადგმული. ადგებოდა დებორა, ტერპანტინის ხსნარს წაუსვამდა ავეჯის ნაჩვრეტებს ქათმის ფაფუკი ფრთით, მაგრამ ბაღლინჯოები მაინც დათარეშობდნენ, დაწალიკებით ადიოდნენ კედლებზე, ჭერზე დაფუთფუთებდნენ და სისხლმოწყურებულნი, მზაკვრულად გარინდულნი ელოდნენ დაბნელებას, რომ დაძინებულთ დასცემოდნენ ზევიდან თავზე. რწყილები ჭერის ჩაშავებულ ფიცრებიდან და ნივნივათა შორისებიდან შერეოდნენ ტანსაცმელს, ბალიშებს, საბნებს. დახუთულ ღამით ღია ფანჯრიდან მოისმოდა უცხო მატარებელთა გრუხუნი, თვალუწვდენელი, გამრჯე სამყაროს რიტმული გუგუნი, მეზობელი სახლებიდან, სანეხვეებიდან და ღია არხებიდან მოდიოდა ამღვრეული ოხშივარი. მთელი ღამე გაისმოდა კატების შლიგინი, უპატრონო ძაღლების ყმუილი, ყრმათა ტირილი და მენდელ ზინგერის თავზე დააბოტებდნენ ძილგატეხილნი, აცხიკვებდნენ შეცივნულები, საცოდავად ამთქნარებდნენ არაქათგამოცლილნი. მენდელ ზინგერმა საწოლის გვერდით მწვანე ქილაში ჩადებული სანთელი აანთო და ფანჯარასთან მივიდა. დაინახა მიღმა მოფუსფუსე შფოთიანი ამერიკული ღამის ალისფერი ანარეკლი, პროჟექტორის ვერცხლისფერი, მოქანავე სვეტი, რომელიც თითქოს თავგამოდებით დაეძებდა ღამეულ ზეცაზე ღმერთს. კიდევ რამდენიმე ვარსკვლავ- გაარჩია მენდელ ზინგერმა,

აქა-იქ მოციაგე თანავარსკვლავედი. გაახსენდა სამშობლოს ღამე. კაშკაში ვარსკვლავებით მოჭედილი, ცა ღრმა და ლურჯი, ფართოდ გადაშლილი, მთვარის ნატიფად მოდრეკილი ნამგალი, მრუმე ფიქვნარის შრიალი ტყეში, ჭრიჭინებისა და ბაყაყების ხმიანობა და იფიქრა, რომ ადვილად შეძლებდა ხელდახელ, აი ასევე, გასულიყო სახლიდან და მთელი ღამე ფეხით ევლო, სანამ არ მივიდოდა მოწმენდილ ცისქვეშ, მოისმენდა ბაყაყებისა და ჭრიჭინების კონცერტსა და მენუხიმის სლუკუნს. აქ, ამერიკაში, მენუხიმის სლუკუნი შეერთვოდა უამრავ ხმას, მშობლიური სიმღერებისა და საუბრის ყლერას, ჭრიჭინების ჭრიჭინსა და ბაყაყების ყიყინს. ოკეანე მაშორებს იმ ცას, გაიფიქრა მენდელმა გემზე უნდა ავიდე ,ისევ გემზე, ხელახლა ვიმგზავრო ოცი დღე და ჩავალ სახლში მენუხიმთან.

ვერა და ვერ დაიყოლიეს შვილებმა, იმ კვარტალს შელეოდა. შიშობდა მენდელი, მეტიჩრობაში არ ჩამომართვანო. ახლა, როცა ყველაფერი თითქოს მოგვარდა, აღარ უნდა შესცოდოს ღმერთს. აბა თავს უკეთ როდის გრძნობდა? რისი მაქნისია აყრა და გადასახლება? რას იხეირებს? რამდენიმე წელი დარჩენია და შეუძლია პარაზიტების გვერდით გაატაროს.

შემობრუნდა. დებორას ეძინა. ადრე მირიამსაც დედასთან ეძინა ოთახში. ახლა ძმის სახლში ცხოვრობს. თუ მაკისა? გაიფიქრა მენდელმა. დებორას წყნარად ეძინა. საბანი ნახევრად გადაეხადა, გაბადრულ სახეზე ღიმილი უთამაშებდა. რაღა მესაქმება ამ ქალთან? რაღა გვაცხოვრებს ერთად? ვნება დაგვიცხრა, შვილები დაბრდილნი არიან და უზრუნველყოფილნი, რაღა მინდა ამასთან იქნებ მისი კერძების ჭამა? მართალია, წერია წმინდა წიგნში, რომ არ ვარგა ადამიანის განმარტოება. ამიტომაც ვართ ერთად. ძალიან დიდი ხანია ერთად ვცხოვრობთ და ახლა ღმერთმა იცის, ვინ ვის გაუსწრებს. პირველი ალბათ მე წავალ, გაიფიქრა მენდელმა. დებორა ჯანმრთელია და ბევრი ალერაფერი აქვს სადარდელი. სადღაც ისევ მალავს ფულს, იატაკის რომელიღაც ფიცარქვეშ. ვერ შეიგნო, რომ ეს ცოდვაა. შეინახოს ბატონო!

ქილაში ჩადგმული სანთელი ყუნწამდე დაიწვა. ღამე მიილია. მზის ამოსვლამდე გაისმის გარიჟრაჟის პირველი ჩქამი. სადღაც კარმა გაიჭრიალა კიბეზე ვიღაც დაბრახუნებს: ცა ფერმკრთალია, ნაცრისფერი, მიწას მოყვითალო ოხშივარი ასდის, არხებიდან აქროლებული გოგირდი და მტვერი.

დებორამ გაიღვიძა, ამოიხვნეშა და თქვა:

— გაწვიმდება! არხებიდან სიმყრალე მოდის, დახურე ფანჯარა!

ასე იწყება ზაფხულის დღე. ნაშუადღევს მენდელი ველარ იძინებს სახლში. ბავშვთა სათამაშო მოედანს მიაშურებს. ახალისებს აქა-იქ შემორჩენილი შაშვების გალობა. დიდხანს ზის ძელსკამზე და ქოლგით აცაბაცა ხახვებს ავლებს ქვიშაში. რეზინის გრძელი მილიდან პატარა გაზონს ეფრქვევა წყალი. ჩხრიალი ჩაესმის, წყალი თითქოს სახეზე ელამუნება და მენდელს რული მოეკიდება. ეზმანება თეატრი. წითლად და ოქროსფრად მორთული აკრობატი ქალები, თეთრი სახლი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, მილიარდერი ვანდერბილტი და მენუხიმი.

ერთ დღეს მაკი გამოეცხადა და აუწყა, — მირიამი უთარგმნიდა, — ივლისის დასასრულ ან აგვისტოში რუსეთს გავემგზავრები და მენუხიმს ჩამოგიყვანო.

მიხვდა მენდელი, რატომ უნდოდა მაკს წასვლა. უთუოდ მირიამის შერთვას აპირებს. რაც შეუძლია, ყველაფერს იღონებს ზინგერის ოჯახისათვის.

მე რომ მოვკვდე, მაკი მაშინვე შეირთავს მირიამს. ორივენი ჩემს სიკვდილს ელიან. მე კიდევა მაქვს დრო. მენუხიმს დაველოდები.

დადგა ივნისი, ცხელი, გაჭიანურებული თვე.

ალარ დაადგა საშველი ივლისის მოსვლას! ივლისის ბოლოს შეუკვეთს მაკი გემის ბილეთს. ბილეს ოჯახთან წერილს გაატანენ. მენდელი [illegible] სკოვრონეკის მალაზიაში მიდის, სურს მეგობრებს აცნობოს, უმცროსი ვაჟიშვილი [illegible] ამერიკაშიო. სკოვრონეკის მალაზიაში ჩვეულებრივზე მეტი ხალხია თავშეყრილიყო. განერიდა შეჭირვება და კიდევაც ატყდა ომი.

მაკი ველარ წავა რუსეთში. ველარ ჩამოვა მენუხიმი ამერიკაში. დაიწყო ომი.

სულ მცირე ხნის წინ იყო, მენდელ ზინგერის სახლობას შეჭირვება რომ განერიდა. განერიდა შეჭირვებულ და კიდევაც ატყდა ომი.

იონა ჩაება ომში და მენუხიმი რუსეთში ჩარჩა.

ახლა კვირაში ორჯერ მოდიან სემი და მირიამი, ვეგა და მაკი სტუმრად მენდელ ზინგერთან. ყველა ერიდება მენდელთან დასალუპად განწირული იონასა და ბედის ანაბარა მიტოვებული მენუხიმის სახელების ხსენებას. ალბათ ლამობენ, ევროპისაკენ მიმართული მზერა მენდელს აქეთ მოაბრუნონ, თავიანთი ილბლიანი საქმიანობისა და მშვიდობიანი ცხოვრებისაკენ. თითქოს აპირებდნენ ჩამდგარიყვნენ მენდელ ზინგერსა და ომს შორის. მენდელი ვითომ უსმენდა მათ საუბარს, კვერს უკრავდა, როცა მის დამშვიდებას ცდილობდნენ: იონა კანცელარიაში იქნება დასაქმებული, ხოლო თავისი უცნაური სნების გამო მენუხიმს პეტერბურგის რომელიმე ჰოსპიტალში მოათავსებენო, და ამავე დროს წარმოიდგენდა, როგორ წაექცა იონას გაჭენებული ცხენი და მხედარი მავთულხლართებში გაება, ამგვარ ამბებს ცოცხლად ხატავდნენ კორესპონდენტები. იმასაც წარმოიდგენდა, როგორ წაეკიდა მის სახლს სუხნოვში ცეცხლი, მენუხიმი კუთხეში მიყუჟული და ცეცხლი ეკიდება. რამდენჯერ გაბედა მენდელმა და თქვა:

— წერილი რომ მივიღეთ ერთი წლის წინ, მაშინ მე თავად უნდა წავსულიყავ მენუხიმთან.

ვერავინ ბოულობდა პასუხად სათქმელს. მენდელმა რამდენჯერმე გაიმეორა ეს. მაგრამ ყველა დუმილით პასუხობდა. ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს ბერიკაცის ნათქვამმა ოთახში შუქის დაქრობა გამოიწვია. ოთახი დააბნელა და შეუძლებელი გახადა გზის გაგნება. დიდხანს ისხდნენ ასე დადუმებული. შემდეგ წამოდგნენ და წავიდნენ.

მენდელმა გაისტუმრა ისინი, კარი დაკეტა, დებორა დასაძინებლად გაგზავნა. სანთელი აანთო და ფსალმუნის გალობა დაიწყო. ასე გალობდა იგი სიხარულისა და ურვის ჟამსაც.

გალობდა, როცა ზეცას მადლობდა და მაშინაც, როს ეშინოდა მისი რისხვის. კვლავ ჩვეულებრივ ირწეოდა. დაკვირვებული მსმენელი მხოლოდ კილოთი თუ მიხვდებოდა, მადლიერებას გამოხატავდა გალობა, თუ შიშის ძრწოლას. ლამე შიში მოეძალებოდა ხოლმე და აცახცახებდა, ვით სუსტ ხეს ქარი. დარდი თავის ხმაზე ამღერებდა, უცხო ხმით მღეროდა ფსალმუნებს. გალობა რომ დაამთავრა, წიგნი დახურა, ტუჩებთან მიიტანა, ეამბორა და თითებით მოაშთო სანთლის ალი. მაინც ვერ მოისვენა. ცოტა, ძალიან ცოტა რამ გავაკეთეო, ამბობდა თავისთვის. ხანდახან შიშს გვრიდა ფიქრი, ჩემი ერთადერთი იარაღი, ფსალმუნთა მღერა უძლური იქნება იმ გრანდიოზული ქარიშხლის წინააღმდეგ.

ონასა და მენუხიმს რომ უპირებს განადგურებასო. მეხივით გრგვინავს ზარბაზანი, ცეცხლის ალები რიალებენ. ჩემს შვილებს ცეცხლი ეკიდებათ. ჩემი ბრალია, ჩემი! მე კიდევ აქ ფსალმუნებს ვმღერი. აბა ამით რას ვაკეთებ და რას ვუშველი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

12

სკოვრონეკის მაღაზიაში საღამოჟამს პოლიტიკურ თავყრილობათა ყველა მონაწილემ წააგო ნაძლევი, ვინც ამტკიცებდა, ამერიკა ნეიტრალიტეტს დაიცავსო.

შემოდგომა იყო. მენდელ ზინგერს დილის შვიდ საათზე გაეღვიძა. რვაზე ქუჩაში გავიდა. სახლის წინ, ჯერ თეთრი იყო თოვლი და ფაშარი, როგორც შინ, სუხნოვში. მაგრამ აქ უეცრად დნება თოვლი. ამერიკაში ერთ ღამეზე მეტხანს ვერ ძლებს ,უთენია გათელავენ გაზეთის გამყიდველი ბიჭები. მენდელი დაელოდა, და მართლაც გამოიარა ერთმა. გამოართვა გაზეთი და შებრუნდა შინ. ცისფერი ნავთის ლამპა ისევ ენთო. მენდელ ზინგერმა გაშალა გაზეთი მსხვილშრიფტიანი, წებოვანი და სველი. გაზეთს ლამპასავით ნავთის სუნი ასდიოდა. ფრონტის ამბები წაიკითხა. ისევ მიუბრუნდა, მესამედ, მეოთხედ. შეიტყო, რომ თხუთმეტი ათასი გერმანელი ერთად ჩაცვივდა ტყვედ და რუსებმა ბუკოვინაზე შეტევა განაახლეს.

ამას არ დასჯერდა. სათვალე მოიხსნა, გაწმინდა, ისევ გაიკეთა და თავიდან გადაიკითხა ფრონტის ამბები. თვალებით ცხრილავდა სტრიქონებს. ხომ არსად გამორჩა სახელები სემ ზინგერისა, მენუხიმის, ონასი?

— ახალი რაა გაზეთში? — დღესაც ჰკითხა დებორამ, როგორც ყოველთვის.

— არაფერი! — მიუგო მენდელმა. — რუსები იმარჯვებენ, გერმანელები ტყვედ ბარდებიან.

სიჩუმე ჩამოვარდა. სპირტქურაზე დადგმული ჩაი ადუღდა. სპირტქურა ისევე ღუღუნებდა, როგორც ძველ სახლში სამოვარი. ოღონდ ჩაის აქ სხვა გემო აქვს, შმორის გემო დაკრავს ამერიკაში ჩაის, პაკეტები ჩინური ქაღალდითაა შეფუთული, მაგრამ მაინც.

— ჩაისაც ვეღარ დაიგემოვნებ! — წამოსცდა მენდელს და თავად გაუკვირდა, რომ ამგვარ წვრილმანთათვის მოიცალა. იქნებ სხვა რამე უნდოდა ეთქვა? ქვეყანა ინგრევა და მენდელი ჩაიზე ჩივის. რუსები იმარჯვებენ, გერმანელები ტყვედ ბარდებიან. მხოლოდ სემისა და მენუხიმის არა ისმის რა. მენდელმა ორი კვირის წინ გაგზავნა წერილი. წითელი ჯვრიდან აცნობეს, რომ ონა უგზო-უკვლოდაა დაკარგული. ალბათ მკვდარია, ფიქრობდა გულში დებორა. მენდელიც ამასვე ფიქრობდა. დიდხანს ბჭობდნენ. რას ნიშნავს გამოთქმა „უგზო-უკვლოდ დაკარგული", და დაადგინეს, რომ იგი სავსებით გამორიცხავდა სიკვდილის შესაძლებლობას, უგზო-უკვლოდ დაკარგული ნიშნავს მხოლოდ ტყვედ ჩავარდნილს, დეზერტირს ან დაჭრილს.

რატომ აღარას იწერება ამდენ ხანს სემი? ხანგრძლივ ლაშქრობაში მონაწილეობდა და ვინ იცის, იქნებ სხვაგან გადაიყვანეს, სხვა ნაწილში. ყველაფერს საღამოხანს განუმარტავენ სკოვრონეკთან.

აბა ხმამაღლა ხომ ვერ ვიტყვი, რომ სემი არ უნდა წასულიყო ჯარში, გაიფიქრა მენდელმა.

და მაინც წამოსცდა. მეორე ნაწილი ამ წიხადადებისა ხმამაღლა წარმოთქვა. დებორამ ყური დაიქვიტა.

— შენ არ გესმის, მენდელ, — უთხრა ცოლმა, და თავისი ქალიშვილის, მირიამის არგუმენტები მოიშველია, რომ სემის ომში მონაწილეობა გაემართლებინა. ამერიკა მშობლიური ქვეყანაა, ყოველი წესიერი კაცი ვალდებულია სამშობლოსათვის წავიდეს ომში, რაკი მაკი წავიდა, სემსაც აღარ შეეძლო დარჩენა. გარდა ამისა სემი, მადლობა ღმერთს, პოლკის შტაბშია. იქ მსხვერპლი არ იქნება. თუ დავუშვებთ, რომ ყველა მაღალი რანგის ოფიცერი დაიღუპება, მაშინ გამარჯვებას ვერ მოვიპოვებთ. სემი ხომ, მადლობა ღმერთს, მაღალი რანგის ოფიცერთან იმყოფება.

— ერთი ვაჟი მეფეს მივეცი, საკმარისია!

— მეფე სხვაა და ამერიკა კიდევ სულ სხვა!

მენდელმა ბოლომდე აღარ მოუსმინა დებორას. უკვე იცოდა, რასაც ეტყოდა. გაახსენდა მაკისა და სემის ჯარში წასვლის დღე. შუა ქუჩაში მიდიოდნენ ორივენი და ამერიკულ სიმღერას მღეროდნენ. საღამოს სკოვრონეკისას ითქვა: სემი, მობალისედ წავიდა ჯარში, კარგი ჯარისკაცი იქნება სემი.

იქნება მართლაც სამშობლოა ამერიკა და ომში მონაწლეობა სავალდებულოა. სიმხდალე სამარცხვინოა და პოლკის შტაბში სიკვდილი — შეუძლებელი რამ. მაგრამ მე, როგორც მამას, ერთხელ მაინც უნდა მეთქვა: დარჩი! რამდენ ხანს ველოდი, ვიდრე ველირსე სულ პატარა ბედნიერებას. და აი, ომია რუსეთის ჯარშია. მენუხიმს რა ბედი ეწია, არ ვიცი. სემ, შენ ცოლი გყავს და შვილი, საქმე გაქვს და დარჩი, სემ. ასე რომ მეთქვა, იქნებ დარჩენილიყო.

მენდელი ჩვეულებისამებრ ფანჯარასთან დადგა. ზურგით ოთახისაკენ. მოპირდაპირე სახლის მეორე სართულზე, ლემელის ოთახის ჩატეხილ ფანჯარას ყავისფერი მუყაო ჰქონდა აკრული. დაბლა მოთავსებული იყო ძეხვით მოვაჭრე ებრაელის მაღაზია ებრაული ფირნიშით — ლია ცისფერ ფონზე თეთრი, ჭუჭყმოდებული ასოები. ლემელის ვაჟიც წავიდა ჯარში. ლემელის მთელი ოჯახი საღამოს სკოლაში დადიოდა და ინგლისურს სწავლობდა. საღამო ხანს ისინი რვეულებით მიდიოდნენ ხოლმე სკოლაში პატარა ბავშვებივით. ასეა ალბათ საჭირო, მენდელსა და დებორასაც უნდა ევლოთ სკოლაში. სამშობლოა ამერიკა.

კიდევ წამოთოვა, ნელა, ზანტად მოფრინავდა ნოტიო ფანტელები. ებრაელები გაშლილი შავი ჭოლგების რხევით მიმიოდიოდნენ შუა ქუჩაში. მათ ფეხქვეშ დნებოდა თოვლის უკანასკნელი თეთრი ფანტელები, ისინი მოდიოდნენ და მოდიოდნენ. თითქოს ხელისუფალთა დავალებით მანამ უნდა ევლოთ, ვიდრე თოვლს მთლად არ მოაშთობდნენ. თავისი ფანჯრიდან მენდელს ცის დანახვა არ შეეძლო. მაგრამ იცოდა, რომ ცა ბნელი იყო. მოპირდაპირე სახლის ყოველ ფანჯარაში ჩანდა ლამპის შუქის მოყვითალო-წითელი ანარეკლი. ცა ბნელი იყო, სიბნელე სუფევდა იმ ოთახში.

ხან აქ, ხან იქ იღებოდა ფანჯარა, მეზობელი ქალის გულმკერდი გაიელვებდა, წითელსა და თეთრ შალითებს ფენდნენ გარეთ და შიშველ, მოყვითალო უპირო ბალიშებს მთელი შუკა უცბად გამხიარულდა და აჭრელდა. მეზობლის ქალები ერთმანეთს ხმამაღლა ესალმებოდნენ. ოთახის სიღრმიდან მოისმოდა თეფშების წკრიალი და ბავშვების ყვირილი. კაცი იფიქრებდა, მშვიდობიანი, საამხედრო მარშების მელოდიები რომ არა, რომლებიც სკოვრონეკის მაღაზიიდან მთელ ქუჩას ეფინებოდა. როდისაა კვირა, გაიფიქრა მენდელმა. იქრე კვირიდან კვირამდე ცხოვრობდა, ახლა კი ცდილობდა გაეძლო კვირა

დღემდე. კვირას მოვიდნენ სტუმრები ,მირიამი, ვეგა და შვილიშვილი, თან მოიტანეს სემის წერილები და ქვეყნის ამბები. ყველაფერი იცოდნენ,იმიტომ, რომ გაზეთებს ადევნებდნენ თვალყურს. ახლა ქალები ერთად ეწყვეტოდნენ საქმეს, ყველაფერი კარგად მიდიოდა, ენერგიულად მუშაობდნენ, ფულს აგროვებდნენ და სემის დაბრუნებას ელოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირიამს ხანდახან ადმინისტრატორი მოჰყვებოდა ბოლნეულ, — ბატონ გლიუკი, გლიუკთან ერთად დადიოდა ახლა ცეკვებზე. ახალი კაზაკი მოათრია! — ფიქრობდა მენდელი, თქმით კი არაფერი უთქვამს.

— სამწუხაროდ, მე არ შემიძლია ომში წასვლა! — ხვნეშით იტყოდა მისტერ გლიუკი, — ფულის სარქველის მძიმე მანკი მაქვს. ერთადერთი რამ, რაც ცხონებული მამაჩემისაგან გადმომეცა მემკვიდრეობით.

მენდელი აკვირდებოდა გლიუკის ვარდისფერ ლოყებს, მის ჰატარა, თაფლისფერ თვალებს, კოხტა, სქელ ულვაშებს, რომელთაც იგი, წინააღმდეგ მაშინდელი მოდისა, არ იპარსავდა და წარამარა იგრეხდა. გლიუკი მირიამსა და ვეგას შორის იჯდა. ერთხელ მენდელი შუა საუბარში მაგიდიდან წამოდგა და თვალი შეასწრო: ბატონი გლიუკის მარჯვენა ხელი ვეგას კალთაში იდო, ხოლო მარცხენა — მირიამის თეძოზე. მენდელი გარეთ გავიდა, ქუჩაში, თავის სახლის წინ ალმა-დალმა სიარულს მოჰყვა და დაიცადა, ვიდრე სტუმრები არ წავიდნენ.

— შენ ისე იქცევი, როგორც რუსი ებრაელი, — უთხრა დებორამ სახლში მობრუნებულს.

— ვარ კიდეც რუსი ებრაელი, — მიუგო მენდელმა.

ერთხელ, თებერვლის დასაწყისში, სადაგ დღეს, მენდელი და დებორა საღილად რომ ისხდნენ, შემოვიდა მირიამი.

— გამარჯობა, დედა! გამარჯობა, მამი! — თქვა მირიამმა და გაჩერდა. დებორამ კოვზი დადო და თეფში გვერდზე გასწია, მენდელმა ქალებს გადახედა. მიხვდა, რომ მოხდა რაღაც განსაკუთრებული. მირიამი შუა კვირაში მოვიდა, როცა იგი მალაზიაში უნდა ყოფილიყო. გულს ბაგაბუგი გაჰქონდა, მაგრამ მენდელი სიმშვიდეს ინარჩუნებდა. მოეჩვენა, ეს სცენა უკვე განცდილი მაქვსო, ერთხელ უკვე თავს გადახდენილი. შავი ლაბადა ეცვა მირიამს. იდგა და ხმას არ იღებდა. მაგიდასთან ბოლოიმმა დებორამ თეფში უკვე იმ სიშორეს გააჩოჩა, რომ მაგიდის შუამდე მისწია; გარეთ თოვდა, ზანტად ცვიოდა ფაფუკი ფანტელები. ლამპის მოყვითალო შუქი და ნავთის სუნი ეფინებოდა ოთახს. ლამპის ციალი ეცილება უთენებელ დღეს, სუსტსა და ფერმკრთალს, მაგრამ ძალმოსილს საკმარისად, ღია ნაცრისფრად რომ შეფეროს მთელი ოთახი. სწორედ ეს შუქი გაახსენდა მენდელ ზინგერს მთელი სიცხადით. სიზმრად ნანახი. ისიც იცის, აწ რა მოხდება. ყველაფერი უწყის უკვე მენდელმა, თითქოს წარსულში განიცადა, თითქოს ტკივილი უკვე წლების წინ ექცა მწუხარებად, მაგრამ მენდელი მშვიდადაა.

რამდენიმე წამს მდუმარეობაა. მირიამი ხმას არ იღებს. იქნებ ელის, დედა ან მამა თვითონ ჰკითხავს, რა მოხდაო, და სათქმელს გაუადვილებს. დგას გოგო და ხმას არ იღებს სამთაგან არავინ იძვრის. ბოლოს მენდელი წამოდგება და იტყვის:

— უბედურება დაგვატყდა თავს!

მირიამი ამოთქვამს:

— მაკი დაბრუნდა. თან მოიტანა სემის საათი და უკანასკნელი სალამი.

დებორა, ვითომ არაფერი, ზის თავის საკერძელში. მისი თვალები მშრა-

ლია და ცარიელი, როგორც შუშის ორი ნატეხი. ფანჯარისკენაა მიქცეული და თითქოს თოვლის ფიფქებს ითვლის.

სიჩუმეა. საათის მკვეთრი ტაკიტუკი გაისმის მხოლოდ. უცებ დებორა საგსებით დინჯად, ტრელი თითებით მისწვდა თმას და დაუწყო გლეჯა. ღლუჯა-ბღუჯა ჩამოაქვს თმა, ფერმკრთალი სახე გაფუყული თაბაშირივ[illegible] იწიწკნის და იწიწკნის თმას, თითქოს ფიფქების ცვენას აჰყოლ[illegible] ძრაობა.

ორიოდ მოთეთრო ლაქა დააჩნდა თავზე, ორიოდ ტალერისოდენა კუნძული გაჩნდა თავის ქალაზე და წითელი სისხლის წვეთები. არავინ იძვრის ადგილიდან. საათი წიკწიკებს. ფანტელები მოფრინავენ და დებორა დინჯად იგლეჯს თმას.

მირიამი მუხლზე დაეცა, დედის კალთაში ჩარგო თავი და გაირინდა. დებორას სახეზე ერთი კუნთიც არ შეტოკებულა. ორთავე ხელი მონაცვლეობით სწვდება თმას. ხელები, მსგავსნი ფერმკრთალ, ხორცსავსე ხუთფეხა მხეცებისა, რანიც თმით იკვებებიან.

მენდელი დგას სავარძლის ზურგზე ხელჩაჭიდებული.

დებორამ სიმღერა წამოიწყო. მამაკაცური, მოგუდული ხმა თითქოს სხვას, ვინმე უჩინარ მომღერალს ამოსდის მკერდიდან. ებრაულ სიმღერას ამბობს უსიტყვოდ ის ხმა, ზარს ამბობს, ჩვილი ბავშვების დასატირად.

მირიამი წამოდგა, შლაპა შეისწორა, კართან მივიდა და მაკი შემოუშვა.

მუნდირიანი მაკი უფრო მაღალი ჩანს, ვიდრე სამოქალაქო ტანსაცმლით ნოსალი. წინ გაშვერილი ხელები თეფშივით მოუმრგვალებია და ასე მოაქვს სემის საათი, საბუთები და საფულე.

მაკმა ნივთები წყნარად დააწყო მაგიდაზე, დებორას წინ. ერთხანს უცქირა, როგორ იგლეჯდა დებორა თმას. მერე მენდელთან მივიდა, თავისი უშველებელი ხელები ბერიკაცს მხრებზე დააწყო და უხმოდ ატირდა. მისი ცრემლები უხვ წვიმასავით ეღვრება მუნდირს. დებორას ზარი შეწყდა, სიჩუმე ჩამოვარდა, გაისმა საათის ტაკატუკი. უცაბედად დასალამოვდა და ლამპა ყვითლად კი აღარ ანათებს, არამედ თეთრად; ფანჯრის მინათა მიღმა სამყარო ჩაშავდა, ფიფქები გაქრა, ანაზდად ხაფი ბგერა აღმოხდა დებორას მკერდიდან, აფეთქების, გასკდომის მაგვარი, ახლახანს ნამღერ მელოდიის ბოლო აკორდი.

მერე სავარძლიდან გადავარდა დებორა და მოკაკული, მოშვებული განერთხა მიწას.

მაკი გარეთ გავარდა, კარი ღია დატოვა; ოთახი გაითოშა. მობრუნდა მაკი, თან ექიმი მოიყვანა, დაბალი, ცქვიტი, ჭალარა კაცი. მირიამი მამის წინ დგას.

მაკმა და ექიმმა აიყვანეს და ლოგინზე დააწვინეს დებორა. საწოლის კუთხეში ჩამომჯდარმა ექიმმა განაცხადა: — ქალი მკვდარია.

მენიხუმიც მომიკვდა, მარტოდმარტო, უცხო ხალხის ხელში, — ფიქრობს მენდელი.

18

შვიდი დღე იჯდა მენდელ ზინგერი ტანსაცმლის კარადის გვერდით მიდგმულ ტაბურეტზე და ფანჯარას შესცქეროდა, რომლის მინაზეც გლოვის ნიშნად ტილოს მცირე, თეთრი ნაჭერი ეკიდა და დღედალამ მოჩანდა ცისფერი ლამპის შუქის ანარეკლი. შვიდმა სრულმა დღემ გაიარა, ვით დიდმა, შავმა, ზანტმა ბო-

რბილმა, რომელს არც თავი და არცა ბოლო არ გააჩნია და მრგვალია. ვითარცა ურვა. ერთმანეთს მოყვნენ მეზობლები. მენკესი, სკოვრონეკი, როტენბერგი და გროშელი, მოჰქონდათ მენდელისათვის მაგრად მოხარშული ერცხები და კვერცხიანი რქაპურები. მგრვალსახა საჭმელები. თავი და ბოლო რომ არა აქვთ, დამრგვალებულნი, როგორც გლოვის ის შეიდი დღე. მენდელი თითქმის არ სცემდა ხმას მომსვლელებს. იქნებ სულაც ვერ ამჩნევდა ამ მოსვლა-წასვლას. დღედაღამ ღია იყო მისი კარი. ურდული გახსნილი. გაუქმებული. ვისაც სურდა. მოდიოდა, ვისაც უნდოდა. მიდიოდა. ზოგი საუბრის გაბმას ცდილობდა, მაგრამ მენდელი არ ჰყვებოდა. ვიდრე სხვები ცონცხალ ამბებს მოუთხრობდნენ, იგი თავის მკვდარ ცოლს ელაპარაკებოდა.

— შენ რა გიჭირს, დებორა! საკვალალია, რომ ვაჟიშვილი არ დაგრჩა, მე თავად უნდა აღვავლინო ლოცვა მკვდართა გასაპატიოსნებლად. მაგრამ მეც ხომ მალე მოვკვდები და აღარავინ იქნება ჩვენი დამტირებელი! ჩვენ განვქარდით, როგორც მტვრის ორი პაწია ნაწილაკი, ჩაქქრით მსგავსად ორი მცირე ვარსკვლავის. მე შევქმენ შვილები. შენმა წიაღმა შვა ისინი. სიკვდილმა კი წაგვართვა ბიჭები. გაჭირვებით აღსავსე და უაზრო იყო შენი ცხოვრება. ახალგაზრდობის ჟამს მე განვცხრებოდი შენი სხეულით. მოგვიანებით არად ვაგდებდი შენს სიახლოვეს. იქნებ ეს იყო ჩვენი ცოდვა. დაგვიქრა სიყვარულის ცეცხლი, იგი მოაშთო ჩვენის ყინულმა, დააქცია. გაცამტვერა. შენ რა გიჭირს, დებორა, ღმერთმა შეგიბრალა. მკვდარი ხარ და დამარხული. მე არ დამზოგა. მე მკვდარი ვარ, და სული მიდგას მაინც. ღმერთი დიდია და თავად უწყის, რასა იქმს. თუ შეგიძლია, ილოცე ჩემთვის, რათა წარხოცილ ვიქნე ცოცხალთ წიგნიდან.

ხედავ, დებორა, მეზობლები მოდიან ჩემთან, რომ ნუგეში მცენ. ბევრნი მოდიან. ყველა ეძებს და ვერვინ პოულობს ნუგეშის სიტყვებს: ჯერ კიდევ ცემს ჩემი გული, მზირალნი არიან ჩემნი თვალნი, მოძრაობენ ჩემი სხეულის ნაწილები, კიდევ დადიან ფეხები. ვჭამ და ვსვამ, ვლოცულობ და ვსუნთქავ, მაგრამ ძარღვებში სისხლი მეყინება, ჩემი ხელები დაჭკნა, გული ჩემი დაცარიელდა. აღარა ვარ მენდელ ზინგერი, ნაშთი ვარ მისი. ამერიკამ მოგვილო ბოლო. სამშობლოა ამერიკა, მაგრამ მომაკვდინებელი სამშობლო. რასაც ჩვენთან დღეს უწოდებენ, აქ არის ღამე. რაიც ჩვენთან სიცოცხლე იყო, აქ სიკვდილად გვექცა. ვაჟიშვილს, ჩვენთან შემარიჯად სახელდებულს, აქ სემი ერქვა. ამერიკაში დაიმარხე შენ, დებორა, და მეც, მენდელ ზინგერს, ამერიკაში დამმარხავენ.

მეორე დღეს, დილით, როცა მენდელი წამოდგა თავისი გლოვის სარეცელიდან, მივიდა ვეგა. მისი რძალი, მისტერ გლუიკის თანხლებით.

— მისტერ ზინგერ, — თქვა მისტერ გლიუკმა. — ქვევით ეტლი გველოდება, ახლავე უნდა წამობრძანდეთ ჩვენთან ერთად. მირიამს რაღაც დაემართა.

კეთილი, — მიუგო მენდელმა უნდილად, თითქოს აცნობეს, შენს ოთახში შპალერი უნდა გავაკრათო. — კეთილი, მომაწოდეთ ჩემი პალტო!

დაუძლურებული ხელები გაუყარა პალტოში მენდელმა და კიბეზე დაეშვა. მისტერ გლიუკმა ეტლში ჩასვა, გზაზე სიტყვა ორავის დაცდენია. არც მენდელს უკითხავს, რა დაემართა მირიამს. ალბათ ისიც მკვდარია, ფიქრობდა მშვიდად, მაკმა თუ მოკლა ეჭვიანობის ნიადაგზე.

პირველად შევიდა თავისი გარდაცვლილი ვაჟის ბინაში. ოთახში შეუძღვნენ. იქ განიერ, თეთრ საწოლში იწვა მირიამი. მისი გაშლილი თმა სხივიანი, მოლურჯო სიშავით იღვრებოდა თეთრ ბალიშზე. სახე წითლად უპრიალებდა. შავ

თვალებს გარს წითელი არშიები შემოვლებოდა. ხანძრის რგოლები შემოსალტოდა მირიამის თვალთ. მ'ედდა უჯდა თავთან. მაკი კუთხეში ატუზულიყო, გაუნძრევლად იდგა, დიდი კუნძივით.

— აი, მენდელ ზინგერი, — დაიძახა მირიამმა, ხელი გაიშვირა მამისაკენ და სიცილს მოჰყვა. რამდენიმე წუთს იცინა. სადგურის გაბმული [illegible] ზეოვით ეღერდა სიცილი, თითქოს თითბრის ათას კანკურას თხელ [illegible] ჭიქას უკაკუნებდნენ. უცაბედად სიცილი შეწყდა. ერთ წამს იყუჩა და მერმე აზლუქუნდა მირიამი. საბანი გადაიძრო, შიშველ ფეხებს ასავსავებდა. ტერფებს რბილ საწოლს უშენდა, სწრაფად, რიტმულად. სისწრაფე თანდათან იზრდებოდა, რიტმი მატულობდა. დაკუმშულ მუშტებს იქნევდა ფეხებისდაკვალ. მ'ედდა ძალით აკავებდა მირიამს. ისიც ცოტა მიწყნარდა.

— გამარჯობა, მენდელ ზინგერ! — თქვა მირიამმა. — შენ მამა ხარ ჩემი და შემიძლია გული გადაგიშალო. მ'ე მიყვარს მაკი, აი, აქ რომ დგას. მაგრამ მე მას ვუღალატე. მისტერ გლიუკის საყვარელი ვიყავი, დიახ, მისტერ გლიუკის. მისტერ გლიუკი ჩემი სიხარულია, მაგრამ მაკი ჩემი მაკია. მენდელ ზინგერ, შენ მომწონხარ, და თუ მოისურვებ... აქ მ'ედდამ ხელი ააფარა პირზე და მირიამი დადუმდა.

მენდელ ზინგერი ჯერ ისევ კართან იყო ატუზული, ხოლო მაკი კუთხეში. მამაკაცები თვალს არ აშორებდნენ ერთმანეთს. რაკი ხმამაღლა ვერაფერს ეუბნებოდნენ ერთმანეთს, თვალებით ლაპარაკობდნენ. გოგო შეიშალა, ეუბნებიან მენდელ ზინგერის თვალები მაკს. უმამაკაცოდ გაძლება არ შეუძლია. ჭკუაზე შეცდა.

შემოვიდა ვეგა და თქვა:

— ექიმს უკვე გამოვუძახეთ. ყოველ წუთს მოველით მის მოსვლას. გუშინდლიდან ლაპარაკობს მირიამი არეულად. სასეირნოდ წაპყვა მაკს და რაც დაბრუნდა, ასე უცნაურად იქცევა. ექიმი ახლავე მოვა.

მოვიდა ექიმი. გერმანელი იყო და მენდელს გააგებინა სათქმელი.

— ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უნდა წავიყვანოთ, — თქვა ექიმმა, — თქვენი ქალიშვილი. საბწუხაროდ, ფსიქიატრიულში უნდა მოვათავსოთ. ერთი წუთი მომითმინეთ, დავაძინებ.

მაკი ისევ ოთახში იდგა.

— თუ შეიძლება დაიჭირეთ! — მიმართა ექიმმა მას. მაკმა თავისი უშველებელი ხელი ჩაავლო და გააკავა მირიამი. ექიმმა ნემსი უჩხვლიტა ბარძაყში გოგოს.

— ახლავე დამშვიდდება !— თქვა მან.

მოვიდა სასწრაფო დახმარების მანქანა, ორმა სანიტარმა საკაცე ამოიტანა. მირიამს ჩაეძინა. სანიტრებმა საკაცეზე დააკრეს იგი. მენდელი, მაკი და ვეგა ეტლით გაჰყვნენ სასწრაფოს.

— შენ ამას მაინც ალარ მოსწრებიხარ, — მიმართავდა მენდელი გზადაგზა თავის ცოლს, დებორას. — მე კი მოვესწარი. ამას მე ვგრძნობდი უკვე, იმ საღამოდან მოკიდებული, როცა ყანაში შევისწარი კაზაკთან. ეშმაკი შეუჩნდა. ილოცე, დებორა, რომ განვიდეს ეშმაკი მისგან.

შემდეგ მენდელი ფსიქიატრიული საავადმყოფოს მოსაცდელში იჯდა, სხვა ჭირისუფალთა შორის. აქ პატარა მაგიდებზე ზაფხულის ყვითელი ყვავილებით დამძიმებული ლარნაკები იდგა და ფირფიტელა თაროები ფერადი ილუსტრი-

რებული ჟურნალებით იყო დატენილი. თუმცა კაციშვილს არ უფიქრია ყვავილის დაყნოსვა, ან ჟურნალის დათვალიერება. თავდაპირველად მენდელს ეგონა, აქ მყოფი ყველა გიჟია და მე თვითონაც გიჟი ვარო, როგორც ყველა. მერე განიერ, კრიალა მინის კარში, მოსაცდელს რომ ჰყოფდა [illegible] მეფეთქილ დერეფნისაგან, უთვალთვალებდა, როგორ მოჰყავდათ [illegible] ხალათში [illegible] ადამიანები წყვილ-წყვილად. ჯერ ქალები, [illegible]. ზოგი ავადმყოფი ველურ, დამანჭულ, შეშლილ, ბოროტ პირისახეს მოაქცევდა ხოლმე მოსაცდელისაკენ და ელდას სცემდა მომლოდინეთ, ერთადერთი მენდელი იჯდა მშვიდად. დიახ, უცნაურად ეჩვენებოდა, მოსაცდელში მყოფთაგან რომ არავის ეცვა ლურჯზოლიანი ხალათი და თავადაც რომ არ ემოსა. იჯდა ტყავის განიერ სავარძელში, შავი აბრეშუმნარევი რიფსის ჟუდი მუხლებზე დაედო, ხოლო ქოლგა, თავისი ერთგული თანამდევი, სავარძლის კიდეზე მიეყუდებინა. მენდელს მზერა მომლოდინეთაგან მინის კარზე გადაჰქონდა, მერე ჟურნალებს შეხედავდა, კარის მიღმა უწყვეტ ნაკადად მიმავალ გიჟებს და ლარნაკებში მოყელყელავე ოქროსფერ ყვავილებს. გაახსენდა, ყვითელი ფურისულები ხშირად ენახა შინ, მწვანე მდელოებზე; სამშობლოდან მოსული ყვავილებია, ამო მოგონებათა აღმძვრელი. ასეთია ჩვენში მდელოები და ყვავილები! მშვიდობის სასუფეველია იქ, აბალგაზრდობის საუფლო და, შემოჩვეული სილარიბის სამყოფელი. ზეცა ზაფხულში ლურჯია, მზე ფრიად მცხუნვარე, პურეული ლია ყვითელი, ბუზები მწვანედ პრიალებენ და ბზუიან სითბოს სიმღერას, ლაინისფერ ცაზე ტოროლები დანავარდობენ და გალობენ გამუდმებით. ფურისულების შემყურე მენდელს მიავიწყდა, რომ დებორა გარდაიცვალა. სემი ბრძოლაში დაეცა, მირიამი ჭკუაზე შეცდა და ითნა უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ეგონა, ესაა განვეშორეთ სამშობლოსა და მენუხიმს, გარდაცვლილთაგან ყველაზე ახლობელს, რომ დავტეულიყავით იქ, არაფერი დაგვემართებოდა! მართალი ყოფილა ითნა, ჩემს შვილთაგან ყველაზე შტერი! ცხენების მოყვარული, არყის მოყვარული, აწ უგზო-უკვლოდ დაკარგული! მე ველარ მოვესწრები შენს ნახვას, ითნა, და ვერ გეტყვი: სწორედ მოიქეცი, კაზაკი რომ გახდი. მენდელს გაახსენდა ზამეშკინის ნათქვამი: „აბა ამდენს რა გატარებთ ამ ქვეყანაზე ეშმაკი გერეკებათ ნამდვილად!“ — გლეხია ზამეშკინი, ჭკვიანი გლეხი. მენდელს წამოსვლა არ უნდოდა. დებორამ, მირიამმა, შემარიაქმა, ყველამ მოინება წამოსვლა, ცა და ქვეყანა მოიარეს. უნდა დავრჩენილიყავით, ცხენებს მოვფერებოდით. არაყი გვესვა, მოლზე გვეძინა, მირიამი კაზაკებთან სასეირნოდ გაგვეშვა და მენუხიმი მოგვესიყვარულებინა.

რა აბრები მომდის თავში, ხომ არ შევიშალე? განა ეს ბებერი ებრაელის საფიქრალია? ღმერთმა თავგზა ამიბნია. ეშმაკეული ფიქრები ამეკვიატა, იგივე ეშმაკი ლაპარაკობს ჩემი ქალიშვილის, მირიამის პირით.

ექიმი შემოვიდა, მენდელი კუთხეში გაიყვანა და ჩუმად უთხრა:

— გამაგრება გმართებთ, ჩემო ბატონო, თქვენი ქალიშვილი მძიმე ავადმყოფია. ახლა ბევრია ამგვარი შემთხვევა, ომია, გესმით? უბედურება ტრიალებს ქვეყნად, ძნელბედობა გვქონს. მედიცინა ჯერ კიდევ უძლურია, ვერ კურნავს ამ დაავადებას როგორც მითხრეს, თქვენ ვაქთაგან ერთი ავზნიანია, მომიტევეთ, ამას რომ გეუბნებით. — ოჯახში გქონიათ სენი. ჩვენ, ექიმები, დეგენერაციულ ფსიქოზს ვუწოდებთ ამ სენს. შესაძლოა ფსიქოზი იყოს, ან იქნებ ის დაავადება, ჩვენ, ექიმები, dementia-ს რომ ვუხმობთ, dementia praecox თუმცა ეს სახელდებაც არაა ზუსტი. ერთი იმ იშვიათ ფორმათაგანია, რისი

განკურნებაც ჩვენ არ ძალგვიძს. ღვთისმოსავი კაცი ბრძანდებით თქვენ, მისტერ ზინგერ. ღმერთს შეუძლია შველა. ილოცეთ, გულმხურვალედ ევედრეთ უფალს. მართლა, თუ გნებავთ, კიდევ ერთხელ გაჩვენებთ თქვენს ქალიშვილს. მოგრძანდით!

ჩხარუნი მოიღო გასაღების ასხმულამ, მკვეთრი ჯახანით დაიღო [illegible] მენდელი გრძელ ტალანს გაჰყვა შავნომრიან თეთრ კართა გასწვრივ [illegible] შემდგომ კუბოებს რომ მოჰგავდნენ. ერთხელ კიდევ გაიჩხარუნა მომკვდარი ქალის გასაღებების ასხმულამ, გაიღო ერთ-ერთი კუბო-კარი. სენაკში მირიამი იწვა და ეძინა, თავს ადგნენ მაკი და ვეგა.

— ახლა კი წასვლის დროა, — თქვა ექიმმა.

— პირდაპირ ჩემს სახლში წამიყვანეთ, ჩემს შუკაში. — ბრძანა მენდელმა. ნათქვამი იმდენად მჭისე გამოუვიდა, რომ ყველა შეკრთა. გარეგნულად მენდელი თითქოს არ შეცვლილა, მაგრამ მაინც სულ სხვაგვარი ეჩვენათ. ეცვა ისევე, როგორც სუხნოვში და მერე აქაც, ამერიკაში, — მაღალყელიანი ჩექმები, მუხლებამდე ხიფთანი, თავისი ქუდი ეხურა. შავი, აბრეშუმნარევი რიფსისა. მაშ რამ შეცვალა აგრერიგად? რად წარმოუდგა იგი სუყველას უფრო ზორბა და ახოვანი? ანდა ეს თეთრი, მზარავი ბაკმი რად ებურა პირისახეზე? ტანმაღალ მაკზეც თითქოს უფრო აღმატებული მოჩანდა იგი. მისმა უდიდებულესობამ, ურვამ დაივანა ბებერი ებრაელის გულში.

ეტლში რომ ჩასხდნენ, მენდელი ალაპარაკდა:

— ერთხელ სემმა მითხრა, ამერიკული მედიკისა საუკეთესოა მსოფლიოში. ახლა რატომ ველარას გეშველის? ღმერთს შეუძლია გეშველოსო, მარწმუნებდა ექიმი. მითხარი, ვეგა, თუ გსმენია, რომ ღმერთი შეწეოდეს მენდელ ზინგერისნაირ ადამიანს? ღმერთს შეუძლია გეშველოსო!

— ახლა ჩვენთან გადმოდი საცხოვრებლად, — უთხრა ვეგამ სლუკუნით.

— თქვენთან არ გადმოვალ, შვილო, — მიუგო მენდელმა. — შენ უნდა გათხოვდე, აბა უქმროდ ხომ არ დარჩები. ნურც შენს შვილს დატოვებ უმამოდ. მე ერთი მოხუცი ებრაელი ვარ, მალე მოვკვდები. ყური მიგდე, ვეგა. მაკი შემარიაჰის მეგობარი იყო, მირიამი უყვარდა. ვიცი, ებრაელი რომ არ არის, მაგრამ მას უნდა გაჰყვე ცოლად და არა ბატონ გლიუკს. ხომ გესმის, ვეგა? რად გიკვირს, რომ ასე მოგმართავ, ვეგა? ნუ გაიოცებ, მე არ ვარ გიჟი. ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ორი სამყაროს დამსხვრევას მოვესწარი და, როგორც იქნა, ჭკუას მოვეგე. მთელი ეს წლები ერთი რეგვენი მასწავლებელი ვიყავი მხოლოდ. ახლა მე ვიცი, რასაც ვამბობ.

სახლს მიატანეს. მაკმა და ვეგამ მენდელი გადმოსვეს, ოთახში შეიყვანეს და რა ექნათ, აღარ იცოდნენ.

მენდელი ტაბურეტზე დაჯდა კარადის გვერდით და ვეგას მიმართა:

— გთხოვ, ჩემს ნათქვამს ნუ დაივიწყებ. ახლა კი წადით, შვილებო.

ისინი განეშორნენ. მენდელი ფანჯარასთან მივიდა და უყურებდა, როგორ სხდებოდნენ ეტლში. ერთი კი გაიფიქრა, იქნებ ვალდებული ვარ, მიმავალნი დავლოცოო, ვით შვილები, დია ძნელ, ან ფრიად ბედნიერ გზად მიმავალნი. და მაშინვე გადაიფიქრა: მათ ნახვას ველარ მოვესწრები და არც დავლოცავ. ვაითუ ჩემი დალოცვა წყევლა-კრულვად გადაექცეთ, იქნებ კიდეც ეხამუშოთ ჩემი კვლავ ნახვა. ანაზდად სიმსუბუქე იგრძნო, წლების განმავლობაში არგანცდილი. ბოლო მოეღო ყოველ კავშირს. თუმცა რამდენი წელიწადია, უკვე მარტოა. მარტოა იმ წამიდან, როცა ვნება დაცხრა მენდელსა და მის ცოლს შორის. მარ-

ტოხელა იყო, მარტოსული. ცოლ-შვილი ეხვია გარს და განარიდებდა დარდვარამს. ვით ურგი ემბლასტრო, რასაც განკურნება არ შეუძლია, ეფინენ ისინი ჭრილობებზე და გარემხარეს ფარავდნენ მხოლოდ. ახლა, როგორც ოქნა, დაიმარტოხელა თავისი კაეშანი. ერთადერთი კავშირი დარჩა ოდენ დასატევი და საამისო თადარიგი დაიჭირა.

ეროვნული

სამზარეულოში შევიდა, გაზეთები მოკრიბა, კვარი[illegible] ლიფილაზე დაანთო ცეცხლი. როდესაც ალი კარგა მაღლა ავარდა და სიგანეშიაც განეფინა, მტკიცე ნაბიჯით მივიდა კარადასთან და გამოიღო წითელი ხავერდის ტომსიკა. საცა ინახავდა თავის სალოცავ ქამარს, სალოცავ მანტიასა და სალოცავ წიგნებს. წარმოიდგინა, როგორ წაეკიდება ცეცხლი ამ აქსესუარს. შემოეგზნება ცეცხლი მოყვითალო ჭსოვილის მანტიას, სუფთა მატყლისაგან ნაქსოვს, ალის ენები, წვეტიანი, მოლურჯო, ხარბი, მისწვდება მას და გაანადგურებს. ვერცხლისფრად მოსირმული პრიალა არშია ნელინელ დანახშირდება, წითლად გავარვარებულ სპირალებად გარდაიქმნება. ცეცხლი დინჯად დაგრაგნის წიგნის ფურცლებს, რუხ-მოვერცხლისფრო ნაცრად აქცევს, შავ ასოებს სისხფლისფრად შეფაკლავს ორიოდე წამით. ყდათა ტყავის კიდეები მომრგვალდება, უცნაურად დაცქვეტილ ყურებს დაემსგავსება, რითაც წიგნები მოუსმენენ მენდელის სიტყვებს, მოგიზგიზე სიკვდილისადმი მიმართულს. ამაზრზენ საგალობელს ჩასძახის იგი ცეცხლოვან ყურებს.

— მენდელ ზინგერის საქმე წასულია, — ღაღადებს იგი და ჩექმებით აბრახუნებს ისე, იატაკის ფიცრებს გრიალი გაუდით და ქვაბები კედლებს ეხეთქებიან, — ალარ შერჩა არც ვაჟი, არც ქალიშვილი, არცა ცოლი, სამშობლო არ გააჩნია და ალარც ფული აბადია. ღმერთი იტყვის, დავსაჯეო მენდელ ზინგერი. რისთვის დამსაჯა ღმერთმა? რატომ ლუმელი, ყასაბი არ დასაჯა? სკოვრონეკი რად არ დასაჯა? მენკესი რად არ დასაჯა? მარტო მენდელისათვის მოიცალა! მენდელს არგუნა სიკვდილი, მენდელს არგუნა სიგიჟე, მენდელს არგუნა შიმშილი, ყოველნაირი წყალობა ღვთისა მიაგო მენდელს. წასულია საქმე მენდელ ზინგერის!

იდგა მენდელი ბრიალა ცეცხლთან, ბურტყუნებდა და ფეხებს აბრახუნებდა. წითელი ხავერდის ტომსიკა ეჭირა, ხელს არ უშვებდა. ერთი-ორჯერ ზეასწია, მაგრამ ხელებმა კვლავ ძირს დაუშვეს. მისი გული გაუწყრა ღმერთს, ხოლო კუნთებში კვლავ სახლობდა ღვთისმოშიშობა. ორმოცდაათი წელიწადი ყოველ ცისმარე დღეს გაშლიდნენ ხოლმე ეს ხელები სალოცავ მანტიას და მერე ისევ ქეცავდნენ, სალოცავ სარტყელს ეახსნიდნენ, თავსა და მარცხენა ხელზე მოირგებდნენ. ამ ლოცვანს გადაშლიდნენ და ხურავდნენ. ახლა უარს ამბობდნენ ხელები მორჩილებაზე. უარი არ თქვეს მხოლოდ ბაგეთ, აქამდე ხშირად რომ აღავლენდნენ ლოცვას ღვთის სადიდებლად. და ფეხები, ღვთის სადიდებლად აღვლენილი ალილუიას ყამს მროკველნი, აჭყვნენ ახლა ტაქტს მენდელის რისხვის საგალობლისა.

მეზობლებმა გაიგეს მენდელის ყვირილი და ბრახუნი, საკიბურზე დაინახეს კვამლი ,მისი კარის ჭუჭრუტანიდან გამოსული. ატეხეს კარზე ბრახუნი და ყვირილი, თხოვდნენ, გაგვიღეო. მაგრამ მენდელს მათი არ ესმოდა, ყურები საკუთარმა გოდებამ დაუბშო. ის იყო, მეზობლებმა დააპირეს პოლიციის გამოძახება, რომ ერთმა მათგანმა თქვა:

— მოდი, მის მეგობრებს ვუხმოთ. სკოვრონეკთან არიან შეკრებილნი, იქნება გონს მოიყვანონ ეს საცოდავი.

მეგობრები რომ მოვიდნენ, მენდელი მართლაც დაწყნარდა. გასწია ურდული და ერთი მეორის შემდეგ, ჩვეული რიგით, შემოუშვა მენკესი, სკოვრონეკი, როტენბერგი და ბოლოს გროშელი. მენდელი აიძულეს საწოლზე დაჯდარიყო და თვითონაც გვერდით მიუსხდნენ. ზოგი წინ დაჯდა. მენკესმა უთხრა:

— რა დაგემართა, მენდელ? რაა ეს ცეცხლი, გინდა, სახლი გადაბუგო?

— მე მეტის დაწვას ვაპირებ, ვიდრე ეს ერთი სახლია, ანდა ერთი ადამიანი. რომ გითხრათ, გაოცდებით, რის დაბუგვას ვლამობდი, და მეტყვით, ჭკუაზე შემცდარხარ შენი ქალიშვილივითო. მაგრამ გარწმუნებთ, არა ვარ გიჟი. ვიყავი გიჟი. სამოცზე მეტი წელიწადი გიჟი ვიყავი, ახლა აღარ ვარ.

— აბა გვითხარი, რა გსურს, რომ დაწვა?

— ღმერთის დაწვა გადავწყვიტე!

ოთხივე სტუმარს ერთნაირად ალმოხდა გმინვა. ყველა როდი იყო მორწმუნე და ღვთისმოშიში, როგორც მენდელი მთელი თავისი დღე და მოსწრება. ოთხივე უკვე კარგა ხანი სახლობდა ამერიკაში. ისინი შაბათ დღეს მუშაობდნენ. ფულის მოხვეჭაზე იყვნენ გადაგებულნი, მათ ძველ რწმენას გადაეფარა სქელი, ლეგა ფენა აძვალუნიერი მტვრისა. ბევრი ადათი მიივიწყეს, ბევრი კანონი დაარღვიეს, ცოდვას იქმოდა მათი თავიცა და სხეულიც. მაგრამ მათ გულში ღმერთი ცოცხლობდა. ღმერთი რა დაგმო, მენდელი თითქოს ბასრი ბრჭყალებით შეეხო მათ შიშველ გულს.

— ღმერთს ნუ სცოდავ, მენდელ, — უთხრა კარგა ხნის დუმილის შემდეგ სკოვრონეკმა. — შენ მეტი გისწავლია ჩემზე და მოგეხსენება, ღვთის რისხვას იდუმალი აზრი რომ აქვს ხოლმე. ჩვენ ვერ ავხსნით, რისთვის ვისჯებით.

— მე კი მივხვდი, ჩემო სკოვრონეკ, — მიუგო მენდელმა. — გულქვაა ღმერთი და რაც უფრო მეტად ვმორჩილებთ მას, მით უფრო მკაცრად გვექცევა იგი. მძლეთამძლეა ღმერთი, ხეკა თითის ფრჩხილით შეუძლია შენი მოშთობა, მაგრამ არა იქმს. მხოლოდ სუსტებს სპობს სიამოვნებით. ადამიანის სისუსტე აღიზიანებს მის ძლიერებას და მორჩილება იწვევს მის რისხვას. იგი არს დიდი და გულქვა ისრაელიკი. მის კანონებს თუ აღასრულებ, გეტყვის, ანგარების მიზნით ასრულებო. მაგრამ ერთი მცნებაც თუ დაურღვიე, ათასგვარ სასჯელს დაგატეხს თავზე. მოსყიდვას თუ დაუპირებ, ანათემას გადაგცემს, ხოლო თუ პატიოსნად მოექცევი, მარს გიკრეფს და მოსყიდვის მცდელობას დაგაბრალებს. მთელ რუსეთში არ მოიძებნება ამაზე უფრო ბოროტი ისრაელიკი.

— გაიხსენე, — დაიწყო როტენბერგმა, — იობი გაიხსენე. იმის თავზეც ცოდო-ბრალი დატრიალდა. შიშველ მიწაზე იჯდა, თავზე ნაცარი ეყარა და ჭრილობები ისე სტკიოდა, რომ ნადირივით გორავდა მიწაზე. იმანაც დაგმო ღმერთი. მერე ხომ გამოცდა ალმოჩნდა ყოველივე. ვინ უწყის განგება ზენაარისა. იქნებ მოვიდა ეშმაკი წინაშე ღვთისა, ვით იმჟამად, და უთხრა, ალალმართალი კაცი ვინმე გამოვცადოთო, და უფალმა ბრძანა: „იხილე სამე აწ მსახური ჩვენი მენდელი“.

— ხომ ხედავ, — ჩაურთო გროშელმა, — რომ უსამართლოა შენი საყვედური. იობი არ იყო სუსტი. როდესაც ღმერთმა მისი გამოცდა გადაწყვიტა, ძლიერი იყო, აკი არც შენ იყავ სუსტთაგანი, მენდელ! შენი ვაჟიშვილი მალაზიის, უნივერმაღის მფლობელი იყო და წლითიწლობით მდიდრდებოდა. შენი უმცროსი ვაჟი, მენუხინი ხომ თითქმის განიკურნა და ისიც კინალამ ჩამოვიდა

ამერიკაში. შენ ჯანმრთელი იყავ, შენი ცოლიც ჯანმრთელი იყო, ქალიშვილი ლამაზი გყავდა და ის იყო, ქმარი უნდა გეპოვნა მისთვის!

— აბა გულს რატომ მიხეთქ, გროშელ? — გაეპასუხა მენდელი. — ახლა რას ვაქნევთ, რაც გამაჩნდა, იმის ჩამოთვლას. ახლა, როცა დავკარგე ყოველივე? ჯერ კიდევ არ მომშუშებია ჭრილობები და შენ განმიახლე [illegible]

— მართალს ამბობს მენდელი, — ერთხმად წარმოთქვა [illegible] როტენბერგმა დაიწყო:

— ვიცი, დაფლეთილია, მენდელ, შენი გული. მაგრამ რაკი ნება დაგვრთე, გულახდილად მოგესაუბროთ, და ისიც კარგად მოგეხსენება, ძმებივით რომ თანაგიგრძნობთ მწუხარებაში, ნუ გვიწყენ, თუ გთხოვთ, მენუხიმი გაიხსენო. იქნებ სწორედ შენ ჩაფუშე ღვთის კეთილგანზრახვა, მენუხიმი რომ მიატოვე? ავადმყოფი ვაჟი გარგუნათ ბედმა და თქვენ მოეპყარით როგორც ბოროტ შვილს. — როტენბერგი დადუმდა. მენდელმა თითქოს ვერ გაიგონა როტენბერგის ნათქვამი, დიდხანს არა უპასუხა რა. შემდეგ იგი გროშელს მოუბრუნდა და დაიწყო:

— მერე იობის მაგალითი რად მოიშველიე? რომელს გინახავთ თქვენი თვალით ნამდვილი სასწაული? იობის ამბის დასასრულ მოვლენილი სასწაული? იქნება გწამს, მკვდრეთით რომ აღდგება საფრანგეთს, ძმათა საფლავში დაკრძალული შვილი ჩემი, შემარიაჰი? ანდა იონა, უგზო-უკვლოდ დაკარგული ვაჟი ჩემი, გამიცოცხლდება? ან ქალიშვილი, მირიამი, საგიჟეთიდან განკურნებული დამიბრუნდება? ან რომ დაბრუნდეს, შეძლებს, განა, რომ გათხოვდეს და მშვიდად იცხოვროს, იმ ქალებივით, ვინც სულით ავად არ ყოფილან? ანდა იქნებ დებორა, ჩემი ცოლი წამოდგეს ახალგათხრილი საფლავიდან და ჩემი შვილი, მენუხიმი ჩამოვიდეს რუსეთიდან ამ ომსა და დავიდარაბაში, თუ ვიგულისხმებთ, რომ ჯერ ცოცხალია? არაა მართალი, — აქ მენდელი ისევ როტენბერგს მიუბრუნდა, — თითქოს მენუხიმი ბოროტი განზრახვით მივატოვე, დასჯის მიზნით. ჩვენ სხვა მიზეზმა გვაიძულა გადმოსახლება — ქალიშვილმა დაიწყო კაზაკთან სიარული. მენუხიმის ავადობის მიზეზი გნებავთ? მისი ავადმყოფობა საიმისო ნიშანი იყო უკვე, რომ მე ღმერთი განმირისხდა. ეს იყო ერთი პირველი დარტყმათაგანი, რაიც მე არ დამიმსახურებია.

— თუმცა ღმერთი ყოვლისშემძლეა, — დაიწყო მენკესმა, მეგობართაგან სუყველაზე ჭკუადამჯდარმა, — მაინც უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი აღარ აღასრულებს დიდ სასწაულებს, რადგან საწუთრო ამის ღირსად აღარ მიაჩნია. ღმერთმა დასტურ რომ განიზრახოს, გამორჩევით მოგეპყრას შენ, სხვათა ცოდვები მაინც არ დააცდიან, ჩაფუშავენ მის განგებას, რამეთუ ვიეთნი არა ღირს არიან გახდნენ მოწმენი უმწიკვლოთა მიმართ მოვლენილ სასწაულთა ხილვისა. ლოთი ამიტომ გახდა იძულებული ვადახვეწილიყო, სოდომი და გომორა დაიქცა და ვერცა იხილეს აღსრულებული ლოთის სასწაული. დღესდღეობით დედამიწა კიდით კიდეა დასახლებული, შენ აქედან რომ გაიხიზნო, გაზეთებიდან მაინც შეეიტყობთ შენს ამბავს ამრიგად, ღმერთი მცირე სასწაულებს სჯერდება მხოლოდ. მისი ხელიდან გამოსული მცირეოდენიც ხომ დიადია, ვენაცვალე მის სახელს! შენი ცოლის, დებორას გაცოცხლება აღარ შეიძლება, შენი ვაჟი შემარიაჰიც აღარ გაცოცხლდება, მაგრამ მენუხიმი კი საღ-სალამათი იქნება ნამდვილად და ომი რომ დამთავრდება, შეძლებ მის ნახვას. ვინ იცის, იქნებ იონა, შენი ძე, ტყვედ ჩავარდა, მაშინ ომის დასასრულს მის ნახვასაც მოესწრები. ეგებ შენი ქალიშვილიც გამოჯანმრთელდეს — სულიერი შფოთვა გაუვლის, კიდევ

უფრო გალამაზდება, გათხოვდება და შვილიშვილებს შეგძენს. ერთი შვილიშვილი ხომ გყავს, შემარიაქის ჰე. შენ შვილიადმი მთელ სიყვარულს უნდა თავი მოუყარო და იმ ერთ შვილიშვილს მიაგო იგი, ის იქნება შენი იმედი.

მენდელმა მიუგო:

— ჩემსა და ჩემს შვილიშვილს შორის კავშირი გაწყვეტილია [illegible] მკვდარია შემარიაქი, მისი მამა, ჩემი ვაჟიშვილი, კეგა, ჩემი [illegible] გაჰყვება და ახალშეძენილი მამა ყმაწვილისა ჩემი შვილი არ იქნება. სახლი ჩემი ვაჟიშვილისა არაა ჩემი სახლი. მე იქ არა მესაქმება რა. ჩემი გამოჩენა უბედურებას მოუტანს მხოლოდ. წყევლად ექცევა ჩემი სიყვარული. ვითარცა ელვა, ტრიალ მინდორში აღმართული ეული ხის თავზე დატეხილი. ხოლო მირიამს რაც ეგების, მასზე ექიმმა თვითონ მითხრა, მედიცინა ვერ კურნავსო მის სატკივარს. ითნა ალბათ მკვდარია, ხოლო მენუხიმი თუმცა ოდნავ მომჯობინდა. მაგრამ მაინც ავად იყო. შუა რუსეთში, ამ საშინელ ომსა და დავიდარაბაში აბა რა გადაარჩენდა. არა, ჩემო მეგობრებო! მე მარტო დავრჩები და მსუფრს ვიყო მარტო. მთელი სიცოცხლე შიყვარდა ღმერთი, მას კი მუდამ ვეჯავრებოდი. ჩემი დღე და მოსწრება მეშინოდა მისი, მაგრამ ახლა რაღის დამაკლებს, მის კაპარჭიდან ყველა ისარი მომხვდა უკვე. აწ ისღა შეუძლია, რომ მომკლას. მაგრამ უმოწყალოა და არ იქმს ამას. ამიტომ მე კიდევ ვიცოცხლებ და ვიქნები. ვიქნები და ვიცოცხლებ.

— ჰო, მაგრამ იგი განაგებს საიქაოს და იმ ქვეყანასაც. — შეესიტყვა გროშელი. — ვაგლახ შენ, მენდელ, როცა მოკვდები!

მენდელმა ამაზე გულიანად გაიცინა და მიუგო:

— ჯოჯოხეთისა არ მეშინია, ჩემი ტყავი უკვე გამოჯეკილია, კიდურები უგრძნობელი. სული ბოროტი შემომიჩნდა, დამიმეგობრდა. ჯოჯოხეთის ყოველგვარი ტანჯვით ვეწამე. ეშმაკი უფრო კეთილი ყოფილა ღმერთზე. რაკი იმდენი ძალა არ გააჩნია, ამიტომაც ვერ იქნება მისებრ სასტიკი. მე ალარაფრისა მეშინია, მეგობრებო!

მეგობრები დადუმდნენ. მენდელის მარტო დატოვებას მოერიდნენ და ისხდნენ მდუმარენი. გროშელი, მათგან უმრწემესი, გავიდა. ცოლებისათვის რომ ემცნო, აფაღამ თქვენი ქმრები ვერ მოვლენო შინ. რა მობრუნდა, მენდელ ზინგერის ბინაში მოიყვანა კიდევ ხუთი ებრაელი, ათს უნდა ეთქვა მიმწუხრის ლოცვა. მაგრამ მენდელი საწოლზე იჯდა და არ იძროდა. სამკვდრო ლოცვაც კი არ უთქვამს. მენკესმა ილოცა მის მაგივრად. ხუთი უცხო მამაკაცი წავიდა. ოთხი მეგობარი მთელი ღამე დარჩა. ორ ცისფერ ლამპათაგან ერთიღა ენთო. პატრუქის ნამლევი ძლივს წვდებოდა ბრტყელ ძირში დარჩენილ ნავთის ბოლო წვეთებს. სიჩუმე სუფევდა. დროდადრო ვიღაცას თვლემა მოერეოდა სკამზე დამჯდარს, ხვრინვას მორთავდა და საკუთარ ჩქამით შემკრთალს ელვიძებოდა. მერე ისევ ჩაქინდრავდა თავს.

მარტო მენდელს გაუკრთა ძილი. ფართოდ თვალგახელილი შესცქეროდა იგი ფანჯარას, რომლის მიღმა თანდათან გაიკრიცა შედედებული სიშავე ღამისა. განაკრისფრდა, მოთეთრო გახდა. საათის წიაღში რეკვა გახმიანდა ექვსგზის. მეგობრებს გამოელვიძათ ერთიმეორის მიყოლებით. სიტყვა არ უთქვამთ ერთმანეთისათვის. ისე ჩაავლეს მენდელს მკლავში ხელი და ქვევით ჩაიყვანეს. სკოვრონეკის სახლის უკანა ოთახში შეიყვანეს და ტახტზე დააწვინეს.

ახლა კი დაეძინა მენდელს.

14

იმ დღიდან მოკიდებული მენდელი სკოვრონეკთან დარჩა. ებგრებებმა გაუყიდეს უბადრუკი ავლა-დიდება ქვეშაგები დაუტოვეს მხოლოდ და წითელი ჩავერდის ტომსიკა სალოცავი აქსესუარით, რაც მენდელმა ერთ ერთ დაწვა. ტომსიკას ხელს აღარ აბლებდა მენდელი. სკოვრონეკის ბინის უკანა ოთახში ეკიდა იგი მსხვილ ლურსმანზე, დამტვერილი. მენდელი აღარ ლოცულობდა. მაშინლა თუ უხმობდნენ. მეათე კაცი როცა აკლდათ, დაკანონებული რიცხვი რომ შეედგინათ მლოცველებისა. მაშინაც გასამრჯელოს თხოულობდა სამისოდ. ხანდახან ვინმეს აძლევდა ხოლმე თავის სალოცავ ქამარს მცირეოდენი ქირის ფასად. ამბობდნენ, ხშირად დაიარება იტალიელთა კვარტალში და ლორის ბორცს ჭამს ღმერთის გასაჯავრებლადო. ადამიანები, ვის წრეშიაც ცხოვრობდა, კვერს უკრავდნენ მენდელს ზეცის წინააღმდეგ ბრძოლაში. მორწმუნენი იყვნენ, მაგრამ მაინც ამართლებდნენ ებრაელს. მეტისმეტი გულქვაობა გამოიჩინა იეჰოვამ მის მიმართ.

ომი ჯერ კიდევ გრძელდებოდა. იმ უბნის მკვიდრთაგან მენდელის ვაჟის, სემის გარდა ყველა გადარჩა. ვინც ჯარში წავიდა, ლემელის ძე ოფიცერი გახდა. მერე ბედად მარცხენა ხელი დაკარგა და შინ გამოუშვეს. შვებულებით რომ ჩამოვიდა, გმირად შეარაცხეს მეზობლებმა. ყოველი ებრაელისათვის ლემელი დადასტურებას წარმოადგენდა ამერიკის სამშობლოდ ცნობა-აღიარებისა. იგი მონაწილეობას იღებდა ახალგაწვეულთა გაცილებაში. რაოდენ დიდი იყო განსხვავება ჭაბუკ ლემელსა და მოხუც ზინგერს შორის. მაგრამ იმ უბნის მკვიდრი ებრაელები მაინც ერთ მარაქაში ათავსებდნენ მათ გარკვეულად. ებრაელებს თითქოს სჯეროდათ, რომ მენდელმა და ლემელმა აბიდეს მთელი ტვირთი ბედშაობისა, რაიც ყველას თავს იყო მოტეხილი. განა მენდელს ერთ ხელზე მეტი არაფერი დაუკარგავს? ლემელი თუ გერმანელებს ებრძოდა. მენდელი ზებუნებრივ ძალებს ერკინებოდა. და თუმცა ებრაელები დარწმუნებულნი იყვნენ, ბერიკაცი სრულ ჭკუაზე აღარ არისო, მაინც აღტაცებანარევი იყო მათი საბრალული, მოწიწებას იწვევდა დამსხვრეულ იმედთა მსხვერპლი. გამორჩეული კაცი იყო მენდელი. ცხოვრობდა იგი საბრალო მოწმედ იეჰოვას ულმობელი ძალმოსილებისა თანამოძმეთა შორის, რომელთა სადაგი დღეები, მართალია, ჭაპანწყვეტაში გადიოდა, მაგრამ უბედურების შეცხადებისაგან მაინც იყვნენ დაფარულნი. მენდელიც მათდაგვარად ატარებდა თავის დღეებს მრავალი წელიწადი. მცირედნი თუ ამჩნევდნენ მის არსებობას, ზოგი სულაც არად აგდებდა; შემდეგ ერთბაშად გამოარჩია თავს დატეხილმა უბედურებამ. კაცი არ დარჩა მისი არმცნობი. დღის უმეტეს ნაწილს ქუჩაში ატარებდა. თითქოს მარტოოდენ უმაგალითო ტანჯვა კი არ ჰქონდა მისჯილი. არამედ ისიც, რომ დროშასავით ეტარებინა ტანჯვის ნიშატი. ალმა-დალმა დადიოდა შუა ქუჩაში, როგორც დარაჯი საკუთარ სალმობისა. ყოველი შემხვედრი ესალმებოდა. ზოგი ბოლოდ ფულს აჩუქებდა. სხვები საუბრის გაბმას ცდილობდნენ. გასაკითხვისთვის მადლობას არ იმეტებდა. სალამზე ძლივს პასუხობდა, ხოლო შეკითხვაზე ჰოს ან არას მიუგდებდა. უთენია დგებოდა. სკოვრონეკის ბინის უკანა ოთახში სინათლე ვერ აღწევდა. უფანჯრო იყო. დილის ჟამს კედლის ფიცრებში შემოპარული მკრთალი შუქი აუწყებდა მხოლოდ. დილას შორი გზა უნდა მოევლო, ვიდრე მენდელთან მიაღწევდა. პირველი ჩქამი გაისმოდა ქუჩაში და იწყებოდა მენდელის დღე. სპირტქურაზე ჩაის აიდუღებდა. ერთ ნაჭერ პურსა და მაგრად მო-

ხარშულ კვერცხს მიაყოლებდა ჩაის. შიშნეულსა და გამწყრალ მზერას შეავლებდა ხოლმე კედელზე სალოცავნივთებიან ტომსიკას. ლაინისფერ ჩრდილდაფენილი ტომსიკა იმ ჩრდილზე უფრო ჩამუქებულ მორჩივით მოჩანდა. არ ვილოცებო, იტყოდა თავისთვის მენდელი. მაგრამ ტანჯავდა ულოცველობა. აწუხებდა საკუთარი სიბრაზე და კიდევ უფრო ამაოება ამ სიბრაზისა. ღმერთს გაუწყრა მენდელი, მაგრამ ღმერთი ისევ განაგებდა ქვეყანას. მისი სიძულვილი არ გაეკარა უფალს ისევე, ვით ადრე მისი თაყვანისცემა.

ამგვარი ფიქრებით იწყებოდა მენდელის დილა. აქამდე ხალისიანი ვიღვიძებდი ხოლმეო, იხსენებდა მენდელი. ლოცვის საამო მოლოდინი აღვიძებდა ხოლმე და სურვილი ღმერთთან შეგნებული სიახლოვის განახლებისა. ძილისმიერ ამო სითბოდან ლოცვის ნაცნობ, გაშინაურებულ ექსტაზში გადაინაცვლებდა ხოლმე, ვით დიდებულსა და ასევე გათავისებულ დარბაზში, საცა ჰგიოდა მძლეთამძლე, მაგრამ მლიმარი მამა.

— დილა მშვიდობისა, მამაო! — ეტყოდა მენდელი და სწამდა, პასუხი გავიგონეო. მაგრამ ტყუილი აღმოჩნდა ეს. ცივი ყოფილა დიდებული იგი ღარბაზი, ხოლო უფალი ყოვლისშემძლე კი ბოროტი .მის ბაგეთ, სხვა რამ არ დასცდენიათ, თუ არ გრგვინვა.

მენდელი მაღაზიას გააღებდა, ვიწრო ვიტრინაში დააწყობდა სანოტე ფურცლებს, სიმღერის ტექსტთა კრებულებს, გრამოფონის ფირფიტებს და გრძელი ლატანით რკინის ჟალუზს ასწევდა ზევით. მერე პირში წყალს ჩაიგუბებდა, იატაკზე მოაფრქვევდა, ცოცხს წაავლებდა ხელს და წინადღის ჭუჭყს მოხვეტავდა. ქაღალდის ნაკუწებს აქანდაზით ღუმელში ჩაყრიდა, ცეცხლს შეუნთებდა და დაწვავდა. მერე გარეთ გასული რამდენიმე გაზეთს იყიდდა და მეზობლებს დაურიგებდა სახლში. მერძევე ბიჭებსა და უთენია მოფუსფუსე ხაბაზებს შეეგებებოდა, სალამს ეტყოდა და ისევ „საქმეზე" მიბრუნდებოდა. სკოვრონეკის ოჯახის წევრებიც მოვიდოდნენ, ხან რას დაასაქმებდნენ და ხან რას. მთელი დღე გაისმოდა:

— მენდელ, გაიქეცი ერთი და ჭაშაყი იყიდე!

— მენდელ, ქიშმიშია ჩასაყრელი!

— მენდელ, თეთრეული დაგვიწყდა!

— კიბე გატეხილა, მენდელ!

— მენდელ, ერთი ფარანი უშუშოდაა!

— სად არის საცობის საძრობი!

და მენდელიც გაიქცეოდა, ჭაშაყს იყიდიდა, ქიშმიშს ჩაყრიდა, თეთრეული მოჰქონდა, კიბეს შეაკეთებდა, ფარანს წაიღებდა მეშუშესთან და საცობის საძრობს მოძებნიდა. როცა კინოთეატრში პროგრამა შეიცვლებოდა, ან უცხო თეატრი ჩამოვიდოდა, მეზობლის ქალები წაიყვანდნენ და პატარა ბავშვებს ჩაბარებდნენ. იჯდა მენდელი უცხო ბავშვებთან და ოდესღაც შინაობაში ფრთხილად, სიყვარულით რომ აქანებდა მეხუხიმის კალათას, ასევე არწევდა ახლა ფეხით ფრთხილად, სათუთად აკვნებს უცხო ჩვილებისა, რომელთა სახელებიც კი არ იცოდა, თან ძველ, ძალიან ძველ სიმღერას ღიღინებდა:

— აბა გაიმეორე ჩემი ნათქვამი, მეხუხიმ: „დასაბამად ქმნა ღმერთმა ცაი და ქუეყანაი". გაიმეორე ჩემი ნათქვამი!

დადგა ელულის თვე და დაიწყო დღესასწაული. უბანში მცხოვრებმა ებრაელებმა გადაწყვიტეს, სკოვრონეკის ბინის უკანა ოთახში მოეწყოთ დროებითი სალოცავი (რადგან სინაგოგაში სიათული ეხარებოდათ).

— მენდელ, შენს ოთახში ლოცვად დავდგებით. — უთხრა სკოვრონეკმა, — რას იტყვი?

— უნდა ილოცოთ! — მიუგო მენდელმა. და მენდელი თვალს ადევნებდა, როგორ იკრიბებოდნენ ებრაელები და ანთებდნენ ცვილის ყვითელ კელაპტრებს რომელთაც ვარჯისებრი, გრძელი, გადმოკიდული პატრუქები ეკიდა. ვაჟარს მიშველა ქალაქის ჩამ-შვებაში და კარის დაკეტვაში. ... როგორ გადაიცვეს თეთრი ხალათები, რათა მიცვალებულებს დამსგავსებოდნენ, მკვდრეთით აღმდგართ ღვთით სადიდებლად. ფეხსაცმელები დაიხადეს და წინდების ამარა დადგნენ. დაიჩოქეს, ისევ წამოიშალნენ. ცვილის ყვითელი კელაპტრები და სტეარინის თეთრი, ქათქათა სანთლები იღუნებოდნენ და სალოცავ ხალათებზე წვეთებს აპკურებდნენ, მეყსეულად რომ მყიფდებოდნენ. თეთრად მოსილი ებრაელები თავადაც სანთელივით მოიდრიკებოდნენ, მათი ცრემლებიც ესხურებოდა იატაკს და ქროლდებოდა. მენდელი კი იდგა ჩაშავებული, დამუნჯებული, თავის სამუდამდღეო ტანისამოსში. უკან, კარის სიახლოვეს და არ იძროდა. ტუჩები მოკუმული ჰქონდა, გული გაქვავებული. ცხელი ქარივით მოვარდა კოლ ნიდრის საგალობელი. მენდელ ზინგერის ტუჩები ისევ მოკუმული დარჩა. გული კვლავ გაქვავებული. ჩაშავებული, ხმაგაკმენდილი. თავის სამუდამდღეო სამოსში, უკან, კარის სიახლოვეს იდგა იგი. არავინ აქცევდა ყურადღებას. ებრაელები ცდილობდნენ თვალი აერიდებინათ, უცხო იყო იგი მათ შორის. ზოგი მათგანი ფიქრობდა მენდელზე და ლოცულობდა მისთვის. მენდელი კი კართან იდგა გაშეშებული, ღმერთზე გამწყრალი. ყველა იმად ლოცულობს, რომ ეშინია. — ფიქრობად იგი. — მე კი არ მეშინია, არ მეშინია!

ყველა რომ წავიდ-წამოვიდა, მენდელ ზინგერი თავის ტახტზე მიეგდო. საწოლს შემოენახა მლოცველთა სხეულების სითბო. ორმოცი სანთელი ბურბურებდა ისევ ოთახში. მათი დაჭრობა ვერ გაბედა. არადა, ძილი არ გაეკარა. ასე იფხიზლა დაწოლილმა მთელი ღამე. უშაგალითო მკრეხელობანი მოსდიოდა თავში. წარმოიდგინა, ახლა წავალ იტალიელთა უბანში, ლორის ხორცს ვიყიდი რომელიმე რესტორანში, მოვბრუნდები და ანთებული სანთლების წინ სიჩუმეში შევეჭცევიო. მართლაც გახსნა გამონასკვული ცხვირსაფოცი, მონეტები, თავისი ავლადიდება გადათვალა, მაგრამ ოთახიდან არ დაძრულა და არც არაფერი ეჭამია. ტანთგაუხდელი იწვა ტახტზე, ძილგამკრთალ თვალებს ფართოდ ახელდა და ბუტბუტებდა:

— მენდელ ზინგერის საქმე წასულია. წასულია, წასულია. ალარ შერჩა არც ვაჟი, არც ქალიშვილი, არცა ცოლი, სამშობლო არ გააჩნია და არც ფული აბადია. ღმერთიც ალარა ჰყავს! წასულია, წასულია მენდელ ზინგერის საქმე.

წყნარად ფარფატებდა ოქროსფერი და მოლურჯო სანთლების ალი. ცვილის ცხელ ცრემლებს კაპაკუპი გაჰქონდათ შანდლის კიდეზე, ოთხბრის როდინის ძირზე, ჭიქის მუქლურჯ მინაზე. მლოცველების ცხელი სუნთქვა კვლავაც ცოცხლობდა ოთახში. მათთვის სახელდახელოდ ჩამწკრივებულ სკამებზე ეფინა თეთრი სალოცავი ხალათები, დილაჟამს ლოცვის განგრძობის მომლოდინენი. ცვილისა და დამწვარი პატრუქის სუნი იდგა. მენდელი ოთახიდან გამოვიდა, მალაზია გააღო და გარეთ გავიდა. შემოდგომის ნათელი ღამე იყო. ირგვლივ არავინ ჭაჭანებდა. მენდელი ბოლთას სცემდა მაღაზიის წინ. მოისმა ჩქამი პოლიციელის დინჯი, ფართო ნაბიჯებისა და მენდელი მაღაზიაში შებრუნდა. ისევ არიდებდა თავს ფორმიან ჯალეს.

დღესასწაული მიიწურა, შემოდგომამ მოაწია და ამღერდა წვიმა. მენდელი

ქაშაყს ყიდულობდა, იატაკს გვიდა, თეთრეული მოჰქონდა, კიბეს გაასწორებდა, საკობის საძრობს დაძებნიდა, ქვაბში ქიშმიშს ჩაყრიდა და შუა ქუჩაში მიმოდიოდა, გასაკითხვისთვის მადლობას არ ამბობდა, სალამზე სალმიდ არ ასუხობდა, შეკითხვაზე ჰოს ან არას მიუგებდა. საღამოხანს, როცა ხალხი იკრიბებოდა პოლიტიკაზე სასაუბროდ და გაზეთების წასაკითხად, მენდელი [illegible] მიწვებოდა და იძინებდა. სხვათა სიტყვები არ აღვიძებდა. ომის [illegible] აინტერესებდა. ძილში ჩაესმოდა ახალთახალი ფირფიტების ხმიანობა. მაშინღა გაიღვიძებდა, სიჩუმე რომ დაივანებდა, როცა ყველა გაეცლებოდა. მერე უფროს სკოვრონეკს გაესაუბრებოდა. ერთხელ სკოვრონეკმა უთხრა:

— შენი რძალი თხოვდება.

— ძალიან კარგი! — მიუგო მენდელმა.

— მაგრამ იგი მაკს მიჰყვება ცოლად!

— მე თავად ვურჩიე!

— მათი საქმე კარგად წარიმართა!

— რა მეხაჭშება.

— მაკმა გვამცნო, რომ ფულის მოცემას აპირებს შენთვის!

— არ მინდა ფული!

— ღამე მშვიდობისა, მენდელ!

— ღამე მშვიდობისა, სკოვრონეკ!

მენდელი მუდამ დილას ყიდულობდა ისევ გაზეთებს. საშინელი ამბები მოჰქონდათ გაზეთებს. ამბები ქარცეცხლისა, რომლის შორეული ექო მენდელს წვდებოდა, თუმცა არ სურდა მათი გაგონება. რუსეთში მეფე აღარ მეფობდა. კი. ბატონო, ნულარ იმეფებს. ირონასი და მენუხიმისას კი ვერას ეუბნებოდნენ ის გაზეთები. სკოვრონეკთან ნაძლევი დაიდო, ომი ერთ თვეში დამთავრდებაო. სულით ავადმყოფთა სახლიდან იტყობინებოდნენ. მირიამის მდგომარეობა არ გაუმჯობესდაო. ვეგას წერილი წაუკითხა სკოვრონეკმა მენდელს.

— კეთილი, — თქვა მენდელმა, — მირიამი აღარ გამოჯანმრთელდება!

მისი ძველი, შავი ხიფთანი მხრებზე მწვანედ პრიალებდა, ხოლო ზურგზე ნაკერი მთლიანად დაძენძილიყო და ისე მოჩანდა, როგორც ხერხემლის პატარა, მჭრეალი მონახაზი. მენდელი სულ დაილია, დაჩიავდა. ხიფთნის კალთები დაუგრძელდა და ახლა ჩექმის ყელამდე კი არა, თითქმის კოჭებამდე სწვდებოდა. წვერი. მანამდე მხოლოდ მკერდს რომ უფარავდა, ახლა ხიფთნის ბოლო ღილამდე ჩამოეძენძა. ოდესღაც შავი რიფსის ქუდი ბალახისფრად გამოხუნდა. წინფრა დარბილდა. მოიფლაშა და ჩვარს დაემგვანა, მენდელის თვალებზე აფარებულს ჯიბით ათას რამეს დაათრევდა: მეზობელთათვის გადასაცემ პაკეტებს, გაზეთებს, ნაირ-ნაირ ხელსაწყოს, რითაც სკოვრონეკის მაღაზიაში ჩხირკედელობდა, კანაფს, შესაფუთ ქაღალდსა და პურს. ტვირთმა მენდელი უფრო მეტად მოხარა წელში, რაკი ბარჯვენა ჯიბე მარცხენაზე მძიმე იყო. მარჯვენა მხარე დაბლა ჰქონდა დაწეული. ასე მოკაკული და დაბრეცილი დახანხალებდა ქუჩაში, ჯანგატეხილი, მუხლი ეკვეთებოდა, ფეხებს მიათრევდა. წუთისოფლის ამბები, სადაგი დღეები შორიახლოს ჩაუქროლებდნენ, როგორც ეტლი სოფლის განაპირას მდებარე ძველ სახლს.

ერთ დღეს მართლაც დამთავრდა ომი. უბანი მთლად დაცარიელდა. ხალხი წავიდ-წამოვიდა, გაიკრიფნენ, რომ მშვიდობის ზეიმსა და პოლკების შინ მობრუნებას დასწრებოდნენ. ბევრმა მეზობელმა მიანდო მენდელს სახლ-კარისათვის თვალ-ყურის დევნება. მანაც ჩამოუარა ბინებს, რაზები და საკეტები შეა-

მოწმა და მაღაზიაში მიბრუნდა. თვალშეუდგამი სიშორიდან თითქოს მოესმა აღტაცებული ხალხის ყიჟინი, ფოიერვერკის ბათქი და ათასობით ადამიანის სიცილი. შვება იგრძნო მცირეოდენი, ჩუმი შვება. თითებით წვერი ჩამოიფარცხა, მისი პირი ღიმილად განემზადა და ზედიზედ ორიოდე ბგერა გამოსცა ხითხითისდარი. ჩურჩულით ჩაილაპარაკა, მენდელიც იზეიმებსო, და პირველად მივიდა გრამოფონის ყავისფერ ყუთთან. რამდენჯერ უნახავს [illegible] ქოქავენ.

— ფირფიტა, ერთი ფირფიტა, — ჩაილაპარაკა მან. ამ დღესაც შემოიარა დემობილიზებულმა ჯარისკაცმა და ექვსი ფირფიტა მოიტანა, ახალი ევროპული სიმღერები. მენდელმა ზედა ფირფიტა აიღო და ფრთხილად დადო საკრავზე. მერე მცირე ხანს ჩაფიქრდა, იხსენებდა, ახლა რა ვქნათ, და ბოლოს და ბოლოს დაამაგრა ნემსი. მოისმა ჩახველება. მერე დაიფრქვა სიმღერის ჰანგი. მოსალამოვდა. მენდელი კი იდგა სიბნელეში და მუსიკას უსმენდა. აქ მუდამდღე ესმოდა სიმღერები მხიარულიცა და ნაღვლიანიც, ნელიცა და აჩქარებულიც, მრუმეცა და ნათელიც. მაგრამ ეს სიმღერა არ ჰგავდა არც ერთს. იგი რუსავით წყნარი დუდუნით წამოვიდა, მერე მომძლავრდა, აზავთდა და ზღვისებრ აბორგდა. ახლა ვუსმენ მთელ სამყაროსო, გაიფიქრა მენდელმა. როგორ მოახერხეს მთელი მსოფლიოს ამოტვიფრა ამ პატარა ფირფიტაზე? პაწია, წკრიალა ფლეიტა რომ ახმიანდა და ხავერდოვან ვიოლინოებს აედევნა, შეხმატკბილებული კრინივით ჩაეხლართა, მაშინ მენდელი პირველად ატირდა ამ ხნის განმავლობაში. დამთავრდა სიმღერა. მენდელმა ისევ ჩართო. შემდეგ მესამედაც დაატრიალა. ბოლოს თავისი ჩახლეჩილი ხმით აპყვა, თან თითებით ქვესადგამზე აკაკუნებდა.

ამ ყოფაში მოუსწრო საბლში მობრუნებულმა სკოვრონეკმა. მან გრამოფონი გამორთო და უთხრა:

— მენდელ, აანთე ლამპა! მაჩვენე, რას უკრავ?

მენდელმა ლამპა აანთო.

— ერთი ნახე, სკოვრონეკ, რა ჰქვია ამ სიმღერას. — სკოვრონეკმა უპასუხა:

— ეს ახალი ფირფიტებია, დღეს შევიძინე. სიმღერას ჰქვია... — სკოვრონეკმა სათვალე გაიკეთა, ფირფიტა ლამპისქვეშ დაიჭირა და წაიკითხა: — სიმღერას ეწოდება „მენუხიმის სიმღერა“.

მენდელმა უცაბედად სისუსტე იგრძნო და დაჯდა. სკოვრონეკის ხელში ათინათებულ ფირფიტას დააშტერდა.

— ვიცი, რაც გაგახსენდა, — უთხრა სკოვრონეკმა.

— დიახ, — მიუგო მენდელმა.

სკოვრონეკმა თავიდან დაატრიალა.

— მშვენიერი სიმღერაა, — თქვა სკოვრონეკმა. თავი მარცხნივ გადახარა და დააყურა. მაღაზია თანდათან ივსებოდა დაგვიანებული სტუმრებით. კრინტი არავის დაუძრავს, ყველა უსმენდა სიმღერას და თავს აქნევდა ტაქტს აყოლილი.

თექვსმეტჯერ მოისმინეს, ლამის ზეპირად ისწავლეს.

მენდელი მარტო დარჩა მაღაზიაში. კარი შიგნიდან საგულდაგულოდ ჩაკეტა, ვიტრინიდან ნივთები გადმოალაგა და ტანთ გახდა დაიწყო. ყოველ მის მოძრაობას თანა სდევდა სიმღერის ჰანგი, რულმოკიდებულს მოეჩვენა, რომ ამ წკრიალა, ვერცხლისფერ მელოდიას მენუხიმის საბრალო სლუკუნი შეერია, ერთადერთი, საუკუნე არგაგონილი სიმღერა მისი საკუთარი მენუხიმისა.

15

დღეები გადიდდა. დილა უკვე იმდენად ნათელი იყო, რომ შუქი დანთებული ქალუზიდან მენდელის უფანჯრო ოთახშიაც კი ატანდა. აპრილის თვეში ქუჩა ერთი საათით ადრე იღვიძებს. მენდელი აანთებდა სპირტქურას, ჩაის დაადგამდა. პატარა, ცისფერ ბაკანს აავსებდა წყლით, ჩაყოფდა ცხვირსახოცს, სახელურზე დაკიდული პირსახოცის კიდეზე გაიმშრალებდა, ქალუზის ასწევდა, პირში წყალს ჩაიგუბებდა, გულდაგულ მორწყავდა იატაკს და უცქეროდა ღვლარენილ ორნამენტს, პირიდან გამოფრქვეული ნათელი ჭავლი რომ მოხატავდა მტვერზე. სპირტქურა უკვე შიშინებდა. ჯერ ექვსი საათიც არ იყო. მენდელი კართან მივიდა. ქუჩაბანდში ფანჯრები თითქოს თავისით იღებოდა. გაზაფხული მობრძანდა.

შემობრძანდა გაზაფხული. ხალხი პასექისთვის ემზადებოდა. მენდელი ყოველ ოჯახს ეხმარებოდა. მაგიდის თავებს რანდავდა, ფხეკდა წლის განმავლობაში ქვაბის ძირზე მიმხმარ უწმინდურ ხაშურს საჭმლისა, მრგვალ ცილინდრულ ფორმებს. საცა ჭიაფერ ქალალდში შეფუთული პასქა ელაგა, მენდელი ვიტრინის თეთრ ყაფაზში აწყობდა და აბლაბუდას აცლიდა გრძელ სარდაფში გადანახული პალესტინური ღვინის ბოთლებს. მეზობლის საწოლებს დაშლიდა და ნაწილ-ნაწილ ჩაჰქონდა ეზოში — თაკარა მზემ პარაზიტები გამოაცოცხლა და მენდელი მათ ბენზინით, ტერპანტინით და ნავთით მუსრავდა. ვარდისფერ და ზურმუხტ ფუშფუშა ქალალდისაგან იგი მაკრატლით ჭრიდა მრგვალ და კუთხოვან ნაჩვრეტებს და ფოჩებს, მერე სამზარეულოს თაროებზე ჭიკარტებით ამაგრებდა ჭურჭლის მოსართავად. კასრებსა და ფლასკებს ცხელი წყლით აავსებდა, ხის კოჭებზე ჩამოკიდულ რკინის მოზრდილ ბურთულებს გახურებულ ღუმელთან გავარვარებამდე დაიჭერდა, მერე კასრში ამოავლებდა. წყალი შიშინებდა, კასრები იწმინდებოდა, როგორც წესი მოითხოვდა. უშველებელ როდინში პასქას ნაყავდა, ფხვნილს სუფთა ტომრებში ჩაყრიდა და ლურჯი ლენტით მოუკრავდა თავს. ეს ყოველივე თავის სახლშიც გაუკეთებია ოდესღაც. იქ გაზაფხული ხომ უფრო გვიან მოდიოდა. მენდელს გაახსენდა ხის ტროტუარზე შემორჩენილი ძველი, ყომრალი თოვლი სუხნოვოში ამ დროს; სახურავის კიდეზე არშიად მოვლებული ბოლოსფერი ლოლუები, ანაზდად მოვლენილი ჟუჟუნა წვიმა, სახურავის ღარში ღამით მოღუღუნე და შორს, ფიჭვნარის გადაღმა გავარდნილი მეხი, ლილოჭრელით კოხტად მოხატული დილაჟამი, მენუხიმი, ვინც მირიამმა ვეება კასრში ჩააყურყუმელავა, თავიდან რომ მოეცილებინა, და იმედი, რომ წლეულს ბოლოს და ბოლოს მოვიდოდა მესია. მაგრამ მესია არ მოდიოდა, აღარ მოვიდა მესია, ფიქრობდა მენდელი. არც მოვა. დაე სხვები ელოდონ. მენდელი კი არ დაუცდის.

და იმ გაზაფხულს შეცვლილი ეჩვენათ მენდელი მეგობრებს. ხანდახან თვალს შეასწრებდნენ, რომ რაღაცას თავისთვის ღიღინებდა და თეთრ ულვაშებში შეუმჩნევლად იღიმებოდა.

— მენდელი ბავშვივითაა, დაგვიბერდა, — თქვა გროშელმა.

— ყველაფერი დაავიწყდა. — ჩაურთო როტენბერგმა.

— სიკვდილისწინა უბრუნველობაა, — დასძინა მენკესმა.

ბოლო სკოვრონეკი, ვინც მენდელს ყველაზე უფრო იცნობდა, დუმდა. ერთხელ, საღამოს, ძილის წინ უთხრა ცოლს:

— რაც ახალი ფირფიტები მივიღე, ჩვენი მენდელი სულმთლად შეიცვალა. რამდენჯერ შევისწარი, გრამოფონს უსმენდა. რას იტყვი ამის შესახებ?

— მე მგონია, — მიუგო ქალბატონმა სკოვრონეკმა. — [illegible] დაბერდა, ყმაწვილის ზნე დასჩემდა და მალე აღარაფრის მაქნისი იქნება. [illegible] ქალი კარგა ხანია უკმაყოფილო იყო მენდელის. რაც დრო გადიოდა, [illegible] მცირდებოდა დიასახლისის თანაგრძნობა ხიზნისადმი. ქალს თან[illegible] ეწყინა, რომ მენდელი ოდესღაც შეძლებული კაცი იყო და თანაგრძნობა, ნაყოფი პატივისცემისა, სულ გაუქრა (სულმოკლეობის გამო). ამიტომაც ადრინდელივით მისტერ ზინგერს კი აღარ ეძახდა, არამედ მხოლოდღა: მენდელს, ისევე, როგორც უკლებლივ ყველა. ადრე თავდაჭერილად, რიდით დაეპყრობდა ხოლმე, პატივს სცემდა მის დამყოლობას, ახლა კი მბრძანებლობდა, კაბასობდა. ურჩობას აბრალებდა და წინასწარვე ტუქსავდა. ყურთასმენა არ აკლდა მენდელს, მაგრამ ქალბატონი სკოვრონეკი მაინც ხმას აუწევდა ხოლმე, როცა მას მიმართავდა, თითქოს ეშინოდა, ვერ გამიგებსო, და ყვირილით ლამობდა დაემტკიცებინა, რომ მენდელი ნაბრძანებს უკუღმა გააკეთებდა. მშვიდად რომ მიემართა მისთვის, ყვირილი გაფრთხილებას მოაწყვეტდა, მარტოოდენ ეს სწყინდა მენდელს. იმიტომ, რომ იგი, ესოდენ დაჩაგრული არსება გამოიგლეჯა მიეო, დაუდევრად ნათქვამ, უბოროტო ქირდვას არაფრად აგდებდა და თავს დამცირებულად მაშინღა გრძნობდა, როცა ეჭვობდნენ, არაფერი ეყურებაო.

— გაინძერით, მენდელ. — ასე იწყებოდა ქალბატონი სკოვრონეკის ყველა განკარგულება. ქალს ეჩვენებოდა, რომ მენდელი ფეხს ითრევდა, და კაბასობდა.

მენდელი ხანდახან გაეპასუხებოდა:

— ნუ ყვირით ასე, გავიგე, მესმის.

— მაგრამ თქვენ არ ჩქარობთ, ეტყობა, დრო გაქვთ ბევრი!

— დრო მე თქვენზე ნაკლები გამაჩნია, ქალბატონო სკოვრონეკ, რაკი თქვენზე უხნესი ვარ!

ქალბატონი სკოვრონეკი უცებ ვერ ჩაწვდებოდა მოიარებით ნათქვამი პასუხის აზრსა და საყვედურის კილოს. ეგონა, დამცინიანო, და მალიზიაში პირველსავე შემოსულს მიმართავდა:

— ერთი ამას დამიხედეთ! დაბერდა, მენდელი დაგვიბერდა!

კიდევ სიამოვნებით დასწამებდა რამეს, მაგრამ ამას დასჯერდებოდა ხოლმე, რადგან საძრახისად მიაჩნდა სიბერე.

სკოვრონეკი ყურს რომ მოკრავდა ამ საუბარს, ცოლს ეტყოდა:

— ყველა დაბერდება! მეც მენდელის კბილა ვარ და ყმაწვილქალობას ველარც შენ დაიბრუნებ!

— თუ გნებავს, მოიყვანე ყმაწვილქალი. — მიუგო ქალბატონმა სკოვრონეკმა, კმაყოფილმა, ხელზე დასახვევი საბაბი ვიპოვე ცოლქმრული კინკლაობისათვისო. მენდელმა იაზრა, ქალბატონი სკოვრონეკი რისხვას ქმართან ერთად მეც დამატეხს თავზეო, და შიშობდა, ჩემსა და სკოვრონეკს შორის კატამ არ გაირბინოსო.

იმ დღეს ქალბატონ სკოვრონეკს საბაბიც მიეცა მენდელისათვის შარის მოსადებად.

— წარმოიდგინე, — უთხრა ქმარს, — რადენიმე დღეა ჩემი წალდ-დანა გაქრა. შემიძლია დავიფიცო, რომ მენდელმა აიღო. ვეკითხები, მაგრამ ვერაფერი დავაცდენინე. დაბერდა, დაჩაჩანაკდა, ბავშვივითაა

მენდელ ზინგერმა ნამდვილად აიღო ქალბატონი სკოვრონეკის წალდ-დანა და გადამალა იგი. კარგა ხანია განიზრახა ერთი იდუმალი, დიდი გეგმის განხორციელება, თავის სიცოცხლეში უკანასკნელის. ერთხელ, საღამოხანს [illegible] ქრა, ახლა მოვახერხებო. ტახტზე მჯდარმა თავი მოიმძინარა. ვიდრე [illegible] სკოვრონეკთან საუბრით იყვნენ გართულნი, თვალდახუჭული სმენად [illegible] დაქცეული, ვიდრე ბოლო სტუმარიც არ გაეცალათ. მერე დივნის [illegible] წალდ-დანა გამოიღო, ხიფთანქვეშ დამალა და ბნელ შუკაში გავიდა. ფარნები ჯერ არ ენთო, მხოლოდ ფანჯრებში მოჩანდა აქა-იქ ლამპის ყვითელი შუქი. შეჩერდა იმ სახლის წინ, საცა დებორასთან ერთად ცხოვრობდა, და თავისი ოდინდელი ბინის ფანჯრებს დააკვირდა. ახლა აქ ფრიში ცხოვრობდა, თავის ახალშერთული ცოლით, ქვედა სართულზე თანამედროვე ყაიდაზე გაწყობილი ნაყინის სალონის პატრონი. ახალდაქორწინებულები ის-ის იყო სალონიდან გამოვიდნენ და კარი დაკეტეს. კონცერტზე მიიჩქაროდნენ. ხელმომჭირნე ხალხია, იუნწსაც ეტყოდით, მაგრამ მუყაითი, მუსიკის ტრფიალი. ყმაწვილი ფრიშის მამა კოვნოში საქორწინო კაბელას დირიჟორობდა. იმ დღეს ევროპიდან ახალჩამოსული საფილარმონიო ორკესტრი მართავდა კონცერტს. რამდენი დღეა ფრიშს სულ ეს ეკერა პირზე. მიმავლებმა მენდელი ვერ შენიშნეს. იგი მიიპარა სახლთან, მორყეულ მოაჯირზე ხელის ფათურით ავიდა მაღლა და გასაღებების ასხმულა ამოიღო ჯიბიდან, — გასაღებს კინოში მიმავალი მეზობლები მიაბარებდნენ ხოლმე, ბინას მიგვიხედეო. კარი ძალდაუტანებლად გაიღო. მენდელმა ურდული დაგელა. მერე ძირს განერთხა და დანით იატაკის ფიცრებს დაუწყო კაკუნი, გულდაგულ სინჯავდა სათითაოდ. საქმე ძალიან გაუჭიანურდა. დაიღალა. მცირე ხანს სული მოითქვა და მერე ისევ მიუბრუნდა. როგორც იქნა, გაიგონა სიღრუვის გამოძახილი, სწორედ იმ ადგილას, სადაც ოდესღაც დებორას საწოლი იდგა. მენდელმა ღრეჩოებიდან ჭუჭყი ამოფხიკა. წალდ-დანით აქეთ-იქიდან ურიკლა და ფიცარი ამოსწია. არ შემცდარა, იპოვა, რასაც ეძებდა. ხელი დაავლო მაგრად გამოსკვნილ ცხვირსახოცს, ხიფთანქვეშ დამალა. ფიცარი ისევ დააჭედა და ჩუმად გავიდა. კიბეზე ქაციშვილი არ იყო, არავის დაუნახავს. სკოვრონეკთან რომ დაბრუნდა, ჩვეულებრივზე ადრე დაკეტა კარი, დაუშვა ჟალუზი. დიდი კიდული ლამპა აანთო და ოთახს კიდით კიდე მოეფინა სინათლე. ლამპის სიახლოვეს ჩამოჯდა. ცხვირსახოცი გახსნა და ფული გადათვალა. საცოდავი დებორას დანაზოგი შეადგენდა სამოცდაშვიდ დოლარს მონეტებითა და ასიგნაციებით. ბლომად კი იყო, მაგრამ მენდელს მაინც არა ჰყოფნიდა. იმედი გაუცრუვდა. თუ თავის დანაზოგსაც დაურთავდა — გასაკითხსა და მეზობელთათვის გაწეული სამსახურის გასამრჯელოს, — გამოდიოდა ზუსტად ოთხმოცდათექვსმეტი დოლარი, მაგრამ მენდელს მაინც არა ჰყოფნიდა.

— ერთი-ორი თვე დამჭირდება! — ჩურჩულით თქვა თავისთვის, — კიდევ მაქვს დრო.

დრო ითმენდა. კიდევ კარგა დიდხანს უნდა იცოცხლოს! მის წინაშე გადაიშლება უშველებელი ოკეანე. ერთხელ კიდევ გადალახავს მას. ზღვის სტიქია მიელის მენდელს, მთელი სუბნოვი და მისი შემოგარენი მიელიან, ყაზარმა და ნაძვნარი, ბაყაყები ჭაობებში და ჭრიჭინები ყანებში. თუ მკვდარია მენუხიმი, პატარა სასაფლაოზე განისვენებს ალბათ და ელის. მენდელი გვერდით მიუწვება. ჯერ ზამეშკინის კარმიდამოს ჩაუვლის, ძაღლებისა ალარ შეეშინდება, სუხნოვში თუნდა მგელი შეეფეთოს, არ შეკრთება. ალარ დაგიდევს ხოჭოებსა და მატლებს, ვასაკებს და კალიებს და პირდაპირ დაემხობა მიწისპირს. ეკლესიის

ზარებს დაარისხებენ და მენდელი გაიხსენებს მოლოდინის სხივს, გამომკრთალს მენუხიმის შლეგურ სახისმეტყველებაში. ზამეშკინს ასე ეტყვის მენდელი:

— შინ მოვბრუნდი, ზამეშკინ, ჩემო კარგო, იარონ სხვებმა ამა ქვეყნად; ჩემი წირვა გამოიელია, დაგიბრუნდით, რომ სამუდამოდ განვიმეოთ!

ლურჯი ღამე გადაეფარა ქვეყნიერებას, ბრწყინავენ ვარსკვლავები, ყიყინებენ ბაყაყები, ჭრიჭინებენ ჭრიჭინები. გადალმა კი ვიღაც დასმულა მენუხიმის სიმღერას.

იმ ღამეს მენდელს ხელში ჩაბღუჯული დარჩა მარყუჟად შეკრული ცხვირსახოცი.

დილით სკოვრონეკის ოთახში შევიდა მენდელი, დამჭრალი ლუმელის თავზე შემოდო წალდ-დანა და თქვა:

— დანა დაიძებნა, ქალბატონო სკოვრონეკ, ინებეთ! — თქვა და უმალვე გაეცალა. მაგრამ ქალბატონმა სკოვრონეკმა დაადევნა:

— მაშ დაიძებნა, არა? აბა რა ძებნა უნდოდა, აკი თქვენ თვითონ გადამალეთ. სხვათა შორის, გუშინ კარგა მაგრა დაგძინებიათ, ჩვენ გამოვიარეთ. დარაბაზე ვაბრახუნეთ, მაგრამ ამაოდ. ალბათ გადმოგცეს, რომ ფრიში გიბარებს, სანაყინეს პატრონი, რალაც ამბავი უნდა შეგატყობინოს თურმე, ფრიად მნიშვნელოვანი. ახლავე წადით მასთან.

მენდელი დაფეთდა. ეტყობა, ვილაცამ შენიშნა გუშინ, ვინ იცის, ეგებ ბინა გაძარცვეს და უნდათ ბრალი მენდელს აჭკიდონ. ანდა იქნებ დებორასი კი არა, ქალბატონ ფრიშის დანაზოგი იყო ის ფულიჰოდა, მენდელმა კი მოიპარა. მუხლები აუკანკალდა.

— თუ ნებას მომცემთ, ჩამოვჯდები, — მიმართა ქალბატონ სკოვრონეკს.

— ორიოდ წუთს შეგიძლიათ დაჯდეთ, — მიუგო ქალმა, — მერე სადილის კეთებას შევუდგები.

— რა დიდი საქმე უნდა იყოს ნეტავ ასეთი? — ჩაეძია მენდელი, თუმცა წინასწარ იცოდა, რომ ქალს ვერაფერს დააცდენინებდა. ქალბატონ სკოვრონეკს საამოვნებას ანიჭებდა მენდელის ცნობისწადილი და ხმას არ იღებდა. მერე განაგო, უკვე დროა შენი წასვლისო.

— რა ხელი მაქვს სხვათა საქმეში, მაგრამ ფრიშთან უთუოდ უნდა წახვიდეთ, — ბრძანა ქალმა. მენდელი წავიდა, მაგრამ ფრიშთან მისვლა არც უფიქრია. ნამდვილად ცუდი ამბავია. აბა ცუდს წინ რა დაუდგება. დაიცდის. საღამოხანს სკოვრონეკის შვილიშვილები მოვიდნენ სტუმრად, ქალბატონმა სკოვრონეკმა მენდელი გაგზავნა სამი ულუფა მარწყვის ნაყინის მოსატანად. შიშით შეპყრობილი შევიდა მენდელი კაფეში. საბედნიეროდ, მისტერ ფრიში იქ არ დაბვდა. ქალბატონმა ფრიშმა უთხრა:

— ჩემს ქმარს ფრიად მნიშვნელოვანი ამბავი აქვს თქვენთვის გადმოსაცემი. აუცილებლად შემოგვიარეთ ამაღამ!

მენდელმა ვითომ ვერ გაიგო. მის გულს ისეთი ბაგაბუგი გაჰქონდა, თითქოს ბუდიდან ამოხტომას ლამობსო; ორივ ხელით ეჭირა გული. აღიარებს სიმართლეს და ფრიში გაუგებს. თუ მის ნათქვამს არ იწამებენ, ციხეში ჩააგდებენ. სიკვდილი არაფერია, მაგრამ აქაურ ციხეში სიკვდილი? და არა თავის სუხნოვში?

ნაყინის კაფეს შემოგარენს ვერ მოშორდა. ბოლოის ცემას მოჰყვა იქვე. ახალგაზრდა ფრიში შენიშნა შინ მომავალი და ფეხებმა თავად შეიყვანეს კაფეში. კარი რომ გააღო, ზარის ყურისწამღები ზრიალი მოესმა. ძალა აღარ ეყო

კარი მიეხურა. გაუთავებლად წკრიალებდა სასიგნალო ზარი, მენდელი გაირინდა, გახევდა, ფეხი ველარ მოიცვალა. მისტერ ფრიშმა თავად მიხურა კარი, ჩამოვარდა სიჩუმე; მენდელს ჩაესმა ფრიშის მიერ ცოლისათვის ნათქვამი სიტყვები:

— სოდიანი წყალი მოუტანე სასწრაფოდ მისტერ ზინგერს, [illegible] ვაჟინი!

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

რამდენი ხანია „მისტერ ზინგერ“ ალარავის წამოსცდენია! მხოლოდ ახლა გააცნობიერა, რომ დიდი ხნის განმავლობაში მარტო სახელით მიმართავდნენ, აბუჩად იგდებდნენ. ბოროტად იხუმრა ფრიშმა. მთელმა უბანმა იცის, რომ ძუნწია ეს ყმაწვილკაცი, და თვითონ ფრიშსაც კარგად მოეხსენება, რომ ვერ გადავიხდი ცოლის ვაჟინის საფასურს, ამიტომ არც დავლევ.

— გმადლობთ, გმადლობთ, — თქვა მენდელმა, — არ გეახლებით.

— უარს ნუ მეტყვით, — ღიმილით თქვა ქალმა.

— მე ვერ მეტყვით უარს, — თქვა ჰაბუკმა ფრიშმა. თუჯის წვრილფეხებიან მაგიდასთან მიიყვანა ბერიკაცი და ზურგგანიერ, წნულ სავარძელში ჩასვა. თავად უბრალო ხის სკამი მიაჩოჩა მენდელის სიახლოვეს, დაჯდა და დაიწყო:

— გუშინ, მისტერ ზინგერ, როგორც იცით, ამე კონცერტზე გახლდით.

მენდელს გულისცემა გაუჩერდა. სავარძლის ზურგს მიეყრდნო და ერთი ყლუპი მოსვა, რომ სული მოეთქვა.

— დიახ, ბევრი მუსიკა მომისმენია, მაგრამ ამის მსგავსი — ჯერ არაფერი! ოცდაცამეტი მუსიკოსი იყო, თითქმის სუყველა ჩვენებური. ებრაულ მელოდიებს უკრავდნენ. გესმით? გულში ჩაძწვდომ მელოდიებს. მე ცრემლი მომერია. მთელი დარბაზი ტიროდა. დასასრულ მენუხიმის სიმღერა შეასრულეს. მისტერ ზინგერ, თქვენც რომ მოგისმენიათ გრამოფონზე. ხომ მშვენიერი სიმღერაა, არა?

ნეტავ რა უნდა ამ კაცს. დასტურ ლამაზი სიმღერაა.

— ანტრაქტში მუსიკოსებთან შევედი. იქაურობა ხალხით იყო გაჭედილი. ყველამ მოინდომა მათი ნახვა. ზოგმა თავისი მეგობარი აღმოაჩინა და მათ შორის მეც. მისტერ ზინგერ, მეცა.

ფრიში შეჩერდა. კაფეში ხალხი შემოდიოდა. ზარი წკრიალებდა.

— მე ჩემი ბიძაშვილი აღმოვაჩინე, კოვნოელი ბერკოვიჩი. გადავეხვიეთ ერთმანეთს. საუბარში ბერკოვიჩმა უეცრად განმიცხადა:

ხომ არ იცნობთ აქ ერთ ხნიერ კაცს, სახელად მენდელ ზინგერსო.

ფრიშმა ისევ იყუჩა. მენდელ ზინგერი გაილურსა. ყურად იღო. ვინმე ბერკოვიჩს რომ მოუკითხავს ბერიკაცი, მენდელ ზინგერი.

— დიახ, — თქვა ფრიშმა. — მე ვუპასუხე, ვიცნობ ერთ მენდელ ზინგერს, სუხნოველს-მეთქი. სწორედ ეგ მინდაო, მითხრა ბერკოვიჩმა. ჩვენი კაპელმაისტერი დიდი კომპოზიტორია, ახალგაზრდა გენიოსი. ჩვენი რეპერტუარის დიდი ნაწილი მისი ნაწარმოებებისაგან შედგება. მისი სახელია ალექსი კოსაკი, ისიც სუხნოველიაო.

— კოსაკი? — გაიმეორა მენდელმა. — ჩემი ცოლის გვარიც კოსაკია. ნათესავი ყოფილა!

— დიახ, — თქვა ფრიშმა, — და მგონი, ის კოსაკი გეძებთ თქვენ ეტყობა, რაღაცის შეტყობინებას აპირებს. მოხოვეს, მეკითხა თქვენთვის. გსურთ თუ არა მას მოუსმინოთ. ან თვითონ მიაკითხეთ სასტუმროში. ანდა მე ვეტყვი იმ ბერკოვიჩს თქვენს მისამართს.

მოესალბუნა და თანაც ვული დაუმძიმა ნათქვამმა მენდელს. ვაეინგარეული წყალი მოსვა, სავარძლის საბურგეს მიეყრდნო და თქვა:

— დიდად გმადლობთ, მისტერ ფრიშ, თუმცა ვიცი, ხანიერი ორთქლი იქნება. კოსაკი თავიდან მომიყვება ჩემს თავს დატეხილ უბედურების ამბავს. მერე ერთიც უნდა გაგიმხილოთ. კარგა ხანია ვაპირებდ[illegible] თქვენთვის მეკითხ[illegible] რჩევა. თქვენი ძმა ხომ გემის ბილეთების სააგენტოს განაგებს. მე დაბრუნება გადავწყვიტე. შინ, სუბნოვში. ჩემი ქალაქი რუსეთს ალარ ეკუთვნის, აირ-დაირია ეს ქვეყანა. რა ღირს ახლა გემის ბილეთი? ან რა საბუთები დამჭირდება? ჰკითხეთ თქვენს ძმას, ოღონდ არავისთან გამამხილოთ.

— კარგი, ვკითხავ, — მიუგო ფრიშმა. — მაგრამ თქვენი ფული ამას ნამდვილად ვერ გასწვდება. მერე კიდევ თქვენი ხნის კაცი... იქნებ იმ კოსაკმა გირჩიოთ რამე, იქნებ სულაც თან წაგიყვანოთ! ნიუ-იორკში მცირე ხნითაა ჩამოსული! თუ გნებავთ, ბერკოვიჩს თქვენს მისამართს შევატყობინებ. რამდენიც[illegible] მე გამიცნ-ხართ, თქვენ თვითონ ალბათ არ მიიკითხავთ სასტუმროში!

— არა, — თქვა მენდელმა, — ნამდვილად არ ვეახლები. თუ გნებავთ, წერილით შეატყობინეთ მისამართი.

მენდელი წამოდგა. ფრიშმა ისევ ჩასვა სავარძელში და უთხრა:

— მოითმინეთ, მისტერ ზინგერ, მე თან პროგრამა წამოვიღე. აი იმ კოსაკის სურათი. — და გულის ჯიბიდან მოზრდილი პროგრამა ამოიღო, გაშალა და მენდელს მიუტანა თვალებთან.

— მშვენიერი ყმაწვილკაცია, — თქვა მენდელმა. სურათს დააკვირდა. გაქექილი იყო სურათი, ქაღალდს ჭუჭყი მოჰკიდებოდა. პორტრეტი თითქოს ასიათასობით პაწია მოლეკულად იშლებოდა. მაგრამ მენდელის თვალს მაინც ცოცხლად წამოუდგა პროგრამაზე აღბეჭდილი სურათი. წასვლა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა და ისევ დააშტერდა სურათს. ყმაწვილკაცის ფართო შუბლი თეთრად მოჩანდა შავი თმის ფონზე. გაპრიალებული, მზედაკრული ქვასავით დიდრონი, ნათელი თვალები მომხუსხველად, ჯიქურ უმზერდნენ. ხალისიანი, მსუბუქი გაბწყობა დაეუფლა მენდელს სიბრძნე გამოსჭვიოდა ამ გამოხედვაში. თვალები ყამირნი არიან და იმავდროულად ახალგაზრდულიც, ყოვლისმცოდნენი, ქვეყნიერების მჭვრეტელნი. მათი შემყურე მენდელი თითქოს გაყმაწვილდა, გამოუცდელ ჭაბუკად იქცა. ყველაფერს ეტყვიან ეს თვალები. თავის ბიჭობაში უნახავს ისინი, სიზმრად თუ ცხადში. მრავალი წლის წინათ, ბიბლიას რომ დაეწაფა, წინასწარმეტყველთა თვალები უნახავს ამგვარი. ასეთია თვალი მამათა, ვის უშუალოდ ეზრახა უფალი. ყოვლისმცოდნე, შუქჩამდგარი, შეუვალი თვალები.

დიდხანს უცქირა მენდელმა სურათს, მერე თქვა:

— თუ ნებას მომცემთ, სახლში წავიღებ ამას, მისტერ ფრიშ. — პროგრამა დაკეცა და წავიდა. კუთხეს რომ მიეფარა, ისევ გაშალა, დახედა და შეინახა. მოეჩვენა, რომ დიდი ხანი გამოხდა ნაყინის სალონში შესვლიდან. რამდენიმე ათასი წელი დაიტია კოსაკის თვალთა გამოხაშუქმა. მათშივე დაივახა სიჭაბუკის ხანამ, ოდეს მენდელის წარმოსახვა ნათლად სჭვრეტდა სახეს წინასწარმეტყველისა. ერთი გაიფიქრა, მივბრუნდები და შევეკითხები, რომელ საკონცერტო დარბაზში გამოდის ის კაპელა, და იქ მივაკითხავო. მაგრამ დაირცხვინა. მივიდა სკოვრონეკთან მალაზიაში და აუწყა:

— ჩემი ცოლის ნათესავი დამეძებს ამერიკაში. ფრიშს დავეთანხმე, რომ იმ კაცს ჩემი მისამართი შეატყობინოს.

— ხვალამ ისევ ჩვენთან ივანშმე. — ეთხოა სკოვრონეკმა. პასექის პირველი საღამო იყო. მენდელმა თავი დაუქნია. ისე კი თავის სეხაკში დარჩენა ერჩივნა. მობეზრდა ქალბატონი სკოვრონეკის იქედნური მზერა, დამადლეულა წვნიანი და თევზი. მორჩა, გათავდა! დღეიდან ერთი წლის შემდეგ სუნნოვში ვიქნები, ცოცხალი ან მკვდარი. იქ სიკვდილი მირჩევნია.

მომდევნო საღამოს მენდელი ყველა სტუმარზე ადრე გამოცხადდა. მაგრამ ყველაზე გვიან მიუჯდა მაგიდას. ადრე ქალბატონი სკოვრონეკის ხათრით მოვიდა, ხოლო გვიან იმიტომ დაჯდა, რომ ეჩვენებინა, აქ მყოფთაგან ყველაზე მდაბალი ვარო. გვერდით უსხდნენ დიასახლისი, სკოვრონეკის ორთავე ქალიშვილი თავიანთი ქმარ-შვილით და ერთი ნოტებით მოვაჭრე უცნობი. მენდელი მაგიდის ბოლოში იჯდა, საცა ფიცარი გაედოთ მაგიდის დასაგრძელებლად. იმდენად კეთილგანწყობის შექმნას კი არ ცდილობდა, რამდენადაც წონასწორობის შენარჩუნებას მაგიდის ბოლოსა და მის ხელოვნურ გაგრძელებას შორის, ცალი ხელით ეჭირა ფიცრის ბოლო, რომ ზედ დაეწყოთ თეფშები და ჯამები. თოვლისფრად გაქათქათებულ სუფრაზე ვერცხლის კანდელაბრში დანთებული ექვსი თოვლისფერი სანთლის შუქი იფრქვეოდა ირგვლივ. თეთრ-მოვერცხლისფრო თანატოლი დარაჯებივით ასვეტილიყვნენ სანთლები თეთრხალათიანი მასპინძლის. სკოვრონეკის წინ, რომელიც თეთრ ბალიშზე იჯდა და ზურგით ასეთსავე ბალიშს ეყრდნობოდა, ვით მეფე უცოდველი, უბიწო ტახტზე, რა დრო გავიდა მას უკან, რაც მენდელი ამგვარად მორთული იჯდა ხოლმე მაგიდასთან და თავკაცობდა? დღეს კი მოკუნტული ზის, ნაცემივით, მწვანედ გაპრიალებული პიჯაკი აცვია, სუფრის ბოლოში მიყუჟულა. სტუმართაგან ყველაზე მდაბალი, ლამობს ნაკლები ადგილი დაიჭიროს. ზეიმის საცოდავი ხიმინჯია ოდენ იგი. სუფრაში გახვეული კულიჩი თოვლისფერ გოდოლად აღმართულა ცვრიანი მწვანილის. მუქ-წითელი ბოლოკისა და პირშუშხას ჭუფრ-ყვითელ ძირთა შორის, ყოველი სტუმრის წინ სალმრთო წერილია გადაშლილი. საცა მოთხრობილია განსვლა ძეთა ისრაელისათა ქუეყნით ეგვიპტით. სკოვრონეკმა ანდრეზის სიმღერა წამოიწყო. ყველა აჰყვა, სიტყვებს იმეორებდნენ, ხმა შეუწყეს და შეხმატკბილებულმა გუნდმა დააგუგუნა საამო ჰანგი. ლიმნარევი სადიდებელი ერთობლივ წარსათქმელ სასწაულთა, რანიც უფლის სიქველით წარმოაჩენენ — მის სიდიადეს, სიკეთეს, შემწყნარებლობას, წყალობას ისრაელისა და შერისხვას ფარაოსი. ნოტებით მოვაჭრე კაცი, ვისაც წიგნის კითხვა არ შეეძლო და არც ადათებისა გაეგებოდა რამე, გაიტაცა მელოდიამ, გულს ხვდებოდა ყოველი ფრაზა, ატყვევებდა, სალბუნად ედებოდა და, ისიც უნებლიეთ აჰყვა გალობას. მაშინ მენდელმა ღაღადჰყო ზეცას, რომელი ოთხი ათასი წელი უხვად ალასრულებდა კეთილ სასწაულს; რაკი მამაზეციერმა ასე შეიტკბო წილხვედრი ხალხი, მენდელი თითქოს კიდეც შეეგუა თავის უბედურებას. ბერიკაცი ჯერ არ მღეროდა. ტანს აქანებდა წინ და უკან, სხვათა სიმღერას აყოლილი. სკოვრონეკის შვილიშვილების კრინმა საკუთარ შვილთა ხმა გაახსენა. საბრალო მენუხიმი წარმოუდგა თვალწინ, საზეიმო სუფრასთან მიდგმულ, უჩვეულოდ მაღალ სკამზე შესკუპული. გალობის ჟამს მხოლოდ მამა აკვირდებოდა თავის უმრწემესს, შტერულ მზერაში შეფარული ნდომის სხივს შეასწრო თვალი და მიხვდა, რომ პატარა ამაოდ ცდილობდა გამოეხატა თავისი სულის მოძრაობა და ემღერა, რაც ესმოდა. იმ საღამოს მენუხიმს პირველად ეცვა ახალი ტანსაცმელი, როგორც მის ძმებს. მისი ჰერანგის თეთრი საყელო ფაფუკ ლაბაბს ებჯინებოდა. მენდელმა ღვინო მიუტანა პირთან და მენუხიმმა ხარბად შეხერეპა

ნაბევარი ჯამი, აფრუტუნდა, აქოშინდა და სახე დაიმანჭა, ვინ იცის, სატირლად თუ საცინლად.

ფიქრებში გართული მენდელი ირწეოდა სიმღერისდაკვალ, ეცემ შენიშნა ძალიან რომ ჩამორჩენილიყო მეინახეთ, რამდენიმე ფურცელი გადაშალა და ასადგომად გაემზადა. მაგიდის კიდიდან თეფშების გადაწყობა დაწყო, ადგომისას რომ არაფერი დაემტვრია. მოიწია ყამმა, როცა ძალაფლებისმოსილი უნდა შეევსოთ ღვინით და კარი გაეღოთ, წინასწარმეტყველ ელიაჰუს შემოსაშვებად. ექვსი სანთელი ათინათობდა გალიკლიკებული ოიწისფერი სამწდეურის ბურცზე. ქალბატონმა სკოვრონეკმა თავი ასწია და მენდელს შეხედა. მენდელი წამოდგა, კართან მიფრატუნდა და გამოაღო. სკოვრონეკმა წამოიწყო ფსალმუნი წინასწარმეტყველის მოპატიჟებისა. მენდელი იქვე დაეღლოდა დამთავრებას, დაუბარა ორჯერ გავლა იმავე გზიანი მწვრე კარი მიხურა, თავის ადგილს მიუბრუნდა და ისევ შეაშველა მუშტი ფიცარს. კვლავ დასძახეს საგალობელი.

ის იყო მენდელი დაჯდა და კარზე გაისმა კაკუნი. ყველამ გაიგონა კაკუნი, მაგრამ ეგონათ, მოგვეყურაო. დღევანდელ საღამოს მეგობრები თავიანთ სახლებში სხედან. უბნის ქუჩებში კაცის ჭაჭანება არ არის. ამ დროს აბა ვის სცხელა სტუმრად სასიარულოდ. ქარმა მოაკაკუნა, რა თქმა უნდა.

— მენდელ, ეტყობა, კარი რიგიანად არ დახურეთ! — თქვა ქალბატონმა

კაკუნი ისევ განმეორდა. გარკვევით, ხანგრძლივ. ყველა გაილურსა. სანთლის სურნელმა, ღვინომ, უჩვეულო ყვითელმა შუქმა და ძველებურმა საგალობელმა გააცხოველა სასწაულის მოლოდინი მოზრდილთა და ბავშვების გულში; წამით ყველას სუნთქვა შეეკრა, ისხდნენ ფერწასულები, გაოგნებით მომზირალნი და თითქოს ერთურთს ეკითხებოდნენ, იქნება მართლაც წინასწარმეტყველი მოგვადგაო კარს. ვერავინ გაბედა სიჩუმე დაერღვია და კართან მისულიყო. ბოლოს ისევ მენდელი დაიძრა. ერთხელ კიდევ გადასწია თეფშები მაგიდის შუაგულისაკენ. ისევ მიფრატუნდა კართან და გამოაღო იგი. ჩიბნელებულ წინკარში ტანმაღალი უცნობი იდგა. მოსულმა თქვა, ნება მომეცით შემოვიდეო. სკოვრონეკი გაჭირვებით წამოდგა თავისი ბალიშიდან, კართან მივიდა, თვალით გაზომა უცხო კაცი და ამერიკაში ნასწავლი სიტყვით მოიპატიჟა:

— Please![1]

უცნობი შემოვიდა. მუქი პალტო ეცვა, საყელოაწეული, შლიაპა არ მოუხდია, ალბათ სერობის პატივსაცემად და იმიტომაც, იქ მყოფ მამაკაცს ყველას რომ ეხურა თავსარქველი.

დიდებული კაცია, გაიფიქრა სკოვრონეკმა და კრინტი არ დაუძრავს, ისე შეუდგა სტუმრის პალტოზე ღილების გადახსნას. მოსულმა თავი დაუკრა და თქვა:

— ჩემი სახელია ალექსეი კოსაკი. ბოდიშს გიხდით შეწუხებისთვის; მითხრეს, რომ ჭალაქ სუხნოვიდან ვინმე მენდელ ზინგერი იმყოფება თქვენთან. მე მინდა მას მოვესაუბრო.

— მე გახლავართ, — მიუგო მენდელმა, სტუმარს მიუახლოვდა და თავი ასწია. შუბლით წვდებოდა მის მხარს. — ბატონო კოსაკ, — განაგრძო მენდელმა, — ყურმოკვრით ვიცი თქვენი ამბავი. ნათესავი ყოფილხართ ჩემი.

— გაიხადეთ პალტო, მობრძანდით ჩვენს მაგიდასთან, — მიმართა სკოვრონეკმა.

---

[1] ინგ. მობრძანდით!

ქალბატონი სკოვრონეკი წამოდგა. მეინახენი შემჭიდროვდნენ და ადგილი გაუთავისუფლეს სტუმარს. სკოვრონეკის სიძემ სკამი მოიტანა და მიუდგა მაგიდას. უცნობმა პალტო ლურსმანზე დაკიდა და მენდელის პირისპირ დაჯდა. სტუმარს ღვინით სავსე თასი მოართვეს და წინ დაუდგეს.

— გთხოვთ ნუ შეწყვეტთ. განაგრძეთ ლოცვა, — მიმართა კოსაკმა დამსწრეთ. გალობა განახლდა. ჩუმად იჯდა ხმელ-ხმელი კაცი თავის ადგილზე. ენდელი მას თვალს არ აშორებდა. არც კოსაკი ჩამორჩა და თვალი თვალში გაუყარა მენდელ ზინგერს. ასე ისხდნენ ორნი პირისპირ, სიმღერის მადლმოფენილნი და მომღერალთა მიერ გათიშულნი.

გულში ორთავეს სიამოვნებდა, რომ სხვათა გამო ჯერ საუბარი ვერ წამოიწყეს. მენდელმა ისევ მიაგნო უცნობის თვალებს. როცა კოსაკი წამიერად თვალს ძირს დახრიდა, მენდელს სურვილი მოუვლიდა, ეთხოვა მისთვის, ისევ მაცქერინე თვალებშიო. ამ სახეზე ყველაფერი უცხო იყო მენდელისათვის, მხოლოდ პენსნეს მიღმა მოკიაფე თვალები იყო ახლობელი. მენდელის მზერა ისევ და ისევ დაეძებს თვალებს, ეით მონატრებას, ნაცნობი, მაგრამ დაგმანული ფანჯრის მიღმა შეფარული შუქისა ახალგაზრდა კაცის შეუცნობელ, ფერმიხდილ, მოგრძო სახეზე. თხელი, პრიალა, მოკუმული ტუჩები. მამა რომ ვიყო მისი, ვეტყოდი: — გაიღიმე, ჩემო ალექსი!

მენდელმა ჩუმად ამოიღო ჯიბიდან აფიშა, მაგიდის ქვეშ გაშალა. სხვები რომ არ შეეწუხებინა და უცნობს გადააწოდა. მანაც გამოართვა და თხელ ტუჩებზე წამიერად წყნარი ღიმილი გამოესახა.

გალობა შეწყდა. დაიწყო სერობა. სკოვრონეკმა სტუმარს ცხელი წვნიანი დაუდგა თეფშით და სთხოვა. მიირთვიო. ნოტებით მოვაჭრე ინგლისურად გაესაუბრა კოსაკს, მენდელმა ვერაფერი გაიგო. შემდეგ ვაჭარმა ყველას გასაგონად განაცხადა, რომ კოსაკი ახალგაზრდა გენიოსია, იგი ნიუ-იორკში ერთ კვირაზე მეტ ჩანს აღარ დარჩება და ყველა დამსწრეს სთხოვს, მობრძანდით ჩვენს კონცერტზე, უფასო ბილეთებს მოგართმევთო. ირგვლივ საუბარი ველარ აეწყო. სწრაფად ჭამდნენ, წინაალმდეგ საზეიმო ადათისა, თითქოს სერობის დამთავრება ეჩქარებათო, და ყოველ მეორე ლუკმას თან ადევდა თავაზიანი სიტყვები უცნობისა და მასპინძლებისა. მენდელი ხმას არ იღებდა. ქალბატონი სკოვრონეკის ხათრით იგი სხვებზე მეტად ჩქარობდა ჭამას, რომ ბუზლუნის საბაბი არ მიეცა ქალისათვის. სერობის დასასრულ ყველამ შვებით ამოისუნთქა. სიმღერა განაახლეს, სასწაულთა საგალობელი. სკოვრონეკმა რიტმი ააჩქარა და ქალებმა ველარ შეძლეს აყოლა. მაგრამ როდესაც მასპინძელი ფსალმუნებზე გადავიდა, ხმა შეიცვალა, განსხვავებული ტემპი და ჰანგი აირჩია და სიტყვებმა ისე მონუსხა ყველა, რომ მენდელიც კი აჰყვა და ყოველი ხანის დასასრულ „ჰალილუიას“ იმეორებდა, თავს აქნევდა, მისი გრძელი წვერი წიგნის ფურცლებს ელამუნებოდა და ოდნავ გასაგონად შრიალებდა, თითქოს ლოცვაში მონაწილეობას ლამობდა, რაკი მენდელის ბაგეთ ეზარებოდათ ზეიმში მონაწილეობა.

გალობა დასრულდა, სანთლები შუამდე დაიწვა. მაგიდას მოაკლდა საზეიმო ელფერი. თეთრ სუფრას ლაქები დასჩნეოდა, კერძებისაგან ნამუსრევი დარჩენილიყო მხოლოდ. სკოვრონეკის შვილიშვილები უკვე ამთქნარებდნენ. ლოცვანი ბოლომდე გადაეფურცლათ. სკოვრონეკმა საზეიმო კილოზე წარმოთქვა მამა-პაპით გადმოცემული სურვილი:

— მომდევნო წელს იერუსალემს გვეზეიმოს!

ნათქვამი ყველამ გაიმეორა, წიგნები დახურეს და სტუმარს მიაპყრეს მზერა. ახლა მენდელის ჯერი დადგა, რომ სტუმრისათვის დაესვა კითხვა. ბერიკაცმა ჩაახველა, გაიღიმა და თქვა:

— აბა, რას გვეტყვით, ბატონო ალექსეი?

უცნობმა ხმადაბლა დაიწყო:

— ბატონო მენდელ ზინგერ, თქვენი მისამართი [illegible] ერომ მაცოდინეს. დიდი ხნის წინ მოგაწვდენდით ხმას. მაგრამ ომის შემდეგ უკვე ალარავინ იცოდა თქვენი ასავალ-დასავალი. ბილეს სიძე, მუსიკოსი, ტიფმა იმსხვერპლა, ამიტომ ბილეს ქალიშვილი თავის მშობლებს მიუბრუნდა, რომლებიც მაშინ უკვე დუბნოში ცხოვრობდნენ, და სუხნოვში, თქვენს მიტოვებულ დაცარიელებულ სახლში ავსტრიელი ჯარისკაცები დაბინავდნენ. შემდეგ, ომი რომ დამთავრდა, ჩემს აქაურ მენეჯერს მოვწერე წერილი, მაგრამ უგერგილო კაცისაგან რა ხეირია, — მიპასუხა, ვერსად ვიპოვეო.

— საცოდავი ბილეს სიძე! — თქვა მენდელ ზინგერმა, თუმცა ფიქრით მენუხიმს უტრიალებდა.

— ჰოდა ახლა, — განაგრძო კოსაკმა, — სასიამოვნო ამბავს გაცნობებთ.

მენდელმა თავი ასწია.

— მე თქვენი სახლი შევისყიდე უფროსი ბილესაგან. მოწმეთა თანდასწრებით შეაფასეს მოხელეებმა. მინდა ის ფული მოგართვათ.

— რა თანხაა? — იკითხა მენდელმა.

— სამასი დოლარი! — მიუგო კოსაკმა.

მენდელმა წვერზე მოისვა ხელი, აკანკალებული, გაფარჩხული თითებით დაუწყო ვარცხნა და თქვა:

— მადლობელი ვარ თქვენი.

— იონას რაც შეეხება, თქვენს ვაჟიშვილს, — განაგრძო კოსაკმა, — იგი 1915 წლიდან უგზო-უკვლოდაა დაკარგული. ვერაფრის გაგება შევძელით ვერც პეტერბურგში, ვერც ბერლინსა და ვენაში, ვერც შვეიცარიის წითელ ჯვარში. ყველგან მოვიკითხე და ვაკითხინე. მერე, ამ ორი თვის წინ ერთი ახალგაზრდა კაცი ვნახე, მოსკოველი, ლტოლვილი იყო, ახალი გადმოსული პოლონეთის საზღვარზე. ხომ იცით, ახლა სუხნოვი პოლონეთს ეკუთვნის. იმ კაცს იონასთან უმსახურია პოლკში. მითხრა, ერთხელ, შემთხვევით ყური მოვკარი, იონა ცოცხალია და თეთრგვარდიელთა არმიაში იბრძვისო. ახლა ძალიან გაძნელდა მისი ამბის გაგება. მაგრამ იმედი მაინც არ უნდა წარვიკვეთოთ.

მენდელმა პირის გაღება დააპირა, რომ მენუხიმის ამბავი ეკითხა. მაგრამ სკოვრონეკი მიუხვდა სათქმელს. მეგობარს ნაღდად მიაჩნდა, რომ ამ კითხვას უბედურების შეტყობინება მოჰყვებოდა პასუხად, და როგორც მასპინძელი, იგი ცდილობდა დღევანდელ საღამოს თავიდან აეცილებინა სევდიანი საუბარი, ანდა რამდენადაც შეიძლებოდა, გადაედო იგი, ამიტომ დაასწრო ბერიკაცს და განაცხადა:

— ახლა, ბატონო კოსაკ, რაკი თქვენ, ესოდენ დიდმა კაცმა, პატივი დაგვდეთ და გვესტუმრეთ, იქნებ ინებოთ და რაიმე გვიამბოთ თქვენი ცხოვრებიდან. როგორ მოხდა, რომ გაუძელით ომს, რევოლუციას და სხვა ათას ხიფათს?

უცნობი შეცბა, თითქოს ამ კითხვას არ მოელოდა. პასუხი დაუგვიანა. თვალები დახარა, დაიმორცხვა, ან თუ დაფიქრდა და კარგა ხნის შემდეგ გაეპასუხა:

— განსაკუთრებული არაფერი გადამხდენია. ბავშვობაში დიდხანს ვიავადმყოფე. მამაჩემი ერთი ღარიბი მასწავლებელი იყო. როგორც მენდელ ზინგე-

რი, ვისი ცოლის ნათესავიც გახლავართ მე (რა ნათესავი, ახლა ამაზე არას გეტყვით). მოკლედ რომ ვთქვათ, ჩემი ავადმყოფობის გამო და იმიტომაც, რომ ღარიბები ვიყავით, მე დიდ ქალაქში ალმოვჩნდი, სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში კარგად შიმკურნალეს, იქ ერთმა ექიმმა გამორჩევით შეშიყვარა, და როცა განკურნე, თავისთან წამიყვანა სახლში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ კოსაკმა ხმას დაუწია, თავი დახარა, თითქოს მაგიდას ესაუბრებოდა ყველა ლა გაიტრუნა, რომ არაფერი გამორჩენოდა.

— ერთ მშვენიერ დღეს ექიმის სახლში ფორტეპიანოს მივუჯექი და რამდენიმე აკვიატებული მელოდია დავუკარი. ექიმის ცოლმა ჩემი სიმღერები ნოტებზე გადაიტანა. ომი იღბლიანი გამოდგა ჩემთვის. მე სამხედრო ორკესტრში გამანაწილეს. იქ დირიჟორობა დამაკისრეს. ომის განმავლობაში პეტერბურგში ვიყავი. რამდენიმეჯერ მეფის წინაშეც კი გამოვედით. რევოლუციის შემდეგ ჩემს ორკესტრთან ერთად საზღვარგარეთ გავემგზავრე. ორიოდ კაცი ჩამოგვშორდა, ერთი იმდენი შემოგვემატა. ლონდონში კონტრაქტი დავუდეთ ერთ საკონცერტო სააგენტოს. ასეთი გახლავთ ამბავი ჩემი ორკესტრის.

სტუმარმა თხრობა დაასრულა, მაგრამ ხმას არავინ იღებდა. ნათქვამი თითქოს კვლავაც გაისმოდა ოთახში. ზოგიერთი ახლიდა ჩაწვდა გაგონილის აზრს. კოსაკი ცუდად ლაპარაკობდა ებრაულ ჟარგონს, რუსულ სიტყვებს ურთავდა; სკოვრონეკის ოჯახს და მენდელს ცალკე გამოთქმები კი არ ესმოდათ, არამედ მათი საერთო აზრი. სკოვრონეკის სიძეებს, ამერიკაში ბავშვობისას გადმოსულებს, ნახევარი ძლივს ესმოდათ, ამიტომ თავიანთ ცოლებს ათარგმნინებდნენ უცხო კაცის ნაუბარს ინგლისურ ენაზე. ნოტებით მოვაჭრე თავისთვის იმეორებდა კოსაკის ბიოგრაფიას, რომ კარგად აღებეჭდა მეხსიერებაში. კანდელაბრებში ძლივსღა ბჟუტავდა სანთლების ნამწვი, ოთახში ჩამობნელდა. შვილიშვილებს თავჩაქინდრულებს ჩასძინებოდათ სავარძლებში, მაგრამ წასვლას არავინ ამბობდა. ეგ კი არადა, ქალბატონმა სკოვრონეკმა ორი ახალი სანთელი მოიტანა, ნამწვებზე დაამაგრა და საღამო კვლავ გამოაცოცხლა. ქალის შეგნებაში ხელახლა გაიღვიძა ძველმა რიდმა და პატივისცემამ მენდელისადმი. დიდი კაცია სტუმარი, ხელმწიფის წინაშე გამოსულა სცენაზე, ახლა ნეკზე გაკეთებული საოცარი ბეჭედი ნახე მისი, ჰალატუხზე დამაგრებული მარგალიტი და მერე ევროპული ნაჭრისაგან შეკერილ შესანიშნავ კოსტიუმს დააკვირდი. — ქალი, ფართლეულით მოვაჭრე მამის შვილი, მშვენივრად ერკვეოდა ამეებში. — ბოდა, ამ სტუმარს ვინ შეჰკადრებს ღამის გათევას მალაზიის უკანა მხარეს მიშენებულ სენაკში; ამიტომ სკოვრონეკი ძალიან გაოცდა, როცა მოისმინა ცოლის ნათქვამი:

— მისტერ ზინგერ! კარგად მოიქეცით, რომ დღეს ჩვენთან მობრძანდით. უნდა მოგახსენოთ, — აქ ქალი კოსაკს მიუბრუნდა, — იმდენად მოკრძალებული და ტაქტიანი კაცია, რომ უარს გვეუბნება ხოლმე მოპატიჟებაზე. და მაინც ჩვენს ოჯახში ისეა მიღებული, როგორც უფროსი შვილი.

სკოვრონეკმა სიტყვა გააწყვეტინა ცოლს:

— კიდევ მოგვართვი ერთი ჩაი!

ქალი წამოდგა. სკოვრონეკმა კოსაკს მიმართა:

— ჩვენ ყველანი დიდი ხანია ვიცნობთ თქვენს სიმღერებს, „მენუხიმის სიმღერა" ხომ თქვენია?

— დიახ, — მიუგო კოსაკმა, — ჩემია! — მყის მენდელ ზინგერს მიუბრუნდა და ჰკითხა: — თქვენი მეუღლე გარდაიცვალა?

მენდელმა თავი დაუქნია.

— რამდენადაც ვიცი, თქვენ ქალიშვილი უნდა გყავდეთ კიდევ. ახლა მენდელის ნაცვლად სკოვრონეკმა გასცა პასუხი.

— იგი, სამწუხაროდ, დედამისის და თავისი ძმის, სიმიტიანელის გამო ქკუაზე შეცდა და საავადმყოფოში მოათავსეს.

უცნობმა ხელახლა ჩაჰკიდა თავი. მენდელი წამოდგა. უნდოდა ეკითხა მენუხიმის ამბავი, მაგრამ მრნეობა არ ეყო. პასუხი წინასწარ იცის. სტუმრის მაგივრად უპასუხა საკუთარ თავს: მენუხიმი დიდი ხანია, გარდაიცვალა. საცოდავად დაიღუპა. ეს აზრი თავში ჩაიჭედა. წინასწარ იგემა მთელი სიმწარე მისი და ახლა, დასტურ რომ მოისმენს, მშვიდად შეხვდება ამ ამბავს. გულში მაინც ბოგინობს იმედის ნატამალი. უნდა მოაშთოს იგი. ცოცხალი რომ იყოს მენუხიმი, იმთავითვე აცნობებდა ეს კაცი. არა, მენუხიმი დიდი ხანია აღარ არის. ბარემ შეეკითხება. ბოლოს მოუღებს ამ უბადრუკ იმედს. მაინც ვერ ბედავს შეკითხვის დასმას. მკირე ხანს დაიცდის. ქალბატონი სკოვრონეკი სამზარეულოში ფუსფუსებს. ჩაის ამზადებს. მენდელმა საბაბი იპოვა და გავიდა, რომ ჩვეულებისამებრ მიხმარებოდა დიასახლისს.

მაგრამ დღეს იქიდან გამოაბრუნეს. იგი ხომ სამასი დოლარის მფლობელია და ამოდენა კაცის ნათესავი.

— როგორ გეკადრებათ, მისტერ ზინგერ, თქვენს სტუმარს მიხედეთ ისევ.

ჩაი გამზადდა. განიერ ლანგარზე დაწყობილი სავსე ჩაის ჭიქები შემოიტანა დიასახლისმა, მენდელი უკან მოსდევდა. ჩაის ოხშივარი ასდიოდა. მენდელმა, როგორც იქნა, გადაწყვიტა. კითხავ მენუხიმის ამბავსო. იგრძნო სკოვრონეკმაც, რომ ამ შეკითხვას წინ ვერაფერი დაუდგებოდა. უმჯობესია თავად შეეკითხოს. მენდელს, მის მეგობარს, მოსალოდნელი პასუხის სიმწარეც ეყოფა და შეკითხვის ტვირთისაგან მაინც გაათავისუფლებს.

— ჩემს მეგობარს, მენდელს, კიდევ ჰყავდა ერთი საწყალი, ავადმყოფი ვაჟიშვილი, საბელად მენუხიმი. რა დაემართა მენუხიმს?

კვლავაც თავი აარიდა უცნობმა პასუხს. დიდხანს ურევდა ჭიქაში კოვზს, თითქოს ჩაიზე მკითხაობით აპირებდა პასუხის გაცემას. დაჟინებით დააკვერდა ლია-მრეშ ჭიქას, კოვზი ცერითა და საჩვენებელი თითით ეჭირა. წყნარად ატოკებდა მზემოკიდებულ, გამხდარ ხელს, და ბოლოს მოულოდნელად, თითქოს თავს ძალა დაატანაო, ხმამაღლა თქვა:

— ცოცხალია მენუხიმი!

პასუხად კი არ გაისმა. ძახილად დაირხა ნათქვამი. ამის გაგონებისთანავე ღრიალი აღმოხდა მენდელს მკერდიდან. ყველა შეცბა და ბერიკაცს მიაშტერდა. სავარძელში მოკალათებულ მენდელს სიცილისაგან მხრები უთოთის. საზურგეს ოდნავ თუ ეხება მისი მორკალული ხერხემალი. სავარძლის საზურგესა და მენდელის ბეხრეკ კისერს შორის კარგა დიდი შორისეთია, ხიფთნის გახეხილ საყელოს ჭაღარა, ხვეული თმა ეფინება. მენდელის გრძელი წვერი ცანცარებს და დროშასავით ფრიალებს სიცილს აყოლილი. უცებ მკერდიდან ხავილი ამოხდება. შემდეგ კვლავ ხითხითი. ყველა შეშინდა, სკოვრონეკი კვლავ გაჭირვებით წამოდგება თავისი რბილი სავარძლიდან. გრძელი, თეთრი ხალათი ფეხებში ებორკება. მაგიდას გარს შემოუვლის, მენდელს მიეახლება და ხელს მოჰკიდებს ორთავე ხელზე. ახლა მენდელის სიცილი ტირილში გადაიზრდება, იგი ქვითინებს, ცრემლი ღვარად მოედინება ბებრულ, დახუჭულ თვალთაგან, დაფანჩულ წვერსა და ბუსილა ბუწუწებში იკარგება. ოლონდ ორიოდ მსხვილი

წვეთი მინის ნალვენთივით დაეკიდება მცირე ხანს.

როგორც იქნა, სული მოითქვა მენდელმა, კოსაკს თვალი თვალში გაუყარა და გაიმეორა:

— ცოცხალია მენუხიმი?

უცნობი მშვიდ მზერას შეაგებებს მენდელს და ეტყვის:

— ცოცხალია მენუხიმი, ჯანმრთელადაა. თავს კარგადა გრძნობს.

მენდელი ხელებს გულზე დაიკრეფს, შემდეგ ალმართავს რაც შეუძლია მაღლა, თითქოს ჭერს უნდა მიაწვდინოს, ლამობს წამოდგეს, წელში გაიმართოს, ამაღლდეს, ამაღლდეს და სახლის ზე აღხდეს. ზეცას წაეპოტინოს. მაგრამ ხელებს ვეღარ იმორჩილებს. სკოვრონეკს შეხედავს და ძველი მეგობარი გაუგებს, მიხვდება, რა კითხვა მიაგებოს სტუმარს.

— ახლა სად არის მენუხიმი? — შეაპარებს სკოვრონეკი.

ალექსეი კოსაკი დინჯად გაეპასუხება:

— თავად გახლავარ მენუხიმი!

უცბად ყველა ფეხზე წამოიჭრა. მთვლემარე ბავშვებს გაელვიძათ და ტირილი მორთეს. თვით მენდელი ისე ცქვიტად წამოხტა, რომ მის ზურგს უკან სკამმა ბრაგვანი მოილო იატაკზე. გაეშურა, გაეჩქარა, ხტუნვა-ხტუნვით გავარდა კოსაკისაკენ. — იქ მყოფთაგან სტუმარი ერთადერთი დარჩა მჯდომარე. ოთახში ატყდა ალიაქოთი. სანთლები ისე პარპალებს, თითქოს ქარმა დაუბერაო. კედლებზე დაფარფატებს მორიალე ადამიანების ლანდები. მენდელი მუხლზე დაეცემა მენუხიმის წინაშე, მთროლვარე ტუჩები და ფრიალა წვერი დაეჭედებს ვაჟიშვილის ხელებს. მამა კოცნის. საცა მოხვდება. — მუხლს, თეძოს, ქილეტს. მენდელი წამოდგება და, თითქოს უცაბედად თვალისჩინი წაერთვაო, აკანკალებულ ხელებს მოუფათურებს მენუხიმს სახეზე. დროული, დაჩლუნგებული თითები უმალ გაცურდება მენუხიმის თმაზე, ფართო, ნათელ შუბლზე, სათვალის ცივ მინას შეეხება, თხელ, მოკუმულ ტუჩებს გადაუვლის. მენუხიმი წყნარად, უძრავად ზის. ყველა დამსწრე გარშემოერტყმის მენუხიმს და მენდელს. ბავშვები ტირიან, სანთლები ციმციმებენ, კედლებზე მორიალე ლანდები ერთ მოზრდილ ლრუბლად შენივთდებიან. ხმას არავინ იღებს.

ბოლოს გაისმის მენუხიმის ხმა:

— ადეკი, მამი! — ეტყვის და მკლავქვეშ წაავლებს ხელს, წამოაყენებს და კალთაში ჩაისვამს, როგორც ბავშვს. სხვები ისევ გაეცლებიან. ზის მენდელი შვილის კალთაში და ირგვლივ სათითაოდ ყველას შესცინის სახეში. ბოლოს ჩურჩულით იტყვის:

— ტკივილი სიბრძნეს მიანიჭებს, სიმახინჯე — სიქველეს, სიმწარე — სათნოებას და ავადმყოფობა — ძალას.

ასე იტყოდა დებორა. ისევ ჩაესმის ყურში ცოლის ხმა. სკოვრონეკი მაგიდიდან წამოდგება, ხალათს გაიხდის, პალტოს ჩაიცვამს და იტყვის:

— ახლავე მოვბრუნდები!

სად წავიდა სკოვრონეკი? ჯერ არც ისე გვიანია, მეგობრები ალბათ სუფრიდან არ ამლილან ჯერ. კარდაკარ ჩამოუვლის გროშელს, მენკესს, როტენბერგს, მართლაც ყველანი მაგიდებს უსხედან.

—სასწაული მოგვევლინა, მოდით, იხილეთ ჩემთან, სახლში!

სამივეს მენდელთან წაუძღვება. გზად ლემელის ქალიშვილი შემოეყრებათ, სტუმრის გასაცილებლად კარში გამოსული, მიახარებენ მენდელის ამბავს, მერე სასეირნოდ გამოსულ ჭაბუკ ფრიშს და მის ცოლსაც ამცნობენ ამასვე.

ხმა დაირხა მთელ უბანში. სკოვრონეკის სახლის წინ მენუბიმის ავტომანქანა დგას, როგორც დასტური. ირგვლივ ლია ფანჯრებიდან ხალხი ჩაქირება. მენკესი, გროშელი, სკოვრონეკი და როტენბერგი შემოდიან სახლში. მენდელი შეეგებება და უსიტყვოდ ართმევს ხელს.

მენკესი, მეგობრებში ყველაზე ჭკუადამჯდარი, წარმოსთქვამს სიტყვას:

— მენდელ, მოვედით, რათა გნახოთ ნეტარიანო, ბედნიერ, ისე ვით მაშინ, ურვასა შიგან როს გინახულეთ გახსოვს შექირვება იმჟამინდელი? ჩვენ შევეცადეთ ნუგეში გვეცა. მაგრამ ვიცოდით, ამაოდ დავშვრებოდით. და ჰა, ცოცხალმა იხილე სასწაული. მაშინ ვიგლოვდით შენთან ერთად, დღეს კი ვხარობთ შენი სიხარულით. დიად არიან სასწაულნი უფლისა მიერ ქმნილნი დღეს ისევე, ვით რამდენიმე ათასი წლის წინ. დიდება მის სახელს!

სუყველა ფეხზე იდგა. სკოვრონეკის ქალიშვილებს, შვილიშვილებს, სიძეებსა და ნოტებით მოვაჭრეს ზედა სამოსი უკვე ჩაეცვათ და დამზადებულ ემშვიდობებოდნენ. არც მენდელის მეგობრები დამსხდარან. მცირე ხნით შემოიარეს, მოსალოცად. ყოველ მათგანზე ტანმორჩილი, წელში მოხრილი, მწვანედ გაბრიალებული ხიფთნით მოსილი იდგა მენდელი მათ შორის, ვით უჩინარი, გადაცმული ხელმწიფე. ლამის ფეხის წვერებზე დგებოდა, რომ სათითაოდ ყველასთვის სახეში შეეხედა.

— მადლობას მოგახსენებთ, თქვენი თანადგომა რომ არა, ამ დღეს ვერ მოვესწრებოდი. აბა შეხედეთ ჩემს ვაჟიშვილს. — თქვა და ხელი ისე მიაშვირა, თითქოს მეგობართაგან რომელიმეს ხელრიახად ვერ გაეგო, ვინ იყო იგი. მათი თვალები ამოწმებდნენ კოსტიუმის ნაჭერს, მარგალიტის სამაგრიან აბრეშუმის ყელსახვევს, თხელ ხელებსა და ბეჭედს. შემდეგ თქვეს:

— კეთილშობილი ყმაწვილკაცია, რჩეულთა ნიშატი ამჩნევია.

მენდელმა მიმართა შვილს:

— უსახლკაროა მამაშენი. შენ მომიხველ, შვილო, და მე არ ვიცი, ამალამ სად მოგასვენო.

შვილმა მიუგო:

— ჩემთან წამოდი, მამი, თუმცა არ ვიცი, გაქვს თუ არა ნება უქმე დღეს მგზავრობისა.

— რა თქმა უნდა შეუძლია, — ერთხმად თქვა ყველამ.

— შენთან წამოსვლას ვერაფერი დამაშლევინებს! — მიუგო მენდელმა.

— მძიმე ცოდვები ჩავიდინე და ღმერთმა თვალი ამარიდა. ისრაელიკი ვუწოდე უფალს და ყური დაიხშო. დალოცვილი ისე დიდია, რომ უკეთურობა ჩვენმიერი არარად უჩანს. ნებას დამრთავს შენთან წამოსვლის.

ყველამ მიაცილა მენდელი ავტომანქანამდე. აქა-იქ ფანჯრებში მეზობლები იდგნენ და იცქირებოდნენ. მენდელმა აიღო თავისი გასაღები, ერთხელ კიდევ გახსნა ჟალუზი, უკანა სენაკში გავიდა და ლურსმნიდან ჩამოხსნა წითელი ხაევრდის ტომსიკა, სულის შებერვით მოაშორა მტვერი, ჟალუზი დაუშვა, კარი ჩაკეტა და მანქანაში ჩაჯდა. ძრავა აგუგუნდა. ფარები აინთო. ფანჯრებიდანაც ისმოდა ხმები, გზას ულოცავდნენ. ემშვიდობებოდნენ. მენდელ ზინგერმა სახელოში ჩაავლო ხელი მენკესს და უთხრა:

— ხვალ ლოცვის დროს გამოაცხადეთ, რომ სამას დოლარს ვწირავ ღარიბებს. მშვიდობით დარჩით!

თქვა და თავის ვაჟიშვილთან ერთად გაემგზავრა ბროდვეიზე, სასტუმრო „ასტორიაში“.

16

წელმოდრეკილი, საცოდავი, მწვანედ გაპრიალებულ ხიფთანში გამწყობილი მენდელ ზინგერი შევიდა სასტუმროს ჰოლში ამოღლიავებული ხავერდის წითელი ტომსიკით. ელექტრონის სინათლით გაჩახჩახებულ ჰოლში ქერათმიანი პორტიე შენიშნა, თეთრი ბიუსტი უცნობი ღმერთისა და კიბის თავთან ალმაღრთული შავი ზანგი, რომელმაც ტომსიკის გამორთმევა დაუპირა. ლიფტში შესულმა სარკეში საკუთარი თავი დაინახა ვაჟიშვილის გვერდით. თავბრუ დაეხვა და თვალი დახუჭა. აი, უკვე აღესრულა და ჰაერში მიფრინავს უსასრულოდ. შვილმა ჩასჭიდა ხელი. ლიფტი გაჩერდა და უსასრულო კორიდორში დაგებულ ხალიჩაზე უხმაუროდ მიაბიჯებს მენდელი. როცა ოთახში შევიდა, მაშინღა გააღო თვალი. პირდაპირ ფანჯარას მიაშურა ჩვეულებისამებრ. პირველად იხილა ახლოს მოწითალო ამერიკული ღამე, შუქრეკლამის გიზგიზი და ნაპერწკლის ფრქვევა, წითელი, ლურჯი, მწვანე, ვერცხლისფერი და ოქროსფერი ასოები, ხატები და ნიშნები, გაიგონა ამერიკის ომახიანი მოძახილი, სირენების, საყვირის და ზარების ჩქამი, გუგუნი, ყიჟინი, ჭახანი, სტვენა და კივილი. მენდელი ფანჯარას მიეყრდნო. ყოველ ხუთ წუთში აინთებოდა გოგონას ფართო, მოდიმარი პირისახე, დასვავებულ ნაპერწკალთა და ნაწილაკთაგან შეთხზული, გაიღიმებდა და ვერცხლისფერი ტუჩებიდან გამოკრთებოდა კრიალა კბილები. ქალიშვილის სახესთან გალიცლიცებული ლალისფერი სასმისი ლივლივებდა, პირქვემოიქცეოდა, დაფჩენილ პირში ჩაასხამდა სასმელს, მოშორდებოდა, რათა ხელახლა აღვსილი წამსვე დახრილიყო, ლალისფრად მოლივლივე და გალიცლიცებული. ეს იყო ახალი ლიმონათის რეკლამა. მენდელი აღტაცებით უცქერდა რეკლამას და ღამეული სიამისა და სანაქებო ჯანმრთელობის სრულყოფილ ხატად მიიჩნია იგი. გაიღიმა, ორიოდეჯერ მიადევნა თვალი რეკლამის ანთებაჩაქრობას და ოთახისაკენ იბრუნა პირი. მისი ლოგინი გაშლილი იყო. მენუხიმი სარწეველა სავარძელში ქანაობდა. მენდელმა უთხრა:

— შენ დაწექი, დაიძინე, მე კი გვერდით მოგიჯდები. იქ, სუხნოვში კუთხეში გეძინა, ღუმელის სიახლოვეს.

— ერთი დღე მახსენდება გარკვევით, — დაიწყო მენუხიმმა, სათვალე მოიხსნა და მენდელმა დაინახა შვილის შეუიარაღებელი თვალები. ნაღვლიანი, დაღლილი მოეჩვენა ისინი. — დილა იყო, ცარიელ ოთახს მზე ანათებდა. შენ შემოხვედი და ამიტატე. მაგიდაზე დამასკუპე და ჭიქაზე დაიწყე კოვზით წკარუნი. შესანიშნავი წკრიალი იყო, დღესაც სიამოვნებით დავამუშავებდი იმ მელოდიას და დავუკრავდი. შემდეგ რაღაც მიმღერე და ზარების რეკვაც მოისმა, ძალიან ძველი ზარებისა, თითქოს უზარმაზარი მძიმე კოვზები ეზრახოდნენ უშველებელ შუშებს.

— განაგრძე, განაგრძე, — აგულიანებდა მამა. თავად მენდელს თვალწინ დაუდგა ის დღე, როცა დებორა კაპტურაკთან წავიდა სამგზავრო თადარიგის დასაჭერად.

— პატარაობის დროინდელი მეტი აღარაფერი მახსოვს, — დასძინა ვაჟმა. — მერე ის ხანა აღმებეჭდა, როდესაც ბილეს სიძე ვიოლინოზე უკრავდა ხოლმე. ყოველდღე უკრავდა, მე მგონი. დაკვრა რომ შეწყდებოდა, მაინც მთელი დღე და ღამე ჩამესმოდა ის ჰანგები.

— განაგრძე, განაგრძე, — შესძახა მენდელმა იმ კილოზე, ოდესღაც თავის მოწაფეებს რომ ახალისებდა.

— შემდეგ რა იყო აღარ მახსოვს! ჰოდა, ერთ მშვენიერ დღესაც დიდი ხანძარი დავინახე, ლურჯ-წითლად განსხვავებული. ძირს განვერთხე და კარისაკენ გავხოხდი. უცბათ ვიღაცამ დამავლო ხელი, გარეთ მისროლა და მეც მოვკურცხლე. შუკის მეორე მხარეს თავმოყრილ ხალხს რომ ჩავუქროლე გულის სიღრმიდან აღმომხდა სიტყვა „ცეცხლი".

— შემდეგ, განაგრძე! — ამხნევებს მენდელი.

— მეტი აღარა ვიცი რა, მოგვიანებით შევიტყვე, რომ დიდხანს ვიავადმყოფე, უგონოდ ვყოფილვარ. პეტერბურგში ყოფნის პირველი შთაბეჭდილება: თეთრი დარბაზი, თეთრი საწოლები, საწოლებში ბავშვები წვანან, ფისჰარმონია თუ ორღანი უკრავს და მე ხმამაღლა ვმღერი. შემდეგ დირექტორმა ავტომანქანით თავის სახლში წამიყვანა. ჩვენს დანახვაზე წამოდგა ღიაცისფერკაბიანი, ქერა, ტანსრული ქალი, ფორტეპიანოს დაკვრით გართული. მე კლავიატურას მივეახლე, ხელით შევეხე და ავახმიანე. მოულოდნელად ორღანის ყველა ჰანგი ავაწყე, და ყველა დანარჩენიც, რისი სიმღერაც შემეძლო.

— შემდეგ, განაგრძე, — აჩქარებს მენდელი.

— ის ორიოდ დღე გადამწყვეტი აღმოჩნდა ჩემი ცხოვრებისათვის. დედა მახსოვს, მისი თბილი, ფაფუკი სიახლოვე. მე მგონი, დაბალი ხმა ჰქონდა და დიდი, მრგვალი სახე, ქვეყნისოდენა.

— განაგრძე, განაგრძე, — კვლავ თქვა მენდელმა.

— მირიამი, იონა, შემარიაჰი არ მახსოვან. მათი ამბავი მხოლოდ შემდეგ შევიტყე ბილეს ქალიშვილისაგან.

მენდელმა ამოიხვნეშა. მირიამი წარმოუდგა თვალწინ, სილურჯედაკრულ შავ თმაზე მოხვეული ოქროსფერი თავსაფრით, ქურციკივით ფეხმარდი, ცქვიტი გოგო, მამისთვალა.

— ცუდი მამა გყავდით, — თქვა მენდელმა, — ცუდად მოგექეცით შენ და მირიამს. აწ აღარ ეშველება საცოდავს, მედიცინა ვეღარაფერს გააწყობს.

— წავიდეთ, მირიამი მოვინახულოთ, — თქვა მენუხიმმა, — განა მე არ განვიკურნე?

— მართალია მენუხიმი. მარად უკმაყოფილო არსებაა ადამიანი, გაიფიქრა მენდელმა. ახლახან იხილა სასწაული და კიდევ ახალი მოინება. დაითმინე, მენდელ ზინგერ, დაიცადე! აბა ნახე, რა გამოვიდა ხეიბარი მენუხიმისგან. ჭკვიანური გამოხედვა აქვს, თხელი ტუჩები, სანდომიანი სახე.

— დაწექი, დაიძინე, მამი! — უთხრა ვაჟიშვილმა და ძველი ჩექმები გახადა მენდელს. დაგლეჯილ ლანჩებს დააკვირდა, დაკბილულ რანტებს, ყვითელ, დაკბეჩილ ზედაპირს, გახეხილ ყელს, შემდეგ დაცრეცილ წინდებსა და დაფლეთილ შარვალს. ტანთ გახადა ბერიკაცს და ლოგინში ჩააწვინა. მცირე ხნით ოთახიდან გავიდა, თავისი ჩემოდნიდან წიგნი ამოიღო, მამასთან მიბრუნდა, საწოლის გვერდით სარწეველა სავარძელში ჩაჯდა, პატარა ნათურა აანთო და კითხვა დაიწყო. მენდელმა თავი მოიმძინარა. ჩუმად, ოდნავ გახელილ ქუთუთოებიდან გამოაპარა მზერა, ვაჟიშვილმა წიგნი გადადო და უთხრა:

— შენ მირიამის დარდი გაწუხებს, მამი! წავიდეთ მასთან. ექიმს გამოვიხმობ. მირიამს განკურნავენ, ახალგაზრდაა ჯერ! ახლა კი დაიძინე.

მენდელმა ისევ დახუჭა თვალები, მაგრამ ვერ დაიძინა. ფიქრობდა მირიამზე, დიდი ქალაქის უჩვეულო ხმაურს უსმენდა, დახუჭული ქუთუთოებიდან ლანდავდა ნათელი ცის ღამეულ ციალს. არ დაიძინა, მაგრამ დაისვენა, თავს კარგად გრძნობდა. ძილფხიზლობით შეეგება დილას.

ვაჟიშვილმა აბაზანა გაუმზადა, ჩააცვა და ავტომანქანაში ჩასვა. დიდხანს მიდიოდნენ ხმაურიანი ქუჩებით, ქალაქს გასცდნენ, გავიდნენ გრძელ, ფართო გზაზე, რომელსაც კიდეებზე ჩარიგებული კოკობკოკრიანი ხეები ამშვენებდა ხალისიანად გუგუნებდა ძრავა. მენდელი ხმას არ იღებდა. ქარი უწეწავდა ბერიკაცს თმა-წვერს.

— გინდა გითხრა, საით მივდივართ, მამი? — ჰკითხა ვაჟმა.

— არაფრის გაგება არ მინდა! საცა წახვალ, ყველგან კარგია ჩემთვის, — მიუგო მენდელმა.

იარეს და ისეთ მიდამოს მიადგნენ, საცა ზღვისპირს ყვითელი, ფაფუკი სილა ეფინა, ზღვა ლურჯად ლივლივებდა და სახლები თეთრად ქათქათებდა. ცოტაც და, მენდელი ამგვარი სახლის ტერასაზე იჯდა პატარა, თეთრ მაგიდასთან და ოქროსფერ ჩაის შეექცეოდა. მის მოკაკულ ზურგს წლეულს პირველად ანათებდა თბილი მზის სხივი. შაშვების ერთი გუნდი მათ სიახლოვეს დაგოგავდა, ხოლო მეორე გარეთ უსტვენდა. წყნარად, რიტმულად დგაფუნობდნენ ზღვის ტალღები ნაპირზე. ლაჟვარდ ზეცას ორიოდე თეთრი ღრუბელი ეკერა. ამ ცის ქვეშ იწამა მენდელმა, რომ იონა როცა იქნება გამოჩნდება. მირიამიც განიკურნება, „და არა იპოვნეს ასულთაებრ იობისა უმჯობესნი ცასა ქუეშ“, — გაახსენდა მენდელს ადგილი საღმრთო წერილიდან. ხოლო თვითონ, მენდელ ზინგერი „ცხონდება შემდგომად წყლულებისა ასსამოცდაათ წელ და იხილავს ძეთა თვისთა, ვიდრე მეოთხე ნათესავამდინ და აღესრულება მოხუცებული და სავსე დღითა“, როგორც გვამცნობს წიგნი იობისა. მენდელს უცნაური, აკრძალული სურვილი აეკვიატა, დაძველებული რიფსის ქუდის მოხდა მოესურვა და ბებერი თხემის მზისგულ მიფიცხება. და თავის სიცოცხლეში საკუთარი ნებით პირველად მოიხადა ქუდი ისე, როგორც სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულებისას ანდა აბანოში. ორიოდ ღერი ხვეული თმა მოტვლეპილ თავზე იშვიათი, სუსტი მორჩილით ირხეოდა გაზაფხულის ქარში.

ამრიგად მიესალმა მენდელი ამ ქვეყანას. თოლია შემოიჭრა ტერასის ტილოს სახურავქვეშ ზეცით ნასროლი შურდულივით. მენდელმა ირაოდ უკუქცეულ ფრთოსანს გააყოლა თვალი და ლურჯ ჰაერში მისგან დამჩნეულ ბუნდოვან, თეთრ კვალს.

შვილმა თქვა:

— იმ კვირას სან-ფრანცისკოს მივემგზავრები. უკან დაბრუნებისას ათი დღე დავყოფ ჩიკაგოში. მე მგონი, ოთხი კვირის შემდეგ შევძლებთ ევროპაში გამგზავრებას, მამი!

— მირიამი!

— მირიამს დღესვე მოვინახულებ და ექიმებს მოველაპარაკები. ყველაფერი კარგად წარიმართება, მამი. იქნებ მირიამი თან წავიყვანოთ ევროპაში, ვინ იცის, ეგებ იქ მოარჩინონ!

შემდეგ სასტუმროში დაბრუნდნენ. მენდელი თავისი ვაჟიშვილის ოთახში შევიდა. დაღლა იგრძნო.

— წამოწექ ტახტზე, ცოტა დაისვენე, ორ საათში მე მოვბრუნდები!

მენდელი დაემორჩილა, დაწვა, მიხვდა, სად მიდიოდა შვილი. თავის დასთან მიდიოდა. დიდებული კაცია, მადლიანი, უშველის მირიამს, განკურნავს.

ტუალეტის პატარა მაგიდაზე ჟანგისფერ ჩარჩოში ჩასმულ მოზრდილ ფოტოსურათს მოჰკრა თვალი.

— სურათი მომაწოდე, — სთხოვა შვილს.

დიდხანს აკვირდებოდა ფოტოზე გამოსახულ ახალგაზრდა, ქერა ქალს, ამინდის შესაფერ, ღია კაბაში გამოწყობილს. ბაღში ქარი დანავარდობს და გაზონისპირ ჩარიგებულ ბუჩქებს არწევს. იქვე ორი ბავშვი დგას, ქალ-ვაჟი, პატარა ვირშებმული ურიკის გვერდით (ამისთანა ურიკები ზოგიერთ პარკში ბავშვების გასართობად დარბიან ხოლმე.).

ღმერთო, დალოცე ჩემი ჯილაგი! ამბობს მენდელი, შვილიშვილებს. მამა დარჩა ტახტზე წამოწოლილი. ფოტოსურათი ფრთხილად დადო იქვე გვერდზე. დაღლილი მზერა ოთახს მოავლო და ფანჯარას შეაჩერდა. დაბალ ტახტზე მწოლარე მენდელი ხედავდა უღრუბლო ცის დაკბილულ ნაჭერს. ისევ აიღო სურათი. ეს რძალია მენდელის, მენუხიმის მეუღლე და შვილიშვილები, მენუხიმის შვილები. ღმერთო, გოგონა როგორა ჰგავს დებორას პატარაობის სურათს. ახლა მკვდარია დებორა. გაუცხოებული და იმქვეყნიურ თვალით უმზერს ალბათ სასწაულს. გმადლობ, დებორა, სითბოსათვის, ოდესღაც რომ განმაცდევინე, ახალგაზრდა ქალთან სიახლოვის სიამისათვის; მახსოვს ვარდისფერი ღაწვები შენი, მინაბული თვალები და ცრიალი შუქი, სიყვარულის უკუნ ღამეებში გამომჯრთალი. ვაგლახ, შენ წახველ ჩვენგან, დებორა!

მენდელი წამოდგა, სავარძელი ტახტთან მიაჩოჩა, ზედ სურათი დადო და ისევ წამოწვა. ვიდრე რული მოეკიდებოდა, თვალი შეავლო ცის ლურჯ მშვენებას და ახალგაცნობილ შვილიშვილთა სახეებს. სურათის ყავისფერი სილრმიდან მირიამი და იონა წამოიმართნენ და ბავშვებს გვერდით ამოუდგნენ. ჩაეძინა მენდელს. ჩაეძინა და განერიდა ბედნიერების სიმძიმილს და განცდას სასწაულის სიდიადისა.

□

● უცხოური იუმორი ●

გამომგონებლები

ცნობილ ამერიკელ გამომგონებელ თომას ალვა ედისონთან ბევრი სტუმარი დადიოდა და უკვირდათ, რომ ბაღის ჭიშკარი ძალიან მძიმედ იღებოდა.

ბოლოს ერთმა შეგობარმა უთხრა დიდ გამომგონებელს:

— ტექნიკის დარგში შენისთანა გენიოსს უკეთესი ჭიშკარი უნდა გაეკეთებინა, უფრო ადვილად რომ მოძრაობდეს.

— შესანიშნავად არის გაკეთებული, — მიუგო ღიმილით ედისონმა. — ჭიშკარს საკაჩავი აქვს მიბმული და ყოველი მომსვლელი იქ ავტომატურად ოც ლიტრ წყალს ქაჩავს.

ძალინაურების გაცვლა

დიდი ფიზიკოს-თეორეტიკოსს ალბერტ აინშტაინს ძალიან უყვარდა გამოჩენილი აქტიორისა და რეჟისორის ჩარლ ჩაპლინის ფილმები.

ერთხელ, მისი მორიგი ფილმის ნახვის შემდეგ აინშტაინმა ჩაპლინს მისწერა:

— თქვენი ფილმი „ოქროს ციებ-ცხელება" ყველასათვის გასაგებია მსოფლიოში. აუცილებლად დიდი ადამიანი გახდებით.

ჩარლი ჩაპლინმა დაუყოვნებლივ უპასუხა:

— მე უფრო მეტად ვარ თქვენით აღტაცებული. თქვენი ფარდობითობის თეორია მსოფლიოში არავის არ ესმის, მაგრამ მაინც გამოჩენილი ადამიანი გახდით.

---

* გაგრძელება იხ. გვ. 122.

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

ლექსი

გერმანულიდან

თარგმნა გივი ძნელაძემ

მგზავრის მწუხრული სიმღერა

გარინდულან მთები,
მდელოც ალარ ფშვენს...
წყაროები თვლემენ,
არც ფრინველი სტვენს...
ნიავიც არ ტოკავს,
მკვდრულად სძინავს ტყეს...
მოითმინე ცოტა. —
მოისვენებ შენც!..

□

ჰაინრიხ ჰაინე

ლექსები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გერმანულიდან

თარგმნა იორამ ძემეარტელიძემ

* * *

ერთ სიტყვაში რომ ჩავტიო
ტკივილები ჩემი ყველა —
ქარს მივცემდი იმ ერთ სიტყვას,
წაიღებდა ქარიც ხელად!

ამ ზღვა დარდებს და სატკივარს
მოგიტანდა სიტყვა ერთი,
როცა გინდა, სადაც გინდა, —
სუყველაფერს მოისმენდი.

იბორგებდი ღამით დიდხანს,
და ჩათვლემდი ვაი-ვიშით...
და ის ჩემი ერთი სიტყვა
ჩაგყვებოდა, კარგო, ძილშიც.

* * *

მსურს ჩავმალო სული სულ მთლად
შროშნის ყელში მშვენიერში,
რათა შროშნის ამოსუნთქვად
ვთქვა სიმღერა შენი ეშხის.

დაე, თრთოდეს ეს ხმა ისე,
ვით იმ კოცნის სისათუთე —
ერთადერთხელ რომ მაღირსე...
ო, ნეტა იმ ნეტარ წუთებს!..

* * *

რა მჭირს, განა ვერა ხვდები?
აი თურმე, რა ყოფილა;
გინდა, ყელი გაგიწიო
და გეხვეწო დაჩოქილმა!

არ დასცდება ეს ჩემს ბაგეს! —
კოცნა უჯობს ტკბილი, ცხარე...
მაგრამ გესლსაც გამოურევს,
თუკი სული გაუმწარე.

* * *

სხვის საყვარელს და სხვის სატრფოს
როცა ვზვერავ მუშტრის თვალით,
როცა გავდი-გამოვდივარ
სხვის კარის წინ, როგორც მთვრალი,—

სხვაც ასევე, ალბათ, სხვაგან
სულ სხვის სატრფოს ზვერავს დარდით,
იქნებ ჩემი სარკმლის წინაც
ვილაც ელის შრიალს ფარდის...

კაცნი ვართ და, ხდება ასეც,
ცაში წყდება ბედი ჩვენი!
ღმერთო, ღმერთო, გადმოგვხედე,
მოგვიმართე ყველას ხელი!

* * *

მშვენიერო, გაგიტაცებ
უჩინარი ფრთეებით — ჰანგით!
საით იცი? განგისაკენ! —
იქ ადგილი ვიცი კარგი:

დგას ბალნარი მომხიბველელი
მთვარიანში ოქროს ხატად,
და ლოტოსი ოხვრით ელის
ჭრელ ბეპელას ფრთაფარფატას.

იებს — ვარსკვლავთ მაცდუნებელთ—
თვალი ნაზად მიუნაბავთ,

და ვარდები ჩურჩულებენ
სურნელოვან ათას ზღაპარს;

დახტუნავენ ჭურჭიკები,
ხან საყვარლად ცქვეტენ ყურებს;
და ილვრება ყურში ხმები —
ეს მდინარე მიდუდუნებს...

ჩვენ კი, კარგო, რაღა გვრჩება! —
პალმების ქვეშ მოვისვენოთ,
რომ შევიტკბოთ ტკბობაც, შვებაც
და ნეტარი სიზმრის გემოც...

* * *

გაქვს უამრავი თვალმარგალიტი,
ყველა სიუხვე —
სიკეთე ბედის
და გაქვს თვალები ულამაზესი!
ძვირფასო, კიდევ რაღა გსურს მეტი?

უმშვენიერეს ემაგ თვალებზე
ჩემს უნებლიედ მე არა ერთი
უკვდავი ჰანგი მითქვამს ლექსებად,—
ჩემო ძვირფასო, რაღა გსურს მეტი!

უმშვენიერეს ემაგ თვალებით
იმდენი მტანჯე — გამიწყრა ღმერთიც
და უკვე სულიც ეყრება სხეულს...
ჩემო ძვირფასო, რაღა გსურს მეტი!..

* * *

შენმა გულმა, ჩემმა გულმა
ალიანსი შეკრა წმინდა, —
ჩაეკრა და ჩაეხვია,
ჩაეფსკვნა და ჩაეწმინდა.

მაგრამ ვარდი, ქორფა ვარდი,
შენ რომ მკერდზე ღაიბნიე, —
ხვევნასა და ფერებაში
გაიჭყლიტა უნებლიედ.

* * *

შემოჭდობილებს ვნებით ყელზე —
გავშორდი მკლავებს
უკანასკნელად დავუსინჯე გემო
ბაგეებს;

სიამოვნებით დავრჩებოდი ერთ
დღესაც ბარემ,
მაგრამ საცაა საქმრო ტაიჭს
შემოაგელვებს.

ასეა, ჩემო პაწაწინავ, ცხოვრებაში
რა ვქნათ!
ცრემლი მარადი, განშორება, ტანჯვა-
წვალება...
ნუთუ მაგ გულმაც ვერ შემბოჭა
მართლა და მართლა?
ნუთუ ვერარა ვერ გააწყო შენმა
თვალებმა?

* * *

რომ ჩამიარე სწრაფი ნაბიჯით,
უცებ მომხედე, ძვირფასო, ჰოდა —
მეხივით მტყორცნე ზვიადი მზერა,
ჯიქურ გაბსენი ბაგენიც ოდნავ.

ო, ამისათვის როდი ვეძებდი
თეთრ კაბას, სულ რომ ქრებოდა
თვალწინ,
და ნაფეხურებს ციცქნა ფეფების....
ო, მათ ვერასდროს ვიხილავ აწი!..

მოშინაურდი უკვე სხვებივით,
თვინიერს თავი ჩემს მკლავზე გიდევს;
ხარ მეტისმეტად ნაზი და კარგი,
და, მგონი, უკვე გიყვარვარ კიდეც...

* * *

ერთხელაც ცოლი თუ გახდი ჩემი,
რამდენი გულზე, გასკდება შურით.
შენ კი იქნები მოსილი კდემით,
და აგევსება სიამით გული.

მლანძღე და მთათხე, რაც გსურს,
მიწოდე!—
ავიტან, ამის ნუ გეფიქრება!
მაგრამ თუ ლექსებს არ მომიწონებ,
კვლავ გაგეყრები და ის იქნება!..

* * *

სადაც წახვალ, ჩემო მთვარევ,
ყველგან დაგდევ, როგორც ლანდი,

და რაც უფრო გამაწამე,
კიდევ უფრო შემიყვარდი.

მოწყალებას საგანგებოს
მირჩევნია სიტყვა მწარე...
თუ გსურს, თავი დაგანებო,
სხვა გზა არ გაქვს — შემიყვარე!

* * *

სიჭაბუკეში, ჩემო ფერიავ,
მეც ბევრი რამე გადამხდენია,
მიპოვია და დამიკარგია...
თუმცა გაძვირდა შეშაც ძალიან,
გიზგიზა ცეცხლიც მთლად
მიმქრალია,—
Ma foi* — ზოგჯერ ესეც კარგია!..

შენაც იცოდე, ჩემო პატარავ, —
ცრემლსაც და დარდსაც უნდა ატანა,
ჯერ სად ხარ, წინ გაქვს ცხოვრება
გრძელი..
ნუ ჩაიმარხავ ძველ დარდებს გულში,
ქარს გაატანე, რაც იყო გუშინ, —
Ma foi! — მოდი, მოგხვიო ხელი!..

* * *

რამ შეგცვალა ამნაირად,
ყველაფერი დაგავიწყდა?
არა, შენი საქციელი
უნდა მოვდო ცას და მიწას!

უმადურო ბაგეებო,
თქვენ მაინც რად გამაწბილეთ! —
რაც მე თქვენთვის მიკოცნია,
ჩემ თავს მაგას ალაბძღვინებთ?

* * *

ის თვალები ისევ-ისევ,
ის თვალები თბილზე თბილი;
ის ბაგენი ისევ-ისევ,
ის ბაგენი ტკბილზე ტკბილი;

ის ჩურჩული ისევ-ისევ,
ის თითები თლილზე თლილი..,

* ვფიცავ. პატიოსნებას გეფიცები.

მე ალარ ვარ ისევ-ისევ,
ისევ-ისევ ის ყმაწვილი...

მე ვარ თურმე სხვა და უცხო,
მე დავბრუნდი გამოცვლილი...
ეწევარ ახლა მის თეთრ მკლავზე
მძორი — ვნებაგამოცლილი.

* * *

ისე სათნო გაქვს სახე და მზერა,
მარტო სიზმრად რომ მინახავს
ძველად;—
ანგელოსივით ამო და ტკბილი,
მაგრამ ნატანჯი და ფერმიხდილი.

მხოლოდ ბაგენი შემოგრჩა ლალის,
და მასზეც სიკვდილს უჭირავს თვალი;
ციური შუქიც ჩაქრება მალე,
რომ ასხივოსნებს მაგ სათნო თვალებს.

* * *

ვარსკვლავები ოქროს ფეფებს
აბიჯებენ ფრთხილად, ფრთხილად, —
რათა ძილი არ დაუფრთხონ
დედამიწას — ტკბილად მძინარს...

გალურსულა ტყეც და ოდნავ
არხევს ფოთლებს —
მწვანე ყურებს,
მთას ძირს ჩრდილი დაუგია,
წევს და თვალებს აფახულებს.

ჩუ! რა ხმაა! —
მთელი გულით
ხმა რომ მინდა ავაყოლო?
ნეტა ჩემი სატრფო არი
თუ ბულბულის ხმაა მხოლოდ?

* * *

შენმა წერილმა ხმატკბილმა,
უარმა ათგვერდიანმა —
გგონია, გული მატკინა?
კი არა, კარგო, მიამა!

„არ მიყვარხარო!..“ — თამაშობ! —
ვარ არხეინად სრულიად, —

ასე არ სწერენ, ლამაზო,
თუ განშორება სწყურიათ.

* * *

ვინ გამოიგონა, იცი, საათი?
წუთებად ვინ დაჰყო დრო ძალის-
ძალით?
ვინდა, გალიგვულმა საწყალმა
კაცმა! —
იჯდა გამოყინულ ოთახში საწყლად,
არ გაკარებია მთელ ღამეს ძილი, —
ითვლიდა თაგვის კნატუნს და
ფხაჭუნს მაილის...
ვინ გამოიგონა, იცი, კოცნა?
ვინ და, ბაგეებმა — არც ისე
მორცხვმა!—
კოცნიდა უგონოდ მკერდსა და ყელს,
იდგა დიდებული მაისის თვე,
მიწას დასდებოდა ფერი ლილილოთა,
გალობდნენ ჩიტები და მზე იღიმოდა.

* * *

როს შორს-შორს იყო ჩვენი გულები,
გადავეჩვიე ტირილს სრულებით, —
ვინ არ ხუმრობდა — მთები
ქვეყანა! —
რაც კი დაშორდა ჩვენი გულები,
გადავეჩვიე ტირილს სრულებით;
შემჭამა დარდმა და მწუხარებამ,
თვალს კი კურცხალიც არ ეკარება.

* * *

ზღვიდან იწევა რუნების ლოდი,
ვზივარ ამ ლოდზე დარდებით
მკვდარი.
ტალღა ტალღაზე მოდის და მოდის,
ყივის თოლია და უსტვენს ქარი.
ზოგი — კუდრაჭაც მიყვარდა ქალი,
ზოგიც — სიყრმიდან მეგობრად
ამყვა...

გამჭრალა ყველა! უბერავს ქარი,
მოდის და მოდის ტალღაზე ტალღა.

* * *

ეს სიკვდილი ღამე არი ცივ[illegible]
სიცოცხლე კი — დღე დარდ[illegible]
ჰმუნვის;
ჩამოღამდა, მომერია ძილი,
დავიღალე წუთისოფლის ბრუნვით.

ხის შრიალი ავსებს საწოლ ოთახს,
ხეზე ციცქნა იადონი კვნესის, —
უსაშველო სიყვარულზე მოთქვამს,
და მისი ხმა სიზმარივით მესმის.

* * *

„თქვი, რა იქნა საყვარელი გულის,
ოდესღაც რომ უმღეროდი ვნებით,
რომ გეწვოდა უსაშველოდ სული
ტრფობის ალის გზნებარების
გზნებით?“

ჩანავლულა ის გიზგიზა ალი,
გულიც ჩაქრა,
ალარავის ეტრფის.
და ეს წიგნიც ურნა გახლავთ
რვალის,—
სავსე ჩემი სიყვარულის ფერფლით.

* * *

თუ გიორგულა ვინმემ მზაკვრულად,
შენ ერთგულებით უზღე;
სული სიკვდილით თუ გათანგულა,
ქნარი მიიდე გულზე....

აღერე სიმი სულის წამლებად —
წვითა და გზნებით სრულით;
გაგივლის ბზარი,
დაგიამდება
და დაგიცხრება გული.

* * *

ბედნიერება გოგონაა ანცი და ცეტი, —
დღეს შენთან არი, გაახარებს ხვალ აგერ მავანს,

ხელს გადაგისვამს თმაზე ნაზად და გულის ფეთქვით,
ცხარედ გაკოცებს ფაციფუცით ერთ-ორს და წავა...
უბედურება ქალბატონი კუშტი და ქუში —
სულ სხვა ვინმეა, არასოდეს არ ჩქარობს წასვლას;
ჩაგეკონება სამუდამოდ, ჩაგიკრავს გულში,
ჩამოგიჯდება სასთუმალთან, არ გტოვებს წამსაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს დედას ბ. ჰაინეს
დაბადებით ფონ გელდერნს

I.

ჩვევა მაქვს, თავი მედიდურად მეჭიროს ზევით,
და სიტყვაც ჩემი ურყევია და ცოტა მკვახეც...
თვით ხელმწიფეც რომ ჩამაცივდეს ზვიადი მზერით, —
თვალს გავუსწორებ და წამითაც არ დავხრი სახეს.

მაგრამ, ძვირფასო ჩემო დედავ, ვერა და ვერა,
ვერ გავუსწორე წამითაც კი ვერასდროს თვალი,
ალალად ვამბობ, ემაგ სათნო და კეთილ მზერას, —
ვდგავარ ყოველთვის შენს წინ უხმოდ, რიდით და კრძალვით.

ასე რომ მიპყრობს, ალბათ შენი სულია იგი,
სული დიადი და გამრიგე წესის და რიგის,
ზეციურ შუქში რომ კამკამებს, ვით თეთრი გედი!

ვნანობ და ვწუხვარ — წუთისოფლის უკულმა ბრუნვით
თუკი ოდესმე უნებლიედ გატკინე გული,
გული, რომელსაც ასე ძლიერ ვუყვარვარ, დედი!..

II

დაგტოვე ერთხელ — აყოლილმა სულელურ ფიქრებს, —
ქვეყნიერების მოვლა მსურდა კიდითკიდემდე,
რომ ჩავხვეოდი ტკბილ სიყვარულს, როგორც სიკეთეს,
რომ სიყვარული, სანუკვარი, მეპოვა იქნებ...

ეზო-ეზო თუ ქუჩა-ქუჩა, თუ შუკა-შუკა —
სად არ ვეძებე, რა არ ნახეს ჩემმა თვალებმა! —
ერთ პეშვ სიყვარულს ვთხოულობდი, ვით მოწყალებას,
და ცივ სიძულვილს მიბრუნებდნენ დაცინვით უკან.

მაინც ვეძებდი, სულ ვეძებდი, მაინც ვეძებდი
გულის ფანცქალით და კანკალით, თვალის ცეცებით
და, ჰა, — ვბრუნდები ახლა უკან ხელმოცარული... —

შენ მეგებები!... მკოცნი... ჩუმად ცრემლს ყლაპავ შენთვის...
ო, ღმერთო ჩემო! — შენს თვალებში ვიხილე, დედი,
რასაც ვეძებდი ქვეყანაზე, ის სიყვარული!..

□

აქუტაგავა რიუნოსკე

ოგატა რიოსაის ჩვენეგანი

მითხრობა

თარგმნა ქარლო არსენიშვილმა

ქმარი

ვემორჩილები უმაღლეს მითითებას და პატივისცემით ვაუწყებ ხელისუფლებას, რაც ვნახე და გავიგონე პირადად იმის შესახებ, თუ უცანასკნელ ხანს ქრისტიანობის მიმდევრები როგორ სჩადიან ბოროტებას და ტვინს უმღვრევენ ჩვენი სოფლის ადამიანებს.

აღრიგად გაუწყებთ, რომ ამა წლის მესამე თვის მეშვიდე დღეს ჩემთან სახლში გამოცხადდა ქალი, სახელად სინო, აქაური გლეხის, იოსაკუს ქვრივი და ტირილით მთხოვა, ცხრა წლის გოგონა სატო მძიმედ ავად მყავს და გამისინჯეთო.

ზემოთ ნახსენები სინო, გლეხ სობეის მესამე ქალიშვილი, ათი წლის წინ ცოლად გაჰყვა გლეხ იოსაკუს. ამ ქორწინებიდან შეეძინა ქალიშვილი სატო. მაგრამ მალე მისი ქმარი ავად გახდა და გარდაიცვალა, რის შემდეგ სინო მეორედ არ გათხოვილა, მცირეოდენ საზრდოს ფეიქრობითა და დღიური სამუშაოთი შოულობდა. ქმრის სიკვდილისთანავე რაღაც ჯადოთი მთლიანად შეიპყრო ქრისტიანულმა ერესმა და ხშირად ნახულობდა მეზობელ სოფელში მცხოვრებ ქრისტიანთა პატერენს. სახელად როდრიგეს, რის გამოც ბევრი თანასოფლელი ამტკიცებს, სინო ჩუმად ჰყვარობს ამ პატერენსო. სინოს ნათესავები, უწინარეს ყოვლისა მამამისი სობეი, აგრეთვე ძმები და დები, ყოველნაირად არწმუნებდნენ და არიგებდნენ ქალს, გონს მოსულიყო, მაგრამ ის სულაც არ უსმენდა რჩევებს, დღედაღამ ლოცულობდა ქალიშვილ სატოსთან ერთად კურუსუს წინ, რომელიც პატარა ძელს წარმოადგენს კადონით ჯვარცმისათვის, განსვენებული ქმრის საფლავს კი არც ნახულობდა, რის გამოც ამჟამად არა მარტო უახლოესმა და შორეულმა ნათესავებმა, რომლებიც კანონს პატივს სცემენ, შეწყვიტეს მასთან ყოველგვარი ურთიერთობა, არამედ სოფლის თავყრილობაზეც არაერთხელ უმსჯელიათ იმის შესახებ, მოკვეთონ თუ არა საბოლოოდ სოფლიდან.

ამის გამო, მიუხედავად მისი დიდი ვედრებისა, მე განვუცხადე, რომ ავადმყოფის ნახვა არ შემიძლია, და ის ატირებული წავიდა, მაგრამ მეორე დღეს მეორე რიცხვში კვლავ გამოცხადდა და გამიმეორა: „საუკუნოდ არ დავივიწყებ თქვენს სიკეთეს, გევედრებით, ნახეთ ავადმყოფი!“ — და როგორც არ ვუარობდი, არ მომისმინა, თავისი თხოვნის დასასრულ ჩემი სახლის წინა ოთახში იატაკზე განერთხო და მისაყვედურა: „ექიმის მოვალეობაა — ადამიანთა განკურნვა... არ მესმის, როგორ შეგიძლიათ ყურად არ იღოთ ჩემი თხოვნა, როცა მძიმე ავადმყოფი ბავშვის ნახვას გევედრებით!“ მე კი ვუპასუხე: „მართალი ბრძანდები, მაგრამ მე თუ უარს ვაცხადებ ავადმყოფის მკურნალობაზე, მაშინ უნდა დამეთანხმო, რომ საამისო საფუძველიც არსებობს. ვიტყვი პირდაპირ — შენი საქციელი დიდი ხანია არაა მოსაწონი, განსაკუთრებით ის, რომ ლანძღავ ღმერთებს და ბუდას, რომელნიც გვწამს მე და მთელ ჩვენს თანასოფლელებს, და

ამტკიცებ, თითქოს ამ წმინდანებს თაყვანს ვცემთ ეშმაკებისა და სატანის ჩაგონებით. ეს მე დასტურ შევიტყვე სანდო ადამიანებისაგან. შენ კი, ასეთი უმწიკვლო და წმინდა, მთხოვ მე ეშმაკის მიერ შეპყრობილს, განვკურნო შენი ქალიშვილი? — ასეთი თხოვნით უნდა მიმართო დეუსუს, ვისაც ასეთი გულმოდგინედ ეთაყვანები. მაგრამ შენ თუ გსურს, რადაც არ უნდა დაგეჯღეს [illegible] შენი აკადმყოფი შვილი, აღიარე აწ და მარადის, რომ შენი [illegible] შეცდომაა. თუ ამაზე არ დათანხმდები, მაშინ, რამდენიც უნდა ამტკიცო, მკურნალობა — ჭეშმარიტი ხელოვნებაა, მე მტკიცედ ვამბობ უარს დაგეხმარო, ვინაიდან მეც მეშინია, ღმერთებმა და ბუდამ არ დამსაჯონ!" ასე ვუთხარი და სინოც იძულებული გახდა წასულიყო, თუმცა არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ჩემი მოსაზრებანი კარგად გაიგო.

მეორე დღეს ცხრაში, განთიადისას, კოკისპირულმა წვიმამ დასცხო და სოფლის ქუჩებიც მთლიანად დაცარიელდა. სწორედ ამ დროს, დაახლოებით დილის ექვს საათზე, სინო, რომელსაც ქოლგაც კი არ წამოელო და მთლად გაწუწულიყო, კვლავ გამომეცხადა სახლში და კვლავ შემეხვეწა. მენახა და გამესინჯა მისი გოგონა. მე ვუპასუხე: „თუმცა სამურაი არა ვარ, მაგრამ ჩემი სიტყვაც მტკიცეა... ამრიგად, აირჩიე, — გოგონას სიცოცხლე თუ დეუსუ, ერთ-ერთი უნდა უარჰყო". ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე სინო თითქოსდა ჰაერზე შეიბალა — ჩემ წინ მუხლებზე დაეცა, მიწამდე თაყვანი მცა, ხელები ისე დაიკრიფა, როგორც ლოცვისას, და სუნთქვაშეკრული მოთქმით შემეხვეწა: „თქვენი სიტყვები ჭეშმარიტად სამართლიანია, მაგრამ ქრისტიანული მოძღვრებით, თუ სარწმუნოებას განვუდეგი, არამარტო სხეული, ჩემი სულიც სამუდამოდ წაწყდება. გეაჯებით შეიცოდეთ, შეიბრალეთ თუნდაც ჩემი გოგონა" და თუმცა ის სჯულს განუდგა, მაგრამ მასაც, როგორც ყველა ქალს, გული ჰქონდა. მიუხედავად იმისა,რომ თანავუგრძნობდი, მაინც მახსოვდა, რომ არ ივარგებს გულისთქმას ავყვე, დავარღვიო ხელისუფლების მიერ დაწესებული კანონები, ამიტომ მტკიცედ ვიდექი ჩემსაზე მიუხედავად მისი აჯა-ვედრებისა: „თუ არ განუდგები ქრისტეს მოძღვრებას, შენი ავადმყოფის ნახვა არ შემიძლია".

მაშინ სინო თითქოს უეცრად მიხვდა, რომ ვედრება ამაოა, ჩუმად შემომაჰერდა და ერთხანს არაფერი უთქვამს, მერე უცებ ცრემლები წასკდა, ფეხებში ჩამივარდა და რალაცას ბუტბუტებდა ქინჭლასავით ოდნავ გასაგონი წუილით. ამ დროს ქუჩაში ხელახლა ახმაურდა წვიმა, ამიტომაც მისი სიტყვები ვერ გავარჩიე და რამდენჯერმე ჩავეკითხე. ბოლოს მან მკაფიოდ გამოაცხადა თავისი გადაწყვეტილება: „დეე ასე იყოს, რაკი სხვა გამოსავალი არაა, მე განვდგები..." როცა ვუთხრი, რომ არა მაქვს რაიმე საბუთი, შეასრულებს თუ არა ის თავის დაპირებას, რომ ეს საბუთი უნდა წარმოადგინოს, მან ჩუმად ამოიღო ზემოდნაჩენები კურუსუ, წინათითახის იატაკზე დადო და სამჯერ დაადგა ფეხი.[1] ამ წუთში მას უკვე საკმაოდ დამშვიდებული იერი ჰქონდა, ცრემლები თითქმის შეაშრა, მხოლოდ ისე უყურებდა თავის ფეხებთან დაგდებულ კურუსუს, როგორც ციებ-ცხელებიანი ავადმყოფი. ასე რომ, როგორც მე, ისე ჩემი მსახური და კიდევ ოჯახის სხვა ყველა წევრი ძალაუნებურად შევბრწუნდით.

ამრიგად, რამდენადაც ჩემი პირობა ასეთი სახით შესრულდა, დაუყოვნებლივ ვუბრძანე მსახურს აეღო წამლების ტაგრუკი და, წვიმის მიუხედავად, სინოსთან ერთად მის სახლში წავედი, სადაც ვიწრო სენაკში, თავით

1. ჯვარზე ფეხის დადგმა ქრისტეს სჯულიდან ოფიციალურად განდგომას ნიშნავდა.

სამხრეთისაკენ, საწოლზე იწვა ავადმყოფი სატო. მართლაც დიდი სიცხე ჰქონდა და, ბურანში წასული, სუსტი ხელით ხაზავდა ჰაერში ჯვარს, თან „ალილუიას“ იძახდა და ყოველ წამოძახებაზე ღიმებოდა. ზემოთ ნახსენები სიტყვა „ალილუია“ ქრისტიანული საგალობელია, რომელიც ამ სარწმუნოების [illegible] ღმერთს ადიდებს, — ტირილით ამიხსნა სინომ, საწოლის თავთან [illegible] ბილიყო. დრო არ დავკარგე და ავადმყოფი გავსინჯე; აღმოჩნ[illegible] ცვარი ეჭვის გარეშე, ის ტიფითაა ავად. ავადმყოფობას ხელი დაერია, იამდე-ბიმე საათის სიცოცხლეღა დარჩენოდა, რაც ძალაუნებურად ვაუწყე სინოს; ქალი თითქოს კვლავ ჭკუიდან შეიშალა. „სარწმუნოება მხოლოდ ბავშვის გადასარჩენად უარვყავი. თუ ჩემი გოგონა მოკვდება, მაშ ყველაფერი ამაო ყოფილა!.. გაიგეთ იმის სულის წუხილი, ვინც განუდგა ყოვლადწმინდა დეუსუს. გევედრებით, უშველეთ რაიმე ჩემს გოგონას!“ — ასე იმეორებდა ვედრებით და მიწაზე თავს ახლიდა არა მარტო ჩემ წინ, არამედ ჩემი მსახურის წინაშეც, ვინაიდან ავადმყოფის გადარჩენა ადამიანურ ძალებს აღემატებოდა. ყოველნაირად ვარიგებდი, ვარწმუნებდი, ახალი ცოდვა არ ჩაედინა. ბოლოს დავუტოვე სამკურნალო ნაყენი, სამჯერ რომ მიეცა, და შინ დაბრუნება გადავწყვიტე, ვინაიდან წვიმამ უკვე გადაიღო.

მაგრამ სინო ჩამებღაუჭა სახელოში და არაფრის დიდებით არ მიშვებდა. ტუჩებს ისე აცმაცუნებდა, თითქოს რაღაცის თქმას ცდილობდა, მაგრამ სიტყვების წარმოთქმისათვის ძალა არ ჰყოფნიდა; უცებ ჩემ თვალწინ სახე შეეცვალა და იქვე გული წაუვიდა. მოულოდნელობისაგან მთლიანად დავიბენი, მსახურთან ერთად დავუწყე მოსულიერება. ბოლოს კვლავ მოვიდა გონზე, მაგრამ ისე იყო დასუსტებული, ფეხზე ვერ ადგა და ტირილით ჩაილაპარაკა: „გამოდის, ხომ საკუთარი სულმოკლეობით სამუდამოდ დავკარგე გოგონაც და ყოვლად მიწყალე დეუსუც!“ ასე წუხილით იცრემლებოდა და, თუმცა ყოველნაირად ვანუგეშებდი, ვგონებ, სულაც არ უსმენდა ჩემს სიტყვებს; ამასთან მისი გოგოს მდგომარეობაც არ იძლეოდა იმედს, ამიტომ სხვა არა დამრჩენოდა რა, გარდა იმისა, კვლავ მომეხმო მსახურისათვის და საჩქაროდ გავყოლოდი შინისაკენ მიმავალ გზას.

იმავე დღეს, სადილობის შემდეგ, სოფლის მამასახლისის, ბატონ ცუკიგოსი იაძაემონის ავადმყოფი დედა ვინახულე და გავიგე, რომ სინოს ქალიშვილი გარდაცვლილა, ხოლო თვით სინო დარდისაგან ჭკუაზე შეიშალა. ბატონ იაძაემონის სიტყვით სატომ ჩემი წასვლიდან დაახლოებით ერთი საათის გასვლის შემდეგ დალია სული, ხოლო დილის თერთმეტის ნახევარზე სინო გაგიჟდა, თავისი მკვდარი ასულის სხეულს ჩაეხვია და ხმამაღლა წარმოსთქვამდა რაღაც ბარბაროსულ ლოცვებს. იმასაც დავუმატებ, რომ აღნიშნული ფაქტი უშუალოდ იხილა არა მარტო თვით ბატონმა იაძაემონმა, არამედ სოფლის პატივცემულმა. მცხოვრებლებმაც — ბატონმა კეიმონმა, ბატონმა ცოგომ, ბატონმა ძიბვიმ და სხვებმა. ასე რომ იოტისოდენადაც არ შეიძლება დაეჭვება, რომ ყველაფერი ეს პეშმარიტად მოხდა.

მეორე დღეს, მესამე თვის მეათე რიცხვში, დილითვე ქუქუნა წვიმა მოვიდა. დრაკონის საათისთვის კი მოულოდნელად ატყდა გაზაფხულის პირველი ჭექა-ქუხილი. ხოლო როცა ოდნავ გამოიდარა, კეთილშობილ ბატონ იანასე კინძიუროს ცხენი გამომიგზავნეს ავადმყოფის სანახავად. ამ მიზეზით ცხენზე შევჯექი და ეზოდან გავედი. სინოს სახლთან გავლისას გლეხების ბრბო დავინახე, რომლებიც ხმამაღლა ილანძღებოდნენ და გაიძახოდნენ: „წყეული პატერენი,

ერეტიკოსები!" მათ ისე შეეკრათ გზა, ჩემს ცხენს ნაბიჯის გადადგმა არ შეეძლო. უნებურიდან ჩამოუსვლელად სინოს სახლის ღია კარებში შევიხედე — იქ ერთი უცხოელი და სამი იაპონელი, ბებერივით შავ ტანსაცმელში მოსილნი, რაღაც ჩხრეკით ხელში, საკმევლის ჩხირს რომ ჩამოჰგავდა, ფუნდად ბალობდნენ: „ალილუია! ალილუია!" ამ სურათის სრულსაყოფად დავმენ, მწვანურთმიანის ფეხებთან მკერდში ჩახუტებული გოგონათი სინო იჯდა თმაგაწეწილი, თავჩაღუნული, თითქოს გონება დაუკარგიათ. განსაკუთრებით გამაოცა იმან, რომ სატო ორივე ხელით მაგრად შემოხვეოდა სინოს კისერზე და თავისი ბავშვური ამით ხან გაიძახოდა: „ალილუია!" ხან დედას უხმობდა. მართალია, შედარებთ შორს ვიყავი, რის გამოც ყველაფრის გარჩევა არ შემეძლო, მაგრამ სატოს სახის ფერი ძალზე ჯანმრთელად მომეჩვენა. დავინახე აგრეთვე ,რომ დროდადრო გოგონა ხელებს აცილებდა დედის კისერს და ისეთ მოძრაობას აკეთებდა, თითქოს უნდოდა ზემოთ ნახსენები ჩხირებიდან ასული ბოლი დაეჭირა. ცხენიდან ჩამოვედი და დაწვრილებით გამოვკითხე სოფლის მცხოვრებლებს როგორ აღსდგა მკვდრეთით სატო. აღმოჩნდა, რომ უცხოელი პატერენი როდრიგე სამი იაპონელი მორჩილის თანხლებით დღეს დილით გამოცხადდა სინოს სახლში მეზობელ სოფლიდან, მოისმინა მისი მონანიება და აღსარება, რის შემდეგაც ყველა ერთად შეევედრა თავისი სარწმუნოების მაღალ უფალს. მერე ხან უცხოური ბარბაროსული გუნდრუკი აკმიეს, ხან ირგვლივ წმინდა წყალი ასხურეს, რის წყალობითაც სინოს სიგიჟემ თანდათანობით გაუარა. ხოლო მალე სატოც აღსდგა, — ასე მიამბეს შეშინებულმა გლეხებმა. საკამათო არაა, უძველესი დროიდან დღემდე ცნობილია არცთუ ისე მცირე შემთხვევა მკვდრეთით აღდგომისა, მაგრამ ეს ხდებოდა ღვინით ან მთისა და წყლის ანაორთქლით მოწამვლისას. მაგრამ რომ აღმდგარიყო ტიფით გარდაცვლილი, სატოს მსგავსად, ამის შესახებ ჩემს სიცოცხლეში არასოდეს მსმენია. აქედან გამომდინარე, ამ ერთი ფაქტის მიხედვითაც ნათელია, რომ ეს საქმე არ მომხდარა ბოროტი, ქრისტიანული ჯადოქრობის ჩარევის გარეშე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ისიც, რომ რაც პატერენი ჩვენს სოფელში გამოჩნდა, განუწყვეტლივ ქუხდა, რითაც შეიძლება დავასკვნათ, რომ ის ზეცასაც სძულს.

იმის შესახებ, რომ სინო თავის გოგონა სატოსთან ერთად იმავე დღეს პატერენ როდრიგესთან ერთად მეზობელ სოფელში გადაბარგდა, აგრეთვე იმის შესახებ, რომ ღირსი ნიკანის, ძიგენძის ტაძრის წინამძღვრის მცდელობით სინას სახლი დანგრეულ და გადამწვარ იქნა, უკვე აცნობა ხელისუფლებას სოფლის მამასახლისმა ბატონმა ცუკიგოსი იაძაემონმა, ისე რომ, ჩემ მიერ პირადად ნახული და გაგონილი ამოიწურება ძირითადად ზემოთ ჩამოთვლილი ჩვენებით. ვავუმატებ მხოლოდ, რომ თუ მოლოდინის წინააღმდეგ რაიმე დამავიწყდა ან ამოვტოვე, ამას მოგახსენებთ დამატებით უახლოეს დღეებში, ჯერჯერობით კი ჩემს ჩვენებას ვამთავრებ.

იიოს ოლქი, უვაგორის მაზრა, სოფელი...

მკურნალი ოგატა რიოსაი.

□

ივან პრილოვი

ლექსი

თარგმნა გივი კაკაბაძემ

მგელი და წერო

მგელს ვერ ნახავ სადმე, —
გინდოდეს ძალიანაც, —
ლეშს რომ არ ნთქავდეს
რბილიან-ძვალიანა!

ჰოდა, — ერთხელ
ერთ მგელს
შედეგად ამისა —
კიდევაც დაემართა სამისო:
ყელში გაეჩხირა ძვალი, —
იხრჩობა,
იგუდება —
მშველელი არვინ არი,
გათავდა, — იღუპება!..
იხალე თუ გინდა თავში ქვა,—
საცაა ფეხებს გაფშიკავს!..

ბედზე, —
გამოწერილივით
გამოჩნდა წერო (აი, ყისმათი!..)
— მიშველე, —
შეეხვეწა,
შეელმერთა მგელი...
წეროომ ხახაში
სენთიანად სტუცა ნისკარტი, —
თავისი ერთადერთი ხელი...

ხახიდან ამოუღო
ჯახირით, ძალით —
ტაბიკისოდენა,
გახრული ძვალი!..

მოითქვა წეროომ სული
და მორიდებულად
სთხოვა ხელის ჭირა,
ანუ — გასამრჯელო...
— რამდენი მერგება, —
შენ თვითონ განსაჯეო!

ჰაიტ, შე უმადურო, —
აყმუვლდა მგელი, —
თავი რომ შეგრჩა,
ყეყეჩო, მთელი —
მადლობელს არ ხარ?! —
ჰადე,
გადე,
წადე!..
ბინძური ნისკარტით
ხახა ამიმყრალე....
გზა ნახე, ბიძიკო,
არ შემხვდე სადმე,
თორემ... რაც მოგივა —
შენ თავს დააბრალე!..

□

პორნეი ჩუკოვსკი

ლექსი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა ნათელა ონაშვილმა

ტელეფონი

1.

ჩემთან რეკავს ტელეფონი.
— გისმენთ, ალო! —
სპილო ვარო.
  გამიკვირდა, ვაქნევ თავს.
სტუმრად ვარო აქლემთან.
  — რა გინდოდა?
  — შოკოლადი!
  — ბევრი?
  — ხუთი-ექვსი ფუთი!
გამოგზავნე დიდი ყუთით.
მეტს ვერ შეჭამს ჩემი ბიჭი,
ჯერ არა აქვს ერთი კბილიც!

2.

  დამირეკა ნიანგმა:
  — ვინძლო არ დაიზარო,
სამი წყვილი კალოში
უნდა გამომიგზავნო!
  ცრემლებს ღვრიდა ნიანგი,
ინაზებდა ხმასაო:
  — ერთი ცოლს, ერთი — მე,
ერთიც ტოტოშასაო.
  გამიკვირდა, ვუთხარი:
  — ასე ხარბი რადა ხარ?
აკი გამოგიგზავნე
კალოშები ახლახანს?!
  — ო, ისინი ნამდვილად
გადავყლაპე სადილად,
ამიტომაც სასწრაფოდ
დაგირეკე ამ დილას.
  — გევედრები, ძვირფასო,
რომ არ მოგვტყდეს კბილიო,
ვახშმად გამოგვიგზავნე
ათიოდე წყვილიო,
კალოშები კრიალა,
ახალი და ტკბილიო.

3

  დამირეკეს ბაჭიებმა,
ნაზებმა და პრანჭიებმა:
  — დადგა ცუდი დარები, შენ
შენ კი გენაცვალები,
როგორმე გამოგვიგზავნე
თბილი ხელთათმანები!
  რეკენ მაიმუნებიც,
ცუღლუტები, ციგნები:
  — გამოგზავნეთ წიგნები!

4

  მერე დათვმა დარეკა,
ღრიალებდა რარიგად!
  — დათო, დათო, დათუჩა,
ხომ არ გინდა ალუჩა?
  ის კი მარტო:
„მე“ და „მუ“!
ხმა ამოსდის რისხვისა,
ვერაფერი გავუგე,
რა ნებავს და ვისთვისა.
  მომენატრა დუმილი,
დავუკიდე ყურმილი.

5

რეკენ აღელვებული
წეროები ფრთამალი:
— ვიღუპებით, სასწრაფოდ
მოგვაშველეთ წამალი,
ბაყაყები შევსანსლეთ,
რაა დასამალავი?!

6

მერე რეკავს ღორი,
ბულბულს ითხოვს მგონი.
ყელს ამაყად ვიღერებო,
მასთან დუეტს ვიმღერებო.
გაგონილა დუეტი
ბულბულის და ღორის?
ნახე შენი ტოლი, —
ყვავი — ბარიტონი,
მასთან შექმენ ქორო,
გინდ დუეტი იმღერე
და თუ გინდა, სოლო!

7

ისევ დათვი რეკავს,
რეკავს, თანაც ლელავს:
— მიეშველეთ ზღვის ლომს
ყველა, ყველა, ყველა!
რა მოუვა, აბა,
ლამის მოვკვდე დარდით,
გუშინ გადაყლაპა
ზღვის ჩხვლეტია ზღარბი.

8

და ასეა ყოველდღე,
ალბათ, გადავირევი,
რეკავენ და რეკავენ
სელაპი თუ ირემი.
სულ ახლახანს გაზელებმა
დამირეკეს:
— ჩქარა!
— ჩქარა!
ნუთუ მართლა ჩვენს დიდ ბაღში
კარუსელი გადამწვარა?
რას სულელობთ, გაზელებო,
არაფერიც არ დამწვარა,
კმარა, კმარა, ნუ დაგვტოვებთ
თქვენი ჭორის ანაბარა!
თუ არ გჯერათ, იმ კვირიას
მოგვაკითხეთ ბაღში ბარემ,
საქანელით, კარუსელით
იქანავეთ, გენაცვალეთ!
მაგრამ ისევ გაზელები
ყაყანებენ:
— ჩქარა!
— ჩქარა!
ნუთუ მართლა ჩვენს დიდ ბაღში
კარუსელი გადამწვარა?!
— არა! არა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

9.

ხოლო გუშინ კენგურუმ
ტკბილად შემომგურგურა:
— მოიდოდირის ბინაა?
მოიდოდირი შინაა?
— აქ არ ცხოვრობს!
— მაშ სადა?
მკითხავს, თან ხმას ინაზებს
— ნომრით „125“
დაურეკეთ ბინაზე!.

10

გავათენე სამი ღამე
და საშინლად დავიღალე.
მეძინება, ვხუჭავ თვალებს,
მაგრამ ძილი კი არა,
იმავ წუთში ტელეფონის
ზარმა დაიწკრიალა.
— ვინ ხარ, ვინა?
— მარტორქა!
— თქვი, რა მოხდა? — ვკითხე
შფოთვით, —
ვინმე გახდა ავადა?
— საცოდავი ბეჰემოთი
შიგ ჭაობში ჩავარდა.
მიეშველეთ, თორემ მზე
უბნელდება შავადა!
ჩქარა, ჩქარა, დროზე მოდით,
დაიხრჩობა ბეჰემოთი!
— მოვალ, მოვალ! — ვპირდები და
მერე გული მევე მომდის...

რა ძნელია ჭაობიდან
ამოქაჩო ბეჰემოთი!...

□

ჯეიმზ პერლი

ძილი ნეგისა, ძვირფასო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოთხრობა

ინგლისურიდან თარგმნა ქეთევან ჭელიძემ

ბერლ მირანდა დედიშობილა გამოვიდა ჯორჯ უოშინგტონის სახელობის სკოლიდან, სადაც მერვე კლასს ასწავლიდა და ლოკუსტ სტრიტისაკენ გაეშურა. ქუჩაში ცოტა ხნით შეჩერდა, და წითელ შუქზე გაჩერებულმა მანქანებმა რომ ჩაიარეს, ეს ტანსრული ქალი რაც კი შეეძლო სწრაფად დაუყვა სმით ავენიუს. ჯერ კიდევ შეუფოთლავი ხის ძირში შეიცადა, ქუჩის მოპირდაპირე მხარეს რამდენიმე მამაკაცს მოჰკრა თვალი. საკმაოდ ბნელოდა, მაგრამ ქალს მაინც შეეშინდა, ვაითუ დამინახონო. სმით ავენიუზე სწრაფად ჩაუარა პატარა გოგონას, შიშველი ქალის დანახვაზე ბავშვმა გაოცებით შეჰყვირა.

ახლი, რომელსაც პერლ მირანდა ბოლოს და ბოლოს მიადგა, ვინმე უინსტონ კრამერს ეკუთვნოდა. კრამერი ფორტეპიანოზე დაკვრას ასწავლიდა ბავშვებს. ოცდაოდე წლის წინ კი თვითონ იყო პერლ მირანდას მოწაფე.

ქალმა ზარი დარეკა. ფანჯარაში უინსტონი დაინახა. კაცი რბილ სავარძელში მოკალათებულიყო და ფრჩხილებს იწმენდდა. კიდევ დარეკა რამდენჯერმე, მაგრამ უინსტონი არც კი განძრეულა.

მოპირდაპირე სახლიდან ვიღაც ქალი გამოვიდა, კარის ზღურბლთან დადგა და დაქინებით მიაცქერდა „სტუმარს“.

პერლ მირანდამ დააკაკუნა და ხმადაბლა დაუძახა უინსტონს. კაცი ადგა. გაბრაზებული ჩანდა.

— ვერ გაიგეთ, რომ ხელმოწერა შევწყვიტე, აღარ მინდა „ნიუსი“, — დაიყვირა გაგულისებულმა და უცებ თვალი მოჰკრა ქალს.

უინსტონი შუშის კარს უკან გაშეშდა და მისს მირანდას მიაშტერდა. მერე ნელა გააღო კარი.

— მისს მირანდა, თქვენა?

— შემომიშვი ოთახში, კიდევ კარგი, რომ გამიღე.

მოპირდაპირე სახლის ზღურბლთან კვლავ იდგა ის ქალი და კრამერის სახლისაკენ იყურებოდა. პერლ მირანდა ოთახში შევიდა.

— მისს მირანდა, მისს მირანდა, — ლუღლუღებდა გაოგნებული უინსტონი.

— გემუდარები, უინსტონ, ხალათი ან რამე ჩასაცმელი მომიტანე! — ქალის თვალებში ვედრება გამოსჭვიოდა.

უინსტონი ორიოდე წუთს გაუნძრევლად იდგა და ცდილობდა მზერა მხოლოდ ქალის სახეზე შეეჩერებინა. მერე მაღლა ავიდა; ქალს მისი უაზრო ბუტბუტი ესმოდა.

ქალმა დიდ ფანჯარაზე ფარდა ჩამოუშვა, გვერდითა პატარა ფანჯარაზეც ჩამოაფარა. შემდეგ ნოტების ალბომი აიღო და აიფარა.

— ღმერთო დიდებულო! — თქვა უინსტონმა და ხალათი მიაწოდა. მისს მირანდას ცოტა გაუჭირდა ხალათის ჩაცმა, უინსტონი არ მიხმარებია. ქალი დაჯდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რას ინებებდით? — ჰკითხა კაცმა.

— მოგეხსენება, გათოშილ ადამიანს ბრენდის სთავაზობენ, მაგრამ ალბათ გახსოვს, რა აზრისა ვარ ალკოჰოლზე, — ქალი მისთვის ჩვეული დახვეწილი მანერით ლაპარაკობდა.

— არც მე ვსვამ, მისს მირანდა.

— ახლა ცხელი რძე მომიხდებოდა, — ისე თქვა ქალმა, თითქოს მოწყალება გაიღოო. მერე შიშველ ფეხებზე დაიხედა და იკითხა: — შემთხვევით ფლოსტები ხომ არა გიქვს?

— დედაჩემის ქოშები, — მიუგო უინსტონმა.

ძალიან კარგიო, უნდოდა ეთქვა ქალს, მაგრამ უინსტონი უკვე კიბეზე არბოდა. როცა დაბრუნდა, უფრო დამშვიდებული ჩანდა და ქალს კურდღლის ბეწვით გაწყობილი ქოშების ჩაცმაში მიეხმარა.

— რა შეგემთხვათ, მისს მირანდა? — ჩაჩოქილმა ჰკითხა და ქვემოდან ამოჰხედა მასწავლებელს.

— ჯერ ცხელი რძე მომიტანე! — უთხრა ქალმა.

კაცი სამზარეულოსაკენ გაემართა, მაგრამ უცებ მობრუნდა.

— ნუ დამიმალავთ, ცუდად ხომ არა ხართ?

ქალმა თავი გაუქნია უარის ნიშნად.

— ექიმი ხომ არ გამოვიძახო?

ქალმა ჯიუტად გააქნია თავი.

უინსტონი ოთახში შემობრუნდა.

— ვინმემ ხომ არ მოგაყენათ შეურაცხყოფა? — ჰკითხა და მარცხენა ხელი ნელ-ნელა ყელისკენ წაიღო.

— არა, უინსტონ, არა. თუ შეიძლება, რძე მომიტანე! — ქალი ისე ლაპარაკობდა, როგორც ოცი წლის წინათ, სკოლაში.

უინსტონი სამზარეულოში გავიდა. თბილმა ხალათმა და რბილმა ქოშებმა სიმშვიდე მოჰგვარა ქალს და გაყუჩდა. კაცი რძეს აცხელებდა. სამზარეულოდან მისი ბუტბუტი ისმოდა. ალბათ, ყველა მარტოხელა ადამიანი თავისთვის ბუტბუტებსო, გაიფიქრა ქალმა, აკი თვითონაც ვერ მოიშალა ეს ცუდი ჩვევა. ბულდვინია როიალზე ჩერნის ეტიუდები დაინახა, დანარჩენი ნოტები როიალის სკამზე ეწყო. ქალს უსიამოვნო გრძნობა დაეუფლა იმის წარმოდგენაზე, რომ უინსტონი ლუკმა პურის საშოვნელად დილიდან საღამომდე იჯდა და უნიჭო ბავშვების დაკვრას უსმენდა. ეს არ იყო მამაკაცის შესაფერი საქმე. მერე ქალს გაახსენდა, როგორ წუხდა მისი და, როცა მისს მირანდა მერვე კლასში გაანაწილეს სამუშაოდ.

უინსტონმა პატარა მექსიკური ლანგრით ქაფქაფა რძით სავსე საჭმელი და ფინჯანი შემოიტანა. ახლა წეღანდელზე უფრო გაოგნებული ვარო — წაილუღლუღა.

— კარგია ცხელი რძე! — თქვა მისს მირანდამ.

— ხელსახოცსაც მოგიტანთ, — უინსტონი ისევ გავიდა ოთახიდან.

ქალს ხელსახოცი უნდოდა, მაგრამ მაინც გასძახა, ნუ შეწუხდებიო. ცხელი რძე მოსვა და უნებლიეთ დაასლოკინა.

უინსტონმა როიალის სკამიდან ნოტები აიღო, დაჯდა და მისს მირანდას მიაჩერდა.

— დარჩინი ხომ არ გნებავთ? — ჭიქაზე ანიშნა.

ქალმა თავი გააქნია.

— ორი საათის წინ ნამცხვარი გამოვიღე გაზქურიდან, ხომ არ მიირთმევთ?

— რა ნამცხვარია, უინსტონ? — დაინტერესდა ქალი.

— ყოლოსი გახლავთ.

რამდენიმე წამი ქალი უინსტონის სახეს აკვირდებოდა.

— შევჭამ ცოტას, — ისე თქვა, თითქოს ვიღაცას რჩევას ეკითხებაო. — შენ თვითონ იმზადებ საჭმელს, უინსტონ?

— დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ კი, თუმცა მის სიცოცხლეშიც ხშირად მიწევდა სადილის გაკეთება.

— ალბათ კარგი მზარეული ხარ, შენ ყოველთვის ნიჭიერი ბიჭი იყავი, — ქალმა მეორე წინადადება შედარებით ხმადაბლა წარმოთქვა.

— მერვე კლასის შემდეგ ალარ მისაუბრია თქვენთან, — საკმაოდ ხმამაღლა შეახსენა უინსტონმა.

— მართლაც, — მისს მირანდამ რძე დალია: — ღმერთო, რა კარგი იყო!

— კიდევ ხომ არ ინებებთ?

— სიამოვნებით.

უინსტონმა ყველაფერი აალაგა და სამზარეულოში გავიდა.

მისს მირანდას თავი ხელებში ჩაერგო და თავისთვის ბუტბუტებდა, მერე უცბად, თითქოს ტკივილმა დაუარაო, წამოიყვირა:

— ღმერთო ჩემო!

შემდეგ თავი ასწია, დამშვიდდა, ხელები ჩამოუშვა და უინსტონს დაელოდა.

უინსტონმა ფინჯნით რძე მიაწოდა, ქალმა მადლობა გადაუხადა.

— ცუდად ხომ არა ხართ, მისს მირანდა? — კიდევ ერთხელ ჰკითხა გაუბედავად; კაცი ძალიან შეშინებული ჩანდა.

— მე მხოლოდ და მხოლოდ გამამასხარავეს, გაიგე, უინსტონ? — მისს მირანდამ თვალი თვალში გაუყარა.

კაცი გუმანით გრძნობდა, რომ ქალი ტყუოდა და თვალი მოარიდა, იატაკს ჩააშტერდა, სახეზე სევდა და იმედგაცრუება აღებეჭდა. მერე სკამიდან ადგა და ნელა ჩაეშვა საკარძელში.

— ძალიან შემაშინეთ, — გულზე ხელი მიიდო.

— ახლა უკვე შენ მაშინებ, უინსტონ.

— პოლიცია ხომ არ გამოვიძახო? — ჰკითხა კაცმა და მისს მირანდამ შეამჩნია, რომ უინსტონს თანდათანობით უფრო და უფრო იპყრობდა შიში.

— დამშვიდდი, არავითარი პოლიცია არ მჭირდება, ჩვენ თვითონ მოვიფიქრებთ რამეს.

— მაშ, თქვენ ამბობთ, რომ ეს ხუმრობა იყო, მისს მირანდა?

ქალმა თავი დაუქნია დასტურის ნიშნად.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— მოვიტანო ყოლოს ნამცხვარი? — სუსტ ხმაზე იკითხა კაცმა.

ქალმა ნელა გაიწმინდა ხელები ნაჭრის ხელსახოცით.

— ჯობდა ქალალდის ხელსახოცი მოგეტანა. ალბათ სარეცხსაც შენ თვითონ ირეცხავ არა, უინსტონ?

— *დიახ, თვითონ ვირეცხავ, — გაურკვევლად წაიბურდღუნა უინსტონმა* მერე თქვა, ნამცხვარს მოვიტანო და ოთახიდან გავიდა. კარგა ხანს შემდეგ დაბრუნდა. მოხატულ ფაიფურის თეფშზე ნამცხვრის საკმაოდ [illegible] ნაჭერი დაედო.

— შესახედავად მშვენიერია — თქვა მისს მირანდამ, მერე ნამცხვარი ჩაკბიჩა და უინსტონს ნახელავი მოუწონა.

— მინდა, რალაცით მაინც დაგეხმაროთ, — საცოდავად წამოიკნავლა კაცმა.

— დაჯექი, უინსტონ, დამშვიდდი, სჯობია ასე იჯდე, ვიდრე სისულელე ჩაიდინო, — მკაცრად მიუგო ქალმა.

— ვიცი, თქვენ ცუდს არაფერს ჩაიდენდით, — ისე თქვა უინსტონმა, გეგონებოდათ, ეს-ესაა ატირდებაო.

— როგორც კი ნამცხვარს შევჭამ, მაშინვე ყველაფერს აგიხსნი, თუმცა განსაკუთრებული არაფერი მომხდარა.

— ვინმემ დაგინახათ, აქ რომ შემოხვედით? — დაინტერესდა კაცი.

ქალმა ლუკმა ჩაყლაპა და უპასუხა:

— ალბათ, დამინახეს, უინსტონ. ვინ ცხოვრობს იქ? — ჩანგლით მოპირდაპირე სახლზე მიანიშნა.

— ბერტა უილსონი?! — წამოიძახა უინსტონმა.

— იმ სახლიდან ქალი გამოვიდა და მგონი, დამინახა. ვიცი ეგ ბერტა უილსონი.

— ო, ღმერთო! — წამოიძახა უინსტონმა და ისე შეხედა ქალს, თითქოს რალაცაში ადანაშაულებსო. რა უცნაურიაო, თქვა მაგრამ აშკარა იყო, უფრო მეტს გულისხმობდა.

— დაწყნარდი, უინსტონ, ხომ გესმის, სხვა გზა არ მქონდა, სხვას ვერ მივადგებოდი.

— ხომ არ გსაყვედურობთ, აქ რატომ მოხვედით-მეთქი, — თავის მოთოკვა სცადა უინსტონმა.

— მაშ, მოდი ორივე დავმშვიდდეთ და ჭკუას მოვუხმოთ, — მისს მირანდამ ცარიელი თეფში მიაწოდა. — რა მშვენივრად იცოდნენ ძველად ფაიფურის მოხატვა, — მიანიშნა თეფშზე.

— დედაჩემის მთელი ჭურჭელი დეიდაჩემმა მოხატა თავისი ხელით.

უინსტონმა თეფში გაიტანა. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ცოტა ხნის შემდეგ ქალს სამზარეულოდან წყლის ჩხრიალი შემოესმა და მიხვდა, კაცი თეფშებს რეცხავდა.

— უყვარს სისუფთავე, — ხმამაღლა თქვა და თავი გააქნია. გუნებაში სულ სხვა რამეზე ფიქრობდა. — ღმერთო ჩემო! — ისევ წამოიძახა.

თხუთმეტიოდე წუთში უინსტონი სასტუმრო ოთახში შემოვიდა, დაჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო და თქვა: — ხოო...

— მგონი, გაციებას გადავურჩი, — გაუღიმა ქალმა.

უინატონი გამომცდელად უყურებდა, გაღიზიანებული ჩანდა და ქალს ისეთი სიმპათიური აღარ მოეჩვენა.

— დიდი ხანია, დედა გარდაგეცვალა?

— აპრილში ორი წელი შესრულდება, — მშრალად უპასუხა უინსტონმა.

მისს მირანდამ თავი გააქნია, მერე ნაჭრის ხელსახოცი გაშალა და კალთაზე დაიფინა.

— რაც ამ სალამოს მოხდა, ყველაფერი ხუმრობა იყო, — თქვა ქალმა და უცებ გაჩუმდა.

— ვინმემ დაგინახათ, სკოლის სათამაშო მოედანზე ~~რომ~~ გამოხვიდოთ? — დაინტერესდა კაცი.

— სკოლის მოედანზე?

— იქ რამდენიმე ხეა და მოფარება შეიძლება, — აუხსნა კაცმა.

— არც კი ვიცი, დამინახეს თუ არა.

— მისს მირანდა, თუ თქვენ... რამე დაგიშავეს, მითხარით და ექიმს გამოვუძახებ.

— გინდა, რომ წავიდე, ხომ? წავალ.

— არა, ეგ არც მიფიქრია.

— ძალიან გთხოვ, დამშვიდდი, უინსტონ, — შეევედრა ქალი.

— მე არ ვღელავ, მისს მირანდა... მაგრამ განა შეიძლება წყნარად ვიჯდე და ისე მეჭიროს თავი, ვითომც აქ არაფერიაო... მსგავსი რამ არასოდეს გამიგია!

ქალი იჯდა და ცდილობდა ამოეცნო უინსტონის ფიქრები.

მაშინ, ვიდრე ცოტა სულს მოითქვამდა, ამის გასარკვევად არ ეცალა.

— დამიჯერე, უინსტონ, მხოლოდ ტანსაცმელი გამხადეს, სხვა არაფერი დაუშავებიათ, ნურც ჩემს გაციების დარდი გექნება, არაფერი მომივა.

— თუ გნებავთ, წავალ და სახლიდან ტანსაცმელს მოგიტანთ.

ქალმა თავი დაუქნია; — კარგი, ოღონდ ხვალ.

— ამაღამ! — დამარცვლით თქვა უინსტონმა.

— ის ახალგაზრდა კაცი ძალიან ჰგავდა ჩემს ერთ ყოფილ მოსწავლეს, — მისს მირანდამ თავის ამბის მოყოლა დაიწყო, — სალამოს ექვსი საათი იქნებოდა, საკლასო ოთახში რომ შემოვიდა, მე დაფას ვწმენდდი.

გაფითრებული უინსტონი თვალს არ აშორებდა მისს მირანდას.

— მკითხა, გახსოვართ თუ არაო, ნაცნობი სახე კი ჰქონდა, მაგრამ ვერ გიცანი-მეთქი, ვუთხარი; მერე მკითხა, ელის როჯერსი თუ გახსოვთო. რა თქმა უნდა, მშვენივრად მახსოვს, ის ხომ წინა სემესტრში გავრიცხეთ სკოლიდან. იცი ალბათ, გაზეთში ეწერა ამაზე. იმ საქმეში სწორედ ელის როჯერსმა ჩაითრია ბიჭები... არ გახსოვს ეს ამბავი?

უინსტონმა გაურკვევლად დაუქნია თავი.

— ის ახალგაზრდა კაცი ოცი წლისა თუ იქნებოდა... დიდი-დიდი შენხელა ყოფილიყო, უინსტონ... შემოვიდა და მითხრა: — მე ვფიქრობ, თქვენ პასუხი უნდა აგოთ იმაზე, რაც ელის როჯერსს გაუკეთეთ, თქვენ მას სახელი გაუტეხეთ. მე მხოლოდ ელისის სწორ გზაზე დაყენება მინდოდა-მეთქი, ვუპასუხე. ამიტომაც გაისტუმრეთ გამოსასწორებელშიო? — მკითხა საზარელი ღიმილით.

მისს მირანდა წამით გაჩუმდა, ალბათ ელოდა, რომ უინსტონი სიტყვას შეაშველებდა.

— მერე მიბრძანა, ტანსაცმელი გამეხადა, თან იარაღი მოიმარჯვა.

უინსტონი ადგა და მეორე ოთახისაკენ გაემართა.

— სად მიდიხარ?! — დაუყვირა მისს მირანდამ.

უინსტონმა მოიხედა, ბოდიში მოუხადა, ისევ თავის სკამთან დაბრუნდა და დაჯდა.

— დამემუქრა, თუ ბრძანებას არ შეასრულებ, გესვრიო, — ქალი ცოტა არ იყოს სასხვათაშორისოდ ყვებოდა ამ ამბავს. უინსტონს შეხედა, დარწმუნებული იყო, არ უსმენდა.

— მთელი ჩემი ტანსაცმელი წაიღო, ფეხსაცმელი და გასაღებებიც დაუტოვებია, მომაძახა, ახლა კი აღარასოდეს დაგავიწყდება ელის როჯერსიო და ოთახიდან გავიდა, მე კი ასეთ საშინელ დღეში დამტოვა...

უინსტონი ნოხს მისჩერებოდა.

მისს მირანდამ განაგრძო: აივნიდან გავძახე, დაბრუნდი, სახლში როგორ წავიდე-მეთქი.

ქალს ხმა თანდათან უწყდებოდა. უცებ თავი ხელებში ჩარგო და ამოიგმინა: ო, ღმერთო, ღმერთო!

— რამე ხომ არ გტკივათ? — ნამძინარევი თვალებით აჰხედა უინსტონმა.

— არა, — სწრაფად მიუგო მისს მირანდამ.

— თავგზა ამებნა, — თქვა კაცმა.

— სულ არ მახსოვდა ის ახალგაზრდა, — განაგრძო ქალმა, — იცი, უინსტონ, ამდენი ხნის სკოლაში მუშაობის შემდეგ, მით უფრო ჩემს ასაკში, გეჩვენება, რომ ყველა ახალგაზრდა და ყველა მოხუცი ერთმანეთს ჰგავს.

— მისს მირანდა, დავუძახებ ვინმეს. უნდა შევატყობინოთ...

— არა, ამის გაგონებაც კი არ მინდა. — გააწყვეტინა ქალმა. — გეხვეწები, დაწყნარდი, გულთან ახლოს ნუ მიიტან. მინდა, ამალამ აქ დავრჩე.

— იმ ახალგაზრდა კაცს სულ არაფერი დაუშავებია თქვენთვის?

— არა, — ისე უპასუხა ქალმა, თითქოს თავს იცავსო და კაცს შეხედა.

უცბად უინსტონს ყელში რაღაც მოაწვა, წამოხტა, ოთახიდან გავარდა და სამზარეულოს გვერდით პატარა ოთახში შევიდა. კარის მიხურვა ვერ მოაწრო. მისს მირანდამ გაიგონა, როგორ აღებინებდა კაცს. ღმერთო ჩემო! ქალი საბაზანოში შევიდა, უინსტონი დახრილიყო და აღებინებდა.

— მოდი, შუბლს დაგიჭერ, — შესთავაზა ქალმა, კაცი არ განძრეულა.

მისს მირანდამ შუბლი დაუჭირა. უინსტონს პირღებინებამ გაუარა, ქალმა თაროდან უხმარი ლრუბელი აიღო და პირი მოწმინდა.

— ეს ვირუსის ბრალია, ავად ვიყავი, — აუხსნა კაცმა.

უინსტონი დაიხარა, ისევ დაიწყო პირღებინება.

— საწყალი ბიჭი, — თქვა ქალმა და კვლავ მოწმინდა პირი, — აუცილებლად უნდა დაწვე.

უინსტონი გვერდით ოთახში გავიდა და ორადგილიან საწოლზე დაეშვა, ქალი ფეხსაცმლის გახდაში მიეხმარა და საბანი წააფარა.

— ყველაფერი ჩემი ბრალია, მე გაგანერვიულე, — მოუბოდიშა.

— არა, მისს მირანდა, ეს ვირუსია. ვერაფრით ვერ მოვიშორე, ხან ერთი მოწაფისაგან გადმომედება, ხან მეორისაგან.

— დაისვენე, დამშვიდდი, — უთხრა ქალმა.

უინსტონს ჩასთვლიმა. „ღმერთო, ღმერთო!" — ისევ წამოიძახა მისს მირანდამ.

მერე სკამზე დამჯდარს ძილი მოერია. უცებ შეშფოთებული გამოფხიზლდა, უინსტონს კვლავ აღებინებდა საბაზანოში, ქალი სასწრაფოდ გაეშურა მისკენ და შუბლი დაუჭირა.

— საცოდავი ბიჭი, — ჩაილაპარაკა ქალმა. უინსტონს თმა დასველებოდა ოფლისაგან. საწოლ ოთახში რომ დაბრუნდნენ, უინსტონმა გაკვირვებით ჰკითხა:

— როგორ შეგიძლიათ იდგეთ და ამ დღეში მყოფს მიყურეთ?

— მე ოცდაათი წელია სკოლაში ვმუშაობ, — შეახსენა ქალმა.

— მისს მირანდა, — დაიწყო უცებ უინსტონმა, — ხომ დამიმალავთ, ძალიხმარეს?

მისს მირანდა დაჟინებით უცქერდა მას.

— უნდა დამარეკინოთ ექიმთან, — უინსტონმა პირი მოიწმინდა.

— არა, არ მომკარებია, — დაიჟინა ქალმა. უინსტონი თვალს არ აშორებდა.

— მხოლოდ და მხოლოდ ტანსაცმელი გაგხადათ?

ქალმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— ელის როჯერსის გამო, არა?

— სასამართლოში მის წინააღმდეგ მივეცი ჩვენება და გამოსასწორებელში გააგზავნეს.

— ხოო... მხოლოდ ეს თუა...

— რაში მჭირდება შენი მოტყუება.

— არავინ დაგიჯერებთ.

— უინსტონ, დაგღლის ამდენი ლაპარაკი, — შენიშნა მისს მირანდამ. უინსტონმა არაფერი უპასუხა.

— ბერტა უოლსონმა დაგინახათ? — ძილმორეულმა იკითხა ბოლოს.

— მართლაც იყურებოდა ჩემკენ, მაგრამ...

— ესე იგი, დაგინახათ.

— კი მაგრამ, ძალიან ბნელოდა.

— ბერტას რენტგენის სხივივითა აქვს თვალები.

— კარგი, დავუშვათ, დამინახა, — თქვა მისს მირანდამ, — სადმე ხომ უნდა შევსულიყავი?

— არა უშავს, ჩვენზე მაინც არაფერს იფიქრებენ, — შენიშნა კაცმა.

— ო, ღმერთო! — უცებ წამოიძახა ქალმა.

უინსტონი წამოიწია და იდაყვებს დაეყრდნო.

— გაწუხებთ რამე, მისს მირანდა? გტკივათ რამე?

მისს მირანდა ცდილობდა, ტირილი შეეკავებინა.

— ის ახალგაზრდა კაცი, — დაიწყო უინსტონმა, — რომელიც ამ საღამოს თქვენს საკლასო ოთახში შემოვიდა... მისმენთ, მისს მირანდა?.. ის კაცი ფრედ როჯერსი იყო ელი როჯერსის უფროსი ძმა.

მისს მირანდა ისევ სლუკუნებდა.

— გაიგონეთ, რაც გითხარით, მისს მირანდა?

ქალმა თავი დაუქნია.

— მე ვიცნობ ელის როჯერსის უფროს ძმას და ვიცი, რომ მხოლოდ თქვენი ტანსაცმლის წაღებას არ დასჯერდებოდა. არც ისეთი გულუბრყვილო ვარ, ეგ დავიჯერო.

ქალმა ისე შეხედა, რომ უინსტონმა ვერ გაუძლო და თვალი აარიდა.

— მე კარგად ვიცნობ ფრედ როჯერსს, მარტო მაგით არ დაკმაყოფილდებოდა. მან დის გამოსასწორებელ სკოლაში გაგზავნისათვის გადაგიხადათ სამაგიერო.

— მალე სამოცი წლის გავხდები, უინსტონ! — სიბნელეში მოისმა მისს მირანდას ხმა, — მოდი, ნულარ ვილაპარაკებთ ამაზე.

— ექიმთან უნდა მიხვიდეთ, თქვენ გასისხლიანებულიც იყავით, მისს მირანდა ხალათის ქობას ჩასცქეროდა.

ერთი წუთიც არ იყო გასული, რომ უინსტონმა უცბად წამოიყვირა და ტკივილისაგან მოიკრუნჩხა.

— რა მოგივიდა, უინსტონ?

— მე მგონი ბრმა ნაწლავის შეტევაა, — ამოიკვნესა მან, — ვაი, ვაი, ვაი... — უინსტონს მუცელზე ხელები მიეჭირა და გმინავდა.

— ალბათ ექიმი დაგჭირდება! — ისე წამოიძახა მისს მირანდამ, თითქოს უინსტონს ღალატში სდებდა ბრალს.

ის კი იწვა ლოგინში და კვნესოდა, სახეზე ჯერ გამწვანდა, მერე გაყვითლდა, გეგონებოდათ, ვიღაც საგანგებოდ უცვლის ფერსო.

— ღმერთო დიდებულო, ღმერთო! — წამოიკივლა ქალმა.

— ნუ გეშინიათ, არაფერი მომივა, — დაამშვიდა უინსტონმა და შეეცადა გამამხნევებლად გაეღიმა.

— რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე! — ყვიროდა ქალი.

— მე მგონი, ჩვენ ორივეს გვჭირდება ექიმი, — უთხრა კაცმა.

— ამას ვერ გავუმხელ ექიმს, უინსტონ... სამოცი წლის ვარ.

— თქვენ ამაზე ნუ იდარდებთ, მისს მირანდა.

— ესე იგი! შენ იცნობ იმ ფრედ როჯერსს? — ხმამაღლა ჰკითხა მისს მირანდამ.

უინსტონმა თავი დაუქნია.

— ის ჩემი მოწაფე არ ყოფილა, — ამოიოხრა ქალმა და უცბად ისევ დაიყვირა: — ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!

— შეეცადეთ დამშვიდდეთ, — სთხოვა უინსტონმა, თვითონ უკვე დაწყნარებული ჩანდა. — რატომ არ წამოწვებით, ძალიან ცუდად გამოიყურებით.

— რა დღეში ვართ, უინსტონ, — კიდევ წაიტირა მისს მირანდამ. მერე თავი დადო საწოლზე, უინსტონმა თმაზე ხელი გადაუსვა.

— არც კი ვიცი, რამდენმა კაცმა დამინახა, — თქვა ქალმა. კაცი პირალმა იწვა, შედარებით უკეთ იყო, ტკივილს ალარ გრძნობდა. თითქოს უინსტონის ტკივილის დაყუჩებას უცდიდაო, მისს მირანდას ძლიერი კანკალი აუვარდა.

— ჩაწექით ლოგინში, თქვენ გაციებული ხართ, — ურჩია უინსტონმა.

მისს მირანდა დაწვა, კაცმა საბანი დაახურა და თავქვეშ ბალიში ამოუდო. ქალმა უეცრად ისევ წამოიკივლა.

— ეცადეთ, დამშვიდდეთ, მისს მირანდა, — უინსტონმა საბანი ამოუკეცა.

ქალი მთელი ტანით ცახცახებდა და ყვიროდა:

— ღმერთო ჩემო, სამოცი წლის ასაკში!..

— კარგი იქნებოდა, დაგეძინათ, — ამშვიდებდა კაცი.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!

— დილით ექიმი გაგსინჯავთ.

— როგორ მივიდე სკოლაში, როგორღა შევხედო თვალებში ბავშვებს.

უინსტონი ხელზე მოეფერა. გული ალარ ერეოდა, მაგრამ თავი უსკდებოდა.

— რა ჰქვია იმ ქალს, ქუჩის გადალმა რომ ცხოვრობს? — ჰკითხა მისს მირანდამ.

— ბერტა უილსონზე მეკითხებით?

ქალმა თავი დაუქნია:

— მე მას ვასწავლიდი მერვე კლასში, 1930 წელს, წარმოგიდგენია?

— არც მინდა ამის წარმოდგენა.

— რისი?

— არაფერზე არ მინდა ფიქრი, მისს მირანდა.

— თავი სიზმარში მგონია, არ მჯერა ეს ყველაფერი, უინსტონ.

— ხვალ ექიმი მოვა და ორივეს გაგვსინჯავს.

— არ ვიცი, ან ექიმს როგორ უნდა გავესინჯო ან სკოლაში რა პირით უნდა მივიდე, — აქვითინდა ქალი.

ცოტა ხნის შემდეგ გაჩუმდა.

— დაიძინეთ, — უთხრა კაცმა.

უინსტონს უნდოდა ზევით ასულიყო და დედამისის საწოლ ოთახში დაეძინა, მაგრამ ეშინოდა, ვერ მივაღწევო. ბოლოს ასწია საბანი და მისს მირანდას გვერდით დაწვა. და ასე იწვნენ გვერდიგვერდ სიბნელეში... ორივე ჩურჩულებდა თავისთვის, თითქოს ცალ-ცალკე ოთახებში წვანანო.

— ღამე მშვიდობისა, — უთხრა კაცმა.

ქალმა თავი წამოსწია ბალიშიდან.

— ძილი ნებისა, ძვირფასო! — თქვა კაცმა ისევ, უფრო ხმადაბლა.

უინსტონი კედლისკენ შებრუნდა, ქალმა შეხედა კედელზე დაკიდულ ქალის სურათს. უინსტონის დედა სურათზეც ისეთივე მშვენიერი იყო, როგორც მისს მირანდას ახსოვდა.

— ღმერთო, ღმერთო დიდებულო! — ჩურჩულებდა ქალი.

□

● უცხოური იუმორი ●

ბაემანი

ერთხელ ბერნარდ შოუს ბარათი გაუგზავნა მისმა თაყვანისმცემელმა ქალმა: „მხურს თქვენი გაცნობა. იმ ოთხშაბათს ხუთიდან შვიდ საათამდე შინ ვიქნები".

შოუმ შეიტყო, რომ იგი იმ მრავალრიცხოვან ამბიზარ ქალთა რიცხვს ეკუთვნოდა, ვინც გამოჩენილ ნაცნობთა კოლექციას აგროვებენ და პასუხად მისწერა:

— საოცარი დამთხვევაა, მოწყალეო ქალბატონო, სწორედ იმ ოთხშაბათს ხუთიდან შვიდამდე მეც შინ ვიქნები.

სასტუმროში

დიდმა ამერიკელმა მწერალმა მარკ ტვენმა სასტუმროს შთაბეჭდილებათა წიგნი გადაათვალიერა და ბოლო ჩანაწერი ამოიკითხა: „ბარონ ფონ ბლანკი მსახურით". ხოლო შემდეგ თვითონ მიაწერა: „მარკ ტვენი ჩემოდნით".

---

* გაგრძელება იხ. გვ. 125.

პაბლო ნერუდა

ლექსი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა გიორგი კამურელმა

ცეცხლი მარადი

1.

ვით მგელმა ცხვარი —
ისე დაგლიჯა
ომმა სიცოცხლე...
დრო მიწასავით ეფარება
ხსოვნას ჩემსას და...
კოლბოხებივით ეყრება წლები
ყვავილებს,
ზღვას და შრიალა ზეცას,
თვით ესპანეთსაც,—
რომელსაც მე ქარს მივადექი,
და რომელმაც მე სიყვარულით
გამიღო კარი;
დრო მიწასავით ეფარება
გარდასულ დღეებს...
მაგრამ — ამაოდ, —
მე იმ დღეებს ვერ დავივიწყებ.
მე იმ ცეცხლიან ზაფხულში ჩრდილი
მიჩრდილა ზეცამ ესპანეთისამ,
დიდმა სიმღერამ,
რომელიც მუდამ ახალ- ახალ ბაგეებს
ეძებს...

2.

...თვალებში ღვივის
რისხვა და ცეცხლი.
პატიოსნება და შურისგება,
და იცელება ხელები ულვთოთ, —
ვით თავთავები;
შენს მაგიდაზე ჯდება სიკვდილი,
მერე — ლოგინშიც შემოგიწვება!..
სიკვდილი დაძრწის ქუჩა-ქუჩა
და იკლაკნება....
მის წინ მარტოდენ ტანია შენი,
დროშებია და სიამაყე მოუდრეკელი.
კატალონიის ღორღიან გზებზე
დაჭრილ ხელებით
და გასისხლული მძლავრი მკერდით
იბრძვის სიცოცხლე!...

3.

...დინამიტივით ფეთქდებოდა
ყოველი წუთი
და...
ცეცხლს მოჰქონდა
სიბნელე!
კვდებოდნენ სხვები და...
ვკვდებოდი მეც.

4.

მე — მოწამე ვარ!
მე იქ ვიყავი.
განვიცადე და დავიმახსოვრე.
ამ სტროფონების ყოველი სიტყვა —
სისხლის ცოცხალი წვეთებია
დაცემულ გმირთა.
მათი სახელის გახსენებაზე
ბაგეთა ჩემთა ედება ცეცხლი...
მე მათი სისხლი
კოცონივით მინთია თვალწინ
და ჰაერს დაჰკრავს სიმლაშის გემო!
ჩემი ხმითა და ბაგეებით
იმღერებს მუდამ,
იმღერებს მუდამ
უსიცოცხლო ბაგენი მათი!..

□

აგოსტინიო ნეტო (ანგოლა)

ლექსი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა გივი თათიშვილმა

დამშვიდობება გამგზავრებისას

დედაო ჩემო!
კლავდნენ შენს შვილებს
და გაჩვევდნენ
დუმილს უმძიმესს —
ძვირფასო დედა!
შენი ყოფის ბედკრული წლები
ერთმანეთს გავდნენ,
ვით საფლავის ქვები მტვრიანი...
და შეგაჩვიეს მწუხარებას,
დუმილს ლოდივით.
სასწაულების მოლოდინში
ოხრავდი მწარედ,
მაგრამ შენს შვილებს
ანდერძივით გვახსოვდა მუდამ
შენი, — საშინლად წამებულის, —
შეგონებანი:
ვყოფილიყავით
მტრებისთვის რისხვა,
სულით ძლიერნი
და...
მოთმინების
როს აივსო ბოლოს ფიალა —
ავლსდექით მტარვალის წინაშე
ხიზღით და შურით
და ბასრი ხიშტით...
რადგან მხოლოდ ჩვენ გვერქვა
დედი იმედი შენი.
ჩვენ არ გვინდოდა
რომ გვრქმეოდა
ტლუ და მონები
და მებატონის პლანტაციებში
ქედმოხრილთ
და ოფლშეუმშრალთ
ტიტველ-შიშველებს არ გვინდოდა
გვეცხოვრა ქვეყნად.
ო, არა, არა, არ გვინდოდა
ვყოფილიყავით ლოდივით უტყვნი.
არა,
ო, არა!
განა არ კმარა,
როს შენს მიწაზე
სიარული გვეშინოდა
შენივე შვილებს,
გვეზმანებოდა: ჩვენი ხელით
მოყვანილ სარჩოს
თითქოს
ქურდულად ვპარავდით ვისმეს.
და ვერ ვბედავდით ძვირფასო,
ვერა,
ხმამაღლა გვეთქვა შენზე ლოცვა,
საყვარელო მშობელო დედავ.
დედავ ძვირფასო, —
სამშობლო ჩვენო, —
ახლა კი სხვა ვართ!
შენს მიწაზე დაღვრილი
სისხლით,
სიამაყით და ყველა უფლებით
ჯოჯოხეთიდან თავდახსნილნი,
თავისუფალნი
ვენდეთ იარაღს,
გავიკვლიეთ გზა სამომავლო
ბრძოლით

და სისხლით
და მოვიპოვეთ
სანუკვარი თავისუფლება
და მზიან გზიდან,
და ნათელ გზიდან
ვერ დაგვაბრუნებს ჯოჯოხეთში
ძალით ვერავინ,
არ გვეშინია მტრის ღრენის და...
ეს იმას ნიშნავს,
არა გვაქვს შიში
თვით სიკვდილისა,
ჩვენ ვართ იმედი
სამომავლო ბედნიერების
ჩვენო ანგოლავ, —
ჩვენ და მხოლოდ ჩვენ,
სხვა კი არვინ,
ო სხვა კი არვინ!..
ჩვენ,
ჩვენ მოგიტანთ შენ სიხარულს,
ბედნიერებას,
შენ —
ჩვენო ტკბილო,
სანუკვარო მშობელო დედავ,
ანგოლავ ჩვენო!..

□

● უცხოური იუმორი ●

პირველი ლექცია

მარკ ტვენი პირველი ლექციის ჩატარების წინ შიშით იყო შეპყრობილი. მაგრამ პირველივე წინადადებით აღაფრთოვანა მსმენელები. ეს ცნობილი პირველი წინადადება ასე ჟღერდა: „იულიუს ცეზარი მოკვდა, შექსპირი მოკვდა, ნაპოლეონი მოკვდა და მეც ვერა ვარ მთლად კარგად“.

დიალოგი სადალაქოში

მარკ ტვენი საფრანგეთის ერთ პატარა ქალაქში ყოფნისას სადალაქოში შევიდა.

— უცხოელი ხართ? — ჰკითხა დალაქმა.

— დიახ, პირველად ვარ ამ ქალაქში.

— ბედნიერი შემთხვევაა. აქ მარკ ტვენია ჩამოსული და ალბათ საღამოს მის ლექციას დაესწრებით.

— რა თქმა უნდა.

— ბილეთი გაქვთ?

— ჯერ არა.

— საბწუხაროა, რადგან ყველა ადგილი გაყიდულია და ფეხზე მოგიხდებათ დგომა.

— დალახვროს ეშმაკმა, ამ მარკ ტვენთან არასოდეს ბედი არ მწყალობს, მის ლექციებზე ყოველთვის ფეხზე მიხდება დგომა, — ღიმილით მიუგო მწერალმა.

რჩევა

მარკ ტვენს ჰკითხეს: ერთი შეხედვით შეუვარების საწინააღმდეგო საშუალება ხომ არ იცითო?

— ვიცი, — მიუგო მწერალმა, — მეორედ უნდა შეხედო დაკვირვებით.

---

* გაგრძელება იხ. გვ. 219.

ჟიულ რენარი

წითური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრანგულიდან

თარგმნა გივი გეგეჭკორმა

გამოჩენილი მწერალი ჟიულ რენარი (1864—1910) ფრანგული კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელია. მისი მოთხრობების კრებულებია: „სოფლის დანაშაული", „მევენახე თავის ვენახში", „ბუნებრივი ისტორიები", „ბუკოლიკები", „ჩვენი მრისხანე ძმები", „ნათელი თვალი", „უჩინარი ფანრით" და სხვა. რენარს განსაკუთრებით ეხერხება ბავშვობისა და სოფლის აღწერა. სწორედ ამით აიხსნება ლირსება და პოპულარობა იმ ნაწარმოებისა, რომელმაც სახელი გაუთქვა. ეს ნაწარმოები „წითურია".

„წითური" რენარის ბავშვობის მოგონებაა, წიგნის საფუძველი ავტობიოგრაფიულია. მაგრამ თემა განზოგადებულია და დაკავშირებულია საფრანგეთის საზოგადოებრივ ისტორიასთან. წიგნში გათვალისწინებულია ფრანგული კრიტიკული რეალიზმის საუკეთესო ტრადიციები. ოსტატურად აღწერილია იმ ბავშვის ტანჯვა, რომელიც ბურჟუაზიულ საზოგადოებაში იზრდება და მშობლების ერთიერთობა შვილებთან დამახინჯებულია კერძო მესაკუთრული ინსტინქტებით.

რენარის ეს წიგნი მისთვის დამახასიათებელი სიტყვაძუნწი, ზუსტი, თავშეკავებული მანერით არის დაწერილი. გაურბის ყოველგვარ სენტიმენტალობას და ლრმად ემოციურია. ამ სტილით, ამ აფორისტული და სრულყმნილი სტილით რენარმა შესანიშნავად ასახა თავისი ეპოქა და გვერდით უდგას ფრანგული აფორისტული სტილის ისეთ ოსტატებს, როგორებიც არიან: ლაბრუიერი, ლაროშფუკო, ანატოლ ფრანსი. იგი „დღიურებში" ერთგან ამბობს: ჩემი წიგნები თითქოს ჩემს თავთან მიწერილი ბარათებია და სხვებს ნებას ვერთავ, გადაიკითხონო.

ქათმები

ფანტეკს და ბაის

—ვისაც უნდა დავენიძლავები, — ამბობს ქალბატონი ლეპიკი, — ონორინს ისევ დააკიწყდებოდა და ქათმებს კარს არ ჩაუკეტავდა.

სწორედ ასეა. გაიხედეთ ფანჯარაში და დარწმუნდებით, იქ, დიდი ეზოს სილრმეში პატარა საქათმის გალნიოშებული კარის ოთხკუთხედი ლამეში შავად იმზირება.

— ფელიქს, საქათმის კარი იქნებ შენ გადაგერაზა? — ეუბნება ქალბატონი ლეპიკი თავის სამ შვილში ყველაზე უფროსს.

— აქ მე იმიტომ არა ვარ, რომ ქათმებს კარი გადავურაზო! — ამბობს ფელიქსი, გაცრეცილი, უხალისო და მშიშარა ბიჭი.

— შენ, ერნესტინ?

— ოჰ, დედაჩემო, შიშით გული გამისკდება.

უფროსი ძმა ფელიქსი და და ერნესტინი თავს მაღლა ძლივს სწევენ, დედას რომ პასუხი გასცენ, წიგნის კითხვით არიან გატაცებულნი, იდაყვით მაგიდას ეყრდნობიან და შუბლებით თითქმის ერთმანეთს ეხებიან.

— ღმერთო ჩემო, რა სულელი ვარ! — ამბობს ქალბატონი ლეპიკი. ეს კი ალარ გამხსენებია. წითურო, წადი და საქათმის კარი გადარაზე!

ამ საალერსო სახელს ეძახის იგი თავის ნაბოლარა ვაჟს, რადგან წითელთმიანია და ჭორფლიანი. წითური, მაგიდის ქვეშ რომ თავს იქცევდა, დგება და დედას მორიდებით ეუბნება:

— დედიკო, რომ მეშინია?

— რაო? — ეუბნება ქალბატონი ლეპიკი — ამხელა ვირგლა მაინც არ იყო! სასაცილოა. ნუ აგვიანებ, გეთაყვა!

— ვინ არ იცის, რომ ვაციკვით მამაცია, — ამბობს ერნესტინი, მისი და.

— ქვეყანაზე არავისი და არაფრისა არ ეშინია, — ამბობს ფელიქსი, მისი უფროსი ძმა.

გაამაყებული და თან ამგვარი დაუმსახურებელი ქებით დარცხვენილი წითური ცდილობს შიშს მოერიოს. საბოლოოდ რომ გაამხნევოს, დედა ალაყურს პირდება.

— გამინათეთ მაინც, — ამბობს წითური.

ქალბატონი ლეპიკი მხრებს იჩეჩავს, ფელიქსი დამცინავად იღიმება. მხოლოდ გულჩვილი ერნესტინი იღებს სანთელს და მიჰყვება უმცროს ძმას დერეფნის ბოლომდე.

— აქ მოგიცდი, — ეუბნება იგი.

მაგრამ შეშინებული მალე გამორბის, რადგან ძლიერი ქარი აპარპალებულ სანთელს უქრობს.

წითურს შიშის ჟრუანტელი დაუვლის, ფეხს ველარ მოიცვლის და წყვდიადში აკანკალდება. ისეთი სიბნელეა, გარშემო თვალი ვერაფერს არჩევს და, ხომ არ დავბრმავდი, ეჭვი ეპარება. ზოგჯერ ქარი ტანზე ყინულის ზეწარივით ისე მოეხვევა, თითქოს თან უნდა წაიყოლოს. თითებზე და ღაწვებზე მელიის ან იქნებ მგლის სუნთქვას ხომ არა გრძნობს? ალბათ აჯობებს, საქათმისაკენ თავქუდმოგლეჯილი გაქანდეს და წყვდიადი გაარღვიოს. ხელის ცეცებით კარის რაზას აგნებს. მისი ფეხის ხმით დამფრთხალი ქათმები ქანდარაზე კაკანებენ და აქეთ-იქით აწყდებიან. წითური უყვირის:

— დაწყნარდით-მეთქი. მე ვარ, მე!

კარს გადარაზავს და ისე მოჰქრის, თითქოს ხელებზე და ფეხებზე ფრთები გამოსხმოდეს. როცა აქოშინებული სითბოსა და სინათლეში ამაყად ბრუნდება, ეჩვენება, რომ მძიმე ტალახიანი ძონძები ახალ და მსუბუქ სამოსზე გაცვალა. ამაყად იღიმება, წელში გამართული მილოცვას ელის და ახლა, როცა საფრთხე ალარ ემუქრება, თავისი ოჯახის წევრების სახეებზე იმ შეშფოთების კვალს ეძებს, მათ რომ განიცადეს.

მაგრამ უფროსი ძმა ფელიქსი, და ერნესტინი კვლავ დინჯად კითხულობენ წიგნს, ხოლო ქალბატონი ლეპიკი ჩვეულებრივი ხმით ეუბნება:

— წითურო, ახლა ქათმებს საღამოობით კარს შენ ჩაურაზავ ხოლმე.

კაკბები

ჩვეულებისამებრ ბატონი ლეპიკი თავის ნანადირევს მაგიდაზე ყრის. ამჯერად ეს ნანადირევი ორი კაკაბია. უფროსი ძმა ფელიქსი მათ რაოდენობას კედელზე დაკიდებულ გრიფელზე აღნიშნავს. ეს მისი ხელოვნებაა. ყველა ბავშვს თავისი მოვალეობა აქვს. და ერნესტინი ნანადირევს ბდღვნის და პუტავს. წითურს კი განსაკუთრებულად ევალება ჯერ კიდევ ცოცხალ ფრინველს ბოლო მოუთავოს. ამ განსაკუთრებულ პრივილეგიას იგი თავის საჭვეყნოდ ცნობილ გულქვაობას უნდა უმადლოდეს.

კაკბები ორთიან და თავებს ამოძრავებენ.

ქალბატონი ლეპიკი

რას ელოდები, რატომ არ გაათავებ?

წითური

დედა, ნანადირევს გრიფელზე მეც დიდი სიხარულით აღვნიშნავდი.

ქალბატონი ლეპიკი

გრიფელი შენთვის მეტისმეტად მაღლა ჰკიდია.

წითური

მაშ, მეც კაკბებს გავპუტავდი.

ქალბატონი ლეპიკი

ეგ კაცის საქმე არ არის.

წითური კაკბებს ხელში აიყვანს. მას წინასწარ არიგებენ და უმეორებენ იმას, რაც მისთვის ბევრჯერ გაუმეორებიათ:

— აი, აქ წაუჭირე, ხომ იცი, ყელზე, ბუმბულქვეშ.

წითურს ზურგს უკან ცალ-ცალ ხელში თითო კაკაბი უჭირავს და საქმიანობას იწყებს.

ქალბატონი ლეპიკი

ორივეს ერთად მოუგრიხე კისერი? ყოჩაღ!

წითური

ასე უფრო ხელად მოვიშორებდი.

ბატონი ლეპიკი

თავს აზიზ-მაზიზად ნუ მოგვაჩვენებ; გულში ალბათ კიდეც გსიამოვნებს.

კაკბები თავს იცავენ, ფართხალებენ, ფრთებს აფართხუნებენ და ბუმბულს აქეთ-იქით ფანტავენ. ეტყობა, სიკვდილს ვერასოდეს შეურიგდებიან. წითური ცალი ხელით ალბათ მეგობარს უფრო ადვილად დაახრჩობდა. ორივე კაკაბს მუხლებში იქცევს, სახეზე ხან სისხლმოწოლილი და ხან გაფითრებული ოფლად ილვრება. თავი მაღლა მიაქვს, რომ ვერაფერი დაინახოს და თითებს სულ უფრო მაგრად უჭერს.

კაკბები კი ისევ წინააღმდეგობას უწევენ.

იმ სურვილით გაშმაგებული, რომ ყველაფერს ბოლო მალე მოუღოს, კაკბებს ხელებს ფეხებში ავლებს და თავისი ფეხსაცმლის ცხვირებზე თავებს არტყმევინებს.

— ოჰ! ჯალათია, ჯალათი! —ყვირიან უფროსი ძმა ფელიქსი და ერნესტინი.

— უფრო და უფრო იწაფება, — ამბობს ქალბატონი ლეპიკი. — საცოდავი ფრინველები! არ ვისურვებდი, მათ მაგივრად, მე ჩავვარდნოდი ხელში.

ბატონი ლეპიკი თუმცა ძველი მონადირეა, მაგრამ გულარეული გაფრენა გარეთ.

— გათავდა! — ამბობს წითური და უსულო კაკბებს მაგიდაზე ყრის.

ქალბატონი ლეპიკი კაკბებს ხან აქეთ გადაატრიალებს, ხან — იქეთ, იმათ პაწაწინა თავებიდან სისხლი და ტვინი გადმოსდით.

— ხელიდან უნდა გამოგვეგლიჯა, — ამბობს დედა — რა ქენი, იჯერე გული?

უფროსი ძმა ფელიქსი ამბობს:

— ამჯერად ისე ვერ გამოუვიდა, როგორც ადრე გამოსდიოდა.

ძ ა ღ ლ ი

ბატონი ლეპიკი და ერნესტინი ლამპის ქვეშ მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილები კითხულობენ: პირველი — გაზეთს, მეორე — წიგნს, რომლითაც სკოლაში დააჯილდოვეს. ქალბატონი ლეპიკი ქსოვს, უფროსი ძმა ფელიქსი ღუმელს მუხლებით ეფიცხება, წითური კი მიწაზე ზის და ტკბილ მოგონებებს მისცემია.

უეცრად პირამი, რომელიც ჭილის ფარდაგზე თვლემს, ყრუდ ილრინება.

— სს! — აჩუმებს ბატონი ლეპიკი.

პირამი უფრო ძლიერ ილრინება.

— სულელი! — ამბობს ქალბატონი ლეპიკი.

მაგრამ პირამი ისეთ გაშმაგებულ ყეფას ატეხავს, რომ ყველანი შეშფოთდებიან. ქალბატონი ლეპიკი ხელს გულთან მიიტანს. ბატონი ლეპიკი, რომელიც კბილს კბილზე აჭერს, ძაღლს ცერად გახედავს. უფროსი ძმა ფელიქსი ილანძღება და მალე ყველანი ერთმანეთს აღარ უსმენენ.

— აღარ გაჩუმდები, შე საძაგელო! ხმა ჩაიწყვიტე-მეთქი, ეშმაკმა წაგიღოს!

პირამი ყეფას უმატებს. ქალბატონი ლეპიკი ხელს წამოარტყამს. ბატონი ლეპიკი ჯერ გაზეთს ურტყამს, მერე მუჯლუგუნით უმასპინძლდება. პირამი ილრინება და, რომ არ გალახონ, მოკუნტული და ჭილის ფარდაგში ცხვირწარგული ცოფიანივით ყმუის და იყეფება.

ლეპიკებს ბრაზი ახრჩობთ. გაშმაგებულნი გარს ერტყმიან ძირს გართხმულ ძაღლს, რომელიც დამორჩილებას სულაც არ აპირებს.

ფანჯრის მინები ზრიალებს, ღუმელის მილი ღუღუნებს და ერნესტინიც თითქოს წკმუტუნს იწყებს.

მაგრამ წითური ბრძანებას აღარ ელოდება და ამბის გასაგებად მიდის. ეუჩაში მიმავალი გვიანი მგზავრი თუა, აუჩქარებლად შინ რომ ბრუნდება, ან ბალის კედელზე ტურდი თუ გადმოდის.

წითური გრძელი და ბნელი დერეფნის კარისაკენ ხელგაწვდილი მიემართება. ურდულს ეოულობს და აჩახუნებს, მაგრამ კარს არ აღებს.

წინათ თავი საფრთხეშიც ბევრჯერ ჩაუგდია, გარეთაც გასულა, უსტვენია, უმღერია, ფეხებიც უბრახუნებია და მტრის დაფრთხობაც უცდია.

ახლა კი თვალთმაქცობს.

როცა მშობლებს ჰგონიათ, ყველა კუთხე-კუნჭულს მამაცურად ჩხრეკს და სახლს გარშემო დარაჯის ერთგულებით უვლისო, ამ დროს მათ ატყუებს, კარს უკან დგას და ფეხს არ იცვლის.

ერთხელაც იქნება ხაფანგში გაებმება. მაგრამ ეს ნაცადი ეშმაკობა ჯერჯერობით ჩინებულად გამოუდის.

მხოლოდ იმის შიში აქვს, ცხვირი არ დააცემინოს, ან [illegible] დაახველოს, სუნთქვაშეკრული დგას და ზევით რომ იხედება, პატარა ფანჯარაში, კარს ზემოთ სამი თუ ოთხი ვარსკვლავია, რომელთა წმინდა კაშკაში სულს სიცივით უვსებს.

მაგრამ უკვე დაბრუნების დროა. თამაშის გაჭიანურება სახიფათოა. ეჭვი შეეპარებათ.

იგი კვლავ თავისი სუსტი ხელებით ატრიალებს მძიმე ურდულს, რომელიც ჭრიალებს, სანამ ძალდატანებითა და ხმაურით ბოლომდე არ გაიწევა. დაე, ამ ხმაურმა აფიქრებინოთ, თუ რა შორს წასულა და თავის მოვალეობას რა პირნათლად მოჰკიდებია! წითურს შეაჯრჯოლებს და ოჯახის წევრების დასაწყნარებლად სწრაფად გამორბის.

ამასობაში, მის აქ არ ყოფნაში ადრინდელივით დაწყნარებული პირამი ჩუმად წევს, დამშვიდებულ ლეპიკებს თავთავიანთი ადგილები დაუკავებიათ და თუმცა მისთვის არავის არაფერი უკითხავს, წითური მაინც ჩვეულებისამებრ ამბობს:

— ეტყობა, ძაღლს რაღაც მოეჩვენა.

კოშმარი

წითურს ოჯახის მეგობრები არ უყვარს. ისინი ავიწროებენ, მის საწოლს იკავებენ და აიძულებენ, ღამე დედის გვერდით, მის საწოლში გაათიოს. და თუკი მას დღისით ყველა ადამიანური მანკიერება ახასიათებს, ღამით ძირითადად ეგ არის, რომ ხვრინავს. და ხვრინავს განზრახ, ეს დღესავით ნათელია.

დიდ ოთახში, რომელიც აგვისტოშიაც კი გაყინულია, ორი საწოლი დგას. ერთი ბატონი ლეპიკისაა, მეორე საწოლში დედის გვერდით, კედელთან წითური წვება.

სანამ დაიძინებდეს, ზეწარში ჩუმად ახველებს, რომ ყელი ჩაიწმინდოს. მაგრამ იქნებ ცხვირით სულაც არა ხვრინავს? იგი ნესტოებით ჩუმად ჰაერს ისრუტავს, რომ დარწმუნდეს, ცხვირი დაცობილი არა მაქვსო, და ცდილობს ხმამაღლა ისუნთქოს.

მაგრამ ჩაეძინება თუ არა, ხვრინვას ამოუშვებს; თითქოს ბედისწერასავითაა.

იმწამსვე ქალბატონი ლეპიკი ორ ფრჩხილს უყრის მეტისმეტად მსუქან დუნდულაზე ისე, რომ უსისხლიანებს კიდეც, აი, ასეთი ზემოქმედების საშუალება აქვს არჩეული.

წითურის ყვირილზე უეცრად გაღვიძებული ბატონი ლეპიკი ცოლს ეკითხება:

— რა დაგემართა?

— კოშმარი აქვს, — ეუბნება წითურზე ქალბატონი ლეპიკი.

და ძიძასავით ლილინებს იავნანას, რომელიც ინდიელთა მელოდიას უფრო წააგავს.

მიბჯენილი შუბლითა და მუხლებით კედელზე ისე, რომ თითქოს მისი განგრევა მოუნდომებიათ, დუნდულაზე ხელმიფარებული, რომ ჩქმეტა არ იგრძნოს, რადგან ხვრინვას ამოუშვებს თუ არა, მაშინვე ჩქმეტა [illegible] წითური განიერ საწოლზე, დედის გვერდით კედელთან კვლავ [illegible]

თქვენის ნებართვით

საჭირო კი არის, ან ამაზე უნდა კი ვილაპარაკოთ? იმ ასაკში, როცა სხვა ბავშვები, განწმენდილნი სულითა და სხეულით, ზიარებულნი არიან წმინდა საიდუმლოს, წითურს მარცხი ისევ მოსდის. ერთხელ, ღამით დიდხანს ითმინა, რადგან ვერ ბედავდა ეთქვა, გარეთ გავალო.

იფიქრა, მოვიკუნტები, თანდათობით ალარ შემაწუხებს და დავმშვიდდებით.

საქმეში ხარ!

ერთხელ დაესიზმრა, ვითომ მოხერხებულად მოეწყო განზე მდგომი ქვის ბოძის პირდაპირ და ზეწარში კი არ გაუშვა, სრულიად უბიწოდ. ღრმა ძილში... და გამოელვიძა.

მის გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, ქვის ბოძი რომ ალარსად იყო!

ქალბატონი ლეპიკი თავს იკავებს, რომ არ გაბრაზდეს. ლოგინს უცვლის მშვიდად, სათნოებით, დედური მზრუნველობით, ის კი არა, დილით, როგორც განებივრებული ბავშვი, წითური საწოლში საუზმობს.

დიახ, მისთვის სუპი საწოლში მოაქვთ, კარგად შეკმაზული სუპი, რომელშიც ქალბატონმა ლეპიკმა ხის ჩამჩით მცირეოდენი რალაც გაურია, ოჰ, სულ მცირეოდენი!

თავსასთუმალთან უფროსი ძმა ფელიქსი და ერნესტინი წითურს ცბიერი სახით თვალს ადევნებენ და მზად არიან პირველსავე ნიშანზე სიცილი აიტეხონ. ქალბატონ ლეპიკს თავისი ბავშვის პირთან, როგორც ჩიტს მარცვალი მარცვალზე, კოვზი ისე მიაქვს.

დედა თვალს უკრავს ძმას ფელიქსს, დას ერნესტინს და თითქოს ეუბნება:

— ყურადღება! მოემზადეთ!

— დიახ, დედიკო.

ისინი წინასწარ ერთობიან, როცა წარმოიდგენენ, თუ წითური როგორ დაილრიჯება; კარგი იქნებოდა, ერთ-ორი მეზობლისათვისაც რომ დაეძახა

და აი, ქალბატონი ლეპიკი მზერას კიდევ ერთხელ ესვრის თავის უფროს შვილებს და თითქოს ეკითხება:

— აბა, მზადა ხართ?

და სჩრის ნელ-ნელა უკანასკნელ კოვზს ხორხამდე მეტისმეტად ირდალებულ წითურს. ჰყიპავს, ატენის და თან დაკინვითა და ზიზღით სწრაფად ეუბნება:

— აჰ! ჩემო ბატარა ფეთხუმო, შეგაჭამე თუ არა, შეგაჭამე თუ არა. ს შენი საკუთარი, ის შენი გუშინდელი.

— ასეც ვიფიქრე, — ამბობს წითური უბრალოდ, თუმცა მოელოდნენ, რომ დაილრიჯებოდა.

წითური ამას თანდათან შეეჩვია და როცა ადამიანი რაიმეს შეეჩვევა, ბოლოს სასაცილო სრულებით ალარ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქოთანი

I

საწოლში მარცხი რაკი კიდევ ბევრჯერ მოუვიდა, წითური ყოველ საღამოს ცდილობს ფრთხილად იყოს. ზაფხულში ეს უფრო ადვილია. ცხრა საათზე, ქალბატონი ლეპიკი დასაძინებლად რომ გაისტუმრებს, წითური ჯერ გარეთ სიხარულით გაისეირნებს ხოლმე და მერე ღამე მშვიდად ჩაივლის.

ზამთარში კი გასეირნება მძიმე მოვალეობად გადაიქცევა. მართალია, რომ ჩამოღამდება და საქათმის ჩასაკეტად წავა, თადარიგს იჭერს, მაგრამ ცოტა იმედია, რომ დილამდე ეყოს. ისადილებენ, 9 საათზე საათი დარეკავს, დიდხანს იფხიზლებენ. გარეთ უკვე ღამეა და ღამე ალბათ კიდევ უსასრულოდ გაგრძელდება. წითური იძულებულია გარეთ ერთხელ კიდევ გავიდეს.

და აი, ამ საღამოს იგი თავის თავს ისე ეკითხება, როგორც საღამოობით ადრეც შეეკითხვია:

— გინდა? თქვი-მეთქი, გინდა თუ არა?

ჩვეულებრივად „მინდაო“, თავს ასე პასუხობს, რადგან გულწრფელად რომ ითქვას, ან უკანდახევაა შეუძლებელი ანდა მთვარე თავისი ციმციმით ამხნევებს. ზოგჯერ ბატონი ლეპიკი და უფროსი ძმა ფელიქსი მაგალითს აძლევენ. იძულებული სულაც არ არის, რომ აუცილებლად სახლს მუდამ დაშორდეს და მივიდეს ქუჩის თხრილამდე, რომელიც უკვე თითქმის მინდორშია. უფრო ხშირად კიბესთან დგება, გარემოების მიხედვით.

მაგრამ ამ საღამოს წვიმამ ფანჯრის მინები ჩამოაბნელა, ქარმა ვარსკვლავები ჩააქრო და სულ ახლოს კაკალი იფოფრება.

— საქმე თითქოს ცუდად არ უნდა იყოს, — აუჩქარებელი განსჯის შემდგომ ასკვნის წითური, — არა, დღეს გარეთ გასვლა ნამდვილად არ მინდა.

ყველას ეუბნება „ღამე მშვიდობისა“, სანთელს უკიდებს და მიეშურება დერეფნის სიღრმეში, სადაც მარჯვნივ მისი ბნელი და განმარტოებული ოთახია. მერე სამოსს იხდის, წვება და დედის მოსვლას ელოდება. ქალბატონი ლეპიკი მკვეთრი მოძრაობით საბანს უსწორებს და სანთელს უქრობს. სანთელს კი უტოვებს, მაგრამ ასანთი თან მიაქვს და კარს უკეტავს, რადგან წითური მშიშარაა. თავიდან წითური თავის მარტოობით ტკბება, რადგან სიბნელეში ოცნება უყვარს. განვლილ დღეს იხსენებს, უხარია, დღეს ადვილად გადაურჩით, ფიქრობს, ხვალაც ასევე ადვილად გადავრჩებით, თავს იმით იიბეებს, რომ ქალბატონ ლეპიკს მისთვის ორ დღეს არ ეცლება და ამ ტკბილი ოცნებით ცდილობს დაიძინოს.

ჯერ თვალებიც არ დაუხუჭავს, რომ ნაცნობი საწუხარი ეუფლება.

„ეოსალოდნელი იყო“, — თავისთვის ფიქრობს წითური.

სვა წამოდგებოდა, მაგრამ წითურმა იცის, რომ საწოლქვეშ ქოთანი არა დას. თუმცა ქალბატონ ლეპიკს შეუძლია გულზე ხელი დაიდოს და

თქვას: დავდგიო. მაგრამ ქოთნის დადგმა სულ მუდამ ავიწყდება. ან რა საჭიროა ეს ქოთანი, თუკი წითური დაძინების წინ გარეთ გაისეირნებს ხოლმე?

და წითური, იმის მაგივრად რომ წამოდგეს, ფიქრს ეძლევა.

— ადრე იქნება თუ გვიან, უნდა დავმორჩილდე, რაც უფრო მეტ ხანს ვუძალიანდები, უფრო მეტი გროვდება. მაგრამ თუ ახლა ვიზამ [illegible] ზამ და ჩემი სხეულის სითბო ზეწარს დროზე გააშრობს, დარწმუნებული [illegible] წარსულის მაგალითით, რომ დედაჩემი ვერაფერს მიხვდება.

წითური თავისუფლდება, თვალებს მშვიდად ხუჭავს და ტკბილად იძინებს.

II

უეცრად ელვიძება და თავის მუცელს ყურს უგდებს.

— ოჰ! ოჰ! — ამბობს ის — ეს რა ამბავია!

ასე ეგონა, დილამდე თავი გავინთავისუფლეო, რა ტყუილი იმედი გამოდგა! წუხანდელი სიზარმაცის ბრალია. ახლა კი განკითხვის ჟამი ახლოვდება.

საწოლში წამოჯდება და ცდილობს მოისაზროს, თუ რა იღონოს, კარი გასაღებით არის დაკეტილი. ფანჯარაზე ცხაურია. თავის დაღწევა შეუძლებელია.

მაინც ზეზე დგება და კარსა და ფანჯარაზე ცხაურის მოსასინჯად მიდის. მერე ძირს ხოხავს და ხელის ცეცებით ქოთანს ეძებს, თუმცა კარგად იცის, რომ იქ არ დახვდება.

კვლავ საწოლში წვება და მერე ისევ დგება. ურჩევნია იმოძრაოს, გაიარ-გამოიაროს, ფეხები აბაკუნოს, ვიდრე იწვეს, და ორივე ხელით გამობერილ მუცელს აწვება.

— დედა! დედა! — გაუბედავად ეძახის იმის შიშით, ვაითუ გაიგონოსო, რადგან ქალბატონი ლეპიკი თუ უცებ მის წინ აღიმართა, წითურს გადაუვლის და დედა იფიქრებს, მასხრად ამიგდოო, მხოლოდ იმიტომ ეძახის, რომ მართალი იყოს, როცა ეტყვის, გეძახდიო.

ან როგორ უნდა იყვიროს? როცა მთელი ძალ-ღონით იმას ცდილობს, მოსალოდნელი უბედურება თავს რაც შეიძლება გვიან დაატყდეს.

მალე გაუსაძლისი ტკივილი წითურს ცეკვას დააწყებინებს. ჯერ კედელს ეჯახება, კედელი უკან ისვრის, მერე რკინის საწოლს ეჯახება. მერე — სკამს, ბოლოს — ბუხარს, ბუხარს რკინის საფარს გაშმაგებით აძრობს და შეშის ორ ქვესადგამს შორის წავარდება მოკრუნჩხული, დამარცხებული, უზომოდ ბედნიერი.

ოთახში კი უფრო და უფრო ბნელდება.

III

წითურს მხოლოდ დილით ჩაეძინება და ტკბილად სძინავს, როცა ქალბატონი ლეპიკი კარს გააღებს. მას იმ ადამიანის გამომეტყველება აქვს, რომელიც ჰაერს ცხვირით ყნოსავს.

— რა უცნაური სუნია! — ამბობს იგი.

— სალამი, დედა! — ამბობს წითური.

ქალბატონი ლეპიკი ზეწარს აძრობს და ოთახის ყველა კუთხე-კუნჭულს ყნოსავს, მაგრამ ეს მისი ძიება დიდხანს არა გრძელდება.

— ცუდად ვიყავი, ქოთანი კი არსად იყო, — სწრაფად ამბობინებს წითური, რადგან ხვდება, რომ ყველაზე უკეთ თავს ასე დაიცავს.

— მატყუარა ხარ, მატყუარა! — ეუბნება ქალბატონი ლეპიკი.

მერე ოთახიდან გარბის და ბრუნდება ხელში ქოფნილ-ტომარასაც მალავს და სწრაფად საწოლქვეშ შეაცურებს; წითურს საწოლიდან წამოაგდებს, ყველას თავს აქ მოუყრის და ჩივილს იწყებს:

— ღმერთო, რა დაგიშავე, რომ ასეთი შვილი მომეცი?

და მაშინვე მოაქვს ჩვარი, წყლიანი ვედრო და ვითომ ცეცხლის ჩასაქრობად ბუხარში წყალს ასხამს, ლოგინს ბერტყავს და აფუსფუსებული საცოდავად „ჰაერიო! ჰაერიო!" მოსთქვამს.

მერე უეცრად წითურს ცხვირწინ ხელს აუქნევს და უყვირის:

— უბედურო! მაშ, მთლად გამოსულელდი! სულ მთლად გადაგვარდი და გაპირუტყვდი! ქოთანზე პირუტყვი რომ დამესვა, ისიც კი მოიხმარდა. შენ კი ბუხარში გდება მოინდომე. ღმერთო, ღმერთო, ნამდვილად ჭკუას დამაკარგვინებს და სული, როგორც ვიყს, როგორც გიყს-მეთქი, ისე ამომძვრება!

პერანგიანი და ფეხშიშველი წითური ქოთანს დაჰყურებს. ღამის ქოთანი არსად იყო, ახლა კი აგერ აქა დგას, საწოლის ფეხთან. ეს ცარიელი, თეთრი ქოთანი თითქოს აბრმავებს და რომ გაჯიუტდეს და თქვას, ვერაფერს ვხედავო, ნამდვილად უტიფრობა იქნება.

შეწუხებული ოჯახი, კართან ჩავლილი მეზობლები, დამცინავად რომ იმზირებიან, ახლახან მოსული ფოსტალიონი წითურს შეკითხვებით თავს აბეზრებენ.

— გულწრფელად გეუბნებით! — ამბობს ბოლოს წითური და თან ქოთანს თვალს არ აშორებს, — მე არაფერი აღარ ვამეგება. თქვენ თვითონ განსაჯეთ.

კურდღლები

— შენთვის ნესვი აღარ დარჩა. — ეუბნება წითურს ქალბატონი ლეპიკი. — თუმცა შენ მე მგავხარ, ნესვი არც შენ გიყვარს.

„სწორედ რომ ბედი მწყალობს", ფიქრობს წითური.

ამგვარად ახვევენ მას თავს თავიანთ სურვილებსა და მიდრეკილებებს. ასეა დაკანონებული, მას მხოლოდ ის უნდა უყვარდეს, რაც დედას უყვარს.

სუფრაზე ყველი მოაქვთ.

— დარწმუნებული ვარ, — ამბობს ქალბატონი ლეპიკი — წითური ყველს პირს არ დააკარებს.

წითური ფიქრობს:

„რახან ასეა დარწმუნებული, როგორ გავაწბილო".

ამავე დროს მან იცის, რომ გაწბილება სახიფათო იქნება.

სამაგიეროდ შესძლებს და თავის უცნაურ სურვილებს დაიკმაყოფილებს იმ კუთხე-კუნჭულებში, რომლის არსებობაც მხოლოდ მან იცის. დესერტზე ქალბატონი ლეპიკი წითურს ეუბნება:

— ნესვს რაც მორჩა, წადი, კურდღლებს წაუღე.

წითური დავალებას ასრულებს, პატარ-პატარა ნაბიჯებს ადგამს და თეფში ისე უჭირავს, რომ ძირს არაფერი გადმოუვარდეს.

თავშესაფარში როცა აღმოჩნდება, ფეხის ხმაზე ყურებდაცქვეტილი კურდღლები ჰაერს ყნოსავენ, წინა თათებს მაღლა ისე იშვერენ, თითქოს დოლი უნდა დაუკრანო, და შემოსულის ირგვლივ დაფუსფუსებენ.

— ოჰ! მოითმინეთ, — ამბობს წითური — ერთი წამით, გეთაყვა, ჯერ გავანაწილოთ.

ქათმის სკინტლში, ფესვებამდე დაღრღნილ ჯვრიანაზე, კომბოსტოს მურკებზე და ბალბის ფოთლებზე დამჯდარი წითური კურდღლებს ნესვის კურკებს უყრის და წვენს კი თვითონ ხვრეპს: ნესვის წვენი ბადაგივით ტკბილია.

მერე კბილებით აცილებს ნესვის ნაჭრებზე შერჩენილ ყვითელ შაქარს, იმას, რასაც შეიძლება წვენი კიდევ გამოუვიდეს, და მწვანე ქერქებს მის გარშემო დასკუპულ კურდღლებს უყრის.

თავშესაფრის კარი ჩაკეტილია.

შუადღის მზე კრამიტების ჭუჭრუტანებში იჭყიტება, რომ სხივები გრილ ჩრდილში ჩამოასვენოს.

თ ო ხ ი

უფროსი ძმა ფელიქსი და წითური გვერდიგვერდ თოხნიან. ორივეს თავ-თავისი თოხები აქვთ. უფროს ძმას ფელიქსს თავისი ზომისა უჭირავს, მჭედლის გამოკვერილი, რკინისა. წითურის თოხი კი ხისაა, თავისი გამოთლილია. მიწას თოხს ურტყამენ, შრომობენ და სისწრაფეში ერთმანეთს ეჯიბრებიან. უცებ, როცა სრულებით არ ელოდება (ყოველგვარი უბედურება ადამიანს სწორედ მაშინ ემართება, როცა არ ელოდება), წითურს შუბლში თოხი გამეტებით ხვდება.

რამდენიმე წამში ფრთხილად გადაჰყავთ და საწოლზე აწვენენ უფროს ძმას ფელიქსს, რომელიც ცუდად შეიქნა, უმცროსი ძმის შუბლზე სისხლი რომ დაინახა. ყველანი აქ არიან,ფეხზე დგანან, თითისწვერებზე დადიან, შეშფოთებულები ვიშვიშებენ.

— მარილი სად არის?

— ცოტა წყალი მომირბენინეთ, გეთაყვა, საფეთქლები რომ დავუზილო.

წითური სკამზე დგება, მხრების მილმა, თავებს შორის ძმა რომ დაინახოს. შუბლი უკვე შეხვეული აქვს გაწითლებული ტილოთი, რომელიც გვერდზე მოჰქცევია და სისხლი მოყონავს.

ქალბატონი ლეპიკი ეუბნება:

— კარგად კი უჭმევია!

ხოლო მისი უმცროსი და, ერნესტინი, რომელიც ჭრილობას უხვევს, დასძენს:

— ისეა შესული, როგორც კარაქში.

წითურს არ უყვირია, რადგან აგრძნობინეს, ყვირილი შედეგს არ გამოიღებსო.

მაგრამ აი, უფროსი ძმა ფელიქსი ჯერ ცალ თვალს ახელს, მერე — მეორეს. შიშმა უკვე გაუარა და, როგორც კი ნელ-ნელა ფერი უბრუნდება, ახლობლებს გულზე ეშვებათ.

— შენი გამოსწორება არ იქნა! — ეუბნება წითურს ქალბატონი ლეპიკი, — ვერ მოერიდე, შე პატარა ბრიყვო!

თოფი

ბატონი ლეპიკი შვილებს ეუბნება:

— ერთი თოფი ორივეს გეყოფათ. მოყვარულ ძმებმა ერთმანეთი საზიარო უნდა ჰქონდეთ.

— დიახ, მამა, — პასუხობს უფროსი ძმა ფელიქსი, — ჩვენ თოფს რიგრიგობით ვიხმართ, მე ისიც მეყოფა, თოფს წითური თუ ხანდახან ხელში დამაჭერინებს.

წითური არც ჰოს ამბობს, არც არას, უნდობლად იმზირება.

ბატონი ლეპიკი მწვანე ბუდიდან თოფს იღებს და ამბობს:

— თოფს თქვენში თავიდან ვინ დაიკავებს? მე მგონი, ჯერ უფროსმა უნდა დაიკავოს.

უფროსი ძმა ფელიქსი

ამ პატივს წითურს ვუთმობ. დაე, თავიდან მან დაიკავოს!

ბატონი ლეპიკი

ფელიქს, ამ დილით თავაზიანად იქცევი, ამას დავიხსომებ.

ბატონი ლეპიკი წითურს მხარზე თოფს ჩამოჰკიდებს.

ბატონი ლეპიკი

გასწით, ჩემო ბიჭებო, გაერთეთ, ოღონდ ჩხუბი არ მოგვიდეთ.

წითური

ძაღლი თან არ წავიყვანოთ?

ბატონი ლეპიკი

რა საჭიროა. ერთი თქვენგანი მეორის გარშემო ძაღლივით იხტუნავებს. სხვათა შორის, ისეთი მონადირეების ხელით, თქვენ რომ ხართ, ნადირი კი არ დაიჭრება, უსულოდ დაეცემა.

წითური და უფროსი ძმა ფელიქსი მიდიან. ისინი ჩვეულებრივი, ყოველდღიური სამოსით არიან წამოსული. გულს აკლიათ, რომ მაღალყელიანი წაღები არ აცვიათ, მაგრამ ბატონმა ლეპიკმა განუცხადა, ნამდვილი მონადირე წაღებს ვერ იტანსო. თვითონ ნამდვილი, ქუსლებამდე ჩამოშვებული მონადირული შარვალი აცვია, ტოტებს არასოდეს იკეცავს, ასე მოაბიჯებს ტალახშიც და ნახნავშიც და მოკლე ხანში ეს შარვალი მაგარ ბუნებრივ წაღებად გადაექცევა ხოლმე, მუხლებამდე ტალახში ამოგანგლული აქვს და მოახლემ მოწიწებით უნდა ჩაიბაროს.

— ალბათ პირში ჩალაგამოვლებულები არ დავბრუნდებით, — ამბობს უფროსი ძმა ფელიქსი.

— იმედია, — ამბობს წითური.

იგი გრძნობს, რომ მხარი ექავება და იარაღის მოკარებაზე ცეცხლი ეკიდება.

— აი, — ეუბნება უფროსი ძმა ფელიქსი, — თოფის ტარებით გაგაძღე თუ არა!

— შენ ნამდვილი ჩემი ძმა ხარ, — პასუხობს წითური.

მაგრამ აი, წინ ბელურების გუნდი აუფრინდებათ, წითური შედგება და უფროს ძმას ფელიქსს ანიშნებს, ფეხი არ მოიცვალოთ. ბელურების გუნდი ერთი ლობიდან მეორეზე გადაინაცვლებს. წახრილი მონადირეები ჩუმად ეპარებიან ბელურებს, რომლებიც თითქოს თვლემენ. მაგრამ უცებ ბელურების მოუსვენარი გუნდი ჟღურტულით ადგილს მოსწყდება და ორივე მონადირე ზეზე წამოდგება; უფროსი ძმა ფელიქსი იგინება. წითურს თუმცა გული უფართხალებს, მაგრამ თავს უფრო იკავებს. იმ წამისა ეშინია, როცა თავისი სიმარჯვის დამტკიცება მოუწევს.

რომ ააცილოს! ყოველგვარი შეფერხება მდგომარეობას უმსუბუქებს.

თუმცა ამჯერად ბელურები თითქოს მას უცდიან.

უფროსი ძმა ფელიქსი

არ ესროლო, შორს არიან.

წითური

ასე გგონია?

უფროსი ძმა ფელიქსი

ეშმაკმა დასწყევლოს! მუდამ მოტყუვდები, როცა აი, ასე ქვემოდან შეჰყურებ. ახლოს მეჩვენება და ძალიან შორს კია.

და უფროსი ძმა ფელიქსი, რომ დაუმტკიცოს მართალი ვარო, წამოდგება. დამფრთხალი ბელურები ისევ გაფრინდებიან.

მხოლოდ ერთი შერჩება ტოტის წვერს, რომელიც იზნიქება და ქანაობს. ბელურა ბოლოს აქანქარებს, თავს ატრიალებს, თავის პაწია მუცელს აქეთ იშვერს.

წითური

ამას ნამდვილად შემიძლია ვესროლო. ვიცი, არ დავაცილებ.

უფროსი ძმა ფელიქსი

გაიწი, შემახედე. ხო, ნამდვილად ვერსად წაგვივა. სწრაფად, აბა ერთი თოფი მომეცი.

და აი, წითური უკვე ხელცარიელი დგას, პირდაღებული, უთოფოდ, მის ადგილზე, მის ცხვირწინ უფროსი ძმა ფელიქსი მხარზე თოფშეგდებული უმიზნებს, ისვრის და ბელურა ძირს ეცემა.

თითქოს ჯიბიდან ამოუცლიათო, წითურს ახლახან თოფი ჰქონდა მიკრული, მერე ააცალეს და აი, ახლა დაბრუნებული ისევ ხელში უჭირავს, რადგან უფროსმა ძმამ ფელიქსმა თოფი მას შეაჩეჩა, თვითონ კი ძალლივით მიხტუნავს, რომ ბელურა ხელში აიღოს, და წითურს ეუბნება:

— რა დოყლაპია ხარ,უფრო სწრაფად უნდა მოიქცე

წითური

შენ ხომ სწრაფი ხარ.

უფროსი ძმა ფელიქსი

კარგი, ნუ გაიბერე!

წითური

რა ვქნა, ვიმღერო?

ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲫᲛᲐ ᲤᲔᲚᲘᲥᲡᲘ

ბელურა ხომ ჩვენია, რაღა გატირებს, განა ვერ დააცილებდეო?

ᲬᲘᲗᲣᲠᲘ

ო! მე კი...

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲫᲛᲐ ᲤᲔᲚᲘᲥᲡᲘ

შენ ესროლე თუ მე, სულერთი არ არის! დღეს თუ მე მოვკალი ბელურა, ხვალ შენ მოკლავ.

ᲬᲘᲗᲣᲠᲘ

აჰ, ხვალ!..

ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲫᲛᲐ ᲤᲔᲚᲘᲥᲡᲘ

მე გპირდები.

ᲬᲘᲗᲣᲠᲘ

ვიცი! სულ ასე არა მპირდები წინა დღით!

ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲫᲛᲐ ᲤᲔᲚᲘᲥᲡᲘ

გეფიცები! ახლა კმაყოფილი ხარ?

ᲬᲘᲗᲣᲠᲘ

მოიცა! მოდი ახლა სხვა ბელურა ვნახოთ; თოფს მეც გამოვცდი.

ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲫᲛᲐ ᲤᲔᲚᲘᲥᲡᲘ

არა, ახლა უკვე გვიანაა. დავბრუნდეთ, დედამ ამის შეწვა ხომ უნდა მოასწროს. ამას მე შენ გაძლევ, აჰა, ჯიბეში ჩაიდე, სულელო, ისე ქენი, რომ ნისკარტი გარეთ ჰქონდეს გამოჩრილი.

მონადირეები შინ ბრუნდებიან. გზაზე გლეხი ხვდებათ, ესალმება და ეკითხება:

— ბიჭებო, რა ქენით, ბოლოს მამა ხომ არ შემოგაკვდათ?

ნასიამოვნებ წითურს წყენა ავიწყდება. სახლში შერიგებულნი და გამარჯვებულნი შედიან და ბატონი ლეპიკი მათ დანახვაზე გაკვირვებული კითხულობს:

— როგორ, წითურო, თოფი ისევ შენ გიკავია! სულ შენ გეკავა?

— თითქმის, — პასუხობს წითური.

ᲗᲮᲣᲜᲔᲚᲐ

წითურს გზაზე საკვამურის მწმენდავი ბიჭივით შავი თხუნელა ხვდება. მასთან თამაშით გულს რომ იჯერებს, მოკვლას დაუპირებს. რამდენჯერმე ჰაერში ისე მოხერხებულად აისვრის, რომ ძირს წამოსული ქვაზე დაენარცხოს.

თავიდან ყველაფერი კარგად და სწრაფად მიდის.

თხუნელას უკვე დალეწილი აქვს თათები, გატეხილი აქვს თავი, ჩალეწილი აქვს ზურგი და თითქოს საცაა სული უნდა ამოუვიდეს.

მაგრამ გაოცებული წითური ხედავს, რომ თხუნელა სიკვდილს არა ჩქარობს; თუნდაც სახლის სახურავზე მაღლა ცაში აისროლო, საქმე წინ არ მიიწევს.

— აი, ხათაბალა! მაინც არა კვდება, — ამბობს იგი.

სინამდვილეში კი გასრესილი თხუნელა სისხლით გათხუპნულ ქვაზე გდია. სიმსუქნით გატიკნული მუცელი ლაბასავით უთიმთიმებს და კაცს ეგონება, ცოცხალიაო.

— აი, ხათაბალა! — ყვირის გაცოფებული წითური, — არა და [illegible] კვდება!

მერე თხუნელა ხელში აჰყავს, თათხავს და სხვანაირად უნდა [illegible], წორდეს.

თხუნელას საბეალეწილი, თვალცრემლიანი აფურთხებს, და, რაც ძალი და ღონე აქვს, ქვაზე ანარცხებს.

მაგრამ თხუნელას ფორმადაკარგული მუცელი ისევ უთიმთიმებს.

და რაც უფრო გაშმაგებით ურტყამს წითური, თხუნელა სიკვდილს მით უფრო არ აპირებს.

ი ო ნ ჯ ა

წითური და უფროსი ძმა ფელიქსი წირვიდან ბრუნდებიან; ოთხი საათისათვის შინ უნდა იყვნენ, რომ სადილობამდე შენაყრდნენ.

უფროს ძმას ფელიქსს ყარაჭიანი ან მურაბიანი ტარტინი ერგება, წითურს კი ცარიელი ტარტინი, რადგან დიდობა მეტისმეტად ადრე მოინდომა და სხვების თანდასწრებით განაცხადა: მსუნაგი არა ვარო. აქაოდა, უბრალოზე უბრალო შეუკმაზავი საჭმელი მიყვარსო, სხვების დასანახად შავ პურს მეტისმეტი მონდომებით შეეჭცევა და ახლაც უფროს ძმაზე ფელიქსზე უფრო სწრაფად მიაბიჯებს, რომ რაც ეკუთვნის, ძმაზე ადრე მას მიართვან.

ზოგჯერ ხმელი პური წითურს ქვასავით ეჩვენება და ისე დაეძგერება ხოლმე, თითქოს მტერზე შეტევა მიაქვსო, ჩაბლუჯავს, კბილებს ჩაასობს და ისე ფლითავს, ისე აჭუცმაცებს, რომ აქეთ-იქით ნამცეცები ცვივა და ირგვლივ მსხდომი ნათესავები ცნობისმოყვარეობით აცქერდებიან.

მისი სირაქლემას კუჭი ქვასაც კი, დაჟანგებულ სუსაც კი მოინელებს.

ერთი სიტყვით, წითური ცხვირს არაფერს უბზუებს.

იგი კარის ურდულს ეჯაჯგურება, კარი დაკეტილია.

— მშობლები შინ უნდა იყვნენ, ფეხით დააბრახუნე, — ეუბნება ძმას წითური.

უფროსი ძმა ფელიქსი ლურსმნებით დაჭედილ მძიმე კარს ლანძღვით დაეჯახება და ზედ ხელით კარგა ხანს აბრახუნებს. მერე კი მთელი ძალით ორივენი მხრით ამაოდ აწვებიან.

წითური

არა, ნამდვილად შინ არ არიან.

უფროსი ძმა ფელიქსი

სად უნდა იყვნენ?

წითური

ვინ იცის. მანამდე აქ ჩამოვჯდეთ.

ქვის კიბეზე დუნდულები ეყრებათ, თან შიშველ ფეხებს ვეღარ უძლებენ, ამოქნარებენ, მკერდზე მჯიღს იცემენ და აღშფოთებას ასე გამოხატავენ.

უფროსი ძმა ფელიქსი

არც იფიქრონ, რომ მე იმათ დავუცდი!

ᲬᲘᲗᲣᲠᲘ

სხვა არც არა დაგვრჩენია რა.

ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲫᲛᲐ ᲤᲔᲚᲘᲥᲡᲘ

მე იმათ ვერ დავუცდი. შიმშილით სიკვდილს არ ვაპირებ. ახლავე შევჭამ, სულერთია, თუგინდ ბალახიც იყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲬᲘᲗᲣᲠᲘ

ბალახი? ეგ აზრი ცუდი არ არის, მშობლებს კარგად გავაცურებთ.

ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲫᲛᲐ ᲤᲔᲚᲘᲥᲡᲘ

აბა რა! ხალხი სალათას ხომ შეეჭცევა. ჩვენში დარჩეს და, იონჯა, მაგალითად, ისეთივე ნაზი ბალახი არ არის, როგორც სალათა? იგივე სალათაა, ოღონდ ზეთი და ძმარი არა აქვს ნაქნარი.

ᲬᲘᲗᲣᲠᲘ

და ერთმანეთში არევაც არ უნდა.

ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲫᲛᲐ ᲤᲔᲚᲘᲥᲡᲘ

თუ გინდა დაგენიძლავები, რომ მე კი შევჭამ იონჯას, მაგრამ შენ პირსაც არ დააკარებ.

ᲬᲘᲗᲣᲠᲘ

შენ რატომ შეჭამ და მე რატომ არა?

ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲫᲛᲐ ᲤᲔᲚᲘᲥᲡᲘ

ხუმრობა იქით იყოს, დამენიძლავები?

ᲬᲘᲗᲣᲠᲘ

მაგას გვირჩევნია, მეზობლებს თითო პურის ნატეხი და ზედ დასაყოლებლად ცოტა მაწონი ვთხოვოთ.

ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲫᲛᲐ ᲤᲔᲚᲘᲥᲡᲘ

მე იონჯა მირჩევნია.

ᲬᲘᲗᲣᲠᲘ

კარგი, წავიდეთ!

მალე თვალწინ მადისაღმძვრელი იონჯათი მწვანედ ახასხასებული მინდორი გადაეშლებათ. როგორც კი მინდორზე ფეხს დაადგამენ, იმით ერთობიან, რომ ბალახზე ფეხსაცმელს მიაჩოჩიალებენ, თითო ყლორტებს სრეესენ, ბალახს ვიწრო ბილიკად მისთელავენ, რომ მერე მნახველი აღშფოთდეს და დიდხანს კითხულობდეს: „ნეტავ აქ რა მხეცმა გაიარაო?“

სიცივე ჯერ შარვალში ატანს და მერე ნელ-ნელა კანჭებიც ეთოშებათ.

ისინი შუა მინდორში შედგებიან და მერე ბალახში პირდაღმა იშხლართებიან.

— რა კარგია აქ, — ამბობს უფროსი ძმა ფელიქსი.

იონჯა პირისახეზე ულიტინებთ და ისე იცინიან, როგორც მაშინ იცინოდნენ, როცა ორივენი ერთ საწოლში ერთმანეთის გვერდით იწვნენ და ბატონი ლეპიკი მეორე ოთახიდან გამოსძახებდათ ხოლმე:

— აღარ უნდა დაიძინოთ, საძაგელო ბიჭებო?

შიმშილი ავიწყდებათ და ვითომ ხან მეზღვაურივით, ხან ძაღლივით და ხან ბაყაყივით ცურვას იწყებენ. ბალახში მხოლოდ მათი თავები მოჩანს. ხელებს უსვამენ და ფეხებით იშორებენ პატარა, მწვანე, ადვილად გასაპობ ტალღებს, რომლებიც ძირს ეცემიან და კვლავ ფეხზე ველარ დგებიან.

— ნიკაპამდე მწვდებიან, — ამბობს უფროსი ძმა ფელიქსი.

— შემომხედე, როგორ გაგისწარი, — ეუბნება წითური.

მაგრამ ახლა დროა დაისვენონ და თავიანთი ბედნიერებით დატკბნენ.

იდაყვდაყრდნობილები თვალს ადევნებენ ჰაეროვან დერეფანს, რომ-ლიც თხუნელებს გაუთხრიათ და მიწას დაკლაკნილი ზოლი ისე ამჩნევია, რ-გორც ბებრის კანს დაბერილი ძარღვები. იგი ხან თვალს ეფარება, ხან ამოდის მინდორზე, სადაც დამანგრეველ აბრეშუმას, პარაზიტ მცენარეს, გ ხარებული იონჯას შავ ჭირს, თავისი ბოჭკოების ყლალი წვერები გადმოდ ფენია. თხუნელას ის ბორცვები კი კაცს ინდიელთა ყაიდაზე შემაღლებულზ შეფენილი სოფელი ეგონება.

— ჩვენ ჩვენი დაგვავიწყდა, — ამბობს უფროსი ძმა ფელიქსი. — მო-დი ვჭამოთ! მე დავიწყებ, იცოდე, ჩემს წილს ხელი არ დააკარო.

იგი ხელით წრეს შემოხაზავს.

— მე დანარჩენიც მეყოფა, — ამბობს წითური.

მათი თავები ბალახში იმალება. ახლა ვინ იფიქრებს, რომ ისინი აქ არი-ან?

ქარის ალერსიანი სუნთქვა ატრიალებს იონჯას პაწაწინა ფოთლებს, რომ სახილველი გახადოს მათი ნაცრისფერი ქვედა პირი, და მთელ მინდორს თრთოლვა გადაურბენს.

უფროს ძმას ფელიქსს ბალახი დაუიღლიავებია, თავჩარგული ბალახს ისე გლეჯს, თითქოს პირი გამოტენილი ჰქონდეს და ისე ახრამუნებს, რო-გორც გამოუცდელი ხბო, რომელიც ვაძლომას ველარ გებულობს. და იმ დროს, როცა თავს ისე აჩვენებს, თითქოს ყველაფერს ძირფესვიანად ნთქავ-დეს, როგორც ცხოვრებაში ავისა და კარგის მნახველი ადამიანი, — წითურს ყოველივე ეს მართალი ჰგონია, ვითომ უფრო ფაქიზად იქცევა და უფრო ქორფა ფოთლებს არჩევს.

ცხვირის წვერით წელში ზნიქავს, პირით ეწოდება და დარბაისლურად ღეჭავს.

რა ეჩქარება?

არც სუფრა არის ფულით გაშლილი და არც სახლში წვიმა ჩამოსდის.

და ასე კბილების კრაჭაკრუჭით, გამწარებული პირით, გულსმოწოლილი ღებინებით სუფრას უზის და დროს ატარებს.

თ ა ს ი

წითური მაგიდასთან წვეთს ალარ დალევს. ამ ჩვეულებას რამდენიმე დღეში ისე იოლად ღალატობს, რომ თავისი ოჯახის წევრებსაც აკვირვებს და მეგობრებსაც. ერთხელ, დილით ქალბატონ ლეპიკს, რომელიც მას ჩვეულებ-რივად ღვინოს უსხამს, იგი ეუბნება:

— მადლობელი ვარ, დედა, მე ღვინო არ მინდა.

ვახშამზე იგი კვლავ ეუბნება:

— მადლობელი ვარ, დედა, მე ღვინო არ მინდა.

— რა ყაირათიანი ხდები, — ეუბნება ქალბატონი ლეპიკი — მით უკე-თესი ოჯახისათვის.

ერეკლეიანი
ბიბლიოთეკა

ფვარად. მთელ ამ პირველ დღეს იგი ღვინოს არ იკარებს, იმიტომ რომ სასიძვნო ამინდია და არც ღვინის დალევა არ უნდა.

ორე დღეს ქალბატონი ლეპიკი სუფრას შლის და ეკითხება:

— ღვინოს დღესაც არ დალევ, წითურო?

— სწორე გითხრა, არ ვიცი, — პასუხობს იგი.

— როგორც გინდოდეს, — ეუბნება ქალბატონი ლეპიკი, — თასი თუ დაჭრდება, განჯინიდან შენ თვითონ გადმოიღე.

მაგრამ წითური განჯინასთან არ მიდის. უცნაურობაა, დაფანტულობაა თუ არუნდა, რომ საკუთარი თავისათვის გაისარჯოს?

უკვე ყველას უკვირს:

— სრულყოფის გზაზე დგახარ, — ეუბნება ქალბატონი ლეპიკი, — კიდ, ერთი ნიჭი გამოგაჩნდა.

— თანაც იშვიათი, — შენიშნავს ბატონი ლეპიკი — ოდესმე მეტისმეტ გამოგადგება, უაქლემოდ მარტოდმარტოს უდაბნოში გზა თუ დაგებნევა

უფროსი ძმა ფელიქსი და ერნესტინი ერთმანეთს ენიძლავებიან:

და ერნესტინი

თუ გინდა, მთელ კვირას არაფერს დალევს.

უფროსი ძმა ფელიქსი

რას ამბობ, დიდი-დიდი, სამ დღეს, კვირამდე გასძლოს.

— მე თუ მინდა, — ამბობს წითური და თან ეშმაკურად იღიმება, — ორასოდეს არ დავლევ თუ ორასოდეს მომწყურდა. კურდღელი ან ზღვის ღორი გაიხსენეთ, განა დამსახურებად ჩაეთვლებათ, რომ არ სვამენ.

— ორივენი, შენ და ზღვის ღორი, ორი ღორი იქნებით, — ეუბნება უფროსი ძმა ფელიქსი.

მოიცადონ! გულმოკლული წითური მათ კიდევ დაანახვებს, თუ რა შეუძლია. ქალბატონ ლეპიკს ისევ ავიწყდება და არ მოაქვს მისთვის თასი. წითური თავს პირობას აძლევს, თასი ორასოდეს აღარ ახსენოს. ორონიულ შექებასაც თანაბარი გულგრილობით ხვდება და გულწრფელი აღტაცების გამოხატვასაც.

— ან ავად არის ან სულელია, — ამბობს ერთი

სხვები ამბობენ:

— ალბათ ჩუმად იწრუპება.

მაგრამ ის არის საინტერესო, რაც ახალია. სულ უფრო იშვიათად ჰყოფს ენას წითური, რომ სხვებს უჩვენოს. გამშრალი სულაც არა მაქვსო.

მწობლებსა და მეზობლებს ეს ამბავი უკვე მობეზრდათ. ჯერ კიდევ მხოლოდ ზოგიერთ გარეშესა და უცხოსლა უკვირს, ხელებს მაღლა აღაპყრობენ ხოლმე და ამბობენ:

— ნამდვილად აზვიადებთ: ბუნების მოთხოვნილებას ვერავინ გაექცევა.

ექიმს რომ დაეთათბირნენ, განაცხადა: ეს შემთხვევა უცნაური მეჩვენება, მაგრამ საერთოდ შეუძლებელი არაფერია.

და წითური, რომელიც ფიქრობდა, ტანჯვა მელისო, ხედება, რომ თურმე თანმიმდევრული მეცადინეობით კაცი ყველაფერს მიაღწევს. ეგონა, აუტანელ ავშეკავებას ვეწირები და სიმამაცეს ჩავდივარო, სინამდვილეში კი შეწუხებული სულაც არ იყო და თავს უწინდელზე უფრო უკეთ გრძნობდა.

ეჰ, რომ შეეძლოს და შიმშილიც ისე დათრგუნოს, როგორც წყურვილი დათრგუნა! სულ იმარბულებდა და ჰაერით იცოცხლებდა.

თასი ალარც კი აგონდება. თასი კარგა ხანია უსარგებლოდ დევს. ბოლოს მოახლე ონორინს ფიქრად მოსდის, რომ თასი შანდლების გასაფერი წითელი ფხვნილით გაავსოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲞᲣᲠᲘᲡ ᲒᲣᲚᲘ

ბატონი ლეპიკი თუ მხიარულ გუნებაზეა, თავისი ბავშვების გართობა არ ეზარება. ბაღის ხეივნებში დაასეირნებს და ისეთ ამბებს მოუთხრობს, რომ ზოგჯერ უფროსი ძმა ფელიქსი და წითური ისე ხითხითებენ, მიწაზე გორაობენ. ამ დილით სიცილით დაოსდნენ. მაგრამ აი, ერნესტინი იტყვის: საუზმე მზად არისო და ყველანი მაშინვე დინჯდებიან და ილუშებიან.

ჩვეულებრივად, სწრაფად საუზმობენ, სულმოუთქმელად, და დაკვეთილი მაგიდა რომ ყოფილიყო, უკვე აშლილებიც იქნებოდნენ და ადგილს სხვებს დაუთმობდნენ კიდეც, როცა ქალბატონმა ლეპიკმა თქვა:

— პურის გულს ხომ ვერ მომაწოდებდით, გეთაყვა, კომპოტი რომ მომეთავებინა?

ვის ეუბნება?

უფრო ხშირად ქალბატონ ლეპიკს სხვისი სამსახური არა სჭირდება და მხოლოდ თავის ძაღლს ელაპარაკება. ძაღლს უზიარებს, რა ლირს ბოსტნეული და ძაღლს უმარტავს, თუ რა ძნელია ჩვენს დროში მცირე თანხით ექვსი კაცი და ერთი ძაღლი რომ არჩინო.

— არა, — ეუბნება პირამს, რომელიც მეგობრულად ილრინება და ჭილის ფარდაგს კუდსა სცემს, — შენ არ იცი, ამ სახლის მოვლა როგორ მიჭირს, თქვენ, მამაკაცებს გგონიათ, რომ დიასახლისს ყველაფერი იოლად მოსდის, შენ რა გენაღვლება, კარაქი რომ ძვირდება და ხორცს რომ ახლოს ვერ გაეკარები.

მაგრამ ამჯერად ქალბატონი ლეპიკი ყველას ყურადღებას იქცევს და გამონაკლისის სახით უშუალოდ ბატონ ლეპიკს მიმართავს. მას, დიახ, სწორედ მას ეუბნება, პურის გული მომაწოდე, რომ კომპოტის ჭამა მოვათავო. საეჭვო ალარაფერია. ჯერ ერთი, სწორედ მას უყურებს და მეორეც, პური წინ სწორედ ბატონ ლეპიკს უდევს, გაოცებული ბატონი ლეპიკი ყოყმანობს, მერე კი თითის წვერებით თავისი. მათლაფიდან პურის გული ამოაქვს და სერიოზული და მოღუშული ქალბატონ ლეპიკს უწვდის.

რა არის, ფარსია თუ დრამა? ვინ იცის?

ერნესტინი თითქოს დედის მაგივრად არის დამცირებული და შეშფოთებული.

„მამაჩემს დღეს ბედი სწყალობს", ფიქრობს უფროსი ძმა ფელიქსი, რომელიც სკამზე თავდაუზოგავად ქანაობს.

რაც შეეხება წითურს, დაყურსული და ტუჩებგაგლესილი ისე ილმურძლება და ყბები ვაშლის ნამცხვრით ისე აქვს გამოტენილი, რომ იმის ყურებს ტკაცატკუცი გაუდის: ალბათ თავსაც ვერ შეიკავებს და ფრუტუნიც წასკდება, თუკი ქალბატონი ლეპიკი ახლავე მაგიდას არ მოშორდება იმით განაწყენებუ-

ლი, რომ მისი ვაჟებისა და ქალიშვილის თანდასწრებით მას ისე ექცევიან, როგორც ვიღაც უკანასკნელზე უკანასკნელ ადამიანს!

საუვირი

ბატონი ლეპიკი პარიზიდან ამ დილით დაბრუნდა. ... საგზაო სკივრს ხსნის და საჩუქრები ამოაქვს ფელიქსისათვის და ერნესტინისათვის, სწორედ ისეთი მშვენიერი საჩუქრები, რომლებიც (სასაცილო არ არის!) მთელი ღამე ესიზმრებოდათ. მერე ზურგზე ხელებდაწყობილი ბატონი ლეპიკი წითურს ეშმაკურად უყურებს და ეუბნება:

— აბა, შენ რა უფრო გიყვარს: საყვირი თუ დამბაჩა?

ნამდვილი რომ ითქვას, წითური უფრო ფრთხილია, ვიდრე გულადი, ამიტომ საყვირს უფრო ამჯობინებდა, საყვირი ხელში თოფივით მაინც არ გაუკარდებოდა; წითურისათვის ბევრჯერ უთქვამთ, შეეხელა ბიჭი სერიოზულად მხოლოდ თოფით, ხმლით ან სხვა საომარი იარაღით უნდა თამაშობდესო. დროა, თოფის წამალი იყნოსო და კვლა ისწავლოო. მამამ თავისი შვილების ამბავი კარგად იცის, ყველას ის ჩამოუტანა, რაც მათ სჭირდებათ.

— მე დამბაჩა მირჩევნია, — თამამად ამბობს წითური, დარწმუნებული, გამოვიცანიო.

მცირე ხნის შემდეგ უმატებს:

— რატომ მიმალავ, მე ხომ მაინც ვხედავ!

— აჰ! — ამბობს შეცბუნებული ბატონი ლეპიკი, — დამბაჩა გირჩევნია? მაშ, შენ ძალიან გამოცვლილხარ!

წითური მაშინვე ეუბნება:

— არა, მამაჩემო, ვიხუმრე. დამშვიდებული იყავი, მე მძულს დამბაჩა. მომეცი ჩქარა ჩემი საყვირი და დაინახავ, რა სიხარულით ჩავბერავ.

ქალბატონი ლეპიკი

მაშ, რატომ მოიტყუე? მამას რომ გული ატკინო, არა? თუ საყვირი უყვართ, არ ამბობენ: დამბაჩა გვიყვარსო, და მით უმეტეს, არ ამბობენ: დამბაჩას ვხედავო, თუკი დამბაჩის დანახვა სულაც არ უნდათ. მე შენ განახვებ სეირს: არც დამბაჩას მიიღებ და არც საყვირს. კარგად დააკვირდი: სამი წითელი პომპონი და ოქროს ფოჩიანი ალამი აქვს. ახლა გეყოფა, ხომ დაინახეს შენმა თვალებმა. სამზარეულოში გაიქეცი და იქ მეძებე, იქ ხომ არა ვარ; წაეთრიე-მეთქი, იქ ირბინე და მუჭში იქ უბერე.

მალალ განჯინაში დაწყობილ თეთრეულზე სამი წითელი პომპონით და ოქროს ფოჩიანი ალმით წითურის სულის ჩაბერვას ელის საყვირი — მიუწვდომელი, უხილავი და დამუნჯებული, როგორც საყვირი განკითხვის დღისა.

ძოჩორი

კვირაობით ქალბატონი ლეპიკი მოითხოვს, რომ წირვაზე მისმა ბიჭებმაც იარონ. იმათ კოხტად ჩაცმასა და მორთვას და ერნესტინი ხელმძღვანელობს, თუმცა იმის საფრთხე კი ემუქრება, რომ დროზე თვითონ ვერ ჩაიცვამს. იგი ურჩევს ყელსახვევს, უქლიბავს ფრჩხილებს, ურიგებს ლოცვანს

და უფრო მძიმეს წითურს ახვედრებს. მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც ის არის, რომ იგი ძმებს თმაზე ბრიოლინს უსვამს.

ეს მისი ახირებაა.

თუ წითური ცრუპენტელასავით ემორჩილება, უფროსი ძმა ფელიქსი დას წინასწარ აფრთხილებს, ბოლოს და ბოლოს მოთმინება არ დამეკარგებოდეს; ამიტომ ერნესტინი მუდამ ეთვალთმაქცება.

— ამჯერად, — ეუბნება ხოლმე ძმას, — გულმავიწყობით მომივიდა, განზრახ არ გამიკეთებია, გარწმუნებ, მეორე კვირას ამას აღარ გავიმეორებ.

და ამასობაში იმას მაინც ახერხებს, რომ ბრიოლინი თავზე სქლად წაუსვას.

— ეს ყველაფერი ცუდად გათავდება, — ეუბნება ხოლმე უფროსი ძმა ფელიქსი.

ამ დილით პირსახოცშემოხვეული და თავდაბრილი ზის და ვერ ამჩნევს, ერნესტინი ისევ როგორ ეთვალთმაქცება:

— აი, — ეუბნება იგი, — გიჯერებ და ეგ არის, რაღა გაბუზღუნებს, ვერ უყურებ, ქილა ბუხარზე გაუხსნელი დევს. ხედავ, რა კეთილი გული მაქვს; თუმცა ეგ ჩემი დამსახურება სულაც არ არის. წითურის თმას ცემენტით ვერ დააკავებ, შენს თმას კი ბრიოლინი რად უნდა. შენ ხუჭუჭი თმა გაქვს და თუ გინდა ღამემდე ასე იქნება გაყოფილი.

— მადლობელი ვარ, — ეუბნება უფროსი ძმა ფელიქსი.

იგი ზეზე დგება და ეჭვიც კი არ ეპარება, თორემ ასე დაუდევრად არ მოიქცეოდა და ჩვეულებისამებრ თავზე ხელს გადაისვამდა.

ერნესტინი მის მორთვა-მოკაზმვას ამთავრებს და აბრეშუმის თეთრ ხელთათმანს უწვდის.

— მორჩა? — ეკითხება უფროსი ძმა ფელიქსი.

— ისე ბრწყინავ, როგორც უფლისწული, — ეუბნება ერნესტინი, — ახლა ქუდიღა გაკლია. წადი. განჯინაში იქნება.

მაგრამ უფროსი ძმა ფელიქსი კარს ჩაუვლის, სირბილით განჯინასთან მივა, აღებს, ხელში ჩაბლუჯული წყლით სავსე სურა გამოაქვს და თავზე მშვიდად იპირქვავებს.

— ხომ გაგაფრთხილე, ჩემო დაო, — ეუბნება იგი — არ მიყვარს, როცა მასხარად მიგდებენ. ჯერ კიდევ პატარა ხარ საიმისოდ, რომ ჩემნაირი ძველი შებერტყილი გააცურო. თუ ამას ერთხელ კიდევ გაიმეორებ, იცოდე, ბრიოლინის ქილას მდინარეში გადაგიგდებ.

თმაგადასლექილი, საკვირაო კოსტუმდასველებული და თავით ფეხამდე გალუმპული დგას და უცდის, ტანისამოსს როდის გამოუცვლიან ან მზეზე როდის გაშრება. როგორც ვენებოთ, მისთვის ახლა სულერთია!

„რა ტიპია! — გულში ალტაცებით ამბობს გარინდებული წითური. — არავისი შიში არა აქვს; მე რომ მოვინდომო და მისი საქციელი გავიმეორო, სასაცილოდ ამიგდებენ. ისა სჯობს, თავი ისე მოვაჩვენო, თითქოს ბრიოლინი სულაც არ მეზიზღება."

მაგრამ იმ დროს, როცა წითური, როგორც ყოველთვის, გულის კარნახით ბედს ემორჩილება, მის ჯავრს მის დაუკითხავად მისი თმა ამოიყრის.

დატკეპნილსა და ბრიოლინით გადასლექილ თმას თითქოს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობა, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ მოსულიერებული, უხი-

ლავი ხელით გამხნევებული, აქამდე ქედმოდრეკილი და გაბრწყინებული ზედაპირი იბზარება და ირღვევა.

როგორც ნაწვერალი თოვლის დნობისას.

და აი, თავდაპირველი ქოჩორი ფეხზე დგება, წელში გამართული და თავდახსნილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბანაობა

როგორც კი საათი ოთხჯერ ჩამოჰკრავს, წითური ფაცხაფუცხით აღვიძებს ბატონ ლეპიკს და უფროს ძმა ფელიქსს, რომლებსაც ბაღში თხილს ბუჩქებთან სძინავთ.

— არ წავიდეთ? — ეუბნება იგი

უფროსი ძმა ფელიქსი

წავიდეთ, პერანგის ამხანაგი მომიტანე?

ბატონი ლეპიკი

ჯერ ისევ მაგრად უნდა ცხელოდეს

უფროსი ძმა ფელიქსი

მე მზეზე ბანაობა მიყვარს.

წითური

მამაჩემო, შენც უფრო უკეთ იგრძნობ თავს წყლის პირას. ბალახზე წამოწვები.

ბატონი ლეპიკი

აბა გავწითოთ, ოღონდ ნუ იჩქარებთ, სიკვდილს არ წამოეწითოთ.

მაგრამ წითური ნაბიჯს ძლივს უნელებს და ფეხებში ჭიანჭველები დაუდის. მხარზე გადაკიდებული აქვს თავისი პერანგის ამხანაგი, უხეშად ნაქსოვი, ერთფერი და წითლად და ცისფრად აჭრელებული პერანგის ამხანაგი უფროსი ძმის ფელიქსისა. აღგზნებული ენად არის გაკრეფილი, თავისთვის ღიღინებს და ხტება, რომ ტოტს მისწვდეს. ხელებს ისე იქნევს, თითქოს ჰაერში წყალს აპობდეს და უფროს ძმას ფელიქსს ეუბნება.

— რა კარგი იქნება, არა? რას ვიჭყუმპალავებთ!

— თვალთმაქცი ხარ! — აგდებულად და თვალმოუშორებლად ეუბნება უფროსი ძმა ფელიქსი.

მართლაც წითური უეცრად დინჯდება.

ქვის დაბალ ყორეზე პირველი გადადის მკვირცხლად და თვალწინ მდორედ მიმავალი მდინარე გადაეშლება. ახლა სახითხითოდ აღარავის სცალია.

ყინულის ათინათებად ბრწყინავს მოჯადოებული წყალი.

მდინარე თითქოს კბილებს აკაწკაწებს და უსიამოვნო სუნი ასდის.

უნდა იქ ჩაიძიროს და იქ, მდინარეში იყოს მანამდე, სანამ ბატონი ლეპიკის საათზე დანიშნული დრო არ გავა. წითურს აჟრჟოლებს. იმედი, რომლითაც აქამდე თავს იმხნევებდა, მდინარეში დიდხანს გავძლებო, ახლა შორიდან ასე მიმზიდველი წყლის დანახვაზე მჭმუნვარებით ეცვლება.

წითური ტანისამოსს იხდის მოშორებით; იმიტომ კი არა, თავისი სიგამხდრე და ფეხები დამალოს, უბრალოდ მარტო უნდა რომ იყოს და მარტომ იკანკალოს, არავისი არ შერცხვეს.

ტანისამოსს ერთიმეორის მიყოლებით იხდის, გულმოდგინედ კეცავს და ბალახზე ალაგებს. ფეხსაცმლის ზონარს ხან იკრავს და ხან ისევ იხსნის.

იცვამს პერანგის ამხანაგს, იხდის მოკლე პერანგს და ქაღალდში გახვეული გამლღვარი კარამელივით ოფლით გაწეპილი ცოტა ხანს კიდევ იცდის.

უფროსი ძმა ფელიქსი უკვე მდინარეს დაჰპატრონებია და დამპყრობლურად ვით იკლებს. ტალღებს გაშლილი მკლავებით ადგაფუნებს, ქუსლებს ასროლინებს, აქაფებს და გადარეული იქიდან გამძვინვარებული ტალღების ჯოგს ნაპირისაკენ ერეკება.

— რაო, ბანაობა გადაიფიქრე, წითურო? — ეკითხება ბატონი ლეპიკი.

— ოფლი მინდა შემაშრეს. — ეუბნება წითური.

ბოლოს გაბედავს, ნაპირზე ჩამოჯდება და წყალს სინჯავს ფეხის ცერით, რომელიც მეტისმეტად ვიწრო ფეხსაცმელს დაუმახინჯებია. ამავე დროს მუცელს იზელს, რომ იქნებ საჭმელი ასე უფრო მალე მოინელოს. მერე კი ხის გრძელი ფესვებით ჩაცურდება.

ფესვები კანჭებს, ბარძაყებს, დუნდულებს უფხაჭნის. როცა წყალი ბუცლამდე მისწვდება, მზად არის ნაპირზე ამოვიდეს და გაიქცეს. ეჩვენება, რომ მის სხეულს, როგორც ჩიკორს, გარშემო ნელ-ნელა სველი თოკი ეხვევა. მაგრამ წითურს ის კოლბოხი ეცლება, რომელსაც ეყრდნობა და წყალში ვარდება, უჩინარდება, მერე ზევით ამოდის და იმართება ხველებ-ხველებით; სულშეგუბებული, დაბრმავებული, დარეტიანებული.

— კარგად ყვინთავ, ჩემო ბიჭო, — ეუბნება ბატონი ლეპიკი.

— დიახ, — პასუხობს წითური, — მაგრამ ყვინთვა მაინცდამაინც არ მიყვარს. ყურებში წყალი მიდგება და მერე თავი მტკივა.

იგი ეძებს ადგილს ქვიშაზე, სადაც შეძლებს ცურვაში ივარჯიშოს, ხელები მოუსვას და მუხლებით ქვიშა მოიშოროს.

— მეტისმეტად ჩქარობ, — ეუბნება ბატონი ლეპიკი. — მუშტებს ისე იქნევ, თითქოს თმას იგლეჯდე. ფეხები გაიქნიე, სულ არ ამოძრავებ.

— ცურვა ძალიან ძნელია, თუ ფეხებს არ ამოძრავებ, — ამბობს წითური.

მაგრამ უფროსი ძმა ფელიქსი ვარჯიშს არ ანებებს და ხელს უშლის.

— აქ მოდი, წითურო. აქ უფრო ღრმაა. ფეხებს ფსკერს ველარ ვუწვდენ და ვიძირები, აბა შემომხედე. აი, ხომ მხედავ. ახლა აი, უკვე ველარ მხედავ. მიდი აბა იმ ტირიფთან დადექი. ფეხი არ მოიცვალო. თუ გინდა დამენიძლავე, ხელის ათი მოქნევით მანდ ვგავჩნდები.

— ვითვლი, — ამბობს აძაგძაგებული წითური, — ჩემი მხრები წყალში ნამდვილი უმოძრაო მიჯნა იქნება.

და ისევ ჩაცუცქდება საბანაოდ. მაგრამ უფროსი ძმა ფელიქსი ზურგზე აბობღდება, წყალში თავით ჩახტება და ეუბნება:

— შენი ჯერია, თუ გინდა, ახლა ზურგზე შენ შემაჯექი.

— საშუალება მომეცი, ცურვაში წყნარად ვივარჯიშო, — ეუბნება წითური.

— საკმარისია, — ყვირის ბატონი ლეპიკი, — ამოდით, თითოს თითო ყლუპი რომი გერგებათ.

ახლა წყლიდან ამოსელა ალარ უნდა. ბანაობით ჯერ გული არ უჯერებია. მდინარე, რომელიც უნდა მიატოვოს, საშიში ალარ ეჩვენება. აქამდე

ტყვიასავით მძიმე ახლა ბუმბულივით მჩატეა და წყალში მეტისმეტი სიმამაცითა და სიშმაგით დგაფუნობს. განსაცდელს არ ეპუება და სხვის გადასარჩენად მზად არის თავი გასწიროს. წყალში ახლა განზრახულ ყურყუმალაობს, რომ მათი განწირულობა იგრძნოს, ვინც ირძირება.

— ჩქარა გამოდი, — უყვირის ბატონი ლეპიკი, — ~~თორეს~~ რომს სულ უფროსი ძმა ფელიქსი დაგილევს.

თუმცა წითურს რომი არ უყვარს, მაგრამ მაინც ამბობს:

— ჩემს წილს არავის დავუთმობ.

და ისე უცებ გადაკრავს, როგორც ძველი ჯარისკაცი.

ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲚᲔᲞᲘᲙᲘ

კარგად ვერ ჩამოგიბანია, კოჭებზე ტალახი შეგრჩენია.

ᲬᲘᲗᲣᲠᲘ

მამა, ტალახი კი არა, მიწაა.

ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲚᲔᲞᲘᲙᲘ

არა, ტალახია.

ᲬᲘᲗᲣᲠᲘ

გინდა, რომ ისევ წყალში ჩავიდე, მამა?

ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲚᲔᲞᲘᲙᲘ

ხვალ ჩამოიბანე, როცა ხვალ აქ ისევ დავბრუნდებით.

ᲬᲘᲗᲣᲠᲘ

ისევ დავბრუნდებით! ხვალ კარგი ამინდი მაინც გამოვიდეს!

იგი ტანს ძლივს იმშრალებს უფროსი ძმის ფელიქსის ნახმარი პირსახოცის დაუსველებელი ბოლოთი; თავი დამძიმებული აქვს, ყელი ჩახეხილი, იცინის და ვეღარ გაჩერებულა, რადგან იმის გასიებულ ფეხის ცერებზე უფროსი ძმა ფელიქსი და ბატონი ლეპიკი ქილიკობენ.

ᲝᲜᲝᲠᲘᲜᲘ

ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲚᲔᲞᲘᲙᲘ

მაშ, უკვე რამდენი წლისა ხართ, ონორინ?

ᲝᲜᲝᲠᲘᲜᲘ

ყველაწმინდაობას სამოცდაშვიდი შემისრულდა, ქალბატონო ლეპიკ.

ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲚᲔᲞᲘᲙᲘ

მთლად ბებრუცუნა ყოფილხართ, თქვე საცოდავო!

ᲝᲜᲝᲠᲘᲜᲘ

ეგ სულაც არაფერს ნიშნავს, თუკი კაცს მუშაობის თავი აქვს. არასოდეს ავად არა ვყოფილვარ. მე რომ შევძლებ, იმას ცხენი ვერ შესძლებს.

ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲚᲔᲞᲘᲙᲘ

იცით, რას გეტყვით, ონორინ? სული უცებ გაგძვრებათ. ერთ საღამოს, მდინარიდან რომ წამოხვალთ, უცებ იგრძნობთ, რომ თქვენი კალათი დღეს უფრო მძიმეა და რომ სარეცხის ურიკას ამ საღამოს ადრინდელზე უფრო მძიმედ აწვებით; ხელნასა და ხელნას შუა მუხლებზე დაეცემით, ცხვირს სველ სარეცხში წაყოფთ და თქვენი ბოლო ეგ იქნება. ხელში რომ აგიყვანენ, სული აღარ აგყვებათ.

ონორინი

ნუ მაცინებთ, ქალბატონო ლეპიკ; შიში ნუ გაქვთ; მუხლები და მკლავები ჯერ კიდევ მემორჩილება.

ქალბატონი ლეპიკი

წელში ცოტათი კი ჰოლუნულხართ. მაგრამ წელში რომ მოხრილ ხოლმე, რეცხვაში წელი უფრო ნაკლებ ეღლებათ. რა დასამალია, თვალებიც რომ ძველებურად აღარ გიჭრით! არა თქვათ, თითქოს მართალს არ ვამბობდე, ონორინ! ამ ბოლო დროს ამას კარგად გამჩნევთ.

ონორინი

ოჰ! ისე ნათლად ვხედავ, როგორც ჩემს ქორწილში ვხედავდი.

ქალბატონი ლეპიკი

დაე, ასე იყოს! განჯინა გამოაღეთ და რომელიც გენებოთ, ის თეფში მომაწოდეთ. თუ ისე რეცხავთ, როგორც საჭიროა, მაშ, ეს ლაქები რატომ ეტყობა?

ონორინი

განჯინაში ნესტია.

ქალბატონი ლეპიკი

ეტყობა, განჯინაში ჩვენს თეფშებზე თითები დათარეშობენ. აბა ერთი ამას დახედეთ!

ონორინი

აბა სად. გეთაყვა, ამას რა ეტყობა, ქალბატონო? მე ვერაფერს ვამჩნევ.

ქალბატონი ლეპიკი

აი, სწორედ ჩემი სასაყვედუროც ეგ არის, ონორინ, ყური დამიგდეთ. მე იმას არ ვამბობ, აღარ შეგიძლიათ-მეთქი, ეგ მართალი არ იქნებოდა. ჩვენში მე სხვა ქალი არ ვიცი, თქვენსავით რომ გაირჯებოდა. მაგრამ უკვე ხანში შედიხართ, ასეა; მეც ვბერდები. ყველანი ვბერდებით და თუმცა გული გვერჩის, მაგრამ ძალა აღარ მოგვდევს. თუ გინდათ, დაგენიძლავებით, რომ ზოგჯერ ისიც კი გეჩვენებათ, თვალებზე პურუსი მეფარებაო. და ზედ რაც არ უნდა მოისვათ, არა შველის რა.

ონორინი

თვალებს კარგად დავაჭყეტ ხოლმე და ყველაფერს ისე ამღვრეულად ვხედავ, თითქოს თავი წყლიან ვედროში ჩამეყოს.

ქალბატონი ლეპიკი

დიახ, დიახ, ონორინ, მე არა ვცდები. დამერწმუნეთ. გუშინ ლეპიკს ისევ ჭუჭყიანი ჭიქა მიაწოდეთ. უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად არაფერი მითქვამს. გული რომ არ გტკენოდათ, ბატონ ლეპიკსაც არაფერი უთქვამს. საერთოდ არაფერს ამბობს ხოლმე. მაგრამ მის მზერას არაფერი ეპარება. ხალხს უყურადღებო ჰგონია. არ დაიჯეროთ! ყველაფერს ამჩნევს და ყველაფერს იმახსოვრებს. უბრალოდ თქვენი ჭიქა ხელით მოიშორა და თავშეკავება ეყო, რომ სადილად არაფერი დაელია. მე ვიტანჯებოდი თქვენ მაგივრადაც და მის მაგივრადაც.

ონორინი

ბატონი ლეპიკი თავის მსახურ ქალს ნეტავ რას ერიდება! ერთი ეთქვა და ჭიქას ვერ გამოვუცვლიდი?

ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲚᲔᲞᲘᲙᲘ

მართალია, ონორინ, მაგრამ ბატონ ლეპიკს თქვენზე უფრო ეშმაკი ადამიანები ვერ ამოადგმევინებენ ენას, თუკი დუმილი ამჯობინა. მეც კი უძლური ვარ. მაგრამ ეს არ არის მთავარი. ვიმეორებ: მხედველობა დღითი დღე გიუარესდებათ-მეთქი. დიდი უბედურება არ არის, [illegible] ვთქვათ, სარეცხს ეხება, მაგრამ ნატიფი საქმისათვის ნამდვილ[illegible] ამოდგებით. ხარჯებს არ მოვერიდებოდი და სიამოვნებით მოგინახავდით ქალს, რომ ხელი შეეშველებინა...

ᲝᲜᲝᲠᲘᲜᲘ

სხვა ქალს ვერასოდეს შევეგუებოდი და ფეხს ვერც ავუწყობდი, ქალბატონო ლეპიკ.

ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲚᲔᲞᲘᲙᲘ

მეც ეგ მინდოდა, რომ მეთქვა. როგორ მოვიქცეთ? თქვენ მაინც რას მირჩევთ?

ᲝᲜᲝᲠᲘᲜᲘ

ასე უნდა გაგრძელდეს, სანამ სული არ გამძვრება.

ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲚᲔᲞᲘᲙᲘ

სანამ სული არ გამძვრებაო! სიკვდილზე ფიქრობთ კი, ონორინ?, ისე ყოჩაღად ბრძანდებით, გისურვებდით, ყველანი გაგესტუმრებინეთ; ნუთუ გგონიათ, რომ თქვენი სიკვდილი მინდა?

ᲝᲜᲝᲠᲘᲜᲘ

იქნება იმ მიზეზით გინდათ დამითხოვოთ, რომ ჭიქას ჩვარი არ გადავუსვი. იცოდეთ, თქვენს სახლს მანამდე არ მივატოვებ, სანამ კარში არ გამაგდებთ და როცა თავს გარეთ ამოვყოფ, გულიც გამისკდება!

ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲚᲔᲞᲘᲙᲘ

დათხოვნაზე ვინ ლაპარაკობს, ონორინ? სახეზე სულ მთლად ცეცხლი წაგეკიდათ. ჩვენ მეგობრულად ვსაუბრობთ, თქვენ კი გული მოგდით და ღმერთმა უწყის, რა სისულელეს არ ლაპარაკობთ.

ᲝᲜᲝᲠᲘᲜᲘ

ქალბატონო! განა ჩემი ბრალია?

ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲚᲔᲞᲘᲙᲘ

აბა ჩემია? თქვენ რომ თვალს გაკლდებათ, ეგ არც ჩემი ბრალია და არც თქვენი, იმედი მაქვს, რომ ექიმი გიმკურნალებთ. ხდება ხოლმე, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენ ორში ვინ უფრო გაჭირვებულია? თქვენ იმასაც კი ვერ ატყობთ, თვალთ რომ დაგაკლდათ. ოჯახს ამით რა კარგი დღე დაადგება. წინასწარ იმიტომ გაფრთხილებთ, რომ მებრალებით, მოსალოდნელი უსიამოვნება მინდა ავირიდოთ და თან განა უფლება არა მაქვს, ტკბილად საყვედური გითხრათ.

ᲝᲜᲝᲠᲘᲜᲘ

... რაც გსურდეთ, ის მითხარით. როგორც გენებოთ, ქალბატონო ლეპიკ. ერთი პირობა მომეჩვენა, რომ ქუჩაში მისტუმრებდით; ახლა კი გული დამიმშვიდეთ, გარწმუნებთ, რომ ჩემი მხრივ თეფშებს ყურადღება არ მოაკლდება.

ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲚᲔᲞᲘᲙᲘ

აბა სხვას რას მოვითხოვ? ჩემზე რომ ლაპარაკობენ, იმაზე უკეთესი

ვარ, ონორინ, და სამსახურზე უარს მხოლოდ იმ შემთხვევაში გეტყვით, სხვა გზა რომ აღარ მექნება.

ონორინი

მაშ, ქალბატონო ლეპიკ, სალაპარაკო არა ყოფილა რა. ახლა მე ვიცი, რომ საჭირო ვარ და უსამართლოდ რომ გამაგდოთ, ქვეყანას შევყრი. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ჩემს თავს თუ დავატყვე, რომ ტვირთად დაგაწექით და ცეცხლზე პაწაწინა ქვაბი ვეღარ ამიდუღებია, მე თვითონ წავალ, მე თვითონ წავალ-მეთქი, სანამ მეტყოდნენ.

ქალბატონი ლეპიკი

მაგრამ არ დაგავიწყდეთ, ონორინ, რომ ამ სახლში თქვენთვის ერთი მთლიანი სუპი მუდამმოიძებნება.

ონორინი

არა, ქალბატონო ლეპიკ, სუპი რად მინდა, ერთი ნაჭერი პურიც მეყოფა. მას აქეთ, რაც დეიდა მაიტა პურის მეტს აღარაფერს იკარებს, სიკვდილს აღარცა ფიქრობს.

ქალბატონი ლეპიკი

მოგეხსენებათ თუ არა, რომ ას წელზე მეტისაა? იცით, რას გეტყვით, ონორინ? მათხოვრები ჩვენზე ბედნიერები არიან, ეს ჩემი სიტყვა დაიხსომეთ.

ონორინი

რახან თქვენ ასე ამბობთ, მეც ასე ვიტყვი, ქალბატონო ლეპიკ.

პატარა ქვაბი

რა იშვიათად არის ხოლმე წითური ოჯახისათვის გამოსადეგი! კუნჭულში მიყუჟული დროს უცდის, რომ შემთხვევით ისარგებლოს. შეუძლია, წინასწარ განზრახული არა ჰქონდეს და საუბარს ყური ისე მიუგდოს, შესაფერის მომენტში ჩრდილიდან გამოვიდეს და როგორც საზრიანი პიროვნება, რომელმაც აღელვებულ ხალხში საღი გონება შეინარჩუნა, საქმეს გაუძღვეს.

ახლა იგი ხვდება, რომ ქალბატონ ლეპიკს დახმარება სჭირდება გონიერი და სანდო ადამიანისა. ცხადია, დედა ამას არ გაამჟღავნებს, იმდენად ამაყია. უთქმელი შეთანხმება თავისთავად დაიდება და წითურმა ისე უნდა იმოქმედოს, რომ მისგან წახალისებასა და ჯილდოს არ უნდა მოელოდეს.

წითური თანახმაა.

დილიდან საღამომდე პატარა ქვაბი ბუხრის კავზე ჰკიდია. ზამთარში მუდამ ცხელი წყალია საჭირო. ქვაბს წამდაუწუმ ავსებენ, აცარიელებენ და სულ მუდამ დიდ ცეცხლზე თუხთუხებს.

ზაფხულში ქვაბში ადუღებულ წყალს მხოლოდ პურის ჭამის მერე ჭურჭლის გასარეცხად ხმარობენ, დანარჩენ დროს კი ქვაბი ისე დუღს, თავისთვის პატარას უსტვენს და დამსკდარ მუცელქვეშ ორი თითქმის ჩანავლებული მუგუზალი უღვივის.

ზოგჯერ ონორინს ქვაბის სტვენა აღარ ესმის, იხრება ხოლმე და ყურს უგდებს.

— სულ ამომშრალა, — ამბობს ხგი.

ქვაბს ვედროთი წყალს ასხამს, ორ მუგუზალს მიუჩოჩებს და ნაღვერდალს მოუჩხრიკავს. მალე ცეცხლი ისევ იწყებს დარბაისლურ ღუღუნს და ონორინი დამშვიდებული მიდის, რომ ახლა სხვა საქმეს მიხედოს.

თუ ეტყვიან:

— ონორინ, წყალს რაღად ათუხთუხებთ, ხომ აღარ გჭირდებათო? ქვაბი გადმოიღეთ და ცეცხლი ჩააქრეთ. შეშას ისე სწვავენ, ფილტვს ვაფი ლირდეს. რამდენი ღარიბ-ღატაკი იყინება, როგორც კი აცივდება. თქვენ ხომ ყაირათიანი ქალი ხართო, — მხოლოდ თავს აქნევს.

რაც თავი ახსოვს, სულ ცეცხლზე დაკიდებულ ქვაბს შეჰყურებს.

რაც თავი ახსოვს, სულ ქვაბში ადუღებული წყლის შიშინი ესმის და დაცარიელებულ ქვაბს, გინდ წვიმა იყოს, გინდ ქარი და გინდ თაკარა მზე, მუდამ ისევ წყლით ავსებს.

ახლა ისიც აღარ არის აუცილებელი, ქვაბს ხელი მოჰკიდოს ან დახედოს, ისედაც ხვდება. ყურს მიუგდებს და ქვაბი თუ აღარ შიშინებს, ვედროთი წყალს მიიტანს და შიგ ჩაუძახებს; ძაფზე რომ მარგალიტი აასხას, ეს იმაზე უფრო მეტად ეადვილება და ისე მიეჩვია, აქამდე ერთხელაც არ დაუცილებია.

დღეს პირველად დააცილა.

მთელი წყალი ცეცხლზე დააპირქვავა და ნაცრის ღრუბელი გამძვინვარებული ნადირივით ავარდა, ონორინს ზედ შეახტა, მოეხვია, სული შეუხუთა და ზედ წაეკიდა.

ყვირილით უკან-უკან იხევს, ცხვირს აცემინებს და იფურთხება

— რა ჯანდაბაა! — ამბობს, — ასე მეგონა, ჯოჯოხეთიდან მაჯლაჯუნა ამოვარდა-მეთქი!..

თვალებდავსებული და ალანძული ბუხრის ბნელ ხახაში ხელებს ასავსავებს.

— აჰ! ახლა მივხვდი, — ამბობს გაკვირვებული — ქვაბი აქ აღარ არის... ნამდვილად ასეა, — იმეორებს — ვერაფერი გამიგია. ქვაბი ახლახან აქ იყო. სწორედ ასეა, სტვირივით უსტვენდა.

ეტყობა, ქვაბი ვილაცამ სწორედ მაშინ გადადგა, როცა ონორინმა ქვაბს ზურგი შეაქცია და ფანჯარაში ნაგვიანი წინსაფარი გადაბერტყა.

მაინც ვინ უნდა ყოფილიყო?

ამ დროს ოთახში დაფენილი ჭილის ფარდაგზე ფეხს შემოადგამს ქალბატონი ლეპიკი, მკაცრი და აუღელვებელი.

— რა ხმაურია, ონორინ?

— რა ხმაურია, რა ხმაურია! — ბუზღუნებს ონორინი. — უბედურება ის არის, რომ ყველაფერი ჩემი ბრალია! ცოტაც და კარგად გამოვიხრუკებოდი. აბა ჩემს საბოლებს დახედე ან ჩემს ქვედაკაბას ან ჩემს ხელებს. კოფთაც გავიჭუჭყიანე და ჯიბეებიც ნახშირით გამომევსო.

ქალბატონი ლეპიკი

ვხედავ იმ გუბეს ბუხართან, ონორინ, კარგ დღეს არ დაგვაყრის.

ონორინი

უჩემოდ ქვაბი ვის გადაუდგამს? რატომ არ გამაფრთხილა? სულაც თქვენ ხომ არ გადაგიდგამთ?

ქალბატონი ლეპიკი

ეს ქვაბი აქ ყველას ეკუთვნის, ონორინ. შემთხვევით ის ხომ არა გსურთ, რომ მე, ან ბატონი ლეპიკი ან ჩემი შვილები, სანამ ქვაბს ხელს მოვკიდებ-დეთ, თქვენგან ნებართვას ვიღებდეთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ონორინი

სისულელეებს ვლაპარაკობ, ისე გაცეცხლებული ვარ.

ქალბატონი ლეპიკი

ჩვენზე თუ თქვენს თავზე, ჩემო გულადო ონორინ? ჰა, მაინც ვისზე? ცნობისმოყვარე არა ვარ; მაგრამ მაინც მინდა ვიცოდე. თქვენგან კაცი ვერაფერს გაიგებს. იმ საბაბით, ქვაბი სადღაც გაქრაო, მხიარულად ცეცხლში ვედროთი წყალს აქცევთ, ჯიუტობთ, არა გსურთ, გამოტყდეთ, რომ მოუქნელი ბრძანდებით და სხვებს ამტყუნებთ. მათ შორის მეც. ეს უკვე მეტისმეტია, თქვენ არ მომიკვდეთ!

ონორინი

ჩემო პატარა წითურო, შენ არ იცი, ჩემი პატარა ქვაბი სად არის?

ქალბატონი ლეპიკი

- მაგან საიდან უნდა იცოდეს, ხეტავ ბღარტს რა მოეთხოვება. ქვაბს თავი დაანებეთ და გუშინ რომ მითხარით, ის სიტყვები გაიხსენეთ: „იმ დღეს, როცა მივხვდები, წყალიც კი ველარ ამიდუღებია, სანამ მეტყოდნენ, მე თვითონ წავალო". ცხადია, ვიცოდი, რომ თვალთ დაგაკლდათ, მაგრამ არ მეგონა, თუ თქვენი მდგომარეობა უიმედო იყო. სხვას არაფერს არ ვიტყვი, ონორინ: აბა ჩემს ადგილზე თქვენი თავი წარმოიდგინეთ. თქვენ ჩემზე კარგად გრძნობთ, თუ რა მდგომარეობაში ალმოვჩდი: თქვენვე განსაჯეთ და დასკვნები თქვენვე გამოიტანეთ. ოჰ! ნუ მოგერიდებათ, იტირეთ, სწორედ რომ სატირალია...

დ უ ვ ი ლ ი

— დედა! ონორინ!

. . . . . .

ამ წითურს რაღა უნდა? ყველაფერს წაახდენს. საბედნიეროდ, წითური ქალბატონი ლეპიკის გამგმირავ შემოხედვაზე წამსვე ჩუმდება.

რა უნდა უთხრას ონორინს:

„მე ვიყავი, ონორინ!"

მოხუცს ვერაფერი უშველის, ხომ ველარაფერს ხედავს, ველარაფერს. მით უარესი მისთვის. აღრე თუ გვიან ბედს უნდა შერიგებოდა. წითური რომ გამოტეხილიყო, მოხუცს გული უფრო ეტკინებოდა, დაე, ისე წავიდეს, რომ ეჭვი ვერ აიღოს, თუ ამ საქმეში წითური ერია. ეგონოს, რომ ბედისწერის გარდუვალი ლახვარი იგემა.

რატომ უნდა უთხრას ქალბატონ ლეპიკს:

— დედა. მე ვიყავი!

საქებარი საქციელით თავი იმიტომ მოიწონოს. რომ წყალობის ღიმილი გამოსტყუოს? თან ეს სახიფათოც არის, რადგან მას კარგად მოეხსენება, რომ ქალბატონ ლეპიკს არ გაუჭირდება საჯაროდ შეარცხვინოს, წითური ჩემს საქმეებში ერევაო. ისევ ურჩევნია, თავი ისე დაიჭიროს, დედასა და ონორინს ქვაბის მონახვაში ვეხმარებით.

ახლა ქვაბს სამივენი დიდი მონდომებით ეძებენ და განსაკუთრებით ჯი წითური ცდილობს, რომ თავი გამოიჩინოს.

ქალბატონ ლეპიკს, რომელიც მაინცდამაინც მონდომებული არ არის, ქვაბის მონახვის სურვილი მალე უქრება...

ონორინი ბედს ემორჩილება და ბუზღუნ-ბუზღუნით [illegible]ას შოულობ-ბა; მალე სინდისის ქენჯნით გაწამებული წითური [illegible] ადგომარეობას უბრუნდება, როგორც ქარქაშს — ვალმოხდილი იარაღი, რომლის სამსახურიც საჭირო აღარ არის.

ᲐᲚᲐᲗᲘ

ონორინი მისმა შვილიშვილმა ალათიმ შეცვალა.

წითური ცნობისმოყვარეობით თვალს ადევნებს ახლადმოსულს, რომელიც რამდენიმე დღით ლეპიკების ყურადღებას დაისაკუთრებს.

— ალათი, — ეუბნება ქალბატონი ლეპიკი, — სანამ შინ შემოხვიდოდეს, უნდა დააკაკუნო. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ კარი შემოამტვრიო და ცხენივით წიხლები ურტყა.

„დაიწყო, — თავისთვის ამბობს წითური, — მაგრამ მთავარი საუზმეზეა მოსალოდნელი".

დიდ სამზარეულოში საუზმობენ. ხელსახოციანი ალათი მზად არის, ლუმელიდან განჯინისაკენ და განჯინიდან მაგიდისაკენ ირბინოს. რადგან დაბაისლური სიარული არ ჩვეს; ამჯობინებს სული ვერ მოითქვას და ლოყებაწითლებული გაიქცა-გამოიქცეს. ლაპარაკითაც სხაპასხუპით ლაპარაკობს, შეტისმეტად ხმამაღლა იცინის და ცდილობს ყველაფერი გულიანად გააკეთოს.

ბატონი ლეპიკი პირველი ჯდება, თავის ხელსახოცს გაშლის, თავის მათლაფას მის წინ მდგომ ლანგართან მიიჩოჩებს, ხორცსა და სოუსს გადმოიღებს და მათლაფას ისევ თავისკენ მიიწევს, მერე ღვინოს დაისხამს და წაკუზული, თვალებდახრილი დღესაც ისევე, როგორც მუდამ, დინჯად და გულგრილად მიირთმევს.

ლანგარს რომ გამოცვლიან და ახალ კერძს შემოიტანენ, სკამზე იბრეგა და ფეხს ამოძრავებს.

ქალბატონი ლეპიკი თავისი ხელით უღებს საჭმელს შვილებს, ჯერ უფროს ძმას ფელიქსს, რადგან შიმშილით მუცელი უწრიალებს და მერე ერნესტინს, რადგან უფროსია, და ბოლოს მაგიდის ბოლოში მჯდომ წითურს.

წითური არასოდეს არ მოითხოვს, დამიმატეთო, თითქოს ეს სასტიკად აკრძალული იყოს. ერთი ჯერი უნდა ეყოს. მეორე ჯერს რომ სთავაზობენ, უარს მაშინაც კი არ ამბობს, როცა ბრინჯით უღვინოდ იბერება; ბრინჯი არ უყვარს და მხოლოდ იმიტომ შეექცევა, რომ დედის გული მოიგოს; მთელ ოჯახში ბრინჯი მხოლოდ ქალბატონ ლეპიკს უყვარს.

თავს უფრო დამოუკიდებლად გრძნობენ უფროსი ძმა ფელიქსი და ერნესტინი, როცა მეორე ჯერი უნდათ, თავის მათლაფას ბატონი ლეპიკივით ლანგარისაკენ აჩოჩებენ.

მაგრამ სუფრასთან არავინ ხმას არ იღებს.

„რა დაემართათ?" ფიქრობს ალათი.

არაფერიც არ დამართვიათ, ასეთები არიან, ეგ არის და ეგ.

როცა ხან ერთთან მიდის და ხან მეორესთან, პირზე ხელს იფარებს, რადგან მთქნარებას ვერ ერევა.

ბატონი ლეპიკი დინჯად მიირთმევს, თითქოს დანაყულ შუშას ღეჭავდეს.

ქალბატონი ლეპიკი, რომელიც სულ კაჭკაჭივით ლაქლაქებს სუფრასთან ბრძანებას მიმიკითა და თავის ქნევით იძლევა.

ერნესტინი თავაღერილი ჭერში იყურება.

უფროსი ძმა ფელიქსი პურის გულით რაღაცას ძერწავს, ხოლო უთძოდ დარჩენილი წითური იმაზე ფიქრობს, ჩემი ღორმუცელობით მათლაფა ადრე ან ჩემი მოუქნელობით ძალიან გვიან არ მოვასუფთავოო, და თავის მიზანს რაღაც რთული გამოანგარიშებით აღწევს.

უცებ ბატონი ლეპიკი ფეხზე დგება, რომ გრაფინით წყალი მოიტანოს.

— წყლის მოსატანად განა მე ვერ წავალ, — ამბობს ალათი.

უფრო სწორად, კი არ ამბობს, მხოლოდ ფიქრობს. მასაც ის ემართება, რაც ყველას სჭირს, ენა უმძიმდება. სიტყვა ალარ ამოსდის, მაგრამ რადგან თავს დამნაშავედ გრძნობს, ერთი-ორად ყურადღებიანია.

ბატონ ლეპიკს პური ალარ აქვს. ამჯერად ალათი ყველას ასწრებს. იგი მას ისე დაძაბული ადევნებს თვალს, რომ სხვები ავიწყდება და ქალბატონი ლეპიკი მკაცრად ეუბნება:

— ალათი, რა არის, რა ხესავით გაშეშებული დგახარ? წესიერად მოიქეცი.

— დიახ, ქალბატონო, — პასუხობს ალათი.

და ცხრად იჭრება, ყველაფერს ასწრებს და ბატონ ლეპიკს თვალს არ აშორებს. თავაზიანობით სურს მისი გული მოიგოს და თავი გამოიჩინოს.

აი, ახლა კი დროა!

როგორც კი ბატონი ლეპიკი პურის უკანასკნელ ლუკმას პირთან მიიტანს, განჯინასთან მიიჭრება და დანით ჯერგაუჭრელი ერთი ხუთგირვანქიანი მრგვალი პური გამოაქვს და გულკეთილად სთავაზობს, ბედნიერი იმით, რომ ბატონის სურვილი გამოიცნო.

ამასობაში ბატონი ლეპიკი თავის ხელსახოცს კეცავს, სუფრიდან დგება, ქუდს იხურავს და პაპიროსის გასაბოლებლად ბაღში გადის.

როცა საღილობა თავდება, საღილობა თავიდან ხომ არ დაიწყება!

თითქოს ერთ ადგილზე მიალურსმესო, მუცელზე მიდებული თავისი ხუთგირვანქიანი ერთი თავი პურით ალათი ისე დგას, როგორც მაშველი რგოლების ქარხნის ცვილის რეკლამა.

გ რ ი ბ ა ბ ა

— გული გეტკინათ, არა! — ეუბნება წითური ალათის, როგორც კი საბზარეულოში მარტონი რჩებიან. — ნუ მოიწყენთ, ვინ იცის, კიდევ რას არ ნახავთ, ამ ბოთლებით მაინც სად მიდიხართ?

— სარდაფში, ბატონო წითური.

წ ი თ უ რ ი

უკაცრავად, მაგრამ სარდაფში ჩასვლა ჩემი საქმეა. იმ დღიდან, რაც შეგძელი და ჩავედი ამ კიბეზე, რომელიც ისე ცუდი ჩასასვლელია, რომ ქა-

ლებს მუდამ ფეხი უსხლტებათ და ლამის კისერი მოიტეხონ, ნდობით აღ-ჭურვილ აცად ვიქეცი. მე შემიძლია ბოთლის წითელი თავსახვევი ლურჯი თავსახვევისაგან გავარჩიო.

მე ვყიდი ძველ კასრებს, რომ ცოტა ფული ვიშოვნო. კიდევ ვყიდი კერ-დღლის ტყავებს და ფულს დედას ვაძლევ.

შევთანხმდით, გეთაყვა, რომ საქმიანობაში ერთმანეთს ბევრს ვეუშლით.

დილით ძაღლს მე ვუშვებ და სალაფავს მე ვაჭმევ. საღამოს მე ვეძახი, რომ სახლში შემოვიდეს და დაწვეს, თუ ქუჩაში შეაგვიანდება, მე ვუცდი.

ამას გარდა, დედამ მითხრა, საქათმის კარს მუდამ შენ გადარაზავ.

ბალახს მე ვგლეჯ ,ამას ცოდნა უნდა, ფესვებიდან მიწას ფეხსაცმელზე ვიფშვნი, რომ თან ფეხსაცმელს ნახვრეტები დავუცო და თან საქონელს მიწა-გაცლილი ბალახი დავუყარო.

გასავარჯიშებლად მამას შეშის ხერხვაში მე ვეხმარები.

ბოლოს მე ვუღებ ნანადირევს, რომელიც მამას ცოცხალი მოაქვს და თქვენ და ჩემმა დამ ერნესტინმა უნდა გაბტყვნათ.

მუცელს თევზებს მე ვუფატრავ, მე ვშიგნავ და ფეხსაცმლის ქუსლით თევზის ბუშტს მე ვხეთქავ.

სამაგიეროდ, თევზს ქერცლს თქვენ აცლით და ვედრო ჰიდან თქვენ ამოგაქვთ.

მე ვეხმარები დედას ძაფის შულოს ამოხვევაში.

მე ვფქვავ ყავას.

როცა ბატონი ლეპიკი ტალახიან ფეხსაცმელს იხდის, დერეფნის კართან მე გამომაქვს, მაგრამ ერნესტინი ვერ მოითმენს, რომ ის ფლოსტები, რომელიც თვითონ დაჭარგა, მამას სხვამ მიუტანოს.

მე მაქვს დავალებული შესრულება ყველა მნიშვნელოვანი დავალებისა, შორს რომ არის გასაქცევი, აფთიაქი იქნება ეს თუ ეკიმი.

თქვენ, თქვენი მხრივ, წვრილმანზე და ყოველდღიურ სურსათ-სანოვაგეზე სოფელში ირბენთ.

ამავე დროს, თქვენ მოგიწევთ დღეში ორი-სამი საათი ყოველგვარ ამინდში სარეცხი გარეცხოთ მდინარეში. ეს თქვენი ყველაზე მძიმე საქმიანობა იქნება, ჩემო ბედშავო მეგობარო; მე აქ ვერაფრით დაგეხმარებით. თუმცა ვეცდები ზოგჯერ, თუკი მეცლება, ხელი შეგაშველოთ, როცა სარეცხს მესერზე გადაფენთ.

გირჩევთ, არასოდეს გაფინოთ თქვენი სარეცხი მსხმოიარე ხეხილზე. ბატონი ლეპიკი შენიშვნას არ მოგცემთ, სარეცხს წკიპურტით მიწაზე დაგიყრით. ხოლო ქალბატონმა ლეპიკმა ზედ პატარა ლაქა თუ შეამჩნია, ხელახლა გაგაგლეინებთ.

ფეხსაცმელს რაც შეეხება, გირჩევთ ბლომად წაუსვათ ქონი მონადირის ფეხსაცმელს და ცოტა ვაქსი — უყელო წაღებს, ტყავსა სწვავს.

გატალახიანებულ მოკლე შარვლებს მეტის მეტად ნუ გაწმენდთ. ბატონი ლეპიკი ამტკიცებს, ტალახი ქსოვილს ინახავსო; მე კი ვიკეცავ, როცა ბატონ ლეპიკს სანადიროდ მივყავარ და მისი სანადირო ჩანთა მიმაქვს.

— წითურო, — მეუბნება ის, — შენგან არასოდეს ნამდვილი მონადირე არ გამოვა.

ქალბატონი ლეპიკი კი მეუბნება:

— ყურებს აგაძრობ, გატალახიანებული შარვლით თუ დაბრუნდი. მართლაც რომ გემოვნებაზეა დამოკიდებული.

მაინცდამაინც შესაბრალისი არ იქნებით. ჩემი არდადეგების განმავლობაში სამუშაოს გავინაწილებთ და უფრო ნაკლები გექნებათ გასაკეთებელი, როცა ჩემი და, ჩემი ძმა და მე პანსიონიდან დავბრუნდებით. ერთი სიტყვით, ყველა თავის საქმეს მოუვლის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან აუტანელი არავინ მოგეჩვენებათ. თქვენს მეგობრებს დაეკითხეთ: ყველანი დაგარწმუნებენ, რომ ჩემი და ერნესტინი ანგელოსის განსახიერებაა, რომ ჩემს ძმას ფელიქსს ოქროს გული აქვს, რომ ბატონი ლეპიკი პირდაპირი, გონიერი და სამართლიანი კაცია, ხოლო ქალბატონი ლეპიკი მზრუნველი ქალის განსაკუთრებული ნიჭით არის დაჯილდოებული. შესაძლოა მთელ ჩვენს ოჯახში ყველაზე აუტანელი ხასიათისა მე მოგეჩვენოთ. სხვაზე უარესი არა ვარ, უბრალოდ ჩემთან კაცმა ენა უნდა გამონახოს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ თანდათან ჭკუაში ვვარდები და გამოსწორების გზაზე ვდგავარ. მოურიდებლად შემიძლია ვთქვა, რომ უკეთესობა მეტყობა და თუ თქვენი მხრივ ხელს შემიწყობთ, სრული სიამტკბილობა გვექნება.

არა, ბატონს ნულარ დამიძახებთ, წითური დამიძახეთ, ყველა ასე მეძახის. ეს ისე გაჭიანურებულად სათქმელი არ არის, როგორც ბატონი ლეპიკ უმცროსი. ოღონდ თქვენობით ნუ მომმართავთ თქვენი დიდედა ონორინივით, რომელსაც ვერ ვიტანდი იმიტომ, რომ მუდამ მამცირებდა.

უსინათლო

იგი ჯოხით კარზე მორიდებით აკაკუნებს.

ქალბატონი ლეპიკი

— ნეტავ ახლა რაღა უნდა?

ბატონი ლეპიკი

— არ იცი, რაც უნდა? თავისი ათი სუ უნდა. დღეს მისი დღე არის. შემოუშვი.

მოღუშული ქალბატონი ლეპიკი კარს აღებს და უსინათლოს საჩქაროდ შინ შემოიყვანს, რომ სიცივე არ შემოიტანოს.

— გამარჯობათ ყველას, ვინც აქა ხართ! — ამბობს უსინათლო.

იგი წინ მოდის და მისი ჯოხი იატაკის ფილებზე ნელ-ნელა მოიწევს, თითქოს თაგვებს ერეკებოდეს და სკამს ეჯახება. უსინათლო ჯდება და გათოშილ ხელებს ღუმელს უშვერს.

ბატონი ლეპიკი ათ სუს აძლევს და ეუბნება:

— გამომართვით!

მერე ყურადღებას აღარ აქცევს და გაზეთის კითხვას აგრძელებს.

წითური ერთობა. უსინათლოს საბოლებს დაჰყურებს ჩაცუცქული: საბოლები სითბოზე ლხვება და საბოლების გარშემო უკვე პატარ-პატარა რუები ჩნდება.

ქალბატონი ლეპიკი შეამჩნევს ამას.

— მომეცით თქვენი საბოლები, მოხუცო, — ეუბნება.

მას საბოლები ღუმელთან მიაქვს, მაგრამ უკვე გვიან არის; იატაკზე უკვე გუბე დგას. შეშფოთებული უსინათლო ფეხებთან სისველეს გრძნობს, ხან

ერთ ფეხს ასწევს მიღლა, ხან მეორეს. ტალახიან თოვლს იშორებს და აქეთ-იქით ფანტავს.

წითური ფრჩხილებით იატაკს ფხიკავს. ტალახიანი წყალს თავისკენ გზას ურურუებს, ღრმა ღარები გამოჰყავს.

— თავისი ათი სუ ხომ ჩაიგდო ხელში, — ამბობს ბატონი ლეპიკი მოურიდებლად, — რაღას უცდის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ უსინათლო პოლიტიკაზე იწყებს საუბარს ჯერ გაუბედავად, მერე კი უფრო და უფრო თავდაჯერებული, როცა სიტყვას ვერ პოულობს, ჯობს იქნევს, ხელს ლუმელის მილზე იწვავს, სწრაფად აცილებს და დაეჭვებული ატრიალებს უსინათლო თვალებს, რომელთა მიღმაც დაუშრეტელი ცრემლები იმალება.

ზოგჯერ ბატონი ლეპიკი გაზეთს გადაშლის და ამბობს:

— რა თქმა უნდა, პაპა ტისიე, რა თქმა უნდა, მაგრამ დარწმუნებული კი ბრძანდებით?

— დარწმუნებული ვარო! — წამოიძახებს უსინათლო. — აი, ეს მომწონს! ყური დამიგდეთ, ბატონო ლეპიკ, თქვენ ახლა შეიტყობთ, თუ როგორ დავბრმავდი.

— ახლა იქედან ფეხს აღარ მოიცვლის, — ამბობს ქალბატონი ლეპიკი.

და მართლაც უსინათლო თავს უფრო შინაურულად კრძნობს, თავისი უბედურების ამბავს ყვება და ისეა გართული, არაფერი აღარ ეყურება. თითქოს გაყინული ძარღვები ნელ-ნელა ულბვება და მოძრაობაში მოდის. ეს გეგონებათ, მისი ტანისამოსიდან და სხეულის ნაწილებიდან ზეთი იღვრებათ.

იატაკზე გუბე იზრდება, წითურს უახლოვდება და საცაა მის ფეხებთან მოვა.

მიზანი მიღწეულია.

ახლა წითური ამ გუბით კარგად გაერთობა.

მაგრამ ამ დროს ქალბატონი ლეპიკი მოხერხებულად იქცევა, ეჯახება უსინათლოს, იდაყვს გაკრავს, ფეხზე აბიჯებს, უკან ახევინებს და იმწყვდევს ბუფეტსა და ჭანჯინას შორის, სადაც სითბო ველარ აღწევს. თავგზადაბნეული უსინათლო ხელებს აცეცებს, იქნევს და თითებს პატარა მხეცებივით ამოძრავებს. თითქოს თავისი ღამის სიბნელეს ფანტავდეს. უსინათლოს ძალღვებში ისევ ყინვა უჯდება და სიცივისაგან ისევ იფიჩხება.

უსინათლო თავის ამბავს მტირალა ხმით ამთავრებს:

— დიახ, ჩემო კეთილო მეგობრებო, გათავდა, აღარც თვალისჩინია, აღარც აღარაფერი, მხოლოდ ბუხარივით შავი წყვდიადია.

მას ჯობი ხელიდან უვარდება. ქალბატონ ლეპიკსაც სწორედ ეს უნდოდა. ჯობს სწრაფად დასწვდება. უსინათლოს უწვდის და თან ხელიდან არ უშვებს.

უსინათლოს ასე ჰგონია, ჯობი ხელთა მაქვსო, მაგრამ ეს ასე არ არის.

ქალბატონი ლეპიკი მოტყუებით ახერხებს უსინათლოს ადგილი კიდევ ერთხელ შეაცვლევინოს, მერე საბოებს უწვდის და კარამდე გვერდით მისდევს.

მერე ჯავრის ამოსაყრელად მსუბუქად უჩქმეტს და აგდებს ქუჩაში, რომელსაც ნაცრისფერი ცის დაგლეჯილი საბანი ახურავს, ამ საბნიდან თოვლის ბუმბული იფანტება და ქარი მიტოვებული ძალლივით ყმუის.

სანამ კარს მიიჯახუნებდეს, ქალბატონი ლეპიკი უსინათლოს ისე უყვირის, თითქოს ყრუც იყოს:

— ნახვამდის. ფული არ დაგეკარგოს; მომავალ კვირამდე, თუ კარგი ამინდი იქნება და თუკი თქვენც მანამდე არაფერი მოგივათ, ღმერთმანი, მართალი ბრძანდებით, ჩემო ბებერო ტისიე, არავინ იცის, ვინ როდემდე [illegible] ლებს და სიკვდილი ვის როდის მოუკაკუნებს. ყველანი ვიტანჯებთ [illegible] უფალი ყველას სატანჯველით იტანჯება!

ახალი წელი

თოვს. ახალმა წელმა რომ ლირსეულად ჩაიაროს, თოვლი უნდა მოდიოდეს.

ქალბატონ ლეპიკს ეზოს კარი წინდახედულად ურდულით ჩაუკეტავს.

ქუჩის ონავრები ჯერ რაზას ეჯაჯგურებიან; თავიდან მორიდებით აკაკუნებენ, მერე კარს მტრულად საბოებს უშენენ და ბოლოს კი უკვე მიმავლები და იმედგადაწყვეტილები უკან-უკან იხედებიან და თვალს არ აცილებენ იმ ფანჯარას, რომლის მიღმაც ქალბატონი ლეპიკი მათ თვალს ადევნებს. მათი ნაბიჯების ხმას თოვლი ახშობს.

წითური საწოლიდან წამოიჭრება და პირის დასაბანად ბაღში მდგარ პირსაბანისაკენ გარბის. წყალი გაყინულია. ყინული უნდა დაამსხვრიოს და ეს პირველი ვარჯიში მთელ სხეულს სითბოთი უვსებს და ეს სითბო ღუმელის სითბოზე უფრო ჯანსაღია. წითური პირს კი არ იბანს, უფრო თავს იკატუნებს, ვითომ პირს იბანდეს, რადგან რაც არ უნდა კარგად დაიბანოს, მაინც ბინძურიათ, სულ ამას ამბობენ, და სახეზე მხოლოდ ზედა ჭუჭყს იცილებს.

მკვირცხლი და ნორჩი წითური ცერემონიის მოლოდინში თავის ადგილს იკავებს, უფროსი ძმის ფელიქსის ზურგს უკან, ხოლო ფელიქსი თავისთავად უკან ამოსდგომია თავის დას ერნესტინს, რომელიც მათში ყველაზე უფროსია. სამივენი შედიან სამზარეულოში, სადაც ერთმანეთს თითქოს შემთხვევით ხვდებიან ბატონი და ქალბატონი ლეპიკები.

ერნესტინი მათ ჰკოცნის და ეუბნება:

— გამარჯობა, მამიკო, გამარჯობა დედიკო, გისურვებთ კარგ ახალ წელს, გისურვებთ ჯანმრთელობას და როცა ამ ქვეყნიდან წახვალთ, გისურვებთ სამოთხეს.

უფროსი ძმა ფელიქსი სხაპასხუპით იგივეს იმეორებს და როგორც კი წინადადებას დაამთავრებს, მშობლებს გადაჰკოცნის.

წითურს კი ქუდიდან წერილი ამოაქვს. დაწებებულ კონვერტს აწერია: „ჩემს ძვირფას მშობლებს". მისამართი აღნიშნული არ არის.

კონვერტის ერთ კუთხეში საოცრად ჭრელი ფრინველი მიფრინავს.

წითური კონვერტს უწვდის ქალბატონ ლეპიკს, რომელიც კონვერტს ხსნის. გაშლილი ყვავილები უხვად ამშვენებს ქალალდის ფურცელს და შემოვლებული აქვს მაქმანის არშია, რომლის ნაჩვრეტებში წითურს კალამი ხშირად ჩავარდნია და მომიჯნავე სიტყვები მელნის წინწკლებით დაუსვრია.

ბატონი ლეპიკი

მე? მე რომ არაფერი მიმიღია?

წითური

ეგ ორივეს გეკუთვნით; დედა წაგაკითხებს.

ბატონი ლეპიკი

მაშ, ჩემზე უფრო დედა გყვარებია. აბა ერთი ჯიბეები მოიქექე, ასეთი ახალი ათსუიანი ხომ არ გიდევს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითური

ცოტაც მოითმინე, დედამ უკვე გადაიკითხა.

ქალბატონი ლეპიკი

აზრს კარგად ალაგებ, მაგრამ ისეთი ცუდი ხელი გაქვს, ვერაფერი გამირჩევია.

— აი, მამა, — ჩქარობს წითური, — ახლა შენ წაიკითხე.

მაშინ, როცა წითური დაძაბული მსჯავრს ელის, ბატონი ლეპიკი წერილს ერთხელ გადაიკითხავს, მერე მეორედ, დიდხანს ათვალიერებს და ჩვეულებისამებრ ამბობს: „აჰ! აჰ!" და წერილს მაგიდაზე დებს.

წერილი ალარავის სჭირდება, წერილმა თავისი მოვალეობა შეასრულა და ახლა ყველას ეკუთვნის, ყველას შეუძლია გასინჯოს, ხელი მოჰკიდოს. და ერნესტინი და უფროსი ძმა ფელიქსი წერილს ხელში იღებენ, ატრიალებენ და ორთოგრაფიულ შეცდომებს ეძებენ. აი, ამ ადგილიდან წითურს სხვა კალმით უწერია, უფრო გასარჩევია. ბოლოს წერილს ისინი წითურს უბრუნებენ

იგი წერილს ხელში ატრიალებს და ნაძალადევად იღიმება, თითქოს მათ ეკითხებოდეს:

— ეს წერილი ვის უნდა?

ბოლოს წითური წერილს ისევ ქუდში ინახავს.

ახლა საახალწლო საჩუქრებს დაარიგებენ. ერნესტინს ასაჩუქრებენ დედოფალათი, რომელიც მასზე უფრო მაღალიც კია, უფროს ძმას ფელიქსს — ტყვიის ჯარისკაცებით, რომლებიც საომრად მზად არიან.

— შენთვის კი სიურპრიზი მაქვს მომზადებული, — ეუბნება წითურს ქალბატონი ლეპიკი.

წითური

აჰ, მართლა?

ქალბატონი ლეპიკი

რას ნიშნავს: „აჰ! მართლა?" თუკი იცი, რაც არის, მაშინ სულაც არ არის საჭირო, რომ ნახო.

წითური

ღმერთი თვალით არ მანახა, თუ ვიცოდე, რა არის.

იგი ხელებს სერიოზული გამომეტყველებით ცისკენ ალაპყრობს; ქალბატონი ლეპიკი ბუფეტს ალებს, წითურს სუნთქვა ეკვრის. დედა ხელს ღრმად ყოფს, ისე რომ ბუფეტში მხრით ჩადის და იდუმალი სახით აუჩქარებლად ამოაქვს ყვითელ ქაღალდში გახვეული წითელი შაქარყინულის ჩიბუხი.

წითურს სიხარულით სახე უბრწყინავს. მან იცის, ახლა რა უნდა გააკეთოს, ახლავე მშობლების თანდასწრებით გააბოლებს და დის ერნესტინისა და უფროსი ძმის ფელიქსის შურიან მზერასაც კი არ მოერიდება (ყველაფერი იმათ ხომ არ უნდა ერგოთ!). წითურს შაქარყინულის ჩიბუხი ორი თითით

-ეკავია, გვერდზე იზნიქება, თავს მარჯვნივ ხრის, ლოყებშეწეული და ტუჩებმოპრუწული კვამლს ხმაურით შეისუნთქავს.

მერე კვამლის უზარმაზარ ბოლქვებს ცისკენ გზავნის და ამბობს:

— კარგი ჩიბუხია, კარგად ეწევა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოსვლა და გამგზავრება

ძმები ლეპიკები და მადმუაზელ ლეპიკი არდადეგებზე შინ ბრუნდებიან. დილიჟანსიდან რომ გადმოვა და შორიდან მშობლებს დაინახავს, წითური თავისთვის ამბობს:

— დრო არის, მათთან შესახვედრად რომ გავიქცე, თუ არა?

იგი ყოყმანობს.

— არა, ჯერ ადრეა, მხოლოდ გული ამომივარდება და თანაც არაფრის გაზვიადება არ ვარგა.

სულ სდებს და სდებს:

— აი, იქამდე მივალ და იქიდან გავიქცევი... არა, იქიდან სჯობს...

იგი თავს ეკითხება:

— ქუდი როდის მოვიხადო? პირველად ვის ვაკოცო?

ამასობაში უფროსი ძმა ფელიქსი და ერნესტინი ასწრებენ და მშობლიურ ალერსს სულ ისინი ინაწილებენ. როცა წითური მიდის, ალერსის მარაგი ამოწურულია.

— როგორ, — ეუბნება ქალბატონი ლეპიკი, — ბატონ ლეპიკს ისევ „მამიკოს" ეძახი? ამხელა კაცი? მამაჩემო-თქო, უთხარი და ხელი მაგრად ჩაბოართვი, აი, ვაჟკაცური ეგ იქნება.

მერე ჰკოცნის მხოლოდ ერთხელ, შუბლზე, რომ სხვებს არ შეშურდეთ.

წითური ისე გახარებულია არდადეგებზე ჩამოსვლითა და მშობლების ნახვით, რომ ცრემლები მოსდის. ასე ხშირად ემართება: რასაც გრძნობს, იმის საწინააღმდეგოს ხშირად ამჟღავნებს ხოლმე.

მათი გამგზავრების დღეს (გამგზავრება დანიშნა ორშაბათს, 2 ოქტომბერს და დილით სულიწმინდის წირვა შესრულდა) ქალბატონი ლეპიკი როგორც კი შორს დილიჟანსის ზანზალაკების ჟღარუნს გაიგონებს, შვილებს მივარდება, გულში ჩაიკრავს და კოცნას დაუწყებს. გულზე მიკრულებში მხოლოდ წითური არ არის. იგი თავის რიგს მოთმინებით უცდის, უკვე ხელით დილიჟანსის იმპერიალის ღვედს ჩაჭიდებული. გამოსასალმებლადაც მზად არის და ისე ნაღვლიანია, რომ მისდაუნებურად ღიღინებს კიდეც.

— ნახვამდის, დედაჩემო, — ღარსეულად წარმოთქვამს იგი.

— ამას დამიხედეთ! — ამბობს ქალბატონი ლეპიკი, — თავი რად წარმოიდგინე, შე მასხარავ? მთელი ქვეყანა დედას „დედიკოს" ეძახის და ჩემთვის „დედიკო" ველარ დაგიძახებია? პირველად მნახე? ტუჩზე რძე არ შეშრობია, ცხვირი კარგად ჯერ ვერ მოუხოცავს და თავი არ მოაქვს!

მაგრამ წითურს მაინც ჰკოცნის, მხოლოდ ერთხელ, შუბლზე, რომ სხვებს არ შეშურდეთ.

ალმანსტარი

სენ-მარკის სასწავლებელში, სადაც ბატონმა ლეპიკმა უფროსი ძმა ფელიქსი და წითური მოათავსა, ლიცეუმის კურსს გადიან დღეში ოთხჯერ მოს-

წავლეები ერთსადაიმავე გზაზე სეირნობენ, რაც კარგ ამინდში მართლაც სასიამოვნოა. წვიმაში კი ემდენად ხანმოკლე, რომ ახალგაზრდებმა მხოლოდ გაგრილება მოასწრონ და აღ დასველდნენ ამგვარად, [illegible] ხანმოთელობისათვის ეს გასეირნება წელიწადის ყველა დროისათვის გამოსადეგია.

როცა დილით ფეხს ძლივს მიათრევენ და ლიცეუმიდან ცვლებივით ბრუნდებიან, წითურს თავდაბრილი რომ მოაბიჯებს, უცებ ესმის

— წითურო, გაიღვიძე, მამაშენი ჩამოსულა!

ბატონ ლებიკს უყვარს თავის ბიჭებს რომ აოცებს შეუტყობინებლად ჩამოდის, მოულოდნელად გამოეცხადებათ, ბოლმე მოპირდაპირე ტროტუარზე, ქუჩის კუთხეში და ჩუმად ხელებდაწყობილი სიგარეტს აბოლებს.

წითური და უფროსი ძმა ფელიქსი მწყობრიდან გამოდიან და მამასთან მიირბენენ.

— რაც მართალია, მართალია, — ეუბნება წითური, — ვისზე აღ ვიფიქრე და შენზე კი აღ მიფიქრია.

— შენ ჩემზე მხოლოდ მაშინ ფიქრობ, როცა მხედავ.

წითურს პასუხად სურს ტკბილად რაიმე უთხრას, მაგრამ სიტყვები ვერ მოუნახავს, მეტისმეტად გართულია. ფეხის წვერებზე დამდგარა და ცდილობს მამას როგორმე აკოცოს. პირველ ცდაზე ბაგით მხოლოდ მამის წვერს ეხება, მაგრამ ბატონი ლებიკი უნებურად თავს მაღლა აიღებს. მერე ისევ დაიხრება და მოულოდნელად კვლავ გაიმართება; წითური, რომელიც მის ლოყას ეძებს, ბაგით მამის ცხვირს ოდნავ ეხება და მხოლოდ ჰაერს კოცნის. იგი ბედს ემორჩილება და შემკრთალი ცდილობს, მამის უცნაურ შეხვედრას ახსნა მოუძებნოს.

— ნუთუ მამაჩემს აღარ ეუყვარვარ? — თავისთვის ამბობს იგი.— ვე ხომ დავინახე, უფროსს! ძმას ფელიქსს როგორ ჰკოცნიდა. თვითონ გადაეხვია, თავი კი არ აურიდებია. რატომ მარიდებს? რომ ვეჩვიანობდე, ის უნდათ? მერამდენედ უნდა შევამჩნიო. მშობლებს სამი თვითაც რომ დავშორდე, მათი ნახვა ძალიან მენატრება, თავს პირობა მივეცი, დავინახავ თუ არა, კისერზე ლეკვივით ჩამოვეკიდები, ერთმანეთს ალერსით ჩავეყლაპავთ-მეთქი, მაგრამ აი, დავინახე, და ცივი წყალი გადამესხა.

ამ ნაღვლიანი ფიქრებით გულდამძიმებული წითური დაფანტული პასუხობს ბატონ ლებიკს, როცა იგი ეკითხება, ბერძნულ ენაში რა წარმატება გაქვსო.

ᲬᲘᲗᲣᲠᲘ

გაიჩნია რაში! ბერძნულიდან ფრანგულად უკეთ ვთარგმნი, რადგან უფრო მისაბეზღარია, ვიდრე ფრანგულიდან ბერძნულად.

ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲚᲔᲑᲘᲙᲘ

გერმანულში?

ᲬᲘᲗᲣᲠᲘ

გამოთქმა მეტისმეტად მიჭირს, მამიკო.

ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲚᲔᲑᲘᲙᲘ

ეშმაკმა დალახვრეს! იმი რომ გამოვიცხადონ, პრუსიელებს როგორ ზეებრძოლები, თუკი მათი ენა არ გეცოდინება?

წითური

აჰ! იმ დროისათვის მეცოდინება. შენ სულ მუდამ ომით მაშინებ. მე კი დარწმუნებული ვარ, ომი მანამდე მოიცდის, სანამ სწავლას დავასრულებ.

ბატონი ლეპიკი

თხზულება რომ შეასრულე, რომელი ადგილი დაიკავე? ბოლოში ხომ არ მიჩანჩალებ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითური

ბოლოში ვიღაც მაინც ხომ უნდა მიჩანჩალებდეს.

ბატონი ლეპიკი

ეშმაკმა დალახვროს! მე კი მინდოდა სადილად დამეპატიჟებინე. კვირა დღე რომ იყოს, კიდევ ხო! სამუშაო დღეს თქვენი მოცდენა არ მიყვარს.

წითური

მე პირადად უამრავი დავალება მაქვს გასაკეთებელი; შენ, ფელიქს?

უფროსი ძმა ფელიქსი

მასწავლებელს სწორედ ამ დილით დააგიწყდა, ჩვენთვის საწერი საგარჯიშო რომ მოეცა.

ბატონი ლეპიკი

გაკვეთილს უკეთ ისწავლი.

უფროსი ძმა ფელიქსი

აჰ! მამიკო, გაკვეთილი ნასწავლი მაქვს. დღესაც ისა გვაქვს, რაც გუშინ გვქონდა.

ბატონი ლეპიკი

მიუხედავად ამისა, მირჩევნია სასწავლებელში დაბრუნდეთ. ვეცდები, კვირამდე აქ დავრჩე, რომ დაკარგული ავინაზღაუროთ.

ვერც უფროსი ძმის ფელიქსის მოღუშული სახე, ვერც წითურის ხაზგასმული დუმილი განშორებას ვერ დააგვიანებს და გამომშვიდობების წამი დადგება.

წითური ამ წამს შეშფოთებით ელის.

— ვნახოთ, — ფიქრობს იგი — დღეს გამიმართლებს თუ არა: გამიჯავრდება თუ არა მამაჩემი, რომ ვაკოცებ

და გამბედაობით აღტაცებული და თავაწეული წითური მამას თვალებში შეჰყურებს და უახლოვდება.

მაგრამ ბატონი ლეპიკი წითურს, სანამ მიუახლოვდებოდეს, ხელით შეაჩერებს და ეუბნება:

— მაგ კალმით ერთხელაც იქნება თვალებს გამომთხრი. ასე უნდა გქონდეს ყურში გაჩრილი, როცა ჩემს კოცნას აპირებ? აბა დაუკვირდი, როცა კაცს მინდა ვაკოცო, პირში გაჩრილ სიგარეტს მოვიშორებ ხოლმე.

წითური

ოჰ! ჩემო ნაბუცო მამიკო, მაპატიე, ჩემი მიზეზით ერთ მშვენიერ დღეს მართლა უბედურება მოხდება. რამდენჯერ გამაფრთხილეს, მაგრამ კალამი ყურზე ისე მოხერხებულად თავსდება, რომ სულ იქა მაქვს გაჩრილი და ალარ მახსოვს, წვერი რომ მაინც მოვაშორო! აჰ! ჩემო საწყალო მამიკო, რა კმაყოფილი ვარ, რაკი ის ამბავი შევიტყვე, რომ თურმე ჩემი კალამი გაფრთხობდა.

ბატონი ლეპიკი

დალახვროს ეშმაკმა! ლამის თვალი გამომთხარე და იცინი კიდეც.

ფიქრები

არა, ჩემო მოხუცო მამიკო, მე ერთი სულელური აზრი მაცინებს, მე თვითონ რომ ავიხირე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფითელლოყება

I

თავისი ყოველდღიური შემოვლა რომ დაამთავრა, სენ-მარკის სასწავლებლის დირექტორმა დორტუარი დატოვა. ყოველი მოსწავლე თავის ლოგინში ისე მოთავსდა, როგორც ბუდეში, და თითქოს კუთვნილზე მეტი სივრცე რომ არ დაეკავებინა, მოიკუნტა. ზედამხედველი ვიოლონი ოთახს მოუთვალიერებს, რაკი დარწმუნდება, რომ ყველა საწოლშია, ფეხის წვერებზე შემდგარი გაზს ფრთხილად უწევს. მაშინვე მეზობლებში ჩურჩული იწყება. ჩურჩული სასთუმლიდან სასთუმალზე გადადის, აქეთ-იქიდან მოისმის, მთელ დორტუარს ამოძრავებულ ბაგეთა გაურკვეველი შრიალი ეფინება, რომელშიც დროდადრო რომელიღაც თანხმოვნის მოკლე სტვენა ირჩევა.

ბგერები ირის დახშული, გაგრძელებული, მომაბეზრებელი და ბოლოს და ბოლოს კაცს ეჩვენება, რომ მთელი ეს ჩურჩული, უხილავი და მოუსვენარი, თაგვივით ძირს უთხრის და ღრღნის სიჩუმეს.

ვიოლონი ძველ დაღრეცილ ფეხსაცმელს იცვამს, ერთხანს საწოლებს შორის გაივლ-გამოივლის, აქ ერთ მოსწავლეს ფეხზე შეუღიტინებს, იქ სხვას ჩაჩის პომპონზე ჩაეჭიდება, ბოლოს კი მარსოსთან შეჩერდება. შუალამემდე მარსოსთან ეს მისი გამუდმებული და ხანგრძლივი გაჭიანურებული საუბარი სხვებისთვის ცუდი მაგალითია. უფრო ხშირად მოსწავლეები ნელ-ნელა ჩუმდებიან და თანდათანობით მათი დახშული ხმები თითქოს თავებზე გადახურული საბნიდან ისმის; ყველას სძინავს, ისევ მარსოს საწოლზე დახრილი ზედამხედველი, კი იდაყვებით რკინას ისე მძიმედ დაყრდნობია, ველარა გრძნობს, მხრები როგორ დაბუჟებია და მხრიდან თითის წვერებამდე ჭიანჭველები ფუსფუსით როგორ გარბი-გამორბიან.

ზედამხედველი ერთობა მარსოს ბავშვური თხრობით, არ აძინებს და ართობს მეტისმეტად გულწრფელი და გულითადი ამბებით. მას თავიდანვე შეუყვარდა ეს ნაზი და ნათელი სახის ყმაწვილი, რომელიც თითქოს შიგნიდანვეა გაცისკროვნებული. მისი სახის კანს კანი არ ეთქმის, უფრო უნაზესი გარსია რომელიღაც ისეთი ხილისა, რომელზედაც ამინდის უმცირეს ცვალებადობაზე ისევე მკაფიოდ ჩანს ძარღვების ქსელი, როგორც გეოგრაფიული რუკის ხაზები — თხელ გადასაყვან ქაღალდზე. ამასთან მარსომ მომხიბლავი ვაწითლება იცის უმიზეზოდ და მოულოდნელად, რომლის გამოც სიყვარულით აღიზიანებენ, გოგო ხარო. ზოგჯერ ამხანაგი თითს დააჭერს ამ ქალურ ლოყაზე, მერე გაიქცევა და ზედ დაუტოვებს ხოლმე თეთრ ლაქას, რომელიც მაშინვე შეიღებება ღია წითელი ფერით და მერე, როგორც წითელი ღვინო ანკარა წყალს, სწრაფად ეფინება მთელ სახეს და ამდიდრებს სხვადასხვა ელფერითა და ნიუანსით ვარდისფერი ცხვირის წვეროდან ლილისფერ ყურებამდე. ყველას შეუძლია ეს სინჯოს. მარსო თავაზიანად მზად არის ასე-

თი ცდისათვის. ამხანაგებმა მას „ჭრაქი“, „ფარანი“ და „წითელლოყება“ შეარქვეს. ამ თვისებამ — როცა უნდოდა მაშინ გაწითლებულიყო — მას ბევრი მოშურნე გაუჩინა.

წითურს, რომელიც მეზობელ საწოლზე წევს, მისი სხვებზე უფრო მეტად შურს. ეს ლიმფატური და ნაყვავილარი პიერო, რომელსაც სახეზე თითქოს ფქვილი აყრია, პინცეტით ამაოდ აწამებს თავის მომჩვარულ ლოყებს და მერე რისთვის! — მუდამ არცთუ ისე თვალსაჩინო და საეჭვო ორიოდე ყღალი ღინღლი რომ ამოიყვანოს. იგი მარსოს ფრჩხილებით ალისფერ ლოყებს დიდი სიამოვნებით და მძულვარებით აუჭრელებდა და კანს ფორთოხალივით შემოაფცქვნიდა.

რაკი უკვე დიდი ხანია დაინტერესებულია, ამ საღამოს, როგორც კი ვიოლონი შემოდის, გულჩათხრობილი ზედამხედველის ამბები რომ გაიგოს, ალბათ საფუძვლიანად დაეჭვებული წითური საუბარს ყურს მიუგდებს, იგი პატარა ჯაშუშის ყველა ფანდს იყენებს: თავს მოიმძინარებს და ხვრინვას ამოუშვებს; ხმაურით გვერდს ისე იცვლის, რომ მთლიანად ბრუნდება და ისეთი გამგმირავი ხმით წამოიყვირებს, თითქოს კოშმარი ესიზმრება, რის გამოც მთელი დორტუარი იღვიძებს და საწოლებზე მღელვარება ტალღასავით გადაივლის. მერე, როგორც კი ვიოლონი იქაურობას შორდება, საწოლზე გადახრილი და აღელვებული წითური მარსოს ჩურჩულით ეუბნება:

— პინგვინო! პინგვინო!

არავინ პასუხს არ იძლევა. წითური მუხლებზე დადგება, მარსოს ხელზე დაებღაუჭება და, რაც ძალი და ღონე აქვს, ანჯღრევს:

— არ გეყურება? პინგვინო-მეთქი!

პინგვინს თითქოს არ ეყურება; გაშმაგებული წითური კვლავ განაგრძობს:

— რა არამზადაა!.. შენ რა გგონია, ვერა გხედავდით. აბა ერთი გითქვამს, არ უკოცნიაო! აბა ერთი გითქვამს, მისი პინგვინი არა ვარო.

წითური წამოიქოჩრება, კისერს ზევით აიტანს და საწოლის კიდეზე დაყრდნობილი გაბრაზებულ თეთრ მამალ ბატს დაემგვანება.

მაგრამ ამ დროს მას ეუბნებიან:

— რა ამბავია? რა ხდება?

წითური ერთი ნახტომით საწოლს უბრუნდება.

ეს ზედამხედველია, რომელიც მოულოდნელად ბრუნდება!

II

— დიახ, — ეუბნება ვიოლონი, — მე გაკოცე, მარსო; შენ ეგ შეგიძლია არ დამალო, რადგან ცუდი არაფერი გვიქნია მხოლოდ შუბლზე გაკოცე. მაგრამ წითური მისი ასაკისათვის ასე შეუფერებლად რომ არის წამხდარი, ვერა ხვდება, რომ ეს ამბორი იყო წმინდა, უმანკო, მამაშვილური და რომ შვილივით ან თუ გინდ ძმასავით მიყვარხარ. ხვალ ეს პატარა სულელი ვინ იცის, რას არ იტყვის!

ვიოლონი ამას რომ ამბობს, ხმა ოდნავ უთრთის, წითური კი თავს იმძინარებს, მაგრამ თავი ცოტათი მაღლა აქვს აწეული, რომ არაფერი გამორჩეს.

მარსო ზედამხედველს სუნთქვაშეკრული ყურს უგდებს და თუმცა დარწმუნებულია, რომ მართალზე მართალს ამბობს, მაინც შიშით გული ისე უთრთის, თითქოს რაღაც საიდუმლო მჟღავნდებოდეს. ვიოლონი საუბარს გა-

ნაგრძობს. მაგრამ ხმას დაუწევს და ძლივს გასაგონად ლაპარაკობს. მისი სიტყვები ერთმანეთზეა გადაბმული, გაურკვეველი. ჩურჩულივ ნათქვამი. წითური გვერდზე გადაბრუნებას ვერ ბედავს, მაგრამ ჩოჩვა-ჩოჩვით იქით მიიწევს და შეუმჩნევლად უახლოვდება. მაგრამ მაინც ვერაფერს ამჩევს. იმდენად დაძაბული უსმენს, რომ ეჩვენება, ყურები ძაბრებივით ეფერმავდება და მიგანიერდებაო. მაგრამ შიგ ბგერა რა არის, ბგერაც კი ვერ აღწევს.

მას ახსენდება, რომ ასეთი დაძაბული კვლავაც ყოფილა, როცა კარის ჭუჭრუტანაში თვალმიდებულს სურვილი ჰქონია, ჭუჭრუტანა გაეგანიერებინა და ანკესივით მოეზიდა ის, რის დანახვაც უნდოდა. ახლა მას ნამდვილად ესმის, ვიოლონი როგორ იმეორებს:

— დიახ, ჩემი სიყვარული წმინდაა, წმინდა და ამ პატარა სულელს სწორედ ეს ვერ გაუგია!

ბოლოს ზედამხედველის ლანდი ალერსით იხრება, მარსოს შუბლზე ჰკოცნის და ნიკაპზე თავისი პატარა წვერით ისე ულიტინებს, როგორც ფუნჯით. მერე იმართება, მიდის და წითური ჩარიგებულ საწოლებშორის უხმაუროდ მიმავალს თვალით აცილებს. როცა ვიოლონი ხელით მუთაქას ეხება, შეწუხებული მძინარე მოსწავლე ღრმად ოხრავს და გვერდს იცვლის.

წითური კიდევ დიდხანს უთვალთვალებს, ეშინია, რომ ვიოლონი უეცრად ისევ არ დაბრუნდეს. მარსო საწოლში მოკუნტულა, საბანი თავზე გადაუფარებია, მაგრამ არ სძინავს, ახლახან გადახდენილ ამბავს იხსენებს და არ იცის, რა იფიქროს. ამ ამბავში ცუდს ისეთს ვერაფერს ხედავს, რამაც უნდა დასტანჯოს. ღამის წყვდიადში თვალწინ უდგას ვიოლონის გაცისკროვნებული სახე, ისევე უტკბესი, როგორც ხატება იმ ქალებისა, რომლებიც მის აღგზნებულ გონებას არაერთხელ დასიზმრებია.

წითური ლოდინით იღლება. თითქოს მოჯადოებული მისი ქუთუთოები ერთმანეთს უახლოვდება. თავს დიდხანს აიძულებს, რომ თითქმის მბყუტავ გაზს უყუროს; მაგრამ ვერ ასწრებს დაითვალოს, როგორ სკდება სამჯერ ტკაცატკუცით პატარა ბუშტები, რომლებიც ცდილობენ სანათიდან თავი დააღწიონ, რომ ძილი თავს ართმევს.

III

მეორე დილით, პირსაბანთან, როცა მოწაფეები ყვრიმალებს იხეხავენ ცივ წყალში ოდნავ დასველებული იმ პირსახოცებით, რქებზე რომ ეკიდა, წითური მარსოს გამეხებული შეჰყურებს, ცდილობს თავი გაბრაზებულად მოაჩვენოს და კრიჭაშეკრული კბილებში სცრის:

— პინგვინო! პინგვინო!

მარსოს ლოყები შეეფაკლება, მაგრამ აუღელვებლად პასუხობს და თითქმის ვედრებით შეჰყურებს:

— ხომ გეუბნები, რასაც შენ ფიქრობ, მართალი არ არის-მეთქი!

ზედამხედველი დადის, რომ შეამოწმოს, მოსწავლეებს ხელები კარგად თუ აქვთ დაბანილი. ორ რიგად ჩამწკრივებულნი დაუფიქრებლად ჯერ ხელის ზურგს დაანახვებენ, მერე ხელებს სწრაფად ატრიალებენ და ხელის გულს უჩვენებენ; ასევე სწრაფად, თბილად რომ ჰქონდეთ, ხელებს ჯიბეებში ან ხელთმოხვედრილ სითბოშენარჩუნებულ საბანში მალავენ. ჩვეულებრივად ვიოლონი გასინჯვისაგან თავს იკავებს ხოლმე. წითურს აიძულებენ, ხელები

პირსაბანზე კვლავ დაიბანოს. იგი აღშფოთებულია, ისე, მართალი რომ ითქვას, ხელზე მოლურჯო ლაქა ნამდვილად ამჩნევია; მაგრამ ირწმუნება, ხელი დამზრალი მაქვს, ეს იმის ბრალია და სწორედ რომ შარს მდებთო.

ვიოლონი იძულებულია წითური ბატონ დირექტორთან მიიყვანოს.

დირექტორი დილაადრიან თავის ფერგამოხუნებულ მწვანე [illegible] იმეორებს ისტორიის ლექციის კურსს, რომელსაც თავისუფალ დროს უფროსკლასელებს უკითხავს. იგი თავისი საწერი მაგიდის მაუდს მსხვილი თითებით თელავს და უმნიშვნელოვანეს თარიღებს ინიშნავს: აი, აქ რომის იმპერია დაეცა; აი, აქ, შუაში, თურქებმა კონსტანტინეპოლი აიღეს; შემდეგ უახლესი ისტორიაა, რომელიც კაცმა არ იცის, სად იწყება და სად თავდება.

დირექტორს აცვია განიერი საშინაო ხალათი, რომელიც ყაითნით არის ნაჭარგი და ისე შემოხვეული აქვს ძლიერ მკერდზე, როგორც ბაგირი სვეტის გარშემო. ეტყობა, ეს კაცი მეტისმეტად ბევრს მიირთმევს; მსხვილი ნაკვთები აქვს და სიმსუქნისაგან სახე მუდამ უპრიალებს. იგი ხმამაღლა ლაპარაკობს მანდილოსნებთანაც კი და ნაოჭებს კისრიდან საყელომდე ნელა და რიტმულად ამოძრავებს. ეს კაცი შესანიშნავია აგრეთვე თავისი მრგვალი თვალებით და ზშირი ულვაშით.

წითური მის წინ დგას და ქუდი მუხლებით უჭირავს, რომ ხელები თავისუფალი ჰქონდეს.

დირექტორი მრისხანედ ეკითხება:

— რა ამბავია?

— თქვენთან ზედამხედველმა გამომგზავნა, ბატონო, იმის სათქმელად, რომ ჭუჭყიანი ხელები მაქვს, მაგრამ ეს არ არის მართალი!

და წითური კვლავ კეთილსინდისიერად უწვდის ჯერ ორივე ხელის ზურგს, მერე ატრიალებს და ხელისგულებს უჩვენებს, და თავის სიმართლეში რომ უფრო დააჯეროს, ჯერ ხელისგულებს, მერე ორივე ხელის ზურგს ხელმეორედ დაანახვებს.

— აჰ! მაშ, მართალი არ არის, არა? — ამბობს დირექტორი. — ოთხი დღე კარცერი შენ, ჩემო პატარავ!

— ბატონო, — ეუბნება წითური, — ზედამხედველი შარს მდებს!

— აჰ! შარს გდებს, ხომ! რვა დღე კარცერი შენ, ჩემო პატარავ!

წითურმა იცის, საქმე ვისთან აქვს. ამგვარი ხელგაშლილობა სულაც არ აკვირვებს. იგი გადაწყვეტს მოურიდებლად იმოქმედოს, გაქვავებული და გამამაცებული ფეხს არ იცვლის, მიუხედავად იმისა, რომ თავისუფლად შეიძლება ყბაშიც კი მოხვდეს, რადგან ბატონ დირექტორს ერთი უწყინარი ჩვეულება აქვს, დროდადრო გაჯიუტებულ მოწაფეს ხელუკუღმა შემოჰკრას და ტყლაშ! დააძახებინოს. სამიზნედ გამორჩეული მოწაფის სიმარჯვე იმაში გამოიხატება, რომ დროზე დაიღუნოს და ხელი აიცდინოს, მაშინ დირექტორი მოსწავლეების თავშეკავებულ სიცილში წონასწორობას კარგავს, მაგრამ თავის მოძრაობას არასოდეს იმეორებს, რადგან ეშმაკობას რომ მიმართოს, ღირსება შეებღალება. მოსწავლეს დამიზნებულ ლოყაზე ან ზუსტად უნდა შემოჰკრას ან საქმე ამით გაათავოს.

— ბატონო, — ეუბნება გამბედაობითა და სიამაყით აღსავსე წითური, — ზედამხედველი და მარსო ისეთ საქმეს სჩადიან!..

დირექტორს თვალები მაშინვე ისე აემღვრევა, თითქოს ეეცრად ორი

ქინქლა ჩაუვარდათ. ორი მოჭუტული ხელით მაგიდის კიდეს ებჯინება, ოდნავ მაღლა იწევს, თავს ისე დააღერს, თითქოს წითურს მკერდზე უნდა დაეძგეროსო, და ყრუდ ეკითხება:

— რას სჩადიან?

წითურისათვის ეს კითხვა მოულოდნელია. იგი მოელოდა (ეს დროებით გადაიდო მხოლოდ), რომ ხელი მარჯვედ ესროდა [illegible] მარტენის ტომს, მაგრამ ახლა ამის ნაცვლად ამბავს დაწვრილებით ეკითხებიან.

დირექტორი პასუხს ელის, მისი უკანა კისრის ყველა ნაოჭი ერთიანდება ერთ სქელ, მრგვალ ტყავის ლილვაკად, რომელზედაც მოღრეცილად ზის მისი თავი.

წითური ყოყმანშია და როცა რწმუნდება, შესაფერის სიტყვებს ვერ მოვნახავო, წელში მოხრილი, მოუქნელი, შემკრთალი და მერე კი მთლად საქციელწამხდარი მუხლებში მოქცეულ ქუდს დასწვდება, მერე მთლად წაღუნულსა და მოკუნტულს ქუდი ნიკაპთან მიაქვს და ნელ-ნელა, ქურდულად, მოჩვენებითი სიმორცხვითა და სიფრთხილით, ისე რომ სიტყვაც კი არ დასცდება, მაიმუნურ თავს ქუდის დაბამბულ საარჩულში მალავს.

IV

იმავე დღეს, მცირეოდენი გამოძიების შემდეგ, ვიოლონს სამსახურიდან ითხოვენ! მასთან გამოთხოვება ამაღელვებელია და თითქმის საზეიმო ცერემონიალს წარმოადგენს.

— მე დავბრუნდები, — ამბობს ვიოლონი, — მხოლოდ შვებულებაში მივდივარ.

მაგრამ არავის ეს არა სჯერა. სასწავლებელი ისე ხშირად აახლებს თავის პერსონალს, თითქოს ეშინია, ობი არ მოეკიდოსო, იცვლებიან ზედამხედველებიც. ვიოლონიც ისე მიდის, როგორც სხვები წავიდნენ, მაგრამ ის უფრო ადრე მიდის, რადგან სხვებზე უკეთესია. იგი თითქმის ყველას უყვარს. მას ვერავინ შეედრება, რვეულის ყდაზე ასოები ისეთი ხელოვნებით გამოჰყავს: „ბერძნული ენის საავარჯიშო რვეული ამა და ამ მოსწავლისა..." ყველანი ზედამხედველის მაგიდას ეხვევიან. მისი ლამაზი ხელი, რომელზედაც მწვანეთვლიანი ბეჭედი კიაფობს, ქაღალდზე კოხტად მიიწევს, ფურცლის ბოლოში ხელს უცნაურად აწერს. ხელმოწერა წყალში ჩავარდნილ ქვასავით გარშემორტყმულია ტალღისებური უბრალო და ამასთან ახირებული ხაზებით და ხელმოწერასთან ერთად პატარა შედევრსაც წარმოადგენს. ამ ხელმოწერის კუდი ხელმოწერაშივე იქსაქსება და იკარგება. დიდხანს უნდა დაუკვირდეთ, დიდხანს უნდა ეძებოთ, რომ ბოლოს იპოვოთ. იმაზე საუბარი ზედმეტია, რომ ხელის ერთი მოსმით არის შესრულებული. ერთხელ ვიოლონმა მოახერხა და ხაზები ისე დახლართა, თავსართს დაამგვანა. ბიჭები იმ ხელმოწერით დიდხანს იყვნენ აღტაცებულნი.

სამსახურიდან მისმა დათხოვნამ ბიჭები ძალიან დააღონა.

მათ გადაწყვიტეს პირველსავე შემთხვევაში დირექტორს ზუზუნით შეხვდნენ, ლოყები გამობერონ, კრაზანებივით ბზუილი ატეხონ და თავისი უკმაყოფილება ამგვარად გამოხატონ. ერთ მშვენიერ დღეს ისინი ამ გადაწყვეტილებას უთუოდ სისრულეში მოიყვანენ.

მანამდე კი ერთმანეთს სინანულს უზიარებენ. ვიოლონს რაკი გული

სწყდება. თავს გამოიდებს და თავის გამგზავრებას სწორედ დიდ შესვენებას დაამთხვევს; როცა იმ ბიჭის თანხლებით, მისი სამგზავრო სკივრი რომ მოაქვს, ეზოში გამოჩნდება, ყველა მოსწავლე მისკენ გაეშურება. იგი ყველას ხელს ართმევს, ლოყაზე ხელს უთათუნებს და გარშემორტყმული, დატყვევებული, გალიმებული და გრძნობამორეული ცდილობს სერთუკის კალთები გაითავისუფლოს, რომ არ შემოახიონ. ძელზე ჩამოკონწიალებული ბიჭებიც უეცრად ვარჯიშს თავს ანებებენ. იატაკზე ხტებიან პირდაღებულები, გაოფლილები, სახელოებდამკლავებულები, კანიფოლით თითებდაზელილები და თითებგაფარჩხულები. სხვები, უფრო დინჯები, ეზოში უაზროდ დაბორიალობენ, შორიდან ემშვიდობებიან და ხელს უქნევენ. საგზაო სკივრის სიმძიმით წელში მოხრილი ბიჭი წამით შეჩერდება, ამით ისარგებლებს ვიღაც პატარა ბიჭი, თეთრ წინსაფარზე ხელს სტაცებს და სველი ქვიშით დასვრილ თითს ზედ ჩამოუსვამს. ლოყები მარსოს ისე დასწითლებია, შეღებილი გეგონებათ. ეს მისი პირველი ნამდვილი წუხილია. მაგრამ შეშფოთებული და მწუხარებით დამორცხვებული ბუნდოვნად გრძნობს, რომ ზედამხედველთან გამოთხოვების ტკივილი ცოტათი ჰგავს ბიძაშვილ გოგონასთან განშორების ნაღველს და ამიტომ განზე დგას. ვიოლონი მოურიდებლად მისკენ გაემართება, მაგრამ ამ დროს ფანჯრის მინის ჭახანი გაისმის.

ყველანი ახედავენ ზევით კარცერის ბადიან ფანჯარას, სადაც წითურის საძაგელი და აბურძგნული თავი მოჩანს. იგი იმანჭება, გაფითრებული, გალიაში გამომწყვდეული პატარა მხეცი, თმა თვალებში ეჩხირება და თეთრი კბილები უელავს. მარჯვენა ხელს ჰყოფს მინის ნამტვრევებში, მხეცებივით რომ კბენენ, და ვიოლონს დასისხლიანებული მუშტით ემუქრება.

— პატარა იდიოტო, — ეუბნება ზედამხედველი, — ალბათ ახლა კმაყოფილი ხარ!

— აბა არა? — ყვირის აღტაცებული წითური და მუშტის ერთი დარტყმით ახლა ფანჯრის მეორე მინასაც ლეწავს. — მაგას რატომ ჰკოცნიდით და მე კი არა?

იგი სახეს ითხუპნის სისხლით, რომელიც გაჭრილი ხელიდან მოწვეთავს, და ისევ უყვირის:

— მეცა მაქვს ხოლმე წითელი ლოყები, როცა მოვინდომებ!

ტილები

უფროსი ძმა ფელიქსი და წითური როგორც კი სენ-მარკის სასწავლებლიდან დაბრუნდებიან, ქალბატონი ლეპიკი ფეხებს აბანინებს. აგერ უკვე სამი თვეც იქნება, რაც იქ არიან, სასწავლებელში კი ფეხს აბა როდის იბანენ! სხვათა შორის, სასწავლებლის განაწესი ამას არც ითვალისწინებს.

— ფეხები ალბათ მთლად ტურტლიანი გაქვს, ჩემო საწყალო წითურო! — ეუბნება ქალბატონი ლეპიკი.

დედა მართალს ამბობს. რატომ არის, რომ ფეხები წითურს მუდამ უფრო ჭუჭყიანი აქვს, ვიდრე უფროს ძმას ფელიქსს? რა მიზეზია? ორივენი ერთმანეთის გვერდიგვერდ ცხოვრობენ, ერთნაირი პირობები აქვთ, ერთი ჰაერით სუნთქავენ. რა თქმა უნდა, სამი თვის შემდეგ უფროს ძმას ფელიქსს ფეხები თეთრი ვერ ექნება, მაგრამ წითურს, აკი თვითონაც აღიარა, თავისი ფეხების ცნობა უჭირს.

დამორცხვებული წყალში ფეხებს ოინბაზის სიმარჯვით ყრის იმას თვალს როგორ შეასწრებდით, წინდები როგორ გაიძრო და ფეხები როგორ ჩაყარა უფროსი ძმის ფელიქსის ფეხებთან; რომლებსაც უკვე დაუკავებია თითქმის მთელი გეჯა და ფენა-ფენად ამოძრავებული ბუჭყი მალე წყალში ჩაყრილ ამ ოთხ ურჩხულს საფარველივით გადაეფარება.

ბატონი ლეპიკი ჩვეულებისამებრ ერთი ფანჯრიდან მეორეზე დასეირნობს. შვილებს სემესტრის დღიურებს უთვალიერებს და განსაკუთრებული ყურადღებით კითხულობს თვით სასწავლებლის დირექტორის შენიშვნებს.

უფროსი ძმის ფელიქსის დღიურში წერია:

„დაფანტულია, მაგრამ გონიერია. თავისას მიაღწევს".

წითურის დღიურში წერია:

„წარმატებას აღწევს, როცა მონდომებულია, მაგრამ ყოველთვის არ არის მონდომებული".

იმით, რომ წითური ზოგჯერ თურმე წარმატებას აღწევს, მთელი ოჯახი ერთობა. აი, ახლა იგი მუხლებზე ხელებგადაჯვარედინებული ზის და ფეხებს ასვენებს. წითური გრძნობს, რომ თვალს ადევნებენ. მათი აზრით, წითური უფრო დაუშნოებულა. წითელი თმა კიდევ უფრო მოუშვია და კიდევ უფრო გამუქებია. ბატონი ლეპიკი, რომელსაც გულის გადამლა არ უყვარს, წითურთან შეხვედრის სიხარულს მხოლოდ მისი გაღიზიანებით გამოხატავს. ფანჯრისაკენ მიმავალი ყურზე წკიპურტით აჯილდოებს, ხოლო ფანჯრიდან მომავალი იდაყვს გაჰკრავს და წითური აქაზე გულიანად იცინის.

ბოლოს ბატონი ლეპიკი ყალყზე დამდგარ წითელ ქოჩორში ხელს შეუცურებს და ფრჩხილებს ისე დაატკაცუნებს, თითქოს ტილს კლავდეს. ეს მისი საყვარელი ხუმრობაა.

და პირველსავე ცდაზე იგი მართლაც ტილსა ჰკლავს.

— აჰ! კარგად დავუმიზნე, —ამბობს ბატონი ლეპიკი, — არ ავაცილე.

და ზიზღით თითებს წითურის ქოჩორზე იხოცავს, ხოლო ქალბატონი ლეპიკი ხელებს ცისკენ იწვდის.

— ასეც ვიცოდი, — ამბობს დაღლილი. — ღმერთო ჩემო! ჩვენზე სუფთა ახლა აღარავინ არის! ერნესტინ, შვილო, გაიქეცი და ტაშტი მოიტანე, შენი საქმე ახლა ეგ იქნება.

ერნესტინს ტაშტი, წვრილკბილიანი სავარცხელი, ლამბაქით ძმარი მოაქვს და ნადირობა იწყება.

— ჯერ მე მომხედე! — უყვირის უფროსი ძმა ფელიქსი. — დარწმუნებული ვარ, ამისგან მეც შემაღოლდებოდა.

იგი თავს გაშმაგებით იქექავს და მოითხოვს ვედროთი წყალი მოუტანონ, რომ ყველაფერი წყალმა წალეკოს.

— დამშვიდდი, ფელიქს, — ეუბნება თავდადებული ერნესტინი, — ისე ვიზამ, რომ არ გეტკინება.

იგი ძმას ყელზე პირსახოცს შემოახვევს და მართლაც დედურ სიმარჯვესა და მოთმინებას იჩენს. ერთი ხელით თმას უხილავს, მეორე ხელით კი სავარცხელი ისე ფრთხილად უჭირავს, რომ არც ზიზღით იჭმუხნება და არც იმისა ეშინია, რომ მკბენარი შეაღოლდება.

როცა იგი ამბობს: „აი, კიდევ ერთი!" უფროსი ძმა ფელიქსი ტაშტზე

ფეხებს აბაკუნებს და თითით ემუქრება წითურს, რომელიც გაჩუმებული თავის ჯერს ელოდება.

— კარგი, საკმარისია, ფელიქს, — ეუბნება ერნესტინი, — შვიდზე თუ რვაზე მეტი არცა ყოფილა. ჯერ ეს დაითვალე და მერე ის დავითვალოთ. წითურს რამდენი ეყოლება.

სავარცხლის მიკარებისთანავე წითური ძმას უკან იტოვებს. ერნესტინა მა თითქოს ჭიანჭველების ბუდეს მიაგნო, ისე ფუთფუთებენ ტილები.

ყველანი წითურს შემოეხვევიან. ერნესტინი თავს არ იზოგავს. ბატონი ლეპიკი, ზურგზე ხელებდაწყობილი, ქალიშვილის საქმიანობას თვალს ისე ადევნებს, როგორც ცნობისმოყვარე მოგზაური. ქალბატონი ლეპიკი გულსაკლავად წუწუნებს:

— ოჰ! ოჰ! აქ ნიჩაბი და ფოცხია საჭირო.

უფროსი ძმა ფელიქსი ჩაცუცქულა და ტაშტს აქანავებს, შიგ ტილები რომ ცვივიან. ცვივიან ქერტლთან ერთად. ჩანს, როგორ ერხევათ შეჭრილი წამწამებივით წვრილი ფეხები, ისინი ტაშტში წყლის ტრიალს ემორჩილებიან და ძმარი სიცოცხლეს სწრაფად უსპობთ.

ქალბატონი ლეპიკი

წითურო, შენი მართლაც რომ ველარაფერი გაგვიგია. ამხელა ბიჭი სირცხვილით უნდა იწვოდე. კარგი, მიპატიებია შენთვის ეს ტურტლიანი ფეხები, ზედ ალბათ აქამდე რომ არც დაგიხედავს, მაგრამ ტილები რომ დაგხვევიან და გჭამენ, არც ზედამხედველს აგებინებ და არც აქ, ოჯახში გინდა რომ მოგიარონ? გაგვაგებინე, გეთაყვა, გსიამოვნებს, ცოცხლად რომ გჭამენ? აბურძგნული ომა მთლად სისხლით გაქვს მოსვრილი.

წითური

სავარცხელმა დამისისხლიანა.

ქალბატონი ლეპიკი

აჰ! სავარცხელმა, არა? აი, შენს დას მადლობას როგორ უხდი. გეყურება, ერნესტინ? ბატონი თავაზიანად თავის დალაქს უჩივის. გირჩევ, ჩემო შვილო, ეს ნებაყოფლობითი წამებული მის მკბენარებს დაანებო.

ერნესტინი

დღეს მოვრჩი, დედა. მთავარი საქმე დღეისათვის მოვითავე და ხვალ კიდევ მივუბრუნდები. მაგრამ მე ვიცი, რომ ერთი სულიერი თავზე ოდეკოლონს დღესვე გადაისხამს.

ქალბატონი ლეპიკი

შენ კი, წითურო, ეს ტაშტი აიღე და ყველას დასანახად ბაღის კედელთან გადგი, დაე, შენს შესარცხვენად მთელმა სოფელმა ამ ტაშტთან ჩაიაროს.

წითური ტაშტს დასწვდება და გარეთ გადის; მზეზე დგამს და დარაჯად იქვე მიუჯდება.

პირველად მოხუცი მარი-ნანეტი მიუახლოვდება. მუდამ, როცა კი წითურს შეხვდება, შეჩერდება ხოლმე, პატარა ბეცი, ეშმაკური თვალებით აკვირდება და თავის შავ ჩაჩს ისე აცანცარებს, თითქოს რაღაცას ხვდებოდეს.

— რა არის ამაში? — ეკითხება იგი.

წითური ხმას არ იღებს. მოხუცი ტაშტზე იხრება.

— ოსპია? ასეა ხომ? კარგად კი ველარ ვხედავ. ჩემი ბიჭი პიერი კარგს იზამს, სათვალეს თუ მიყიდის.

და თითქოს უნდა გასინჯოსო, თასში თითს ჰყოფს. ნამდვილად ვერაფერს ხვდება.

— შენ აქ რას აკეთებ? ასე გაგბუტული და თვალგაბრიალებული რატომ ხარ? რაზედაც გინდა დაგენიძლავები, რომ კიდეც დაგტუქსეს და კიდეც დაგსაჯეს. ყური დამიგდე, შენი ბებია არა ვარ, მაგრამ მგონია, ჩემო ბიჭო, მგონია კი არა, კარგად მაქვს წარმოდგენილი, მაგათთან ცხოვრება როგორ უნდა გიჭირდეს.

წითური აქეთ-იქით იხედება და რაკი დარწმუნდება, რომ დედა ვერ გაიგებს, მოხუც მარი-ნანეტს ეუბნება:

— მერედა, თქვენ რა? განა ეს თქვენ გეხებათ? თქვენს საქმეს მიხედეთ და მე თავი დამანებეთ.

ᲑᲠᲣᲢᲣᲡᲘᲕᲘᲗ

ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲚᲔᲙᲘᲙᲘ

წითურო, წელს იმედი ვერ გამიმართლე. შენს დღიურში აღნიშნულია, რომ უკეთესად შეგეძლო გემეცადინა. გონება სხვაგან გაგირბის, იმ წიგნებს კითხულობ, რომლებსაც გიკრძალავენ. შენი შესანიშნავი მეხსიერების წყალობით კარგ ნიშანს იღებ, მაგრამ დავალებებს დაუდევრად ეჭცევი. წითურო, დროა გონება მოიკრიბო და სერიოზულ ადამიანად იქცე.

ᲬᲘᲗᲣᲠᲘ

ვეცდები, მამა. გეთანხმები, წელს ცოტათი მოვეშვი, მაგრამ ახლა გადაწყვეტილი მაქვს, ბეჯითად ვიმეცადინო. თუმცა იმას კი ვერ შეგპირდები, კლასში ყველას ვაჯობებ-მეთქი.

ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲚᲔᲙᲘᲙᲘ

შენ მაინც ეცადე.

ᲬᲘᲗᲣᲠᲘ

არა, მამა, ჩემგან მეტისმეტს მოითხოვ. მე პირველი ვერ ვიქნები ვერც გეოგრაფიაში, ვერც გერმანულ ენაში, ვერც ფიზიკაში და ვერც ქიმიაში, სადაც ორი თუ სამი ტიპია მეტად ძლიერი; ისინი სხვა საგნებში არაფერს წარმოადგენენ, მხოლოდ ამ საგნებს სწავლობენ და მათ ვერავინ აჯობებს. მაგრამ მე მინდა, — ყური დამიგდე, მამაჩემო, მე მინდა ფრანგულ თხზულებაში ყველა უკან მოვიტოვო და, თუ ჩემი ცდის მიუხედავად ამას ვერ შევძლებ, ყოველ შემთხვევაში ჩემს თავს მაინც ვერ ვუსაყვედურებ და ბრუტუსივით ამაყად შევძახებ: „ო, სათნოებავ! ცარიელი სიტყვა ხარ-მეთქი“.

ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲚᲔᲙᲘᲙᲘ

აჰ! ჩემო ბიჭო, მე მჯერა, რომ ყველას აჯობებ.

ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲫᲛᲐ ᲤᲔᲚᲘᲥᲡᲘ

რას ამბობს, მამა?

ᲓᲐ ᲔᲠᲜᲔᲡᲢᲘᲜᲘ

მე არ გამიგონია.

ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲚᲔᲙᲘᲙᲘ

არც მე, აბა, გაიმეორე წითურო!

წითური

ოჰ! არაფერია, დედიკო.

ჟალგატონი ლეპიკი

როგორ თუ არაფერია! არაფერია და მთლად აჭარხლებული ხელებს იქნევ და ისე ხმამაღლა ლაპარაკობ, რომ შენი ხმა სოფლის მეორე ბოლოში ისმის? გაიმეორე ერთი, რომ მთელმა ქვეყანამ გაიგონოს.

წითური

არაფერი არ მითქვამს ისეთი, დედიკო.

ჟალგატონი ლეპიკი

არა, არა, ვილაც ახსენე; ვისზე ლაპარაკობდი?

წითური

შენ იმას არ იცნობ, დედიკო.

ჟალგატონი ლეპიკი

მით უმეტეს მინდა შევიტყო. ჭკუას ძალას ნუ ატან. და შენი გონებამახვილობა სხვა დროისათვის შემოინახე.

წითური

კარგი, ასე იყოს, დედიკო; ჩვენ, მე და მამიკო, ვსაუბრობდით და იგი მეგობრულ რჩევას მაძლევდა, რომ უეცრად, არც კი ვიცი, თავში როგორ მოგვივიდა, იქნებ სულაც იმიტომ, რომ მადლობა მეთქვა და ვალდებულება მეკისრა, რომაელი ბრუტუსივით სათნოება ვახსენე.

ჟალგატონი ლეპიკი

აბა, აბა, რას ლუღლუღებ. სიტყვის შეუცვლელად და იმავე კილოთი გთხოვ, გაიმეორო ის, რაც ახლახან თქვი. მე მგონი, ისეთს არაფერს არა გთხოვ და დედისთვის რომ გაიმეორო, ძნელი სულაც არ უნდა იყოს.

უფროსი ძმა ფელიქსი

მაგის ნათქვამს გინდა მე გავიმეორებ, დედიკო?

ჟალგატონი ლეპიკი

არა, ჯერ მაგან თქვას, მერე შენ და მერე ერთმანეთს შევუდაროთ, აბა, წითურო, დაუჩქარე.

წითური

(ენა ებმის, ტირილით ამბობს)

სათ-ნო-ებავ, ცა-რი-ელი სიტ-ყვა ხარ მეთ-ქი.

ჟალგატონი ლეპიკი

სასოწარკვეთილებაში ვარ ჩავარდნილი. ამ ლაწირაკთან არაფერი გამომივა. გალახვასაც კი აიტანს, ოღონდ დედას გული არ მოუგოს.

უფროსი ძმა ფელიქსი

ყური დამიგდე, დედიკო, აი, რა თქვა (აქეთ-იქით იხედება და ყველას გამომწვევად შეჰყურებს): „მე მინდა ფრანგულ თხზულებაში ყველა უკან მოვიტოვო (ლოყებს გამობერავს და ფეხებს აბაკუნებს), არადა, ბრუტუსივით ამაყად შევძახებ (ხელებს მაღლა აიშვერს): ო, სათნოებავ! (ხელებს ძირს დაუშვებს) ცარიელი სიტყვა ხარ-მეთქი!“ აი, რა თქვა.

ჟალგატონი ლეპიკი

ყოჩაღ, შესანიშნავია! მომილოცავს, წითურო, შენი სიჯიუტის გამო მით უფრო გული მწყდება, რადგან მიბაძვა ორიგინალთან ვერასოდეს ვერ მოვა.

უფროსი ძმა ფელიქსი

წითურო, ეგ სიტყვები ნამდვილად ბრუტუსმა თქვა? თუ კატონმა?

წითური

— ნამდვილად ბრუტუსმა თქვა. „ესა თქვა და იმ ხმალზე დაჯსო, რომელიც მისმა ერთ-ერთმა მეგობარმა გაუწოდა, და სული განუტევა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ერნესტინი

წითური არა ცდება. მე ისიც კი მაგონდება, რომ ბრუტუსმა თავი მოიგიჟიანა

წითური

მომიტევე. ჩემო დაო, შენ ჩემი ბრუტუსი სხვა გმირში გერევა.

და ერნესტინი

მე ასე ვიცოდი. და მაინც გარწმუნებ, რომ კალბატონი სოფი ისტორიის კურსს თქვენი ლიცეუმის მასწავლებელზე ნაკლებ არ გვიკითხავს.

ქალბატონი ლეპიკი

მთავარი ეგ არ არის. ნუ კამათობთ, მთავარია, ოჯახში საკუთარი ბრუტუსი გყავდეს და ჩვენ ჩვენი გვყავს. წითურის წყალობით ჩვენი ყველას შურს! ჩვენ კი არ ვიცოდით, რომ ესოდენ ღირსეულები ვიყავით. თაყვანი ეცით ახალ ბრუტუსს! ლათინურად ეპისკოპოსივით ლაპარაკობს და უარზეა ყრუთათვის მეორედ წიროს. აბა შემოაბრუნეთ და დააკვირდით: იმ ქურთუკზე, დღეს რომ ჩაიცვა, წინ ლაქები ემჩნევა, უკან კი შარვალი ჩამოფხრეწილი აქვს. ღმერთო ჩემო, ნეტავ სად იარა? არა, ერთი შეხედეთ, მაინც როგორია წითურ-ბრუტუსი! ოჰ, რა პატარა ველურია!

რჩეული წერილები

წითურისა ბატონ ლეპიკისადმი და ბატონ ლეპიკისა წითურისადმი

წითურის წერილი ბატონ ლეპიკისადმი

სენ-მარკის სასწავლებელი

ჩემო ძვირფასო მამიკო!

არდადეგებზე თევზაობით გატაცება ახლა სანანებლად მექცა. ბარძაყებზე დიდი ძირმაგარები გამომივიდა. ლოგინიდან ველარ ვდგები, ზურგზე ვწევარ მომვლელი ქალი საფენებს მადებს ჩირქი სანამ არ გამოიწურება, ძალიან მალონებს. მერე კი ძირმაგარაზე სულაც აღარ ვფიქრობ. მაგრამ ძირმაგარები ერთიმეორის მიყოლებით ისე იჩეკებიან, როგორც პატარა წიწილები, ერთი რომ გამოირწყობა, სამი გამოდის. მაგრამ იმედი მაქვს, ბოლო მალე მოელება.

შენი მოყვარული შვილი.

ბატონ ლეპიკის პასუხი

ჩემო ძვირფასო წითურო,

რაკი პირველი ზიარებისათვის ემზადები და კატეხიზმოს გაკვეთილებზე დაიარები, მოგეხსენება, რომ ადამის მოდგმაში მილოცვილი შენ პირველი არა ხარ. თუმცა ლურსმნები რკინისა იყო, მაგრამ ხელებითაც და

ფეხებითაც მილურსმულ იესო-ქრისტეს ენით ერთხელაც კი არ დაუჩივლია.

გამაგრდი!

შენი მოყვარული მამა.

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითურის წერილი ბატონ ლეპიკისადმი

ჩემო ძვირფასო მამიკო,

სიამოვნებით გატყობინებ, რომ კბილი ამომივიდა. თუმცა ჯერ თითქოს არ უნდა ამომსვლოდა, მაგრამ ნაადრევად ამოსული სიბრძნის კბილი უნდა იყოს. იმედი მაქვს, რომ ეს კბილი ერთადერთი არ იქნება. და რომ ჩემი საინიმუშო ქცევით და წარმატებით მუდამ კმაყოფილი იქნები.

შენი მოყვარული შვილი.

ბატონ ლეპიკის პასუხი

ჩემო ძვირფასო წითურო,

სწორედ მაშინ, როცა შენ სიბრძნის კბილი ამოგივიდა, მე ერთი კბილი მომერყა. გუშინ დილით კიდეც მომძვრა. ამრიგად, შენ თუ ერთი კბილი მოგემატა, მამაშენს ერთი კბილი დააკლდა. საბოლოო ჯამში არაფერი შეცვლილა, ოჯახში კბილების საერთო რიცხვი იგივე დარჩა.

შენი მოყვარული მამა.

* * *

წითურის წერილი ბატონ ლეპიკისადმი

ჩემო ძვირფასო მამიკო.

შენ წარმოიდგინე, გუშინ ბატონი ყაკის, ჩვენი ლათინური ენის მასწავლებლის დაბადების დღე იყო, და მოსწავლეებმა ერთხმად ამომირჩიეს, რომ მთელი კლასის სახელით მიმელოცა. ამ პატივით ნასიამოვნები სიტყვას დიდხანს ვამზადებდი და აქა-იქ ლათინური ციტატებიც ჩავურთე. ზედმეტი თავმდაბლობა იქნება, რომ არა ვთქვა, ჩემი სიტყვით ნამდვილად კმაყოფილი ვარ. დიდ ფურცელზე სუფთად გადავწერე და აღელვებულმა კლასში მივუტანე ამხანაგებს, რომლებიც ჩურჩულით მაქებებდნენ: „აბა ჰე, მიდი, დაიწყე!“ როცა ბატონი ყაკი ჩვენკენ არ იხედებოდა, დრო შევურჩიე და მის კათედრას მივუახლოვდი, მაგრამ ვერ მოვასწარი ფურცელი გამეშალა და ხმამაღლა მეთქვა: პატივცემულო მასწავლებელო-მეთქი, რომ ბატონი ყაკი გაშმაგებული ზეზე წამოიჭრა და დამიღრიალა:

— აბა, ახლავე შენს ადგილზე დაეგდე!

რა თქმა უნდა, ხვდები, რომ მაშინვე მოვშორდებოდი და ჩემს ადგილზე დასაჯდომად გავეშურებოდი, მაშინ როცა ჩემი მეგობრები თავს წიგნებში მალავდნენ, ბატონმა ყაკმა კი მკაცრად გვიბრძანა:

— თარგმნეთ ეს ტექსტი.

ჩემო ძვირფასო მამიკო, ამაზე შენ რას იტყვი?

ბატონ ლეპიკის პასუხი

ჩემო ძვირფასო წითურო,

როცა დეპუტატი იქნები, კიდევ უფრო მეტს გაიგებ. ყველას თავისი როლი აქვს დაკისრებული. რაკი შენი მასწავლებელი კათედრაზე შეაყენეს, ეტყობა, შენი სიტყვა კი არ უნდა მოისმინოს, თავისი უნდა წარმოთქვას.

* * *

ფითურის წერილი ბატონ ლეპიკისადმი

ჩემო ძვირფასო მამიკო,

მე გადავეცი შენი გამოგზავნილი კურდღელი ბატონ ლეგრანს, ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებელს, ეს საჩუქარი, შევატყვე, ნამდვილად ესიამოვნა. დიდი მადლობა შემოგითვალა. მასთან სველი ქოლგით რომ შევედი, ქოლგა მაშინვე ჩამომართვა და ვესტიბიულში გაიტანა. მერე ვილაპარაკეთ აქეთურზე, იქითურზე. მითხრა, თუ მოინდომებ, ისტორიაში და გეოგრაფიაში წლის ბოლოს უმაღლეს ჯილდოს დაიმსახურებო. მაგრამ ალბათ დამიჯერებ, იმ ბნის განმავლობაში, სანამ საუბარი გრძელდებოდა, ფეხზე ვიდექი, ბატონ ლეგრის კი, რომელიც სხვა მხრივ მეტისმეტად თავაზიანი იყო, ვიმეორებ, სკამი არ შემოუთავაზებია.

დაფანტულობის ბრალია თუ არათავაზიანობისა?

ვერ გამირკვევია და ძალიან მინდა, ჩემო ძვირფასო მამიკო, მომწერო, ამაზე შენ რას ფიქრობ.

ბატონ ლეპიკის პასუხი

ჩემო ძვირფასო წითურო,

შენ მუდამ პროტესტს აცხადებ პროტესტს აცხადებდი, როცა ბატონმა ეაკმა გიბრძანა შენს ადგილზე დამჯდარიყავი და პროტესტს აცხადებ ახლაც, როცა ბატონმა ლეგრიმ ფეხზე დაგაყენა. იქნებ ჯერ კიდევ ყმაწვილი ხარ საიმისოდ, რომ განსაკუთრებული ყურადღება მოითხოვო. და თუ ბატონმა ლეგრიმ სკამი არ შემოგთავაზა, უნდა აპატიო: უთუოდ შეცდომაში შენმა პატარა ტანმა შეიყვანა და იფიქრა, ზისო.

* * *

ფითურის წერილი ბატონ ლეპიკისადმი

ჩემო ძვირფასო მამიკო,

შევიტყვე, რომ პარიზში ჩასვლას აპირებ. ვიზიარებ შენს სიხარულს, გამგზავრებამ რომ უნდა მოგანიჭოს დედაქალაქში, რომლის ნახვა მეც მსურს და სადაც ფიქრით სულ შენ გვერდით ვიქნები. ვიცი, რომ სკოლაში სწავლის გამო ჩემი ასეთი მოგზაურობა შეუძლებელია, მაგრამ მინდა შემთხვევით ვისარგებლო და გკითხო: ხომ ვერ შეძლებდი და იქ ჩემთვის ორ-სამ წიგნს ხომ ვერ შეიძენდი? რაც აქა მაქვს, უკვე ზეპირად ვიცი. შემირჩიე, რაც შენ საჭიროდ მოგეჩვენოს. საბოლოოდ ყველა წიგნს მაინც ერთი ლირებულება აქვს ყოველ შემთხვევაში. განსაკუთრებით მსურს ფრანსუა-მარი-არუე დე ვოლტერის „ენრიადა" და ჟან-ჟაკ რუსოს „ახალი ელოიზა". თუ ამ წიგნებს ჩამომიტან (პარიზში ეს წიგნები არაფერი არა ლირს), შენ წინაშე ფიცს ვდებ, რომ ზედამხედველს ხელში არ ჩავუგდებ.

ბატონ ლეპიკის პასუხი

ჩემო ძვირფასო წითურო,

ის მწერლები, რომლებსაც შენ ახსენებ, ისეთნაირივე ადამიანები იყვნენ, მე და შენ რომ ვართ, რაც იმათ გააკეთეს, იმას შენც შეძლებ და შენც გააკეთებ. წიგნები დაწერე, კითხვით მერეც იკითხავ.

* * *

ბატონ ლეპიკის წერილი წითურისადმი

ჩემო ძვირფასო წითურო,

დღევანდელი შენი წერილი მეტისმეტად მაკვირვებს. რამდენჯერმე გადავიკითხე და მაინც ვერაფერი გავუგე. შენი ჩვეულებრივი სტილი [illegible] და ისეთ უცნაურ საკითხებზე ლაპარაკობ, რომლებზედაც [illegible] აზრით, არც შენ შეგიძლია და არც მე.

ჩვეულებრივად, შენს წერილმან საქმეებზე მომითხრობ. მწერ იმ ნიმნებზე, შენ რომ იმსახურებ, იმ დადებით და უარყოფით თვისებებზე, რომლებსაც ყოველ მასწავლებელში აღმოაჩენ ხოლმე. შენი ახალი მეგობრების სახელებს მატყობინებ, მწერ, თუ რა მდგომარეობაშია შენი თეთრეული ან კარგი ძილი და კარგი მადა გაქვს თუ არა.

აი, ის, რაც მე მაინტერესებს, დღეს კი ვერაფერი გავიგე. რაში დაგჭირდა, გამაგებინე, გეთაყვა, გაზაფხულზე მოთქმა-გოდება, როცა ზამთარი გვიდგას? რის თქმა გსურს? ყელსახვევი ხომ არ გჭირდება? შენს წერილს თარიღი არ უზის და კაცი ვერც იმას მიხვდება, ვის ეგზავნება, მე თუ ძაღლს. შენი ხელიც კი შეცვლილი მომეჩვენა, სტრიქონები ხაზს აცდენილია და ხან დიდი ასოთი იწყება და ხან პატარათი. მოკლედ, თითქოს ვილაცას ამასხარავებ, მგონი კი, უფრო შენს თავს და საჭიროდ მიმაჩნია, არ დაგადანაშაულო. მაგრამ შენიშვნა მაინც მოგცე.

წითურის პასუხი

ჩემო ძვირფასო მამიკო.

სახელდახელოდ გწერ ორიოდე სიტყვას, ჩემს ბოლო წერილში რომ გაგარკვიო. შენ ვერ შეგინიშნავს. ლ ე ქ ს ა დ რომ იყო დაწერილი.

ს ა დ გ ო მ ი

ეს პატარა სადგომი, სადაც რიგრიგობით ხან ქათმები იყვნენ, ხან ბატიები და ხან ლორები, ახლა ცარიელი იყო და არდადეგებზე წითურმა დაისაკუთრა. შესასვლელად მარჯვეა, რადგან სადგომს კარი აღარ აქვს. მის ზღურბლთან მხოლოდ ორიოდე დაკენკილი ჭინჭარი ხარობს და როცა პირაღმა დაწოლილი წითური შეჰყურებს, ტყედ ეჩვენება. იატაკზე თხლადაა მტვერი დაფენილი. ქვის კედლები ნესტით პრიალებს, წითური თავით ჭერს ეხება, აქ თავს შინაურულად გრძნობს და სათამაშოებით თავმობეზრებული წარმოსახვით ერთობა.

მისი მთავარი თავშესაქცევი ის არის, რომ საჯდომით მიწაში ოთხი ბუდე გაიკეთოს სადგომის ყოველ კუნჭულში, მერე ხელით, როგორც კალატოზის ქაფჩით, მტვერს ლილვაკივით გარეშემო გაიხვეტავს და ორმოში ღრმად ჩაჯდება.

ზურგით კედელს ეყრდნობა, ფეხებს ღუნავს და მუხლებზე ხელებშემოჭდობილი ზის; ამ თავშესაფარში იგი თავს მშვენივრად გრძნობს. კაცი ამაზე უფრო მცირე ადგილს ნამდვილად ვერ დაიკავებს. მთელი ქვეყანა ავიწყდება და მისი შიში აღარ აქვს. მხოლოდ ჭექა-ქუხილი თუ შეაშფოთებს.

პირველი როცა ირეცხება, წყალსადენის ღარში საბანარეულის წყალი

ხან უეცრად მოვარდება, ხან წვეთ-წვეთობით ჩამოდის და იქიდან სიგრილე უბერავს.

მაგრამ აი, უეცრად განგაშია!

ისმის შეძახილები და მოახლოებული ნაბიჯების ხმა.

— წითურო! წითურო!

ვილაცის თავი იხრება და წითური მორგვივით იკუნტება. ბიწასა და კედელში მიძვრება, სუნთქვაშეკრული, პირდაღებული არ იძრევა, რადგან გრძნობს, ვილაცის მზერა წყვდიადს გულდასმით ჩხრეკს.

— წითურო, აქა ხარ?

წითურს საფეთქლებზე ძარღვები ებერება, იტანჯება. უნუგეშობით საცაა დაიყვირებს.

— არა, პატარა მხეცი აქ არ არის, სად ეშმაკში წავიდა?

აი, ისინი მიდიან, წითური ხელ-ფეხს შლის და კვლავ ნეტარებას ეძლევა.

მაგრამ უცებ მის ყურს უცნაური ხმა ჩაესმის, ჭერზე ობობას ქსელში გახლართული ქინქლა ფართხალებს და თავის დაღწევას ლამობს. ობობა კი გრძელ ძაფზე ჩამოდის. მუცელი ისე თეთრი აქვს, როგორც პურის გული. წამით ჰაერშია დაკიდებული, გაქვავებული, მოკუნტული.

ერთ ადგილზე გაუნძრევლად მჯდომი წითური თვალს ადევნებს, კვანძის გახსნას უცდის და როცა ობობა ქინქლას ვერაგულად თავს დააცხრება, თითებს ვარსკვლავივით გაშლის და სისხლის ამოსაწუწნად მოეხვევა, აღგზნებული წითური ზეზე ისე წამოიჭრება, თითქოს ნადავლი უნდა გაინაწილოს.

ყველაფერი თავდება.

ობობა ხელახლა ძაფზე ადის. წითური ჯდება და ისევ თავის თავს უბრუნდება, თავის დამფრთხალი სულის წყვდიადს.

მალე, როგორც ქვიშით დამძიმებული წყლის ნაკადი, მისი ოცნება, რაკი დალმართზე არ ეშვება, ერთ ადგილზე ჩერდება, გუბდება და მყაყდება.

ძ ა ტ ა

I

წითურს ხშირად გაუგონია, კიბოების საჭერად კატის ხორცზე უკეთესი არაფერია, არც ნაწლავები და არც ყასბის ნაყარნუყარი.

მან იცის ერთი კატა, რომელიც ამოჩემებული ჰყავთ იმის გამო, რომ დაბერებულია, დასხეულებული და თან ალაგ-ალაგ გაჭუცულიც კი. წითური კატას სადგომში ფინჯან რძეზე ეპატიჟება. ისინი იქ მარტონი იქნებიან. ვინ იცის, კედლის ხვრელიდან იქნებ გამოცუნცულება თაგვმაც კი გაბედოს, მაგრამ წითურს მხოლოდ ფინჯანი რძე თუ შეუძლია შესთავაზოს. ეს ფინჯანი მან კუთხეში დადგა, კატას ხელსა ჰკრავს და ეუბნება:

— მიდი, მოულოცინე!

წითური კატას ზურგზე ხელს უსვამს, სიტყვით ეფერება, თვალს ადევნებს, ენას რა სწრაფად ამოძრავებს, როცა რძესა სვლეპს, და გული ულბება.

— მოდი, შე უბედურო, უკანასკნელად ყელი ჩაიკოკლოზინე!

კატას ფინჯანი ძირამდე დაჰყავს, ენით ძირს უსუფთავებს, ნაპირებს უმშრალებს და ბოლოს დატკბილულ ტუჩებსლა ილოკავს.

— რა ქენი, მორჩი? სულ მორჩი? — ეკითხება წითური და ისევ ეფერება, — ალბათ კიდევ ერთ ფინჯან რძესაც სიამოვნებით გამოცლიდი, მაგრამ რა გიყო, ამ ერთის მეტი ვერ მოვიპარე. თუმცა სულერთი არ არის, წუთით ადრე იქნება თუ წუთით გვიან!..

ამ სიტყვებზე კატას შუბლზე თოფის ლულას მიადებს და სასწრაფოდ მოსწევს.

გასროლის ხმა წითურს გააყრუებს. მოეჩვენება, რომ სროლის ხმამ მთელი სადგომი ჰაერში აიტანა. და კვამლი რომ გაიფანტება, თავის ფეხებთან დაინახავს კატას, რომელიც ცალი თვალით შეჰყურებს.

კატას ნახევარი თავი ახდილი აქვს და სისხლი ფინჯანში იღვრება.

— მკვდარი არ უნდა იყოს, — ამბობს წითური. — აი, შარი თუ გინდა, თითქოს კარგად დავუმიზნე.

წითურს ადგილიდან დაძვრა ვერ გაუბედავს, ისე არ ასვენებს ეს ერთადერთი ყვითლად მოელვარე თვალი.

კატა შეინძრა და ასე ატყობინებს, ჯერ კიდევ ცოცხალი ვარო, მაგრამ სულ არ ცდილობს ადგილი მოინაცვლოს. ზედ ფინჯანზე სისხლით ისე იცლება, თითქოს იმისი საზრუნავი მხოლოდ ის იყოს, რომ სისხლის არც ერთი წვეთი არ დაიკარგოს.

წითური ახალბედა არ არის. არაერთხელ მოუკლავს გარეული ფრინველი თუ შინაური ცხოველი: თავის გასართობად თუ სხვების გულის გასახარად ერთხელ ძაღლიც შემოაკვდა. მან იცის, როგორ მოიქცეს, იცის, რომ ცხოველი ძნელი მოსაკლავია, საქმეს უნდა დაეშურო, თავი უნდა გაიბრაზო, გამძვინვარდე და თუ გაჭირდა, პირისპირ კიდეც შეება. თორემ უეცრად თანაგრძნობა გაიღვიძებს, კაცს შიში შეეპარება, დროს კარგავს და მის წვალებას ბოლო აღარ უჩანს.

ჯერ წითური ცდილობს, კატა ცოტათი გააღიზიანოს. შემდეგ კუდში ხელს სტაცებს და კონდახს კეფაში ისეთი გამეტებით დასცხებს, ასე გეგონებათ, აი, ამ დარტყმით ბედშავი ცხოველი სულს გააპნევს და ეშველებაო.

სულთმობრძავი კატა თათებით ჰაერს გადარეული ეპოტინება, ხან იკრუნჩხება, ხან იკუნტება, ხან იმართება და ხმა აღარ ამოსდის.

— ვინ მარწმუნებდა, კატა როცა კვდება, ტირისო? — ამბობს წითური.

მას მოთმინება ელევა. მეტისმეტად გაუჭიანურდა ეს ამბავი. თოფს გვერდზე მოისვრის, კატას ხელებს წაუჭერს და კატის ბრჭყალები რაც უფრო ღრმად ესობა, მით უფრო შმაგდება, კბილს კბილზე აჭერს და კატას გამძვინვარებული ახრჩობს.

მაგრამ ახლა თვითონაც სული ეხუთება, ქანაობს, არაქათგამოლეული ძირს ეცემა, ჯდება და, კატას ჩახუტებული, კატის ერთადერთ თვალს მზერას არ აცილებს.

II

წითური ახლა თავის რკინის საწოლზე წევს.

მშობლები და სასწრაფოდ დაბარებული მათი მეგობრები დაბალჭერიან სადგომში წელწახრილები ათვალიერებენ იმ ადგილს, სადაც დრამა გათამაშდა.

— აჰ! — ამბობს დედამისი, — მთელი ძალღონე მოვიკრიფე და მკერ-

დიდან დაფლეთილი კატა ძლივს ავაგლიჯე. დამიჯერეთ, წითური გულში ასე მეც კი არ ჩამხვევია.

და მაშინ, როცა დედა მომაბეზრებლად ლაპარაკობს იმის თაობაზე, თუ რა მეტისმეტად შეუბრალებელია მისი შვილი (მერე და მერე ოჯახურ საღამოებზე ეს ამბავი თანდათან ზღაპრულად გაიბერება), წითურს სძინავს და ესიზმრება:

იგი მდინარის პირას მისეირნობს, სადაც მთვარის გარდაუვალი სხივები ისე ირხევა და ისეა გადაჯვარედინებული, როგორც მქსოველის ჩხირები.

კიბოების საჭერ ხოლიხებზე, გამჭვირვალე წყალში ალმაცერად კატის ხორცის ნაჭრები გამოანათებს ხოლმე.

თეთრი ნისლი თანაბრად წვება ველზე და ალბათ ჰაეროვან მოჩვენებებს მალავს.

წითური ხელებს ზურგზე იწყობს, რომ ყველას დაანახოს, არაფრის შიში არა მაქვსო.

მოდის ხარი, დგება და ჩვენშის, მერე გარბის, ოთხი ჩლიქის თქარა-თქურით ცამდე ადის და უჩინარდება.

რა სიმშვიდე იქნებოდა, ეს ნაკადული რომ ყბედად არ იყოს ქცეული, ასე რომ არ ლაქლაქებდეს, არ ჩურჩულებდეს და ბებერი ენაჭარტალა დედაკაცების გუნდივით არ აღიზიანებდეს.

თითქოს ნაკადულს უნდა დაარტყას და ხმა ჩააკმენდინოსო, წითური კიბოების საჭერი ხოლიხის ჯოხს ნელ-ნელა მაღლა აიტანს და აი, შუა ლერწმებში გოლიათი კიბოები ალიმართებიან.

ისინი კიდევ უფრო იზრდებიან და, ყალყზე შემდგარნი, გაპრიალებულები, წყლიდან ამოდიან.

ჭმუნვით დამძიმებულ წითურს გაქცევის თავი აღარა აქვს.

და კიბოები გარს ერტყმიან.

მაღლა, მისი ყელისაკენ მოიწევენ.

ტკაცა-ტკუცი გააყვეთ.

და აი, საცაა თავიანთ უზარმაზარ მარწუხებში მოაქცევენ.

ცხვრები

წითური ჯერ მხოლოდ ბუნდოვნად მოხტუნავე თავებს ხედავს. ისინი წინ მოიწევენ ყურთწამლები ბლავილით და ჯიკავ-ჯიკავით, როგორც სკოლის ეზოში მოთამაშე ბავშვები. ერთი მუხლებზე ეჯახება და წითურს შიშით ლამის გული წაუვიდეს. თითქმის სამერცხულის სიმაღლეზე ხტება. ეს ბატკანია. წითური წუხანდელ შიშს იხსენებს და ღიმილი მოსდის. თვალი წყვდიადს ეჩვევა და საგნებს თანდათან არჩევს.

ღოლი დაიწყო. ყოველ ღილით ფერმერი პაეოლი ორ-სამ ნამატ ბატკანს ითვლის. ისინი დაბნეულები დგანან დედაცხვრებში, მოუქნელნი, აკანკალებულ ფეხებზე დაბარბაცებულნი, როგორც ოთხ ფეხზე დაყენებული ხის ტლანქი ქანდაკებები.

წითური ჯერ კიდევ ვერ ხედავს, რომ მათ შეხედოს. ისინი უფრო გაბედულები არიან, უკვე ფეხსაცმელს ულოკავენ, წინა ფეხებს ზედ ადგამენ პირში თივის ღერებგარჭობილები.

ძველები, უკვე ერთი კვირისანი, იჭიმებიან, უკანა ფეხებს ძალას ატანენ, მთვრალებივით გვერდულად მიკუნტრუშობენ. ერთი დღისანი, ჯერ კიდევ მეტისმეტად გამხდრები, დაკუთხულ მუხლებზე ეცემიან, რომ სიცოცხლით სავსენი ისევ ფეხზე წამოხტნენ. სულ ახლახან დაბადებული ჯერ ფეხზე ვერ იმართება, ზინზლიანი დედას ჯერ არ გაულოკავს. შეწუხებული დედა, რომელსაც ფეხებშორის ნაყოფის გამოსასვლელი წყლიან შეშუპებია და გასიებია, ბატკანს რქებით იშორებს.

— ცუდი დედაა! — ამბობს წითური.

— ცხოველიც ისეა, როგორც ადამიანი, — ამბობს პაჟოლი.

— უთუოდ სურვილი ექნება, რომ ძუძუ მოაწოვოს.

— ალბათ, — ამბობს პაჟოლი. — ბევრ ბატკანს იძულებული ვართ საწოვარა მივცეთ, აი, ისეთი, აფთიაქში რომ იყიდება, ეგ დიდხანს არა გრძელდება, დედა მალე ბედს ურიგდება.

ცხვარს მხრებზე შეისვამს და გალიაში ცალკე შეაგდებს. ვაითუ გალიას თავი დააღწიოს, გამოსარჩევად ყელზე დაგრეხილ თოკს შემოახვევს. ბატკანი ცხვარს გაედევნება. ცხვარი ხრამუნით ილეჭება, თითქოს თივას სანეხზე ხეხავდეს. აკანკალებული ბატკანი კი ჯერ კიდევ გაუმაგრებელ ფეხებზე დგება, საცოდავი ცდილობს ძუძუს პირი მოჰკიდოს და დრუნჩი ათიმთიმებული ლაბით აქვს დაფარული.

— დარწმუნებული ხართ, რომ გონს მოვა და უფრო კეთილი იქნება? — ეკითხება წითური.

— დიახ, უკანა გასასვლელი როცა მოურჩება; — ამბობს პაჟოლი, — მეტისმეტად მძიმე მშობიარობა ჰქონდა.

— მე ერთსა ვფიქრობ, — ეუბნება წითური. — ამ ბატკნის მოვლა დროებით სხვა ცხვარს რატომ არ უნდა მივანდოთ?

— ახლოს არ გაიკარებს, — პასუხობს პაჟოლი.

და მართლაც დედაცხვრების ბღავილი, ფარეხის ოთხივე კუთხეში რომ გაისმის და ბატკნებს ძუძუს საჭმელად უხმობს, წითურისათვის ასე განურჩეველი, ბატკნებისათვის კარგად გასარჩევია, რადგან ყოველი ბატკანი თავისი დედის ძუძუს სწრაფად აგნებს.

— აქ, — ამბობს პაჟოლი, — სხვის ბატკანს არავინ მიიკარებს.

— საოცარია, — ამბობს წითური. — ეს დედაშვილური გუმანი როგორ უნდა აიხსნას? იქნებ გამძაფრებული ყნოსვით?

მას იმის სურვილიც კი აქვს, რომ ბატკანს ცხვირი დაუცოს და დაინახოს, რა მოხდება.

წითური ერთმანეთს უდარებს ადამიანებსა და ცხვრებს და უნდა ყოველი ბატკნის სახელი იცოდეს.

სანამ ბატკნები ძუძუს ხარბად წოვენ, დედაცხვრები, რომლებსაც ბატკნები ფერდებში დრუნჩით მოულოდნელად ეტაკებიან, მშვიდად და გულგრილად ბალახს ეწოდებიან.წითური ამჩნევს წყლიან ვარცლში ჯაჭვისა და ბორბლის სალტეების ნამტვრევებს, ნახმარ ნიჩაბს.

— რა სუფთაა ეს თქვენი ვარცლი! — ეშმაკურად ამბობს წითური. — საქონელს სისხლი ამ რკინეულით ვინდათ გაუწმინდოთ?

— ნამდვილად, — ეუბნება პაჟოლი. — განა შენ აბებს არა ყლაპავ!

იგი წითურს სთავაზობს ვარცლის წყალი იგემოს, და წყალი რომ კიდეე

უფრო სამკურნალოდ გამოსადეგი გახადოს, რაც ხელში მოხვდება, ვარცლში ყრის.

— ტკიპას გაჩუქებ, გინდა? — ეკითხება იგი წითურს.

— მადლობელი ვიქნები, — პასუხობს წითური ისე, რომ ვერ ხვდება, საუბარი რას ეხება, — წინასწარ მადლობას გიხდით.

პაჟოლი ერთი დედაცხვრის სქელ მატყლში იქექება და ერთ-ერთ ეთითებით უზარმაზარი ყვითელი, მრგვალი, ფუნჩულა, გამძღარი ტკიპა ამოჰყავს. პაჟოლის თქმით, ასეთი ორი ტკიპა ბავშვს სისხლს ისე გამოსწოვს, როგორც ქლიავს. იგი ტკიპას წითურს ხელისგულზე უდებს და ურჩევს, თუ სიცილით გული უნდა მოიოხოს და გაერთოს, დას ან ძმას ტკიპა კისერში ჩაუდოს.

ტკიპა უკვე მუშაობას იწყებს და ხორცში შედის. წითურს თითებში ჟრუანტელი უვლის: თითქოს ხელისგულზე ხოშკაკალა ეყრებოდეს. ჟრუანტელი სულ უფრო და უფრო მაღლა, იდაყვისაკენ მიიწევს. წითურს ეჩვენება, ათასი ტკიპა დამეხსია და ხელს მალე მხრამდე გამიყვლეფენო.

რაც იქნება, იქნება; წითური ტკიპას მუჭში ჭყლიტავს და ისე, რომ პაჟოლმა ვერ შეამჩნიოს, შაქს ზურგზე ხელს შვახოცავს.

ტკიპა დამეკარგაო, პაჟოლს ასე ეტყვის.

წამით წითური კიდევ ყურს უგდებს გარშემო ცხვრის ბღავილს, რომელიც ნელ-ნელა წყდება. მალე ცხვრის ყბებში თივის აუჩქარებელი ხრამუნის ყრუ ხმაურსლა გაიგონებს.

ცხაურის ძელზე მეცხვარის უხეში შალის ზოლიანი ლაბადა ისე ჰკიდია, თითქოს მიყუჩებულ ცხვრის ფარას მხოლოდ ის სდარაჯობდეს.

ნათლია

ზოგჯერ ქალბატონი ლეპიკი წითურს ნებას რთავდა სტუმრად ნათლიასთან წასულიყო და ღამე იქ გაეთია. დაღვრემილი და მარტოსული მოხუცი, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეს ვენახში ატარებდა ან თევზაობდა, წითურის მეტს არავის უყვარდა და ვერავინ იტანდა.

— მოხვედი, იხვის ჭუჭულო! — ეუბნება იგი.

— დიახ, ნათლიავ, — არ ჰკოცნის და ისე პასუხობს წითური, — ანკესი გამიწყვე?

— ორივეს ერთიც გვეყოფა, — პასუხობს ნათლია.

წითური ფარდულის კარს გააღებს და იქ გაწყობილ ანკესს დაინახავს, ნათლია მუდამ ასე აღიზიანებს, მაგრამ წითური ამას შეეჩვია. აღარ ბრაზდება და მოხუცის ეს უცნაურობა მათ ურთიერთობაზე აღარ მოქმედებს.

„დაე, გაერთოს, მე რა მენაღვლება“, ფიქრობს წითური.

და ისინი კვლავ კარგ მეგობრებად რჩებიან.

ნათლია ჩვეულებრივად საჭმელს მხოლოდ კვირაში ერთხელ ამზადებს, მაგრამ წითურის საპატივსაცემოდ ცეცხლს აჩაღებს, ზედ დიდი ქოთნით ლობიოს შედგამს ღორის ქონის მოზრდილი ნაჭრით და თავიდან ჭიქა სუფთა ღვინოს ასმევს.

მერე სათევზაოდ მიდიან.

ნათლია წყლის პირას ჯდება და თანმიმდევრულად თავისი წვრილი აბრეშუმის ძაფის გაშლას იწყებს. მძიმე ქვებით ამაგრებს თავის მოქნილ ანკესებს, იჭერს დიდ თევზებს და ხელსახოცში, როგორც ჩვილებს, ისე ახვევს.

— მთავარია, — ეუბნება იგი წითურს, — არ ამოიღო შენი ანკესი მანამდე, სანამ ტივტივა წყალში სამჯერ არ ჩაყვინთავს.

წითური

რატომ სამჯერ?

ნათლია

პირველად ჩაყვინთვას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. თევზი ალბათ ლოდ სინჯავს, მეორედ უკვე სერიოზული ამბავია: თევზი სატყუარას ყლაპავს. მესამედ — უკვე წყალი არ გაუვა, ველარსად წაგივა. ანკესის ამოღება არასოდეს გვიან არ არის.

წითურს ციმორებზე თევზაობა ურჩევნია. ფეხზე იხდის, მდინარეში შედის და ფეხით ქვიშიან ფსკერს ქექავს, რომ წყალი აამღვრიოს. ბრიყვი ციმორი, სადაც არ უნდა იყოს, აქეთ-გამორბის, წითური ანკესის ყოველ ამოღებაზე ციმორს ხელით ეტანება და ნათლიას სუნთქვაშეგუბებული უყვირის:

— თექვსმეტი, ჩვიდმეტი, თვრამეტი!..

ნათლია რაკი დაინახავს, მზე უკვე თავს დაგვდგომიაო, სასაუზმოდ შინ ბრუნდება და ნათლულიც თან მიჰყავს. ნათლია წითურს მუცელს თეთრი ლობიოთი უყორავს.

— ამაზე უკეთესი არა ვიცი რა, — ამბობს იგი — მიყვარს ლობიო რომ კარგად ჩაიხარშება. მოუხარშავი ლობიოს ჭამას რკინის ბარი დავლრღნა, ის მირჩევნია; კბილებში ისე ხრიალებს და ტკაცუნებს, როგორც საფანტის მარცვლები კაკბის ფრთებში.

წითური

ეს ენის წვერზე დნება. საერთოდ, დედაჩემი ლობიოს კარგად აკეთებს, მაგრამ ასეთი მაინც არ არის. ეტყობა, კარაქს ამდენს არ უშვებს.

ნათლია

ისე მადიანად ჭამ, მსიამოვნებს, რომ გიყურებ, იხვის ჭუჭულო. ნიძლავს დაგიდებ, რომ შენს სამყოფს დედაშენთან ვერა ჭამ.

წითური

ყველაფერი მის მადაზეა დამოკიდებული. თუ დედაჩემი მშიერია, მანამდე ვჭამ, სანამ ის არ გამოძღება. თავისთვის გადაიღებს და მეც გადმომიღებს. ის რომ ჭამას მორჩება, მეც უნდა მოვრჩე.

ნათლია

დამიმატეო. ვერ ეტყვი, სულელო!

წითური

სათქმელად ადვილია. ჩემო ბებერო! თუმცა მუდამ ისა სჯობს, კაცი ბოლომდე მაძღარი არ იყოს.

ნათლია

აი, მე რომ ბავშვი მყოლოდა, გავას გავულოკავდი, ჩემი ბავშვი მაიმუნიც რომ ყოფილიყო! ისე რომ, ვერაფერს გაიგებ!

ბოლოს ვენახში აღამებენ. წითური ხან ნათლიას შეჰყურებს, რომ ბარავს, და ნაბიჯ-ნაბიჯ მისდევს, ხან წალამზე მიწოლილი ცაში იყურება და ტირიფის ღეროს წუწნის.

წყარო

ნათლიასთან საწოლში იმიტომ კი არა წვება წითური, რომ ძალით გული იჯეროს, თუ ოთახი ცივია, ბუმბულის ლოგინი კი ძალიან ცხელი და ნათლიის ბებერ ძვლებს თუ უხდება, ნათლული მალე ოფლიანდება. სამაგიეროდ, ღამეს დედისაგან მოშორებით ათენებს.

— მაშ, დიდი შიში გაქვს დედისა? — ეკითხება ნათლია.

წითური

უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, რომ იმას მაინცადამაინც არ ეშინია ჩემი. როცა ჩემი ძმის დასჯა უნდა, ჩემი ძმა ცოცხის ტარზე გადაჯდება და დედას წინ დაუდგება,თუ დამიჯერებ. დედა მაშინვე დამშვიდდება ხოლმე. ამიტომ დედა სულ იმასა ცდილობს, რომ ფელიქსს მოეფეროს. დედაჩემი ამბობს, ფელიქსი მეტისმეტად მგრძნობიარეაო, იმასთან ძალით ვერაფერს გახდები, წითურზე კი ძალა ზედგამოჭრილიაო.

ნათლია

იქნებ ცოცხი შენც გესინჯა, წითურო.

წითური

აჰ! ეგ რომ გამებედა! მე და ფელიქსი ერთმანეთს სერიოზულად თუ ხუმრობით არაერთხელ დავტაკებივართ. ღონით მე ვჯობნი და თავს იმაზე უკეთესად მე დავიცავდი, მაგრამ დედაზე ცოცხი როგორ უნდა ვიხმარო. უბრალოდ, ცოცხი მომიტანაო, იფიქრებს. ცოცხი გამივარდებოდა, ხელში იმას ჩაუვარდებოდა და ალბათ ჯერ მადლობას მეტყოდა, მერე კი ზედ გადამიჭერდა.

ნათლია

დაიძინე, იხვის ჭუჭულო, დაიძინე!

მაგრამ ვერც ერთი ვერ იძინებს და ვერც მეორე. წითური საწოლში ტრიალებს, სულს ვერ ითქვამს, პირი ლლავივით დაუღია და მოხუც ნათლიას გული ნათლულის სიბრალულით ეკუმშება.

უეცრად, როცა წითურს თვლემა მოერევა, ნათლია ხელზე ხელს სტაცებს.

— აქა ხარ, ჭუჭულო? — ეკითხება. — სიზმარი ვნახე და მომეჩვენა, რომ ისევ იქა ხარ, წყაროში. გახსოვს ის წყარო?

წითური

ისე მახსოვს, თითქოს იქ ახლახან ვიყავი, ნათლიავ. სასაყვედუროდ არ გეუბნები. მაგრამ იმ წყაროს ძალიან ხშირად კი მახსენებ.

ნათლია

ჩემო საწყალო იხვის ჭუჭულო, როგორც კი იმ ამბავს გავიხსენებ, ერუანტელი მივლის. ბალახზე ჩამეძინა. შენ კი წყაროსთან თამაშობდი, ფეხი გაგსხლტომია, ჩავარდნილხარ, ყვირილი მოგირთავს. წყალში აფართხალებულხარ, მე კი, უბედურს, არაფერი გამიგია. ის წყალი ყატას ვერ დაახრჩობდა, შენ კი ვერა დგებოდი. უბედურება სწორედ ეგ იყო. წამოდგომას არცა ფიქრობდი, თუ რა იყო?

წითური

შენ წარმოიდგინე, ისიც კი მახსოვს, წყაროში ჩავარდნილი რასა ვფიქრობდი!

ნათლია

ბოლოს წყალში შენმა ფართხალმა გამომაღვიძა, თვალი დროზე გავახილე. საცოდავო ჭუჭულო! მართლა საწყალი იხვის ჭუჭულო! წყალს ჩანჩქერივით აფრქვევდი. ტანისამოსი გამოგიცვალეს, პატარა ბერნარის საკერარ ტანისამოსი ჩაგაცვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითური

დიახ, ის ტანისამოსი მეტისმეტად იჩხვლიტებოდა. სულ ვიქექებოდი. ძუისა იყო?

ნათლია

არა, მაგრამ პატარა ბერნარს სუფთა პერანგი არა ჰქონდა, შენთვის რომ ჩაეცმიათ. ახლა მეცინება, მაგრამ ერთი წუთით, ერთი წამით გვიან რომ გამლვიძებოდა, გაგუდულს ამოგიყვანდი.

წითური

ახლა რა შორს ვიქნებოდი!

ნათლია

ჩუმად იყავ! თავში რა სისულელე აღარ მომდიოდა, იმის მერე ერთი მშვიდი ღამე აღარ გამითევია. ძილი დავკარგე, ღმერთმა დამსაჯა; ნამდვილად ღირსი კი ვარ.

წითური

მე კი,ნათლიავ, ღირსი არა ვარ დავისაჯო, ისე მეძინება, თვალები მეხუჭება.

ნათლია

დაიძინე, ჭუჭულო, დაიძინე!

წითური

თუ გინდა, რომ დავიძინო, ჩემო მოხუცო ნათლიავ. ხელი გამიშვი, როცა გავიღვიძებ, ხელს ისევ ხელში ჩაგიდებ. შენი მუხლიც იქით გასწიე, ძალიან ბანჯგვლიანია. როცა ვინმე მეხება, ვერ ვიძინებ.

ძ ლ ი ა ვ ე ბ ი

ჯერ კიდევ აღელვებულები ისევ ლოგინში წრიალებენ და ნათლია ეკითხება:

— ჭუჭულო, გძინავს?

წითური

არა, ნათლიავ.

ნათლია

არც მე მძინავს, უნდა ავდგე. თუ გინდა, ჭიაყელებზე წავიდეთ.

— კარგი აზრია, — ამბობს წითური.

ისინი ლოგინიდან წამოცვივდებიან,იცვამენ, ფარანს ანთებენ და ბაღში მიდიან.

ფარანი წითურს უჭირავს, ნათლიას — კოლოფი, სველი მიწით სანახევროდ სავსე კოლოფი. კოლოფში სათევზაოდ ჭიაყელები ჰყავთ. ნათლია მიწას ნესტიანი ხავსით ფარავს და ამიტომ ჭიაყელა არასოდეს შემოელევა. წვიმიან ამინდში მოსავალი უფრო უხვია.

— ზედ ფეხი არ დაადგა, — ეუბნება ნათლია წითურს, — ფრთხილად

იარე. სურდოსი რომ არ მეშინოდეს, რბილი ფეხსაცმელით ვივლიდი. ჭიაყელა ფაჩუნზედაც კი ხვრელში მიძვრება. ხვრელს რომ ძალიან დაშორდება, ადვილი დასაჭერი მხოლოდ მაშინ არის. ხელი სწრაფად უნდა სტაცო და ოდნავ მოუჭირო, რომ არ დაგისხლტეს. აი, ეს უკვე სანახევროდ მიწაში იყო ჩასული; თავი დაანებე, შუაზე გაწყვეტილი ჭიაყელა ... ვარგა; სხვა ჭიაყელებსაც წაახდენს და სათუთი თევზიც ალარ იკადრებს. ზოგი მეთევზე ჭიაყელას ზოგავს. შეცდომაა. კარგ თევზს მხოლოდ მსუქანი, ცოცხალი ჭიაყელა დაიჭერს, წყლის სიღრმეში რომ კარგად იკლაკნება. თევზს ჰგონია, ჭიაყელა გამირბისო, დასაჭერად მისდევს და გულუბრყვილოდ ყლაპავს.

— ხელს მუდამ უხერხულად ვავლებ, — ლუღლუღებს წითური, — და თითები სულ დასვრილი მაქვს.

ნათლია

ჭიაყელა სულაც არ არის ბინძური. ჭიაზე სუფთა ამ ქვეყანაზე არაფერია. მხოლოდ მიწით საზრდოობს და რომ გაჭყლიტო, მიწის მეტი არაფერი გამოუვა. მე, ჩემდა თავად, ჭიას კიდეც გეახლებოდი.

წითური

მე კი, ჩემდა თავად, ჩემი წილი შენთვის დამითმია. აჰა, გისინჯე.

ნათლია

ეს ძალიან დიდია. ჯერ უნდა შეწვა და მერე პურზე წაუსვა. პაწაწინებს კი, მაგალითად, ქლიავის მატლებს, უმადაც მივირთმევ.

წითური

დიახ, ვიცი. დედაჩემი შენზე ამბობს, მთელ ჩვენს ნათესაობას თავს აძულებსო და თვალწინ დაუდგები თუ არა, გული ერევა. მე კი, თუმცა სულაც არ მინდა, რომ მოგბაძო, ყველაფერში შენს მხარეზე ვარ, რადგან მძიმე ხასიათისა არა ხარ და ერთმანეთისა ძალიან კარგად გვეყურება.

იგი ფარანს მაღლა ასწევს, ტოტს მოიწევს და რამდენიმე ქლიავს მოგლიჯავს. საღ ქლიავებს დაიტოვებს და ჭიანებს კი გაუწვდის ნათლიას, რომელიც ქლიავებს კურკიანად ყლაპავს და ამბობს:

— აბა, გემრიელი ეს არის და!..

წითური

ოჰ! ბოლოს და ბოლოს მეც შევეჩვევი და ქლიავს მეც შენსავით შევჭამ. მხოლოდ იმის დარდი მაქვს, რომ ცუდი სუნი ამივა და დედაჩემმა თუ ჩემი კოცნა მოინდომა, შემამჩნევს.

— მატლს სუნი არა აქვს, — ამბობს ნათლია და თავის ნათლულს პირში ასუნთქავს.

წითური

მართალია, მხოლოდ თამბაქოს სუნი ამოგდის. სამაგიეროდ, თამბაქოს სუნით ხარ აქოთებული. ძალიან მიყვარხარ, ჩემო მოხუცო ნათლიავ, მაგრამ უფრო მეყვარებოდი, ყველაზე უფრო მეტად, ჩიბუხს რომ არ აბოლებდე.

ნათლია

ეჰ! ჰუჰულო! ჰუჰულო! კაცს ეგ აძლებინებს.

მატილდა

— იცი, დედა, — სული არ მოუთქვამს, ისე ეუბნება ერნესტინი ქალბატონ ლეპიკს. — წითური მინდორში პატარა მატილდას ისევ ცოლქმრობას ეთამაშება. უფროსი ძმა ფელიქსი იმათ საქორწინოდ რთავს, მე კი ვცდები, ეს თამაში აკრძალული გაქვს.

მართლაც ველური კატაბარდის თეთრი ყვავილებით მორთული პატარა მატილდა გაუნძრეველად და დინჯად დგას მინდორში. ფლერდორანჟით ასე მოკაზმული იგი პატარძალს ნამდვილად ჰგავს. და ეს ფლერდორანჟი იმდენია, რომ მუცლის გვრემის მოსარჩენად ალბათ მთელი სიცოცხლე ეყოფოდა.

გვირგვინად დაწნული კატაბარდა უმშვენებს თავს და ეფინება ტალღებად ნიკაპზე, უკან, ზურგზე, გრძელ მკლავებზე, გირლიანდივით ეხვევა ტანზე და დასთრევს მიწაზე კუდივით,რომელსაც უფროსი ძმა ფელიქსი უფრო და უფრო უგრძელებს.

იგი ნაბიჯით უკან იხევს! და მატილდას ეუბნება:

— აღარ გაინძრე! ახლა შენი ჯერია, წითურო.

წითური ნეფესავით არის მორთული იმავე კატაბარდით, რომელსაც შიგადაშიგ პატარძალისაგან ნეფის გამოსარჩევად ყაყაჩო, ჭყორის ნაყოფი და ყვითელი ბაბუაწვერა ურევია. ნეფეს არ ეცინება და სამივენი მეტისმეტად დადინჯებულები არიან. მათ იციან, ყოველ საზეიმო წუთს რა მიესადაგება. დაკრძალვის ჟამს კაცი ბოლომდე მგლოვიარე უნდა იყოს, ქორწინების ჟამს კი, სანამ ჯვრისწერა არ გათავდება, დადინჯებული, თორემ თამაში მიმზიდველი არ იქნება.

— ერთმანეთს ხელი ჩასჭიდეთ, — ეუბნება იმათ უფროსი ძმა ფელიქსი. — ახლა წინ წამოდით! აუჩქარებლად.

ისინი წინ ნელა მოდიან, ერთმანეთისაგან ოდნავ დაშორებულები. როცა მატილდას ფეხები გაებლანდება, თავის გირლიანდს მაღლა აიტანს და ორი თითით დაიკავებს, წითური კი თავაზიანად უცდის და ფეხი ვერ გადაუდგამს.

უფროს ძმას ფელიქსს ისინი მინდორში მიჰყავს, პირი ამათკენ აქვს და უკან-უკან ისე მიდის, მათ მიერ ყოველ გადადგმულ ნაბიჯს ხელის ქნევით აღნიშნავს. ხან თავი ბატონ მერად წარმოუდგენია, თავს ხრის და ესალმება, ხან — კიურედ და ლოცვა-კურთხევით ჯვარს გადასახავს, ხან მეგობრად და ბედნიერებას ულოცავს, ხან — მეეიოლინედ და სიმღერით ჯოხს ჯოხზე უსვამს.

მას ისინი ხან წინ მიჰყავს, ხან — უკან.

— სდექ! — ამბობს ფელიქსი, — აქ რაღაც კარგად ვერა გაქვს.

და ხელისგულის დარტყმით მატილდას გვირგვინს გაუსწორებს თუ არა, კორტეჟი სვლას აგრძელებს.

— ვაი! — იმანჭება და ყვირის მატილდა.

კატაბარდის რქა მატილდას თმაზე ეჭიდება. უფროსი ძმა ფელიქსი გვირგვინს თავიდან აართმევს. მაგრამ თამაში გრძელდება.

— გათავდა, — ამბობს ის, — უკვე ჯვარდაწერილები ხართ, აკოცეთ ერთმანეთს.

და რომ დაინახავს, ყოყმანობენ, ეუბნება:

— აბა ჰე! რაღას უყურებთ! აკოცეთ-მეთქი. როცა ჯვარს იწერენ, ერთ-

მანეთს კოცნიან. ერთმანეთს მოუარეთ, ერთმანეთს სიყვარული აუხსენით, რას გაშეშებულხართ.

ფელიქსი, რომელმაც ალბათ სიყვარულის სიტყვები უკვე აქვს, თავის უპირატესობას გრძნობს და მათ მოუქნელობას დასცინის. იგი სამაგალითოდ და თავის შრომის საზღაურად მატილდას პირველი ეკოცნის.

გამამაცებული წითური დაწნულ ყვავილებში მატილდას ხელს დაეძებს და ლოყაზე ჰკოცნის.

— ეს ხუმრობა არ არის, — ეუბნება იგი, — მე შენ ნამდვილად ცოლად გირთავ.

მატილდა წითურს კოცნას უკან უბრუნებს.

უეცრად ორივენი დარცხვენილები შეწუხდებიან და გაწითლდებიან.

უფროსი ძმა ფელიქსი იმათ რქებს უჩვენებს.

— გაგაწითლეთ თუ არა! გაგაწითლეთ თუ არა!

ხელებს ისრესს, იცინის და ერთ ადგილზე ფეხებს აბაკუნებს.

— ტუტუცები არიან! ნამდვილი ჰგონიათ!

— ჯერ ერთი, — ამბობს წითური. — მე არ გავწითლებულვარ, მეორეც ერთი, იცინე, იცინე, ხელს მაინც ვერ შემიშლი, რომ მატილდა ცოლად მოვიყვანო, თუკი დედაჩემიც მოინდომებს.

ამ დროს დედაც გამოჩნდება, რომ გამოუცხადოს, არა, მაგას არ მოვინდომებო. იგი მინდვრის ღობეზე გადებულ ძელს გვერდზე გადადებს და ენატანია ერნესტინის თანხლებით შევა; ღობეს რომ გაივლის, წკეპლას მოამტვრევს, ფოთლებს გააცლის და ეკლებს ზედ შეატოვებს.

იგი პირდაპირ შვილებისაკენ გასწევს, გარდაუვალი, როგორც გრიგალი.

— თავს ვუშველოთ! — ამბობს უფროსი ძმა ფელიქსი.

იგი მინდვრის მეორე ბოლოსაკენ გარბის, იქ საფრთხე არ ემუქრება და იქიდან ყველაფერს დაინახავს.

წითური არასოდეს არ გარბის. თუმცა მშიშარაა, მაგრამ ჩვეულებრივად ის ურჩევნია ხოლმე, რომ რაც მოსახდენია, მალე მოხდეს.

აკანკალებული მატილდა ქვრივივით ქვითინებს და სლუკუნებს.

წითური

ნუ გეშინია. დედაჩემის ამბავი კარგად ვიცი, მისი მრისხანება მხოლოდ მე დამატყდება. ყველაფერი ჩემზე გადაივლის.

მატილდა

ხო, მაგრამ დედაშენი ყველაფერს დედაჩემს ეტყვის და დედაჩემი ფეხქვეშ დამიდებს.

წითური

ამას ჭკუის სწავლებას ეძახიან. გალახვა კი არ არის, ჭკუის სწავლება და გაკვეთილია. ჭკუას დედაშენიც გასწავლის ხოლმე?

მატილდა

ხანდახან, როცა მოეხასიათება.

წითური

დედაჩემმა ოლონდ საბაბი ნახოს.

მატილდა

მაგრამ მე ხომ არაფერი დამიშავებია.

წითური

ეგ არაფერს არ ნიშნავს, ფრთხილად!

ქალბატონი ლეპიკი უახლოვდება. ისინი ვერსად გაექცევიან. საჩქარო ალარაფერია. იგი ნაბიჯს შეუნელებს და ისე ახლოა მათთან, რომ ერნესტინი იმის შიშით, შემთხვევით მეც არ მომხვდესო, იმ სცენის კიდესთან დგება, სადაც მოქმედება უნდა გათამაშდეს. წითური წინ დაუდგება „თავის ცოლს", რომელიც უფრო ხმამაღლა ქვითინებს. ველური კატაბარდის თეთრი ყვავილები აწეწილ-დაწეწილია. ქალბატონი ლეპიკის წკეპლა უკვე აღმართულია, რომ მათრახივით დაიზუზუნოს. გაფითრებულ წითურს ხელები გულზე დაუკრეფია, თავი მხრებში ჩაურგავს, წელი და კანჭები თითქოს წინასწარ ეწვის და მაინც ამაყად იძახის:

— რა გაეწყობა. სამაგიეროდ ხომ გავერთეთ!

ცეცხლგამძლე სკივრი

მეორე დღეს მატილდა წითურს ხვდება და ეუბნება:

— დედაშენი ჩვენთან იყო, დედაჩემს ყველაფერი ჩაუკაკლა და კარგადაც მომხვდა. შენ?

წითური

ალარ მახსოვს. შენ კი გალახვის ღირსი სულაც არ იყავი, ცუდი არა ჩაგიდენია რა.

მატილდა

არა, ნამდვილად არაფერი.

წითური

დამიჯერე, სერიოზულად გითხარი, ცოლად სიამოვნებით გითხოვმეთქი.

მატილდა

ცოლად მეც სიამოვნებით გამოგყვები.

წითური

შემეძლო შემეძულებინე, მხოლოდ იმიტომ, რომ ღარიბი ხარ და მე კი მდიდარი, მაგრამ შიში ნუ გექნება, მე შენ პატივს გცემ.

მატილდა

ძალიან მდიდარი ხარ, წითურო?

წითური

ჩემს მშობლებს სულ ცოტა მილიონი მაინცა აქვთ.

მატილდა

მილიონი რამდენია?

წითური

ბევრია; მილიონერები მთელი თავისი ფულის დახარჯვას ვერასოდეს ახერხებენ.

მატილდა

ჩემი მშობლები კი სულ იმას წუწუნებენ, ფული არა გვაქვსო.

წითური

ოჰ! ჩემი მშობლებიც ასე წუწუნებენ. ყველა იმიტომ წუწუნებს, რომ სხვას თავი შეაცოდოს და ის გაახაროს, ვისაც მისი შურს. მაგრამ მე ვიცი,

რომ ჩვენ მდიდრები ვართ. ყოველი თვის პირველ რიცხვში მამაჩემი მცირე ხნით თავის ოთახში იკეტება და მესმის, ცეცხლგამძლე სკივრის საკეტი ისე ჭრიალებს, თითქოს სალამოთი გომბეშო ყიყინებდეს. მამაჩემი იმ სიტყვას იტყვის ხოლმე, არავინ, არც დედაჩემმა, არც ჩემმა ძმამ, არც ჩემმა დამ რომ არ იციან, არავინ, ჩემს მეტმა, იტყვის და ცეცხლგამძლე სკივრის კარი იღება. მამაჩემს იქიდან ფული გამოაქვს, სამზარეულოში შეაქვს და მაგიდაზე აწყობს. თან ხმას არ იღებს, მხოლოდ ფულს აჩხრიალებს და დედაჩემი, ღუმელთან რომ ტრიალებს, მაშინვე ხვდება, როგორ უნდა მოიქცეს. მამაჩემი წავა თუ არა, დედაჩემი შემობრუნდება და ფულს სწრაფად წამოკრიფავს. მრავალი წელია ყოველი თვის დასაწყისში ასე ხდება, ისე რომ ცეცხლგამძლე სკივრში მილიონზე მეტიც კი უნდა იყოს.

მატილდა

სკივრი რომ გაიღოს, რაღაც სიტყვას ამბობსო? რა სიტყვას?

წითური

გამოცნობას ნუ შეეცდები, ტყუილად თავს ნუ შეიწუხებ. ამ სიტყვას მაშინ გეტყვი, როცა ჯვარს დავიწერთ, ოღონდ პირობა უნდა მომცე, რომ იმ სიტყვას არასოდეს გაიმეორებ.

მატილდა

ახლა მითხარი, პირობას ახლავე გაძლევ, რომ არასოდეს გავიმეორებ.

წითური

არა, ეს ჩვენი საიდუმლოებაა, ჩემი და მამაჩემისა.

მატილდა

არა, შენ ის სიტყვა არა გცოდნია: რომ იცოდე, კიდეც მეტყოდი.

წითური

უკაცრავად, ძალიან კარგადაც ვიცი!

მატილდა

არა, არ იცი, არ იცი-მეთქი. ზედვე გეტყობა, რაცა ბრძანდები!

— თუ გინდა, დავნიძლავდეთ, რომ ვიცი, — მნიშვნელოვნად ამბობს წითური.

— რაზე დავნიძლავდეთ? — გაუბედავად ეკითხება მატილდა.

— ხელი იქ მომაკიდებინე, სადაც მე მოვინდომებ, — ეუბნება წითური, — და შენ ის სიტყვა გეცოდინება.

მატილდა წითურს შეჰყურებს. მის ნათქვამს კარგად ვერ მიხვედრილა. ნაცრისფერი თვალთმაქცური თვალები ოდნავ გაუხელია და ახლა ორნაირ ცნობისმოყვარეობა აწვალებს.

— ჯერ შენ მითხარი ის სიტყვა, — ეუბნება წითურს.

წითური

დაიფიცე, რომ მერე ხელს იქ მომაკიდებინებ, სადაც მე მოვინდომებ.

მატილდა

დედაჩემი დაფიცებას მიკრძალავს.

წითური

აბა, მაშ ის სიტყვა არ გეცოდინება.

მატილდა

სულაც არ მჭირდება ის შენი სიტყვა, ისედაც მიხვედრილი ვარ, დიახ, ისედაც მიხვედრილი ვარ, რაც არის.

მოთმინებადაკარგული წითური ცდილობს საწადელს მალე მიაღწიოს.

— ყური დამიგდე, მატილდა, არაფერსაც არა ხარ მიხვედრილი. — ეუბნება მე მჯერა შენი და ამიტომ გეტყვი. მამაჩემი სანამ თავის ცეცხლგამძლე სკივრს გააღებს, ასე ამბობს ხოლმე: „ლუსტუკრუ". აი, ახლა შემიძლია ხელი იქ მოგკიდო, სადაც მე მინდა.

— ლუსტუკრუ! ლუსტუკრუ! — გაიძახის მატილდა და უკან-უკან იხევს, გახარებული იმით, რომ საიდუმლოს დაეუფლა და თან შეშფოთებული რომ ეს საიდუმლო ვაითუ არაფრად არა ღირს. — მართალი მითხარი, ხომ არ დამცინი?

და რაკი დაინახავს, წითური სიტყვის უთქმელად ხელგამოწვდილი გულდაგულ მისკენ მიიწევს, თავქუდმოგლეჯილი გარბის და წითურის ყურამდე მისი კისკისი აღწევს.

იგი უკვე თვალს მიეფარება, როცა წითური ზურგს უკან ვილაცის დამცინავ სიცილს გაიგონებს.

შემობრუნდება და თავლის სარკმელში ციხე-კოშკის კბილებგადმოყრილ მსახურს დაინახავს.

— ყველაფერი დავინახე, წითურო, მოიცა, ყველაფერი დედაშენს თუ არ ვუთხრა.

წითური

ვეთამაშებოდი, ბიძაჩემო პიერ. გოგონა მინდოდა გამეცურებინა „ლუსტუკრუ" ტყუილად ვუთხარი, მე მოვიგონე, სხვათა შორის, ნამდვილი არც მე ვიცი.

პიერი

დამშვიდდი, წითურო, შენი „ლუსტუკრუ" მე ფეხებზე მკიდია, ამაზე დედაშენს არაფერს არ ვეტყვი, დანარჩენზე კი ვეტყვი.

წითური

დანარჩენზე?

პიერი

დიახ, დანარჩენზე, ყველაფერი ძალიან კარგად დავინახე, წითურო. აბა ერთი გაბედე და თქვი, არაფერიც არ დაგინახავსო. აჰ! ჯერ მიწას არ აშორებიხარ და კარგი ხვითოცა ხარ! აბა მოიცა, ამ საღამოს ეგ დიდრონი ყურები რა წითლად აგიყვავდება!

წითური ხმას არ იღებს, სახე ისე წამოენთება, რომ მისი ბუნებრივი თმის ფერი უფრო ბაცი ჩანს და ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ფრუტუნ-ფრუტუნით იქაურობას შორდება.

თავაკომგალები

წითური მარტო თამაშობს შუა ეზოში, რომ ქალბატონმა ლეპიკმა ფანჯრიდან თვალი ადევნოს, და ცდილობს ისე ითამაშოს, როგორც წესიერ ბიჭს შეეფერება. სწორედ ამ დროს გამოჩნდება მისი მეგობარი რემი, მისი ხნის კოჭლი ბიჭი, რომელიც სულ იმას ცდილობს, რომ ირბინოს, მაგრამ მარცხე-

ნა ფეხი სულ მუდამ უკან რჩება. მას კალათი უჭირავს და წითურს ეკითხება:

— წამოხვალ, წითურო? მამაჩემი მდინარეში კანაფს ალბობს. თან დავეხმარებით და თან კალათით თავკომბალებს დავიჭერთ.

— დედაჩემს დაეკითხე, — ეუბნება წითური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რემი

მე რატომ უნდა დავეკითხო?

წითური

შენ იმიტომ უნდა დაეკითხო, რომ მე ნებას არ დამრთავს.

სწორედ ამ დროს ქალბატონი ლეპიკი ფანჯარაში გამოჩნდება.

— ქალბატონო, — ეუბნება რემი, — თავკომბალები გვინდა დავიჭიროთ: და წითურს ვერ გამოუშვებთ?

ქალბატონი ლეპიკი ყურს ფანჯრის მინას მიადებს, რემი თხოვნას ყვირილით იმეორებს, ქალბატონ ლეპიკს ახლა ეყურება. მეგობრები ხედავენ, რომ იგი ბაგეს ამოძრავებს, არაფერი ესმით და ერთმანეთს გაუბედავად შეჰყურებენ. მაგრამ ქალბატონი ლეპიკი თავს გაიქნევს და გარკვევით ანიშნებს, თანახმა არა ვარო.

— არ მიშვებს, — ამბობს წითური. — უთუოდ ახლავე რაიმეში ვჭირდები.

რემი

რა საწყენია, კარგად გავერთობოდით, არ გიშვებს, არა და არ გიშვებს.

წითური

დარჩი, აქ ვითამაშოთ.

რემი

აჰ! არა, არავითარ შემთხვევაში. გული თავკომბალების საჭერად უფრო მიმიწევს. დღეს თბილა. მთელ კალათას ავავსებ.

წითური

ცოტა ხანს მომიცადე. დედაჩემი თავიდან მუდამ უარზეა, მაგრამ მერე გადაიფიქრებს ხოლმე.

რემი

თხუთმეტ წუთს მოვიცდი. მეტს — ვერა.

ისინი იქ დგანან ჯიბეებში ხელებჩაწყობილები, კიბეს ეშმაკურად შეჰყურებენ და მალე წითური რემის იდაყვს წაკრავს.

— ხედავ? ხომ გეუბნებოდი!

მართლაც კარი იღება. ქალბატონ ლეპიკს წითურისათვის ხელში კალათა უჭირავს და კიბეზე ჩამოდის, მაგრამ ეჭვი გაჰკრავს და შეჩერდება.

— შენ ისევ აქა ხარ, რემი! უკვე წასული მეგონე. მოიცა, ვეტყვი მამაშენს, ზარმაცობს-მეთქი, და კარგი დღე არ დაგადგება.

რემი

ქალბატონო, წითურმა მითხრა, მოიცადეო.

ქალბატონი ლეპიკი

აჰ! მართალია, წითურო?

წითური არც უდასტურებს და არც უარყოფს, არ იცის, რა ქნას. მან მშვენივრად იცის ქალბატონი ლეპიკის ხასიათი. წითური ამჯერადაც კარგად მიუხვდა, მაგრამ რადგან ბრიყვმა რემიმ ყველაფერი აურ-დაურია და წაბდინა, ახლა ეს ამბავი როგორ გათავდება, სრულებით აღარ აინტერესებს. ფეხით ბალახს თელავს და გვერდზე იყურება.

— მე თითქოს, — ამბობს ქალბატონი ლეპიკი, — ჩვეულებრივ ... ჩემი სიტყვა რომ უკან წავიღო.

და სხვას აღარაფერს აღარ ამბობს.

კიბეზე ადის და შინ შეაქვს კალათი, რომელიც წითურს თავკომბალების დასაჭერად თან უნდა წაეღო და ქალბატონმა ლეპიკმა ახლახან სწორედ საამისოდ გაკალა და ნედლი ყაყალი გადმოყარა.

რემი უკვე შორს არის.

ქალბატონ ლეპიკს ხუმრობა არ უყვარს. სხვა ბავშვები ფრთხილად უახლოვდებიან ხოლმე და ისეთივე შიში აქვთ, როგორც სკოლის მასწავლებლისა.

რემის მდინარისაკენ მიეჩქარება და ისე გარბის, რომ მის მარცხენას, რომელიც მუდამ უკან რჩება, მტვრიან გზაზე ხნული გაჰყავს, მიაცეკვებს და ქვაბივით მიაჩხარუნებს.

ეს დღეც დაიკარგა, წითური თავის გართობას აღარ ცდილობს.

მხიარული გასეირნება ჩაიშალა.

მონანიების წუთი ახლოვდება.

წითური იცდის.

მარტოსული, უმწეო ნაღველს კლანჭებში უვარდება და სასჯელი სისრულეში თავისთავად მოდის.

ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲐᲓ ᲙᲕᲐᲜᲫᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ

ᲡᲪᲔᲜᲐ I

ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲚᲔᲞᲘᲙᲘ

სად მიხვალ?

ᲬᲘᲗᲣᲠᲘ

(ყელზე ახალი ყელსახვევი გაუკეთებია და ფეხსაცმელი ნერწყვით გაუკრიალებია).

მამაჩემთან ერთად უნდა გავისეირნო.

ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲚᲔᲞᲘᲙᲘ

არ გაბედო და ფეხი არ გაადგა. გესმის? თორემ... (თითქოსდა მოსაქნევად მარჯვენა ხელს აღმართავს.).

ᲬᲘᲗᲣᲠᲘ

მესმის.

ᲡᲪᲔᲜᲐ II

ᲬᲘᲗᲣᲠᲘ

(ჩაფიქრებული დგას საათის წინ).

მაინც რა მინდა? როგორმე სილა ავირიდო? სილით მამაჩემი დედაჩემზე

უფრო ნაკლებ მიმასპინძლდება. ეგ უკვე დაანგარიშებული მაქვს. მით უარესი მამაჩემისათვის.

ᲡᲪᲔᲜᲐ III

ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲚᲔᲞᲘᲙᲘ

(მას უყვარს წითური. მაგრამ მისთვის არა სცალია, მუდამ თავის საქმეებზე დადის.).

აბა, წავიდეთ!

ᲬᲘᲗᲣᲠᲘ

არა, მამაჩემო.

ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲚᲔᲞᲘᲙᲘ

როგორ თუ არა? ჩემთან ერთად წამოსვლა არ გინდა?

ᲬᲘᲗᲣᲠᲘ

ოჰ! მინდა, მაგრამ წამოსვლა არ შემიძლია.

ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲚᲔᲞᲘᲙᲘ

გამაგებინე, მაინც რა მოხდა?

ᲬᲘᲗᲣᲠᲘ

არაფერი. მაგრამ უნდა დავრჩე.

ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲚᲔᲞᲘᲙᲘ

აჰ! დიახ! ისევ ჟინიანობ. პატარა ნადირივით იქცევი. აღარ ვიცი, რა დავიჯერო. ხან გინდა, ხან არ გინდა. დარჩი, ჩემო მეგობარო, და რამდენიც გინდოდეს, იმდენი იწუწუნე.

ᲡᲪᲔᲜᲐ IV

ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲚᲔᲞᲘᲙᲘ

(ყველაფერში რომ კარგად იყოს გარკვეული, მუდამ კართან დგას და ფრთხილად ყურს უგდებს.).

ჩემო საცოდავო! (ალერსით წითურს თმებში ხელს შეუცურებს და მავრად მოქაჩავს) სახე ცრემლებით აქვს სველი, მხოლოდ იმიტომ, რომ მამამისს... (წარბებქვეშოდან შეჰყურებს ბატონ ლეპიკს) უნდოდა ძალით წაეყვანა. დედაშენი ასე სასტიკად ხომ არ მოგექცეოდა. (ცოლ-ქმარი ლეპიკები ერთმანეთს ზურგს შეაქცევენ.).

ᲡᲪᲔᲜᲐ V

ᲬᲘᲗᲣᲠᲘ

(საკუჭნაოს სილრმეში. ორი თითი პირში აქვს ჩადებული, ერთი — ცხვირში).

მთელ ქვეყანაზე ყველას კი არ შეუძლია ობოლი იყოს.

ᲜᲐᲓᲘᲠᲝᲑᲐᲖᲔ

ბატონ ლეპიკს თავისი შვილები ნადირობაზე რიგრიგობით დაჰყავს. უკან მისდევენ, მარჯვენა მხარეზე, რომ შემთხვევით ტყვია არ მოხვდეთ, და თან მისი ჩანთა მიაქვთ ხოლმე. ბატონ ლეპიკს სიარული არა ღლის, წითური გაშ-

მაგებული სიჯიუტით მისდევს და ერთს არ დაიჩივლებს. ფეხსაცმლით თითები აქვს დაგრეხილი, მაგრამ საყვედური როგორ წამოსცდება. ფეხის ცერებიც უსივდება და პატარა ჩაქუჩებივით უხდება.

თუ ბატონი ლეპიკი ნადირობის დასაწყისშივე კურდღელს მოკლავს, ასე ამბობს:

— პირველსავე ფერმაში ხომ არ დაგვეტოვებინა ან ლობეში ხომ არ ჩაგვემალა, საღამოს უკან დაბრუნებულებმა რომ გავიყოლოთ?

— არა, მამაჩემო, — ეუბნება წითური, — მე მჭონდეს მირჩევნია.

ხანდახან მთელი დღე ორ კურდღელსა და ხუთ მწყერს დაათრევს ხოლმე. ხელს ხან ჩანთის ღვედს ამოსდებს და ხან — ცხვირსახოცს, რომ ატკივებულ მხარს შვება მისცეს. თუ გზად ვინმე შემოხვდებათ, წითურს თავი მოაქვს და წამით ტვირთი ავიწყდება.

მაგრამ ტვირთი განსაკუთრებით მაშინ არის მძიმე, როცა მამამისი ველარაფერს კლავს და პატივმოყვარეობა ველარ ამხნევებს.

— აქ მომიცადე, — ეუბნება ზოგჯერ ბატონი ლეპიკი. — ამ ნახნავს მოვათვალიერებ.

გალიზიანებული წითური მზის გულზე დგება და შეჰყურებს, მამამისი მინდორს რომ მიჰქელავს, ნალარიდან ნალარზე, კოლბოხიდან კოლბოხზე რომ გადადის, თითქოს მთელი მინდორი ფეხით უნდა გატკეპნოს, ფარცხივით მოასწოროს; სხლტეებს, თავცეცხლას ბუჩქებსა და ჯაგებს თოფის კონდახს სცემს, მაშინ როცა სიცხით გალეჭილი პირამიც კი ჩრდილს დაეძებს, მიწაზე წვება და აქოშინებული გრძელ ენას აგდებს.

„იქ ხომ არაფერი არ არის, — ფიქრობს წითური. — კი, ბატონო, დასცხე, მოცელე ჭინჭარი, გაატიალე. მე რომ ცარიელ ორმოში ფოთლებს შეფარებული კურდღელი ვიყო, რა თქმა უნდა, ამ პაპანაქებაში ფეხს ვერავინ მომაცვლევინებდა!“

და გუნებაში ბატონ ლეპიკს სწყევლის და უშვერი სიტყვებით ლანძღავს.

ბატონი ლეპიკი კი ახლა სხვა ტყრუშულ ლობეს ახტება, რადგან იცის რომ გადაღმა ირონჯით აღაღანებულ მინდორში რამდენიმე ბაჭიას მაინც წააწყდება.

„მეუბნება, აქ მომიცადეო, — ბუზღუნებს წითური, — და ახლა კი სირბილით უკან უნდა სდიო! ცუდად დაწყებული დღე ცუდად თავდება. ირბინე, გაიოფლე, ძაღლი გაასავათე, თავი მოიკალი, სულერთია, გინდამც წყალი გინაყია. ამ საღამოს შინ მაინც პირში ჩალაგამოვლებულები დავბრუნდებით.

წითური მიამიტურად ცრუმორწმუნეა.

მუდამ, როცა იგი თავის ქუდს ეხება, პირამს ბეწვი აეშლება, კუდი ეპრიხება და ნაბულზე დგება. ბატონი ლეპიკი თითის წვერებზე ცდილობს რაც შეიძლება ახლოს მივიდეს მხარზე კონდახმიდებული. წითური არ ინძრევა და მოწოლილი მღელვარებით სუნთქვა ეკვრის.

წითური ქუდს მაღლა ასწევს.

მაშინვე ან მწყერები აფრინდებიან ან კურდღელი გამოხტება, იმის მიხედვით, წითური ქუდს ძირს დაუშვებს თუ ისე იზამს, ვითომ ვისმე ქუდს უხდიდეს და ესალმებოდეს, ბატონი ლეპიკი მიზანს ან ააცდენს ან მოარტყამს.

წითური ხვდება, რომ მისი სისტემა უნაკლო არ არის. ეს ხერხი თუ მე-

ტისმეტად ხშირად გაიმეორე, სასურველი ეფექტი აღარ აქვს, ისევე, როგორც ფორტუნას ბეზრდება და ერთსა და იმავე ნიშნებზე აღარ პასუხობს. წითური ამ ხერხს მხოლოდ იშვიათად იყენებს და ამიტომ წარმატება მუდამ განაღდებულია.

— კარგად მოვარტყი? — ეკითხება ბატონი ლეპიკი, თან ხელში წონის ჯერ კიდევ თბილ კურდღელს და ოქროსფერ მუცელზე აწვება, რომ უკანასკნელად მოასაქმებინოს, — რა გაცინებს?

— ის, რომ ჩემი შემწეობით მოკალი, — უპასუხებს წითური.

და თავისი ახალი წარმატებით გაამაყებული თავის ხერხს დიდის ამბით უხსნის.

— ამას სერიოზულად ამბობ? — ეკითხება ბატონი ლეპიკი.

წითური

ღმერთო ჩემო! მე იმის პრეტენზია არა მაქვს, შეცდომა არასოდეს მომივა-მეთქი!

ბატონი ლეპიკი

ახლავე ხმა ჩაიკმინდე, ბრიყვო; არ გირჩევ, თუკი გონიერი ბიჭის რეპუტაცია გაქვს, ეგ ბოდვა სხვებს გაანდო. არ მოგერიდებიან და სიცილს დაგაყრიან. თუკი, რა თქმა უნდა, შემთხვევით მამაშენის სასაცილოდ აგდება ახლა შენ თვითონ არ მოგინდომებია.

წითური

არა, შენ თავს ვფიცავ, მამაჩემო! მართალი ხარ, მაპატიე, ნამდვილად გულუბრყვილო ვარ.

ბუზი

ნადირობა გრძელდება, და წითური, რომელიც სინანულით მხრებს იჩეჩავს, რადგან თავი ზოგჯერ მეტისმეტად ბრიყვი ჰგონია, მამამისს კიდევ უფრო მეტი მონდომებით მისდევს, ცდილობს მარცხენა ფეხი სწორედ იქ დაადგას, სადაც მარცხენა ფეხი მამამისმა დაადგა და ფეხებს ისე განზე აღგამს, თითქოს კაციჭამიას გაურბოდეს. თუ შეჩერდება, მხოლოდ იმიტომ, რომ მაყვალს ან პანტას წაეწოდოს, ან კვრინჩხს, რომელიც პირს უშუშავს და ტუჩებს უთეთრებს, მაგრამ სამაგიეროდ წყურვილს უკლავს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სანადირო ჩანთის ჯიბეში შუშით არაყი უდევს. წვეთწვეთობით ძირამდე მარტო წითურს დაჰყავს, რადგან ნადირობით დამთვრალ ბატონ ლეპიკს ავიწყდება, რომ არაყი მოიკითხოს.

— გემოს გაუსინჯავ, მამა?

ქარს მოაქვს ძლივს გასარკვევი სიტყვა უარისა. წითური ახლა იმასაც თვითონ ულებს ბოლოს, რასაც მამას სთავაზობდა, შუშას აცარიელებს და რეტდასხმული მირბის, რომ მამას დაეწიოს. მერე უეცრად შედგება, თითს ყურში იცობს, შიგ იტრიალებს, ისევ გარეთ გამოაქვს, მერე ყურს მიუგდებს და ბატონ ლეპიკს უყვირის:

— იცი, მამიკო, მგონი, ყურში ბუზი შემიძვრა.

ბატონი ლეპიკი

მერე გამოიღე, ჩემო ბიჭო.

წითური

ღრმად არის ჩამჯდარი, ვერა ვწვდები. ბზუილი მესმის.

ბატონი ლეპიკი

თავი დაანებე, თვითონ მოკვდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითური

კვერცხები რომ დადოს და ბუდე გაიკეთოს?

ბატონი ლეპიკი

იქნებ როგორმე ცხვირსახოცის წვერით მოკლა.

წითური

არაყი ხომ არ ჩავიწვეთო, რომ დაიხრჩოს? შეიძლება?

თუ გინდა, ჩაიწვეთე, — უყვირის ბატონი ლეპიკი. — ოღონდ ჩქარა ქენი.

წითური ყურზე შუშის ყელს ორჯერ ისე მიიდებს, ვითომ ზედ იცლიდეს, ეს იმ შემთხვევისათვის, თუ ბატონი ლეპიკი მოინდომებს და თავის წილ არაყს მოითხოვს.

და უცებ გამხიარულებული წითური მამას უყვირის:

— იცი, მამაჩემო, ბუზის ბზუილი აღარ მესმის, ალბათ გაიგუდა. ოღონდ წვეთიც აღარ დარჩა არყისა.

პირველი ჩიბუხა

— აქ დადექი, — ეუბნება წითურს ბატონი ლეპიკი. — ეს ყველაზე კარგი ადგილია. მე ძაღლით ტყეში გავისეირნებ; ჩიბუხებს წამოვშლი და როცა „ფიტ, ფიტს" გაიგონებ, ფაჩუნი არ გამოგეპაროს და თვალი კარგად გეჭიროს, ჩიბუხები თავზე გადაგივლიან.

წითურს თოფი ორივე ხელით უჭირავს. პირველად არის ჩიბუხებზე სანადიროდ წამოსული. ბატონი ლეპიკის თოფით მან უკვე მწყერიც მოკლა, კაკაბიც დაჭრა და კურდღელს ტყვიაც ააცილა.

მწყერი მიწაზე მოკლა, ნაბულზე მდგომი ძაღლის ცხვირწინ. თავიდან იგი დიდხანს შეჰყურებდა და ვერ ამჩნევდა ამ პატარა მრგვალ მიწისფერ ბურთს.

— დაიხიე, — უთხრა ბატონმა ლეპიკმა. — ძალიან ახლოსა ხარ.

მაგრამ წითურმა უნებურად წინ გადადგა ნაბიჯი. თოფი მხარზე შეიგდო, მიბრჯნით ესროლა და პაწაწინა ნაცრისფერი ბურთი მიწას შეურია. სროლით გაგლეჯილი მწყერისაგან მხოლოდ გასისხლიანებული ნისკარტი და რამდენიმე ბუმბულიღა დარჩა.

და მაინც ახალგაზრდა მონადირის სახელი პირველად მოკლული ჩიბუხათი არის ნაკურთხი და წითურის ცხოვრებაში ღირსსახსოვარ საღამოდ სწორედ ეს საღამო უნდა ქცეულიყო.

მწუხრს, ეს ყველამ იცის, შეცდომაში შევყავართ. საგნების გამოსახულება არ არის მკაფიო. კოღოს გაფრენა ისე გვაკრთობს, როგორც ჭექა-ქუხილი. აღელვებულ წითურს ძალიან უნდა ყველაფერი ახლავე მოხდეს.

მინდვრებიდან დაბრუნებული შაშვები მუხის ფოთლებს სწრაფად ერწყმიან. წითური იმათ თოფს უმიზნებს, რომ თვალი გაივარჯიშოს. თოფის შე-

ორთქლილ ლულას საბელოს უსვამს, რომ ელვარება დაუბრუნოს. აქა-იქ ხმელი ფოთოლი ფარფატებს.

და აი, ბოლოს ორი ჩიბუხა, რომელთაც გრძელი ნისკარტები ამძიმებთ, ზევით ადიან, შეყვარებულებივით ერთმანეთს მისდევენ და ბრიალებულ ტყეს თავს დასტრიალებენ.

და როგორც ბატონმა ლეპიკმა აღუთქვა, „ფიტ, ფიტ“ [illegible] ეძახიან, მაგრამ მათი ძახილი ძლივს აღწევს და წითურმა არ იცის, ჩიბუხები აქეთ მოდიან თუ არა. მისი თვალები ცას მოუსვენრად შეჰყურებენ. ბიჭი ხედავს, ორი ჩრდილი მის თავზე როგორ გადადის და ვარაუდით, მუცელზე კონდახმიდებული, თოფს ზევით ისვრის.

ორი ჩიბუხიდან ერთი ძირს თავით ეცემა და გასროლის გამაყრუებელი ექო მთელ ტყეს ეფინება.

წითური ხელში იღებს ჩიბუხას, რომელსაც ფრთა აქვს მოტეხილი, გამარჯვებული იქნევს და თოფისწამლის სუნს ისუნთქავს.

მორბის პირამი, უკან მოსდევს ბატონი ლეპიკი, რომელიც ჩვეულებისამებრ არც აგვიანებს და არც ჩქარობს.

„ალბათ გაუკვირდება“, — ფიქრობს წითური და ქებას ელოდება.

მაგრამ ბატონი ლეპიკი ტოტებს გასწი-გამოსწევს, გამოჩნდება და ჯერ კიდევ თოფის კვამლში გახვეულ შვილს მშვიდად ეუბნება:

— ორივე რატომ ვერ მოკალი?

ანკესის კაპი

წითური გატაცებით წმენდს თევზს — ციმორს, ჭიჭყინას და ქორჭილასაც კი. დანით ფხეკს, მუცელს უფატრავს და ფეხსაცმლის ქუსლით ორმაგ გამჭირვალე საცურაო ბუშტს ტაკაცუნით სრესს. ნაწლავებს კატას უგროვებს. თეთრი ქერეჭით გავსებულ ვედროზე დახრილი სწრაფად, მონდომებით ირჯება და ცდილობს არ დაისვაროს.

სამზარეულოში ქალბატონი ლეპიკი შემოიხედავს.

— ეს რა კარგი დღე გათენდა, — ამბობს იგი, — შენი წყალობით დღეს შემწვარი თევზი გვექნება.რომ მოინდომებ, სულაც არა ხარ მოუხერხებელი.

შვილს ხელს უთათუნებს კისერზე, მხრებზე და უცებ ხელს უკან წაიღებს და გამწარებული დაიყვირებს.

თითის წვერზე ნემსკავი აქვს შერჭობილი.

მოირბენს ერნესტინი. მას მოჰყვება უფროსი ძმა ფელიქსი და მალე თვით ბატონი ლეპიკიც კი გამოჩნდება.

— აბა გვიჩვენე, ეუბნებიან ისინი. მაგრამ ლეპიკი მუხლებში იქცევს თითს და ნემსკავი ხორცში კიდევ უფრო ღრმად შედის. მაშინ როცა უფროსი ძმა ფელიქსი და ერნესტინი დედას ორივე მხრიდან შესდგომიან, ბატონი ლეპიკი ხელს ზევით უწევს და ახლა ქალბატონ ლეპიკის ზევით ატანილი თითი ყველას შეუძლია დაინახოს. ნემსკავი მთლიანად ხორცშია შესული.

ბატონი ლეპიკი ცდილობს ნემსკავი გამოიღოს.

— ოჰ! არა! ასე არა! — ყვირის ქალბატონი ლეპიკი შემაძრწუნებელი ხმით.

და მართლაც, თითში ნემსკავი ერთი მხრივ წვეტით არის გარჭობილი და მეორე მხრივ — რკალით.

ბატონი ლეპიკი მონოკლს იკეთებს.

— რა ჯანდაბაა, — ამბობს იგი, — კავი უნდა ჩავტეხოთ.

კი მაგრამ, როგორ? ხელის ოდნავ შეხებაზედაც კი, რადგან ქმარს საამისო მოქნილობა სულ არა აქვს, ქალბატონი ლეპიკი ზეზეულ [illegible] და ყვირის. რა უნდათ, გული გაუსკდეს? თანაც ნემსკავი ნამდვილი ფოლადისაა.

— რა გაეწყობა, — ამბობს ბატონი ლეპიკი, — თითი უნდა გავჭრათ.

იგი მონოკლს ცხვირზე უფრო კარგად იმაგრებს, კალმის გასათლელ დანას დაიკავებს და თითზე ცუდად გალესილ დანის პირს ისე უნიათოდ დაუსვამს, რომ დანა ხორცში ვერ შედის, ბატონი ლეპიკი ძალას ატანს, თან ოფლი ასხამს და თითზე სისხლი გამოჩნდება.

— ოჰ! ოჰ! — ყვირის ქალბატონი ლეპიკი და მის გარშემო ყველანი ირთიან.

— სწრაფად, მამიკო! — ამბობს ერნესტინი.

— შენ მაინც ნუ იქნები უშნო! — ეუბნება უფროსი ძმა ფელიქსი დედას.

ბოლოს ბატონ ლეპიკს მოთმინების ფიალა ევსება. კალმის გასათლელი დანა ხორცს ჯიჯგნის, სადაც მოხვდება, იქ ჭრის. ქალბატონი ლეპიკი წაილუღლუღებს: „ყასაბო! ყასაბო!" და საბედნიეროდ გული მისდის.

ბატონი ლეპიკი ამით ისარგებლებს, ფერდაკარგული, გახელებული ხორცს კუწავს, ჭრის და სისხლიან იარად გადაქცეული თითიდან ნემსკავი ძირს ვარდება.

— უჰ!

ამ ამბის დროს წითური განზეა. დედის პირველსავე დაყვირებისთანავე თავს უშველა. კიბეზე მჯდომს თავზე ხელები აქვს შემოჭდობილი და ცდილობს ამ ამბავში გაერკვეს. ალბათ ანკესი რომ შორს მოიქნია, ნემსკავი ზურგზე წამოედო და ზედ შერჩა.

„კი გამიკვირდა, ანკესს თევზი რომ ალარ ედებოდა", ფიქრობს წითური.

დედის ჩივილს ყურს უგდებს და თავიდან სულ არ ეცოდება. განა ახლა წითური, რაც ძალი და ღონე აქვს და სანამ ყელი არ ჩაეხრინწება, მანამდე უფრო მეტად არ იყვირებს, ოღონდ დედა დაარწმუნოს, რომ დედას მისი ჯავრი უკვე ამოყრილი აქვს და ამიტომ თავი დაანებოს?

მეზობლები, რომელთა ყურადღებაც ხმაურმა მიიქცია, წითურს ეკითხებიან:

— რა ამბავია, წითურო?

იგი ხმას არ იღებს; ყურებში თითებს იცობს და ჟღალ თავს ძირს ჰკიდებს. მეზობლები ქვემოთ, კიბესთან გროვდებიან და ახალ ცნობებს ელოდებიან.

ბოლოს გამოჩნდება ქალბატონი ლეპიკი. მოლოგინებული ქალივით ფერდაკარგულს და გაამაყებულს იმით, რომ უზარამაზარი საფრთხე ემუქრებოდა, შეხვეული თითი წინ ფრთხილად უკავია და ისე მოაქვს. იგი იმ ტკივილს უმკლავდება, ჯერ რომ მთლად ვერ დაუძლევია, შეკრებილებს სუსტად ულიმის, ერთი-ორი სიტყვით ამშვიდებს და წითურს დაყვავებით ეუბნება:

— დიახ, ძალიან მტკივა, ჩემო ბიჭო, ოჰ! მაგრამ შენზე გული მაინც არ მომდის. შენი ბრალი ხომ არ იყო.

წითურისათვის ასე დაყვავებით მას არასოდეს მიუმართავს. გაოცებული წითური თავს მაღლა ასწევს და დაინახავს თეთრი ნაჭრითა და ბაწრით გადახვეულ, სუფთა და მსუქან კვადრატულ თითს, რომელიც ტარიბი ბავშვის თოჯინას ჰგავს. წითურს გამშრალი თვალები ცრემლებით ეავსება.

ქალბატონი ლეპიკი მისკენ იხრება. წითური ხელის ჩვეულებრივი მოძრაობით სახეს იფარავს, მაგრამ იგი შვილს ყველას თვალწინ სულგრძელად ჰკოცნის.

წითურს ალარაფერი ეყურება, ტირის და ცრემლები ღაპაღუპით სცვივა.

— აკი გითხარი, გათავდა, ყველაფერი მიპატიებია-მეთქი! ასე ავი გგონივარ?

წითური უფრო მეტად ქვითინებს.

— მაშ, ბრიყვი არ არის? ხალხი იფიქრებს, ყელსა სჭრიანო, — ამბობს ქალბატონი ლეპიკი, რომელიც მეზობლებს თავისი გულკეთილობით ხიბლავს.

იგი მათ ნემსკავს გადასცემს და ყველანი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებენ. ერთი ამტკიცებს, რვა ნომერიაო. დედა ნელ-ნელა ენას იდგამს და საზოგადოებას თავსგადახდენილ ამბავს ცოცხლად უყვება.

— აჰ! იმ წამს ნამდვილად მოვკლავდი, ასე რომ არ მიყვარდეს. რა ვერაგი ყოფილა ეს პაწაწინა ნემსკავი! ასე მეგონა, სიცოცხლეს გამომასალმებს-მეთქი!

ერნესტინი სთავაზობს, ნემსკავი შორს, ბალის ბოლოში წაიღონ, იქ ორმოში ჩაფლან და ზედ მიწა ფეხებით დატკეპნონ.

— აჰ! არა და არა! — ამბობს უფროსი ძმა ფელიქსი, — ნემსკავს მე შევინახავ. ამ ნემსკავით მე უნდა ვითევზაო. ეშმაკმა დალახვროს! დედის სისხლში ამოვლებული ნემსკავი თქვენ ხუმრობა ხომ არა გგონიათ! თევზის დაჭერას ვერ აუვალ! რა იქნება! სულ ჩემი ბარკლისოდენა თევზებს დავიჭერ!

უფროსი ძმა ფელიქსი წითურს შეანჯღრევს, ის კი ჯერ კიდევ გაოგნებულია, არა სჯერა, სასჯელს თავი რომ დააღწია, და ცდილობს როგორმე ერთხელ კიდევ გამოხატოს, დანაშაულს ვინანიებო, კვნესის, ყელიდან ხრინწიანი ხმა ამოსდის და ჭორფლიან, ულამაზო, სილით ასახურებელი სახეს ცრემლით იბანს.

ვერცხლის ფული

I

ქალბატონი ლეპიკი

შენ არფერი დაგიკარგავს, წითურო?

წითური

არა, დედა.

ქალბატონი ლეპიკი

თუკი არ იცი, დაგიკარგავს თუ არა, მაშინვე „არას“ რატომ ამბობ? აბა ჯერ ჯიბეები გადმოიბრუნე.

წითური

(ჯიბეებს გადმოიბრუნებს და დასცქერის, ჯიბეები სახედრის ყურებივით როგორ აქვს გადმობრუნებული) აჰ! დიახ, დედიკო! დამიბრუნე!

ქალბატონი ლეპიკი

რა დაგიბრუნო? მაშ, რალაც დაგიკარგავს? ისე გკითხე, შემთხვევით და თურმე გამომიცვნია! რა დაგიკარგავს?

წითური

არ ვიცი.

ქალბატონი ლეპიკი

იცოდე, ტყუილი არა თქვა! უკვე თავის დაძვრენას ისე ცდილობ, როგორც ქარაფშუტა ჭიჭყინა. დაფიქრდი და ისე მიპასუხე, რა დაკარგე, ჩიკორი?

წითური

მართალია, ალარ გამახსენდა, დიახ, ჩიკორი დამკარგვია, დედა.

ქალბატონი ლეპიკი

არა, დედიკო, ჩიკორი არ დაგეკარგებოდა, იმ კვირას მე რა გამოგართვი?

წითური

მაშ, ჩემი დანა დამიკარგავს.

ქალბატონი ლეპიკი

რა დანა? დანა ვინ მოგცა?

წითური

არავინ.

ქალბატონი ლეპიკი

ჩემო საბრალო ბიჭო, ჩვენ ასე ვერაფერს გავარკვევთ, კაცი იფიქრებს, შვილი უნდა რომ გადარიოსო. ჩვენ ხომ ერთი სისხლი და ხორცი ვართ. მე შენ წყნარად გეკითხები, დედის მოყვარული შვილი დედას მთლად ენდობა. თუ გინდა დაგენიძლავები, ვერცხლის ფული გაქვს დაკარგული. დანამდვილებით არაფერი ვიცი, მაგრამ გული მეუბნება, უარი არა თქვა, ცხვირზე გეტყობა.

წითური

ვერცხლის ფული ხომ ჩემი იყო, დედიკო. კვირას ნათლიამ მომცა. და ახლა დამკარგვია: მით უარესი ჩემთვის. დასანანია. მაგრამ თავს როგორმე ვინუგეშებ. თუმცა არც მაინცდამაინც ვუფრთხილდებოდი. ერთი ვერცხლის ფულით გინდა მეტი მჭონია და გინდა ნაკლები.

ქალბატონი ლეპიკი

ერთი ამას დამიხედეთ, რა ყბედია! მე სულელი ვარ, რომ ვდგავარ და ამას ყურს ვუგდებ. მაშ, სულაც არ გენაღვლება, გული თუ ეტკინება ნათლიას, ასე რომ განებივრებს?

წითური

წარმოვიდგინოთ, დედიკო, რომ ეს ფული მომინდა და დავხარჯე, ბოლომდე ხომ ვერ შევინახავდი.

ქალბატონი ლეპიკი

გეყოფა, მასხარავ! ამ ფულის არც დაკარგვის უფლება გქონდა და არც უნებართვოდ დახარჯვისა. ახლა ის ფული ალარ გაქვს: მიდი და სხვა მონახე, სხვა იპოვე, სხვა გააჩინე და სხვა მოიტანე. რაც გინდა, ისა ქენი, ოღონდ ახლა ხმა არ გაიღო და აქედან მოუსვი!

წითური

დიახ, დედიკო.

ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲚᲔᲞᲘᲙᲘ

ერთხელ და სამუდამოდ მითქვამს, აღარ მითხრა „დიახ, დედიკო“. თავი ორიგინალურად ნუ მოგაქვს; მიფრთხილდი, არ გავიგონო, რომ ქვილებში ცრი და უდარდელ მეფორნეობავით უსტვენ, იცოდე, შენ ეგ ჩემთან არ გაგივა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

II

წითური მოკლე-მოკლე ნაბიჯებით ბაღის ხეივნებში დაეხეტება. ოხრავს, მცირე ხნით ძებნას განაგრძობს და ცხვირში ისრუტნება. როცა ხვდება, დედა თვალს მადევნებსო, გაქვავდება ან იხრება და თითებით მეაუნას ფოთლებში და ქვიშაში იქექება. მაგრამ როცა, მისი ფიქრით, ქალბატონი ლეპიკი თვალს ეფარება, აღარაფერს აღარ დაეძებს, თვალის ასახვევად თავაღერილი ხეტიალს განაგრძობს.

სად არის, ეშმაკსაც წაუღია ის ვერცხლის ფული? მაღლა ხეზე, ჩიტის რომელიმე დაცარიელებულ ბუდეში ხომ არ არის?

ზოგჯერ დაფანტული ადამიანები, რომლებიც არაფერს დაეძებენ, ოქროს ფულსაც კი პოულობენ, ხდება ხოლმე, მაგრამ წითურმა მიწაზეც რომ იხოხიალოს, მუხლებიც რომ გადაიტყავოს, ქინძისთავი რა არის, ქინძისთავს ვერ იპოვის.

ბოლოს უაზრო ხეტიალით დაღლილი წითური ხელს ჩაიქნევს და გადაწყვეტს, შინ შევალ და დედამ რაც უნდა, ის მიქნასო. იქნება დაწყნარდეს, ვერცხლის ფული რახან ვერ მოინახა და იმ ვერცხლის ფულზე ხელიც ვერ აიღოსო.

ქალბატონი ლეპიკი არა ჩანს. წითური გაუბედავად ეძახის:

— დედიკო, ა! დედიკო!

დედა პასუხს არ იძლევა. დედა ოთახიდან გასულა და თავისი მაგიდის უჯრა გამოღებული დაუტოვებია. შალის ძაფის გორგლებში, ნემსებში, თეთრი, წითელი და შავი ძაფის კოჭებში წითური ვერცხლის რამდენიმე ფულს დაინახავს.

ფულები თითქოს აქ დაბერებულან. აქ თვლემენ და ათასში ერთხელ მხოლოდ მაშინ იღვიძებენ, როცა ერთი კუთხიდან მეორეში გადააქვთ. აღარავის სჭირდება, აღარავინ ითვლის.

სამი თუ ოთხი ცალია ან იქნებ რვა ცალიც კი არის. მათი დათვლა ოღლი არ იქნება. უჯრა უნდა გადმოაპირქვავოს, ყველა გორგალი გადასინჯოს. თან, ვინ იცის, რამდენი იყო?

მისთვის დამახასიათებელი სიმარჯვით, რომელსაც მხოლოდ მისი სიცოცხლის გადამწყვეტ წუთებში თუ ულალატნია, წითური გაბედულად გადაეწოდება, ვერცხლის ფულს ხელს დასტაცებს და გაიქცევა.

რაკი ეშინია, არ წამასწრონო, წითურს აღარც საყოყმანოდ სცალია და აღარც იმის დრო აქვს, სინდისის ქენჯნა იგრძნოს, გამოღებულ უჯრას დაუბრუნდეს და თავი საფრთხეში ჩაიგდოს.

იგი ისარივით მიჰქრის, შეუჩერებლად ხეივანში შეიჭრება. ადგილს ირჩევს, მოპარულ ფულს „კარგავს“, ფეხსაცმლის ქუსლით მიწაში ფლავს; ბალახში, მას რომ ცხვირში უღიტინებს, პირქვე წვება; ისე ხოხავს, როგორც მას ეპრიანება და ხოხვით დაფლული ფულის ირგვლივ ისე უსწორმასწოროდ

ტრიალებს, როგორც თამაშში ვინმე თვალებახვეული დამალულ საგანს უვლის ხოლმე გარშემო, და თამაშის გულუბრყვილო ხელმძღვანელი ამ მუხლებზე მოუსვენრად ხელებს იტყაპუნებს და გაჰყვირის:

— ფრთხილად, ცეცხლი გეკიდება, ცეცხლი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

III

წითური

დედა, დედა, ვიპოვე.

ქალბატონი ლეპიკი

მეც ვიპოვე.

წითური

როგორ? აი, ფული.

ქალბატონი ლეპიკი

აი, ფული.

წითური

რაო! აბა მაჩვენე!

ქალბატონი ლეპიკი

შენ მაჩვენე!

წითური

(თავის ფულს უჩვენებს. ქალბატონი ლეპიკიც თავისას უჩვენებს. წითური ორივეს ხელში იღებს, ერთმანეთს უდარებს და ამასობაში თავის სათქმელს ალაგებს). უცნაურია, სად იპოვე, დედა? ჩემი ამ ხეივანში ვიპოვე, მსხლის ძირში. ზედ ალბათ ოცჯერ მაინც გადავიარე, სანამ დავინახავდი. ოდნავ ბრწყინავდა. ჯერ ვიფიქრე, ქალალდის ნაგლეჯი ან თეთრი ია არისმეთქი. ვერ ვბედავდი დავწვდომოდი — ეტყობა, ჯიბიდან იმ დღეს ამომივარდა, აქ რომ გადარეულები დავრბოდით და მე ბალახში ვგორაობდი. დაიხარე, დედა, აბა დააკვირდი იმ ადგილს, სადაც ეს ეშმაკის კერძი იყო მოკალათებული. ალბათ თავი უნდა მოსწონდეს, ასე რომ გამაწვალა.

ქალბატონი ლეპიკი

ვერაფერს გეტყვი. მე ფული შენს მეორე პალტოში ვნახე. რამდენჯერ გითხარი, მაგრამ მაინც გავიწყდება და როცა ტანისამოსს იცვლი, ყველაფერი ჯიბეებში გრჩება, მინდოდა შენთვის ჭკუა მესწავლებინა. გაიძულე მოგეძებნა, რომ დაგხსომებოდა. აი, ხომ ხედავ, ვინც ეძიებს, პოულობს კიდეც. ახლა ერთის ნაცვლად ორი ვერცხლის ფული გაქვს, გამდიდრდი კაცი. ყველაფერი კარგია, რაც კარგად თავდება, მაგრამ იცოდე, ბედნიერება ფულში არ არის.

წითური

მაშ, ახლა შემიძლია სათამაშოდ წავიდე, დედა?

ქალბატონი ლეპიკი

რა თქმა უნდა. წადი, გაერთე, მუდამ ახალგაზრდა კი არ იქნები. ორივე ფული თან წაიღე.

წითური

ო! დედიკო! ერთიც მეყოფა და ისიც კი მინდა გთხოვო, რომ ესეც შენ შემინახო მანამდე, სანამ დამჭირდება. უარს ხომ არ მეტყვი?

ᲭᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲚᲔᲞᲘᲙᲘ

არა, კარგი ანგარიში კარგი მეგობრობის საწინდარია. ფულები შენ გქონდეს. ორივე შენია, ისიც ნათლიამ რომ მოგცა და ისიც, მსოფლის ძირში რომ იპოვე, თუკი იმ ფულის პატრონმა თავი არ დაგვიკრა. ვინ უნდა იყოს? ვერ მივმხვდარვარ, შენ ვინა გგონია?

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲬᲘᲗᲣᲠᲘ

სწორე გითხრა, არ ვიცი, ანდა მაგაზე მეტი საფიქრალი ღმერთმა ნუ მომცა! მაგაზე ხვალ ვიფიქრებ. ნახვამდის, დედა, მადლობელი ვარ.

ᲭᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲚᲔᲞᲘᲙᲘ

მოიცა! მებაღისა რომ იყოს?

ᲬᲘᲗᲣᲠᲘ

გინდა ახლავე მივიდე და ვკითხო?

ᲭᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲚᲔᲞᲘᲙᲘ

აქ მოდი, ჩემო გვრიტო, დამეხმარე და ერთად გავარკვიოთ. მამაშენი იმ წლოვანებისაა, რომ დაუდევრობას ვერ დასწამებ. შენი დაიკო თავის დანაზოგს ყულაბაში ყრის, შენი ძმა ფულის დაკარგვას ვერ ასწრებს, ისე უდნება.

იქნებ სულაც მე დამეკარგა.

ᲬᲘᲗᲣᲠᲘ

დედიკო, მაგას ვერ დავიჯერებ; შენს საქმეებს ისე გულმოდგინედ უძღვები.

ᲭᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲚᲔᲞᲘᲙᲘ

ზოგჯერ დიდებიც პატარებივით ცდებიან. ერთი სიტყვით, ვნახოთ, შევამოწმებ. ეს მხოლოდ მე მეხება. ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ. თავს ნულარ შეიწუხებ. წადი, ითამაშე, ჩემო ბიჭო, ოღონდ თვალს ნუ მიეფარები, სანამ ჩემი სამუშაო მაგიდის უჯრებს დავხედავ.

(უკვე გასაქცევად გამზადებული წითური შემოტრიალდება, მიმავალ დედას ერთხანს თვალს ადევნებს. მერე უეცრად დაეწევა, წინ დაუდგება და ხმის ამოუღებლად ლოყას მიუშვერს.).

ᲭᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲚᲔᲞᲘᲙᲘ

(მუქარით მარჯვენა ხელს შემართავს). კი ვიცოდი, მაგრამ ასეთი ცრუ თუ იყავი, არ მეგონა. ცრუზე უფრო ცრუ ხარ. მიდი, ასე განაგრძე! ჯერ კვერცხს იპარავენ, მერე აქლემს და მერე დედასაც კლავენ.

(ისმის პირველი სილის გარტყმის ხმა).

ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲨᲔᲮᲔᲓᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ

ბატონი ლეპიკი, უფროსი ძმა ფელიქსი, და ერნესტინი და წითური კარგა ხანია უსხედან ბუხარს, რომელშიც ფესვებიანი კუნძი იწვის, და ოთხი სკამი წინა ფეხებით ირწევა. გაჩალებულია კამათი და წითური, რაკი ჭალბატონი ლეპიკი იქ არ იმყოფება, საკუთარ შეხედულებებს ავითარებს.

— ჩემთვის, — ამბობს იგი — ნათესაური კავშირი სულაც არაფერს არ ნიშნავს, მაგალითად, მამაჩემო, შენც იცი, როგორ მიყვარხარ. მაგრამ მამაჩემი რომ ხარ, იმიტომ კი არა, იმიტომ მიყვარხარ რომ ჩემი მეგობარი

ხარ, მამაჩემი ხომ ხარ ეს თავისთავად რა დამსახურებაა, მაგრამ შენს მეგობრობას ისე ვუყურებ, როგორც დიდ წყალობას, რომლითაც, თუმცა ვალდებული სულაც არა ხარ, მაგრამ დიდსულოვნად მაჯილდოვებ.

— აჰ! — ამბობს ბატონი ლეპიკი.

— მე გიყვარვარ? მე გიყვარვარ? — ეკითხებიან უფროსი ძმა ფელიქსი და ერნესტინი.

— აქაც ისევეა, — ამბობს წითური. — ჩემს დად და ჩემს ძმად შემთხვევამ გაგხადათ. ამის გამო თქვენი მადლიერი რატომ უნდა ვიყო? ბრალი ვის მიუძღვის, რომ ჩვენ ყველანი ლეპიკები ვართ? თქვენ ამას ხელს ვერ შეუშლიდით. უაზრობა იქნებოდა თქვენდამი უნებური ნათესაობის გამო მადლიერებას ვგრძნობდე. მადლობას მხოლოდ იმიტომ გეტყვი, ჩემო ძმაო, რომ მშფარველობ, და შენ კი, ჩემო დაო, იმიტომ, რომ ჩემზე ზრუნავ.

— დიდი მადლობა მომიხსენებია, — ეუბნება უფროსი ძმა ფელიქსი.

— ასეთი უმსგავსო აზრები ნეტავ თავში როგორ მოგდის? — ეკითხება ერნესტინი.

— რასაც ვამბობ, — დასძენს წითური, — ფართოდ ვანზოგადებ, პიროვნებებს არ ვეხები, მაგრამ დედაჩემიც რომ აქ იყოს, მისი თანდასწრებითაც ამასვე გავიმეორებდი.

— ამას ორჯერ როგორ გაიმეორებდი! — ეუბნება უფროსი ძმა ფელიქსი.

— ჩემს სიტყვებში ცუდს რას ხედავ? — ეკითხება წითური. — ოღონდ იცოდეთ, ჩემი აზრები არ დაამახინჯოთ! უგულო სულაც არა ვარ და თქვენ რომ გგონიათ, იმაზე უფრო მიყვარხართ, მაგრამ ეს სიყვარული, იმის მაგივრად, რომ ბანალური იყოს, ინსტინქტით და ჩვეულებით ნაკარნახევი, სასურველი, გონივრული და ლოგიკურია. დიახ, ლოგიკური, აი, ეს ის ტერმინია, რომელსაც ვეძებდი.

— მაგ თვისებას თავიდან როდის მოიშორებ და იმ სიტყვებს ალარ იხმარ, რომელთა მნიშვნელობაც არ გაგეგება, — ამბობს ბატონი ლეპიკი, რომელიც აქამდე წამოწოლილი იყო და ახლა წამოდგა, — სურვილი როდის ალარ გექნება, რომ შენი წლოვანების კაცი სხვებს ჭკუას ასწავლიდე? რომ გამებედა და განსვენებული პაპაშენის თანდასწრებით იმ სიძულელის მეოთხედი მაინც მეთქვა, რომელსაც შენ აქ აფრქვევ, ჭიტლაყით ან ალიყურით შემაგნებინებდა, რომ მე მხოლოდ და მხოლოდ მისი შვილი ვარ.

— ხომ უნდა ვისაუბროთ, დრო რომ გავიდეს, — ამბობს უკვე შეშფოთებული წითური.

— გაჩუმება სჯობს, — ამბობს ბატონი ლეპიკი, რომელსაც სანთელი უკავია.

იგი ოთახიდან გადის, უფროსი ძმა ფელიქსიც მას გაჰყვება.

— მომავალ ბედნიერ შეხვედრამდე! — ემშვიდობება იგი წითურს.

შემდეგ წამოდგება ერნესტინი და დარბაისლურად ეუბნება:

— ღამე მშვიდობისა, ძვირფასო მეგობარო!

თავგზადაბნეული წითური მარტო რჩება.

გუშინ არ იყო, ბატონი ლეპიკი რომ ურჩევდა, ჯერ დაფიქრდი და მერე თქვიო:

— „ისინი ამბობენ"! ვინ არიან „ისინი?" „ისინი" არ არსებობენ. მთელი

ქვეყანა ერთი ადამიანი არ არის. სხვის ნათქვამს მეტისმეტად ხშირად იმეორებ. ეცადე დამოუკიდებლად ფიქრს მიეჩვიო. შენი საკუთარი შეხედულებები გამოთქვი, დასაწყისისათვის ასეთი საკუთარი შეხედულება მხოლოდ ერთ საგანზეც რომ გქონდეს.

რაკი მის პირველსავე დამოუკიდებელ მსჯელობას ასე ცუდად შეხვდნენ, წითური ბუხარში ცეცხლს აქრობს, სკამებს გრძელ [illegible] მიდგამს, წელში მოიხრება, საათს ასე დაემშვიდობება და გაეშურება თავისი ოთახისაკენ, სადაც სარდაფის კიბე გამოდის და ამიტომ სარდაფის ოთახს ეძახიან. ეს გრილი ოთახია და ზაფხულობით აქ ყოფნა სასიამოვნოა. ნანადირევიც მთელი კვირის განმავლობაში კარგად ინახება. უკანასკნელად მოკლულ კურდღელს ცხვირიდან სისხლი თეფშზე აქა სდის. აქ დგას კალათები სავსე ხორბლით, რომელსაც ქათმებს აჭმევენ. და წითურს იდაყვამდე გაშიშვლებული მკლავით კალათში ხორბლის რევა არასოდეს ბეზრდება.

ჩვეულებრივ წითურს, აქ საკიდზე შინაურების ტანისამოსი რომ ჰკიდია, ისე აშინებს ხოლმე, თითქოს თვითმკვლელები იყვნენ და სანამ თავს მოიკლავდნენ, თავიანთი ფეხსაცმელი იატაკზე, საკიდრის წინ წესისა და რიგის მიხედვით წინასწარ თვითონვე დაუწყვიათო.

მაგრამ ამ საღამოს წითურს არ ეშინია. ცალი თვალით საწოლქვეშ არ იყურება, არ აშინებს არც მთვარე, არც ჩრდილები, არც ჭა ბაღში, გათხრილი სწორედ მის ფანჯრებთან თითქოს იმიტომ, რომ მან შიგ თავის დახრჩობა მოინდომოს.

ალბათ კიდეც შეეშინდებოდა, შიშზე რომ ეფიქრა, მაგრამ იგი შიშზე აღარ ფიქრობს. ფეხსაცმელდახდილს ისიც ავიწყდება, ქვის წითელ ფილებზე მხოლოდ ჭუსლებით გაიაროს, რომ ფეხზე არ შესცივდეს.

და უკვე როცა საწოლში წევს და კედელზე ნესტით გამობუშტულ თაბაშირს შეჰყურებს, იგი კვლავ აგრძელებს და კვლავ ავითარებს საკუთარ აზრებს, რომლებსაც ასე იმიტომ უწოდებენ, რომ კაცს საკუთრად უნდა ჰქონდეს და სხვას არ უნდა უმხელდეს.

ᲥᲐᲠᲘᲨᲮᲐᲚᲘ ᲤᲝᲗᲚᲔᲑᲖᲘ

კარგა ხანია წითური დაფიქრებული თვალს ადევნებს ფოთოლს ტანმაღალი ალვის კენწეროში.

ოცნებობს და მხოლოდ იმას ელოდება, ფოთოლი როდის შეინძრევა.

ფოთოლი თითქოს ხეს გამოსცალკევებია, თავისთვისაა და ხისგან დამოუკიდებელი ცხოვრებით ცხოვრობს.

ყოველდღე, მზის პირველი სხივის გამონათებიდან უკანასკნელი სხივის ჩაქრობამდე, ოქროთი იფარება.

შუადღიდან მკვდარივით უმოძრაო, უფრო ლაქაა, ვიდრე ფოთოლი და წითურს უკვე მოთმინება ეკარგება ხოლმე, როცა ფოთოლს ბოლოს მოეპრიანება და სიცოცხლის ნიშანს იძლევა.

მაშინვე მის ქვემოთ, მეზობლად რომ ფოთოლია, იმავე ნიშანს იძლევა. მერე სხვა ფოთლებიც იმასვე იმეორებენ და თავის მეზობლებს მასვე ატყობინებენ, ხოლო ისინიც თავის მხრივ სწრაფად სხვებს იმასვე გადასცემენ.

ეს ნიშანი კი განგაშის ნიშანია, რადგან ცის კიდურზე შავი ანაფორის კალთა გამოჩნდება.

ალვა უკვე თრთის! ცდილობს შეირხეს და მოიშოროს მხრებზე დაწოლილი ჰაერის ტვირთი, რომელიც აწუხებს.

მისი შეშფოთება გადაედება წიფელს, მუხას, წაბლს და [illegible]ში ერთმანეთს აფრთხილებს, ერთმანეთს ანიშნებს, რომ [illegible] ანაფორის კალთა თანდათან იშლება, წინ მოიწევს და მისი ქობა მკაფიოდ იკვეთება.

თავიდან ხეები წვრილ ტოტებს ააქანავებენ და ჩიტებს აიძულებენ გაიტრუნონ — შაშვს, რომელსაც ბგერა ალალბედზე ისე გადმოუვარდა, როგორც უმი მუხუდო; ჭრელყელიან გვრიტს, რომელსაც წითური ახლახან შეჰყურებდა და რომლის გალობაც მთელ ბაღს ეფინებოდა; და ბოლოს გრძელკუდიან აუტანელ კაჭკაჭს.

შემდეგ ხეები თავიანთ უზარმაზარ საცეცებს მტრის დასაფრთხობად აამოძრავებენ.

ჩაშავებული ანაფორა კი შეტევას ნელა განაგრძობს.

თანდათან მთელ ცას გადაემხობა, აძევებს ლაჟვარდს, უცობს ყველა ხვრელს, საიდანაც ჰაერმა შეიძლება შემოაღწიოს, და წითურს სული უნდა შეუხუთოს. ზოგჯერ კაცს ეგონება, საკუთარი სიმძიმით იდრიკება და საცაა სოფელს დაეცემა; მაგრამ სამრეკლოს წვეტთან ჩერდება, რადგან, ეტყობა, ეშინია, ზედ არ ჩამოეხიოს.

აი, უკვე მეტისმეტად ახლოა და სხვა მიზეზი რაღა უნდა იყოს, რომ დიდი ჩოჩქოლი შეიქნეს და დიდი წიოკი ატყდეს.

ერთმანეთში ირევა უზარმაზარი ჩაქუფრული ხეები და გაფოფრილი ტოტების წყვდიადში წითურს მრგვალთვალებიანი და თეთრნისკარტებიანი ბარტყებით სავსე ბუდეები ეჩვენება. ხეების კენწეროები საღლაც ქვევით იძირებიან და მერე ისევ ზევით ამოდიან, როგორც უეცრად გამოღვიძებული ადამიანების თავები. ფოთლები გუნდ-გუნდად მიფრინავენ, იმწამსვე, დამფრთხალნი და მოთვინიერებულნი, უკან ბრუნდებიან და ცდილობენ ისევ ტოტებს ჩაებღაუჭონ. აკაციის წვრილი ფოთლები ოხრავენ; გატყავებული არყის ფოთლები მოსთქვამენ; წაბლის ფოთლები უსტვენენ და კედელსაყოლილი უსურვაზის ლერწები ერთმანეთს ეხლებიან და ერთმანეთს მისდევენ.

უფრო ქვემოთ ჯმუხი ვაშლის ხეები თავის ვაშლებს არყევენ და ყრუ ბრაგვანით მიწაზე ყრიან.

კიდევ უფრო ქვემოთ წითელი მოცხარი სისხლის, ხოლო შავი მოცხარი მელნის წვეთებად იღვრება.

ხოლო კიდევ უფრო ქვემოთ მთვრალი კომბოსტოები ვირივით ყურებს აპარტყუნებენ და სათესლე ხახვები დაბერილ თავებს ერთმანეთს უხათქუნებენ. ასე რატომ იქცევიან? რა დაემართათ? ამით რის თქმა სურთ? არც ქუხს, არც ელავს, არც სეტყვა უშენს, არც წვიმის წვეთი ეცემა. მაგრამ ზევით ქარიშხლის წყვდიადია, შუადღით მდუმარე ღამეა, ყველას გონებას ეს უკარგავს და წითურსაც ეს აშინებს.

ახლა ანაფორა მთლად გაშლილა მიმალულ მზის ქვეშ.

მზე სიარულს განაგრძობს, ეს წითურმა იცის; მზე მიცურავს და, მსრბოლავი ღრუბლებით შობილი, აქ კვლავ გაივლის: ის მზეს კვლავ დაინახავს.

მაგრამ ახლა ცარგვალზე გაწოლილი იგი, წითურს თავზე მარწუხებს უჭერს, წითური თვალებს ხუჭავს და იგი სახვევით ქუთუთოებზე მტკივნეულად აწვება.

წითური ყურებში თითებს იცობს. მაგრამ ჭექა-ქუხილი ყურებში გრუხუნით და გრიალით იჭრება.

ქარიშხალი მის გულს ისე იტაცებს, როგორც ქუჩაში დაგდებულ ქაღალდის ნაგლეჯს.

ქარიშხალი მას ჰმუჭნის, თელავს, აფარფატებს და ხელებს უჭერს. და მალე წითურს გულის ნაცვლად მხოლოდ გულის ნამცეცილა რჩება.

ამბოხება

I

ქალბატონი ლეპიკი

ჩემო პაწაწინა წითურო, ჩემო ძვირფასო, გემუდარები, სიკეთე მიყავ, წისქვილში ერთი გირვანქა კარაქი იყიდე. სულ სირბილით იარე. მოგიცდით, შენს დაბრუნებამდე არ ვისადილებთ.

წითური

არა, დედა.

ქალბატონი ლეპიკი

რატომ მეუბნები: არა, დედაო? ხომ გითხარი, მოგიცდით-მეთქი.

წითური

არა, დედა, მე წისქვილში არ წავალ.

ქალბატონი ლეპიკი

როგორ? წისქვილში არ წახვალ? რას ამბობ? ვინ გეკითხება? ბოდავ თუ რა არის?

წითური

არა, დედა.

ქალბატონი ლეპიკი

ყური დამიგდე, წითურო, არაფერი აღარ მესმის. გიბრძანებ, წისქვილში კარაქზე ახლავე წახვიდე.

წითური

რატომ მიმეორებ. არ წავალ.

ქალბატონი ლეპიკი

მაშ, მე ვბოდავ? ეს რა ხდება? შენს სიცოცხლეში ეს პირველად არის, რომ არ მიგონებ.

წითური

დიახ, დედა.

ქალბატონი ლეპიკი

დედაშენს არ გინდა გაუგონო?

წითური

დიახ, დედაჩემს, დედა.

ქალბატონი ლეპიკი

მე ვიცი, რომ ბოლოს მაინც გამიგონებ, ხომ წახვალ?

წითური

არა, დედა.

ქალბატონი ლეპიკი

ბოლოს და ბოლოს ალარ გაჩუმდები და ალარ წახვალ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითური

გაჩუმებით გავჩუმდები, მაგრამ წასვლით კი არ წავალ.

ქალბატონი ლეპიკი

არ გინდა ეს თუფში აიღო და გაიქცე?

II

წითური ხმას არ იღებს და ადგილიდან ფეხს არ იცვლის.

— ეს ამბოხებაა! — კიბესთან გამოვარდება, ხელებს მაღლა იშვერს და ისე იძახის ქალბატონი ლეპიკი.

მართლაც, ეს პირველად არის, რომ წითური დედას „არას" ეუბნება. მისთვის რაიმეში რომ ხელი შეეშალა, კიდევ ხო! ვთქვათ, თამაში რომ შეეწყვეტინებინა! მიწაზე იჯდა თავაწეული და თვალებდახუჭული, რომ ქუთუთოებს მზე დასდგომოდა და ხელის ცერებს ათამაშებდა. ახლა იგი დედას თამამად, თავაწეული შეჰყურებს, ქალბატონ ლეპიკს ალარაფერი ესმის. ყველას ისე ეძახის, თითქოს საშველად უხმოდეს.

— ერნესტინ, ფელიქს, ახალი ამბავი! აქ მოდით და მამასაც დაუძახეთ. ალათიც მოვიდეს. აქ არავინ ზედმეტი არ იქნება.

და ქუჩაში იშვიათად რომ გაივლიან, იმათაც შეუძლიათ შეჩერდნენ და უყურონ.

წითური შუა ეზოში დგას, გოცებული იმით, რომ განსაცდელს არ შეუშინდა და რომ ქალბატონ ლეპიკს მისი ცემა ალარ აგონდება. იმდენად მნიშვნელოვანი წამია, რომ დედა ვერც ერთ თავის ნაცად ხერხს ვერ იხსენებს. უარს ამბობს, რომ ხელი მუქარით მოიქნიოს და თვალებიდან ცეცხლი ისე დააკვესოს, როგორც გავარვარებულმა ფოლადის წვეტმა. და მაინც, თავშეკავების მიუხედავად, ბოლოს და ბოლოს გულში დატრიალებული ქარიშხალი ქალბატონ ლეპიკის ბაგეებიდან მაინც გადმოინთხევა.

— ჩემო მეგობრებო, — ამბობს იგი, — წითურს იოლზე იოლი დავალება მივეცი, ზრდილობიანად ვთხოვე, რომ გაისეირნებ, წისქვილამდე მიდი-მეთქი. გამოიცანით აბა, რას მიპასუხებდა; თვითონ მოგახსენოთ, თორემ მე რომ გითხრათ, იფიქრებთ, ნამდვილად იგონებსო.

ყველა ადვილად ხვდება, წითური რას უპასუხებდა. მაგრამ პასუხიც ალარ არის საჭირო, თუ დაუკვირდებით, წითური როგორ დგას.

გულჩვილი ერნესტინი ძმას უახლოვდება და ყურში ჩურჩულით ეუბნება:

— ფრთხილად იყავი, შავ დღეს დაგაყენებს, დაემორჩილე, დაუჯერე შენს დას, რომელსაც ასე უყვარხარ.

უფროს ძმას ფელიქსს ეჩვენება, რომ თეატრში სპექტაკლს ესწრება. თავის ადგილს ქვეყანაზე არავის დაუთმობს. იმაზე კი არ უნდა დაფიქრდეს, წითურმა ახლა თავი რომ დაიძვრინოს, აქამდე რასაც წითურს ავალებდნენ, ამიერიდან ზოგი უთუოდ უფროს ძმას დაევალება; ის კი არადა, ფელიქსი წითურს უფრო აქეზებს კიდეც. გუშინ არ იყო, აბუჩად რომ იგდებდა და

უქნარას ეძახდა. დღეს კი თანასწორივით უყურებს და პატივს სცემს, ხტუნაობს და გვარიანად ერთობა.

— რაკი ქვეყნის აღსასრული დამდგარა, — ამბობს მთლად ჩანადგურებული ქალბატონი ლეპიკი, — მე ამ საქმეში ვეღარ ჩავერევი. განზე გავდგები. თქვენ შეაგნებინეთ და გამძვინვარებული მხეცი ახლა თქვენ [illegible] ინერეთ. მამას და შვილებს გიტოვებთ და ახლა თქვენ მიხედეთ [illegible]

— მამა, — ჩავარდნილი ხმით ეუბნება სულშეხუთული წითური, — თუ შენ მეტყვი, წისქვილში წადი და გირვანქა კარაქი მოიტანეო, მაშინ წავალ, მხოლოდ შენთვის წავალ, დედაჩემს კი უარზე ვარ და არ გავეგზავნები.

ეტყობა, ბატონი ლეპიკი მინიჭებული უპირატესობით უფრო განაწყენებელია, ვიდრე ნასიამოვნები. მას ეუხერხულება თავისი ავტორიტეტი გამოიყენოს მხოლოდ იმიტომ, რომ წვრილფეხობა აქეზებს და თანაც მაშინ, როცა საქმე რაღაც გირვანქა კარაქს ეხება.

გუნებაწამხდარი ბალახში რამდენიმე ნაბიჯს გაივლის, მხრებს აიჩეჩავს, შემობრუნდება და ოთახში შედის.

ჯერჯერობით საქმე ამით თავდება.

საბოლოო სიტყვა

საღამოს, როცა ქალბატონი ლეპიკი შეუძლოდ გახდა, ლოგინში ჩაწვა და ვეღარ გამოვიდა სადილზე, სადაც ყველანი ჩვეულებისა და ამავე დროს უხერხულობის გამო ხმას ვერ იღებენ, ბატონი ლეპიკი თავის ხელსახოცს ეცავს, მაგიდაზე აგდებს და ამბობს:

— ძველ გზაზე სასეირნოდ არავის არ უნდა გამომყვეს?

წითური ხვდება, რომ ბატონი ლეპიკი ამ შემთხვევაში მიპატიჟების ამ ხერხს ირჩევს, ფეხზე დგება, როგორც ყოველთვის, ახლაც სკამს კედელთან მიდგამს და მამას მორჩილებით მიჰყვება.

თავიდან არც ერთი ხმას არ იღებს, აუცილებელი კითხვა ჯერ წინაა. წითური ცდილობს ეს კითხვა გამოიცნოს და რიგიანი პასუხი მოიფიქროს. იგი მეტისმეტად შეძრწუნებულია და არაფერზე გული არ სწყდება. დღეს ისეთი მღელვარება შეხვდა, რომ საშიში აღარაფერია. და ბატონი ლეპიკის ხმა, რომელმაც ბოლოს ლაპარაკი გადაწყვიტა, წითურს ამშვიდებს.

ბატონი ლეპიკი

მაინც რას ელოდები, იმას რა ახსნას მოუძებნი, რაც ბოლოს ჩაიდინე და დედაშენს გული ასე ატკინე?

წითური

ჩემო ძვირფასო მამა, დიდხანს ვიყოყმანე, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა გათავდეს. დიახ, უნდა ვალიარო: მე დედაჩემი აღარ მიყვარს.

ბატონი ლეპიკი

აჰ! რა მიზეზია? მაინც როდის აქეთია?

წითური

ყველაფრის გამო, მას აქეთია, რაც მას ვიცნობ.

ბატონი ლეპიკი

აჰ! სამწუხაროა, ჩემო ბიჭო! ის მაინც მითხარი, რა დაგიშავა.

წითური

ამას ასე უცებ ვერ იტყვის კაცი. შენ? განა შენ ვერაფერს ამჩნევ?

ბატონი ლეპიკი

დიახ, ვამჩნევ, რომ ხშირად იბუტები.

წითური

ვერ ვიტან, როცა ჩემზე ამბობენ, იბუტებაო. რა თქმა უნდა, ~~წითურს~~ არ შეიძლება გული სერიოზულად მოუვიდეს. მხოლოდ იბუტება. თავი დაანებეთ, რომ მობეზრდება, დამშვიდდება, გამხიარულდება და ხალხთანაც გამოვა. მთავარია, ყურადღება არ მიაქციოთ, სალაპარაკოდ არცა ღირს.

მაპატიე, მამაჩემო, მაგრამ სალაპარაკოდ მხოლოდ მშობლებისათვის და გარეშე ხალხისათვის არა ღირს. ზოგჯერ მართლაც მხოლოდ მოსაჩვენებლად ვიბუტები ხოლმე, მაგრამ ზოგჯერ, დამიჯერე, გული ნამდვილად მომდის და გულისტკენა აღარ მავიწყდება.

ბატონი ლეპიკი

არა, არა-მეთქი, უნდა დაივიწყო, თუკი გული მოგსვლია.

წითური

არა, არ დამავიწყდება. შენ ყველაფერი არ იცი, მუდამ შინ არა ხარ.

ბატონი ლეპიკი

ხო, ხშირად მიწევს აქეთ-იქით სიარული.

წითური

(კმაყოფილებით)

საქმე საქმეა, მამაჩემო, მაგრამ შენ თუ შენი საზრუნავითა ხარ დაკავებული, დედაჩემი, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ ძაღლივით მცემოს, შენზე ამას ვერ ვიტყვი. რა თქმა უნდა, ენატანია რომ ვიყო, ალბათ გამომექომაგებოდი, ნელ-ნელა ყველაფერს მოგიყვები და მიხვდები, ვაჭარბებ თუ არა და კარგი მეხსიერება მაქვს თუ არა. მაგრამ, მამაჩემო, მანამდე რჩევა მინდა გკითხო.

დედაჩემს მინდა გავეცალო.

შენი ფიქრით, ყველაზე ადვილად ეს როგორ შეიძლება მოგვარდეს?

ბატონი ლეპიკი

დედაშენთან ხომ მხოლოდ ორ თვესა ხარ, არდადეგებზე.

წითური

ნება რომ დაგერთო და არდადეგები პანსიონში გამეტარებინა, მეტი წარმატებით ვისწავლდი.

ბატონი ლეპიკი

მხოლოდ ღარიბ მოწაფეებს აქვთ ნება დართული, პანსიონში არდადეგები რომ გაატარონ, ქვეყანა ჩემზე იფიქრებს, შვილი მიუტოვებიაო. მაინც რა არის, მხოლოდ შენს თავზე რატომ ფიქრობ? მე რაც შემეხება, აქ რომ არ იქნები, თვალში ძალიან დამაკლდები.

წითური

ჩემს სანახავად ჩამოხვიდოდი ხოლმე, მამა.

ბატონი ლეპიკი

სიამოვნებისათვის მგზავრობა ძალიან ძვირი ჯდება, წითურო.

წითური

ასეთ მგზავრობას შენს საქმიან მგზავრობას დაუკავშირებდი. გზიდან მხოლოდ ოდნავ გადაუხვევდი.

ბატონი ლეპიკი

არა. შენც ისევე გექცეოდი, როგორც შენს ძმასა და [illegible] ლობდი. არავინ გამომერჩია. ასე მოვიქცევი ავლავაც.

ᲒᲘᲑᲚᲘᲡᲘᲡᲔᲥᲐ

წითური

თუკი ასეა, სწავლებას მივატოვებ. სკოლიდან იმ მიზეზით გამომიყვანე, ვითომ ხარჯს ჩემზე ტყუილად სწევ და რაიმე ხელობას გავყვები.

ბატონი ლეპიკი

მაინც რომელს? ვინდა შეგირდად მეწაღეს მიგაბარო?

წითური

მეწაღეს ან სხვას, პურის ფულსაც ვიშოვი და თავისუფალიც ვიქნები.

ბატონი ლეპიკი

გვიან არის, ჩემო საწყალო წითურო. შვილის სწავლა-განათლებას განა ამდენი იმიტომ შევწირე, რომ ბოლოს ლანჩაზე ლურსმანი დაეჭედებინა?

წითური

გაგიმხილო, მამა, თავის მოკვლას რომ ვაპირებდი?

ბატონი ლეპიკი

მეტისმეტია, წითურო!

წითური

გეფიცები, გუშინვე მინდოდა თავი ჩამომეხრჩო.

ბატონი ლეპიკი

მაგრამ ახლა ხომ აი, აქა ხარ. მაშ, თავის ჩამოხრჩობა ძალიან არა გდომებია. მაგრამ შენს ჩაშლილ თვითმკვლელობას რომ იხსენებ, თავი დიდ ვინმედ მოგაქვს, თითქოს სიკვდილს მხოლოდ შენი ცთუნება მოენდომებინოს. წითურო, იცოდე, ეგოიზმი დაგღუპავს, მხოლოდ შენს თავზე ფიქრობ და ასე გგონია, რომ ამ ქვეყანაზე მხოლოდ შენ იტანჯები.

წითური

მამა, ჩემი ძმა ბედნიერია, ჩემი დაც ბედნიერია და დედაჩემს უდიდეს სიამოვნებას მხოლოდ ჩემი ტანჯვა ანიჭებს, არა, მამა, ასეა, ასე, თუგინდ თავს მოვიჭრი. შენ რაც შეგეხება, შენ ოჯახის თავი ხარ და ყველას, დედაჩემსაც კი, შენი შიში აქვს, დედაჩემი შენს ბედნიერებას ვერ დაემუქრება და ეს იმის დასტურია, რომ ამ ქვეყანაზე ბედნიერები მაინც არიან.

ბატონი ლეპიკი

ეჰ, პატარა წინდახედულო ჯიუტო ბიჭო, დაუფიქრებლად ლაპარაკობ, როგორ მიხვდები, გულის სიღრმეში ადამიანი რასა ფიქრობს? განა ყველაფერში ასე კარგად ერკვევი?

წითური

ჩემს საქმეში კარგად ვერკვევი, მამა, ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ, გავერკვე.

ბატონი ლეპიკი

თუ ასეა წითურო, ჩემო მეგობარო, ბედნიერებაზე უარი თქვი, იცოდე, ახლა რომ ხარ, ისეთი ბედნიერი არასოდეს აღარ იქნები, არასოდეს, არასოდეს-მეთქი!

წითური

კარგი იმედია!

ბატონი ლეპიკი

შენს ბედს შეურიგდი, შენს სულში ჩაიკეტე მანამდე, სანამ ხელოვნური-ვანი და შენი თავის ბატონ-პატრონი არ იქნები. მერე, თავისუფლებას-ერთ-ერთ მოიპოვებ, ხასიათსა და განწყობილებას თუ ვერ შეიცვლი, ჩვენ-ზედაც-ერ-ერ გიძლია უარი თქვა და ჩვენს ოჯახზედაც. მანამდე კი ეცადე, ყველაფერი გადალახო, შენს გრძნობებს მოერიო და იმათ თვალ-ყური მიადევნო, შენთან, შენ გვერდით რომ ცხოვრობენ. ეს უთუოდ გაგართობს და გარწმუნებ, რომ ამაში ბევრი რამ იქნება შენთვის მოულოდნელი და სანუგეშო.

წითური

რა თქმა უნდა, საწუხარი სხვებსაც აქვთ. მაგრამ მათ საწუხარზე ხვალ ვიფიქრებ. დღეს კი სამართალს ჩემთვის მოვითხოვ, რატომ უნდა იყოს სხვა ჩემზე უკეთესად? მე მყავს დედა, მაგრამ დედას მე არ ვუყვარვარ და არც მე მიყვარს იგი.

— მე? შენ გგონია, მე მიყვარს? — ეუბნება უკმეხად მოთმინებადაკარგული ბატონი ლეპიკი.

ამ სიტყვებზე წითური თავს ასწევს და მამას შეხედავს. დაჟინებით უყურებს მის მკაცრ სახეს, ხშირ წვერს, სადაც პირი ისე ჩამალულია, თითქოს თავისი მრავალსიტყვაობისა შერცხვაო, მის მოჭმუხნულ შუბლს, თვალის კიდეებთან გაჩენილ ნაოჭებს და დაშვებულ ჭუთუთოებს, რომელთა გამოც კაცს ასე ეგონება, ბატონ ლეპიკს სიარულის დროსაც კი სძინავსო.

ერთხანს წითური ხმას არ იღებს, ეშინია, მისი იდუმალი სიხარული დ: ეს ხელი, რომელიც ჩაბღუჯა და თითქმის ძალით უჭირავს, თვალსა და ხელს შუა არ გაუქრეს.

უეცრად მუშტს შეკრავს და დაემუქრება სოფელს, რომელიც წყვდიადში თვლემს, და მედიდურად უყვირის:

— აუტანელო ქალო! მოთმინების ფიალა აივსო, მძულხარ!

— გაჩუმდი, — ეუბნება ბატონი ლეპიკი, — დედაშენია ბოლოს და ბოლოს.

— ოჰ! — ამბობს წითური, რომელმაც უცებ დაიბრუნა სიმშვიდე და სიფრთხილე, — მე ამას იმიტომ ვამბობ, რომ იგი დედაჩემი არ არის.

წითურის ალბომი

I

თუკი უცხო ადამიანი ლეპიკების ოჯახის ფოტოგრაფიული სურათების ალბომს გადაათვალიერებს, გაოცებას ვერ დაფარავს. იგი იხილავს დას ერნესტინს და უფროს ძმას ფელიქსს ყველა მდგომარეობასა და გარემოცვაში, ფეხზე მდგომებსა და მსხდომებს, კარგად გამოწყობილებსა და შილიფად ჩაცმულებს, მხიარულებსა და მოწყენილებს.

— წითური? წითური სად არის?

— მისი სულ პატარაობის ფოტოსურათები მქონდა, — პასუხობს ქალ-

ბატონი ლეპიკი. — მაგრამ ისე ლამაზი იყო, რომ სულ დამტაცეს და ერთი რა არის, ერთიც კი ალარ შემარჩინეს.

სინამდვილეში კი წითურისათვის სურათი ერთხელაც კი არ გადაუღიათ.

II

მას რომ წითურს ეძახიან, ამას ოჯახში ყველანი ისე მიეჩვევნენ, რომ მხოლოდ ხანგრძლივი დაფიქრების შემდეგ თუ გაიხსენებენ მისი ნათლობის ნამდვილ სახელს.

— წითური რატომ დაარქვით? მისი ყვითელი თმის გამო?

— სული თმაზე უფრო ყვითელი აქვს, — პასუხობს ქალბატონი ლეპიკი.

III

მისი სხვა განსაკუთრებული ნიშნები:

წითური თავისი პირისახით კაცის გულს მაინცდამაინც ვერ მოინადირებს.

წითურს ცხვირი თხუნელას ნათხარ ბორცვს მიუგავს.

წითურს ყურებზე, რაც არ უნდა მოინდომო, ჭუჭყის ქერქს ვერ ააძრობ.

წითურს ყინულის ლოლუას წუწნა უყვარს.

წითური ისე მიჩანჩალებს, ფეხს ისე მძიმედ ადგამს, ისეა მოხრილი, რომ იტყვი, კუზიანიაო.

წითურს კისერზე ჭუჭყი ლურჯად ისე ადევს, კაცს საყელური ეგონება.

დაბოლოს წითურს უცნაური გემოვნება აქვს და მაინცდამაინც მუშკის სუნი არა სდის.

IV

წითურიც ისევე დგება ყველაზე ადრე, როგორც მოახლე, ზამთარში, დილით, სანამ ირიჟრაჟებს, საწოლიდან საათის ისრებს ხელს უთათუნებს და ასე თითის წვერებით ატყობს, რომელი საათია.

როცა ყავა და შოკოლადი მაგიდაზეა, იგი სახელდახელოდ ნაყრდება და იმას ჭამს, რაც ხელში მოხვდება.

V

როცა ვისმეს აცნობენ, შებრუნდება, შებრუნებული ხელს უწვდის, ჩაბრილ მუხლებზე იზნიქება და კედელს ფხაჭნის.

თუ ეკითხებიან:

— გინდა მაკოცო, წითურო!

პასუხობს:

— ო! არა, არა ღირს!

VI

ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲚᲔᲞᲘᲙᲘ

წითურო, როცა გელაპარაკებიან, პასუხი უნდა გასცე.

ᲬᲘᲗᲣᲠᲘ

ბუი, ბანბან!

ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲚᲔᲞᲘᲙᲘ

მე, მგონი, შენ ბევრჯერ გითხრეს, რომ გამოტენილი პირით არასოდეს არ უნდა ილაპარაკო.

VII



იგი ვერასოდეს გადაეჩვევა, ხელები ჯიბეებში ჩაწყობილი, რომ არა ჰქონდეს. დედის მოახლეებისთანავე ხელები ჯიბეებიდან რაც არ უნდა სწრაფად ამოიღოს, მაინც აგვიანებს, ბოლოს ქალბატონი ლეპიკი წითურს ხელებს ჯიბეებში ჩააყოფინებს და ჯიბეებს ისე ამოუკერავს.

VIII

— როგორც არ უნდა მოგექცნენ, — მეგობრულად ეუბნება ნათლია წითურს, — მაინც არ უნდა იცრუო. ეგ საძაგელი მანკიერებაა და თან უსარგებლო, რადგან ადრე თუ გვიან მაინც გამჟღავნდება.

— დიახ, — პასუხობს წითური. — მაგრამ ამით კაცი დროს იგებს.

IX

ზარმაცმა უფროსმა ძმამ ფელიქსმა ბოლოს და ბოლოს სწავლა ძლივს დაასრულა.

იგი იზმორება და სიამოვნებით ხვნეშის.

— რა გიტაცებს? — ეკითხება ბატონი ლეპიკი, — დრო არის, შენს მომავალზე იფიქრო. რა გინდა შეისწავლო?

— როგორ? კიდევ უნდა ვისწავლო? — კითხულობს უფროსი ძმა ფელიქსი.

X

რომელილაც გულუბრყვილო თამაშობას თამაშობენ.

ფანტი ყველაზე ხშირად მადმუაზელ ბერტას ხვდება.

— იმიტომ, რომ მას ცისფერი თვალები აქვს, — ამბობს წითური.

ყოველი მხრიდან ისმის შეძახილები:

— რა ლამაზად არის ნათქვამი! რა თავაზიანი პოეტია!

— ო! — პასუხობს წითური, — თვალებზე არც კი შემიხედავს. ასე მხოლოდ იმიტომ ვთქვი, რომ რაიმე მეთქვა. ეს საყოველთაოდ მიღებული გამოთქმაა, რიტორიკული ფიგურაა.

XI

გუნდაობაში წითური მთელ ლაშქარს უდრის. მისი ეშინიათ და სახელი შორს აქვს განთქმული, რადგან თოვლის გუნდაში ქვასა სდებს.

პირდაპირ თავში უმიზნებს: ასე უფრო იოლია.

როცა მოყინავს და სხვები ყინულზე სრიალებენ, წითური დიდი სასრიალოს გვერდით, მხოლოდ თავისთვის, ბალახზე პატარა სასრიალოს იწყობს.

ათურმაში ურჩევნია მოხრილი იდგეს და ყველა ზედ ახტებოდეს.

დაჭერობანაში თავისუფლებას უდარდელად ექცევა და ყველას თავს ადგილად აჭერინებს.

ხოლო დამალობანაში ისე ყარგად დაიმალება ხოლმე, რომ ყველას ავიწყდება.

XII

ბავშვები ერთმანეთს ეზომებიან.

თვალითაც კარგად ჩანს, რომ უფროსი ძმა ფელიქსი საკუთარ მთელი თავით მაღალია. წითური და ერნესტინი კი, — ერნესტინი რაც უნდა იყოს, მაინც გოგონაა, — გვერდიგვერდ უნდა დადგნენ და ერთმანეთს დაეზომონ. და მაშინ როცა ერნესტინი ფეხის წვერებზე დგება, წითური, რომ არავინ შეაწუხოს, ეშმაკობს და ოდნავ იხრება, რათა მათ შორის თითქოს არსებული სხვაობა გაზარდოს.

XIII

წითური მოიბლე ალათის ურჩევს:

— თუ გსურთ დედაჩემს ასიამოვნოთ, ჩემი აუგი უთხარით.

მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს.

ასე მაგალითად, ქალბატონი ლეპიკი ვერ იტანს, როცა მის გარდა წითურს ხელით სხვა ეხება.

ერთხელ, როცა წითურს შეზობლის ქალი დაემუქრა, განრისხებული ქალბატონი ლეპიკი გარეთ გამოიჭრა და გადაეფოფრა თავის ვაჟს, რომელსაც მადლიერებით უკვე სახე უბრწყინავდა.

— ახლა კი მე მოგივლი! — უთხრა მან წითურს.

XIV

— მიიალერსება! ეს სიტყვა მაინც რას ნიშნავს? — ეკითხება წითური პატარა პიერს, რომელსაც დედამისი მეტისმეტად ანებივრებს.

და როცა იგი დაახლოებით აუხსნის, წითური წამოიძახებს:

— სხვა არაფერი არ მინდა, ლანგრიდან შემწვარი კარტოფილი ერთხელ მაინც ჩემი ხელით ამაღებინა და ატმის ნახევარი თავის კურკიანად გამომაწუწნინა.

იგი წამით დაფიქრდება:

— დედაჩემმა ჩემი კოცნა რომ მოინდომოს, ალბათ ცხვირიდან დაიწყებს.

XV

ბოლოს, თამაშით რომ დაიღლებიან, ერნესტინი და უფროსი ძმა ფელიქსი სათამაშოებს სიამოვნებით უთმობენ წითურს, რომელიც ამგვარად მათ ბედნიერებას ინაწილებს და მორიდებულად თავის წილ ბედნიერებას აქუჩებს.

და თან, იმის შიშით, სათამაშოები არ წამართვანო, არასოდეს არ ამჟღავნებს, ამ სათამაშოებით კარგად ვერთობიო.

XVI

წითური

მაინც როგორ ატყობ, ძალიან დიდი ყურები მაქვს?

მატილდა

დიდზე უფრო სასაცილო ყურები გაქვს. მათხოვებ? შაქრის ფხვნილს დავაყრი და ნამცხვრებად გამოვაცხობ.

წითური

ზედ ნამცხვრები კი გამოცხვება, დედაჩემი თუ გამიხურებს.

XVII

— მოიცა, სად მიხვალ! ერთხელ კიდევ გაიმეორე! მაშ, ჩემზე [illegible] შენი გიყვარს? — ეკითხება ზოგჯერ ქალბატონი ლეპიკი [illegible]

— არსადაც არ მივდივარ, მე არაფერი მითქვამს და გეფიცები, რომ ორივენი ერთნაირად მიყვარხართ! — ყრუდ პასუხობს წითური.

XVIII

ქალბატონი ლეპიკი

რას აკეთებ, წითურო?

წითური

არ ვიცი, დედა.

ქალბატონი ლეპიკი

ეგ იმას ნიშნავს, რომ ისევ რაღაც სისულელეს აკეთებ. ეტყობა, ასე მუდამ განზრახ იქცევი!

წითური

ეგლა მაკლია.

XIX

წითურს ჰგონია, რომ დედამისი მას ულიმის და ნასიამოვნები თვითონაც ილიმება.

მაგრამ ქალბატონ ლეპიკს, რომელიც თავის გაურკვეველ ფიქრებს ულიმის, მაშინვე სახე უქვავდება და შავი მოცხარის თვალები შუშისა უხდება.

შემკრთალმა წითურმა არ იცის, სად გაუჩინარდეს.

XX

— წითურო, არ შეგიძლია არ იჭიხვინო და ზრდილობიანად გაიცინო? — ეუბნება ქალბატონი ლეპიკი.

— როცა ტირიან, იციან, რატომ ტირიან, — ამბობს ისევ იგი.

ქალბატონი ლეპიკი კიდევ ამბობს:

— რა ვქნა, თქვენ რას მირჩევთ, როგორ მოვიქცე? ალიყურიც რომ აჭამო, ახლა ცრემლს ველარ გადმოაგდებინებ.

XXI

ეი, კიდევ რას ამბობს ქალბატონი ლეპიკი:

— ჰაერში მტვრის ერთი ნამცეცი რომ მაინც იყოს ან გზაზე ტალახი, უთუოდ წითურისაა.

— თავში რომ აზრი ჩაუჯდება, იმას იქიდან ველარაფერი ამოუყვანს.

— ისეთი ამაყია, რომ ოღონდ ყურადღება მიიქციოს და თავს დაიხრჩობს.

XXII

სინამდვილეში, წითური ცდილობს თავი დაიხრჩოს წყლით გავსებულ ვედროში, სადაც მან ცხვირ-პირი გმირული გამბედაობით ჩაჰყო, მაგრამ ახ-

ლა ვედროს წყალი უყელო წალებზე ექცევა და ამ ქვეყანაზე ალიყური აბრუნებს.

XXIII

უცებ ქალბატონი ლეპიკი წითურზე ამბობს:

— სულ მე მგავს, უეშმაკოა, უფრო ბრიყვია, ვიდრე ბოროტი და იმისთანა დონდლოა, რომ თოფისწამალს, რა თქმა უნდა, ვერ გამოიგონებს.

ან უცებ ირწმუნება, გოჭებს თუ არ შემოეჭამათ, კარგი ქოჩრიანი ბიჭი გამოვეთ.

XXIV

— თუ ოდესმე, — ოცნებობს წითური, — საახალწლოდ ხის ცხენს ისე მაჩუქებენ, როგორც ჩემს უფროს ძმას ფელიქსს აჩუქეს, მოვახტები და ვერავინ ველარ დამეწევა.

XXV

გარეთ, ჭუჩაში როცა გავა, თავი რომ დააჯეროს, ჩემთვის ყველაფერი სულერთიაო, წითური სტვენას იწყებს. მაგრამ ქალბატონი ლეპიკის დანახვაზე, თურმე უკან რომ მოსდევს, სტვენას თავს ანებებს. და ამას ისე მტკივნეულად განიცდის, თითქოს დედას მისთვის ის იაფფასიანი სასტვენი ჩაეტეხოს, კბილებით რომ ეჭირა.

ისიც მართალია: როცა ასლოკინებს, ქალბატონი ლეპიკი გამოჩნდება თუ არა, სლოკინი მაშინვე შეუწყდება ხოლმე.

XXVI

წითური დედისა და მამის დამაკავშირებელი რგოლია. ბატონი ლეპიკი ეუბნება:

— წითურო, ამ პერანგზე ღილია აწყვეტილი.

წითურს პერანგი მიაქვს ქალბატონ ლეპიკთან, რომელიც უწყრება:

— შენი თქმა რად მინდა, შე მასხარავ?

მაგრამ მაინც თავის სამუშაო კალათას ხელში იღებს და ღილს აკერებს.

XXVII

— მამაშენი რომ ცოცხალი აღარ იყოს, — უყვირის წითურს ქალბატონი ლეპიკი, — უკვე კარგა ხანია მკვლელი იქნებოდი, გულში დანას გამიყრიდი ან ცარიელზე დამსვამდი!

XXVIII

— ცხვირი მოიხოცე, — ყოველ წამს ეუბნება წითურს ქალბატონი ლეპიკი. წითური ცხვირსახოცის კიდით წამდაუწუმ ცხვირს იხოცავს.

როცა წითურს სურდო შეეყრება, ქალბატონი ლეპიკი უთუოდ ქონით ზელს და თხიპნის, რაც დას ერნესტინს და უფროს ძმას ფელიქსს მეტად შურთ და ამიტომ დედა მის გასაგონად ამბობს:

— სურდოს უფრო მეტი სიკეთე მოაქვს, ვიდრე ზიანი. სურდო თავის ტვინს ათავისუფლებს.

XXIX

რადგან ბატონი ლეპიკი დილიდან ალიზიანებს, წითური თავს ვერ აჩერებს და ეს გაუგონარი სიტყვები წამოსცდება:

— ბოლოს და ბოლოს თავი დამანებე, სულელო!

და მაშინვე მოეჩვენება, რომ გარშემო ჰაერი იყინება და ოთახი ცხელი ნაკადი გადმოექცევა.

იგი რაღაცას ლუღლუღებს და მზად არის, ახლავე მიწაში ჩაძვრეს.

მაგრამ ბატონი ლეპიკი დიდხანს დაყინებით უყურებს და ნიშანს არ იძლევა.

XXX

ერნესტინი მალე გათხოვდება და ქალბატონი ლეპიკი ნებას რთავს წითურის მეთვალყურეობით საქმროსთან იაროს.

— წინ ხტუნვა-ხტუნვით გაუძეხი, — ეუბნება იგი.

წითური წინ მიუძღვება, ცდილობს ხტუნვა-ხტუნვით იაროს, ძალლივით გვერდზე გადაუხვევს, გაოგნებული შეჩერდება, იცდის და მისდა უნებურად მალულად მოწყვეტილი კოცნის ხმა ესმის.

წითური ახველებს.

ეს მასვე ალიზიანებს და უეცრად მიწაზე აგდებს ქუდს, რომელიც ეს-ეს არის გზის პირას ალმართული ჯვრის წინ მოიხადა, ფეხებით თელავს და თან ყვირის:

— მე არასოდეს არავის ვეყვარები, არავის!

სწორედ ამ დროს ქალბატონი ლეპიკი, რომელსაც ტუჩზე ლიმილი დასთამაშებს და ყრუ სულაც არ არის, პირგამეხებული კედელთან გამოჩნდება.

და დაბნეული წითური მაშინვე დაუმატებს:

— გარდა დედაჩემისა.

1894 წ.

□

● უცხოური იუმორი ●

გულწრფელი საუბარი

ერთხელ ჰაინრიხ ჰაინეს ახალგაზრდა მკვლევარი ეწვია. სტუმარმა, ცხადია, იცოდა, რომ ჰაინე ებრაელი იყო და სხვათა შორის ჰკითხა:

— იცით, კუნძულ ტაიტზე მოგზაურობის დროს ჩემზე განსაკუთრებით რამ მოახდინა შთაბეჭდილება?

— რამ? — ჰკითხა პოეტმა.

— იმან, რომ იქ არც ებრაელებია და არც ვირები.

— მაგ მდგომარეობის გამოსწორება საკვლევით შესაძლებელია, — მიუგო მშვიდად ჰაინემ.

— თუ მე და თქვენ ერთად მოვხვდებით იმ კუნძულზე-

---

* გაგრძელება იხ. გვ. 223.

დიმიტრი გულია

ლექსები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აფხაზურიდან

თარგმნა მირიან მირნელმა

* * *

გაფრინდი,
ჩემო წიგნო ფრთამალო,
არსად შეჩერდე, არ დაიმალო,
სადმე, ორღობეს, არ გაიხირო,
მტერი მოსისხლე არ გამიხარო;

სიბრძნე სოფლისა საგზლად გეყოფა,
ჭკუა ასწავლე ძმას და მეგობარს,
წყაროდ იდინე და ირაკრაკე
და აფხაზურად ილაპარაკე!

დრო

მზე რომ მთვარეს ჩაუვლის,
ქარი ამოვარდება:
დადექ, კაცო, ელოდე
ზღვაზე გამოდარებას!

ახლა საღამოა და
დროა ფიქრის, ოცნების,
იბუდებენ ტყეებში
სიჩუმე და ფრთოსნები.

და გლეხები შინისკენ
ნელა მიაბოტებენ,
მღერის ცეცხლი კერაზე
ბინდისყამის მოტივზე.

ასე მისდევს მარადჟამ
დღე ღამეს და ღამე დღეს,
დრო ხან კლდე-ღრე გვატარებს,
ხან გაგვიფენს ხავერდებს.

და ღამე რომ კლებულობს,
დღე მატულობს მაშინ,
დღეც იკლებს და მალე
გვილამდება გზაში.

მაგრამ ღამეს — სიბერეს —
ნორჩი ყლორტი შეცვლის...
მიდის დრო და გადავდივართ
ასე ხიდზე ბეწვის.

რუსთაველის ძეგლი

მოვლინება რუსთაველის
უნაპირო ზღვა არი,
მოვარდნაა მეყსეული
გრიგალ-ქარის ფრთამალის;
სიღრმე მისი შაირისა
ზღვის უძირო ფსრეკია, —
ქვეყნის სასწაულია —
ძნელად დასაწერია;
მაღალია ჩვენი მთები —
ის კი უზენაესი,
იმის მშობელ იბერიას
მზეი დაჰმზერს ალერსით;
მთა თუმც ხშირად ილრუბლება —
ის კი მუდამ ანათებს,
ლექსი ვუთხრა საკადრისი —
ათას ღამეს გავათევ!
ერეკახუ რომ თავს იწონებს

მოქათქათე თოვლითა, —
რუსთაველი ცამ მოგვგვარა —
ჩვენთან ლმერთად მოვიდა;
მეუფეა სამყაროის —
ცა ხელით რომ უკავია —
ლიმი მისი ცისკარია
და სიტყვა კი უკვდავია;
ცვლის ზამთარი გაზაფხულს და
გვცივა ანუ გვაკანკალებს, —
მოგვეახლის მაშინ შოთა —
სუსხს ახლოსაც არ გვაკარებს;
მისი სიბრძნე უნაპირო
ზღვის უძირო ფსკერია,
ქვეყნის სასწაულია —
ძნელად დასაწერია;
ვდგავარ ახლა შოთას ძეგლთან —
ზღვას რომ გაჰმზერს ლაღად
და ემსხვრევა მაღალ ნაპირს
თერი, თეთრი ტალღა.

ჭიანჭველა

დაიგრგვინა მეყსეულად, —
ცას გაუჩნდა სადღაც ბზარი
და, ვითარცა მხეცი შმაგი,
დაერია ტყეებს ქარი.

გააქვთ ტოტებს ლაწა-ლუწი, —
ჭრიალებენ ქარში ხენი:
წინ — უფსკრული გიყოფს პირს და
არც უკან ჩანს დასახევი.

ხევში მეხი ტკაცუნებს და
ელვა აფრქვევს ცეცხლს და ლავას
და ღრუბელი მეწყეროვით
ჩამოიქცევს ციდან ლამის.

მტვერში ბოლავს ცა და მიწა:
მთაში მტვერი,
ცაში — მტვერი!
ქორი ფროსნებს დაერია,
აირია მონასტერი.

ცივის, წივის, მაგრამ ბნელი
ქარმა მაინც ვერ გაფანტა:
ვდგავარ, ვუმზერ ამ სასწაულს
და ქუდს ვუხდი ნებას ცათა...

აგე, მიწას რომ ჩავხედე, —
ჭიანჭველას მოვკარ თვალი:
ო, იდიდოს ქვეყანაზე,
ღმერთო, შენი სამართალი!

ეზიდება ჭიანჭველა
ტვირთს ვეებას
ნშვიდად,
ცქაფად,
მიდის,
ავდრის არ აქვს დარდი, —
თავის ბილიკს მიიკაფავს.

სულ არაფრის არ აქვს დარდი,
გზა ფენილა თითქოს ვარდით;
ეზიდება თავის საჩოს
ალმართ-ალმართ,
ზევით,
ზევით:
ვდგავარ,
ვუმზერ ამ სასწაულს
და ქუდს ვიხდი მოწიწებით.

მთის მდინარე

ფეხთ ფიადაზს არ იგებდა,
აყრუებდა არემარეს:
მოდიოდა, არიგებდა
გზა-გზა მთების დანაბარებს.

მოფხოჭნიდა ქვიშას, ქვა-ღორღს
და სდიოდა მკერდზე სისხლი:
ომი კიდევ ბევრი ახსოვს
და კირთება არაფრისთვის.

რაჟამს ნაპირს გადვიდოდა, —
დააბამდი ვერცა ჯაჭვით:
თითქოს თვალი დაბინდვოდა —
მხეცს მოჰგავდა იგი დაჭრილს.

ლუსკუმში და ლამებნელში
იჭრებოდა ფორიაქად,

როგორც სპილოს თეთრი ეშვი,
თრთოდა ტანი გოლიათის. —

ის მოვარდა ბარში მტრულად,
მაგრამ დახვდნენ ალალმართლად:
ერთის წამით გაიტრუნა
და...
სოფელი გაანათა.

* * *

ვისაც უვის კარგი ცოლი
გული მისი ხარობს ორწილ,
შინ აქვს ლხინი, ტაშ-ფანდური, —
რალად უნდა წასვლა ქორწილს!
აქვს მაღალი სახლის ჭერი
და სიკეთე ყოველივე,
მიეალ, მივეთაყვანები —
ხვალ უკეთესს მოველი მე,
რადგან მასთან მეგულება,
რაც საუნჯე აქვს ბუნებას.

ვაი ცუდი ცოლის პატრონს,
ტყვეა დარდის სამუდამო,
ვერ იპოვის შვებას სულის,
თუნდაც ღმერთებს ემუდაროს;
რად წავიდეს სატირალში —
შინ აქვს საქმე სავაგლახო,
ხალხს ასხია ასი თვალი —
თავი როგორ დაანახოს?!
ძლივს მიითრევს დაღლილ ფეხებს,
გზაზე ისე მიჩინდრიკობს,
თითქოს იყოს საფრთხობელა
ანუ ჩრდილის ჩრდილი იყოს.

ფიქრები წყაროსთან

კლდეების ძირას წყარო წიკწიკებს,
მიჰყვება თავის ლამაზ ბილიკებს,
წყარო წიკწიკებს.

წყაროს, უხსოვარ დროში გაჩენილს,
ჰმოსავს ტყეების მწვანე ფარჩები, —
მე მის მეხოტბედ მარად დავრჩები.

ცადასულები მთები მაღლები
დაძარღვულია რვალის ძარღვებით, —
შეხედავ — სული გაგილაღდების.

ხმა იდუმალი როცა მომწვდება,
უცებ ცოცხლდება ყველა ოცნება
და ცით ბადაგი თითქოს მოწვეთავს.

ჩემო ზღაპარო, ჩემო არაკო,
წყაროს წკარუნო ანუ რაკრაკო,
სიმღერის ჩემის მარადისობავ —
იცოცხლე ჩემო ხალხო ამაყო!

ძვლავ გავირჯებით, ძვლავაც დავშვრებით,
წყარო რომ დაშრეს, ჩვენ არ დავშრებით, —
გაგვაგრძელებენ ჩვენივ ბავშვები.

კლდეების ძირას წყარო წიკწიკებს,
მიჰყვება თავის ლამაზ ბილიკებს, —
წყარო წიკწიკებს.

ზღვაზე, ღამით

გააქვთ კოპიტებს შრიალ-შრიალი
და მწვანე ხელებს ცისკენ იშვერენ,
ზღვაზე იმსხვრევა მთვარე ბრიალა
და სტკივათ ტალღებს მკერდი შიშველი.

ტანს ერეოლა უვლის ქალაქს მდუმარეს, —
სადღაც გაფრენას თითქოს აპირებს
და შორეული ხმა იდუმალი
დალალს უწეწავს მაღალ ნაპირებს.

და საიდანღაც მძიმედ, ზმორებით —
გზა დაკარგული თითქოს იპოვა —
გამოცურდება ოქროს ზოლი და
ზღვა მეყსეულად შუა იპობა.

როგორც ზამთარში ტყეებს ფოთოლი,
გახუნებია ღამეს ნაბადი
და ღელავს, ღელავს სული მშფოთვარე
გარინდებიდან გარინდებამდე.

□

● უცხოური იუმორი ●

ყველაზე მოკლე რეცენზია

ერთმა ახალგაზრდა მწერალმა ვოლტერს თავისი ნაწარმოები მიუტანა და სთხოვა, აზრი გამოეთქვა.

რამდენიმე დღის შემდეგ ვოლტერმა მას ნაწარმოები დაუბრუნა და უთხრა, ჩემი აზრი ბოლოში აქვს მიწერილიო.

მწერალმა გულდასმით გასინჯა, მაგრამ ვოლტერის მინაწერი ვერ იპოვა.

საქმე ის გახლავთ, რომ ნაწარმოების ბოლოს ავტორის მიერ მიწერილ „ფინ"-ს, რაც ფრანგულად დასასრულს ნიშნავს, ვოლტერმა ასო „ნ" წაუშალა და ამით გამოხატა თავისი აზრი ნაწარმოებზე.

მასპინძლობა

ალექსანდრე დიუმა რუსეთში მოგზაურობისას თბილისსაც ეწვია და ერთმა მაშინდელმა წიგნით მოვაჭრემ მაღაზიაში მიიპატიჟა. თავაზიანმა მასპინძელმა საპატიო სტუმრის მოსვლამდე მის საამებლად წიგნის ყველა თარო დიუმას ნაწარმოებებით აავსო.

— დანარჩენი ავტორების წიგნები სადღაა? — ჰკითხა გაკვირვებულმა ფრანგმა მწერალმა.

— ისა... 'გ... გაიყიდა, — ენა დაება წიგნით მოვაჭრეს.

---

* გაგრძელება იხ. გვ. 225.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინგლისურიდან

თარგმნა თამარ მხარგრძელმა

სიზმრის კოშმარეთი

არასოდეს მქონია წესად, ჩვეულებად
ლოცვა მუხლმოდრეკით, მთრთოლვარე ბაგეთი,
მხოლოდ მიზიდავდა უტყვი გრძნეულება,
სანამ მომიხმობდა ჩემი სიზმარეთი.
და დღესაც ისევე, ვით ადრე, მიზიდავს
სინათლე დუმილის, ქცეული ლოცვებად,
ჩუმი მორჩილება თანა მდევს მიწიდან
და დამშთა ამქვეყნად მხოლოდღა ოცნება,
ოცნება, რომელიც გავანდე საუფლოს
და ჩემი არსება დაფარა ვედრებამ,
მინდა, რომ ვედრება მგზნებარედ დავუნთო
იმ ძალას, რომელიც ყოველს ბერდება,
იმ სიბრძნეს, რომელიც ყოველს ძველდება.
გულს მაწვა ზვავებად მე ბრბო გამქელავი
და მრუმე ქაოსი ირგვლივ მორიალე,
ვინც კი შევიძულე, ის იყო მგესლავი
და შურისძიების მწვავდა მე სურვილი,
მაგრამ-ღა შემომრჩა ბნელეთი მკვნესავი
და ყველა იმედი ერთად მიწურვილი,
კოშმარეთს ერწყმოდა სიმრუდე საგანთა
ვნებები დატბორეს უაზრო ამბოხით,
ტერორი ცეცხლების ენებად ალანთეს,
რომ არ ქცეულიყო ოცნება ამბორად
და ველარ გავიგე, ვიტანჯე ნამდვილად
თუ დანაშაული მქონდა მე, კუთვნილი?
ტკივილი მორევად ცრემლებმა დათრთვილა
გულს მაწვა ზვავებად სულის შემხუთველი
შიში და სირცხვილი, სიტყვებად უთქმელი,

და ორი საღამო გავიდა ისე, რომ
ვერ ჩამოვიცილე კოშმარი იმ ღამის,
ვიფიქრე, ნეტავი კვლავ არ დამისეროს
ბურანმა ტკივილით მე დილა სისხამი,
მაგრამ, ვით კოშმარი, მოვიდა მესამე
ღამე და ყვირილმა დამიფრთხო სიზმარი,
მე თვითონ ვყოფილვარ იმ ღამეს მკვნესარე,
ბავშვივით ვტიროდი, დარდის შემხიზნავი,
და როცა ჩავახშე ტკივილი კვიმატი,
ვიფიქრე: სიმშვიდე მე დამემოძღვრება,
ასეთი სასჯელი ხვედრია იმათი,
რომელთა სულებიც შებილწა ცოდვებმა
და კვლავ ანახლებენ ქარიშხლის მოქროლვით
სულებში უკუნით დამარხულ ჯოჯოხეთს,
აღარ სჯერდებიან უკუნეთს მოგროვილს,
ცოდვები ვეროდეს მათ ვეღარ მოთოკეს,
ასეთი სასჯელი ხვედრია იმათი,
მე მხოლოდ მიველტვი საყვარელ მნათობებს
და რატომ დამატყდა ვაება კვიმატი?
როდესაც მინდა, რომ ალერსი მათოვდეს!

□

● უცხოური იუმორი ●

თავისი ფასი

დიდი შოტლანდიელი პოეტი რობერტ ბერნსი სანაპიროზე სეირნობის დროს მოწმე გახდა ერთი სოვდაგარის გადარჩენისა, რომელიც მდინარეში ჩავარდნილიყო. ვიღაც კაცმა ხაკუთარი სიცოცხლე ხიფრთხეში ჩააგდო და განწირული ნაპირზე გამოიყვანა. მან კი ჯილდოდ მხოლოდ ერთი გროში მისცა.

შემთხვევის ადგილას შეგროვილი ხალხი აღაშფოთა სოვდაგრის უმადურობამ და მოინდომა მისი უკანვე წყალში გადაგდება, მაგრამ ხაქმეში ბერნსი ჩაერია.

— გაუშვით, — თქვა მან, — თვითონ უკეთ იცის თავისი ფასი.

სარეკომენდაციო ბარათი

ერთი ხაშუალო ნიჭის მქონე მსახიობი ხერწარდ შოუსთან მივიდა და ხთხოვა, ხარეკომენდაციო ბარათი მომეცით თეატრის დირექტორის ხახელზეო.

შოუმ დაწერა: „რეკომენდაციას ვუწევ მსახიობს. იგი თამაშობს რომეოს, ჰამლეტს და ბილიარდს. უკანასკნელს — ყველაზე უკეთესად".

რენტგენის ხხივები

ვილჰელმ კონრად რენტგენმა მეგობრისგან წერილი მიიღო, ამურმა ხახტიკად დამკოდა, მგონი, ისრის წვერი გულისფიცარში ჩამახო. დრო არა მაქვს, შენთან მოვიდე და თუ შეიძლება შენი ხახელობის ხხივები გამომიგზავნეთ.

---

[4] გაგრძელება იხ. გვ.

უილიამ უორდსუორთი

ლექსები

ინგლისურიდან
თარგმნა თამარ მხარგრძელმა

ხრწნა სათნოებისა

დამიღარავდა ვიდრე სახეს ქამი უწყალოდ,
ხშირად მინახავს მამაკაცნი და მატრონები
წმინდანთა სახლში შედიოდნენ განატრუნები,
ეკლესიისას რომ მოეხმო ზარს სამოწყალოდ.
ცივი ქარები აღდგომისა, შობის თოვლები
ეძახდა გარეთ, უმყუდროეს სამყოფლებიდან
და ლიტანიას მისცემოდნენ კმაყოფილები
და იყვნენ მუდამ ერთი გრძნობით განაცხოვლები.
ვუმზერ ადგილებს, აღავლინეს სადაც ლოცვები
და მე ვკითხულობ შემორტყმული ხალხით მრავალით:
— ეს სათნოება უძველესი ნუთუ მოცელეს?
ბრბოს უსათნოოს საითკენ აქვს გზა დასავალი?
იცქირებიან ხალხნი ირგვლივ ღრუბლეებრ გრუზად,
დასავლეთის ცას ძლივს რომ სწყვეტენ. მზის სხივის მუზას.

თრთის ჩემი გული, როდესაც ვუმზერ...

თრთის ჩემი გული როდესაც ვუმზერ
ცისარტყელებით მოჭედილ ზეცას,
ეს თრთოლვა უნდა მოჰკითხო მუზებს
და ჩემს ბავშვობისდროინდელ
ფურცლებს;
ვიცი მაშინაც ვიქნები ასე,
როცა სიბერე ჩამაცმევს ფლასებს,
ანდა ცხოვრება სამსალას მასმევს!
და მსურს, რომ იყოს დღეები ჩემი
სათნოების და სინაზის მჩენი.

□

ბრეტ ჰარტი

ანგელოზელი მეზარე

მოთხრობა.

ინგლისურიდან თარგმნა ბეშან სივსივაძემ

თავი პირველი

სადაც მდინარე სტანისლოს ჩრდილოეთი ტოტი თანდათან კარგავს ახალგაზრდულ მომხიბვლელობას, სიმკვირცხლესა და ძალოვნებას და ველდაბლობზე უფრო დარბაისლურად ფართოვდება, იქ ერთი პატარა კონცხი მდებარეობს, რომელიც, წყალი რომ გარკვეულ დონემდე მოიმატებს, ისე მოჩანს, როგორც დინებაში შემოჭრილი მომცრო კუნძული. იგი სიერას მშფოთვარე ბუნებაში უჩვეულო იდილიური მყუდროებით გამოირჩევა. გადმოკიდებული კლდეებიდან და გინგლიანი მურყნებიდან ჩამოშვებული ჭალარა თუ ნაცრისფერი ხავსები რბილ ბუსუსებს მდოვრე ნაკადულში ივლებენ, ხოლო კორომთა შორის თვალისმომჭრელი ხავერდოვანი კორდები მაშინაც კი მწვანედ ხასხასებს, როცა დაბლობზე ველური შვრია და „ხშირი ბალახი" უკვე ყვითლდება. ამ ადგილას წყნარი მდინარე ნარეცხი ფუჭი ქანისა თუ საქარხნო ნაგვისაგან აღარ ჭუჭყიანდება და მისი ფიქრიანი ჩრდილების ქვეშ სუფთა მოედინება.

თავდაპირველად აქ ინდიელთა ბელადს ბანაკი ჰქონდა, მაგრამ ამერიკული შაშხანის ტყვიამ ცხოვრების გზა შეუმოკლა და ადგილის მფლობელის უფლებაც ხელიდან გამოეცალა. მოახალშენემ, ამგვარი მემკვიდრეობით რომ მიიღო ეს მიმზიდველი სამყოფელი, თავის მხრივ, გზა დაუთმო უშფოთველი მყუდროებით იმნაირადვე მოხიბლული სხვა ოქროსმაძიებლის მარჯვედ გასროლილ დამბაჩას. რამდენ ხანს უნდა დამტკბარიყო ეს ახალი მომხდური განმარტოებული ცხოვრებით, ჯერჯერობით გაუგებარი რჩება. მარტის ერთ საღამოს მოულოდნელად ადიდებულმა მდინარემ გადმოხრილ მუხასთან ერთად, რომლის ძირსაც არხეინად და უანგარიშოდ მისცემოდა ფიქრს, შეუმჩნევლად გაიყოლია იგი. ვისკის დიდი ბოცა ქვემოთ, კარგა მოშორებით იპოვეს გამირიყული. მომდევნო ბედისმაძიებლების სხვა ნიშანწყალი ამ ავადხსენებული მისადევარის უშფოთველ მდუმარებაში მეტად აღარ გამომკრთალა.

მოგვიანებით კონცხზე ქოხი აიშენა და დაემკვიდრა ვინმე ალექსანდრე მაკგი, ვინც უფრო მეტად ცნობილი იყო, როგორც „ანგელოზელი მეზარე". ეს კეთილხმოვანი მეტსახელი, გულმოდგინე, მშვიდობიანი საქმიანობა რომ უნდა მოეგონებინა, სინამდვილეში მსროლელის მიერ ნიშანში მოხვედრების სიზუსტეს აღნიშნავდა საგანგებოდ მოწყობილ ჯილდოზე, სადაც სამიზნე ვაშლის გახვრეტას ზარის რეკვა მოჰყვებოდა ხოლმე. შესაძლებელია, ასეთი უჩვეულო

დაოსტატება უზრუნველყოფდა საამო მყუდრო ადგილზე მისი უფლებამოსილების ხელშეუხებლობას. ასეა თუ ისე, კონცხის საზღვრები დაურღვეველი რჩებოდა. მაკგი მხოლოდ ფრინველებს უნაწილებდა განმარტოებული კუთხის მფლობელობას. ალბათ ფრთოსნებმა ჩააგონეს ოჯახური ბუდის შექმნა, რომ გაზაფხულის ერთ მშვენიერ დილას მაკგიმ იქ ცოლი მოიყვანა. ეს იყო მისი ცოლი და მაკგი, შეიძლება ითქვას, პირველად ქმნიდა ისეთ ზნეობრივ-ბარემოს, რომელიც, ჩვეულებრივი შეხედულებების თანახმად, იდილიური ცხოვრების უეჭველი თანამგზავრი და ნიშანია. მისის მაკგის წითელი ჩიხორი ხანდახან თვალისმომჭრელი, ფერადოვანი ნაფლეთივით გამოკრთებოდა ხოლმე ხეებში. მისის მაკგის წითელი ლოყები, გათქვირებული პატარა სხეული, ბაფთებიანი ქუდი და წაბლისფერი, ჯერ კიდევ გოგონასავით დაწნული დალალები ხშირად მოჩანდა მზის ჩასვლისას მდინარის ნაპირზე, მათი მფლობელის ქმართან ერთად, ვისაც, ეტყობოდა, სიამოვნებას ჰგვრიდა ადამიანების ფრთხილი და აღტაცებული მზერა, შორიდან რომ მიაცილებდა ხოლმე მათ. როცა მაკგი მდინარის გალარიბებული ოქროს საბადოს გასწვრივ, ალვის ხეთა ალერსიან ჩრდილში მისეირნობდა, უეჭველია, გრძნობდა იმ მყუდროებას, რომლის მოგზაურობაც უბრალო სამყაროს არ ძალუძს და დაუცდენელი ქამანდარის ნათელსა და გამჭრიახ თვალს იოლად არ გამოეპარა.

ცოლ-ქმრის მახლობელი მეზობლები იყვნენ ორნი ძმანი უეინები, რომლებმაც მდინარის ნაპირზე მიწის ნაკვეთი აიღეს და კონცხის ახლოს ქოხი აიშენეს. ისინი წყნარი, მორიდებული ადამიანები იყვნენ, ოღონდ ფალმუნის გალობისა თუ კვირაობით ნამეტნავი განმარტოების გამო, რამდენადმე ათვალწუნებულიც კი ჰყავდათ და ნაკლებ ყურადღებას იქცევდნენ. მაგრამ, როდესაც უტყუარი ჩანაფიქრისა და დაწვრილებითი მსჯელობის შემდეგ უეინებმა მდინარის ტოტს გადაუგდეს, რათა დინება სანაპიროსა და კონცხს შორის მოექციათ, და აურაცხელი სიმდიდრის ოქროვანი მეჩეჩი აღმოაჩინეს და, ამგვარად, საკუთარი ვარაუდი დაადასტურეს, მდინარის ძველთაძველი კალაპოტი ნამდვილად აქ გადიოდა, მაგრამ საუკუნეთა განმავლობაში მოტანილი ქვიშისაგან ამოივსო და ბოლოს გადაადგილდაო, არა მხოლოდ თავიანთი, შეიძლება ითქვას, სავსებით შეცვალეს აგრეთვე მცირე დასახლების ბედიც. ხალხის განწყობილებამ და კუთხის აყვავებამ სრული გამოხატულება პოვა იმაში, რომ ახალშობილ დასახლებასა და საფოსტო განყოფილებას ამ ძმების საპატივცემულოდ „უინების მეჩეჩი" დაერქვა. მშვიდობიანი კონცხი, მართალია, უფრო ადვილი მისადგომი გახდა, მაგრამ ჯერ კიდევ ინარჩუნებდა წინანდებურ უშფოთველ განმარტოებულობას და მშვენიერ მისის მაკგის არხეინად შეეძლო ფოთლებით შემოსილი ფანჩატურიდან კონცხის ძირას გაჩაღებული მუშაობისათვის ეჭვრიტა, თვითონ კი შეუმჩნეველი ყოფილიყო. მიუხედავად ყოველივესი, ეს არკადიული სამყოფელო ნელ-ნელა და განუწყვეტლივ თმობდა სარბიელს, უფრო მეტიც, საგრძნობლად გადასხვაფერდა შემოგარენის სურათი და ამასთანავე შეიცვალა მდინარის სახეც. ზემოთ, მომალლო ადგილზე, გამართული უეინთა მანქანები შიგ ნარიყალსა და ფუჭ ქანს უშვებდნენ, წყალი ახლა ამღვრეულიყო და ტყიანი ნაპირის ირგვლივ ყვითლად მიექანებოდა. ამ სამოთხის არშიები უკვე გაეუწმინდურებინა ოქროს ფერს.

ოღონდ საეჭვოა, რომ მისის მაკგის დიდად მოჰპრიანებოდა ასეთი მგრძნობიერი მსჯელობა, მისმა ქმარმა კი საკუთარი მიუდგომელი სამფლობელოს წარყვნას რამდენადმე თავად შეუწყო ხელი, რადგან ექთილსინდისიერი უეი-

ნებისაგან კონცხთან მიახლოების საზღაურად სანაპირო მიწის ნაკვეთი მიიღო, თავის სამფლობელოს შემოუერთა და, ამგვარად, ნაყოფიერი მეჩეჩის სიმდიდრეში გარკვეული წილი დაიდო. მისის მაკგი გულიანად ერთობოდა, ისე, რომ, თავისი უხილავი ბუდიდან, ეტყობოდა, ბავშვური ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა მეჩეჩზე წითელპერანგიანი ძმების მუშაობას, თუმცა ყოველთვის, როდესაც მეჩეჩს გადაივლიდა და ნაპირისაკენ გასწევდა, ქმარი გვერდით ეჯდა და მიაცილებდა. ბანაკს ორი თუ სამი სხვა ქალი, ოქროსმაძიებელთა ცოლები, შემოუერთდნენ, ოღონდ აშკარად ემჩნეოდა, რომ მაკგის ისევე ნაკლებად ეხალისებოდა ცოლის ნდობა მათთვის, როგორც მათივე ქმრებისათვის. შეიქმნა ერთგვარი აზრი, თითქოს მაკგი, ვითარცა ძველი მუდმივი ბინადარი, „ანგელოზის" მაღალი მდგომარეობის ადამიანებთან იყო დაკავშირებული და არისტოკრატიულობისა და კარჩაკეტილობისაკენ მიისწრაფოდა.

ამასობაში, ორივე ძმამ მეჩეჩის კეთილდღეობას საფუძველი რომ ჩაუყარა, ჯეროვანი მდგომარეობა დაიკავა და ასევე ჯეროვანი პატივისცემაც დაიმსახურა. უეინთა ცხოვრების ყაიდა მკვეთრად უპირისპირდებოდა დანარჩენი ოქროსმაძიებლების ცხოვრების ყაიდას და ისე გვარიანად უზრუნველყოფდა ძმების ახლო ნაცნობობისაგან თავის დაზღვევას, როგორც მისტერ მაკგის ავბედითი სახელი უზრუნველყოფდა მისი ცოლის სხვებისაგან განმარტოებას. მედისონ უეინი, უფროსი ძმა, იყო მაღალი, ძლიერი აგებულების, გამხდარი, სიტყვაძუნწი და გვიანი მოსაზრებისა; არტურ უეინი, უმცროსი ძმა, იყო რამდენადმე მოუხეშავი აღნაგობის, ოღონდ ტანმორჩილი, უფრო სუსტი და ალბათ, უფრო მგზნებარე ბუნებისა. ზოგი ფიქრობდა, ბევრი წყალი აღარ ჩაივლის, არტურს მაინც ვნახავთ ჩვეულებრივი „თეთრკანიანივით რომ მიჰყოფს ხელს კოქტეილის სმას" და ბანქოში „გვარიან ფულსაც ჩაყრისო". მიუხედავად ამისა, ეტყობოდა, უეინები ჯერჯეროობით წინანდებურად განაგრძობდნენ ცხოვრებას, საღამოობით დროს ატარებდნენ შინ, საკუთარ ქოხში, კვირაობით კი ქვეითად მიემართებოდნენ პირქუში პრესვიტერული სამლოცველოსაკენ, მეზობელ დაბაში, ათი მილის მოშორებით, სადაც ხმა დადიოდა, „ჯოჯოხეთის ცეცხლი ყველას უხვად მიუწყეს" და „ყრმანი სულ უბრალოდ შეაჩვენესო". როდესაც ძმები წირვაზე ვერ მიდიოდნენ, ანგელოზელებს, აგრეთვე, მანამდე სჯეროდათ, თითქოს მღვდელი თვითონ მოდიოდა მათთან, სანამ გამოირკვეოდა, რომ ქოხიდან გამომავალი საღვთო წერილის კითხვის ხმა იყო, არც მეტი არც ნაკლები, მედისონ უეინისა, ვინც თავის უმცროს ძმას დაბადებას უკითხავდა. ამბობდნენ, ერთხელ, ამნაირი შემთხვევის დროს, მაკგი მეუღლის თანხლების გარეშე, უეინების ქოხის წინ შეყოვნდა, შემდეგ კი ჩვეულებრივზე უფრო დამშვიდებული და კმაყოფილი გაუდგა გზასო.

ერთ დილას, დაახლოებით თერთმეტ საათზე, მედისონ უეინი მეჩეჩზე მარტო მუშაობდა. მუქი ნაცრისფერი სათბურითა და მაღალყელიან რეზინის ჩექმებზე ამოკარწახებული თეთრი ტილოს შარვლით შემოსილი მედისონი არცთუ ნაკლებად მიაგავდა თავისი ბადეებისათვის პალოების დამმაგრებელ მშვიდობიან მეთევზეს, გულმოდგინედ რომ დატრიალებდა ჯერ კიდევ ნახევრად ამოუთხრელი მდინარის ძველი კალაპოტის ოქროვან ქვიშასა და შლამში. მედისონი მეჩეჩიდან კარგა მოშორებით იმყოფებოდა, კონცხიდან კი — ასე ქვის სასროლ მანძილზე. ანაზდეულად მის მახვილ ყურს უცნაური კივილი და თქაფუნი მოსწვდა. მედისონმა სწრაფად ასწია თავი და წყლის ზედაპირზე გადმოხრილი ხიდან ჩამშვერილი უჩვეულოდ მოქანავე ტოტების ქვეშ მისის

მაკგის წითელ ჩიხორს მოჰკრა თვალი. მედისონ უეინი ნაპირისაკენ გაიქცა. მძიმე ჩექმები მოისროლა და მდინარეში გადახტა. რამდენიმე ხელის მოქნევით მიაღწია მისის მაკგის ჩიხორს, რომელიც, როგორც თვითონ გონიერულად ვარაუდობდა, მისის მაკგის იფარავდა. ისევ ისე რომ ებღაუჭებოდა ბის ტოტს. მედისონმა ცალი ხელი მის წელს შემოხვია. მეორე ხელი [illegible] ჩიხორს, მდინარის კიდეზე ფეხის დასაყრდენი იპოვა და ქალი ნაპირისკენ [illegible]. წუთის შემდეგ ორივენი გალუმპულები იდგნენ ხის ძირას.

— აბა? — თქვა მანდილოსანმა.

უეინმა ჩვეული სიფრთხილით მოავლო თვალი მიყრუებულ არემარეს, ოდნავ დაბნეულად შეიკრა წარბი და ამოღერღა.

— ჩავარდი წყალში?

— სულაც არა. ჩავხტი.

უეინმა ისევ მიიხედ-მოიხედა, თითქოს ქალის თანამგზავრს მოელისო, და ხშირი თმიდან წყალი ჩამოიწურა.

— ჩახტი? — ნელა გაიმეორა მან. — რისთვის?

— აქ რომ გამომეყვანე, მედ უეინ, — სიცილით უპასუხა მან და დოინჯი შემოიყარა.

ისინი იდგნენ და მდინარის ორი გალუმპული ღმერთივით ერთმანეთს უყურებდნენ. და მდინარის ღმერთებივით აინუნშიაც არ მოსდიოდათ, რომ უეინს შარვალი შიშველი მუხლების ზემოთ აეკარწახებინა, ხოლო მისის მაკგის წითელი ჩიხორი საკმაოდ მშვენიერ სხეულზე მჭიდროდ შემოტმასნოდა. თუმცა უეინი მალე მოვიდა გონს.

— გირჩევნია, შინ წახვიდე და ტანისამოსი გამოიცვალო, — მშვიდად ურჩია მან. — გაცივდები.

ქალი აგდებულად შეიშმუშნა.

— მე არაფერი მიშავს, — მიუგო მან, — მაგრამ შენ, მედ უეინ, რა მიზეზია, ხმას რომ აღარ მცემ... ვითომ ველარ მცნობ? იმას ვერ იტყვი, რომ მე მაგდენად გამოვიცვალე.

ქალმა გრძელ, დასველებულ ნაწნავებზე ხელი ჩამოისვა, თითქოს თმიდან წყალს იწურავსო. მაგრამ მიხრა-მოხრაში ერთგვარი გამომწვევი კეკლუცობა მაინც ემჩნეოდა.

კაცს სახეზე რაღაც ისეთი გაუკრთა, მანამდე რომ არ დასტყობია. მშვიდ თვალებში ახალი შუქი ჩაუდგა.

— შენ ისევ ისე გამოიყურები, — აუჩქარებლად გაეპასუხა უეინი, — ოღონდ ახლა გათხოვილი ხარ... ქმარი გყავს.

— მერე, შენ გგონია, ეგ ცვლის ქალს? — სიცილით ჰკითხა მან. — აი, სწორედ მანდ გეშლებათ თქვენ, ყველა მამაკაცს, ანგარიში! შენ მისი შაშხანის გეშინია... აი, ეს გაბლავს მთელ ცვლილება, აგრე რომ გაღონებს, მედ.

— შენ იცი, რომ მე ნაკლებად მაღონებს ამქვეყნიური იარაღები, — წყნარად მიუგო უეინმა.

ქალმა იცოდა ეს, მაგრამ მშვენიერთა სქესის უპირატესობა იმაში გამოიხატება, რომ გარკვეული სინამდვილე შეთხზას და მერე თავაზიანად უარყოს, ვითომდა სიტყვის მასალად ვთქვიო.

— აბა, რატომღა გამირბიხარ? რატომ მარიდებ თვალს, გვერდით რომ ჩამოგივლი? — მკვრცხლად დაეკითხა ქალი.

— იმიტომ, რომ გათხოვილი ხარ, — აუჩქარებლად უპასუხა მედისონმა.

ქალმა ნიუფაუნდლენდური ძაღლივით ჩამოიბერტყა წყალი.

— სწორედ ეგრეა. შენ ჯავრობ იმიტომ, რომ მე გავთხოვდი. ჯავრობ იმიტომ, რომ ვერ გამოგყევით შენ და შენს სამლოცველოს, გზაჯვარედინზე, რომ გიდგას, ვერ ვასრულებ საგალობელს შენთან და ვერ გავხდი უეინის და შენ გინდოდა, თავი გამენებებინა კვირაობით ცეკვაზე სიარულისა და [illegible] ნობისათვის... ჰოდა, სწორედ იმიტომ ჯავრობ, რომ ნებას არ [illegible] ჯავრობ... უბრალოდ, სულელობ, ბალღივით ჯავრობ, მისტერ უეინ, მიუხედავად მთელი შენი ღვთიური მორჩილებისა! აი, რა მოგდის.

მისის მაკგი ძალიან მშვენიერი და მიმზიდველი მოჩანდა ამგვარ მოუბოდიშებელ გულისწყრომისასაც, რომელიც ისე ყასიდად და მოჩვენებით გამოთქვა, რომ, ეტყობოდა, სველი ჩიხორიდან ერთი დაუდევარი მიხრა-მოხრით ჩამოიბერტყა და, ამასთანავე, ნატიფი კოჭებიც გამოაჩინა.

— შენ მაკგიში გამცვალე მე, — პირქუშად გაეპასუხა უეინი. — მაგრამ ბრალი არ დამიდევს მაგისთვის.

— ვინ თქვა, იმაში გაცვალაო? — დაუყოვნებლივ შეესიტყვა მისის მაკგი. — ბევრიც გცოდნია! — შემდეგ ნაჩქარევი, ქალური მოპრიანებით დათმო თავისი ჟინიანობა და ოდნავი სიცილით დაუმატა, — თუმცა, სულ ერთია, შაშხანით მოგიყარაულებენ თუ პრესვიტერული სამლოცველოთი, მხოლოდ...

— მხოლოდ რა? — მხურვალედ ჰკითხა მედისონმა.

— მოიძებებიან ისეთი მამაკაცები, რომლებიც ტყვიას არ შეუშინდებოდნენ და ბედს ცდიდნენ ისეთი ქალისთვის, ვინც ფსალმუნის გალობათა აბდაუბდას ვერ შეეგუებოდა.

ტკივილის ელფერმა, მედისონს მოღუშულ, მკაცრ სახეზე რომ გადაურბინა, ეტყობოდა, ქალს მომხიბლავი ცელქობის ჟინი უფრო გაუძლიერა. მაგრამ მედისონმა კვლავ უხალისოდ მოავლო თვალი მიყრუებულ ადგილს, დასველებულ სახელოზე ხელი მოისვა და ამოღერღა.

— ახლა უნდა წავიდე, შენს ქმარს არ მოეწონებოდა, აქ რომ ვენახე.

,— ის ახლა ნაკვეთზე მუშაობს... იმ ნაკვეთზე, რომელიც შენ მიეცი, — ღვარძლიანად აუწყა მისის მაკგიმ. — ნეტავი რას იტყოდა, უკეთუ გაიგებდა, რომ ნაკვეთი მიიღო ისეთი კაცისაგან, ვინც სულ რაღაც ორიოდე წლის წინათ მის ცოლს ეკურკურებოდა! როგორ ეწყობა ეს შენს ქრისტიანულ ნამუსს, მედ?

— მე თვითონ მოვუყვებოდი, უკეთუ არა მჯეროდეს, რომ ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრებულია და ერთმანეთს ჯერ-ოდეს აღარ შევხვდებით, — ისეთ მოზომილ კილოზე მიუგო უეინმა, რომ ქალს მოეჩვენა, თითქოს მის ხმაში ზარების რეკვა მოესმინოს.

— მოუყვებოდი, ძმაო უეინ? — გამოაჯავრა ქალმა. — აბა, ნება მიბოძე, გაუწყო, რომ მთელ მეჩეჩზე შენა ხარ ერთადერთი კაცი, რომელიც ჭკუაში უჯდება სენდის.

მედისონს ფერმკრთალი ლოყები ოდნავ წამოუწითლდა, მაგრამ ხმა არ ამოუღია.

— დიახ! — მოუთმენლად განაგრძო მისის მაკგიმ. — არა მგონია, სენდი წინააღმდეგი გახდეს, ხანდახან რომ გამოიცლიდე და მოინახულებდე... თუ შენ მოისურვებდი.

— მე მანამდე მაინც არ მოვისურვებდი, სანამ, უპირველეს ყოვლისა,

თვითონ არ ეცოდინებოდა, რომ შენ ოდესღაც ჩემი დანიშნული იყავი, — დინჯად უთხრა მედისონმა.

— ალბათ, სენდიც არ უნდა ფიქრობდეს ავრე ბევრს მაგრა თეობაზე, — უტიფრად შეესიტყვა ქალი, — ყველა როდი მისდევს ზნეობრივი წესების ისე მკაცრად აღსრულებას, როგორც შენ, და ყოველი ქალი [illegible] ორხელ მაინც იქნება დანიშნული. მაგრამ როგორც გნებავს [illegible] თუკი ძალიან გეპრიანება, შინ იჯექი, ფსალმუნი იგალობე და უმაღლოს ძმას სალვთო წერილები უკითხე! სულ ერთია, ჩემი აზრით, ის მაინც ბიბლიებთან ყოფნას ამჯობინებდა.

— ჩემი ძმა არის ღვთისმოშიში და პატიოსანი, — სწრაფად მიაგება მედისონმა. — შენ არ იცნობ იმას. არც არასოდეს გინახავს იგი.

— დიახ, — მოკლედ უპასუხა მისის მაკგიმ. შემდეგ ცოტა გააჩერა, თუმცა ნახევრად მაინც მოითვალთმაქცა თავი, თითქოს სამოსში შეამცივნაო, და ბოლოს დაუმატა, — ერთი წმინდანიც მეყოფოდა, მთელ სამლოცველოს ვერ ავიტანდი, მედ.

— უკვე შეგამცივნა, — მყისვე მიმართა უეინმა, რომელსაც მოულოდნელმა სისათუთემ მთელი სახე გაუნათა, და ჩანდა, მოლუშული გამომეტყველებაც შეუცვალა. — მე აგერ გაყოვნებ მაშინ, როცა შენ ტანისამოსს უნდა იცვლიდე. გასწი ახლავე, გთხოვ!

ქალი კვლავ გამომწვევად იდგა და, ვითომ მკლავებსა და მხრებს იმშრალებსო, სველ სამოსზე ხავსის ბლუჯას ისვამდა.

— გასწი, ძალიან გთხოვ... სეიფი, გთხოვ!

— აჰ! — გამარჯვებულის ხმაზე აღმოხდა ქალს. — აბა, ისევ მოხვალ ჩემ სანახავად, მედ?

— ჰო, — უპასუხა მედისონმა აუჩქარებლად და კიდევ უფრო დინჯად, ვიდრე მანამდე.

— ოღონდ ამჯერად გზა უნდა გასწავლო... შემოუარე მაგ ხეებს... მანდეთ თვალს ვერავინ მოგატანს.

ქალმა ხელი გაიშვირა იქით.

— მე იმავე გზით წავალ, რა გზითაც მოვედი, — მშვიდად გაეხმიანა მედისონი, მერე უახლოეს ტოტს მოსწყდა, მდინარის ტალღებს ხმაამოუღებლივ შეერია და ვიდრე ქალი უკმაყოფილების გამოთქმას მოასწრებდა, უკვე გარდიგარდმო მიაღწევდა დინებას.

თავი მეოთხე

ერთი კვირის მოგვიანებით მედისონ უეინი მარტო იჯდა თავის ქოხში. ჩინელ მსახურს სავახშმო სუფრა ახალი მიელაგებული ჰქონდა, დღე ღამეს ეყრებოდა და ჩამავალი მზე, უეინთა ფანჯრიდან მდინარის ნაპირზე გამწვანებულ თვალისმომჭრელ შუქურას მთელი ნახევარი საათი დაჟინებით რომ მიმართავდა, ბოლოს ალვის ხეების უკან ჩაიძირა. მედისონს თავი ხელზე ჩამოეყრდნო, წიგნი კი, დღის შუქის მინავლებამდე რომ კითხულობდა, თავის წინ მაგიდაზე ედო გადაშლილი. ამ დროს ღია კარიდან ქვიშაზე გამკრთალი ფრთხილი ნაბიჯების ხმა მოესმა. ფიქრები იმდენად მოსძალებოდა, რომ სოფლის ერთადერთი შარაგზით ანუ მდინარის ნაპირ-ნაპირ ადამიანის მოა-

ხლოება მხედველობიდან გამოეპარა. ბოლოს თავი ასწია და შეამჩნია, რომ მისტერ ალექსანდრე მაკგი ზღურბლს მოსდგომოდა და კარის წირთხლისათვის ხელი ოდნავ მიენდო. მედისონს უეცრად ლოყები წამოენთო, [illegible] ანგარიშმიუცემლად სწვდა წიგნს და ისევე აჩქარებით მიიწია თავისკენ. როგორც მოულოდნელობის ქამს შეიძლებოდა რაიმე თავდასაცავი [illegible] ხელთებინა.

ანგელოზელმა მეზარემ მიხრა-მოხრა შეამჩნია, წამოწითლება კი არა და მოწონების ნიშნად თავი დაუქნია.

— არ მინდოდა ხელი შემეშალა. მაგრამ აქეთ მივხეტიალობდი და ვფიქრობდი, ერთი შეევიელი და „საღამო მშვიდობისას“ ვეტყვი-მეთქი.

მაკგი კარის წირთხლს მშვიდად მიეყრდნო და, რომ უფრო მოხერხებულად მდგარიყო, თეძოზე ჩამოკონწიალებული დამბაჩა გადაინაცვლა. უეინმა იარაღი რომ დაინახა, წარბი ოდნავ შეიკრა,მაგრამ მომსვლელი მაინც დინჯად შეიპატიჟა.

— ვერ შემოხვალ შინ?

— ახლა ლოცვის დრო ხომ არა გაქვთ? — ზრდილობიანად ჰკითხა მაკგიმ.

— არა.

— არც ნაწყვეტებს კითხულობთ დაბადებიდან? — ფიქრიანად განაგრძო მაკგიმ.

— არა.

— იმიტომ ვამბობ, რომ ვერა ჰგავს, ასე ვთქვათ, იცით. წესიერ მოქცევას ადამიანის შეწუხება მაშინ, როცა იმას, შესაძლოა, რაიმე საქმე ჰქონდეს. ვერ გაიგეთ? გესმით, რა მინდა გითხრათ?

მაკგის ჰქონდა ისეთი თვისება, რომ აზრის ნათლად გამოთქმა უჭირდა. ამიტომ, ეტყობოდა, ნიადაგ წვალობდა და მეტისმეტად ცხადსა და მეტისმეტად უმნიშვნელო წვრილმანებზე ლაპარაკის დროსაც კი შიშობდა, ვაითუ სწორად ვერ გამიგონო. ამგვარი გონებრივი უმწეობა საოცრად უპირისპირდებოდა მისსავე ნამდვილად მახვილსა და გამჭრიახ მზერას.

უეინმა დინჯად დაარწმუნა მაკგი, ჩემთვის ხელი სულაც არ შეგიშლიაო.

— მე ხშირად მიფიქრია... მაშასადამე, აზრი მომსვლია... გესმით, რა მინდა გითხრათ?.. ავდგები და მოვინახულებ, როცა იქით გავიარ-მეთქი. თქვენ და მე, იცით, თითქოს ერთმანეთს ვგავართ, ჩვენ როდი ვუწყობთ ფეხს ბანაკის საერთო მსვლელობას. გესმით, რა მინდა გითხრათ? ჩვენ არ ვმონაწილეობთ სხვების თამაშში, ხომ? ხვდებით, საით ვუმიზნებ?

მედისონ უეინმა უნებურად გადახედა მაკგის დამბაჩას. მაკგის გამჭრიახმა მზერამ მაშინვე დაიჭირა მისი გამოხედვა.

— სწორედ აგრეა! გესმით? თქვენ ე მაგ თქვენი წიგნებით, ხოლო მე ამ ჩემი სასროლი ფიშტოთი... თითქმის განვსხვავდებით დანარჩენებისაგან და ხომს ისე ვიყოთ, როგორც ძმობილები. გესმით, რა მინდა გითხრათ? ჩვენ ლაგამამოდებული გვიჭირავს ბანაკი. ყველა სადავე ხელთა გვაქვს და ვერავითარ ოინბაზობას ვერ მოვითმენთ.

— თუ თქვენ გინდათ თქვათ, რომ ქრისტიანული მაგალითი გარკვეულ ზემოქმედებას მოახდენს და ცხოვრება ღვთისმოშიში ადამიანისა... — ჩვეული სიდინჯით წამოიწყო მედისონმა.

— სწორედ აგრეა! ღვთის მოშიში ან დამბაჩის მოშიში, ორივე ერთად

მოიყოლის თავს, როდესაც ფუჭ ფენას ჩასცდები და მადნის ბუდეს მიაღწევ. — მოუთმენლად შეაწყვეტინა მაკგიმ. — მე სულაც არ მოველი, რომ მთლად ჩემს ყაიდაზე ფიქრობდეთ. მაგრამ ძალიან მომდის გუნებაში თქვენი ჩვეულება. თუმცა არც შემიძლია, ფეხი ავუწყო თქვენს თავაზს. ბიჭო, ცოლ-ვეუბნები, სეიფი... იმას, ხანდახან გვერდით რომ მომყვება ხოლმე... ვეუბნები, სეიფი. მე უნდა გავეცინო მაგ კაცს და გავეცინობი. ბოდ, ჩემი სურვილია იმას შენც გაეცინო-მეთქი. ბრძანდებოდეთ. — სიჩქაროდ დაუმატა მან, რადგან მედისონი გაწითლდა და სკამიდან უკმაყოფილოდ წამოიჭრა. — თქვენ ვერ გაიგეთ. მე ვატყობ, რაც გიტრიალებთ თავში... არ გესმით? როდესაც ჯვარი დავიწერე, და ცოლი აქ მოვიყვანე, რაკი, არ, ბანაკს კარგად ვიცნობდი, ვუთხარი: „არავითარი კურკურობანა, არავითარი ქვებუდანობა, არავითარი წოწიალი, ძვირფასო! შენ ახალგაზრდა ხარ და მამრთა ბუნების არა გაგეგება რა. პირველივე მამაკაცს, ვისთანაც დალაპარაკებულს მოგასწრებ, მყისვე გამოვუყვან წირვას. შენ სულაც ნუ შეგეშინდება, ძვირფასო, რომ რაიმეს დაგიშავებ. მე შემიძლია, ყველაფერი ისე დავცხრილო შენ ირგვლივ, მკლავის ქვეშ, მხრების გარდიგარდმო, თავის ზემოთ, თითებს შუა, ძვირფასო, რომ კანი არც გაგისერო და არც გაგიკაწრო. ოღონდ იმას კი არ დავაცილებ. ალბათ გესმის რა მინდა გითხრა, ჰოდა, გეუბნები, ღმერთი არ გაგიწყრესო!..“ შეგიმჩნევიათ, როგორ პატივს სცემენ ჩემს მეუღლეს. მისტერ უეინ? ტახტზე მჯდომარე დედოფალ ვიქტორიასაც არ ჰლირსებია ჩემი სეიფისთანა პატივისცემა. მაგრამ რაკი ვხედავ, რომ თქვენ მაგ ნახირში არ ერევით, როცა მე და სეიფი გვერდით ჩაგივლით, არც კი გადმოგვხედავ ხოლმე, დუქნებში არასოდეს დახეტიალობთ, ქალებს არც ეხუმრებით, არც თვალს უკილავთ და არც უწმაწურ ამბებს უყვებით, მხოლოდ ლოცულობთ ამასთან ერთად და საღვთო წერილის ამბებს კითხულობთ, აქ, ჩემს თავს ვეუბნები, დიახ, ვეუბნები: „სენდი, როცა ის ახლოს იმყოფება, შენ შეგიძლია, დამბაჩა მოიხსნა და თოფი კედელზე ჩამოკიდო-მეთქი, რადგან იმასა და შენს ცოლს შორის დგას არა დამბაჩა, არამედ შიში უფლისა და ჯოჯოხეთისა, მუდმივი წამებისა და მეორედ მოსვლისა! გესმით, რა მინდა გითხრათ, არა? თითქოს სწვდებით ჩემს ზრახვას, ხომ? გასაგებია, რასაც ვუმიზნებ, არა? ამრიგად მე მსურს მეზობლურად მესტუმროთ და ჩემი ცოლი მოინახულოთ.

მედისონ უეინს სახე კვლავ მოელრუბლა და გაეყინა, წიგნი გულზე აიხუტა, თითი ფურცლებს შუა ჩადო და მაკგისკენ წაიწია.

— მე უკვე ვიცნობ თქვენს ცოლს, მისტერ მაკგი! და მანამდე შევხვედრივარ, სანამ თქვენ შეხვდებოდით. მე დანიშნული მყავდა იგი. მიყვარდა იგი და... რამდენადაც მამაკაცს შეიძლება სხვისი მეუღლე უყვარდეს და ამ წიგნის მცნებებს იცავდეს... კიდევ მიყვარს!

მისდა გასაკვირლად, მაკგიმ, მშვიდი მზერა რომ არც დაბინდვია და არც გამრუდებია, თანამოუბარს ცნობისმოყვარედ შეავლო თვალი, წიგნი ჩამოართვა, მაგიდაზე დადო, გადაშალა, ფრთხილად გადაფურცლა და მხურვალედ წარმოთქვა:

— მაგნაირი კანონია აქა, ჰა! — და შემდეგ მარჯვენა გაუწოდა. — ჩამომართვით ხელი!

მედისონ უეინი შეყოყმანდა და ბოლოს ჩამოართვა ხელი.

— ეს რომ მცოდნოდა, — განაგრძო მაკგიმ, — ალბათ სეიფის ასე მკაცრად და ასე უხიაგოდ ალარ მოვექცეოდი. სეიფი უფრო კარგია, ვიდრე მე

მგონია, რადგანაც თქვენ იყავით მისი საქმრო! გესმით, რა მინდა გითხრათ? სწვდებით ჩემს ზრახვას... არა? ყოველთვის მიკვირდა, რატომ მაინცდამაინც მე ამირჩია სეიფიმ, მაგრამ იმის შემდეგ, რაც უკვე მიამბეთ, რომ თქვენ თქვენებურ ღვთიურ ყაიდაზე ეარშიყებოდით ხოლმე, ვფიქრობ, ამ გარემოებამ თითქოს მოამზადა იგი ჩემთვის. გაიგეთ? აბა, მოხვალთ [illegible]

— გამოვივლით მე და ჩემი ძმა ერთ საღამოს, — დაბნეულად [illegible] ხა უეინი.

— ვინ? — დაეკითხა მაკგი.

— ჩემი ძმა არტური. ჩვენ საღამოობით, ჩვეულებრივ, ერთად ვართ ხოლმე.

მაკგი გაჩუმდა და კარის წირთხლს მიეყრდნო, უეინს გამჭრიახი მზერა მიაპყრო და უთხრა:

— თუ თქვენთვის ერთი და იგივეა, უმჯობესია, ნუ წამოიყვანთ იმას. გესმით, რა მინდა გითხრათ? სწვდებით ჩემს ზრახვას? არავითარი სხვა კაცი, მხოლოდ თქვენ და მე. თქვენი ძმის საწინააღმდეგოდ კი არაფერს ვამბობ, მაგრამ თქვენ ხედავთ, როგორც უხდება საქმეს, არა? მარტო მე და თქვენ.

— ძალიან კარგი, მე მოვალ, — დაღვრემილად მიუგო უეინმა. ხოლო, როდესაც მაკგი კარიდან გავიდა, უეინი გაუბედავად მიჰყვა უკან. შემდეგ, ეტყობოდა, ძლივს მოიკრიბა გონება და თითქმის ხრინწიანად ამოილაპარაკა.

— მე კიდევ ერთი ამბავი უნდა გაუწყოთ.. იცით, აგერ, მეჩეჩის ახლოს, შევხვდი მისის მაკგის და ველაპარაკე. გასულ კვირას ის წყალში ჩავარდა, მე გავცურე და ნაპირზე ამოვიყვანე. ჩვენ ვისაუბრეთ და წარსულიც გავიხსენეთ.

— წყალში ჩავარდა? — გაეხმიანა მაკგი.

უეინს ისევ ყოყმანი დაეტყო, შემდეგ სახეზე სიწითლემ გადაჰკრა და აუჩქარებლად გაიმეორა:

— წყალში ჩავარდა.

მაკგის თვალები გაუნათდა.

— ერთობ მკაცრად ვეპყრობოდი სეიფის. შეიძლებოდა, კიდევაც დამხრჩვალიყო, რომ თავი არ გამოგედოთ. გაიგეთ? გესმით, რა მინდა გითხრათ? ჰოდა, მაგის თაობაზე სიტყვაც არ წამოსცდენია... და არც უტრაბახია, იმან ამომიყვანა წყლიდანო. კეთილი და პატიოსანი... თქვენ მოხვალთ და კიდევ მოინახულებთ იმას.

მაკგი გატრიალდა და მხნედ გაუდგა გზას.

უეინი ქოხში შებრუნდა და ფანჯარასთან მანამდე იჯდა, სანამ მდინარის ზემოთ ვარსკვლავები გამოკრთოდნენ, ხოლო ერთი, დიდი ხნის ნაცნობი ვარსკვლავი, ეტყობოდა, პატარა კონცხის ტყიანი თხემის შუაგულში თავის ადგილზე დაბინავდა. შემდეგ გალმა მხარეს ტყის ოკრობოკრო ნაპირი თანაბარ ბნელ სარტყლად გადაიქცა და ქოხის წინ ნოტიო ქვიშის მბზინვარე ფერი თანდათან მიმქრალდა. მალე უეინის მოქუფრული სახის გამოსახულება ფანჯარაში გაუჩინარდა და მისტერ მაკგი, ალბათ, კმაყოფილი დარჩებოდა, უკეთუ ეცოდინებოდა, რომ მან იმავე საკმთან მოიყარა მუხლი, გულზე ხელები გადაიჯვარედინა და სალოცავად თავი დახარა. მცირე ხნის შემდეგ ისევ ადგა, კუთხიდან გაცვეთილი ძველი ჩემოდანი გამოათრია, იქიდან შეკრული წერილების დასტა ამოიღო და სათითაოდ ნელ-ნელა დაუწყო კერაზე მოციმციმე ცეცხლში შეკეთება. ამიტომ ქოხის ფანჯრები დროდადრო ნათ-

დებოდა და რამდენადმე დამაბნეველ შუქურას უქმნიდა ამდენადვე დაბნეულ არტურ უეინს, ახლა ანგელოზიდან რომ ბრუნდებოდა და ისეთივე უმწეო, აღგზნებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, როგორც გადაბერებულ მხიარულებას მოჰყვება ხოლმე და ამასთანავე გარკვეული ზნეობრივი უწმინდურობის მაჩვენებელიც არის.

როცა არტური შემოვიდა, უკანასკნელი წერილი დამწვარი იყო და ქოხში სავსებით ბნელოდა. მედისონი დაჩელებული ცეცხლის პირას იჯდა და არტური იმედოვნებდა, მკრთალ სინათლეზე თავისი სახის გამომეტყველება და სხეულის მიხრა-მოხრა, თვითონაც უმწეოდ რომ გრძნობდა. შეუმჩნეველი დარჩებოდა.

— გვიან მოდიხარ, — მძიმედ შენიშნა მედისონმა.

ამის პასუხად არტური მყისვე მოთმინებიდან გამოვიდა. სულაც არ მოდის უფრო გვიან, ვიდრე დანარჩენები და, თუ როჯერის ბიჭებმა საკმაო გულთბილობა გამოიჩინეს და თანამესუფრეობა გაუწიეს, თვითონ როდიღა შეეძლო, გამოჰქცეოდა მხოლოდ იმიტომ, რომ შინ ძმა ელოდებდა? ვახშამი აღარ უნდა, უკვე გზაჯვარედინზე გეახლა ცოტა რაღაცას სხვებთან ერთად. დიახ! ვისკსაც, თუკი ძალიან ნებავს იცოდეს. ადამიანები ყავისა და უალკოჰოლო სასმელების მირთმევას ვერ დაიწყებენ მარტოოდენ მისი ძმის საამებლად, არც თვითონ აპირებს, განზე გადგომით სხვებს შეურაცხყოფა მიაყენოს. ასეა თუ ისე, ფიცი არასოდეს დაუდევს, მაგარ სასმელს არ გაეკარებოდა და, რაკი არ დაუდევს, ვერ გაუგია, რისთვის უნდა თქვას უარი ერთ ჭიქაზე. ისედაც ყველა ძუძუმწოვარასა და ცინგლიანს ეძახის და ყოველივე ამან გული გაუწყალა.

მედისონი ადგა, ლიფლიფა აანთო და ძმას სახესთან მიუტანა. მედისონს ახალი უჩვეულო განცდებისგან და, შესაძლოა, უფრო მეტად აღმგზნებელი ნივთიერებისგან წამონთებული სანდომიანი ყმაწვილური სახე შეჰყურებდა. არტურს აბრეშუმივით ჰატარა ულვაში საგანგებოდ გადაეგრიხა და წაბლისფერ კულულებზე დათვის ქონის მძაფრი სუნი ასდიოდა. ოღონდ ცისფერი თვალების შეუპოვარ გამოხედვაში გარკვეული ბავშვური მოკრძალება და მღელვარება მაინც უკიაფებდა და უფროს ძმას მყისვე მოულბა გული. „ძალიან მკაცრად მოვექეცი“ — თავისთვის ჩაილაპარაკა მან და თითქმის ანგარიშმიუცემლად გაიმეორა სეიფზე მაკგის ნათქვამი. მედისონმა ლიფლიფა დადგა, არტურს მხარზე ალერსიანად დაადო ხელი და ერთგვარი ფრთხილი სისათუთით მიმართა:

— მოდი, არტი, დაჯექი და ყველაფერი მიამბე.

აქედან მოყოლებული მკვირცხლი არტური სავსებით გათავისუფლდა. არა მხოლოდ სულიერი მღელვარებისაგან, არამედ წინანდელი ზნეობრივი იჭვნეულობისა და სინდისის ქენჯნისაგანაც, გვარიანად გამხიარულდა და ენად გაიკრიფა. როდესაც ანგელოზში საყიდლებს მორჩა, მედუქნემ კენტუკელ პოლკოვნიკ სტარბოტლს გააცნო იგი როგორც ერთ-ერთი „ძმათაგანი, რომლებმაც სახელი გაუთქვეს უეინთა მეჩეჩს“. პოლკოვნიკმა სტარბოტლმა თავისებურ, მაღალფარდოვან ყაიდაზე განაცხადა... ბოლოს და ბოლოს, ის არც ისე ცუდი კაცი ყოფილა... რომ უეინთა ოჯახი წარმოდგენილი უნდა იქნას შტატის საბჭოში და რომ თვითონ ის, სტარბოტლი, დიდ პატივად მიიღებდა, უკეთუ მომავალი საკანონმდებლო ხელისუფლების წევრობისთვის

მედისონის კანდიდატურას წამოაყენებდა და არჩევნებში მონაწილეობას მიიღებინებდა.

— და იცი, მედ, ცოტა უფრო მეტად რომ დაახლოებოდე ... ბარბარეს და მაგათ... ჰო, რამდენადმე არ შინებოდათ შენი... ნამდვილად შეძლებდი ამის გაკეთებას. აბა, მე აგერ ქვეყნის მეგობარი გავიჩინე, თუმცა ... ეს ... უბრალოდ მივიარ-მოვიარე იქაურობა, მოხუცი სელვიჯის ... მედუქნეს შენც იცნობ... მითხრა, იმისდა მიხედვით, რაც თქვენზე მოებისმენია, ყოველთვის მეგონა, შენ დაახლოებით ორმოცდაათი წლის კაცი იქნებოდი, თითქოს თვალის კაკლებს ძლივსღა იბრუნებდი. არამცთუ ულვაშის ბოლოებს იგრეხდი! ის ძალიან ენაკვიმატია! გარდა ამისა, ფოსტალიონს შტატიდან ცოლი და სამი ქალიშვილი ჩამოუვიდნენ და იმათ მთხოვეს, შემდეგ კვირას სამლოცველოს დღესასწაულზე გვეწვიეთ. რასაკვირველია, ის ჩვენი სამლოცველო არ არის, მაგრამ, ჩემი აზრით, მაინც ... ...

არტურმა შვებამოგვრილი ადამიანის ენამრავლობით ჩამოთქვა ზემოხსენებული და სხვა კიდევ უფრო ბევრი ამბავი. ხოლო, როცა გაჩუმდა სულ მოიბრუნა, მედისონმა, ხმა ამოიღო.

— მას მერე, რაც შენ შინიდან გახვედი, მე მყავდა სტუმარი... მისტერ მაკგი.

— და მისი ცოლიც? — საჩქაროდ ჰკითხა არტურმა.

მედისონს ოდნავ შეუფაკლდა სახე.

— არა, მაკგიმ დამპატიჟა, მეწვიეთ და ჩემი მეუღლე მოინახულეთო.

— ეგ მისი ოინია, — სიცილით უთხრა არტურმა, — ის გვეღდით რომ ჩამივლის ხოლმე, ყოველთვის ცერად მიყურებს. ჰოდა, გუშინ ... მახელებდა და მეუბნებოდა, თუ ცოტა ფრთხილად არ იქნები, მაკგი სულ მოკლე ხანში გულის ფიცარს გაგიხვრეტსო. რა თქმა უნდა, — დაუმატა მან და ულვაში ეშმაკურად გადაიგრიხა, — ეს სისულელეა! მაგრამ შენ ხომ იცი ქვეყანას ლაყბობა უყვარს. ეგ ქალი კი ძალიან ლამაზია ისეთი ვირგლასთვის, როგორიც მაკგია.

— სეიფიმ ჰპოვა მზრუნველი მეცხედრე თავისი მეუღლის სახით, — მკაცრად მოუჭრა მედისონმა, — და, შენი მხრივ, არც საკადრისია და არც ქრისტიანული, რომ მეჩეჩის უაზრო, ღვთისმგმობელი ჭორები იმეორო. მე იმას გათხოვებამდე ვიცნობდი და თუ თავგამოდებული მორწმუნე არ ყოფილა უმანკო, კარგი ქალი მაინც იყო და ახლაც არის!.. მოდი, მეტად ნუღარ ვილაპარაკებთ ამაზე.

ძმის კილომ მოახდინა გავლენა თუ მხოლოდ საკუთარმა დაუდგრომელმა ბუნებამ ააღელვა, არტურმა თხრობის საგანი შეცვალა და ანგელოზში მოგზაურობის თაობაზე გააბა ყბედობა. თუმცა, როდესაც უფროსმა ძმამ შუა საუბრის დროს მაგიდაზე, რომლის ახლოსაც ორი სკამი იდგა, ლიფლიფა და ბიბლია მოათავსა, უმცროსი ძმა, ჩანდა, არც დაბნეულა და არც შემცბარა. მედისონი ერთფეროვნად კითხულობდა მწუხრის ქადაგებას და არტურიც ამდენადვე ერთფეროვანი მოკრძალებით უსმენდა. შემდეგ ორივენი წამოდგნენ ისე რომ, ერთმანეთისთვის არც შეუხედავთ, სახე ორივეს ერთნაირად გაჰქვავებოდათ და მოსდუნებოდათ, ბოლოს თავთავისი სკამების წინ მუხლი მოიყარეს, საზურგულებს ორივე ხელი ჩასჭიდეს და მაგარი ხის ჩარჩოებს დროდადრო გაშმაგებით იკრავდნენ, გულში, თითქოს ცოდვათა მოსანანიებლად დამდგარანო. იმ ღამეს უფროსი ძმა ხმამაღლა ლოცულობდა. მისი ხმა თან-

დათან ძლიერდებოდა და მიისწრაფოდა ქოხის დაბალი სახურავისა და შემოზღუდული კედლების ზემოთ, წყლისპირა მობინადრეთა ფანჯრებიდან გამომკრთალი, ერთ დონეზე განლაგებული სინათლეების ზემოთ, ძლიერის გვერდით მიყოლებული ხეების ჩაბნელებული სარტყელის ზემოთ, თუ კონცხის თხემზე აციმციმებული სინათლის ზემოთ... ალმა, სულ ალმა, თვით ედუმალი, უგრძნობელი ვარსკვლავებისკენ.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

თუმცა მედისონს, მეტყველებასა და მიხრა-მოხრაში ეოთგვარი ახირებულობა და მოჩვენებითობა ემჩნეოდა, უეჭველია, გულწრფელად ეფიდრებოდა ყოვლია შემქმნელს და შესაბამისი მატიანე ამის თაობაზე აღარაფერს ამბობს, საკმარისია აღინიშნოს, რომ ვედრება გამოხატავდა მთავარ ბრალდებებს ცალობრიობის, მეჩეჩის, საკუთარი თავისა თუ ძმის მიმართ და, მართლაც, უკეთურობის ბევრი მიზეზი იგივე ყოვლის შემქმნელს დაეწესებინა და დაედასტურებინა. მაგრამ ამ უიმედო მსჯავრის დადებაში ჯერ კიდევ ღვიოდა რალაც ადამიანური გრძნობა და სისათუთე, რასაც აშკარად ცხადყოფდა ის მდგომარეობა, რომ ლოცვის დასასრულს მედისონს ხელები უცახცახებდა, ხოლო სახეცრემლებით ჰქონდა დანამული და უმცროს ძმას ისე ღრმად დაუმძიმდა გული, გადაწყვიტა, ამის მერე მწუხრის ლოცვებისათვის თავი აერიდებინა.

თავი მესამე

ერთი კვირის შემდეგ მეჩეჩი განცვიფრებული უყურებდა, მედისონ უეინი და მისტერ მაკგი აუჩქარებლად რომ მიაბოტებდნენ კონცხისკენ. ისინი შევიდნენ ტირიფისა და დაფნის ნოტიო ჯაგნარში, რომლებიც თითქოს კონცხის საზღვრებს აღნიშნავდა, თვალს მიეფარნენ და სქლად გაბადრულ ტყიან ბილიკს ნელ-ნელა აჰყვნენ, ვიდრე გორაკის თხემს მიაღწევდნენ, სადაც, მედისონის გასაკვირად, ერთი თუ ორი ქცევა მოკაფული და გაწმენდილი, დაშუშავებული მიწა აღმოჩნდა. იმავე ადგილას მდებარეობდა, აგრეთვე, მაკგის ცოლქმრული სამყოფელი, პატარა ოთხოთახიანი შენობა, ოღონდ ისე განსაკუთრებული და უცხოური ყაიდისა, რომ თვით მედისონის გაფანტული ყურადღებაც კი მაშინვე მიიქცია. ეს იყო შვეიცარული დასაშლელი პატარა სახლი, ოქროს აღმოჩენის შემდეგ ევროპიდან კალიფორნიაში ერთ-ერთი ადრინდელი შემონატანი, სახელდობრ, იმყამინდელი, როდესაც იქაურობა უტყეო მხარედ ითვლებოდა. მისტერ მაკგი თავისებური მომაბეზრებელი გულმოდგინებით უხსნიდა სტუმარს, ეს ქოხი მერისვილში შევიძინე არა მხოლოდ სილამაზისთვის, არამედ იმისთვისაც, რომ უბრალო ჩასალაგებელი ყუთები ცნობისმოყვარე ოქროსმაძიებელთა ყურადღებას ვერ მიიქცევდა და, ამავე დროს, შენობის აღმართვას თვითონვე შევძლებდი ერთადერთი ენაძვირი ჩინელის დახმარებით და მის ასავალ-დასავალს ვეღარავინ გაიგებდაო. ძველი სამყაროს ოსტატობის, სწორედ შეერთებული ორფეროვანი ფიცრების კედლებს, პატარ-პატარა რომბისებურ ჩუქურთმიან მორთულობას, დაქანებულ გლუვ სახურავს, ირგვლივ მოვლებულ ლავგარდანსა თუ პაწაწინა აივანს ჭეშმარიტად რალაც უჩვეულო მიმზიდველობა ჰქონდა. მსგავსად მკაცრი და კეთილზნიანი შეხედულების მამაკაცთა უმრავლესობისა, მხატვრულ გემოვნებას მოკლებული მედისონი კალიფორნიელი ოქროსმაძიებლის ფარლალალას და ძუნწად აგებულ ჯარგვალა უკვე გვარიანად რომ შესჩვეოდა, მასპინძლის

საცხოვრისის სინატიფითა და სიახლით საოცრად მოიხიბლა. მედისონს ქოხი ყოფილ სატრფოს აგონებდა და ახლებურ პატივისცემას გრძნობდა ამ მოუხეშავი, ცოდვილი მამაკაცისადმი, რომელსაც ასეთნაირი გზით განედევნებინა საკუთარი მეუღლე თავისსავე სამყოფელში. ხემარწყვას ბარდები და ჩამოკული ვარდი უკვე შემოხვეოდა აივანს. და, აი, აქ იჯდა მისის მაკგი.

ორი კაცისკენ მიქცეულ სახეზე მედისონმა შეამჩნია, რომ [illegible] ლოდა მათ, ოდნავ განცვიფრებაზე კი, რითაც თავის ქმარს გადანდა. საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ვინმეს წინასწარი მონახულებისა და დაპატიჟების თაობაზე მისთვის ნამდვილად არავის არაფერი უთქვამს. ეს მოსაზრება მისტერ მაკგის პირველივე სიტყვებმა კიდევ უფრო ცხადი გახადა.

— ძველი მეგობარი მოგიყვანე, სეიფი. ჩემზე ადრე რომ გეკურკურებოდა ხოლმე ანგელოზში... ასე მიამბო თვითონ. აქ კი წყლიდან ამოუყვანიხარ... ესეც თვითონვე მიამბო. შენ გახსოვს, ადრე რომ გეუბნებოდი, მედისონი ერთადერთი კაცია, რომლის გაცნობაც მინდა-მეთქი. ახლა, მგონია, სწორი გამოდგა ჩემი ვარაუდი, რომ ეს იქნებოდა ის ერთადერთი კაციც, ვისი გაცნობაც გინდოდა აგრეთვე შენაც. გესმის, რა მინდა გითხრა... სწვდები ჩემს აზრს, არა?

მისის მაკგი სწვდებოდა თუ არა ქმრის აზრს, ღმერთმა უწყის, მაგრამ არც მღელვარებას ამჟღავნებდა, არც დაღონებას და არც იოტისოდენა დაბნეულობას. გამოცდილი მიჯნური ასეთი სრული დაუმორცხვებლობის გამოვლინებაში შეამჩნევდა ერთგვარი ავისმქმნელობის საფუძველს. მაგრამ მედისონი არ ყოფილა გამოცდილი მიჯნური, დიასახლისის ხალისიანი ღიმილი თანაგრძნობის გამოხატულებად მიიჩნია და მისი ცივი თითების შეხებისას გაჟრჟოლა, თითქოს მხურვალედ ჩამოართვეს ხელი და ძლივს გაბედა ქალის ბოროტად მოცინარე თვალებისთვის მზერა შეეგებებინა. როდესაც მისტერ მაკგის აივანზე აჰყვა, მისის მაკგის საქმიანობა მანამდე, სანამ კაცები ქოხს მოადგებოდნენ, საესებით ნათელი შეიქნა მისთვის. ამ მცირე მაღლობიდან ნამდვილი სანახაობა იშლებოდა ქვემოთ, მთელ მიდამოსა და მდინარეზე, მეჩეჩი რუკასავით ინაკვთებოდა ქალის ფეხთით. და სუფთა, გამქვირვალე ჰაერში შეეძლო დაენახა ყოველი მოძრაობა და სახის გამომეტყველება მედისონის ძმისა, რომელიც სულაც ვერ ამჩნევდა თუ ვინმე თვალს ადევნებდა და მეჩეჩზე წყნარად მუშაობდა. მედისონს ანაზდეულად წამოენთო ფერმკრთალი ლოყები, ოღონდ რატომ დაემართა ასე, თავადაც ვერ გაეგო. სინანულის გრძნობა მოერია, რომ ამნაირ დროს მართებდა, არტურთან ყოფილიყო მისის მაკგის ხმა, ჩანდა, მედისონის ნაფიქრალს ეპასუხებოდა.

— აქედან შეიძლება ყველაფერი დაინახო, რაც კი დაბლა ხდება და ვერც ვერავინ შეგამჩნიოს. აქ ხანდახან გვარიანად ვიქცევ თავს. ამას წინათ ძისის როჯერის ქოხთან ახალგაზრდა კარპენტერი დაიძურწებოდა და ბუჩქნარში ელოდებოდა, როდის გავიდოდა შინიდან მოხუცი როჯერსი. შემდეგ კი დავინახე, სახლიდან მისის როჯერსი რომ გამოიძურწა და კარპენტერთან მივიდა. თუმცა თვითონ არაკი დაფიქრებულა, რომ შეიძლებოდა, ვინმეს შეემჩნია.

მისის მაკგიმ გაიცინა და მედისონის მორიდებულ თვალებს დაუწყო ძებნა, მაგრამ ვერ შეამჩნია, რომ სტუმარმა უეცრად შეიკრა წარბი. მის ნათქვამს მხოლოდ მისტერ მაკგი გაეხმიანა.

— სწორედ ამიტომ, — აუხსნა მედისონს მან. — არ ვაძლევ ჩემს სეიფს მაგ ქალებთან სიარულის ნებას. ოღონდ არა იმისათვის, თითქოს ოდესმე შე-

შემჩნიოს ასეთი ხიმანკლობა ანდა დიდად მეპიტნავებოდეს ვინმეს მოყარაულება, არამედ ასეთი წესი მაქვს მე. გესმით, რა მინდა გითხრათ?

— ეს თქვენი ძმაა იქ, არა? — ჰკითხა მისის მაკგიმ, ქმრის განმარტება მშვიდად უგულებელყო, მედისონს მიუბრუნდა და მოშორებით მომდგარ არტურისკენ ხელი გაიშვირა. — თან რატომ არ წამოიყვანეთ?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მედისონი შეყოყმანდა და მაკგის მიაცქერდა.

— იმისათვის არავის უთხოვია, — ხალისიანად გაეპასუხა ეს ვაჟბატონი. — სადაც ორია, იქ მესამე ზედმეტია! შენ როდი იცნობ იმას, ძვირფასო და კიდევ მთელი მეჩეჩი კი არ მომიპატიჟებია აქ. სწვდები ჩემს აზრს?

ამაზე მისის მაკგიმ არაფერი თქვა და ამჯობინა, მედისონისთვის პატარა ქოხი დაეთვალიერებინა. ოლონდ ვიწრო დერეფანში სტუმარს ჯერ ხელზე შეეხო, ხოლო შემდეგ, ფეხს რომ ითრევდა, რათა ქმრისათვის საშუალება მიეცა, ოთახიდან ოთახში შესძღოლოდა მათ, ერთხელ თუ ორხელ მაკგის მხრებზე-მოდან თვალებში უტიფრად ჩააცქერდა. დაბნეული მედისონი ცდილობდა, რამდენიმე ჩვეულებრივი სიტყვა ამოელერლა, მაგრამ ისე ნაძალადევად მოუვიდა, რომ თვით მაკგიმაც კი აშკარად შეამჩნია ეს. შედეგი კიდევ უფრო შემაცბუნებელი გამოდგა.

— გამოიხედეთ აქეთ, — მიმართა მაკგიმ და მოულოდნელად იბრუნა პირი მათკენ, — მე მგონი, თითქოს ორივეს გსურთ ძველ ამბებზე მასლაათი, ჰოდა, მე აგერ ნაკვეთისაკენ გავუყვები და ცოტას წავიმუშავებ. ჩემგან ნურაფერი გეუხერხულებათ. და თუ ეგ, — თითით ანიშნა მედისონზე, — ლვთისმოსაობას დაიწყებს, ნურც მაგისგან გეუხერხულება რაიმე. ეს არ გავნებს, სეიფი... უფრო მეტად არ გავნებს, ვიდრე ჩემი დამბაჩა... ოლონდ ძალიან კი ათვინიერებს ადამიანს და... გესმის? სწვდები ჩემს აზრს, არა? აბა, ნახვამდის!

მაკგი მკვირცხლად გატრიალდა და მალე დაიკარგა ხეებს შორის. შემცბარმა მედისონმა გაიფიქრა, უკან დასდევნებოდა მასპინძელს, მაგრამ მისის მაკგის გიჟმაჟი თვალები და მოლიმარი სახე დაუყოვნებლივ ჩადგა სტუმარსა და კარს შუა. თუმცა დიასახლისმა გული მაინც დაიმშვიდა და სრული ფარისევლური სიდინჯით გაიშვირა ხელი სკამისკენ.

— დაჯექი, ძმაო უეინ, თუ საკუთარ რჯულზე აპირებ ჩემს მოქცევას, მოგეხსენება, რომ ამას გარკვეული დრო სჭირდება და შეგიძლია, ცოტა მოხერხებულად მოეწყო. რაც შემეხება მე, აგერ დავიკავებ მონანიე ცოდვილის ადგილს.

მისის მაკგიმ მედისონისათვის კარგად ნაცნობ ქალიშვილურ ყაიდაზე გაიცინა, მკვირცხლად ახტა, მაგიდაზე ჩამოჯდა, ხელები მუხლებზე დაიწყო და კოხტა ფეხსაცმელებით დამშვენებული ფეხების წინ და უკან ქნევას მოჰყვა.

სასოწარკვეთილ მდუმარე მედისონს ფერმკრთალი, შეწუხებული სახე და ანთებული თვალები მიეპყრო მისთვის.

— ანდა, თუ ისე ლაყბობა გინდა, როგორც ინგელოზში ვლაყბობდით ხოლმე, მედ, როცა მე და შენ წინა კიბის საფეხურებზე ჩამოვსხდებოდით, მამა და დედა კი შინ შედიოდნენ, ჩვენთვის თვალი რომ მოერიდებინათ, მაშინ შეგიძლია შენც ამოხტე და გვერდითაც მომიჯდე.

ქალმა ისე მოიკატუნა თავი, თითქოს ჩიბორის ყალთებს ისწორებსო.

— სეიფი! — ისეთი ხმა ამოხდა უბედურ ადამიანს, რომ, ეტყობოდა, მღელვარების აშკარა გაძლიერებასთან ერთად თანდათან უფრო ლაღი და

ძლიერი უხდებოდა, — ეს შეუძლებელია. ნება უფლისა, რამაც შეგაერთაო შენ და ეგ კაცი...

— ოჰო! წირვის გამართვას აპირებ, არა? — უთხრა სეიფმა და [illegible] ცური მორჩილებით კვლავ გაისწორა კაბა. — განაგრძე.

— მისმინე, სეიფი, — უთხრა მედისონმა და სასოწარკვეთილ [illegible] და მას. — მოდი, უფლის გულისთვის, მოდი, ჩვენი ძვირფასი [illegible] წარსულის გულისთვის, ვილაპარაკოთ წრფელად და ღვთისნიერად. მოდი, გამოვიყენოთ ეს დრო, რათა ჩვენი სუსტი გულებიდან ამოვიკვეთოთ ყოველი მძაფრი სურვილი, რომელიც არ არის შთაგონებული უფლის მიერ... მძაფრი სურვილი, რასაც შენი ურთიერთობა ამ კაცთან ხდის დაუშვებელსა და ცოდვეულს. მოდი, ჩვენი წარსულის გულისთვის, ვესაუბროთ ერთმანეთს თუნდ როგორც ძმა და და...

— დაია მაკგი! — დამცინავად შეაწყვეტინა ქალმა, — მაშინ არ მექცეოდი ძმასავით, როცა სიყვარულს მიხსნიდი ანგელოზში?

— არა! მაშინ მიყვარდი და ცოლად უნდა მომეყვანე.

— და მეტად აღარ გიყვარვარ, — მოურიდებლად შეესიტყვა იგი და უტიფრად შეაცქერდა თვალებში, — მხოლოდ იმიტომ, რომ ცოლად ვერ გამოგყევი? და მაგას თვლი ღვთისნიერად?

— შენ იცი, რომ მე ახლაც ისევ ისე მიყვარხარ, როგორც აქამდე მიყვარდი, — მხურვალედ გაეპასუხა მედისონი.

— ჩუმად! — დამცინავად მიმართა ქალმა, — ვთქვათ, გაიგონოს იმან?

— იმან უკვე იცის ეს! — მწარედ მიაგება მედისონმა. — მე ყველაფერი ვუამბე!

მისის მაკგი დაჟინებით მიაშტერდა მედისონს.

— შენ... უამბე... იმას... რომ... ჯერ კიდევ გიყვარვარ? — ნელ-ნელა ჩამომარცვლა მან.

— დიახ, თორემ ახლა არც ვიქნებოდი აქა. ეს იყო ჩემი მოვალეობა მის მიმართ და... საკუთარი სინდისის მიმართაც.

— მერე რა თქვა?

— უფრო დაბეჯითებით მოისურვა, რომ დავეპატიჟებინე და, თავად მეუფეა ჩემი განმკითხველი და მოწამე... კმაყოფილი და ნასიამოვნები ჩანდა.

მისის მაკგიმ მშვენიერი ტუჩები მოკუმა და გაბმულად დაუსტვინა, მერე კი მაგიდიდან ისკუპა, სახე .რომ დაეძაბა და თვალები წამოენთო, ფანჯარასთან მივიდა და გარეთ გააცქერდა. მედისონი გაუბედავად მიჰყვა უკან.

— არ მომეკარო, — უთხრა ქალმა და მის გამოწვდილ მარჯვენას უკმეხად გაჰკრა ხელი. სახეაწითლებული მედისონი მოტრიალდა და კარისკენ აუჩქარებლად გაემართა. მისის მაკგის სიცილმა შეაჩერა იგი. — დიახ! მე მგონია, ხელის ჩამორთმევა არ უნდა შეადგენდეს სენდისთან დადებული გარიგების ნაწილს, — შენიშნა მან და ხელზე დაიხედა. — აბა, მართლა მიდიხარ?

— მე მინდოდა, მხოლოდ წესიერად და ღვთისნიერად მელაპარაკა შენთან რამდენიმე წუთს, სეიფი, შემდეგ კი... მეტად აღარასოდეს მენახე.

— მერე როგორ მიიღებდა სენდი ამას, — მშრალად დაეკითხა მისის მაკგი, — თუკი შენთან მეგობრობა ნებავს? მაშასადამე, მხოლოდ იმიტომ, რომ, ერთი პირობა, ჩემს მორჯულებასა და საკუთარი ფიქრების კვალობაზე მოქცევას ვერ ახერხებ, შენ გგონია, აქედან ეგრე გაქცევა ღვთისნიერი საქციელი იქნება! ანდა, გგონია, თუ ახლა კუდს ამოიძუებ და გაიპარები, სენდი ვერ

დაიჯერებს, რომ შენი ქრისტიანული ძალმოსილება და ქრისტიანული მორჩილება სულ თვალთმაქცობაა?

მედისონი სკამზე დაეშვა, იდაყვები მაგიდაზე დაწყო და [illegible] ხელებში ჩაირგო. მისის მაკგი ცოტა უფრო ახლოს მოდგა და მკლავზე ხელი [illegible] შეახო. მედისონი შეიშმუშნა, თითქოს მისთვის ხელზე ხელის მოდება უნდათ. მაგრამ ქალმა მოუთმენლად დაიხია უკან.

— გონს მოდი, — უკმეხად მიმართა მან, — ახლა [illegible] ფერხულში და ბოლომდე უნდა მიჰყვე თამაშს. სენდი გენდობა და თუ შეგამჩნია, რომ თვითონ არ ენდობი საკუთარ თავს, დაუყოვნებლივ გაგიფრთხილებს სულს. არ გაშინებს ეს? აბა, იქნებ ამან შეგაშინოს! სენდი იტყვის, მაგის ღვთისმოსაობა მოტყუებაა, თვითონ კი თვალთმაქცია, ჰოდა, იმას ყველა დაუჯერებს. როგორ მოგწონს ეს, ძმაო უეინ? [illegible] მოეხმაურება ეს შენს სამლოცველოს? გონს მოდი! თქვენ ორივენი აფრიკადა ხართ, მაგრამ ამჯერად იმან გაჯობა ჭკუით. ახლა ისლა დაგრჩენია, მისი ნდობა შეინარჩუნო. მოიკრიბე გამბედაობა და იარე აქ, რაც შეიძლება, ხშირად... რაც უფრო ხშირად ივლი, მით უკეთესი. მით უფრო მალე მოგბეზრდებათ ერთმანეთი... და, მეც ამას ესწრაფვით ორივენი, არა? დიახ! ახლა შემიძლია გაუწყო, რომ ჩემგან არც ერთსა და არც მეორეს იოტისოდენა საშიშროება არ მოგელით.

მისის მაკგი კვლავ ფანჯარასთან მივიდა, ოღონდ ამჯერად კი ალარ ჯავრობდა, არამედ ღია ფერის კაბის ნაკეცებს ისე ისწორებდა, თითქოს ქმრისა და მისი სტუმრის საჩოთირო დაახლოებისაგან ხელს იბანსო. მედისონს კი რალაც ამქვეყნიური, მამაკაცური სირცხვილისათვის ძალიან მიმსგავსებული გრძნობა გამოუკრთა სარწმუნოებრივი ქერქიდან და ენის ბორძიკით ამოთქვა:

— შენ ჩემი ვერაფერი გაიგე, სეიფი.

— მაშინ ისეთ [illegible] რამეზე ილაპარაკე, რომ გავიგო, — მკვირცხლად მიაგება ქალმა. — მომიყევი ანგელოზის ახალი ამბები. იქ ამას წინათ შენი ძმა ყოფილა და მთლად მოუხიბლავს ყმაწვილი ქალები... ასე გავიგე მისის სელვიჯისაგან. ყველაფერი ჩამოფქვი, მდინარის ნაპირ-ნაპირ რომ ვიარეთ სენდის ნაკვეთისკენ. ახლა უკვე კარგი დროა შენი წასვლისა, რადგან ეს პირველი სტუმრობაა, მომავალში კი, შეიძლება უფრო მეტხანს დარჩე.

მისის მაკგიმ ოთახის კუთხეში გადაინაცვლა, კოხტა ქოშები გაიხადა და სამგზავრო ფეხსაცმელების ჩაცმას შეუდგა, ზონრებს რომ ისკვნიდა, ფეხს სკამზე უხალისოდ ადგამდა და სტუმრის ახლო ყოფნას მშვიდად უგულებელყოფდა. კედლიდან ჰოლანდიური მუქი ყავისფერი ფართოფარფლიანი ქუდი ჩამოიღო, კიდევ უფრო მუქყავისფერ თმასა და ჩამოშვებულ ნაწნავებზე ჩამოიფხატა და, თუმცა ქუდი საკმაოდ უხდებოდა, ნიკაპის ქვემოთ მაინც ისე შეისკვნა, კოპწიობას სულაც არ მოჰყოლია და სტუმრისაკენ ერთხელაც არ გაუხედავს აფსუს, მედისონის სარწმუნოებრივი ზნეობა! შეყვარებულის კაცობის ასე უჩვეულოდ დამცირება, შეყვარებულის ასე მდუმარედ გაბიაბრუება, თითქოს ის მის ქმარზე რალაც უფრო მდარეც კი ყოფილიყოს, მისის მაკგის მაცდუნებელი სიტყვებისა და ახალგაზრდული ზიზღისაგან გამოწვეულ წამებას მევრად აღემატებოდა. მედისონს, ფეხდაფეხ რომ მიჰყვებოდა მისის მაკგის, ლოყებზე ალმური მოსდებოდა, მთელი სხეული უცნაურად აღგზნებოდა და, სამწუხაროდ, ღვთიური საათნოების ნატამალიც ალარსად შემორჩენოდა. წინ ტირიფები აქეთ-იქით იწეოდნენ, მათთვის გზა რომ გაეხსნათ, და უკან ისევ ისე ერთდებოდნენ.

ერთი საათის მოგვიანებით მისის მაკგი მარტოდ დაუბრუნდა მწვანე ფოთლებით დაბურულ სამყოფელს. ფარფლიანი ქუდი მოიხადა, ლურსმანზე დაკიდა, ნაწნავები დაბლა ჩამოიყარა, ქმრის ნაკვეთის ტალახით მოსვრილი ფეხსაცმელები გაიხადა და ისევ ქოშები ჩაიცვა. შემდეგ პატარა აივანზე თავის ბუდეში ავიდა და მზით გაჩახჩახებულ მეჩეჩს ლიმილით დააცქერდა. ქმრისა და შეყვარებულის ტყუპებივით გადაბმული, ორი დაგრძელებული, ჩოდილნელ-ნელა მიჰყვებოდა მდინარის ნაპირს ალვის ხეთა ჩაბნელებული ჩხარებსაკენ. მისის მაკგის ქვემოთ, თითქმის ზედ მის ფეხთით, უმცროსი არტურ უეინი მდინარის ძველ კალაპოტში, კონცხთან შორიახლოს მუშაობას განაგრძობდა და ვერაფერს ამჩნევდა. არტურს მზის შუქი ეცემოდა მბზინვარე ალისფერ პერანგზე, შიშველ კისერსა და გაოფლილ კულულებიან თავზე. იგივე მზის შუქი ეცემოდა მისის მაკგისაც ყავისფერ თავზე და, ალბათ, იმან ჩაუნერგა უკეთური აზრი შიგ. საწოლ ოთახში შეირბინა, კედლიდან სარკე ჩამოხსნა, მსწრაფლ კარში გამოიტანა, რამდენჯერმე შეატრიალ-შემოატრიალა, შესაბამისი კუთხე იპოვა და სინათლის ანარეკლი იმ ადგილს მიმართა, სადაც არტური მუშაობდა.

ერთხანს არტურის ირგვლივ ბრილიანტისებური ციაგი ათამაშდა. შემდეგ თავი ასწია და მაღლობის თხემისკენ ცნობისმოყვარედ მიაბრუნა. მომდევნო ხანს კი დაბრმავებულსა და უკვე მოღიმარ თვალებზე ხელები მოიჩრდილა, ხოლო ფოთლოვანი ფანჩატურის სიბნელეში შემალული მისის მაკგი უკან გადაიხარა და ნამდვილი მოსწავლე გოგონასავით ახითხითდა..

გავიდა სამი კვირა და მედისონ უეინი თავის ქოხში ისევ მარტო იჯდა. ბოლო ხანს უფრო ხშირად რჩებოდა ხოლმე მარტო, რადგან უმცროსი ძმა ატყდა, წესების აღსრულებას აშკარად არიდებდა თავს და მეჩეჩის ფუქსავატურ გართობაში მონაწილეობას ამჯობინებდა. მედისონი ძალიან განიცდიდა არტურის განდგომას, მაგრამ სხვა ამბებს ისე ძალიან შთაენთქა, აღარ შეეძლო მისი ქცევისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭებინა, ხოლო ძმის მიწიერი ტკბობითა და განუსჯელობით გამოწვეული ტკივილი საკმაოდ აგრძნობინებდა, რომ ამაში ნაწილობრივ თავადაც მიუძღოდა ბრალი. როგორღა უსაყვედურებდა ძმას, როცა თვითონ მის გულს დაუფლებოდა მეზობლის ცოლის სიყვარული და, თუმცა თავის უგერგილო განზრახვას მკაცრად მისდევდა, თავის თავს იმცირებდა და მაკგის ხათრს არ უტეხდა, მაინც მისი ქოხის ხშირი სტუმარი ბრძანდებოდა. ცხადია, მისის მაკგი სტუმარს მძიმე ტვირთის ზიდვას უადვილებდა, სახელდობრ, უსიტყვოდ ეთანხმებოდა ძალი ურთიერთობის პირობებს, უფრო ბუნებრივად იქცეოდა, უფრო მეტ მხიარულებას ამჟღავნებდა და ხანდახან გარკვეულ ლმობიერებასა და ყურადღებასაც იჩენდა, რაც ქმარა ახარებდა, შეყვარებულს კი აკვირვებდა. ასეთი საოცარი ცვლილება მართლა ამ უკანასკნელის მკაცრი ღვთისმეტყველების გავლენამ მოახდინა თუ კიდევ უფრო ირასაიმედო ქცევის წესებმა, თავად როდი შეეძლო ეთქვა. იმ იშვიათ ვითარებაშიც კი, როცა მედისონი ქადაგებას მოჰყვებოდა, მისის მაკგი რასაკვირველია, არც ამ ზნეობრივი წესების მიბაძვას ამჟღავნებდა და. ეტყობოდა, არც აღტაცებული რჩებოდა. ოღონდ მაინც ემჩნეოდა, რომ ეს ორი მამაკაცი თითქოს ხორციელადაც კი შეეერთებინა, რაც უფრო მეტად მაშინ მჟღავნდებოდა, როცა ორივეს შუაში ჩაუდგებოდა, აქეთ-იქით ხელმკლავს გამოსდებდა. მდინარის ნაპირზე ხალისიანად მისეირნობდა და მთელი მეჩეჩი განცვიფრებული და აღტაცებული უყუ-

რებდა. ამბობდნენ, მისტერ ჯეკ ჰემლინმა, ცნობილმა მემორინემ, უეინის მეჩეჩი საქმიანი სურვილით მოინახულა და, ვითარცა ქალთა სილამაზისა და სისუსტის დიდმა მცოდნემ, მეზობლებს თავისი მშვენიერი წამწამები ... ქვემოდან თვალი შეავლო და ერთადერთი შეკითხვა მისცა, რამაც მეჩეჩის ... მობინადრენი იმდენად გაამხიარულა, მედისონ უეინმა წარბები ... ტურ უეინს კი ლოყები აუელვარდაო. მისტერ ჰემლინმ ... ღუშვა აინუშშიაც არ ჩააგდო, ოღონდ ცოტაოდენი ყურადღება მიაქცია უმცროსი ძმის წამოწითლებას და კიდევ უფრო მეტი — ... ნავ კეკლუც გამოხედვასო. ასეა თუ ისე, როგორც ზოგიერთი ზნეთმქადაგებელი გონებამახვილურად მიუთითებს, ორივე სქესის თავქარიანობა და ქარაფშუტობა რაღაც იდუმალი ჩვეული ალღოთი გებულობენ ერთმანეთსო, ჩვენი მატიანის მსჯელობის საგანი ვერ გახდება. ისიც საკმარისია, რომ მომხდარი ამბავი აღინიშნება.

და მაინც მედისონ უეინი თავისი გარჯილობით კმაყოფილი უნდა ყოფილიყო. გაღებულ მსხვერპლს შედეგი მოჰყვა. ბედნიერი გამოსვლა სახიფათო მდგომარეობიდან და ბედნიერი გამარჯვება კიდევ უფრო სახიფათო საცდურზე სავსებით სრულყოფილი და წუნდაუდებელი გამოდგა და, თანახმად მონანიებისა და სულიერი აღორძინების საკუთარი მკაცრი მოძღვრებისა, წარმატებითაც დასრულდა, თუმცა მედისონი მაინც არ ყოფილა ბედნიერი. ზოგჯერ ადამიანის გული უცნაურად დაუოკებელია და იმ საღამოს, როცა ჩამომდგარ სიბნელეში იჯდა, წიგნი, მისთვის სიამე და სიმშვიდე რომ უნდა მოენიჭებინა, გადაუშლელი ედო მუხლებზე.

გარეთ ქვიშაზე დაბიჯებული ფეხის ხმა ძალიან ნაცნობი გამხდარიყო და მედისონს ვეღარ შეაკრთობდა. ეს იყო მისტერ მაკგი, ვინც ქოხში ისე ულიმღამოდ შემოხეტიალდა, როგორც დაღვრემილი აჩრდილი. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ ორი უცნაურად განსხვავებული მამაკაცის მეგობრობა, თუმცა გულწრფელსა და თანამგრძნობელ ხასიათს ატარებდა, მხიარულებას მაინც ვერ იწვევდა. ერთგვარი დაჯერებულობა ადამიანთა მოდგმის სრულ გარყვნილებაში, რასაც ზღვარს უდებდა მხოლოდ უკიდურესი შიში სასჯელისა და მისაგებელისა, ხორციელისა თუ სულიერისა, შეუძლებელს ხდიდა საუბარი გამოეცოცხლებინა და გაეხალისებინა. მათი ლაპარაკი უმთავრესად მეჩეჩის ცხოვრების ნაღვლიან მატიანეს შეეხებოდა და თავისთავად საბრალდებო ოქმს წარმოადგენდა. იმ საღამოს მისტერ მაკგი ამბობდა, მისტერ ჯეკ ჰემლინი ჩამოსულაო და ორივე სინანულს გამოთქვამდა, მეჩეჩის მობინადრეთა მძიმე შრომით გამომუშავებული სახსრები და ძვირფასი დრო ამ გამჭრიახი ვაჟბატონის საქმიანობაში უქმად იფლანგებაო.

— არა, — ფრთხილად დაუმატა სტუმარმა, — მაგრამ, ალბათ, საკმაოდ დაუცდენლად ისვრის და, გამიგონია ტყუილი არ უყვარსო. ეს, შესაძლოა, ასეა და კარგს არაფერს უქადის თქვენს ძმას, ძალზე ხშირად რომ იმყოფება იმასთან, თუმცა, შესაძლოა, ამას სხვა თვალითაც შეხედოს კაცმა. გესმით, რა მინდა გითხრათ? სწვდებით ჩემს აზრს?

მიუხედავად ყოველივესი, იმ საღამოს, ნაწილობრივ უეინის დაბნეულობის გამო, ხოლო ნაწილობრივ მაკგის ენაბლუობის გამო, ჩვეულებრივზე მეტად რომ შიშობდა, ეაითუ, სათქმელი გასაგებად ვერ ვთქვაო, ეტყობოდა, საუბარი ულიმღამოდ მიმდინარეობდა. ქოხში უკვე სავსებით ბნელოდა, როცა ბოლოს და ბოლოს მაკგი თავის ჩვეულ შესასვენებელ ადგილს, კარის წირთხლს,

მოშორდა, ფანჯარასთან გადაინაცვლა და უფრო დანაღვლიანებული, ვიდრე ოდესმე, უეინის სკამს დაეყრდნო.

— მე მინდა რაღაც გითხრათ, — ნელ-ნელა განაგრძო მან, — და [illegible] ველია, სწორად გამიგოთ... სწვდებით ჩემს აზრს? დიახ, არამც და [illegible] არც შარს გდებთ, არც საყვედურს გეუბნებით და არც ჩრდილს [illegible] გესმით, რა მინდა გითხრათ? იმ დღიდან, რაც ჩვენ ვილაპარაკეთ [illegible] ჩვენ ჩი და სეიფის შესახებ, იმ დღიდან, რაც თქვენი ცხოვრების გზა და ფიქრების ყაიდა გავიგე, მე ისე მჯეროდა თქვენი და იმისა, თითქოს დამბაჩით ფეხდაფეხ დაგდევდით. და ახლაც მჯერა თქვენი... ხვდებით, რა მინდა გითხრათ? გესმით? თქვენ ბევრი სიკეთე გვიყავით მე და იმას. სეიფი თითქმის სხვანაირი ქალი გახდა იმის შემდეგ, რაც ხელი მოჰკიდეთ მაგას, და, თუ ოდესმე ინებებთ ავდგე და „ფიცით ვამტკიცო", როგორც ამბობთ ხოლმე, საბოლოოდ, სენდი მაკგი მზად არის. აი, რა მინდოდა მეთქვა. თუმცა მე ვგებულობ თქვენს გულისთქმას, თქვენს საქმიანობას და თქვენი ცხოვრების გზას... მაგრამ მოიძევებიან სხვა ადამიანები, რომლებიც ვერ გაიგებენ... სწვდებით ჩემს აზრს? გესმით, რა მინდა გითხრათ? აი, სწორედ იმაზე ჩამოვარდა სიტყვა. დიახ, ჰო, გუშინ საღამოს, როცა თქვენ და სეიფი ქვედა ბილიკით წყლის ნაპირას მისეირნობდით, მე კი უცაბედად თავზე წამოგადექით...

— ტყუილია, — საჩქაროდ შეაწყვეტინა მედისონმა, — თქვენ სცდებით. მე არ ვყოფილვარ...

— მოითმინეთ, — მშვიდად მიმართა მაკგიმ, — ვიცი, რომ გზიდან მანამდე გადაუხვიეთ, სანამ თქვენ დამინახავდით მე, ან მე თქვენ, რადგან არ გეგონათ, თუ ეს მე ვიქნებოდი, ვერ გებულობთ? ვერ სწვდებით ჩემს აზრს? ჰოდა, სწორედ აგრეა საქმის ვითარება! მეჩეჩიდან სენდის გარდა, შეიძლებოდა, სხვასაც დაენახეთ. გაიგეთ? ამიტომ მანამ იცვალეთ გეზი, სანამ თქვენს ცნობას მოვასწრებდი, ამიტომ საწყალი სეიფი პირველად ისე ძალიან შეშფოთდა. გაქცევას აპირებდა, ვინემ კვლავ გონს მოეგებოდა. ბოლოს, რასაკვირველია, სეიფიმ გაიცინა და კვერი დაგიკრა, სენდი სხვაში შეგეცვალაო.

— ტყუილია, — საჩქაროდ ამოიგმინა მედისონმა, — მე გუშინ საღამოს სულაც არ ვყოფილვარ იქ.

— რა?

ორივე მამაკაცი ერთდროულად წამოიმართა და პირისპირ დაუდგნენ ურთიერთს. მაკგიმ გულთბილად და თითქმის გამომცდელად დააფო მხარზე ხელი უეინს და ფანჯრისაკენ ოდნავ მიაბრუნა, მისი სახისათვის თვალი რომ შეევლო. მაკგის მოეჩვენა, თითქოს მედისონს სახე გაფითრებული და შემცბარი ჰქონდა.

— თქვენ... არ ყოფილხართ... იქა... გუშინ საღამოს? — ნელ-ნელა და მოთმინებით გაიმეორა მან.

ძლივს გავიდა წამი, მაგრამ მძიმე სულიერი ტანჯვა, თითქოს სრული საათი აწვალებდა უეინის შეგნებას, ვიდრე სიტყვა დასცდებოდა. შემდეგ მთელი სისხლი სახეზე შემოაწვა და პირველად ამოილუღლუღა ტყუილი:

— არა! დიახ! რასაკვირველია. შეცდომა დავუშვი... ის მე ვიყავი.

— მესმის... თქვენ ფიქრობდით, გაჯავრებულიაო? — მშვიდად დაეკითხა მაკგი.

— არა. მე ვფიქრობდი, რომ ეს იყო გუშინწინ საღამოს! რასაკვირველია, ეს იყო გუშინ საღამოს. შეიძლება სისულელე წამოვრომე.

მედისონს სიცილი მოერია, რაც ძალიან იშვიათად სჩვეოდა, და ახლა ისე ნაძალადევი გამოუვიდა, რომ მაკგი ამან უფრო განაცვიფრა, ვიდრე მისმ- დაბნეულობამ. უეინს ფიქრიანად შეავლო თვალი და შემდეგ ნელ-ნელა ამო- ღერღა.

— ალბათ, გუშინ საღამოს ნამეტნავ მოულოდნელად წამოვიქეცი თავს, მაგრამ, იცით რა, მე სხვა რამეზეც ვფიქრობდი და სულ [illegible] ბრონ შეიძლებოდა, თქვენ ყოფილიყავით იქა. თუმცა მე არ გავჯავრებულვარ... არა! არა!..და ახლა ამის თაობაზე მხოლოდ იმიტომ გელაპარაკეთ, რომ საჭიროა, უფრო ფრთხილად მოიქცეთ ხალხის წინაშე. სწვდებით ჩემს აზრს? გესმით, რა მინდა გითხრათ?

მაკგი შებრუნდა, კართან მივიდა და გაჩერდა.

— სწვდებით ჩემს აზრს, არა? ეს არც უკეთურობით მომსვლია და არც უნდობლობით, ვერ გაიგეთ? იქნებ არც უნდა მელაპარაკა. მე უნდა შემეხ- სენებინა, რომ ზოგჯერ მაგნაირი ამბავი საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში გაყე- ნებთ თქვენ და იმას, სწვდებით ჩემს აზრს? გესმით, რა მინდა გითხრათ? ღამე მშვიდობისა.

მაკგი ნელ-ნელა გაჰყვა მდინარისაკენ მიმავალ ბილიკს. მედისონ უეინი რომ დაჰკვირვებოდა, ნამდვილად შეამჩნევდა, რომ მაკგის თავი ჩაეკინდრა და ნაბიჯი მოშვებოდა. მაგრამ ამ დროს მედისონ უეინი თავის ქოხში იჯდა და განდეგილის პირქუში დაძაბულობით უტრიალებდა ერთადერთ საშინელ ეჭვს.

თავი მეოთხე

მიუხედავად ამისა, მომდევნო დილას და მერმინდელ ხანსაც, მზე მხია- რულად დაჰქათქათებდა არემარეს, სიცოცხლისა და გარჯილობის სუნთქვა ავსებდა ჰაერს; ახალშენს უფრო დიდი წარმატებისათვის არასოდეს მიუღწე- ვია, სახელდობრ, იმ კვირაში მდინარის ამომშრალი კალაპოტის დახსნილი საბადოებიდან ამოღებული წიაღისეულის რაოდენობა უზარმაზარ სიმდიდრეს შეადგენდა. ამბობდნენ, ძმები უეინები პირდაპირ „ოქროში ცურავენო“ მო- ბინადრეებს ბუნებრივად მიაჩნდათ, რომ მედისონ უეინს გაღიმებული ბე- დის ნიშან-კვალი არც სახეზე ემჩნეოდა და არც ქცევაში, მით უმეტეს, რომ ბოლო ხანს დაღვრემილი, ფიცხელი და მოუსვენარი ხდებოდა. ამგვარ განწყო- ბილებას სიძუნწისაგან გამოწვეულ უგუნებობას მიაწერდნენ და გაცილებით ხელგაშლილი არტურის უთავბოლო დროსტარებას უპირისპირებდნენ. თვით მედისონს კი ერიდებოდნენ და პატივს მიაგებდნენ, როგორც კრიჟანგს. მშვენიე- რი კონცხის ირგვლივ მისი ხანგრძლივი, განმარტოებული სეირნობა, მუდმა- ვი სიფრთხილე თუ შეკითხვაზე თავდაჭერილი პასუხი, თავიდან ბოლომდე განიმარტებოდა, ვითარცა გარკვეული თვისებები ისეთნაირი კაცისა, რომლის არსებაც მთლიანად ფულის შოვნას შთაენთქა. შესაფერის პატივისცემას, რა- საც სარწმუნოებრივი სიმარტოვე ვერ უხვეჭავდა, ფინანსური გულმოდგინებ- ძალდაუტანებლად უნაზღაურებდა. ოლონდ მისტერ მაკგის აგრერიგად როდი ეშლებოდა ანგარიში. ერთხელ მედისონს ტირიფნარში წამოეწია და თავისე- ბურ ყაიდაზე უსაყვედურა, ჩვენი უკანასკნელი საუბრის შემდეგ მისის მაკგისა და მისი სამყოფელის მონახულებას თავს არიდებთო.

— მე მგონია, თქვენი ღვთიური გული ბოროტებას ვერ დამალავდა, — უთხრა მაკგიმ, — მაგრამ აშკარად ეტყობა, თითქოს მე და სეიფის სულ შეგვაქციეთ ზურგი იმის გამო, რაც მაშინ გითხარით.

მედისონი კუშტად და თითქმის მკაცრად გამოთქვამდა უკმაყოფილებას. მაგრამ ამაოდ. მაკგიმ ნათელი, გამჭრიახი თვალებით თავიდან ფეხამდე შეათვალიერა იგი და შემდეგ რამდენიმე წუთს უჩვეულოდ დუმდა. ბოლოს ნელა ნელა წამოღერღა.

— ვფიქრობ, აგერ ფრისკოში ჩავიდე და ერთობ ბევრი დარდი გადამეყრებოდა გულიდან თუ სიტყვას მომცემდით, რომ ქამიდანჟამზე ყურს მიუგდებდით სეიფის.

— თქვენ მართლა ხომ არ აპირებთ, სეიფი აქ მარტო დატოვოთ? — მკვახედ ჰკითხა უეინმა.

— რატომაც არა?

უეინს წამით ყოყმანი დაეტყო, შემდეგ კი გაცხარებით ალმოხდა.

— უამრავი მიზეზის გამო. თუ სეიფის თქვენი მფარველობა ესაჭიროებოდა წინათ, ნამდვილად ესაჭიროებოდა ახლაც. გგონიათ, მეჩეჩი ნაკლებ წარმართული გახდა ან უფრო ღვთიური, ვიდრე მაშინ, როცა ფიქრობდით, დამბაჩით მისი მომწყემსვა აუცილებელიაო? ადამიანო! მეჩეჩი ათასგზის უარესია დღეს, ვინემ მაშინ! ახალ საბადოებზე დაძრწიან მსტოვარი მაწანწალები... ისეთი მგლები, როგორიც ჰემლინი და მისი ამფსონები ბრძანდებიან. მაგ კერპთაყვანისმცემლები სიამოვნებით ალმართავდნენ სამსხვერპლოებს ბაალისა და აშტორეთისათვის აქა... და თქვენს საცხოვრებელს სოდომის წყევლაკრულვით აავსებდნენ!

საღვთო წერილიდან მოშველიებულმა სიტყვებმა მოახდინა გავლენა თუ მოუბრის უჩვეულო მბრძანებლურმა მოქცევამ იმოქმედა, ღმერთმა უწყის. მაკგის ნათელ თვალებში შვებისა და აღტაცების შუქი აშკარად გაუკრთა.

— და სწორედ თქვენ ბრძანდებით ისეთი ადამიანი ვისაც შეუძლია, მათ გაუმკლავდეს, — უთხრა მაკგიმ და უეინს მკლავზე ხელი მოუცაცუნა. — ახლა თქვენი სვლაა... და ბოლომდე მიჰყვებით!.. ხოლო, — ხმადაბლა დაუმატა მან. — მე და ჩემმა დამბაჩამ უკვე დავამთავრეთ თამაში. — მაკგის ლაპარაკის კილოში გამოსჭვიოდა ერთგვარი უცნაურობა, რამაც განსაკუთრებით მიიპყრო უეინის ყურადღება.—დიახ,—მაკგიმ წვერზე ხელი ნელა მოისვა და განაგრძო. — ჩემნაირ ადამიანებს აქვთ თავისი დრო და დამბაჩებსაც აქვთ თავისი დრო ქვეყანა ბრუნავს და მეჩეჩიც ივსება ხალხით, და ე მაგ მდინარეც იცვლის მიმართულებას... ერთი სიტყვით, ყველაფერს თავისი გზა-კვალი მოეძებება გესმით, რა მინდა გითხრათ... სწვდებით ჩემს აზრს?.. და თუ მე რაიმე შემემთხვეოდა... არა, საქმე არც ისეა... მაგრამ ადამიანი ყველაფერს უნდა მოელოდეს... მე მსურს ყური უგდოთ სეიფის. ყველა ქალს როდი ჰყავს ორი მამაკაცი, ერთმანეთისათვის ასე მიმსგავსებული და მიუმსგავსებელი, დარაჯის მოვალეობას რომ ასრულებენ. სწვდებით ჩემს აზრს... გესმით, რა მინდოდა გითხრათ?

ამ სიტყვებით მაკგი რამდენადმე ანაზდეულად დაშორდა უეინს, კონცხის თხემისაკენ მიმავალ ბილიკს მიუბრუნდა და თავისი მეგობარი ნაღვლიან ფიქრებში ჩაძირული დატოვა.

მეორე დღეს ალექსანდრე მაკგი სან-ფრანცისკოს გაემგზავრა რაღაც საქმეზე

თავისი მძიმე სულიერი განწყობილების დროს, ახალი მოვალეობა რომ დაეკისრა და, ამასთანავე, სურდა ჩაფიქრებული გეგმა ბოლომდე მიეყვანა, რასაც, როგორც ბუნდოვნად გრძნობდა, შეიძლებოდა აკვიატებული ეშმინელი აზრისაგან გაეთავისუფლებინა, მედისონ უეინს კიდევაც მოეფონა, რაკი ძმაბაც საკუთარი განზრახვა აუწყა, რამდენიმე დღით ანგელოზში წასვლას [illegible]ებრებო.

მაკგისთან იმ ღირსსახსოვარი საუბრის შემდეგ მედისონ [illegible] ფიქრობდა, რომ სეიფი მალულად ხვდებოდა ვილაცას. იყო ეს თავნება ქალის განუსჯელი და ხანმოკლე გატაცება თუ საგანგებოდ დაგეგმილი სატრფიალო ეშმაკობის ჩვეულებრივი გაგრძელება, მედისონს ისე ძალიან როდი აწუხებდა, როგორც საკუთარი მოქმედების უმართებულობა და თვალთმაქცური სიცრუე, რომლითაც ქალი და მისი საყვარელი გადაარჩინა.

რომ მედისონს ამ გადამწყვეტ ვითარებაში არ შეეძლო შეცოდებისა და უზნეობის გამოვლენა „ფიცით ემტკიცებინა": რომ მკაცრად სჯეროდა (ასეთია ღვთისმოსავი ფანატიკოსის წრესგადასული პატივმოყვარეობა), თითქოს ყოვლადძლიერს უკეთური მოქცევით ხელი შეუშალა, გადაერჩინა იგი. და რომ მიცემული სიტყვა გაეტეხა ქმრისთვის, ვინც თავისი ცოლის ღირსების ზედამხედველობა ანდო, ეტყობოდა, უფრო მიუტევებლად ეჩვენებოდა, ვიდრე ქალის ორგულობა. პირველად შეძრწუნებულ მედისონს ეშინოდა სეიფი ენახა, რადგან კარგად იცოდა თავის მიმართ საცოლოყოფილის მოურიდებელი გულახდილობა, ქალის პირუთვნელ აღიარებას კი საქმროყოფილისათვის მისივე თანამონაწილეობის სიგრძე-სიგანეც უნდა გამოეაშკარავებინა. უკანასკნელი შეხვედრის მომდევნო ხანს და, საერთოდ, მაკგის შინ არყოფნის ჟამს, მედისონი თავს ირწმუნებდა, რომ მის უშუალო მოვალეობას შეადგენდა, ებრძოლა და ალმოეფხვრა ქალის სულიერი სისუსტე რათა დაეყოლიებინა იგი, ჩადენილი სატრფიალო ეშმაკობა ქმრისათვის გაემხილა, შემდეგ კი შუამდგომლობა გაეწია, პატიება ეთხოვა მისგან. ასე გამოიყურებოდა მედისონის სარწმუნოებრივი შეხედულებების არათანმიმდევრული მხარე, ხოლო ადამიანურ ვნებაში უფროს უეინს ნამდვილად ახასიათებდა უანგარობა და ქალისათვის თავისი შეურაცხყოფა უკვე მიეტევებინა. მაშასადამე, ახლაც უნდა ნახოს იგი!

წყნარი, დაძაბული ღამე იყო, სავსე მთვარე მოლივლივე შუქს უხვად აბნევდა, ლურჯ მდინარეს ზაფხულის ელვასავით მთრთოლვარე ისრებს აყრიდა და ვიწრო ბილიკს, ტირიფებს შორის კონცხის თხემისკენ რომ მიიკლაკნებოდა, დახლართული არშიების უცნაური საბურველით ამკობდა. მიწის პირიდან გახურებული ფიქვების მშრალი, გამაბრუებელი მტვრისა და ფისის საკმეველი ამოდიოდა; ველური უცვეთელები მომქანცველ სურნელს ფანტავდა; ბუჩქოვანი აბზინდები მოუხელებელ, ქალურ სუნს აფრქვევდა და ირგვლივ სიჩუმის განუსაზღვრელი იდუმალება მეფობდა. ამ სიჩუმეს ჟამიდანჟამზე ოდნავ არღვევდა ჩამოცვენილი ფოთლების სათუთი, გაურკვეველი ჩურჩული, ხეთა წვეროების ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხვნეშა და გამოლვიძებული და აშვებული ტოტების ულიმლამო ზმორება. აფსუს! მედისონ უეინს ღამისა და ბუნების ამნაირი მზაკვრული შეთქმულებისთვის ყურადღება არ მიუქცევია და რაც უფრო მაღლა მიიწევდა, მუხლები მით უფრო უკანკალებდა და რაღაც ახალი, უცნაური გრძნობა ეუფლებოდა. მიზანდასახულობის შეუპოვრობა, მკაცრი სარწმუნოებრივი შეხედულებანი რომ წარუმართავდა და აქამდე ყოველთვის ხელს უწყობდა, ახლა თანდათან უსუსტდებოდა. ბოლოს სათუთმ

თანაგრძნობამ წამოუარა და გულში თავის მიმართ და სხვათა მიმართაც სიყვარულის სინანული შემოეპარა. მედისონს საცოლეყოფილი თვალწინ ედგა და აგონდებოდა, მამამისის სახლში მთვარის შუქით განათებულ ტიალზე ხელს რომ მოჰკიდებდა, გვერდით მიეკერებოდა და მანამდე ნებივრობდა. საინამ მკაცრი რელიგიური ქადაგებით გულს გაუგრილებდა და დააფრთხობდა. მედისონი ფიქრობდა საცოლეყოფილის ახალგაზრდულ გულუბრყვილობაზე და, როგორც თვითონ ეჩვენებოდა, მის განსაცვიფრებელ ქალიშვილურ სილამაზეზე და, აი, ბილიკის ანაზდეულ მოსახვევში სულმოუთქმელი და ათრთოლებული აღმოჩნდა მისის მაკგის სახლის წინ! მთვარის სხივები სათუთად ელაციცებოდა მთვლემარე ლავგარდანს და ხემარწყვას გრძელ-გრძელი ყვავილებიც მძინარენი გამოიყურებოდნენ. ჩეროკული ვარდის ალისფერი ფურცლები არაამქვეყნიურ სინათლეზე უმწიკვლო თეთრი მოჩანდა.

მაგრამ, ეტყობოდა, მედისონს სეიფის სანახავად ძალიან გვიან მიეშურებინა. ქათქათა შუქზე ფანჯრები დაყრუებული გამოიყურებოდა და მხოლოდ ერთში... მის საწოლ ოთახში... ჩამოშვებული ჩითის ფარდის უკან ციმციმებდა სინათლე. ფანჯარაში ერთხელ თუ ორხელ განიერი კაბით შემოსილი ქალის ჩრდილი გაკრთა. მედისონს სუნთქვა შეეკრა და ფრთხილი ნაბიჯით ეპირებოდა უკან გაბრუნებას, რომ ანაზდეულად ისევ გაჩერდა. უფრო გადიდებული, ოღონდ უეჭველად მამაკაცის ჩრდილი გამოიკვეთა ფარდაზე პირველის გვერდით.

მედისონი შმაგი, გააფთრებული ნახტომით მიაწყდა კარს, ბრახუნს მოჰყვა, ეჯაჯგურებოდა და ხრინწიანად და მძვინვარედ გაჰყვიროდა. მაგრამ ასეთ გაშმაგებაშიც კი იგრძნო აჩქარებული ფეხის ხმა, ქალის დაუდევარი ნახევრად გაკრეჭილი სიცილი, კიბის საფეხურებზე ამტყდარი ბრაგაბრუგი, ურდულის ანაზდეული გამოწევისა და მოშორებული კარის გაღების ჭრიალი, ხოლო უფრო სუსტი კარი, რომელსაც თვითონ ებრძოდა, ბოლოს მის ბრმა გაბოროტებას დაემორჩილა და მასთან ერთად გრუხუნით დაენარცხა სასტუმრო ოთახის იატაკზე. უკანა კარი პირთამდე გაღებული ჩანდა. მედისონს ესმოდა ფიჩხისა და ტოტების ლაწალუწი და ფაჩუნი კონცხის სხვადასხვა მხრიდან, სადაც ლტოლვილები, საშიშროებას რომ თავი დააღწიეს, ერთმანეთს დაშორდნენ. მედისონი ერთ წამს მაინც იდგა შემცბარი და განცვიფრებული. რა ქნას შემდეგ?

ამ დროს ოთახის კუთხეში აყუდებულ მაკგის შაშხანას შეასწრო თვალი ეს იყო გაწმენდილი, დიდებული ზუსტი იარაღი. ამას გამოუცდელი თვალიც შეატყობდა, მისი მოზარნიშებული ექვსწახნაგოვანი გრძელი ლულა ოდნავ ლურჯად ელვარებდა მთვარის შუქზე. მედისონი სწვდა. იგი ვაზნებჩაწყობილი და დამუხტული აღმოჩნდა. მყისვე ადგილს მოსწყდა და თხემიდან თავქვე დაეშვა.

ახლა მედისონს თავში მხოლოდ ერთი ფიქრი უტრიალებდა... ძალიან უბრალო და გარკვეული მოვალეობა. აქ მაკგის ადგილას იმყოფება და უნდა მოიმოქმედოს ის, რასაც მაკგი მოიმოქმედებდა. უფალს მიუტოვებინა იგი, მაგრამ მაკგის შაშხანა დარჩენოდა.

მომდევნო ხანს დალმართი რამდენიმე წუთში ჩაირბინა და მდინარის ნაპირს მიაღწია. მდევრის წინ მოვერცხლილი მშვიდი წყლის ზედაპირი თრთოლა და ლაპლაპებდა. უკვე შეამჩნია ის, რასაც ვარაუდობდა, რომ შეამჩნევდა. წყლის ზემოთ ადამიანის თავის სამიზნებელი მოჩანდა, მეჩეჩისაკენ უხმოდ

რომ მიემართებოდა. ფრთხილად ამოიღო ხიშანში და ჩახმახს გამოსწია. მძაფრ აფეთქებას არავითარი გამოძახილი არ მოჰყოლია, სადღაც შორეულ ტყეში დაეყენა და გვერდით ხეებმა ოდნავ გაიშოიალა. ეს იყო და ეს. ბაგოს ადამიანის თავი მეტად ალარ გამოჩენილა, თბილი ვერცხლის გარსი აკლავ გაეთიდა და ალარც ლაქა მოჩანდა, ალარც წინწკალი.

მედისონმა შაშხანა მხარზე გაიდო და ანგარიშმიუცემლად, ისე როგორც მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ ადამიანებს ემართებათ ხოლმე, მაგის სახლში ნელ-ნელა, უხალისოდ დაბრუნდა და იარაღი ფრთხილად მიაყუდა წინანდელ ადგილას. სახლიდან გაქცეული უკეთური დედაკაცისათვის არც შეუწუხებია თავი და თვალწინ რომ დასდგომოდა. მაინც ვერ შენიშნავდა. მაგრამ უცნაურმა ალლომ, ბუნდოვან ცნობისმოყვარეობად რომ ეჩვენებოდა, ითიელა კიბეს აჰყოლოდა და მის საწოლ ოთახში შესულიყო. მაგიდაზე სანთელი კიდევ იწვოდა იმ საშინელი გულგრილობითა და უბრალოებით, რომელიც ნამდვილი უბედურების სანახაობას შემზარავად გამოხატავს. სანთლის გვერდით ქამარი და ტყავის ქისა იდო. მედისონ უეინი მყისვე ადგილს მოსწყდა და რაღაც ველური, გაურკვეველი ღმუილით სწვდა ქისას. შემდეგ დაბარბაცდა. სკამზე გადაიმხვლა. ისევ ფეხზე დადგა, კიბეს ბრმასავით ფათურ-ფათურით ჩაჰყვა, გზაზე გამოვარდა. ქისა გულში ჩაიხუტა და გორაკის თხემიდან გადარეულივით დაეშვა დალმა.

არტურ უეინის ცხედარი ორი დღის შემდეგ მეჩეჩიდან ქვემოთ ოთხმეტიოდე მილის მოშორებით გამოირიყა. უფრო აშკარა სავალალო მდგომარეობა, რომელშიც იგი თავის ბედს შეხვედროდა, ძნელად თუ მოიძებნებოდა. ცხედარს ტანსაცმელი მხოლოდ ნაწილობრივ შემოსძარცოდა, ფულის ქისა და ქამარი, ყოველი ოქროსმაძიებლის წესისამებრ შიშველ სხეულზე საიმედოდ რომ ჰქონდა შემორტყმული, არსად ჩანდა. საერთოდ, ცნობილი გახდა, რომ, როცა არტურს მეჩეჩი დაუტოვებია, თან საკმაოდ გვარიანი თანხა ჰქონია და, ვიდრე მდინარეს ნაპირ-ნაპირ მიჰყვებოდა, ეჭვს გარეშეა, ყაჩაღებს. მთელ უბანს რომ მოსდებოდნენ, კვალისათვის მიუგნიათ, გაუძარცვიათ და მოუკლავთ. დაობლებული უეინის, ბანაკისთვის ასე კარგად ცნობილი ძმური და რელიგიური თანამეგობრობის ცოცხლად დარჩენილი ერთადერთი მონაწილის მწუხარება და ტანჯვა თუმცა მარტოოდენ მძიმე და მდუმარე სასოწარკვეთილებაში მჟღავნდება, რასაც ზოგჯერ საოცარწმუნოებრივი გაშმაგების მძაფრი შეტევა აღვევდა, იმდენად გულწრფელი მოჩანდა, თვით ტლანქ მობინადრეებსაც კი გულს ულბობდა. ბანაკს ვერც კი მოესწრო, წინანდებურ მოუსვენარ ცხოვრებას დაჰბრუნებოდა, რომ იქაურობას კიდევ ერთი ამაღელვებელი ამბავი მოედო: ალექსანდრე მაკგი კარკუინეზის სრუტეში საკრამენტოს ორთქლმავალი ხომალდის გემბანიდან ჩამოვარდა და ტალღებმა ზღვაში გაიტაცეთ. ახალ ამბავს პირველად, ალბათ, მაკგის ერთგული მეუღლის ყურამდე უნდა მიეღწია, რადგან, როცა ბანაკის მობინადრენი, რაკი აკრძალვის ძველი ხანა დამთავრდა, უხეში თანაგრძნობით აღვსებულნი, მის სამყოფელის ეწვივნენ, სახლი დაცარიელებული და გამოკეტილი აღმოჩნდა. კონცხის საბედისწერო ზემოქმედება კვლავ გრძელდებოდა, მისი გაუკაცრიელების ნაღვლიანი მატიანე კიდევ ერთხელ რჩებოდა დაურღვეველი.

რადგან დაწყევლილი კონცხის გაუკაცრიელებასთან ერთად, მეჩეჩის სიმდიდრეც თანდათან დაილია და გაქრა, მედისონ უეინმა მიწის ნაკვეთი გაყიდა და აღებული შემოსავალი გზაჯვარედინზე მდებარე სამლოცველოს შესწირა.

მისი კათედრა კი თავის პირქუშ სასოწარკვეთილსა და შეჩვენებულ არსებას მიუბოძა. პირველმა წვიმებმა მეჩეჩს წყალდიდობა მოუვლინა, ნორთფორკმა უეინის მშვიდობიანი მანქანების ადგილას ჩადგმული სუსტი ჯებირები გადმოლახა და კვლავ ძველი კალაპოტი დაიბრუნა. წყევლა-კრულვა, წმინდა მედისონ უეინმა მთელი მდინარისპირა სოდომის მიმართ რომ აღავლინა, თითქოს თვალნათლივ სრულდებოდა. მაგრამ პირქუშ წინასწარმეტყველს, [illegible] მოუტანა კმაყოფილება და მალე ცნობილი იქნა, მედისონმა თავისი აფეთქებული მრევლი მიატოვა და როგორც მოხეტიალე მოძღვარმა, ისე დაიწყო ოქროსმაძიებელთა ბანაკების შემოვლა, რჩევა-დარიგებას იძლევა და ყველაზე მავინვარეესა და აღვირახსნილ მაწანწალებს სულიერი განახლებისაკენ მოუწოდებსო. თავზეხელაღებული არამზადები მოძალებული შიშისგან ანდა უფრო მოძალებული გაშმაგებისაგან მოციქულის ფერხთით იკრუნჩხებოდნენ; მკვლელები და ქურდები გაფითრებული უსმენდნენ და კბილებს აღრჭიალებდნენ, ოღონდ გაცილებით შემზარავი შიშის გამო თავს იკავებდნენ. მედისონი ისევ და ისევ საფრთხეში იგდებდა სიცოცხლეს, როცა ფეხზე წამოიმართებოდა, ხელში ბიბლიას დაიჭერდა და აღგზნებულ ბრბოს თავზე დაადგებოდა. მედისონს ტყვიას ესროდნენ, ჯოხზე მიბმულს დაათრევდნენ, ახლომახლო ადგილებიდან აძევებდნენ, მაგრამ მაინც ვერ აჩუმებდნენ. ამრიგად, მთელ ინ მხარეში მუხლჩაუხრელად დაქროდა, ირგვლივ შიშსა და სიშმაგეს თესავდა. აშქვეყნიურ ცხოვრებასა და მოწყალებას უარყოფდა, დამნაშავესა თუ უდანაშაულოს მიწასთან განუკითხავად ასწორებდა და რომელიღაც კვირადღეს სიერას ერთ კლდოვან თხემზე — ცივილიზაციის უკანასკნელ ჭუჭყიანსა და ჩამოფლეთილ, გახუნებულ მხარეში, დიდი გზატკეცილის ახლოს გახსნილ ფუნდუკთან აღმოჩნდა. აქ, თავისი ჩვეულების შესაბამისად, „ლოცვა უნდა აღევლინა წინაშე უფლისა".

თუმცა ისე როდი გამოვიდა, როგორც თვითონ ვარაუდობდა. ვინაიდან, როცა მედისონი დიდ ლოდზე; მის ირგვლივ ციცაბო მთის კალთის დანარჩენ ლოდებსა და ქვებზე მჯდომარე თუ მწოლიარე ოცდაათი თუ ორმოცი ადამიანის ზემოთ წამოიმართა, შორიახლოს ვიღაც მამაკაციც წამოიმართა, რამდენიმეს იდაყვებით გვერდი აუქცია და აჩქარებით მოჰყვა ფერდობის ჩამოთავებას, დანარჩენებს უეცრად ყვირილი აღმოხდათ, მთელი კრებული ფეხზე წამოიჭრა და ყველამ დაინახა, რომ ლტოლვილს ხრესილზე ფეხი დაუცდა და ძირს ჩამოვარდა.

ოქროსმაძიებლებმა საშინლად დასახიჩრებული და დაჩეჩქვილი კაცი ზევით ამოიყვანეს, მას ნეკნები ჩამტვრეოდა და ცალი ფილტვი გაჭვლეჯოდა, მაგრამ სული ჯერ კიდევ ედგა და გრძნობაც შემორჩენოდა. უცნობმა ითხოვა, ხუცესი მომგვარეთო. სიკვდილი სულ ახლოს დაბორიალობდა, მაგრამ მაშინაც კი, როცა სულს უხუთავდა, ამ თხოვნას მბრძანებლურ ელფერს აძლევდა. მედისონ უეინმა ლოცვა შეწყვიტა და ზვიადი ნაბიჯით, მტკიცედ და პირქუშად გასწია იქითკენ, სადაც მომაკვდავი იწვა. ოღონდ ხუცესი, ახლოს რომ მივიდა, სახტად რჩა.

— მაკგი! — სულმოუთქმელად აღმოხდა მას.

— მოაბორეთ ეგ ხალხი აქედან, — სუსტად მიმართა მაკგიმ, — რაღაც უნდა გითხრათ.

მამაკაცებმა უსიტყვოდ იბრუნეს პირი.

— თქვენ გეგონათ, რომ მე მკვდარი ვიყავი, — წამოიწყო მაკგიმ, თვალები წინანდებურად დაუნისლავი და საოცრად ნათელი ჰქონდა, — თითქოს კი-

დევაც უნდა ვყოფილიყავი, თუმცა ახლა საჭირო როდია, ექიმმა აღნიშნოს, სიკვდილი შორს აღარ არისო. მეჩეჩიდან იმისათვის წავედი, რომ თავი მომეკლა, ვცდილობდი ჩხუბის ატეხვას, მაგრამ ადამიანები შიშისაგან სიახლოვეს ვერ მეკარებოდნენ, ფიქრობდნენ, ტყვიას დაგვახლისო. ჩემივე სახელი მიღობავდა გზას იქაც! სწვდებით ჩემს აზრს... გესმით, რა მინდა გითხრათ?

ამჯერად შეცვლილმა და ზარდაცემულმა უეინმა მწოლიარეს გვერდით მუხლი მოიყარა. მომაკვდავს ორივე ხელი დაუჭირა და ძლივსძლივობით ამოიგმინა.

— მერე...

— მოითმინეთ! მე საკრამენტოს ხომალდიდან გადავხტი... და წყალში მესამეჯერ ჩავყვინთე... ხომალდზე ფიქრობდნენ, უკვე დაიღუპაო... ისინი ახლაც ასე ფიქრობენ! მაგრამ ჩემს საშველად გვერდით გამვლელმა მეთევზემ ჩამოყვინთა. მე ვუძალიანდებოდი... ის კი შეუპოვარი ხასიათის კაცი აღმოჩნდა ჩემთან ერთად წავიდოდა ფსკერისკენ, მაგრამ მე არ შემეძლო სასიკვდილოდ ისიც გამემეტებინა... არა მქონია, ასე ვთქვათ, ამისი მიზეზი. სწვდებით ჩემს აზრს... გესმით, რას ვამბობ? და მეთევზეს საშუალება მივეცი, დაღუპვისაგან გადავერჩინე. თუმცა ამას აღარ ჰქონდა მნიშვნელობა, რადგან ფრისკოს რომ დავბრუნდი, გაზეთში ამოვიკითხე, როგორ დავილრჩვე წყალში. და მაშინ ვფიქრობდი, რომ ყველაფერი რიგზე იქნებოდა, მე აქ ვერავინ მცნობდა და მანამ დავხეტიალობდი, სანამ თქვენ შეგხვდებოდით.

— მერე რისთვის გინდოდათ თავის მოკვლა? — თითქმის გაშმაგებით შეეკითხა უეინი. — რა უფლება გაქვთ, თავი მოიკლათ მაშინ, როცა სხვათა, მოურჯულებელთა და სისხლით მოსვრილთ, მისჯილი აქვთ სიცოცხლე, „ფიცით მტკიცება“ და ტანჯვა წამება?—მომაკვდავმა დასახიჩრებული ხელი უკმაყოფილოდ გაიქნია და ოდნავ კიდეც გაიღიმა.

— მე ვიცოდი, რომ აგრე იტყოდით. ვიცოდი, რასაც ფიქრობდით ამის თაობაზე, მაგრამ ახლა სულ ერთია. მე ამას თქვენი და სეიფის გულისთვის ვაკეთებდი! ვიცოდი, რომ ორივეს ხელს გიშლიდით. ვიცოდი, რომ თქვენ იყავით ისეთი ადამიანი, რომელიც იმას ამოათრევდა ტალახიდან და სიბინძურიდან, სადაც მაშინ ვტოვებდი, იმგვარადვე, როგორც ამოათრიეთ, როცა წყალში ჩავარდა. ვიცოდი, რომ ყოველ დღეს, როცა ვცოცხლობდი, თქვენ გტანჯავდით, იმას კი გულს ვუხეთქავდი... მაგრამ, მიუხედავად ყოველივესი, ის მაინც ცდილობდა, სათუთად და ხალისიანად მომპყრობოდა.

— ყოვლად ძლიერო მეუფეო, ცათა შინა! გაჩერდით! — მიმართა მედისონმა და ფეხზე გამწარებით წამოიჭრა.

შიშნეული გამოხედვა, ანგელოზელი მეზარისათვის არავის არასოდეს რომ არ შეუმჩნევია, მისი ნათელი თვალებიდან პირველად გამოკრთა და მომაკვდავმა მთრთოლვარედ ამოილუღლუღა.

— კეთილი... ვჩერდები!

მაკგის ასევე უჩერდებოდა გულიც, განსაცვიფრებელი თვალები კი ახლა ნელ-ნელა ებინდებოდა. თუმცა მომაკვდავი კიდევ ერთხელ შეებრძოლა სიკვდილს და, როგორც უეინს მოეჩვენა, სიცოცხლეს მესამეჯერ დაუბრუნდა და ბაგე ნელ-ნელა შეარხია. მოძღვარი სასოწარკვეთილი დაეშვა მიწაზე, მის გვერდით

— ილაპარაკე, ძმაო! თუ ღმერთი გწამს, ილაპარაკე!

მომაკვდავის უკანასკნელი ჩურჩული ისე სუსტად გახმიანდა, თითქოს მისი გათავისუფლებული სულის პირველი ამოძახილი ყოფილიყოს. მაკგირ მხოლოდ ესღა წაილუღლუღა.

— თქვენ... სწვდებით... ჩემს აზრს? თქვენ... გესმით... რა... მინდა... გითხრათ?..

დეივიდ ჰერბერტ ლორენსი

ლექსები

ინგლისურიდან

თარგმნეს მარინე დანელიამ და ლია გრძელიშვილმა

კიდევ ერთი არდადეგების უკანასკნელი დღეები ოჯახში

როდის დავინახავ კვლავ, დამცხრალი მთვარის ჩასვენებას
შავი ჭადრის უკან ბალის იდუმალ ბილოში?
როდის ამოყვება კვლავ მჭრქალი, თეთრი ფლოქვების
გამაბრუებელი სურნელი და შემოიპარება ჩემს ლია ფანჯარაში?
რატომ მიწვავს შუალამის ზარების ხანგრძლივი, ნელი რეკვა
(ოჰ, ჩქარა ჩამორეკავს თორმეტი?)
გულს კვლავ და კვლავ მძიმე საყვედურით?
მთვარის მჭრქალ ნისლშია სოფელი.
ბინდბუნდს ამოლეკავს ზარების რეკვა
და მორჩილი, შესაბრალისი შუდარით ქოხმახების საბურავები დაბლად იძრება
— მითხარი, შენ ჩემო კერავ: რას არ ვაკეთებ კარგად?
ოჰ, ჩემო კერავ: უცებ შენი სიყვარულით განვიმსჭვალე
როცა გზიდან მესმა მკვეთრი, მკაფიო ჩოჩი კვიცისა,
ფლოქვების მკაფიო, წარმავალი ხმა სიჩუმეს სერავს,
იკარგება ხეობიდან მატარებლის ხანგრძლივ, ხრინწიან ხმაურში.

* * *

გაჭრა შუქი დედის ოთახის კარ ქვეშ.
ო, რატომ უნდა ეუყვარდე მას აგრერიგად!
მას, ყველასგან მიტოვებულს, უკვე თმადათოვლილს
და მეც, საკუთარ მისწრაფებებში დანთქმული,
მიყვდივარ მისგან.
სიყვარული ფლიდესი განმკიცხავია.
მზე და წვიმა არ კითხულობს დროის საიდუმლოებას
თუ როდის იბრძვის მარცვალი წყვდიადში.
მთვარე ეულ გზას უტანჯველად გაივლის,
რადგან არავინ ნაღვლობს მის გაუჩინარებას.

* * *

მარადჟამს, მარად მხარში მომყვება სამარის კარამდე საბრალო სიყვარული,
თავდახრილი, ვით ბურუსში გახვეული, თავჩაქინდრული ქოხმახები, —

თუ მას ზურგს შევაქცევ
მარადყამს, ამ ბუნებისადან ცალესილი თოის საყვედურით აღმართავს
და ჩემს მზერას იქითკენ მიაბრუნებს, სადაც დედამიწიანებელი სიყვარულის
სამეფოა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

მაგრამ წვიმა დედამიწის სილრმეში ფარულად იჭრება
დასანანად მარცვლის, რომელიც მარტოდ იბრძვის წყვდიადში
ეს ალეგორია ითბოს, მორჩილად ეგებინდება მიწას
ცამდამბალი მოგზაურობის შიგარე.
ეშფოთველი, ეროვანი სვლით,
ყოველის ფულ, ბინდიან ზეცას
ეს ალი ახლავს დანაკარგის ნალველი
არც სიყვარულის ცრემლები არღვევენ
მის მარადიულ სვლას.
ამ დროს კი ჩემს გვერდით,
სევდით გათანგული, თავჩაქინდრული
ეით მათხოვარი ქალი მავედრებელი მზერით —
ქედუხრელი სიყვარული ფეხს ითრევს

ახალი ცა და დედამიწა

და ის, დადგა ალსასრულის ჟამი, ყოვლის მშთანთქმელი სიკვდილი,
და ამან საბოლოოდ მომცა შვება: მე მოვკვდი.
დავმარხე სატრფო, კეთილი, საკუთარი თავი, და წუთისოფელს გამოვესალმე.
ატყდა ომი — და ყოველმა ხელმა მკვლელობა მოიწადინა;
კეთილი, კეთილი ფრიად, ყოველმა ხელმა მკვლელობა მოიწადინა;
კეთილი, კეთილი ფრიად, მკვლელი ვარ!
კეთილი, შემიძლია კვლა და კვლა და დანაბვა,
თუ როგორ ეცემა დასახიჩრებული, შიშისაგან შეძრწუნებული ჭაბუკი,
ათასობით, ათი ათასობით სხეული, ერთი მეორეზე გროვად დაყრილი,
სისხლში მოსვრილი, დამახინჯებული, აჩქარებით გადაბუგული:
ცისკენ მიიწევს ამყრალებულ კვამლად
მოკლულ კაცთა და ჭაბუკთა სხეულები —
დაყრილი გროვებად, მყრალ შემზარავ გროვებად.
იმდენი, რომ ამის ატანა უკვე შეუძლებელია, თუ არ შევამცირე:
ათასობით, ათასობით შემაძრწუნებელი, გახრწნილი გვამი —
კაცების, ჭაბუკების და თვითონ ჩემი —
იწვის ნავთგადასხმული, მყრალი სქელი ბოლით შთანთქმული,
სულ ერთიანად ფარავს ცას, სანამ საბოლოოდ არ ჩამოწვება წყვდიადი —
წყვდიადი, უფრო უკუნი, ვიდრე ღამე, სიკვდილი და ჯოჯოხეთი.
მკვდარი ვარ და არარად ვარ ქცეული:
სამარეში ვწევარ სულ ერთიანად გაჭვარტლული;
ჩატკეპნილი ვარ სამარეში, ჭაობიან შავ მიწაში;
გაცამტვერებული ვარ, არარად ვარ ქცეული, არარად.

* * *

გარეული დეკნა მდელვარე ცქერით,
ახალი ცხოვრებისეული ლტოლვით გაოცებული,
მარტოობას ესწრაფვის.
მარცვალს, მიწაში ჩაფლულს, განმარტოება სწყურია,
მთვლემარე კვერცხიც ნაჭუჭში წვალობს
მოთმინებით, რათა გაიყოს.
სიმყუდროვეს ითხოვს და არაფერს ამბობს: დუმილს არჩევს,
მაგრამ როცა თვალზე ავიფარებ დუმილის გაცვეთილ ლაბადას,
საბრალო სიყვარული მოვა და კაპიუშონის ქვეშ ჩამხედავს
მოთრთოლვარე თითებით საკინძეს წაეტანება
და ეცდება ყური მიუგდოს ჩემი სისხლის მტანჯველ ქვითინს.
ამ დროს მისი ცრემლი მიეფინავს მკერდში
და ერთიანად მწვავს და მთუთქავს.

* * *

მთვარე გადაიხარა და ჩამუქდა.
ღალღა მიხმობს მდელოდან
ერთფეროვანი. შესაბრალისი ქვითინით
და ახმობს ჩემს თავდაჯერებულობას.
ხრიოწიანი, დაჟინებული მუდარით
დაუცხრომლად, დაუცხრომლად
რაღაცას მეტს მოითხოვს ჩემგან.
უფრო და უფრო მეტს, ჩემგან!

რა ქმნილებაა ბუჩქუა!

რა ქმნილებაა ბუჩქუა,
განსაკუთრებით მამრობითი სქესის ინდივიდები. —
წარმოსადეგნი, უაღრესად წარმოსადეგნი.
თუ გნებავთ, შემიძლია გაგაცნოთ.
გახა ლამაზი ბამბაკი არ არის?
განა ჯან-ღონით სავსე არ არის?
განა საუკეთესო ეგზემპლარი არ არის?
რით განსხვავდება წმინდა წყლის ინგლისელისაგან — გარეგნულად?
თვით ღმერთის იერი ხომ არ აქვს? ყოველდღიურად ოცდაათ მილს გადის
კაკბებზე ნადირობით ან რეზინის ბოლთას ბატარა ბაღრის დევნით.
ისურვებდით რომ ჰგავდეთ მას — ბედნიერს, ზედმიწევნით ისეთს, როგორც
საჭიროა?

ოჰ, მაგრამ მოიცადეთ!
მიეცით ნება შეხვდეს უჩვეულო გრძნობა,
მიეცით ნება დაუბრუნდეს სხვის გაჭირვებას,
მიეცით საშუალება ერთხელ მაინც შეიცნოს ცოცხალი ზნეობრივი გასაჭირი,
დენ ცხოვრებამ წაუყენოს ახალი მოთხოვნა მის გაგებას
და შემდეგ დაინახავთ, თუ როგორ დაიფშვნება, სველი,
ქრემიანი ნამცხვარივით.

დააკვირდით, თუ როგორ იქცევა ფაფად, ჭინჭყლი იქნება იგი თუ ბრიყვი.
უბრალოდ დააკვირდით მის იერს, როდესაც მის გონებას ცხოვრება
წაუყენებს ახალ მოთხოვნას,
ახალ ცხოვრებისეულ მოთხოვნას.
რა ქმნილებაა ბურჟუა,
განსაკუთრებით მამრობითი სქესის ინდივიდები, —
განსაკუთრებით ნაპატივები, როგორც სოკო,
რომელიც აღიმართება ასე პეწიანად, მოხდენილად და თვალისათვის
შესამჩნევად —
ან როგორც სოკო, ამოსული წარსული ცხოვრების ნარჩენებზე,
რომელიც ისრუტავს წვენს ოდესღაც დიდებული ცხოვრების
მკვდარი ფოთლებიდან,
და მიუხედავად ამისა, ის კარგა ხანია გამოლპა, მეტისმეტად დიდხანს იყო აქ!
ხელი ახლეთ — და შიგნიდან იგრძნობთ, თუ როგორ იფშვნება
ზუსტად ისევე, როგორც ძველი სოკო, მთლად მატლიანი შიგნიდან და
ფუტურო,
გარეგნულად გლუვი და სწორი,
სავსე მატლებით, როგორც ფუტურო გრძნობებით
საკმაოდ უმნიშვნელო და საზიზღარი, —
რა ქმნილებაა ბურჟუა!
ათასობითაა გარეგნულად ასეთი ჩვენს ნესტიან ინგლისში.
რა საშფუხაროა, რომ არ შეიძლება მათი გასრესა, როგორც უვარგისი შხამა
სოკოსი.
უმჯობესია მათი დატოვება, რათა სასწრაფოდ კვლავ შეერწყან
მშობლიური ინგლისის ნიადაგს.

ხალხი

ო, ხალხი, ხალხი, —
ჭეშმარიტად ის არის ჩემი სისხლი და ხორცი!
როდესაც მუშათა უბნების ქუჩებს
მიყვება სამუშაოდ მიმავალი ხალხის ნაკადი,
როდესაც ვუყურებ მათ კაუჭში მოქცეულ სახეებს,
მათ ბედკრულ, შეძრწუნებულ სახეებს, —
მინდა გულის სიღრმიდან წამოვიყვირო:
რადგან ვიცი ძალა არ შემწევს
ამოვგლიჯო ეს კაუჭი, ასე რომ ამახინჯებს სახეებს;
საბოლოოდ გავწყვიტო უჩინარი ბადე ფოლადის,
რომელიც ბედკრულთ იზიდავს
ისევ და ისევ მუშაობისაკენ,
ისევ და ისევ მუშაობისაკენ.
ისინი გვანან დაჭერილ და ცოცხალ-მკვდარ თევზებს,
რომლებთანაც ერთობა ავი მეთევზე
და უბილავ, შორეულ, კეთილსაიმედო ნაპირზე
საქარხნო სამყაროს უკვე ტყვე თევზები
ერთიანს არ გამოყავს ხმელეთზე.

მარტოდ ყოფნის ნეტარება

მე არ ვიცი მეტი ნეტარება,
ვიდრე მარტოდ ყოფნის ჭეშმარიტი ნეტარებაა.
როდესაც შემიძლია ჩავწვდე უნეტარეს სიამოვნებას მთვარის,
რომელსაც ის განიცდის დროთა სივრცეში მარტოდ მოგზაურობისას,
ან დიდებას იფნის ბორცვის ჩრდილოეთ მხარეს,
სადაც დგას მარტოდ-მარტო და შარიშურობს ქარში.

სიყვარულის ძიება

თუ ვინმე ეძიებს სიყვარულს —
აშკარაა: იგი ვერავის შეიყვარებს,
და სიყვარულის უნარს მოკლებული სიყვარულს ვერ შეძლებს,
მხოლოდ მოსიყვარულენი პოვებენ სიყვარულს,
და მისი ძიება მათ არ სჭირდებათ.

ჭეშმარიტების ძიება

ნუ ეძებ ნურაფერს სხვას,
ნურაფერს, ჭეშმარიტების გარდა,
ეძიე მხოლოდ ჭეშმარიტება.
იყავ მშვიდი და ეცადე ჩაწვდე ჭეშმარიტების არსს.
ჩაწვდი — და მაშინვე თავს შეეკითხე:
ხომ კარგი მატყუარა ვარ?

ყვავილები და ადამიანები

ყვავილები აღწევენ ყვავილობას — და ეს საოცრებაა.
ადამიანები ვერ აღწევენ სიმწიფეს — ვაგლახ, ო ვაგლახ, ვაგლახ!
ერთადერთი, რაც თქვენგან მსურს, ქალებო და მამაკაცებო,
ერთადერთი, რაც თქვენგან მსურს, ესაა —
ყვავილების მსგავსად თქვენც მიაღწიოთ საკუთარ სილამაზეს.
ო, ნუ ამბობთ თითქოს ველურობისაკენ მოგიწოდებდეთ.
განა ველური გენციანა უხეში ღეროს წვერზე?
ო, ეხმიანება განა თქვენში რაიმე მის სილაჟვარდეს?
მინდა თქვენც ისეთივე ველური იყოთ როგორც ნარცისი ან გენციანა,
ვრობის ეამს და გაბლავარი რა თქვენი ერთგული ქვეშევრდომი, დიახაც განუზომლად ძვირფასია ჩემთვის კურთხეული ძვალთშესალაგი დიდებული ოტავიანო მედიჩისა, ვინც თვისი სიცოცხლის დროს არ მაკლებდა თანადგომობას, სიყვარულსა და შემწეობას. ამა ყოვლისა გამო ვიტყვი კიდევ: რადგანაც ვგონებ თქვენი ზემაღალი მორჩმულობით უთუოდ შეეწევით ამ თხზულებას და რა გმოსავთ გონიერება ძირისძირობამდე ჩახწვდეთ მის შინაარსს, თქვენზე უკეთ მაშ ვინლა განიაზრებს მის ხარგებლიანობას, იმ ჯაფასა და რუდუნებას, რაიც გავწიე წიგნის განსახრულებლად და ჩემის ფიქრით ჯერ არს მზოლოდენ თქვენს აღმატებულებას მიეძღვნას იგი და მწადს სწორედაც თქვენი ხაპატიო სახელით გარდვიდეს ხალხის ხელში. მაშ, აღირსეთ მას, თქვენო აღმატებულებავ, ჯერჩინება თქვენსმიერი, შეიფარეთ იგი და იქნებ ეამითი ეამად გადაავლოთ მას მაღალკამაროვანი გონების თვალი, სათვალავში ჩაგდებთ რა იქ მოთხრობილ ამბავთა მნიშვნელოვნებას და ჩემს ალალ სწრაფვას არათუ მომეხვეჭა ქება-დიდება ვითარ მწერალს, არამედ ვითარ ხელოვანს მეკო და მედიდებინა მათი ოსტატობა და აღმედგინა მათივ ხსოვნა, ვინც სიცოცხლე შთაბერა და ხიბლი შეხძინა ამა ხელობებს, რამეთუ ამ კაცთა სახელი და შემონაქმედი, აქამდე არცთუ შემონახული, არა და არ იმსახურებს ერთიან იქცეს ხიკვდილისა და დავიწყების ალაფად. ამას გარდა და აგრეთვე ამდენი ღირსეული ხალხის მაგალითით, ამდენი ცნობებით, ჩემს მიერ შეკუჩებული და ამ წიგნში თაყმოყრილი ამდენი ამბავანდრეზით, ახე ვიფიქრე, არცთუ მცირედად მეამებინა ამა ხელობის ოსტატნი და ამ ხაქმის მცოდნეთა და მისი სინატიფის მენცართათვის გულზე მარიხი მომეფინა. ვმეცადინობდი ყოველივე აღმეწერა იმ ზედმიწევნითი სიზუსტითა და ხაქმისადმი ერთგულებით, რომლითაც ჯერ არს ამბავთა შეემარიტად სწორი გადმოცემა. მაგრამ თუკი ჩემი ნაწერი, ჩემივ თბრობის დაგვარად აგრე დაუხვეწელი და აგრე ბუნებითი, არ იქნება ღირსი თქვენი უაღმატებულესობის ყურადღებისა და არცა ეგოდენ ნათელ ნიჭთა ღირსება-დამსახურების, მომიტევეთ თქვენც და მაპატიონ მათაც, რომ ხაწერელს ჩემსას, მათივ ხელობის მიმდევნი კაცის, კალამს მხატვრისას, არ მოხდევს ძალი უფრორე უკეთ აღწეროს თვისი ხაგანი და ჩრდილი მიხცეს მას. ხოლოდ თქვენგან ხვას არას ვითხოვ, თუკი ჩაგდებთ სათვალავში იმ ვითარებას, რომ არათუ სხვა გზით, მხოლოდენ და მუდამეამს ფუნჯით ვშოულობდი სახიცოცხლო სარჩო-სახსარს, ღირსად ჩათვლიდეთ და მიიღებდეთ ამ ჩემსა კნინსა ნამოქმედარს. დღეხდღეობით ამ ხელხაწყოთიც როდი ვარ მიტანებული იმ მიჯნას, მიღწევა რომლის შესაძლოდ მესახება ახლა. როს განგება მპირდება უხვ წყალობას და იქნებ ჩემდა სახიკეთოდ, ხაქებრად და ჩვენათვის ხაამებლად როგორც ფუნჯით, ეგევე ქალმითაც ვინძლო შევიძლო განვუცხადო ქვეყნიერებას სხვანი და სხვანი საზრისნი ჩემნი. რამეთუ გარდა იმ შემწეობისა და მფარველობისა, რასაც ვიმედოვნებ არ მომაკლებს თქვენი უაღმატებულესობა ,ვითარ ჩემი განმგებელი და ყოველ უპოვარ ოსტატთა კეთილმყოფელი. ღმერთმა ინება თავის ნაცვლად დედამიწაზე რჩეულად შეერაცხა უნეტარესი და უწმინდესი პაპი იულიუს III, პაპი უდიდესი, მოყვარე და მაღიარებელი ყოველგვარი ნიჭისა განსაკუთრებით კი ამ უდიდებულესი და ურთულესი ხელოვნებების, ვისი დიდზე დიდი სიუხვის წყალობით ვინძლო ფუჭად არ ჩაიაროს წელთა და წელთა მანძილზე ბევრთა და ბევრთა ალაგს ეხოდენმა გარჯილობამ და დღევანდელ დღემდე ნიადაგ დაშვრობამ. და არათუ მარტო მე, ვინც თავი მიუძღვნა მისი უწმინდესობის მუდამ მსახურებას, არამედ ჩვენი დროის ყოველი ნიჭით სავსე ხელოვანიც ჯერ არს ელოდეს პატივს, რამ ჯილდოს და ნიჭისა და უნარის გახაჩალხავ პირობებს. მიხარის ადრითვე, ვეჭვრეტ რა ამ ხელოვნებებს მისი განმგებლობის ეამს მიღწეულს სრულყოფის უმაღლეს მიჯნას და რომს მომშვენებულს ამდენი დიახაც კეთილშობილი ხელოვანით, რომელთაც თუკი მივათვლით თქვენის წყალობით ხაქმე დაულეველ ფლორენციელ ოსტატებს, აწ ვიმედოვნებ ვისმე ჩემს მერე მოუწევს ამ ჩემი თხზულების მეოთხე ნაწილის დაწერა, შეავსებს რა მას ჩემს მიერ ჯერეთ აღუწერელ სხვა ოსტატებითა და თუ ოსტატობის სხვარიგი მიღწევებით, იმ კაცთა, რომელთა ამჟარში ყოველგვარად ვმეცადინობ არც თავად გაბლდეთ ერთი უკანასკნელთაგანი.

ჯერხნობით კი გულშეჯერებული დავშთები თუკი ჩემს იმედს იქონიებთ და ვინძლო იმაზე უკეთეს აზრს, რაგვარიც იქნებ შეგექმნათ კიდეც ჩემს გამო და რაშიც მე თავად ოოტის ოდენი ბრალიც არ მიდევს. აწ ვისურვებდი ბრეაგედინოთ სხვათა ავისმზრახველთა ბეზღობანაცილისათვის, ვიდრეღა ცხოვრებაი და ხაქმენი ჩემნი დასტურყოფენ ხაპირისპიროს.

ამეამით კი მთელი ხულითა და გულით ვისწრაფვი პატივი მოგაგოთ, ხამარადეამოდ გემსახუროთ და გიძღვნით რა ამ ჩემს გაურანდავ ნაშრომს, იხევე რაგვარადაც მომიძღვნია საკუთარი შემონაქმედი და ჩემივ საკუთარი თავიც, გვერდით არ მოაკლოთ მას თქვენი მფარველობა და ხათვალავში ჩაგდოთ ერთგუ-

ლება მისი მომძღვნელისა. მივანდობ რა ჩემს თავს თქვენს კეთილმოწყალებას, უმორჩილესად ამბორგყოფთ ხელზედ.

> თქვენი უღმატებულესობის უმომმინელესი მსახური, **ჯორჯო ვაზარი**, ეპეოელი მხატვარი

უბრწყინვალესსა და უგანათლებულეს დიდგატონს სინიორ კოზიმო დეი მედიჩის ფლორენციისა და სიენის ჰერცოგს

ღირსად პატივცემულო ბატონო ჩემო!

განვიდა წელი ჩვიდმეტი, რაც მე თქვენს უბრწყინვალეს უღმატებულესობას წარვუდგინე ერთგვარი მონახაზი დია გამოჩენილ მხატვართა, ქანდაკებთა და ხუროთმოძღვართა ცხოვრებებისა და ამა, თქვენს წინარე კვლავ წარდგა ეს ცხოვრებები, არცთუ მთლიანად მომთავრებულნი, ოღონდ იმდენად სახეცვლილნი ადრინდელთან შედარებით და ისე მომშვენებულნი და გამდიდრებულნი უთვალავი ქმნილებებით, რომელთა გამო აქამომდე ვერ შევძელ ცნობათა მოკრეფა, რომ ვფიქრობ უცხო თვალი ჩემს ნამუშაკევს ჩემდა შესაწევნად ვერარას დაანატრებდა. და აი, უბრწყინვალესო და ჭეშმარიტად უღმატებულესო სინიორ დუკა, გამცნობთ, რომ ხელახლა წარსდგებიან თქვენს წინარე ეს ხელოვანნი და კიდევ სხვანიც ასევე კეთილშობილნი და ცნობილნი ოსტატნი, ამ ხნის მანძილზე ბედუკულმართობის გამო რომ გარდვიდნენ უკეთეს ქვეყნად და კიდევ სხვანი, ჭერხნობით რომ ჩვენს შორის მყოფობენ, ოღონდ რომელთაც ისე წარმატებულ ბუვეს თავიანთი ხელობანი, რომ ღირსნი გახდნენ ხაპარადეამო ხსოვნისა. და ჭეშმარიტად ბევრ მათგანს იღბალმა არცთუ უბრალოდ გაუღიმა, რაკილა უფალმა ვინც სულდგმა არს ყველასა და ყოვლის, იმდენ ხანს მაცოცხლა, შევძელ ამ წიგნის ლამის ხელახლა დაწერა. დიახაც ხელახლა, რამეთუ მე ბევრი რამ ამოვხმე და ზოგი რამ შევცვალე კიდეც რაც ჩემდა უკითხავად და ჩემის არყოფნის ჟამს არ ვუწყი, რარიგ მოხვდა იქ და ბევრი რამ სახარგებლოცა და აუცილებელიც ჩავურთე. და თუ ამ თხზულებაში ჩემს მიერ მოთავსებულ ამდენ ღირსეულ ადამიანთა გამოსახულებებიდან და პორტრეტებიდან, რომელთა დიდი წილი შემოგვრჩა თქვენი უღმატებულესობის მეოხებით, ზოგი მაინცდამაინც როდი ბგავს ამ პიროვნებათა ნამდვილ პირველსახეს და ყველას არ მოსავს მათი კუთვნილი თვისებები, არცა მსგავსებით გამოიჩევიან, რასაც ნახატს მუდამ ანიჭებს ფერთა სიცხოველე. მიზეზი ამისა ის კი არ გახლავთ, თითქოს ნახატი მათი და სახის მოუყვანილობა ნატურიდან არ იყოს გადმოღებული, ანდა ზუსტი არ იყოს და ბუნებითი, არამედ ის, რომ მეტი წილი ამ ნახატებისა, ერთმანეთს მეგობრებმა მომაწვდინეს სხვადასხვა ადგილიდან, რა დია შესრულებული სანთიანი ძარჯვებით. ამ მხრივ არცთუ დიდად ბაძლევდა ხელს მათი სიშორე, ვინც კვეთდა ამ თავებს. აი, ივანი ჩემს სიახლოვეს რომ ყოფილიყვნენ, მაშინ ყოველივეს უთუოდ მეტის გულმოდგინებით ეფიმოქმედებდნენ, სავალალოა, რომ ხაქმე ავრე არ მოეწყოს. ახლა თუ ისე, ჩვენი დიდოსტატნი და ოსტატნი, რომელთა სახარგებლოდ და საკეთილმყოფოდ ვიტვირთე ესოდენ დიდი შრომა, უველაფერს კარგს, სასიამოხა და, საჭიროს რაც აქედან წარმოდინდება, უნდა ერთიან უმადლოდნენ თქვენს უბრწყინვალეს უღმატებულესობას რამეთუ გმსახურებდით რა თქვენ და მჭონდა რა თქვენს მიერ თქვენივე ნებით მონიჭებული მოცალეობა და საშუალება მესარგებლა თქვენის ბევრეული, უფრო მეტიც, აურაცხელი მასალით, მოვახერხე ერთად მომეყარა თავი უველაფრისათვის, რასაც მოითხოვდა ამ საქმეთა სრულყოფილი სახით გასრულება და შემეთავაზებინა იგი ქვეყნიერებისათვის. უმადურობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, განა ლამის ულმერთობა არ იქნებოდა ეს ცხოვრებანი არათუ თქვენთვის, არამედ ვინმე სხვისთვის მიმეძღვნა იგი, ანდა ხელოვანთ არათუ თქვენთვის, არამედ სხვისთვის მიეწერათ უველა ის ხარებანი და სიამენი, რაც მათზე გარდამოვიდოდა ამ თხზულებიდან. მაშინ როცა თქვენის შემწეობითა და მფარველობით გამოიცა ეგ თხზულება ადრეც და ახლაც, რამეთუ თქვენივ წინაპრების კვალად მხოლოდენ თქვენ ბრძანდებით ერთადერთი მამა-ბატონი და ერთადერთი ქომაგი ამა ჩვენთა ხელოვნებათა. აქედან გამომდინარე ხნორედაც ჭეროვანი და მართებული იქნებოდა, რომ ნიშნად თქვენი მსახურებისა და თქვენი სახელის სამარადეამოდ და მუდმივ მოსაგონარად შეიქმნას მრავალთუმრავლები სურათები, კეთილშობილების მადლით ცხებული ქანდაკებები და აიგოს ნაირგვარი დასახულების გასაოცარი შენობები. და თუ ამ და სხვათა და სხვათა მიზეზთა გამო უველანი დიდ ვალში ვართ და ვიტყოდი უაღრესადაც თქვენს წინაშე, რადგან მეტად ვარ თავად მე დავალებული თქვენგან ვინც მუდამ მაძლევდა ამდენ სათანადო შესაძლებლობებს გამომეჩინა თავი (ნეტავ კი ნატვრასა და კეთილ სურვილს გონებაც მისდევნიყო და ხელიც) და გამომეცალინა ის ჩემი მცირე ცოდნა, რარიგიც უნდა ყოფილიყო იგი.

ოლონდაც მცდელობა ჩემი, რაოდენ დიდადაც უნდა ფასობდეს იგი, გაუტოლდება განა თქვენის სულის დიდებულებას და თქვენს ბეშმარიტად მეფურ ბრწყინვალებას?!! მაგრამ რა გაეწყობა? ისლა დამრჩენია ვიუფიო და არ ვესწრაფვოდე ისეთსა რასმე, რასაც ვერა და ვერ მიატანდა არათუ ჩემი მოკლე ჭკუა, არამედ გონება უფრორე ზენარი და კეთილშობილი. მაშინებეთ თქვენო უბრწყინვალესო უალმატებულესობავ, ეს ჩემი, მეტწილ კი თქვენი შემონაქმედი, წიგნი ნახატის ოსტატთა ცხოვრებებისა, უფალი ღმერთის ფერად მიითვალეთ უფროს ჩემი სული და კეთილი ზრახვები, ეიდრე თვით თხზულება და მიიღეთ არათუ ის, რაც მსურდა და რაც ჯერ არს აღმესრულებინა, არამედ ის, შევძელ რაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფლორენცია 9 იანვარი 1568 წ.

თქვენი უბრწყინვალესი უალმატებულესობის უვალდებულესი მსახური **ჯორჯო ვაზარი.**

□

ფრანჩესკო ჩესი

ინგლისურიდან

თარგმნა **მარინა თორდიამ**

ტიეპოლო

(ცხოვრება და შემოქმედება)

Oურქეთთან ომი, რომელიც კრეტას დაკარგვით დამთავრდა (1669), უკანასკნელი გმირული ფურცელი იყო ვენეციის რესპუბლიკის ისტორიაში. იგი დასრულდა თითქმის ოცდაათი წლით ადრე ჯამბატისტა ტიეპოლოს დაბადებამდე. თუმცაღა ვენეცია დამარცხდა, ამ შეუპოვარ ბრძოლაში, აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა მოწინააღმდეგემაც. აღმოსავლეთისაკენ გზების გადაკეტვამ ვენეციის რესპუბლიკა ნელ-ნელა, მაგრამ საფუძვლიანად დააქვეითა. ევროპელ ხელისუფალთა უფლებები საკმაოდ შეიზღუდა ჰაბსბურგთა და ბურბონთა წარმატებული ომების გამო, რისი წყალობითაც ვენეციის ხასაზღვრო მიდამოებიღა თუ განიცდიდნენ ხელყოფას. სწორედ ამის გამო ვენეციამ გაიმაგრა თავისი პოზიცია და თავისივე ტერიტორიები იტალიაში (და მისი არისტოკრატიაც ფუფუნებასა და განცხრომას მიეცა, ნაკლებად ფიქრობდა ქვეყნის უსაფრთხოებაზე.

1745—1750 წწ. ჯამბატისტა ტიეპოლო, ამ დროისათვის უკვე ცნობილი მხატვარი, ვენეციის ჭერცოგთა სასახლისათვის წერს სურათს „ნეპტუნი სთავაზობს ვენერას ზღვის საუნჯეს". ესაა არა ამბავ ალეგორია წარხულ დიდებისა, არამედ ყოველგვარი ყალბი რიტორიკის გარეშე გამოხატული პატივგება სახელმწიფოს იმჟამინდელი სიძლიერისა თუ აუვავებული ეკონომიკური და კულტურული ცხოვრებისადმი, რომელსაც ნახევარი საუკუნის შემდეგ დაკარგვა ელოდა. სწორედ ამ დაქვეითების ჟამს ვენეციამ აღმოაჩინა ტიეპოლო, როგორც მხატვარი, რომელსაც შეეძლო ჭეროვნად დაეფასებინა თავისი ქვეყანა. მარილაც, თავისი ქმნილებების დიდებული და ხაზეიმო ხასიათით ტიეპოლო თითქოსდა ამყვიდრებდა ვენეციის სიძლიერის მარადიულობის ილუზიას.

ჯამბატისტა ტიეპოლო დაიბადა 1696 წ. ვენეციაში, სავარაუდოა 5 მარტს. ურსულა და დომენიკო ტიეპოლოების ოჯახში. მამა, სავაჭრო გემის მეპატრონე, საკმაოდ ცნობილი ოჯახიდან იყო. იგი გარდაიცვალა, როდესაც ჯამბატისტას

მხოლოდ ერთი წელი შეუსრულდა. ოჯახის მეურვეობა და ექვსი პატარა ბავშვის აღზრდა მთლიანად დაეკისრა დედას. ტიეპოლო შეგირდად მიებარა მხატვარ გრეგორო ლაძარინისა, რომელიც კასტელოში, სან პიეტროს სამრევლოში ცხოვრობდა. ლაძარინიმ შეასწავლა ახალგაზრდა მხატვარს პერსპექტივისა და კომპოზიციის საფუძვლები, განსაკუთრებით კი ფიგურათა განაწილება ვრცელ სიბრტყეზე და ფერთა გარდამავალი ნიუანსირებით მათი მთლიანობაში მოკცევა.

ამასთან, ლაძარინის სწავლება ძლიერ ეფუძნებოდა XVII ს. ვენეციური ხელოვნების სტილს. ეს ტრადიციული მიმართულება არ აკმაყოფილებდა ახალგაზრდა კაცის ძიებებს თვითგამოსახვის გზაზე. ბიოგრაფები მოგვიანებრობენ, რომ ტიეპოლოს უფრო მეტად აინტერესებდა ის თანამედროვენი, რომლებმაც ამ დროისათვის მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ვენეციაში — ჯამბატისტა პიაცეტა, რომელიც მნიშვნელოვნად განიცდიდა ჯუზეპე მარია გრესპის ფერწერის დრამატული სტილისა და, საერთოდ, ბოლონიის სკოლის გავლენას; ფრედერიკო ბენოვიჩი, ცნობილი როგორც ფრედერიგეტო; სებასტიანო რიჩი, რომლის ფერწერა (განსაკუთრებით აღაფროთოვანებდა ტიეპოლოს. ამავე დროს, მას უფრო და უფრო იზიდავს წარსული დიდი მხატვრები ტიციანი და ტინტორეტო, უველაზე მეტად კი — ვერონეზე.

ჯამბატისტას კარიერა ადრე დაიწყო. თვრამეტი წლის ასაკში იგი სრულიად დამოუკიდებელია, ხოლო 21 წლისა, 1717 წ. ფრაგლიას, ვენეციელ მხატვართა გილდიის წევრი ხდება. იგი მხოლოდ ცხრამეტი წლისა იყო, როდესაც დაეკისრა ვენეციის ოსპედალეტოს ტაძრის ნიშების მოხატვა. ბიოგრაფები აღნიშნავენ, რომ აქ მან უკვე უარყო ლაძარინისაგან ნასწავლი „გაუბედავი" მანერა და შეითვისა „თამამი და ლაღი" სტილი. ამ დროიდან, შეიძლება ითქვას, მისი შემოქმედებითი გზა ერთგვაროვანია — დაკვეთები და მათი წარმატებით შესრულება, რომლითაც მხატვარს გამოსახვის ახალი და ორიგინალური გზების ძიებათა საშუალება ეძლეოდა.

ტიეპოლოს შემოქმედებითი განვითარების გზები მისი შემოქმედებისავე მნიშვნელოვანი მოვლენებით განისაზღვრება. პირველ წარმატებას მან ოცი წლის ასაკში მიაღწია, როდესაც კრიტიკოსებისა და ხაზოგადოებისგანაც ხოტბაშესხმულ იქნა ხურათისათვის „წითელი ზღვის გადალახვა". ამ გამარჯვებას მოჰყვა სხვა წარმატებებიც და მალე მან მიიღო პირველი მართლაც მნიშვნელოვანი დაკვეთა — ვენეციის ხალცის ეკლესიის თაღზე „წმ. ტერეზას განდიდების" მოხატვა. ეს ნამუშევარი, დაახ. 1720—1726 წწ. დათარიღებული, საწყისი ეტაპია ტიეპოლოს იდეალური თანამშრომლობისა ბოლონიის სკოლის წარმომადგენელ ჯეროლამო მეგნასკო კოლეგიანთან, არქიტექტურული პერსპექტივის დახელოვნებულ ოსტატთან, რომელმაც მხატვარს სიცოცხლის ბოლომდე გაუწია პარტნიორობა. მათი შემოქმედებითი კავშირის მნიშვნელობა ტიეპოლოს ხელოვნებისათვის უდავოა — იგი ხელს უწყობდა მხატვრის ძიებებს სივრცის ახლებური გააზრების მხრივ, რაც ცხადია, არ იყო შედეგი მხოლოდ მისი შემოქმედებითი აქტივობისა.

სეკულეხიო დაკვეთას მოჰყვა საერო პირთა დაკვეთები — სხვადასხვა, საერო სიუჟეტის მქონე ნამუშევრები. დიდად მნიშვნელოვანი იყო ტიეპოლოსათვის დოე კორნაროს წინადადება — ყოფილიყო მისეული, სან-პაოლოს სახახლის მოხატულობათა გამგებელი, რის შემდგომაც იგი ღებულობს პალაცო სანდის მოხატვის დაკვეთას, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა ტიეპოლოს ცხოვრებისა და შემოქმედებითი მიმართულების შეცვლა.

მალე იგი მიწვეულ იქნა უდინეში პალაცო დოლფინის, არქიეპისკოპოსის სასახლის მოსახატად, რომელზეც მუშაობა დაიწყო თანაშემწეთა დახმარებით 1725 წ. სანამ ამ ფრესკებს დაასრულებდა, ტიეპოლომ მოხატა წმინდა საკრამენტის ტაძრის კაპელის პლაფონი ეს დავალება მეტუველებს არა მარტო მიღწეულ აღიარებაზე, არამედ მისი სკოლის წარმატებაზეც.

წარმატებით ფრთაშესხმული 36 წლის მხატვარი ვენეციაში ბრუნდება. მას ვენეციის საზღვრებს გარეთაც დიდ აღიარებს უწინასწარმეტყველებენ. 1731 წ. ტიეპოლო მილანს იქნა მიწვეული არკინტოსა და კასატის სახახლეთა ფრესკების მოსახატად. პალაცო არკინტოს პლაფონებისაგან აღარაფერი შემორჩა, იგი მეორე მსოფლიო ომის დროს დაინგრა, პალაცო კასატის დიდი დარბაზის მოხატულობა კი გადარჩა.

1732 წ., ვენეციაში დაბრუნებისთანავე, ტიეპოლო მუშაობას იწყებს რელიგიური ხასიათის ხურათთა სერიებზე. ამავე წლის შემოდგომაზე იგი ბერგამოს მიეგზავნება კოლეონის კაპელის გუმბათზე ოთხი ალეგორიული ფიგურის მოსახატად. მოგვიანებით, ერთი წლის შემდეგ, ამავე კაპელაში მოხატა რამდენიმე სცენა იოანე ნათლისმცემლის ცხოვრებიდან. ამავე დროს, წერს სამი დიდი ზომის ტილოს ვილა-კრიმანი ვალმარანასათვის

(ამჟამად სხვადასხვა კოლექციებშია), ასევე როვეტა სოპრა ბერგამოს ეკლესიის საკურთხევლის სურათს „ღვთისმშობლის თაყვანისცემა მოციქულთა და წმინდანთაგან".

1736 წლისათვის ტიეპოლომ სახელი შორს გაითქვა. გრაფი ტესინი, შვეციის ელჩი ვენეციაში, სტოკჰოლმს აგზავნის მის „დანაიას". ტიეპოლოს შემოქმედებით აღფრთოვანებას გამოხატავს გრაფი ფრანჩესკო ალგაროტიც, მეტრი იმდროინდელი მხატვრული გემოვნებისა. 1789 წ. მას ევალება სკოლა დელ კარმინეს პლაფონის მოხატვა ვენეციაში, სადაც მოგვიანებით ჩადის. მაგრამ მაშინვე მილანს ბრუნდება დედოფალ მარია-ტერეზას გენერლის, მარჩეზე ჯორჯიო კლერიჩის თხოვნით, რათა მოხატოს პალაცო კლერიჩის პლაფონი.

ვენეციაში დაბრუნების შემდეგ ტიეპოლოს სახელი არნახულ დიდებას აღწევს. მას მიიჩნევენ ვენეციის ხელოვნების ახალ დიდ ვარსკვლავად, რომელმაც გააცოცხლა ვენეციის წარსული ბრწყინვალება. იგი აგრძელებს სკოლა დელ კარმინეს მოხატვას, ამავე დროს ქმნის სხვა სურათებსაც. 1748 წ. სკალცის ეკლესიის ნავის პლაფონზე მოხატა „ლორეტოს წმინდა სახლის სასწაული", რომელმაც მაღალი შეფასება მიიღო. სამწუხაროდ, იგი სრულიად განადგურებულ იქნა 1915 წ. დაბომბვისას. მალე ტიეპოლო იწყებს მონტეკიო მაჯიორეში ვილლა კორდელინას ფრესკებზე მუშაობას. ამ პერიოდში იგი უახლოვდება გრაფ ალგაროტის, საქსონიის მეფე ავგუსტუს III წარმომადგენელს, რომელიც სთავაზობს მას დაწეროს რამდენიმე სურათი მეფისათვის. ტიეპოლო ამ დროს მუშაობს ბარბაროსა და კორნაროს ოჯახთა სურათებზე და მალე, მეგნოცი-კოლონას თანაშემწეობით, იწყებს პალაცო ლანიას ფრესკების მოხატვას კანარეჯიოში. ამავე პერიოდით თარიღდება „ნეპტუნი სთავაზობს ვენერას ზღვის საუნჯე" — მერცოგთა სახახლისათვის დაწერილი ზემოაღნიშნული სურათი და „წმ. აგატას წამება" (ამჟამად ბერლინშია), რომელიც მან ლენდინარას წმ. აგატას ეკლესიისათვის შექმნა. მოგვიანებით უდინეს გრაფ მონტენაკოს დაკვეთით, დაიწერა მემორიალური ხასიათის ტილო „კონსილიუმი არენაზე", რომლის შესრულებაშიც მონაწილეობა მიიღო მხატვრის ვაჟმა ჯანდომენიკომ.

1719 წ. ჯამბატისტა ჭორწინდება სესილია გვარდიზე (მხატვრების — ანტონიოსა და ფრანჩესკოს და). მათ შეეძინათ ცხრა ბავშვი, რომელთაგან ორი — ჯანდომენიკო (დაბ. 1727 წ.) და ლორენცო მხატვრები გახდნენ. ჯანდომენიკო მამის სტუდიაში შევიდა, როგორც მისი თანაშემწე. როდესაც მას — 28, ხოლო ლორენცოს 14 წელი შეუსრულდა, მამამ ვაჟები თავისთან წაიყვანა ვიურცბურგში, სადაც იგი მიწვეულ იქნა კაიზერსაალის, მთავარეპისკოპოსის სახახლის დიდი დარბაზის მოსახატად. სახახლე არქიტექტორ ბალთაზარ ნეიმანის მიერ იყო აგებული. ტიეპოლო ვიურცბურგს 1750 წ. დეკემბერში ჩავიდა, ვაჟებს გარდა თან ახლდა ვენეციელი მოკანდაკე ვენიჩე ბოსხი. კაიზერსაალის სამუშაო მან 1752 წ. დიდის წარმატებით დაასრულა, რის გამოც დაუდეს ახალი ხელშეკრულება კიბის პლაფონის მოხატვისა (1753).

ვიურცბურგში სამი წლით ყოფნისას, ტიეპოლომ დაასრულა რამდენიმე დიდი ზომის ტილო. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მას გარკვეული გავლენა ჰქონდა გერმანულ მხატვრობაზე, თუმცა თავადაც საზრდოობდა ახალი შთაბეჭდილებებით. მიუხედავად იმისა, რომ აქ იგი მნიშვნელოვანი სამუშაოთი იყო დაკავებული, მაინც პოულობდა დროს ემუშავა ზეთის საღებავებით, რასაც იგი არასოდეს ღალატობდა. ამ ფერწერულ ტილოთაგან ზოგი შესრულდა ბენედიქტინის ბერთა მონასტრისათვის, ზოგიც — ბუკერბურგის ციხე-დარბაზისათვის.

გერმანიაში შესრულებული ამავე პერიოდის ზოგი ნამუშევარი, რომელიც ტიეპოლოს მიეწერება, უფრო სწორად მის ვაჟს, ჯანდომენიკოს, ან იმ გერმანელ მხატვრებს უნდა მივაკუთვნოთ, რომლებიც როგორც თანაშემწენი, დაკავებული იყვნენ ვიურცბურგის სახახლის მოხატვით, განსაკუთრებით — გეორგ ანტონ ურლაუბსა და ლუკას ა. ფლახნერს.

სახელმოხვეჭილი დაბრუნდა რა ვენეციაში, ტიეპოლოსათვის ნათელი გახდა, რომ გერმანიაში შეძენილი გამოცდილება მას ახალ დაკვეთთა შესრულებაში გამოადგებოდა. უზარმაზარ ფრესკათა შესრულებას იგი მისთვის ჩვეული სამუშაო რიტმით შეუდგა. მოხატა ვილა სოდერინი ნერვასაში, ტრევიზო (დანგრეულია) — ჯანდომენიკოსა და ფრანჩესკო ზუბნის დახმარებით. მცირე ხნის შემდეგ — ვენეციის პიეტას ეკლესიის პლაფონი (1755).

პალაციინისა და ხტანცა დელა ოლიმპოს (ვიჩენცა) მოხატულობა შესრულდა 1757 წ. ამავე დროისათვის დაასრულა პალაცო ვალმარანა ტრენტოს მთავარი დარბაზის პლაფონი (ამჟამად დანგრეულია), ხოლო 1758 წ.— ვენეციის პალაცო რეძონიკოს ორი დარბაზი. ამას მოჰყვა ორი დიდი სამუშაო — „ამაღლება" პურიტას ეკლესიაში (ოდინე) და ეხტეს

ტაძრის საკურთხევლის დიდი სურათი „წმ. თეკლა". იტალიაში შექმნილი ბოლო ნამუშევრები 1761 წ. თარიღდება. მათგან აღსანიშნავია ვენეციის პალაცო კანოზას პლაფონი (დანგრეულია მეორე მსოფლიო ომის დროს), და „პიზანის ოჯახის აპოთეოზი" ვილა პიზანიში (სტრა) ტიეპოლო ჯერ კიდევ ამ ბოლო სამუშაოთი იყო დაკავებული, როდესაც მიიღო ესპანეთის მეფე კარლოს III მიწვევა მადრიდის ახალი სამეფო სასახლის, პალაცო დე ორიენტეს მოსახატად. სასახლე აგებული იყო ტურინელი არქიტექტორის ჯოვანბატისტა სარეტის გეგმით. 1762 წ. აპრილის დასაწყისში ტიეპოლო ვენეციიდან მიემგზავრება ჯანდომენიკოსა და ლორენცოსთან ერთად, ბოლო ერთერთ ვაუს, მლვდელ ჯუზეპეს, საოჯახო საქმეების მეურვედ ტოვებს. მადრიდს 4 ივნისს მიაღწიეს. ხანგრძლივი მგზავრობით გადაღლილი ტიეპოლო ავად გახდა და ლოგინად ჩავარდა. მადრიდს თან ჩაიტანა სატახტო დარბაზის პლაფონის მოხატულობის ესკიზი და როგორც კი გამოკეთდა, შეუდგა მუშაობას. პლაფონი დასრულდა 1764 წ. მოხატა ორი სხვა დარბაზიც (1764—1767). როდესაც ყველა სამუშაო დაასრულა, კვლავ მეფის სამსახური არჩია და ახალი დაკვეთების მიცემა ითხოვა. სამწუხაროდ, მეფის კარზე მტერი მყავდა — მეფის მოძღვარი პადრე იოაკიმ დე ელექტა, რომელიც ანტონ რაფაელ მენგს, გერმანელ მხატვარს მფარველობდა. მენგი ვინკელმანის ნეოკლასიკური თეორიის მიმდევარი იყო და მეფის კარზე ტიეპოლოსთან ერთად იქნა მიღებული. ამგვარად, ტიეპოლოს ბოლო წლები ესპანეთში სევდიანი იყო. სავარაუდოა, მას საშუალება მიეცა მიეღო ახალი დაკვეთა იტალიელ არქიტექტორ საბატინის ქმნილი სამსახურის წყალობით, რომელსაც უკვე დამთავრებული ჰქონდა მშენებლობა სან პასკალის ეკლესიისა არანხუესში, რომლის საკურთხევლისათვის ტიეპოლომ დაწერა შვიდი სურათი. პადრე დე ელექტამ არ მიიღო ტიეპოლო და გაიტანა მისი ნამუშევრები ეკლესიიდან, ბოლო მათი ადგილი მენგის, ბაიესა და მაელას სურათებს მიუჩინა, ტიეპოლოს ნამუშევრები კი მიმოფანტა. საბედნიეროდ, ამჟამად ყველა მათგანი მიკვლეულია, თუმცა ზოგი საგრძნობლად დაზიანებულია. მხატვარი სიცოცხლის ბოლოს გაუგებრობისა და ინტრიგის მსხვერპლი შეიქნა. ამის მიუხედავად, შეინარჩუნა ხელოვნური პროდუქტიულობის უნარი. მის ბოლო წლების ნამუშევრებს შორისაა „კომპოსტელას წმ.იაკობი ცხენზე" (ამჟამად ბუდაპეშტშია)., ზეთის ხალებავებით შესრულებული ფერწერული ტილოები, რომლებიც რუსეთს იქნენ გაგზავნილი სასახლეთა პლაფონების შესამკობად და საუცხოო ჭგუფი რელიგიური ხასიათის ტილოებისა, ადგილობრივ ოჯახთაგან დაკვეთილი.

რამდენადაც ტიეპოლოს მადრიდში არ ხვდა წილად ის წარმატება, რაც ვიურცბურგში ჰქონდა, მან აქ ვერ შექმნა თავისი სკოლა. მაგრამ მაინც, მის მეტოქე მენგზე მეტად, მისი გავლენა ექოსავით ედებოდა ესპანელ მხატვრებს და არამარტო მეტოქეთა წრეს (მაელა და ბაუე) აღწევდა, არამედ შთაგონებდა თვით ახალგაზრდა გოიას წარმოსახვასაც.

ტიეპოლო მოულოდნელად გარდაიცვალა 1770 წ. 27 მარტს. ჯანდომენიკო მალე დაბრუნდა ვენეციაში, ლორენცო დარჩა მადრიდში. მადრიდის სან-მარტინის ეკლესია, რომელშიაც ტიეპოლო დაიკრძალა, მოგვიანებით დაინგრა და საფლავიც დაიკარგა, მისი ხელოვნება კი კვლავაც ცოცხლობს.

ნამუშევრები

პალუჩინი (1960 წ.) აღნიშნავს, რომ „გვიანი, XVII ს. ხელოვნებამ, ტენებროსით tenebrosi[1]-მ ახლებური გაგება შეითვისა დრამატული ძალიხმიერებისა და ბენკოვიჩ-პიაცეტა-ტიეპოლოს ჭგუფის ძლიერი კიაროსკუროს[2] მეობებით... ეს ჭგუფი გარკვეულწილად წარმოადგენს კარავაჯოს უკანასკნელ შთამომავალს... რომლის ნოვატორობის ინტერპრეტირება მათ ვენეციურ სტილს შეუსატყვისეს". სიმართლე ამ განცხადებისა ჯერ კიდევ მყლავნდება ტიეპოლოს ადრეულ ნამუშევრებში და ეს მისმა პირველმა ბიოგრაფებმაც დაასაბუთეს. და კანალს (1732) წ. ამის საილუსტრაციოდ მოჰყავს „მოციქულნი", რომელიც მხატვარმა ცხრამეტი წლის ასაკში მოხატა ოსპედალეტოს ტაძრის ნიშებზე. იგი შეცდომით უწოდებს მათ მოციქულთ, ისინი იდენტიფიცირებული უნდა იქნენ „აბრაამის მსხვერპლშეწირვის" ორ ფიგურასთან, რომელთა შესრულება იმდენად ენერგიულია, რომ ძნელი დასაჯერებელია, მიეწეროს ეხოდენ ახალგაზრდა მხატვარს. აქ ნათლად შეინიშნება ბენკოვიჩის გავლენა, თუმცა კოლორიტი უფრო მეტად ცოცხალი და თბილია ბენკოვიჩისა და პიაცეტას შემოქმედება თავისებურ წყაროს წარმოადგენდა ტიეპოლოს ახალი

---

[1] იგულისხმება მუქი, ბოშაევ გამის ფერწერა.

[2] chiaroscuro ინგ. clare-obscure შუქ-ჩრდილი: ფორმის მოდელირება შუქ-ჩრდილის კონტრასტული დაპირისპირებით (მთარგმნ. შენიშვნა).

ხელოვნებისათვის, რაც კარგად შენიშნა ჯანანტონიო მოსჩინიმ (1806), რომელმაც განაცხადა, რომ ტიეპოლოს, „სურდა რა მიეცა მისი დროის ყოველივე პოპულარულისათვის, ეჯიბრებოდა ხან მდიდრულ-ფერადოვან მანერას ბენკოვიჩიხას, ხან კი — პიაცეტასეულ კონტრასტულ შუქ-ჩრდილებს". ეს სწორი განაცხადია, თუმცა უგულებელყოფს ხიახლეებით ტიეპოლოს განუწყვეტელ დაინტერესებას და მის „სულიერ და ცეცხლოვან" ტემპერამენტს. სწორედ ამ მონაცემებმა განაპირობეს მისი თვითგამოსახვის უნარი, მაშინაც კი, როდესაც იგი პიაცეტასა და ბენკოვიჩისეული, პოსტ-ტენებროსის სტილის მიმდევარი იყო.

თუ თვალს გადავავლებთ ტიეპოლოს ადრეულ შემოქმედებას, დავინახავთ, თუ როგორ მწიფდება მთლიანობა მისი საკუთარი გამომსახველობითი ენისა. მაგალითად, სურათში „აგარის განდგომა" (მილანი, როსინის კოლექცია, რომელიც „აბრაამის მსხვერპლშეწირვი"-დან მცირე ხნის შემდეგ შეიქმნა, ჩანს კარგი გემოვნება ცივი ტონალობისა, პიაცეტას თბილი წითელი ფერის საპირისპიროდ, თუმცა, ამავე დროს, იგი ღებულობს კიაროსკუროს მეშვეობით ფიგურათა მოცულობითი გამოსახვის პიაცეტასეულ პრინციპს.

მალე (1721) ტიეპოლო ვენეციის სან-სტეფანოს ეკლესიისათვის წერს სურათს „წმ. ბართლომეს წამება", სადაც აშკარად ჩანს პიაცეტას გავლენა, ამავე დროს, სურვილი — კომპოზიციაში გამაწონასწორებელი, ცალკეულ ნაწილთა „შესატყვისი" ელემენტებით შეტანისას და მეტად დინამიური და ექსპერესიონისტული დამუშავებისა, რომელიც ამძაფრებს ფიგურათა დრამატულ ეფექტს. ძნელია საუბარი ხებახტიანო რიჩის რაიმე გარკვეულ გავლენაზე (იგი ვენეციაში 1717 წ. დაბრუნდა), მაგრამ სავარაუდოა, სწორედ მისი მეშვეობით შეიცნო ტიეპოლომ ვერონეზეს კოლორიტის თანადროულობა.

დაახ. 1722 წ. ტიეპოლო წერს უზარმაზარ ტილოს „კარმელის[1] ღვთისმშობელი სალხინებელში სულეებთან ერთად". ამ მონუმენტურ ნამუშევარში ფორმები ძლიერი სინათლითაა ხაზგასმული, კოლორიტი მდიდარი და ფრავალფეროვანია. მთავარი ჯგუფი ღვთისმშობლითურთ მარჯვნივაა წარმოდგენილი და მთელი კომპოზიცია გაუწონასწორებელის შთაბეჭდილებას ქმნის, რასაც მორახი ხსნის იმით, რომ სურათი გამიზნული იყო სენტ' აპოლანის ეკლესიისათვის, რაც კარგად შენიშნა ჯანანტონიო მოსჩინიმ (1806), რომელმაც განაცხადა, რომ ტიეპოლოს, „სურდა რა მიეცა მისი დროის ყოველივე პოპულარულისათვის, ეჯიბრებოდა ხან მდიდრულ-ფერადოვან მანერას ბენკოვიჩიხას, ხან კი — პიაცეტასეულ კონტრასტულ შუქ-ჩრდილებს". ეს სწორი განაცხადია, თუმცა უგულებელყოფს ხიახლეებით ტიეპოლოს განუწყვეტელ დაინტერესებას და მის „სულიერ და ცეცხლოვან" ტემპერამენტს. სწორედ ამ მონაცემებმა განაპირობეს მისი თვითგამოსახვის უნარი, მაშინაც კი, როდესაც იგი პიაცეტასა და ბენკოვიჩისეული, პოსტ-ტენებროსის სტილის მიმდევარი იყო.

თუ თვალს გადავავლებთ ტიეპოლოს ადრეულ შემოქმედებას, დავინახავთ, თუ როგორ მწიფდება მთლიანობა მისი საკუთარი გამომსახველობითი ენისა. მაგალითად, სურათში „აგარის განდგომა" (მილანი, როსინის კოლექცია, რომელიც „აბრაამის მსხვერპლშეწირვი"-დან მცირე ხნის შემდეგ შეიქმნა, ჩანს კარგი გემოვნება ცივი ტონალობისა, პიაცეტას თბილი წითელი ფერის საპირისპიროდ, თუმცა, ამავე დროს, იგი ღებულობს კიაროსკუროს მეშვეობით ფიგურათა მოცულობითი გამოსახვის პიაცეტასეულ პრინციპს.

მალე (1721) ტიეპოლო ვენეციის სან-სტეფანოს ეკლესიისათვის წერს სურათს „წმ. ბართლომეს წამება", სადაც აშკარად ჩანს პიაცეტას გავლენა, ამავე დროს, სურვილი — კომპოზიციაში გამაწონასწორებელი, ცალკეულ ნაწილთა „შესატყვისი" ელემენტებით შეტანისას და მეტად დინამიური და ექსპერესიონისტული დამუშავებისა, რომელიც ამძაფრებს ფიგურათა დრამატულ ეფექტს. ძნელია საუბარი ხებახტიანო რიჩის რაიმე გარკვეულ გავლენაზე (იგი ვენეციაში 1717 წ. დაბრუნდა), მაგრამ სავარაუდოა, სწორედ მისი მეშვეობით შეიცნო ტიეპოლომ ვერონეზეს კოლორიტის თანადროულობა.

დაახ. 1722 წ. ტიეპოლო წერს უზარმაზარ ტილოს „კარმელის[1] ღვთისმშობელი სალხინებელში სულეებთან ერთად". ამ მონუმენტურ ნამუშევარში ფორმები ძლიერი სინათლითაა ხაზგასმული, კოლორიტი მდიდარი და ფრავალფეროვანია. მთავარი ჯგუფი ღვთისმშობლითურთ მარჯვნივაა წარმოდგენილი და მთელი კომპოზიცია გაუწონასწორებელის შთაბეჭდილებას ქმნის, რასაც მორახი ხსნის იმით, რომ სურათი გამიზნული იყო სენტ' აპოლანის ეკლესიისათვის, რაც

[1] სახელწოდება წარმოდგება პალესტინაში არსებული კარმელის მთიდან (მათრგმნ. შენ.).

[1] ზეცა.

[1] ზეცა.

[1] ზეცა.

[1] ზეცა.

ლის დროსაც მან დაასრულა პალაცო დოლფინის გალერეის მოხატვა, პალუჩინის ხიტყვებით, მისი შემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე პერიოდია. ამავე დროით თარიღდება მისი ფრესკები უდინეს წმ. საკრამენტის ტაძრის კაპელაში (1728), რომლის გუმბათი არ იყო „ზეციური განფენილობის მქონე", ამდენად მხატვარმა იგი სხვადასხვა ფიგურებითა და ანგელოზებით შეავსო, რომელთა გამომსახველობა საფუძველს აძლევდა პალუჩინის აღენიშნა გარკვეული გავლენა მხატვარ ლორენზისა, რომლის მიერაც ამავე ტაძარში მოხატულია რამდენიმე ფრესკა.

ახალი ელემენტი — სტილური მიმართულების თითქმის შეცვლა აშკარა ხდება უდინეში მოღვაწეობისას და იგი პირველად პალაცო დოლფინის მოხატულობაში მეღავნდება. მასზე მუშაობა უნდა დაწყებულიყო წმინდა საკრამენტის კაპელის ფრესკებთან ერთად, ან მოგვიანებით, როგორც რიცი მიიჩნევს. კიბის პლაფონის ფრესკა „მეამბოხე ანგელოზთა დაცემა" ეკვგარეშეა, უადრესია ამ ნამუშევართა შორის. რამდენადმე თეატრალური წარმოდგენა ლუციფერისა, რომელიც თითქოსდა ლამობს მოვარაყებული ჩარჩოდან გამოვარდნას, (ცალკეული მონაკვეთი მოდელირებულია თაბაშირში) აგრძელებს ბოლონიისა და რომის ბაროკოს ტრადიციებს. ამასთან, გალერეის ფრესკებში ტიეპოლო გასაოცარ თვითმყოფადობას ავლენს, რასაც მოწმობენ ეპიზოდები აბრაამის, ისაკისა და იაკობის ცხოვრებიდან. კედლის პირველ მონაკვეთში წარმოდგენილია: „სამი ანგელოზი ეცხადება აბრაამს", ცენტრალურში — „რაქელი მალავს კერპებს", მესამეში — „ანგელოზი ეცხადება სარას", პლაფონზე — „იაკობის სიზმარი", „აგარი უდაბნოში" და „აბრაამის მსხვერპლშეწირვა". ეს უკანასკნელი უნდა შევადაროთ, უფრო სწორად, დავუპირისპიროთ ვენეციის ოსპედალეტოს ტაძრის ლუნეტში გამოსახულ იგივე პირს, მოხატულს ახალგაზრდა ტიეპოლოს მიერ. ამ ნამუშევრებში კოლორიტი დატვირთულია „ძლიერი სინათლით, ამასთან, ფორმათა მთლიანობა შენარჩუნებულია" (პალუჩინი). რამდენიმე მათგანში (მაგ. კომპოზიციაში „სამი ანგელოზი ეცხადება აბრაამს") მეღავნდება ერთ-ერთი ელემენტი ტიეპოლოს ახალი ხელწერისა — კონტრასტული დაპირისპირება აბრაამის ძლიერი, მუქი ფერით დაწერილი სკულპტურული ფიგურისა აბრეშუმის მოსახსამიან ბრწყინავ ანგელოზებთან, რომელთა თვალისმომჭრელი სინათლე ელვის შთაბეჭდილებას ქმნის. ვერონეზეს გავლენა საცნაურია „ანგელოზი ეცხადება სარას" — კოლორიტში. მართლაც, ვილა მასერის (ვიჩენცა) ვერონეზესეული ფრესკები უეჭველი წყაროა ტიეპოლოსათვის, თუნდაც ანგელოზთა XVI ს. საამოსელის თვალსაზრისით. ვერონეზეს ტექნიკა კონტრასტის მისაღწევად დამატებითი ფერის გამოყენებისა აქ ათვისებული და თამამად გამოყენებულია ტიეპოლოს მიერ.

ეპიზოდში „რაქელი მალავს კერპებს" ლაბანის, იაკობისა და რაქელის ფიგურათა ჯგუფზე სინათლე ირეკლება, რომელიც ოდნავადაც არ ამცირებს მის პლასტიურ მთლიანობას. სინათლის რეფლექსების გამოსახვა მხატვარმა ბუნებიდან ითვისა თავისი ე. წ. „ატმოსფერული" სტილის ძიებისას. XVII ს. პეიზაჟური ფერწერის მანერისა და უფრო მეტად თანამედროვე სტილთა გამოვლინება ჩანს ლირიულ, არკადიულ გრძნობათა გამომსახველ ელემენტებში. სალა როსას ხახახლეში ტიეპოლომ მოხატა „ხოლომინის ხამხჯავრო". აქ იგი წააწყდა პერსპექტივის ახალ პრობლემებს — ფიგურები გამოსახა რაკურსით, დაბალჭერიან დარბაზთან მათი გაწონასწორების მიზნით. აქაც ვერონეზე გვაგონდება არა მხოლოდ ფერის, არამედ ფიგურათა სივრცეში განაწილების თვალსაზრისითაც.

მხატვრის უდინეში მოღვაწეობისას „ნათელ ფერთა დაკავშირება ფორმის თითქმის ექსპრესიონისტულ გააზრებასთან... ახალი ტონია, რომელსაც ფერადოვნება შეაქვს ტიეპოლოს ხელწერაში" (პალუჩინი). ამ აზრის საილუსტრაციოდ გამოდგება რამდენიმე ფერწერული ტილო, მათ შორის — „წმ. ანტონის ცდუნება", შესრულებული უდინეში დაახ. 1728—1737 წწ. (რიცი, 1966).

ვენეციის კა' დოლფინის ხახახლისათვის ტიეპოლომ დაწერა ათი დიდი ზომის ტილო (ამჟამად გაბნეულია: ორი — ვენის ხელოვნების ისტორიის მუზეუმში, სამი — ნიუ-იორკში და ხუთიც — ლენინგრადში) ეს ტილოები ნაკლები წარმატებითაა შესრულებული, თუმცა მათში არსებული ახალი ელემენტები მაინც წარმოადგენენ სტილის მხრივ წინგადადგმულ ნაბიჯს. პალუჩინიმ შენიშნა, რომ მათში მიღწეულ იქნა „განვითარების ახალი ეტაპი — კიაროსკუროს გამომსახველობისაგან ფერითს გამომსახველობაზე გადასვლა, აქტივიზებული ძლიერი შუქ-ხინათლით". ჩვენ არ გამოვრიცხავთ იმის შესაძლებლობას, რომ ეს შემდგომი ეტაპი სტილური ევოლუციისა განპირობებული იყო ჯან ანტონიო პელეგრინის ფერწერით. პალაცო კასატის (1731) მოხატულობა, უდინეს მსგავსად, ისტორიული ხიუჟეტის მქონეა, თუმცა მხატვარი გამოსახავს არა მის თანამედროვე, არამედ XVI ს. რეალიებს, ვერონე-

ზეხ მსგავსად. მთლიანობაში ფრესკას ერთგვარი თეატრალურობის ელფერი დაჰკრავს, ამასთან, ტიეპოლოს საოცარი წარმოსახვის უნარი არასოდეს კარგავდა კავშირს რეალობასთან, იგი არ სცილდებოდა ადამიანური ბუნების სფეროს და მის პორტრეტთა ხასიათები, ესოდენ სიცოცხლით სავსენი, შორს დგანან ანონიმურ ფიგურებსა და როლის მოთამაშე მსახიობებისაგან.

ტიეპოლოს ვენეციაში დაბრუნების შემდეგომ, დაახ. 1732 წ. შესრულებულ ფერწერულ ტილოთა ჯგუფი ავლენს მხატვრის ერთგვარ რომანტიულ შემობრუნებას ახალგაზრდობის დროინდელი გატაცებებისკენ, ალბათ იმის გამო, რომ იგი კვლავ მოხვდა პიაცეტას გავლენის ქვეშ, რომელიც მუდამ მიმდევარი იყო კიაროსკუროს მკვეთრი კონტრასტებისა. ამ პერიოდს ეკუთვნის ისეთი ნამუშევრები, როგორიცაა „აბრაამს ეწვევნენ ანგელოზი, აგარი და ისმაილი“ სკუოლა სან როკოში და „ქალწულ მარიამის აღზრდა“ ჩიესა დელა ფავაში, ასევე „წმ როხი“ (მცირე ზომის ხურათების სერიიდან) კასტელო და ცოპოლაში, რომელიც რელიგიურ ემოციათა ხილვამით გამოირჩევა. ნაცრისფერისა და ყავისფერის მშვიდი ბარმონიულობა ხაზგასმულია წითლის, ყვითლისა და ლურჯის მოელვარე ლაქებით.

1732 წ. ტიეპოლო ბერგამოს მიემგზავრება, სადაც მან კოლეონის კაპელის გუმბათში მოხატა ოთხი ალეგორიული ფიგურა, რომლებიც ამყარებენ „დიდ თავისუფლებას შეხრულების მხრივ... და ფერის სიწმინდის მეტ აქცენტირებას. ამასთან, \ შენარჩუნებულია ფორმათა პლასტიური მთლიანობა“ (პალუჩინი). ამავე კაპელაში მოხატა ხაში ფრესკა იოანე ნათლისმცემლის ცხოვრების სცენებით, სადაც მან სრულყო შემოქმედებითი პრინციპები, რომლებსაც სხვადასხვა დროს მეტნაკლები სიხრულით ავლენდა და რითაც საბოლოოდ მიაღწია აღიარებას, როგორც ვენეციის რესპუბლიკაში, ისე მის გარეთაც, სანამ არ დადგა ესპანეთის უკანასკნელი, კაეშნით სავსე წლები.

ბერგამოს შემდგომ პერიოდში ტიეპოლოს ფიგურები ზედმიწევნით ინდივიდუალიზებულნი ხდებიან, ხოლო პეიზაჟი, როგორც ადრეული გამოძახილი ფრანგული რეალისტური და იმპრესიონისტულ სკოლათა მხატვრობისა, პლენერიის ილუზიას ქმნის. ეს ახალი ელემენტები დიდ ფრესკებში იმდენად არ ჩანს, რამდენადაც მოდელოში, დამკვეთათვის წინასწარ შესრულებულ მცირე ზომის ნიმუშებში. ბერგამოს პერიოდის modello ავლენს უფრო მეტ თავისთავადობასა და გამომსახველობას, ვიდრე ადრეული, მკვეთრი მოხაზულობის მქონე ფიგურებიანი ნიმუშები.

ტიეპოლომ ვიჩენცას მახლობლად მდებარე ვილლა ლოჩის ფრესკები უჩვეულოდ მოკლე დროში მოხატა. საერთო ხასიათის ალეგორიულ სიუჟეტებს მხატვრული თეატრალურობის მისეული, საუცნოო გრძნობით გადმოგვცემს. ხასიათთა ინდივიდუალურ წარმოდგენას ვერ ბორკავს სიუჟეტური მომენტები, როგორც ეს მის ზოგიერთ პომპეზურ ნამუშევარში ჩანს. ამ პერიოდს (1734 წ.) ეკუთვნის „წმ. აგატას წამება“, შესრულებული დელ სანტის ბაზილიკისათვის (პადუა) და „ლვთისმშობლის თაყვანისცემა მოციქულთა და წმინდანთაგან“ ბერგამოს როვეტა სოპრას ეკლესიისათვის. წინასწარშესრულებულ ნიმუშებში წამების სცენა თავშეკავებული, მჭრეალი ფერებითაა წარმოდგენილი, „თაყვანისცემის“ კომპოზიციაში კი, ვერონეზესა და რიჩის მსგავსად, ფერები უფრო თბილი, მოციმციმე და ნათელი ხდება. ვრცელი კომპოზიცია წარმოგვიდგენს კონტრასტულად დაპირისპირებულ მიწიერ და ზეციურ ფიგურათა ჯგუფებს. მათ ერთმანეთთან აკავშირებს მარცხნივ გამოსახული კანელურებიანი სვეტი, რომელიც ამავე დროს არღვევს წინა პლანზე წარმოდგენილ ფიგურათა ჯგუფის გეომეტრიულ მოხაზულობას.

ტიეპოლოს ესოდენ მჭიდრო სიახლოვე ვერონეზესთან შეუმჩნეველი არ დარჩა მის თანამედროვე კრიტიკასაც (ცანეტი, 1732 და ტესინი 1736). ეს სიახლოვე ყველაზე მეტად გამოვლენილია ჯეზუატის ეკლესიის (სანტა მარია დელ როსარიო, ვენეცია) პლაფონის ფრესკებში, განსაკუთრებით კი — დიდ მონაკვეთზე წარმოდგენილ კომპოზიციაში „წმ. დომენიკე აფუძნებს როსარის“, სადაც პერსპექტივა ვერონეზეს ნიმუშების მიხედვითაა დამუშავებული — ქვედა რაკურსით გამოსახულ ფიგურათა ჯგუფი საგრძნობლად დამოკლებულია და გამოკვეთილია რელიეფური, სკულპტურული ფორმებით, რაც ხილვის შეგრძნებას ქმნის. ტიეპოლოს საკუთარი ხელწერა ჩანს მუქ ლრუბლებს შორის სინათლის ოხტატურ თამაშში, უპირისპირებს რა ერთმანეთს მძიმე ჩრდილსა და თითქმის დამაბრმავებელ სინათლეს.

სინათლისაკენ, ზეცისაკენ ასეთი ზეწრაფვა, რომელიც ტიეპოლომ ვერონეზესაგან შეითვისა, ყველაზე მეტი სრულყოფილებით გამოვლინდა მილანის პალაცო კლერიკის (1740) ფრესკაში. თანამედროვეებმა ამ ნამუშევარს „პაოლო ვერონეზეს მეტოქე“ უწოდეს. მორასიმ ხწორად შენიშნა, რომ ამ კომპოზიციაში ტიეპოლომ აითვისა „ცენტრიდანული სისტემა“ — პლაფონის კიდეებზე განლაგებული

ფიგურები სიღრმისეულ პლანებს ისეთ საოცარ სინათლეს ანიჭებენ, თითქოსდა ჰაერისაგან იყვნენ შექმნილნი. გულწრფელობა და გრძნობათა ის სიღრმე, რომელსაც ტიეპოლო სკოლა დელ კარმინეს პლაფონისათვის შექმნილ ამ ტილოებში გადმოგვცემს, ოდნავადაც არ ასუსტებს ბრწყინვალეებას ქრისტიანული ზეციერებისა, არამედ უფრო ღრმა აზრს აძლევს მას. მთელი სცენა წარმოგვიდგენს ტრიუმფს ღვთისმშობლისას, რომელსაც ანგელოზნი ადამაღლებენ.. ფიგურები ხაზგასმულია სინათლით, რომელიც იმგვარად თამაშობს ქვემო და ზემო პლანებზე, თითქოსდა ქმნისო ყველაფრის ჰაეროვან მთლიანობას.

ზოგ ნამუშევარში ტიეპოლო ახდენს მძაფრი დრამატულობის ხაზგასმას. მაგ. სურათში „გზა გოლგოთისაკენ" (ხანტ ალვისი, ვენეცია, (738—40) იგი ისწრაფვის მეტისმეტი, გულწრფელ გრძნობას მოკლებული ეფექტებისაკენ.

ზეციური და ამქვეყნიური ტრიუმფების თემა ტიეპოლოს ხასიათს ყველაზე მეტად სიმწიფის ასაკში მიესადაგა. ამის ნიმუშია ლორეტოს „ქმნილ სახლის ხახწაული" სკალეის ეკლესიის (ვენეცია) პლაფონზე, რომელიც, ხამწუხაროდ, პირველი მსოფლიო ომის დროს დაინგრა. იგი ჩვენთვის ფოტოების სახით არის ცნობილი და უფრო უკეთ — ესკიზების წყალობით, რომელთაც ტიეპოლო დიდი რაოდენობით ქმნიდა, სანამ საბოლოო ვარიანტს აირჩევდა. არჩეული ნიმუში ყოველთვის არ შეესატყვისება მხატვრის თავდაპირველ ნააზრევს. მართლაც, თუ ამ სცენის საბოლოო ნიმუშს ესკიზებს შევადარებთ, დავინახავთ, რომ ხივრცე ეკლესიის თავზე განფენილია დიდი ოვალური ცის სახით, რითაც კომპოზიციის ჰარმონიულობა და ერთიანობა დარღვეულია. ტექნიკური სრულყოფილება აქ შეენაცვლა პოეტურობას, მაღალფარდოვნება — თავდაპირველ უშუალობას ამ რთული თემისას.

„ძალისა და სიბრძნის ალეგორია"—უდინეს პალაცო კაიზელის მოხატულობის დრო სადავოა (1730-48). ეს ნაწარმოები ღირსშესანიშნავია ეფექტური კოლორიტისა და ცის არაჩვეულებრივი გამჭვირვალების თვალსაზრისით, რასაც მხატვარი ოსტატური ტექნიკის წყალობით აღწევს.

ხანტ' ალვირისათვის დაწერილ ტილოზე „გზა გოლგოთისაკენ" ჩანს რემბრანდტის გამოძახილი; რომელსაც ტიეპოლო კვლავ მიუბრუნდება სურათში „აგონია ბაღში", 1745—50 წწ. შექმნილ რელიგიურ ხურათთა სერიიდან. ადრე, ვენეციაში შესრულებულ ამგვარ სერიებთან მისი შედარება მოწმობს, რომ მხატვარმა აქ იგრძნო და დიდის გულწრფელობით გამოხატა რელიგიურ ემოციათა სიღრმე.

სინათლისა და ფერის თვალსაზრისით ცენტრალურ ფიგურებზე მეტი დატვირთვა აქვს კომპოზიციის მარჯვნივ გამოსახულ ფიგურათა ჯგუფს. კვლავ საცნაურია ვერონეზეს გავლენა ფორმებსა და ფერზე, თუმცა ფონი უფრო მეტი სიახლით გამოირჩევა. ეს ტილოები უჩვეულო პარენთეზისს წარმოადგენენ მხატვრის შემოქმედებაში; მაგრე იგი კვლავ უბრუნდება დიდ დეკორაციულ კომპოზიციებს, ისეთ ეფექტურსა და დახვეწილს, როგორიცაა პალაცო ბარბაროს (ამჟამად მიმობნეული ნიუიორკში, ვაშინგტონში, ბერლინში, კოპენჰაგენსა და სხვა ქალაქებში) და პალაცო კორნაროს (ფლორენცია) სურათები, რომლებზედაც იგი მუშაობდა 1745—50 წწ.

ერთ-ერთი ნიმუში ტიეპოლოს რამდენიმე პორტრეტისა, შექმნილი ამავე პერიოდის დასაწყისში და დაწერილი დეკორაციული მანერით, არის ანტონიო რიკობონის პორტრეტი. ესაა ორასი წლის წინ გარდაცვლილი ადამიანის სახის არა მარტო აღდგენა, არამედ მისი ანალოგიაც. ტილოზე ხაოცარი გულწრფელობითაა წარმოდგენილი რიკობონის რელიეფური ფიგურა. იგი უჩვეულო სინათლითაა გასხივოსნებული. აქ ჩანს პატივგება არა მარტო ამ დიდი ადამიანის, არამედ იმ ეპოქის მიმართაც, რომელშიც იგი ცხოვრობდა — ამ პერიოდს ტიეპოლო პორტრეტული ფერწერის დიდ პერიოდად მიიჩნევდა. პროკურატორ ქვერინის ნატურიდან შესრულებულ მშვენიერ პორტრეტში კვლავ თავს იჩენს სიახლოვე XVI ს. ვენეციასთან — არქიტექტურული ფონი აშკარად ვერონეზეს ხელწერითაა შთაგონებული. ამასთან, ამ პორტრეტში ჩანს (მხედველობაში გვაქვს გვიანი პერიოდი, დაახ. 1754) ფსიქოლოგიური წვდომის მეტი სიღრმე, შეზავებული სატირის მძაფრ გრძნობასთან, რომელმაც შემდგომ, მის გვიანდელ ფერწერაში ძალა განვითარება — ავტოპორტრეტებისა თუ მემორიალური ხასიათის სურათთა სახით.

თუ რამდენ იყო ტიეპოლო კლასიკური ხელოვნების გავლენის ქვეშ პალაცო ლაბიას (ვენეცია) ფრესკების მოხატვისას, ამას მოწმობს მთავარი დარბაზის კედლებზე გამოსახული სცენები „ანტონიუსისა და კლეოპატრას შეხვედრა" და „კლეოპატრას ნადიმი", რომელთა რამდენიმე, ტილოზე შესრულებული ნიმუში მოსკოვის არხანგელსკოეს მუზეუმში ინახება. მათ შორის ყველაზე ადრეული, 1747 წ. თარიღდება. სტილი ამ პერიოდისა, რომელსაც მორახი „კლასიციზმის" პერიოდს უწოდებს, ხიმშვიდითა და კლასიკური უშფოთველობით გამოირჩევა.

პალაცო ლაბიას ფრესკების განხილვისას

პალუჩინი წერდა, რომ მათში კვლავ მეფეობდა „ბაროკოს კონცეფციის განახლება ტიეპოლოსეული დეკორაციულობითა და ფანტაზიით"... სინათლე თითქოსდა ამსხვრევს მძიმე სკულპტურულ მასებს. ამ მშვენიერ ნამუშევრებში ტიეპოლო რჩება ბაროკოს მხატვრად (ამ ტერმინის ყველაზე თავისუფალი და სრული მნიშვნელობით), ხაზს უსვამს რა სინათლის აბსოლუტურ დომინირებას. ეს კარგად ჩანს ნეპტუნის ალეგორიაში, სადაც გამოკვეთილია დრამატული ელერადობა, რომლის განცდის ხიდრმე შედარებით იშვიათია ტიეპოლოს შემოქმედებისათვის.

დაახლოებით იმავე პერიოდში წერს სხვა სურათს, რომელიც მართალია, ეყრდნობა მისი ხელოვნების ტრადიციულ საფუძველს, რამდენადმე მაინც გამორჩეულია. ესაა „ქონილიუმი არენაზე". შექმნილი ერთი მოვლენის აღსანიშნავად — როდესაც მალტის ორდენის ხაბჭო შეიკრიბა (748 წ.), რათა მფარველად აერჩიათ უდინეს გრაფი ფლორიო. ფიგურათა განლაგების რამდენადმე უჩვეულო მანერა გვაფიქრებინებს, რომ მასში ჯანდომენიკოს ხელიც ურევია. თუმცა, ამის მტკიცება-უარყოფა ძნელია, რადგანაც ამ დროისათვის იგი იმდენად ბაძავს მამის ხელწერას, რომ არ ხერხდება მათი ურთიერთისაგან გამიჯვნა.

1750 წ. ტიეპოლოთა სტუდიას დაუკვეთეს ვიურცბურგის რეზიდენციის მოხატვა. მათ დაიწყეს კაიზერსაალის პლაფონზე მუშაობა ვენეციელ მოქანდაკე ფელიჩე ბოსისთან ერთად. მოხატეს ორი ისტორიული სცენა კედლებზე და ბოლოს კი — დიდი ფრესკა მთავარი კიბის პლაფონზე. მთელი ეს სამუშაო დაახ. 1758 წ. შემოდგომაზე დახრულდა.

კაიზერსაალის ფრესკათა სიუჟეტი წარმოგვიდგენს ფრედერიკ II ბარბაროსას განდიდებას, რომელმაც 1168 წ. დაარსა ვიურცბურგის საეპისკოპოსო. პლაფონის ფრესკა — „აპოლონი მიუძღვის ბეატრიჩე ბურგუნდიელს ბარბაროსასაკენ" — კლასიკური ალეგორიისა და ისტორიული რეალიების (XVI ს. ფონი და ჩაცმულობა) შერწყმის მშვენიერი ნიმუშია. კომპოზიციის ცენტრში გამოსახულია აპოლონის ოთხრაშიანი ეტლი, რომელიც ჩნდება ოსტატურად დაჭგუფებული ღრუბლებიდან და განათებულია თვალისმომჭრელი სინათლით. ეტლში ზის საუცხოო ამალით გარშემორტყმული მეფის საცოლე, რომელსაც ელის მარცხნივ, შემაღლებულ ტახტრევანზე ჭდომი მისი უდიდებულესობა ბარბაროსა.

კედლის მხატვრობის ორი ნიმუში „ეპისკოპოს ჰაროლდის ინვესტიტურა" და „ბარბაროსას ქორწინება" არ გამოირჩევიან გამოსახვის ასეთივე თავისუფლებით, რამდენადაც მხატვარი შეზღუდული იყო დარბაზის ტრადიციული გარემოსა და ისტორიული რეალიების ღდგენის თავისებურებების თვალსაზრისით. აქ კვლავ თავს იჩენს ვერონეზეს გავლენა. დარბაზის დეკორაციას ასრულებს ნოსინი — ბატონ-თაბაშირში მოდელირებული როკოკოს სტილის ფიგურები, რომლებიც მშვენივრად ერწყმიან მოხატულობის სქემას.

ფიგურებშორისი არეები წარმოგვიდგენენ ზეცას, შევსებულს წარმართული და ქრისტიანული წარმოსახვითი ფიგურებით — კლასიკურ თუ რენესანსულ სამოსელში გამოწყობილი ცხენოსნებით, რაინდებითა და მეომრებით.

მთავარეპისკოპოსი კარლ ფილიპ ფონ გრაიფენკლაუ მეტად კმაყოფილი დარჩა ამ ნამუშევრით და სთხოვა ტიეპოლოს, მოეხატა დიდი დარბაზის პლაფონი — „ოლიმპო დედამიწის ოთხი მხრითა და ალეგორიებით". ესაა დიდი ზომის ფრესკა (30X18 მ), რომელსაც მორასიმ უწოდა „განმანათლებელთა ეპოქის იკონოგრაფიული ენციკლოპედია". გრაიფენკლაუს პორტრეტი წარმოდგენილია ევროპის პერსონიფიცირებული ფიგურის თავზე, რომლის წინაშე მოკრძალებით მოხრილან მეცნიერებისა და ხელოვნების ალეგორიული ფიგურები., ამავე პოზაშია გამოსახული ვიურცბურგის სამეფო კარის ზოგი გავლენიანი პირიც, მათ შორის, ხახალის არქიტექტორი ბალთაზარ ნეიმანი, თავად ტიეპოლო, მისი ვაჟი ჯანდომენიკო და ადგილობრივი მხატვარი გეორგ ანტონ ურლაუბი, რომელიც ტიეპოლოსთან ერთად მუშაობდა. პლაფონის დანარჩენ სამ მხარეს გამოსახულია სამი კონტინენტის — აფრიკის, ამერიკისა და აზიის სიმბოლური ფიგურები.

გერმანიაში ყოფნისას ტიეპოლოს მოღვაწეობა, რასაკვირველია, არ შემოფარგლულა მხოლოდ ფრესკებით. რეზიდენციის კაპელის ორი სურათის გარდა („მეამბოხე ანგელოზთა დაცემა" და „ამაღლება" 1752), ტასსოს პოემის, „განთავისუფლებული იერუსალიმის" შთაგონებით შექმნა სხვა ნამუშევრებიც, რომლებმაც შეამზადეს იგი ვილა ვალმარანას (ვიჩენცა) ფრესკისა და მცირე ზომის, იმპროვიზებული ფერწერული ტილოებისათვის. შვარცხის ბენედიქტინის ეკლესიის საკურთხევლის სურათი „მოგვთა თაყვანისცემა" (1758) ტიპიური ნიმუშია რელიგიური თემის ტიეპოლოსეული გააზრებისა. ადამიანური სიყვარულითაა გამთბარი მოგთა მიწიერი, ცოცხალი ფიგურები, რომელთაგან მკვეთრად უპირისპირება არაამქვეყნიური, ყრვეული სინათლით გასხივოსნებული ღვთის მშობლისა და ყრმის გამოსახულებები.

ერთგვარი თეატრალურობით გამოირჩევა ვილა ვალმარანას (ვიჩენცა) ფრესკა „იფიგენიას მსხვერპლშეწირვა", რომელიც ხასიათთა წვდომით, დეკორაციების მსგავსი არქიტექტურული ფონით, მისი უსაზღვრო სივრცობრივი განფენილობითა და სინათლით რაღაც ნაზი და ღრმა პათოსის ნოტას ქმნის, რაც განსაკუთრებით საგრძნობი ხდება მშვენიერ სცენაში „ანჯელიკა დაჭრილ მენდოროსთან ერთად".

გრაციის ეკლესიის (ესტე) საკურთხევლის ხურათში წმ. თეკლე ევედრება ღმერთს, იხსნას ქალაქი შავი ჭირისაგან", ტიეპოლო გვევლინება, როგორც პერსპექტივის ეფექტების დიდოსტატი. კომპოზიციის ზემო ნაწილში გამოსახული, ანგელოზებით გარშემორტყმული ღმერთის ფიგურა ზეციდან ეშვება ვედრების პასუხად. რეალისტურად დაწერილი პეიზაჟი, ლეგა ცისა და მკვდრისფერდადებულ, შავი ჭირით შეპყრობილ ქალაქს შორის სინათლის კონტრასტით, ავლენს ტიეპოლოს ხელოვნებაში მანამდე ნაკლებად გამოვლენილ ხელწერას.

ამასთან, მითებისა და ტრიუმფების მხატვარი დიდხანს არ ეძლევა ღრმა მედიტაციას. 1761 წ. მას დაუკვეთეს პალაცო კანოზას (ვერონა) მოხატვა. იმავე წელს იწყებს მუშაობას ვილა პიზანიში (სტრა) „პიზანის ოჯახის აპოთეოზზე", რომელიც მზის სინათლის ინტენსიური ეფექტებითა და ილუზორული პერსპექტივით გამოირჩევა. ამასთან, აქ გვაქვს რამდენიმე ხოცრად მშვენიერი სცენა,როგორიცაა ტუის ფონზე გამოსახული ბარბითზე დამკვრელი, ასევე ოჯახის პორტრეტი (მარინა პიზანი საგრედო თავის გარდაცვლილ ქმარ ანდრეისა და ვაჟ ალმოროსთან ერთად).

ტიეპოლო ჯერ კიდევ სტრას ფრესკებზე მუშაობით იყო დაკავებული, როდესაც შექმნა ესკიზი მადრიდის სამეფო სასახლის პლაფონისათვის, როგორც ვილა პიზანი, აქაც, მოხატულობის თემა იყო განდიდება — „ესპანეთის აპოთეოზი". კომპოზიცია აქ სივრცითი ორგანიზების იმავე კანონებს დაექვემდებარა, რომლებიც მხატვარმა ესკიზებ[illegible] წარმატებით გადაჰრა ვიურცბურგის რეზიდენციის დიდი კიბის პლაფონზე.

მადრიდის სასახლის [illegible] ბოლოს სივრცეზე განფენილია [illegible] ფიგურათა და ანგელოზთა ჯგუფები, რომლებიც ოლიმპოს ღმერთებთან ერთად ფანტასმაგორიულ კომპოზიციებს ქმნიან. სამწუხაროდ, პერსპექტივის, სინათლისა და სივრცის ჰარმონიის ორიგინალური გააზრება ნაწილობრივ დაჩრდილა ფრესკის უჩვეულოდ დიდმა მასშტაბმა (IIX28 მ), დარღვეულია კომპოზიციური მთლიანობაც.

ხატახტო დარბაზის ფრესკის დამთავრების შემდეგ ტიეპოლომ კამარა დე ლოს ალბარდეროსში მოხატა სხვა აპოთეოზი — ენეასის მითოლოგიური ალეგორია, რომლის შედარება ესკიზთან (ბოსტონი, ხაბვითი ხელოვნების მუზეუმი) მოწმობს წინ გადადგმულ ნაბიჯს, რაც თუნდაც პერსპექტივის სტრუქტურითაც გამოიხატა.

იმის მიუხედავად, რომ ტიეპოლო კარგად იცნობდა ახალ მიმართულებებს ხელოვნებაში, იგი მაინც განზე რჩებოდა მათგან. სამაგიეროდ, თავის თავში ეძებდა ახალსა და უფრო მეტად საკაცობრიო ფასეულობებს. ამიტომაც უნდა დავეთანხმოთ პალუჩინის სიტყვებს: „ჩვენ უნდა.... ვეძიოთ ნამდვილი ტიეპოლო მისი ყველაზე დიდი გულწრფელობის ჟამს, როდესაც მისი განწყობილება, სიყმაწვილისას სევდიანი და მწუხარე, სიმწიფისას — ვნებააშლილიცა და მშვიდიც, ბოლო ხანდაზმულობისას — ნაზად მელანქოლიური, მთელი სისავსით წარმოჩინდება ყოველგვარი მელოდრამატულობისა და დეკორაციული ბირტუოზობის გარეშე".

□

«САУНДЖЕ»
ДВУХМЕСЯЧНЫЙ АЛЬМАНАХ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ
На грузинском языке

1988 № 5

СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ
ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ ПО ХУДОЖЕСТВЕННОМУ ПЕРЕВОДУ И ЛИТЕРАТУРНЫМ ВЗАИМОСВЯЗЯМ

b 21/197



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტიეპოლო. რინალდო სტოვებს არმიდას

76132